ილია ჭავჭავაძე

4

ილია ჭავჭავაძე



რჩეული
ნაწარმოებები
ხუთ
ტომად





გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1987

ილია ჭავჭავაძე

ტომი
IV

კუბლიცისტური წერილები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1987

83.3Гр1
Ь 152


სარედაქციო კოლეგია:

გ. გვერდწითელი
რ. ინანიშვილი
გ. ფანჯიკიძე
ი. ქემერტელიძე
ს. ცაიშვილი
ვ. ჯავახაძე

ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს
სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა.

4603010202—068
Ц———————188—87
М 601(08) 87


ქრი
და
ისტორია



ოსმალოს საქართველო

ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შეჰსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ ღღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენებულს ნაწილებს ოსმალოს საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი ძროძა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს

ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას უტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიასა და მერმე ოსმალოს ზედმოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს ბიენხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მოქნილობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი ღროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადგილი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთ-მთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტ. შობიდან. ამ გვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც. თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს

კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოკიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღწვოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთაველის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღუყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართ-

ველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ე. ი. მას ჟამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებული იყო სამცხე-საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე რომ ოსმალებმა ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ-თუღიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი. მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე.

ეგრეთ, — მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მო-

სილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები — ერთად სისხლის მღვრნელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დანთხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...

[1877 წ.]

ეს ისტორია

წერილი პირველი

წლევანდელ თებერვლისა და მარტის ნომრებში რუსულმა ჟურნალმა „Северный Вестник“-მა დაბეჭდა ორი წერილი, რომელთათვისაც ავტორს დაურქმევია საერთო სახელი „Письма о Грузии“. რა აზრი ჰქონია ავტორს, როცა ამ წერილებისათვის ხელი მიუყვია, თვითონვე მოგვითხრობს.

იგი წერილების თავშივე გვეუბნება, რომ განვიზრახეო გაკვრით (бегло) გაცნობო მკითხველებს სურათი ქართველთა სულიერის და ნივთიერის ცხოვრებისა ისე, როგორც იგი გამოიხატა ქართველთა ისტორიასა, ლიტერატურასა და ეხლანდელ ყოფა-მდგომარეობის ფორმებშიო. ამ ჩემის სუსტის ღვაწლით მსურსო განვუღვიძო რუსეთის ინტელიგენციას წყურვილი უფრო ღრმად და ზედმიწევნით შეისწავლოს ეს ბევრგვარად საინტერესო ერი, რომელიც, ავტორის ფიქრით, სავა ამიერ-კავკასიის ტომებზედ უმრავლესია, უფრო განვითარებული ბოქალაქობრივად (граждански) და რომლის ჩამომდინარობა და ენა დღესაც უცნაურ საგნად მიაჩნიათ უმეცნიერეს ანტროპოლოგებსა და ლინგვისტებსაო.

ამას ამბობს ავტორი 49 გვერდზედ თებერვლის ნომერში და ამნაირად გვაუწყებს თავის განზრახვასა და ნიშანში ამოღებულ საგანსა. ხოლო მარტის ნომრის 57 გვერდზედ იგივე ავტორი თავის განზრახულს საგანს ამრიგად გვიხსნის: მე მინდოდა მეცნობებინაო. — „საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს-აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო. თუ ჩვენმა წერილებმა ამ ძირეულს და თავ-და-თავს საკითხს საკმაოდ ცხადი პასუხი მისცა, ჩვენ ჩვენს განზრახულს საგანს შესრულებულად ჩავთვლითო“. აქედამ სჩანს, რომ თავი-და-თავი საგანი ავტორისა ისა ყოფილა, რომ ამ ძირეულს საკითხს საბუთიანი პასუხი მოუპოვოს.

ჩვენ იმის გამოძიებაში არ შევალთ, — რამოდენად ეთანხმება თავში განზრახული საგანი ბოლოში გამოთქმულსა. ჩვენ მარტო ის ვეიკვირს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს

ამასთანავ საკითხს იძლევიან ისტორიის მკვლევარნი. რომ ეს ჩვენი გაკვირვება ცუდ-უბრალო გამოკიდებად არავინ არ ჩაიოგვართვას, საჭიროა გამოვწვლათ ასო-ასო იგი თავი-და-თავი საგანი, რომელიც ავტორს ნიშანში ამოუღია და რომლის მიხედწევად აუღია კალამი ხელში. გვეშინიან, გადასხვაფერება სიტყვისა ან აზრისა არ მოგვივიდეს თარგმანში და ამიტომაც ავტორის სიტყვებს რუსულადაც მოვიყვანთ. ავტორი, ათავებსროა თავისებურ გამოკვლევას საქართველოს ერის ძველის-ძველ ცხოვრებისას, ამბობს:

„Без ясного знакомства с этими доисторическими условиями, читатель не мог бы верно судить ни о его (грузинского народа) литературе, ни о бытовых явлениях его современной жизни и для него (для читателя) не был бы решен самый главный вопрос, действительно-ли грузинский народ стар (!) и износил свои силы (!), или же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберег свои силы для будущего (!). Если письма наши дали достаточно ясный ответ на этот основной (!) вопрос, мы считаем цель нашу достигнутою".

თუ ამას დავიჯერებთ, ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ ყველაზედ ძირეული და თავი-და-თავი საგანი რომელისამე ერის ისტორიის მკვლევარისა ისა ყოფილა, რომ გამოარკვიოს, — დაბერდა იგი ერი და ღონისაგან დაიცალა, თუ ჯერ არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ღონე მერმისისათვის. ჯერ ქვეყანაზედ ამ აზრით არავინ შესდგომია ისტორიას და პირველობა ამაში ჩვენს ავტორს უნდა დავულოცოთ.

აშკარაა, ავტორს, ცოტად თუ ბევრად, უწამებია უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითოეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისათვის გარდაუვალი კანონია, როგორც ცალკე ადამიანისათვის: ამას ვერც ერთი ერი ვერ წაუვა, ვერ გადასცდებაო.

ჩვენს ავტორსაც ეს აზრი უნდა ჰქონდეს, როცა თავისთავს ჰკითხავს, — დაბერდა საქართველოს ერი, თუ არაო. უამისოდ მისი საკითხი მომცდარის კაცის ჩხირკედელობა იქნება,

ცუდ-უბრალოდ მოცდენა მთქმელისაცა და მსმენელისაც.

ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ—ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბაში. ეთიოპელისა და გვითხარით, ამათში რომელი ვიგულისხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია, ამათში არიან ძველნი და ახალნი, და ეს სულაც იმ სიბერეს და სიყმაწვილეს არა ჰნიშნავს, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდნილს, და მეორე-კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას ჰვასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან.

თუ ბეკრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილა დედამიწის ზურგიდამ, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს, მაგალითებრ, მტერთაგან ძლევასა, აკლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა რომ ბართალი იყოს, მაშ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან. ეს შესაძლოა მოხდეს. თუმცა ძნელად წარმოსადგენი-კია, მაგრამ, თუ მოხდა, აქ სიბერე არაფერს შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური ნოველნაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც-კი ყოვლად წეუძლებელია. ამაზედ სიტყვის გაგრძელება მეტი იქნება. თითონ რუსულ ლიტერატურაშიაც-კი საბუთიანად გამოძიებულია ეს საგანი და ჩვენ არ გვახსოვს, რომ რომელსამე დაწინაურებულს მეცნიერს რუსეთისას არ გაეკილვოს, ასე თუ ისე, დრეპერის აზრი ამის თაობაზედ. ჩვენ გვიკვირს, რომ ავტორს, ვითარცა კაცს ასეთის ჭექა-ქუხილით მოუბარს „о свободном и широкольющемся потоке света и знания, о связи с могучим, глубоким родником общечеловеческой мысли“*, ზურგი შეუქცევია იმ поток-ისათვისაც და იმ родник-ისათვისაც და, არამც თუ რაშიმე გამოუყენებია, ყურიც არ უთხოვებია; მაშ, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს ამისთანა ყალხზედ

* ავტორის სიტყვებია.

შეუენებულ ფრაზებს, თუ თითონ მთქმელს საჭიროდ არ დაუნახავს არც ის поток-и света и знания, არც ის родник-и общечеловеческой мысли და მარტო ორიოდე კაცის ნათქვამს უანგარიშოდ, ბრმად გაჰყოლია, თითქო იმ მთელ კაცობრიობის აზრთა წყაროში, იმ ნათელისა და ცოდნის ნიაღვარში, მარტო დრეპერისა და მის მიმდევართა აზრი იყოს და სხვისა არავისი.

„სიბერე ერისა“, ჩვენის ფიქრით, უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის. თუ ესეა, რის მაქნისია კაცმა **ეგ** უქმი, არაფრის მომასწავებელი, სრულებითაც არ-არსებული საგანი იძიოს, ან მსოფლიო ისტორიაში საზოგადოდ, ან საქართველოსაში ცალკე. რაც არ არის და არც ოდესმე იქნება, იმისი ძებნა ტყუილი მოცდენაა, წყლისა ნაყეაა და, რასაკვირველია, ყველას ნება აქვს, როგორც სურს, ისე შეიქციოს თავი. ეს კიდევ არაფერი. რაც უნდა იყოს, აქ დრეპერს მაინც იმოწმებს ავტორი თავის გასამართლებლად და ჩვენდა გასამტყუნებლად, თუმცა ვიმეორებთ, მინამ ამას დაგვმართებდეს, ავტორმა ჯერ უნდა იკისროს, რომ მის მიერ ქებულ დიდებული родник-и общечеловеческой мысли, ის поток-и света и знания მისთვის ცარიელი ფრაზაა, მისთვის არ არსებობს. აკი ვამბობთ, ამ „ერის სიბერის“ გამო ავტორს კიდევ ხელმოსაჭიდებელი ხავსი აქვს თავის გადასარჩენად; საქმე მეორე წინადადებაა:

„დაიცალა (ქართველი ერი) ღონისაგან(?), თუ ჯერ დღესაქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო“—(Износил свои силы, или-же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною жизнью и сберег свои силы для будущего?).

აბა, ერთი გვითხარით, ეს „сберег свои силы для будущего“ რა ჭკუაში მოსასვლელი საკითხია? ყველა-ყველა და ამისთანა საკითხს-კი არ მოველოდით არავისაგან. ვინც ამისთანა საკითხს იძლევა და ამ-რიგად, იმას ორი რამ უნდა რწმენად მიღებული ჰქონდეს, ერთი მეორეზედ უფრო საოცარი, უფრო საკვირველი, რომ სხვა არა ვსთქვათ რა; ერთი ისა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ღონისაგან სცლის ერსა, ესე იგი ასუსტებს, აუძლურებს, და მეორე — არა-ინტენსიური ცხოვრება-კი ანახვინებს ღონეს მერმისისათვის. დააკვირდით ზემო

მოყვანილს სიტყვებს ავტორისას და დაინახავთ, რომ, თუ ამ სიტყვებში რაიმე ლოღიკაა, მისი საკითხი სწორედ ამ ორგვარ რწმენისაგან მომდინარეობს. სხვა სათავე არა აქვს მის საკითხსა. გაგონილა ეს სადმე და ვისგანმე? მაშ რაღაზედ იხოცვენ თავს ევროპიელნი „სრულის ინტენსიურ ცხოვრებისათვის“, თუ იგი ღონეს არა ჰმატებს და ღონისაგან სცლის! სულელები!.. მოსულიყვნენ და ჩვენგან ჭკუა ესწავლათ!.. ის არა სჯობია — ჩვენ, ქართველებს მოგვბაძონ*, ინტენსიურ ცხოვრებას ჩვენსავით თავი არიდონ და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის. აი, ესეც თქვენი ახალი ამბავი! მოდით და ამას იქით ინატრეთ „სრული ინტენსიური“ ცხოვრება!.. დღეს-აქამომდე გეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვით, დასარჩობი ფონი-კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა. ღონისაგან არდაცლა, ღონის შერჩენა ხომ ბედნიერებაა და, მაშასადამე, ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიურ ცხოვრების მაცდურებას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. ამაზე ბედნიერი უფრო დათვები და მგლები უნდა იყვნენ, რადგანაც ამათ გუშინდელი დღეც არ ახსოვთ და, მაშასადამე, ადამიანზედ უფრო მეტი ღონე შეუნახავთ მერმისისათვის. გაგონილა ასეთი სასაცილობა! გაგონილა ასეთი მოთხრა და გაბიაბრუება ისტორიისა! ჰოი, поток-о света и знания, ჰოი, родник-о общечеловеческой мысли! „რაზედ გაცუდდნენ ძალნი თქვენნი მომჭადებნი“?!

„ინტენსიური ცხოვრება“ ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებული, აგებული, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს აღსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ და-

---

* ავტორი მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიურის ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვიხაროდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვის.

უშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში. თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისაგან სცლის, ვიღა იხერხებს ინატროს და თავი გამოიდოს კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის.

ღონე შენახვა მერმისისათვისაო, გვანუგეშებს ავტორი. კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა სჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვის-ღა საჭირო, რიღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიურ ცხოვრებისათვის. თუ ესეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს! ეს რა ბაბილონის გოდოლია, არ გვესმის, და იქნება ავტორმა შემდეგს წერილებში აგვიხსნას.

ეხლა-კი უსაბუთოდ ჰკილავს ავტორი ჩვენებურ ინტელიგენციას 54 გვერდზედ, რომ ტყუილად აბნევს აქ (საქართველოში) მზე თავის ბრწყინვალე და სიცოცხლის სასიხარულო სხივებსაო. იგი თითქო არც ათბობს, არც ანათებს და მარტო თვალს აბამხამებსო. რათ არის ესე, ჰკითხულობს გულშემატკივარი ავტორი: კაცს აქ სული რათ უგუბდება და რატომ ნათელი არა ნათობსო. ბევრიაო ამისი მიზეზი და უპირველესი, თავი-და-თავი ის არისო, რომ აქაურ ინტელიგენციას თავი შეუკეტნია, „потеряв связь с могучим и глубоким родником общечеловеческой мысли“.

ჩვენ გვგონია, რომ ავტორი არ უნდა უწყრებოდეს ჩვენებურს ინტელიგენციას ამისათვის, თუ თავისი დედააზრი, თავისი მოძღვრება „ღონის შენახვაზედ“ მართლა სწამს. ავტორს, წყრომის მაგიერ, უნდა გახარებოდა, რომ ჩვენებური ინტელიგენცია მისის რეცეპტით იქცევა ამ შემთხვევაში: ღონეს ინახავს მერმისისათვის და ამიტომაც თავი შეუკეტნია, რომ კაცობრიობის „ინტენსიურმა აზროვნებამ“ ღონე არ შეამოაბარჯვინოს.

აი, სადამდე მიჰყავს კაცი უთავბოლო ფრაზებსა. ის თავი-და-თავი საგანი, რომლის გამოსარკვევადაც ჯღონია ავტორს ლამის ხელში და რომელიც გამოთქმულია ზემო-მოყვანილ რუსულ ციტატაში, აშკარა გვეუბნება, რა გაბძის პატრონი ყოფილა ჩვენი ავტორი. ის ნუ ამბობს ჯერ იმას, რომ ერის ცხოვ-

310026

რებაში სიბერეს თავისი ადგილი აქვს; მეორე ისა, რომ „ინტენსიური ცხოვრება“ ერისა ღონის გამომცლელია და, მაშასადამე, დამაუძლურებელი; მესამე ისა, რომ რომელს ერსაც ინტენსიური ცხოვრება არა ჰქონია, ჰკვა უხმარია და ღონე შეუნახავს მერმისისათვის და, მაშასადამე, წინ უნდა იყოს იმ ერზედ, რომელიც მისცემია ინტენსიურ ცხოვრებას და ამაობაში ღონისაგან იცლება. ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია.

ამას გვეუბნება კაცი, რომელიც ჰკიცხავს ჩვენებურ ინტელიგენციას, თავი შეგიკეტნიათ და არ ეწაფებით კაცობრიობის აზრთა ყოვლად-შემძლებელ წყაროსაო! უმეცრებას ის კაცი უკიჟინებს სხვას, რომელსაც „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ერის ღონისაგან დამცლელი ჰგონია და არა-ინტენსიური ცხოვრება კი — ღონის შემნახველი.

ეხლა, აბა ნახეთ, სხვა ადგილას იგივე ავტორი იმავ ინტენსიურ ცხოვრებას რა ფრაზებით, რა ბუკითა და ნაღარით აქებადიდებს: „всесильная современность, могучий и глубокий родник общечеловеческой мысли, свободный и широкольющийся поток света и знания, общечеловеческая сокровищница слова и мысли“ და სხვანი და სხვანი. ახლა ერთი ჰკითხეთ ავტორს, საიდამ არის ყოველივე ეს, თუ არ „ინტენსიურ ცხოვრებისაგან“. რამ შეჰქმნა ეს ყოვლად-შემძლებელი ეხლანდელობა, ეს ღონიერი და ღრმა წყარო კაცობრიობის აზროვნებისა, ეს თავისუფალი და განივრად მომდინარე ნიაღვარი ნათლისა და ცოდნისა, ეს კაცობრიობის სალარო სიტყვისა და აზრისა, თუ არ „ინტენსიურმა ცხოვრებამ“?

ნუთუ ყოველივე ეს ერთად და თვითოეული ცალკე უტყუარი ნიშანი და მაგალითი არ არის „სრულის ინტენსიურის ცხოვრებისა“? თუ ესეა, ამის მთქმელს განაღა შეეძლო ბოლოს ეს ეკითხნა:

„Грузинский народ стар (?) и износил свои силы (?), или он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберег свои силы для будущего (?)“.

ორში ერთი: ინტენსიური ცხოვრება ან ღონეა, ან ღონისაგან დამცლელი. რომელი ერთი დავუჯეროთ ავტორსა. აქ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ან ზემოხსენებული ქება-დი-

დება ცუდ-უბრალო ფრაზებია მტვერის ასაყენებლად, **ან ეს უკანასკნელი** ლათაიად მოყვანილია. თუ ერთიცა და მეორეც მართლა ცარიელი ფრაზები არ არის და აზრი რამა აქვთ, ძნელად დასაჯერია, რომ ერთისა და იმავე კაცისაგან იყოს ნათქვამი.

ეხლა ჩვენ ხომ ვიცით, რა ღრმა აზრი და საგანი ჰქონია ავტორს, როცა თავისის წერილებისათვის ხელი მიუყვია. საგანი, როგორც ჰხედავთ, ურიგო არ არის, რადგანაც აქედამ ერთი კარგი რჩევა გამოდის: ვერიდნეთ ინტენსიურს ცხოვრებას ერთი ათასიოდ წელიწადი კიდევ და ამით ღონე შეგვენახება უფრო შორეულ მერმისისათვის. და თუ ეს ღონის შენახვა კარგია, ჩვენს შემდეგთაც ვუანდერძოთ, ესევე ჭკუა იხმარონ, იმათაც ზურგი შეაქციონ ინტენსიურ ცხოვრებას და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის და ეგრე ერთი შთამომავლობა მეორეს მიჰყვეს ქვეყნის დასასრულამდე. ახლა დაიჟინებთ და იკითხავთ, — ეგ ღონე რაღა ეშმაკად უნდა ერსა, თუ ყოველთვის ზანდუკში შენახული ექნებაო? ამისი კი რა მოგახსენოთ. ხოლო ეხლა კი ადვილად გასაგებია, ველურნი ერნი რათ უფრთხიან, როგორც ჭირს, ინტენსიურს ცხოვრებას? თურმე ნუ იტყვით, არ იხარჯებიან და ღონეს ინახავენ მერმისისათვის. მეტი ჭკუა-ღა გინდათ! რომ სწორედ ამ ჭკუაზედ გვივლია ჩვენც, ამას ავტორი სცდილობს თავის წერილებში დაამტკიცოს. ეს ახალი მეცნიერება დღეს-აქამომდე არავინ იცოდა და მადლობა ღმერთს, „Северный Вестник“-მა ქვეყანას შეატყობინა, ჩვენის ავტორის შემწეობით. რა თქმა უნდა, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ერთობ მთელი ევროპა თავს დაანებებს ინტენსიურ ცხოვრებას და ღონეს შეინახავს მერმისისათვის ჩვენებურადა, ქართველურადა. მაგრამ ვაი თუ გვიახლა იყოს ევროპისათვის ეს ახლად ნაპოვნი წამალი „ღონის შენახვისა“.

ყოველივე ესეც საკმაო საბუთს გვაძლევს ამაზედ გაგვეთავებინა ჩვენი საუბარი. ვინც ისტორიაში იმას ეძებს, — აცა, ვინ არ მიეცა ინტენსიურს ცხოვრებას და ამით ღონე შეინახა მერმისისათვისაო, იმასთან ლაპარაკი მეტია. მაგრამ ჩვენ მაინც ამით არ ვათავებთ ჩვენს საუბარსა, იმიტომ რომ ერთს ადგილას (53 გვერდზედ) ავტორი ამბობს, მე იმისთანა მხარეს ქართველთა ცხოვრებისას უნდა შევეხოო, რომელსაც ჯერ არავინ შეჰხებია ქართულს ლიტერატურაში და ამაში პირველობა

მე შემხვდაო. მოდით და წყურვილი ნუ აგეშლებათ, ბოლომდე მიჰყვეთ ავტორსა.

შემდეგში გავსინჯავთ, რა გზით, რა „ინტენსიურ ცოდნით", ერთის სიტყვით — რა საგზლით უვლია ავტორს თავის ძირეულ და თავ-და-თავ საგხაძდე მისაღწევად და რა საკვირველებანი აღმოუჩენია გზა-და-გზა მსოფლიო ისტორიისათვის საზოგადოდ და ჩვენისათვის ცალკე.

წერილი მეორე

ჩვენა ვნახეთ, რომ ავტორმა „Письма о Грузии"-სამ თავ-და-თავ საგნად წინ დაიყენა — შეგვატყობინოს, — „დაბერდა საქართველოს ერი და დაიცალა ღონისაგან, თუ ჯერ-აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და თავისი ძალ-ღონე შეუნახავს მერმისისათვის". რა პასუხს მისცემს ავტორი ამ საკითხს, ამაზედ ბოლოს ვიტყვით. ჯერ მოვკვლიოთ — რა სამცნო მეთოდით მიჰმართა თავის ახირებულ საგნის გამორკვევასა.

თითონ ავტორი ამაზედ არას ამბობს პირდაპირ. არც საჭირო იყო; თვითონ წერილები ავტორისა ამ შემთხვევისათვის „მოდი მნახეა". თუნდ ეგეც არ იყოს, რაკი ავტორი უკიჟინებს ჩვენს ლიტერატურას, არ იცის — რა არის „შედარებითი მეთოდი კვლევისა"-ო (сравнительный метод) და კრიტიკით არ შეჰხებია საქართველოს ისტორიასაო, — უნდა ვიგულისხმოთ, რომ თითონ ამისი მოკიჟინე ავტორი ამ მეთოდს და ამ კრიტიკას იხმარებს.

ძალიანა ვწუხვართ, რომ კარგა ხანს თავი უნდა დავანებოთ ავტორსა და შევუდგეთ იმის ახსნას, თუ რის მომასწავებელია „შედარებითი მეთოდი" და რასა ნიშნავს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გავიგოთ, — რის არ-ცოდნა უკიჟინებია ავტორს ჩვენის ლიტერატურისათვის. ესე იგი, რა მოუთხოვნია ჩვენგან, რომ იგივე მოვსთხოვოთ თითონ მას, რადგანაც — როგორც ეტყობა — იგი ამ მეთოდისათვის თავგამოდებულია და თავგადადებული. რა თქმა უნდა, ვრცლად ამის ახსნას ვერ გამოვუდგებით, რადგანაც ამისათვის არც დროა და არც ადგილი პატარა გაზეთში. ამის ახსნას ჯონ სტუარტ მილლმა

რამდენიმე დაბეჭდილი თაბახი მოანდომა თავის საბელოვან თხზულებაში, რომელსაც „სისტემა ლოღიკისა“ ჰქვიან.

ამ ჟამად ჩვენთვის საკმაოა მარტო თავი-და-თავი ძარღვი გავუგოთ ამ მეთოდსა, ისიც იმ საგნების მიხედვით, რომელნიც ერთად კრებულად შეადგენენ ისტორიას მთელის მისის ვრცელის მნიშვნელობითა. რა თქმა უნდა, აქაც ისე ვერ კადავურჩებით, რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს. თითონ საგანია იმისთანა რთული და მრავალ ფესვ-შტოიანი, თუმცა ჩვენი სურვილი კია, რომ მარტო დედაძარღვს მეთოდისას მივაგნოთ, და სხვას ყოველს, მის მეტ-ნაკლებობას და გარემოცულობას, გზა ავუქციოთ.

ჩვენ წინათვე ბოდიშს ვიხდით ჯერ ჩვენის პირდაპირის საგნიდამ კადახვევისათვის და მერე იმისათვის, რომ აქ იძულებულნი ვიქნებით ბევრი იმისთანა სიტყვები — ქართული თუ უცხო — ვიხმაროთ, რომელთაც ჯერ ადგილი არ დაუჭერიათ ჩვენს ენაში. ტერმინების უქონლობა ამ შემთხვევაში მეტის მეტად აბრკოლებს კაცსა და, იმის გარდა, რომ აძნელებს გაგებას ნათქვამისას, სიტყვასაც ძალაუნებურად აგრძელებს, თითონ ენასაც აჭრელებს, ამძიმებს. ეს აჭრელება და დამძიმება არ უხდება არც წერასა, არც ლაპარაკსა და ამიტომაც, როგორც საკითხავად, ისეც სასმენლად, მოსაწყენია. ჩვენი ნუგეში ამ შემთხვევაში ის არის, რომ ვინც სიტყვაში აზრს ეძებს და არა მარტო გართობასა და სიამოვნებას, ის არ შეუშინდება ამ მოწყენასა და გაიარჯება ძალაუნებური სიმძიმე ენისა ეიტანოს აზრის გაგების სურვილით.

არის იმისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, სადაც ნჭველი და გამომძიებელი გონება ადამიანისა თავგამოდებული იბრძვის — შეიტყოს სასურველი, გაიგოს, აიხსნას უტყუარად და შეუცდომლად, მაგრამ ამისათვის ვერავითარს გარეგანს საბუთს ვერ ჰპოულობს დასაბჯენად და ფეხის მოსაკიდებლად. ამისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, ყველა მეცნიერებაში აროს და, სხვათა შორის, ისტორიაშიაც. ისტორიაში ეგ სფერა პირველყოფილი, პირველდაწყებითი მდგომარეობაა თვითოეულის ერისა და აქედამ მთელს კაცობრიობისაც. ეს მდგომარეობა იმ ხანას ეკუთვნის, რომელსაც ისტორიის წინადაყოფილს დროს ეძახიან, ესე იგი იმ დროს, რომლის ხსოვნა არა აქვს ისტორიასა და მოუსენებარი, ცოდნის

ხარბი გონება ადამიანისა კი სცდილობს, რაც ისტორიას არ დაუხსომებია, იგი თითონ გვიამბოს, გვაცოდინოს. საიდამ და როგორაო? — იკითხვენ. მართლა-და საიდამ და როგორ, მაშინ როდესაც არავითარი პირდაპირი მთხრობელი, არავითარი წერილობითი მოწმობა არ არსებობს?

პროგრესიო, — ამბობს ფილოსოფოსი ბეკონი, — არის გაუთავებელი შორს გადგმა არ-შესაძლებელის საზღვრებისაო. მართალიც არის: ვინ ეგონა, რომ შესაძლებელია უშველებელ მანძილზედ კაცი კაცს გამოელაპარაკოს თვალის დახამხამების უმალ? გის ეგონა, რომ შესაძლოა ორთქლმა სახლების ოდენა ვაგონები გააქან-გამოაქანოს გაჭენებულ ცხენზედ უფრო სწრაფად? დღეს ყველა ეს არის და, ამ სახით, საზღვარი არ-შესაძლებელისა ამაების შესახებ, წინად ახლო მდგარი, დღეს შორს გადადგმულია, ანუ, უკეთ ვსთქვათ, საზღვარმა შესაძლებელისამ ადგილი გადაინაცვლა და შორს გაიწია.

ესევე არ-შესაძლებელი შესძლო ადამიანის გონებამ, როცა შეუდგა იმის გამოძიებას და გაგებას, თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითოეული ერი ცალკე — იმ დროს, რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწვრია. აქ ის მდგომარეობა იგულისხმება, რასაც „ცივილიზაციას“ ეძახიან. ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანისა მიზეზი-კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა, რომელნიც ერთად კრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითოეულ ერში ცალკე. ამგვარს ძალ-ღონეს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიან. ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტნაკლებობა, რწმუნება* იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წესწყობილება ოჯახებური, საზოგადოებური, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მომქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას, ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტ-ნაკლებობით.

ყოველივე ეს, თუ ისტორიის წინად-ყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვა-

---

* Верования.

შია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად.

ეს გასაღები ზოგში იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად. ეს ზღაპარ-ნარევნი ამბები, თქმულობანი, რა თქმა უნდა მოწმად და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელისამე ყოფილის საქმისა. ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდონი არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისას. სასაფლაონი და სამარხი ნაშთნი აკლდამებსა და კუბოებში ძველის-ძველის დროებისანი — ესენიც მეცნიერებამ გამოიყენა იმ ცხრა კლიტით დაკეტილის გასაღებად. თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ. ეთნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზედ, ბევრს რასმე მოგვითხრობს მასზედ, თუ ვინ და რა საიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მისულა.

რამოდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურს ნაშთსა და კვალსა, იმოდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადედე შემდეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ აჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი — სულ უდიდესს პროგრესსა*.

ყოველ ამაებში — ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწმეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას. მაგალითებრ, გამოცნობილია, რომ რამდენადაც ბევრია საერთო სახელები ენაში და ახლოა ერთმანეთზედ მათი მნიშვნელობა, იმოდენად შესაძლოა გამოვარკვიოთ ცოდნა ეპოქი-

---

* ტეილორი.

სა*. ენის მკვლევარი მეცნიერება — ფილოლოგიაა და ამიტომაც მართალს ამბობენ, რომ ფილოლოგია და ისტორია მხარ-და-მხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზეურებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავგადასავალისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისაო**.

აქედან სჩანს, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინადროთა აღსადგენად და საცნობელად. ეს ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ უფრო მაშინ, როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთსგვარს გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ — ჰქვიან. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ხედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომზეურდა. ამიტომაც ამბობს ერთი მეცნიერი***, რომ „შედარებითი მეთოდი ერთი უდიდესი ძლევამოსილობაა გონებითად ჩვენის საუკუნისაო“. მისის სიტყვით, ამ მეთოდმა იმისთანა გზა გაგვიჭრა, რომლის შემწეობითაც დღეს შესაძლოა მთლად და უეჭვოდ დავწმუნდეთ იქ, საცა უწინ მარტო ამოცანებით და ეჭვით ლაპარაკი იყო. ამ მეთოდმა მოგვცაო, ამბობს იგი, ღონე და სახსარი შინაგანის საბუთებით დავამტკიცოთ უფრო ცხადად და უტყუარად ის, რასაც გარეგანი საბუთები არა აქვსო.

პირველი, რომელმაც ეს მეთოდი იშვილა, ფრიმანის სიტყვით, არის ფილოლოგია, და მას აქეთ ფილოლოგია, ანუ უკეთ ვსთქვათ — შედარებითი ფილოლოგია, ისეთს მაგარს საფუძველს დაებჯინა, რომ ვერა ძალი ვეღარ შეარყევსო. თუმცა იმ ხანასი, რომელსაც შედარებითმა ფილოლოგიამ თავისი ნესტარი გაუბნია, არავითარი წერილობითი მოწმობა არ

---

* ჯონ-სტუარტ მილლი.

** ეიჰგოფი.

*** ედუარდ ფრიმანი, ინგლისელი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი.

დარჩენილა, არავითარი პირდაპირი გეში, მაგრამ, ამბობს იგი-ვე ფრიმანი, საბუთები შედარებითის ფილოლოგიისა უფრო საიმედონი არიან, ვიდრე ბევრი რამ იგი, რასაც იძლევა წერილობითი ნაშთი ისტორიისაო. ამ გზით ჩვენ იმისთანა ამბებს ვცნობულობთო, რომელთ შესახებ შეუძლებელია გარეგანი საბუთი, მაგრამ შინაგანი საბუთი-კი, რაკი ერთხელ ნაპოვნია და დადგენილი, შეურყეველია და ყოველს ეჭვს უკარგავს ადამიანსაო.

ეს ჩვენი ნათქვამი თუმცა გვეუბნება, რის მომასწავებელია და რა ღირსებისაა შედარებითი მეთოდი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ არა ხსნის, თითონ მეთოდი რაში მდგომარეობს. თუ აქ, ვიდრე ამას ავხსნიდით, უფრო შედარებითი ფილოლოგია ვახსენეთ, მარტო იმისთვის, რომ თვით მეთოდის ახსნა გავიადვილოთ, იმიტომ რომ სხვა სამეცნიერო სფეროში ეს მეთოდი ისე საკუთრად, მარტივად და შეურევნელად დასანახი არ არის, როგორც ფილოლოგიაში.

თითონ სიტყვა „შედარება“, ცოტად თუ ბევრად გვამცნევს — რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვამბობთ „შედარებითი მოთოდი“. შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა. შედარების საგნად შესაძლოა რამდენიმე სხვადასხვანაირი შემთხვევაც იყოს ერთისა და იმავე მოვლენისა, ხოლო იმისთანა შემთხვევანი-კი, რომელშიაც გამოსაძიებელი მოვლენა თავს იჩენს ასე თუ ისე.

სწორედ რომ ვთქვათ, სიტყვა „შედარება“ სრულიად არ უხდება, სრულიად არ შეეფერება იმ-გვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს-გვარი კვლევა — შედარება კი არ არის, სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისათვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია. ვსთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშური სიტყვა „აჩუა“. საიდამ არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა — რასაც ბავ-

ში ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვნით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად* acva, ზენდურად** aspa, ლათინურად eguus, ირლანდიურად ech, ლიტოვურად aszwa — ცხენსა*** ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა“. ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიდამ წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა“, რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავში ჰხმარობს, ან ბავშისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ?

რა თქმა უნდა, ეს ამბავი, ასე ცალკედ, ასე ობლად და მარტოდ აღებული იმოდენად არა არის რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით რაიმე გადაწყვეტილი აზრი შეადგინოს ან ერთა შთამომავლობასა და ნათესაობაზე, ან რაიმე მახლობელობაზე. ხოლო ყოველივე ამისთანა ამბავი, ცალკე თუ სხვებთან ერთად, ისტორიის მკვლევარისათვის ანგარიშგასაწევია იმოდენად, რამოდენადაც იგი ანიშნებს ზედგავლენას, დამოკიდებულებას ერთმანეთზე სხვადასხვა ერებისას, რომელნიც, რაკი ამისთანა საბუთია, უეჭველია, ერთმანეთს ოდესღაც შეჰხვედრიან ისტორიის გზაზედა ისე თუ ასე. ფრიმანი უფრო დიდს ავალას აძლევს ამისთანა ამბავსა, თუმცა ზოგიერთნი ამაში უცილობელად ბევრს არას უთმობენ ამ მეცნიერს.

ფრიმანს მოჰყავს, მაგალითად, სიტყვა mill, molare, რუსული молоть, და ამბობს, რომ ერთგვარ ენების ჯგუფში ყველგან ეს თავდაპირველი ძირი სიტყვისა ისმის, ზოგან უცვლელად და ზოგან ცვლილებით, იმ მოქმედების აღსანიშნავად, რომელსაც „ფქვა“ ჰქვიანო. აქედამ წარმომდგარია თვით წისქვილის სახელიცაო ამ სხვადასხვა, ერთმანეთზე იმოდენად დაშორებულ ენებში, რომ ერთის მიერ მეორისაგან შემოღება რისამე საზოგადოდ და სიტყვისა ცალკედ ყოვლად შეუძლებელია ისტორიულის საბუთით კაცმა წარმოიდგინოსო. ნუთუ ეს ამბავი შემთხვევას უნდა მიეწეროს და არა იმას, რომ ეს სხვადასხვა ენები ოდესღაც ერთი და იგივე ენა ყოფილაო. შეიძლება რომელმამე ცალკე ერმა ცალკე თავისგნით მოიგო-

---

* ძველის-ძველი ენაა.

** ძველის-ძველი სპარსული.

*** შრადერი.

ნოს ხელობა ფქვისა, მაგრამ რომ ამ მოქმედებას ერთი და იგივე სახელი დაარქვას ერთმანეთზედ დამოუკიდებლად — ეს კი ყოვლად შეუძლებელიაო. თუ ესეა, როცა სახეში გვაქვს მარტო ერთი ცალკე სიტყვა, რაღა ითქმის მაშინ, როცა ამისთანა მსგავსებით სხვა ბევრი სიტყვაც აღმოჩნდება სხვადასხვა, ერთმანეთზედ დაშორებულ ენებშიო. როცა ამისთანა საბუთები წინ გვედება, შეუძლებელია კაცმა ის დასკვნა არ გამოიყვანოს, რომ ყველა ამ-გვარად შედარებული ენებიც ოდესღაც ერთი და იგივე ყოფილა და ერნი, რომელნიც ამ ენებს ლაპარაკობენ, ერთისა და იმავე შთამომავლობისააო, ხოლო განაწილებულან და გაყრილან მას შემდეგ, როცა უკვე ერთობაში მიუღწევიათ იმ ცივილიზაციის ხარისხამდე, რომ წისქვილის ხმარება სცოდნიათო, — ამბობს ბოლოს ფრიმანი. აი, როგორ ჰშველის შედარებითი ფილოლოგია ისტორიას.

ან, მაგალითად, ავიღოთ ჩვენი ჩვეულება, რომელიც გვიშლის, რომ მონაკვეთი ფჩხილი, ან თმა არ გადავაგდოთ ცუდუბრალოდ, და გვავალებს — უსათუოდ ცეცხლში დავსწვათ, ან მიწაში ჩავფლათ. სად არის ამისი მიზეზი, სათავე? რის მომასწავებელია ეს ჩვეულება? აშკარაა, აქ რაღაც მიზეზს დაუდგენია ეს ჩვეულება, და რა მიზეზს — ეს-კი აღარ დაგვხსომებია. რომ მოვჩხრიკოთ, ყოველს დროს, ყოველს ადგილას, ყოველს შემთხვევაში, საცა-კი დედამიწის ზურგზედ ამ ჩვეულებას თავი უჩენია, ვნახავთ, რომ ეგ ჩვეულება ერთნაირ რწმენისაგან არის წარმომდგარი. უწინ სჯერებიათ, რომ ადამიანის კუთვნილს რასმე, საცმელს, სამოსელს. ნაკვეთს ფჩხილს, თმას და სხვას ამისთანას, განუწყვეტელი კავშირი და დამოკიდებულება აქვს პატრონთან მაშინაც, როცა პატრონი ერთგან არის და მისი კუთვნილი მეორეგან, თუნდა ძალიან შორსაც. ამის საბუთს დღესაც ვხედავთ, როცა ჩვენებურს მკითხავებს აკითხვინებენ ხოლმე, ან ბედს შეაკვრევინებენ და კაახსნევინებენ მარტო იმით, რომ ხელსახოცზედ აკითხვინებენ, ან ხელსახოცს შეალოცვინებენ იმ კაცისას, რომელიც მკითხავზე შორს არის. ამ რწმენის პირდაპირი შედეგი ის არის, რომ რასაც ადამიანის კუთვნილს შეამთხვევთ, ის პატრონსაც შეემთხვევა. რადგანაც ესეა, შესაძლოა პატრონს მონაკვეთისას, მონარჩენისას, ან კუთვნილისას — ჯადო რამ გაუკეთონ, ბედი შეუკრან და ბოროტი შეამთხვიონ. ამის შიშით ყველა თავისას

უფრთხილდება, რომ უალაგო ალაგას არა დარჩეს-რა, თორემ მავნე სული, ან მტერი ვინმე იპოვნის, მოაჯადოებს და აქედამ ჯადო პატრონს ეწვევა.

ყველგან, საცა კი ეს ჩვეულება ითვალთვალება, მაგალითებრ — ავსტრალიის, პოლინეზიის, გვინეის ხალხში, — ნახავთ, რომ შიშითა თრთიან დღესაც, ჩვენს კუთვნილს რასმე ჯადო ათ გაუკეთონ და იქიდან ჩვენ არ გადმოგვედოსო. რა თქმა უნდა, რომ თუ ეს შიში ასე მოქმედებს მაშინ, როცა ლაპარაკი იმისთანა კუთვნილებაზეა, რომელიც ადამიანის ნაწილს არ შეადგენს, მაგალითებრ — ხელსახოცი და სხვა ამისთანა, მაშინ რაღა უნდა ითქვას, როცა კუთვნილი მონაკვეთი ნაწილია ადამიანისა, როგორც ფჩხილი და თმა. ძველის-ძველს სპარსებს მთელი წესი და რიგი აქვნდათ დანიშნული მონაკვეთის ფჩხილისა და თმის მიწაში დასამარხად, რომ მავნე სულებმა არა შეამთხვიონ რა მათ გამო პატრონსა. შორს რათ წავიდეთ, დღესაც ევროპაში ერიდებიან ფჩხილისა და თმის გადაყრას ამავე შიშით. გერმანიის გლეხი დღესაც თურმე ყმაწვილის დაბადების დღიდამ ნათლობამდე სახლიდან არაფერს გააცემინებს, რომ გაცემულს არავინ შეულოცოს და იმის გამო ბავშვს ბედი არ შეეკრას*.

ეს მაგალითი, სულ სხვა სფერის მოვლენიდგან ამოღებული, რა თქმა უნდა, შედარებულ ერთა ნათესაობის და ერთობის მომასწავებელი არ არის. იგი მარტო იმას გვაუწყებს, რომ [ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად ვაღუხრია, ერთნაირად გაუტაცნია გონება.] გარდა ამისა, ეს მაგალითი შუქსა ჰფენს იმ წყვდიადსა, რომელიც დღეს გარს ახვევია ჩვენგან მოყვანილს ჩვეულებას. გვშველის აღვადგინოთ ის. ეხლა დავიწყებული, აზრი ჩვეულებისა, რომელიც ოდესღაც ასულდგმარებდა თითონ ჩვეულებას. ამ გზით იგი ხელს უწყობს გაგებას და ახსნას ეხლანდელისას, რომელიც თუმცა შეირჩენია ცხოვრებას, მაგრამ არც თავი უჩანს, არც

---

* ხანების მოგვებმაც ასე იციან: როცა ავადმყოფს არ შეუძლიან მათთან მისვლა, მაშინ იქის ტანისამოსსა. თუ სხვას რასმე ამის მსგავსზედ შეულოცავს ხოლმე.

ბოლო, და სასაცილოდ-ღა ასაგდები გავხდომია, მაშინ როდე-საც ერთს დროს თავისი შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონია და, მაშასადამე, საპატიო ყოფილა. ისტორია სხვა რაა, თუ არ გა-მორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან.

აშკარაა, ამით ვერ ამოვწურეთ მთელი და რთული მნიშვ-ნელობა „შედარებითის მეთოდისა". ჩვენ შეგვეძლო ამ მე-თოდის მაგალითები მოგვეყვანა სხვა მეცნიერებიდამაც, მა-გალითებრ — შედარებითის მითოლოგიიდამ, შედარებითის პოლიტიკიდამ და სხვა ამისთანიდამ, რომელნიც ერთად შვე-ლიან ისტორიას მის ქვემდებარე საძიებელში, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა დედაძარღვს ამ მეთოდისას კაცმა მიაგნოს. ამაზე მეტი სურვილი არც ჩვენა გვქონია. თუ მართლა ამ წი-ნად თქმულმა ეს დედაძარღვი მეთოდისა გვაუწყა, ჩვენ ხელ-თა გვექნება სასწორი განკითხვისა.

როცა ამ სასწორზედ დავაყენებთ ავტორს „Письма о Грузии"-სას თვითოეულ ცალკე შემთხვევაში, მაშინ გავი-გებთ, ეს შედარებითი მეთოდი მის ხელთ, — ამბად გაგონი-ლი, ახალ-მოდური ფრაზაა მტვრისა და ბუქის ასაყენებ-ლად, — თუ მართლა მის მიერ შეთვისებული გზაა კვლევისა. ავტორმა უკიჟინა არ-ცოდნა ამ მეთოდისა ჩვენს ლიტერატუ-რას. ეს იქნება მართალიც იყოს, ხოლო კაცი, როცა მეორეს უკიჟინებს — შენ ეს საქმე არ იცი და თითონ ჰკიდებს ხელს ისევე, როგორც დაწუნებული კაცი, მაშინ მოკიჟინე ან ცუდ-უბრალო ბაქიაა, ან თითონაც არ იცის, რას ამბობს.

წერილი მესამე

ახლა გავსინჯოთ, თავის ურარაო და ფუჭის საგნის გა-მოსაკვლევად რა წყაროები და მასალები ჰქონია ავტორს „Письма о Грузии"-სას. ესეც საჭიროა ვიცოდეთ იმისათ-ვის, რომ შევიტყოთ — რა კბილის ისტორიაა ის მითამ-და ისტორია, რომელსაც მოგვითხრობს ავტორი.

იგი სჩივის, რომ ტფილისში ამისათვის თითქმის არავი-თარი წყარო და მასალა ვერ ვიპოვეო, ვერც ევროპიული,

ვერც რუსულიო*. თითონ ქართველებსაც ამის შესახებ არა გაუკეთებიათ რაო. მთელს მათს ეხლანდელს ლიტერატურაში ერთი ნაწერიც არ არის, რომელსაც განეზრახოს კრიტიკულად გარჩევა და გამოკვლევა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისაო. თუმცა ხანდისხან პაწია წერილები იბეჭდებოდა შესახებ ამ საგნებისაო, მაგრამ ისეთის მიდგომით არიან დაწერილნი**, ან, უკეთ ვსთქვათ, ისეთი უვიცობაა შედარებითის მეთოდისა, რომ არაფრად ღირანო, მასალადაც გამოსადეგნი არ არიანო***.

აქვთ ერთი რაღაც მატიანე, „ქართლის ცხოვრება“, და ისიც იმ ყოფაშია, რომ პირველყოფილი სახე არ შერჩენია, რადგანაც მე-XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ემ გადააკეთებინა რაღაც კომისიას, რომლის ღირსება და ჯეროვანება ამ საქმისათვის ისე არავინ იცისო, როგორც არავინ იცის — რა იქმნენ ის სიგელები და მატიანენი, რომელნიც ამ კომისიას უნდა შეემოწმებინაო. ავტორი სწამებს ამ კომისიას — არ ვიცით კი რა საბუთით, — რომ ტყუილი მეცნიერობა გასწიაო და, მითამ-და შესასწორებლად და შესამოწმებლად — მეტად ხელგაშლით იხმარა სპარსული და სომხური წყაროებიო. ამის გამო ჩამოაცალა თვითყოფილი ფერი, რომელიც თანა სდევს ხოლმე ყოველ გულუბრყვილო წერას თანამედროვე კაცისასაო. ეს საქართველოს მატიანე ამ ეხლანდელის სახით მოგვითხრობს უფრო უცხო ერთა ზედმოქმედობას საქართველოზედ, ვიდრე იმას თუ — რა თავისებური და გან-

---

* ჩვენში რომ ვსთქვათ, ან სხვაგან სად იპოვიდა ამის მასალასა და წყაროს, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ღონისაგან სცლის ევრსაო

** „სანდალას“ ნაჯღაბნი მაინც წაეკითხა, მაგრამ მიდგომა „ჰოს“ თქმაშიაც შესაძლოა და „არას“ თქმაშიაც. ამის მაგალითს თითონ ავტორი მოგვცემს, როგორც თავის ადგილას დავინახავთ.

*** შემდეგში ვნახავთ, რომ ავტორს აქ ნათქვამი დავიწყებია და წამდაუწუმ ჩვენის მწერლების ნაწერებს იმოწმებს, ესე იგი იმას, რაც — მისივე სიტყვით — მასალადაც გამოსადეგნი არ არიან და ზოგან ამაზე შორსაც მიდის; მაგალითებრ, მის მიერვე დაწუნებულის „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით, იმასაც კი უარჰყოფს, რაც მსოფლიო ისტორიაში მეცნიერებისაგან შეურყეველად დადგენილია. როგორ მოგწონთ ჯერ ესეთი მჩვარში გახვევა ჩვენის საისტორიო მასალებისა და მერე ესე ბრმად განდიდება ერთისა და იმავ კაცისაგან.

საკუთრებული ყოფა-ცხოვრება, მდგომარეობა ჰქონია და გამოუვლია საქართველოს ერსაო.

საიდამ ამოიკითხა ავტორმა ეს ასეთი მკვახე განსაკითხველი ჩვენის მატიანისა და რა საბუთით ამბობს ყოველს ამას, — ავტორი გულში ინახავს, და ამისთანა ქცევას, ასე ალალბედად ლაპარაკს — იგი კრიტიკით გარჩევას თუ ეძახის, ან შედარებითს მეთოდს. სხვაში არ ვიცით და ამ შემთხვევაში — ჩვენი, მის მიერ კიჟინად აგდებული, ლიტერატურა ცოტაოდნად მაგალითს აჩვენებდა — რა არის კრიტიკა და შედარებითი მეთოდი, თუ რომ ავტორი თავის ახირებულს გუნებას არ გაჰყოლოდა და წაეკითხა ბ-ნ ბაქრაძის წერილი „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები". დავარწმუნებთ ავტორს, რომ ეს ბ-ნ ბაქრაძის წერილი — თუმცა ქართულის ლიტერატურისაა — არამც თუ მასალად გამოსადეგია, ჰკუის მასწავლებელიც არის ახირებულთათვის.

თითქმის უფროს-ერთი სიტყვა, თითქმის უფროს-ერთი ასო ზემო-მოყვანილ განკითხვისა, რომელიც ეგრე ალალბედობაზე ენაზე მოსდგომია ავტორს „ქართლის ცხოვრების" შესახებ, თავს არ დაიჭერს, თუ კრიტიკამ ოდნავ მაინც კლანჭი გამოჰკრა, არამც თუ თავიდამ ბოლომდე გამოჰშიგნა.

აქ ჩვენი ავტორი, „კრიტიკისა და შედარებითის მეთოდის" ასეთი ტრფიალი, ყოვლად უკრიტიკოდ, ყოვლად „შეუდარებლად", სხვის ფეხის ხმას თვალდახუჭული აჰყოლია, სახელდობრ — პროფესორ პატკანოვისას, უკვე საბუთიანად შენიშნულს ბ-ნ ბაქრაძისაგან მიდგომასა და ტყუილში. ამის მომქმედი კაცი სხვას უკიჟინებს კრიტიკის არ-ხმარებას! მოდი და ნუ ეტყვი, ჯერ დაჯე და მერე სამართალი ისე ჰქმენო.

ამ სახით, ავტორი გვარწმუნებს, რომ თითქმის არავითარი მასალა და წყარო ხელთ არა ჰქონია არც ევროპიული, არც რუსული და არც ქართული*. მაშ საიდამ-ღა შეგვიდგინა თავისი მითამ-და ისტორია? ისტორია ხომ ალალ-ბედად მოსაგონი და მოსაქსოვი არ არისო, — ამბობს თითონვე ავტორი, და ჩვენ იმას ვაძლევთ მკითხველს, რაც მიგვიღიაო**. თუ ამ

* გვიკვირს, ქართულს მაინც ამისთანა ცილს რათა სდებს? იმისათვის, რის გამორკვევაც თავ-და-თავ საგნად ჰქონია, ხომ „სანდალას" ნაწერებიც საკმაოა.

** ნახე 53 გვერდი № 2. "Сев. Вестник„: „Историй не сочиняют,— и мы даем читателю то, что получили сами".

შემთხვევაში ამნაირი თავის გამართლება ჭკუაში მოსასვლელია, დღეს-აქამომდე არ ვიცოდით. ეს ახალი თეორია გამართლებისა რომ მივუბრუნოთ ავტორს, სასაცილო რამ გამოდის. სჩივის, მასალა და წყარო არა მქონდა-რაო, სჩანს არაფერი მიუღია-რა და, ნურას უკაცრავად, თუ არაფერსვე გაძლევთო. ჩვენ კი ასე გვგონია, რომ, თუ ჩვენის ისტორიის დასაწერად არაფერი არ მიუღია, რადგანაც ამისათვის თითქმის არც მასალა ჰქონია, არც წყარო, არც უნდა ხელი მიეყო ისტორიის წერისათვის; ლოღიკა საქმისა ამას ითხოვს, რადგანაც „არარაისგან არ იქმნების არარაიცა“„ შექსპირისა არ იყოს ნეტა ძალას ვინ ატანდა, მაგრამ არა: საღერღელი წერისა აწლია და თითქო ამით ჰმართლულობს თავს, რომ არა მიმიღია-რა და არას გაძლევთო. მერე მკითხველისა რა ბრალია, რომ ავტორს არა მიეღოს-რა, არც ამ მთისა, არც იმ მთისა.

ამისთანა შენიშვნას ცუდ-უბრალოდ გამოკიდებაში, ცუდ-უბრალოდ ახირებაში ნურავინ ჩამოგვართმევს. ჩვენ ბევრგან სხვაგანაც ვნახავთ, რომ ამისთანა თვალ-ხუჭუნა ნახტომები უცაბედად-კი არ მოსდის ავტორს, არამედ მისი მანერაა, მისი თვისებაა, მისი ხასიათია, მისი ზნეა წერისა. კრეშჩინსკისებური „сорвалось“ ერთხელ ეპატიება კაცს, ორჯერ, და ყოველ ნაბიჯზედ რომ საამსიტყვოდ გაუხდეს საქმე, ხელ-ჩასაჭიდებელი საბუთია ავტორის ღირსების ასაწონად და იმის გამოსაცნობად, თუ რას უნდა მოველოდეთ ამ ზნის პატრონისაგან.

მართალია, ავტორი გვეუბნება, რომ საცა-კი ხელი მიმიწვდებოდა, ყველგან მოვჩხრიკე და გამოაცა ასეთმა სიღარიბემ მასალისამაო*, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, მასალა ცხვირწინა სდებია, მერე ისეთი მასალა, რომლის გამო ფრიმანი ამბობს, რომ იმისათვის, ვინც იცის შედარებითის მეთოდის გამოყენება, უფრო საიმედოა, ვიდრე ბევრი რამ იგი, რასაც იძლევა წერილობითი ნაშთი ისტორიისაო. რაღა თქმა უნდაო, ამბობს ავტორი „Письма о Грузии“-სა, ამ საისტორიო მასალების სიღარიბეში გამორკვევა და შესწავლა საქართველოს

---

* ბ-ნ ბაქრაძის წერილიდანაც რომ ავტორს ხელი ვერ მიუწვდენია, ძალიან ცუდ-ძოკლე უნდა იყოს.

ერის ეხლანდელ ცხოვრების ფორმებისა დიდს საჭიროებას გაუწევს საქართველოს ისტორიასაო, რადგანაც, არა მგონია სხვა იმისთანა ერი, რომლის წარსული ჯერ კიდევაც ისე ცოცხლად იყოს აწმყოში, როგორც ქართველებსა აქვთო*. ამ მხრით ქართულს ლიტერატურაში არავინ სცდილა შეჰხებიყო ამ საგანსაო და მე პირველს შემხვდა შევეხო ჩემს წერილებშიო. ჭება და დიდება!

ცხადია, რომ ავტორს ჰსურვებია ჩვენის ეხლანდელის ცხოვრების ფორმები გამოეძია, და მარტო ეს გვიკვირს — რაღასა სჩივის უმასალობას, უწყაროობას, როცა ამისთანა ცოცხალი მასალა და წყარო თვალ-წინა სდებია. ნუთუ აწმყოში ცოცხალი წარსული საკმაო და უკეთესი მასალა არ არის მეისტორიესათვის? სხვა, მართალი მეისტორიე, სიხარულით ფეხზე არ დადგებოდა, რომ ამისთანა სარკე წარსულისა ხელთა ჰქონოდა და ესე ცხვირ-წინ, და ჩვენი ავტორი-კი მაინც გაიძახის — მასალების სიღარიბემ გამაოცაო. სხვა რაღა მასალა უნდა ამაზედ მდიდარი, როცა წარსული ცოცხალია აწმყოში, როცა, მაშასადამე, ცოცხალი მთხრობელი და მოწამე გვყავს? აქ რაღაც უთავბოლო ლაპარაკია ავტორისა, თორემ ჯერ იმის თქმა რა არის, არა ვიპოვე რაო, და მერე იმისა, რომ საქართველოს ერის აწმყოში წარსული ისე ცოცხლად არისო, როგორც, მგონია, არსადაო.

თუ ეს რაღაცნაირი „იყო და არა იყო რა“ არ არის, მაშ, უნდა ვიგულვოთ, რომ ავტორი ან ტყუილადა სჩივის მასალის უქონლობას, ან პირიქით, ხელთა ჰქონია იმისთანა მასალა, რომელიც ყველა სხვა მასალას აღემატება სისრულით, უტყუარობით და ზედმიწევნილობით. რომელი ერთი დავუჯეროთ? ჩვენის ფიქრით, არც ერთი, იმიტომ რომ არც ერთია უეჭველი და არც მეორე და, თუ ავტორი ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს, და ორივე ერთი ჰგონია, — ეგ მისი განსაკუთრებული მანერაა, რომელსაც იმის წერილებში თითქმის ყოველ ნაბიჯზედ ხან ბოლო უჩანს, ხან თავი.

ეხლა ვიცით, — რა საგანი ჰქონია ავტორს, როცა თავის წერილებისათვის ხელი მიუყვია, რა მეთოდს კვლევისას უნდა

---

* აი თითონ ავტორის სიტყვები: „Нет, кажется, народа, у которого прошлое было так еще живо в настоящем, как у грузин“. Вам и книги в руки. — ეტყოდა ამაზედ ავტორს რუსი.

მოველოდეთ მისგან და რა მასალები ჰქონია. ამის შემდეგ თვით მის შეთხზულს ისტორიას შევუდგებით და ფეხ-და-ფეხ მივყვებით, რომ გავიგოთ — რა ისტორიაა ის მისი ისტორია. ნუ დაგვემდურებით, რომ ასე შორიდამ და გრძლად მოვუარეთ. ჩიტი ბრდღვნად არა ჰღირდა, უკან დევნა მეტი იყოო. მართალია ეს, მაგრამ ასე სასაცილოდ აგდება ყველაფრისა, ასეთი შელახვა და შებღალვა ლოღიკისა, ცოდნისა, მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ნამყოსი, აწმყოსი, მერმისისა, ასეთი „იყო და არა იყო რა“, მარტო იმისათვის, რომ კაცმა ბოლოს და ბოლოს გვითხრას, სრული ინტენსიური ცხოვრება ღონისაგან სცლის ერსა და არა-ინტენსიური კი ძალ-ღონეს უნახავს მერმისისათვისაო, — რაც გინდა სთქვით — ბრდღვნადაცა ჰღირს და დევნადაც.

წერილი მეოთხე

ავტორი „Письма о Грузии“-სა თავის მეორე წერილის ბოლოში ამბობს, რომ თუ ისტორიის წინად-ყოფილი დრო საქართველოსი არ გამოგვერკვია, ვერას გავიგებდით ვერც ქართველების ლიტერატურისას, ვერც ეხლანდელის მათის ყოფა-ცხოვრების ვითარებასაო და ამიტომაც უპირატესი ყურადღება მივაქციეთ ისტორიის პირველყოფილ დროს საქართველოსასაო.

სჩანს, სწორედ ამ აზრით მიჰყოლია ავტორი ჩვენის ძველის-ძველ ვითარების მოთხრობას, სჩანს, რომ ეს აზრი უკვე შეუსრულებია კიდეც, თორემ არ იტყოდა, — უამისოდ ვერას გავიგებდითო. ჯერ-ხანად, მეტი რა გზაა, უნდა დავუჯეროთ ავტორსა, რომ მითამ-და ჩვენს ხბოს მგელი დაუჭერია. ხომ ესეა, მაგრამ ნუ-კი გგონიათ, რომ ავტორი მართლა რასმე განუწყვეტელს ძაფს გააბამს იმ დროდამ დღევანდლამდე, ან რომელსამე ვითარებას დღევანდელისას აგვიხსნის წარსულითა. სრულებითაც არა, თუ არ მივიღეთ სახეში თავი-და-თავი და, ჩვენის ფიქრით, განგებ აკვიატებული აზრი ავტორისა, რომ ქართველებს თავისი არც არა ჰქონიათ-რა თითქმის წინად და არც არა აქვთ-რა ეხლაო. აქედამ გამოჰყავს, ნუგეშად ჩვენ-

და, თავისი სასაცილო თეორია „ღონის შენახვისა მერმისისათვის“ და თითქო ბარაქალასაც გვეუბნება ქართველებს, რომ დასაბამიდამ დღევანდლამდე არა გიკეთებიათ-რა და ამ გზით ღონე შეგინახავთ მერმისისათვისაო.

ჩვენ დავპირდით მკითხველს, რომ ფეხ-და-ფეხ მივყვებით ავტორსა, მაგრამ, როცა საქმეს გულ-ღვიძლამდე ჩავაკვირდით, ჩვენი დაპირებული სანანურად გაგვიხდა. ვერ წარმოიდგენს კაცი — რა ზედ-მიუყოლებელს, რა არევდარეულს მოთხრობას თავს წავაწყდით, როცა ავტორის დაბნეულ აზრების ანუსხვას ხელი მივყავით. ასეთს სკუპ-სკუპებს, ასეთს უეცარს კამარებს, ასეთს ასკინკილად ხტომას განგება ამისათვის დაწერილს წერილში თუ ჰნახავს კაცი. ჩვენს ისტორიას ნუღარ იკითხავთ: აქ კაცს დაუსჯელად შეუძლიან თავის ნებაზე ნავარდი. ავტორს მსოფლიო ისტორიაც-კი თავდაყირა გადაუტრიალებია და იმისთანა ამბები გამოჰპარვია, რომ დღეს მეოთხე კლასის შეგირდისათვის შეუნდობელია. არც ქრონოლოგია-ღაა, არც გეოგრაფია, არც ისტორიისაგან შეურყეველად გამორკვეული საბუთები, თითქო ავტორს სმარაგდოვის ისტორია უკანასკნელ სიტყვად მეცნიერებისა მიუჩნევია და თითქო მას აქეთ ისტორიას ფეხიც არ წაუდგამს წინა. გარდა ამისა, ერთგან რომ ერთს იტყვის ავტორი, მეორეგან სულ სხვას ამბობს, „უმსგავსოს და შორი-შორსა“, იმავე რიხით და გადაწყვეტილებით, როგორც პირველს. ერთსა და იმავე საგანზედ ერთგან რომ ჰო აქვს, მეორეგან არა, და ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ არც ჰოა და არც არა. ამას ყველაფერს თავის ადგილასა ვნახავთ.

და თუ ეხლა ამას ვიხსენიებთ, მარტო იმისათვის, რომ ბოდიში მოვიხადოთ წინადვე, თუ ამ-რიგად არეულმა წაჯექუკუჯექობამ ავტორისამ, ჩვენდა უნებურად, აგვითრია და ლარსავით ვასაბმელი სიტყვა მიგვახვევ-მოგვახვევინა მკითხველის მოსაწყენად.

ავტორი იწყებს-რა ჩვენს ძველის-ძველს ისტორიას, ამბობს, რომ მაშინ, როდესაც სირიის ზღვის-პირას ჯერ კიდევ ბატონობდა სიდონი და ფინიკიის ხომალდები უკვე კიდეც ჰლახავდნენ ხმელთა-შუა ზღვას, ეგვისას და შავს ზღვასა, როცა ტიგროსსა და ევფრატს შუა მდებარე ვაკეზედ ჩყვაოდა ჯერ კიდევ ძველი ქალდეის სამეფო და თავმომწონე მპყრო-

ბელნი ეგვიპტისა უკვე წარსულადა სთვლიდნენ მეცხრამეტე დინასტიას, მაშინ პირველად ვხედავთ საამოცანო სახელებს თორგომისას, თუბალისას და მოსოხისასაო. ამ სახელებს იხსენიებს მოსე წინასწარმეტყველი თავის შექმნათა წიგნშიო, უმატებს ავტორი სხოლიოში. ნეტა რა საუკუნე იყო ეს საუკუნე ქართველების პირველ ხსენებისა?

ავტორი მოურიდებლად გვეუბნება, რომ ეს ამბები ერთსა და იმავე დროს იყოო, სახელდობრ ოც-და-თორმეტ საუკუნის წინად. გამოვიძიოთ ეს დანადგენი ავტორისა. ავტორის სამი ათას ორას წლიდან რომ გამოვთვალოთ 1889 წელი ქრისტეს აქეთ, დარჩება 1311 წელი ქრისტეს წინად, ესე იგი უკანასკნელნი წელნი მეთოთხმეტე საუკუნისა.

სიდონის ბატონობის დასასრულად ისტორიაში მიღებულია მეთორმეტე საუკუნე*. ფინიკია უკვე ჰლახავდა ხმელთაშუა ზღვასა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში ქრისტეს წინად**. მეცხრამეტე დინასტია ეგვიპტეში დასრულდა მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს; მოსე წინასწარმეტყველი გარდაიცვალა მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს***. ძველ ქალდეის სამეფოს ყვავილოვანება ჯერ იყო სარგონ I-სა და მისის შვილის ნარამ-სინის დროს და, მეორედ ჰაშინ, როცა კასნი, ელამის მთიულთა ნათესავი ერი, დაეცა ქალდეას და დაიპყრა. როდის იყო ეს დრო ისტორიამ ჯერ არ იცის****. და ჩვენს ავტორს-კი შეუტყვია, რომ ოც-და-თორმეტ საუკუნის წინად ყოფილა.

დააკვირდით ყოველ ამას, შეადარეთ ავტორის ნათქვამს და მერე გამოიცანით — რა დროს ჰგულისხმობს ავტორი ქართველების პირველ ხსენებისას. ჯერ ყველაზედ უწინარეს ვიკითხოთ — ეს რა ამბავია, რომ ჯერ დრო ძველის ქალდეის ყვავილოვანებისა ისტორიულ მეცნიერებისაგან ცნობილი არ არის და ჩვენმა ავტორმა ზედმიწევნით საიდამ გამოარკვია, ერთი რატომ არ უჩვენებს ამის საბუთს სადმე? ხომ არ მოიმჩენის სახელს დაიგდებდა საქვეყნოდ და რატომ მოჰრიდებია

---

* ვებერი. ტომი I, გვერდი 500.

** შლოსსერი, ტ. I, გვერდი 55.

*** იქავ, გვერდი 51.

**** ვებერი, ტ. I, გვ. 431.

ამისთანა განტაცებელს საცდურსა?! თუ სმარაგდოვის და სხვა ამისთანა დაობებულს რასმე ისტორიას იმოწმებს ავტორი, ამაზედ ვუპასუხებთ, რომ ყოველივე უწინდელი თხრობილა, თუნდ ნინსა და სემირამიდაზედ*, დღეს სულ ზღაპრად მიჩნეული აქვს ისტორიასა. თუ ავტორი მიგვითითებს ბაბილონის აყვავების ხანაზე, რომელიც ბოლოს დროს ეწვია ბაბილონსა, ეგ ხომ ნაბუქოდონოსორის დროს იყო, მეშვიდე საუკუნის დასასრულს ქრისტეს წინად**.

ვსთქვათ, ყოველს ამაში გამოგვეკიდა ავტორი და, ასე თუ ისე, თავი იმართლა. მოსე წინასწარმეტყველის ამბავს ხომ ვეღარსად წაუვა. ავტორის სიტყვით, 1311 წლის წინად ქრისტეს შობამდე არავის უხსენებია ქართველთა თესლი. მოსე წინასწარმეტყველი, რომელმაც, ავტორისავე სიტყვით, პირველად ახსენა ქართველთა ნათესავი, გარდაიცვალა 1480 წ. ქრისტეს შობამდე***. გამოდის, რომ მოსე წინასწარმეტყველი ჯერ გარდაცვლილა და მერე, როცა მიცვალების დღიდამ 169 წელიწადი გასულა, უხსენებია ჩვენის ერის ნათესავთა სახელები. ისტორიის სასაცილოდ აგდება მეტიღა გნებავთ!.. მართალია, მოსე წინასწარმეტყველად ცნობილია, მაგრამ მისი მკვდრეთით აღდგენა-კი 169 წლის შემდეგ აქამომდე არავის გაუგონია. თქმა არ უნდა, რომ ეს მკვდრეთით აღდგენა მოსესი ჩვენის ავტორის სასწაულით არის მომხდარი, იმ სასწაულით, რომელსაც მარტო ჩვენებური, მდაბიური „დიამც-იყოს“-ღა ეთქმის.

ამ სახით, ჩვენს ავტორს არაფრად მიაჩნია, რომ ერთმანეთში უერევს სხვადასხვა ამბებს დომხალსავით, ვითომ-და ერთისა და იმავე დროისანი არიანო, მაშინ როდესაც ზოგ ამ ამბებს შორის ჰთაბაუთობს ასი, ორასი და უფრო მეტი წელიწადიცა. ეს გახლავთ ის კაცი, რომელმაც ასე გაბედულად უკიჟინა ჩვენს ლიტერატურას — კრიტიკით არ შეჰხებია ისტორიასაო. დალოცვილს, თითონ კი ისიც ვერ გამოუკვეთია, რაც საძეცნიერო კრიტიკას უკვე გამოკვეთული აქვს.

ესეც ყველა შევუნდოთ ავტორსა, რადგანაც უსრულებას

---

* კვებერი, ტ. I, გვ. 444, 445.

** იქ ა გ: 474.

*** შლოსსერი. ტ. I, გვ. 51.

წინაშე ასი, ორასი და სამასი წელიწადი ბევრი არაფერია. საქმე ის არის, რომ შემდეგ ამისა ერთხელ წახალისებული ავტორი ასისა და ორასის წლის გამოპარებას არა სჯერდება, მთელს რვაას წელიწადს ჩაილულის წყალს ასმევს. ქართველების პირველ ხსენების შემდეგ, ესე იგი მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულიდამ, გადის კიდევ რვაასი წელიწადიო, ამბობს ავტორი: ეპოქა მითებისა წავიდა, საბერძნეთი თითქმის ათავებს სოლონის ეპოქასა; ძველი ქალდეა უთმობს ადგილს ასურეთსა, რომელზედაც უკვე ხმალამოღებულნი არიან დევგმირნი ირანისა, — და თუბალებსა, მოსოხებსა და კოლხიდელებს ისტორია არ ახსენებსო.

ეს დრო, ავტორის ანგარიშს რომ მივყვეთ, უნდა იყოს ხუთასიანი წელიწადი ქრისტეს შობამდე, ანუ უკეთ ვსთქვათ, მეექვსე საუკუნე. ესე უნდა ვიფიქროთ, რადგანაც სოლონი გარდაიცვალა 559 წელსა*. ხოლო ძველ ქალდეამ დაუთმო ასურეთს თავისი ადგილი მეცამეტე საუკუნის დასაწყისს, რადგანაც ასურელთა მეფემ თუგლათ-ადარმა დაიპყრა ბაბილონი 1290 წ.** და თითქმის ნაბუქოდონოსორამდე, ესე იგი მეშვიდე საუკუნემდე — ბაბილონი ასურელთა ხელიდამ არ გამოსულა. მიდ-სპარსნი, ესე იგი ირანელნი, ხმალმოსაქნევად მიიღწივნენ — მარტო ჯერ მიდია — კიაქსარისა (633—593 წ.) და მერე სპარსეთი — კიროსის (+530 წ.) დროს. ამ სახით ჰხედავთ, რომ ავტორს მეექვსე, მეშვიდე, მეცამეტე საუკუნის ამბები ერთისა და იმავე დროისანი ჰგონებია. ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ ავტორი გვარწმუნებს, ვითომ იმ დღიდამ მეექვსე საუკუნემდე ისტორია აღარ იხსენებს თუბალებსა, მოსოხებსა და კოლხიდელებსაო.

სხვა არა იყოს-რა, მარტო არგონავტების კოლხიდაში მოსვლა რომ ფიქრად მოსვლოდა ავტორს, ამას არ იტყოდა. არგონავტების მოსვლა კოლხიდაში 1263 წელიწადშია*** ცნობილი ქრისტეს შობამდე. თითონ ავტორიც თავის პირველ წერილის პირველს გვერდზედვე იხსენიებს ამ ამბავს, მაშასადამე, აშკარაა, რომ მეთოთხმეტე საუკუნიდამ, რომელსაც ავტორი

---

* შლოსსერი, ტ. I, გვ. 156.

** ვებერი, ტ. I, გვ. 449.

*** შლოსსერი, ტ. I, გვ. 86.

ჩვენის ხსენების დასაბამადა სთვლის, რვა საუკუნე-კი არა, არც ორმოც-და-ათი წელიწადი გასულა. მას შემდეგ მიდ-სპარსთა ისტორიის სარბიელზედ გამოსვლამდე, ესე იგი მეშვიდე და მეექვსე საუკუნემდე—ხსენება ქართველთა ნათესავისა არ შეწყვეტილა, და მიდ-სპარსთა მერე ხომ, ავტორისავე სიტყვით, ეგ ხსენება არის და არის.

[გვიკვირს, ავტორმა რაზედ გაგვახვია ქართველები მჩვარში და გვეუბნება რიხით, ვითომც მეთოთხმეტე საუკუნიდამ ქრისტეს შობამდე მეშვიდე-მეექვსე საუკუნემდე არავის ვუხსენებივართ. მართალია, დიდი არაფერი ადგილი გვჭერია მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ იმდენად-კი მაინცა ვართ ჩაგდებული მაჩანჩალად, რომ ისტორია გაუწყვეტლივ გვიხსენიებს. აკი ვსთქვით, რომ დღეს სმარაგდოვისა და ბარათაშვილის ისტორიით კაცი ფონს ველარ გავა. მას აქეთ ისტორიამ ბევრი რამ ახალი და უტყუარი საბუთები შეიძინა.]

მას აქეთ, რაც ლურსმულმა წერილებმა თავისი გული გადუშალა მეცნიერებას წასაკითხად, რაულინსონის, ტალბოტის, ჰინკსის და ოპერტის წყალობითა, მას აქეთ, — რაც ლენორმანმა და ამ ბოლოს ხანებში, — სულ ოთხი-ხუთი წელიწადიც არ არის, — სეისმა ვანთან ნაპოვნი ლურსმული წერილები გამოარკვიეს, ეჭვი აღარავისა აქვს, რომ ქართველთა უძველესი დედა-ბინა, სხვათა შორის, არმენიაც ყოფილა, ესე იგი ვანის ტბისა და არარატის მიდამო ადგილები არზრუმითურთ. ლენორმანმა* და მის შემდეგ ინგლისელმა სეისმა საქვეყნოდ დაამტკიცეს, რომ ეგრეთ-წოდებული ძველად „არმენია“ გეოგრაფიული სახელია და არა ეთნოგრაფიული. მათის სიტყვით, აქა მდგარან სხვადასხვა სახელწოდების თემნი ქართველის თესლისანი, რომელთაც შორის ყველაზედ უდიდესი და უძლიერესი ყოფილა ერთი თემი, სახელად „ნაირი“. ლენორმანის გამოძიებით სომხები, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ჰაოსიანნი, — ფრიგიელთა ნათესაობისა არიან, კიროსის დროს მოსწყვეტიან ფრიგიას, გადმოსულან „არმენიაში“ და ადგილის სახელი თავიანთ სახელად გაუხდიათ. ამაში ლენორმანს ჰმოწმობს თვით ისტორიის მამათმთავარი ჰეროდოტე.

---

* წერილი ლენორმანისა, არმენოლოგ დელორიესთან მიწერილი 25 მაისს 1871 წელს. ამ წერილის თარგმანი მზადდება და „ივერიაში“ იქნება დაბეჭდილი თავის დროზედ.

ამ მეცნიერთა წყალობით დღეს ჩვენ ღონისძიება გვაქვს ჩამოვთვალოთ სახელები ქართველთა თესლის თემთა ადგილებისა არმენიაში: მაგალითებრ — „ნაირი“, მხარე — რომელიც იყო ტიგროსისა და ევფრატის სათავესთან; „მანნა“ — ვანის ტბასთან: „მუსასირი“ — ამ ტბის ჩრდილოთ; „მილიდი“, „მილდისი“ (არზრუმი) და ბოლოს „ურარტი“, ანუ „არარტი“ ბიბლიისა და არეზის შუა.

ყველაზედ ძველი ლურსმული ნაწერი, რომელიც ჩვენ გვიხსენიებს, ეკუთვნის ასურელთა მეფეს თუგლათ-პალასარსა, მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრებელს. მას მერმედ ჩვენ გვიხსენიებს მეცხრე საუკუნეში ასურელთა მეფეც ასურ-ნაზირაბალი და აქედამ ჩვენი ხსენება არ შეწყვეტილა ასურ-ბან-აბალამდე, რომელიც ცხოვრობდა 668—625 წ. ქრისტეს შობამდე, და ამის შემდეგ ხომ მიდ-სპაოსნი, ესე იგი ირანი გამოდის და ირანს კი ხომ ენაზედ აკერია ჩვენი ხსენება, როგორც თითონ ავტორიც ამბობს. ამ მეთორმეტე საუკუნიდამ დაწყებული მეშვიდე საუკუნემდე, სახელდობრ, 625 წლამდე, „არმენია“ ასურეთის საომარი მოედანი ყოფილა. ამ დროთა მანძილზედ ასურთა მეფენი თითქმის განუწყვეტლივ გვიხსენიებენ, ასე რომ ლურსმულნი ნაწერნი ღონისძიებას გვაძლევენ თვით ჩვენთა თემთა მთავრების სახელებიც ჩამოვთვალოთ. მაგალითებრ, მერვე საუკუნეში თუგლათ-პალასარი II თავის ლურსმულს ნაწერში იხსენიებს თუბალთა მეფეს „უასამს“-ს, ურარტის მეფეს „ურსა“-ს და მის ძმას „არგისტი“-ს, ხიქართისას — „მიტატი“-ს, მანისას — „ირანსუ“-ს, ირანსუს შვილს „აზო“-ს, „ულუსუნ“-ს, მის ბიძაშვილს; მილდისისას — „ბალადატი“-ს და ბოლოს ხანებში ასურ-ბან-აბალის დროს (668—625 წ.) იხსენიებს ურარტისავე მეფეს „სადურ“-ს. ამას გარდა, თითონ ლენორმანსაც მოჰყავს იმავ ლურსმულ ნაწერებიდამ სხვა მეფეების სახელებიცა, რომელთ შორის დასახსომები არიან „არამ, ანუ არან და აზო“. დასახსომები არიან იმიტომ, რომ ჩვენს ახლად ნაპოვნ ქართულ მატიანესაც მეცხრე საუკუნისას დაჰხსომებია ეს სახელები და თუმცა ქრონოლოგია მატიანესი ამ შემთხვევაში არ ეთანხმება ლურსმულ ნაწერისას, მაგრამ თვით მაგ სახელების შერჩენაცა და დახსომებაც ჩვენის მატიანესაგან უმნიშვნელო არ არის.

აი ეს მთელი ხანა ჩვენის ისტორიისა გამოჰპარვია ჩვენს

კრიტიკით და შედარებითის მეთოდით მოსილს ავტორსა, რომელსაც ამასთანავე თავიც მოაქვს, ვითომც მე პირველი ვაროო ამ მხრით გამომძიებელი ქართულის ისტორიისაო. იქნება გვითხრას, რომ ეგ „ურარტი-მურარტი“ მე არ ვიცით, ან მოსოხი, ან თუბალი მიჩვენეთ, რომ ეხსენებინოთო. მეთორმეტე საუკუნის თუგლათ-პალასარი I იხსენიებს „მუსკაებს“, — იგივე „მოსხებია“; აგრეთვე ასურ-ნაზირ-აბალი მეცხრე საუკუნეში, თუგლათ-პალასარი II (744—726 წ.) — „თუბალებს“; და ბოლოს სინაქერიბი (704—681 წ.) და ასურ-ბან-აბალი — „ქალდუ“-ს, რომელიც — ვინ იცის — იქნება ჩვენი „ქართლიც“ გამოდგეს, თუმცა ამას ჩვენ მარტო ვვარაუდობთ და დიდის სიფრთხილითაც ვახსენებთ, ისიც ჯერ იმიტომ, რომ სიტყვამ მოიტანა, და მერე იმიტომ — რომ ეგ „ქალდუ“ არმენიაშივეა ნაჩვენები, ვითარცა ბინა ქართველთა ნათესავის ცალკე თემისა.

L

აქ ავტორი თავს ვერ გაიმართლებს იმითი, რომ სადამდენაც ხელი მიმიწვდებოდა, მოვიხრიკე და წყაროები და მასალა ვერ ვიპოვეო ტფილისში.

საბუთი გვაქვს აქ არ დავუჯეროთ ავტორს ეს მითამ-და მისი ხელის გაწვდენა. ის ცნობები, რომელნიც ჩვენ მოვიყვანეთ, მოხსენებულია თვით ხაიცევის ისტორიაში*, რომელიც ტფილისში არამც თუ იყიდება წიგნის მაღაზიებში, ყველა გიწნაზიის შეგირდსაცა აქვს. ნუთუ ამ წიგნამდენაც ხელი ვერ მიაწვდინა ჩვენის პირველყოფილ დროების თამამმა გამომძიებელმა? ამას ვინა სჩივის: თავის პირველ წერილის 6 გვერდზედ ავტორი მისებურის ხელგაშლით გვარწმუნებს, რომ ასურეთი არც პოლიტიკურად, არც გეოგრაფიულად არ ეხებოდა საქართველოსაო(!)**.

პოლიტიკურად ეხებოდა თუ არა, ეს ხომ ვნახეთ. გეოგრაფიულად ეხებოდა თუ არა ამასაც ეხლა ვნახავთ, თუ ძველის ისტორიის რუკას წინ დავიდებთ. ეს რუკა გვაჩვენებს, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ასურეთი უდევს და სამხრეთ-აღმოსავლეთით — მიდ-სპარსეთი, მერე ისე, რომ

---

* История Востока, Зайцева.

** აი ავტორის სიტყვები: „Жители Мцхет... — ე. ი. ქართველები, — будучи под влиянием ближайших соседей своих — мидян и персов, заимствовали символы сабаизма, даже не прямо из Ассирии, с которой они не соприкасались ни политически, ни географически“.

სატახტო ქალაქი ასურეთისა, ნინევია, უფრო ახლო სჩანს, ვიდრე მიდიის — ეკბატანი და სპარსეთის პერსეპოლი. ან ამისი არ-ცოდნა როგორღა მოეკითხება იმ კაცს, რომელმაც არ იცის დღევანდელი ამბავიცა, ესე იგი იმისთანა ამბავი, რომელიც დღესაც ყველა მეურმემ იცის ჩვენში ყოველ ფეხის გადადგმაზე. მაგალითებრ, მეორე წერილის 37—38 გვერდზე ავტორი გვარწმუნებს, რომ მცხეთა დარიალის ხეობის შესავალშია*. სად დარიალი და სად მცხეთა! მცხეთა ბავშვმაც კი იცის ჩვენში, რომ არაგვის ხეობის შესავალშია, და დარიალის ხეობასა და არაგვის შუა ერთი უშველებელი წყალთ-გამყრელი ზურგია მთისა აბანოს-გუდაურ-კაიშაურისა, რომელს აქეთ, სამხრეთისაკენ, არაგვი ჩამოუდის და იქით, ჩრდილოეთისაკენ — თერგი, დარიალის ხეობის გამჭრელი. მინამ კაცი ამ მთის ზურგამდე მივა, უნდა გაიაროს მცხეთიდამ არაგვის ხეობა; მერე შეჰხვდეს გუდამაყრის ხეობას; შეუხვიოს მთიულეთისას; აქ მიაწყდეს ხსენებულ წყალთა-გამყრელ მთას; გადავიდეს ამ მთის ზურგსა; აბანოსა, კობის და სნოს ხეობას კარგა მანძილზე გასცდეს და ბოლოს-და-ბოლოს დარიალის ხეობაში ჩავიდეს. ნუთუ ამის საცოდნელადაც ხელი ვერ მიაწვდინა კრიტიკითა და შედარებითის მეთოდით შეჭურვილმა ავტორმა! დალოცვილი, პირველ შეხვედრილ მეურმეს მაინც ჰკითხავდა!

აი რაგვარ მეცნიერთან, რაგვარ ცოდნის პატრონთან გვაქვს საქმე, ჩვენდა სამწუხაროდ და მკითხველის მოსაწყენად. ეს იქონიეთ სახეში და შეგვიბრალეთ ჯერ ჩვენ, რომელსაც წილად გვხვდა გარჩევა ავტორისა, და მერე რუსული ჟურნალი „Сев. Вестник“-ი, რომელმაც დაჰბეჭდა ამ ავტორის ორი წერილი.

დღეს, რაცა ვსთქვით, ესეც კმარა. რაკი დავპირდით მკითხველს თავიდან ბოლომდე მივყვებით ავტორსაო, ჩვენ ამ პირობას აღარ გადავალთ და სხვა მარგალიტებს ავტორისას შემდეგ გავარჩევთ. ეხლა-კი მაინც ამას ვიტყვით: კაცს რომ ჯერ ისიც არ შეუტყვია, მცხეთა სად არის, დარიალის ხეობაშია, თუ არაგვისაში, და სტრაბონი ბერძენთა მწერალია,

---

* ამ ავტორის სიტყვები: „Киаксар... позаботился укрепить Мцхет, резеденцию старшего мамасахлиса, расположенную у входа в Дарьяльское ущелье“.

თუ რომაელთა*, აბა საიდან შეგვიტყობდა, რაც პირველყოფილ დროებას ჩვენის ისტორიისას შეეხება. ამაზეა ნათქვამი, რომ სანეკრე ნახა და სახტომი კი არ გაუსინჯაო.

წერილი მეხუთე

მოგვითხრა რა თავისებური ისტორია მოსოხთა, თუბალთა და კოლხიდელთა ხსენებისა, ავტორი „Письма о Грузии"-სა გვეუბნება, რომ ისტორია ათასი წლის** დუმილის შემდეგ ხელახლად ახსენებს პირველად, — ისიც გზა-და-გზა, — თუბალებსა და მოსოხებსაო. ვინ არიან ეს თუბალები და მოსოხები ბიბლიისა და საამოცანო კოლხიდელნი არგონავტებისაო, ჰკითხულობს შედარებითის მეთოდის და კრიტიკის თვითმპყრობელი ავტორი. ეგენი არიან ქართველთა ნათესაობის შტონიო, გვაუწყებს იგი იქვე. ჩვენც აგრე გვგონია, მაგრამ ამისათვის მარტო ერთი და ისიც სასაცილო საბუთი მოჰყავს ყველაფერზედ ეჭვით მჭვრეტელს ავტორს. ამ შტოების ერთმანეთთან ნათესაობა იმითი მტკიცდებაო, რომ ჰეროდოტეს სიტყვით, სპარსეთის მეფის ქსერქსის ლაშქარში ყველა ესენი ერთის მხედართუფროსის ხელში იყვნენო***. სთქვა და თავისი ხელთუქმნელი ბეჭედი დაასვა. მოდით და შეშალეთ-ღა, მოდით და ამისთანა ჭკუათა-უქმნელს ფილოსოფიას გაექეცით სადმე, მაშ, ყალმუხები, ყაზანის თათრები, ებრაელნი, ქართველები, რუსები და სხვა მრავალის ტომის კაცნი სულ ერთის ნათესაობისანი ყოფილან, რადგანაც რუსეთის იმპერიაში, თუ მუდამ არა, ხშირად მაინც ერთის მხედართუფროსის ხელში არიან. ამას გვიჭვიან შედარებითის მეთოდით

---

* ავტორი თავის პირველ წერილის პირველ გვერდზედვე გვეუბნება, რომ სტრაბონი რომაელთა მწერალიაო. ესეც ახალი ამბავი და ახალი საბუთი ავტორის გულახდილ არ-ცოდნისა.

** ეხლა ათასის წლის დუმილია, ათის სტრიქონის წინად ხომ რვაასი იყო, ამავ ავტორის სიტყვით. ამ სახით, ორასი წელიწადი მიაფუჩეჩა ავტორმა ათის სტრიქონის მანძილზე. ნახეთ ავტორის პირველ წერილის 55 და 56 გვერდი.

*** ხუმრობა-კი არ გეგონოთ: ნახეთ ავტორის პირველ წერილის 58 გვერდზედ სხოლიო.

კვლევა სხვადასხვა ერთა ნათესაობისა!ამას იქით, თუ გნებავდეთ შეიტყოთ, სიპაები და ინგლისელნი როგორ მოჰხვდებიან ერთმანეთსა, მარტო ის გამოიძიეთ — ერთის მხედართუფროსის ხელში არიან, თუ არა. ეს გახლავსთ შედარებითი მეთოდი ავტორისა. რადგანაც ენას ბრწყალი არ მოედება, შესაძლოა გვითხრან, — ეჰ, თქვენ რა იცით, რა არის ფილოსოფია ისტორიისაო. ჩვენ ამაზედ ვიტყვით, რომ თვით ისტორიის ფილოსოფიამაც არ იცის ეს ამისთანა ფილოსოფია ავტორისა.

ამათ ათავებს ავტორი აღმოსავლეთ საქართველოს ამბავს — მოსოხთა, თუბალთა ხსენებისას და ვინაობისას. მერე ამბობს, რომ რაც შეეხება დასავლეთ საქართველოსას, აქ ჯერ კიდევ 3200 წლის წინად ქრისტეს შობამდე ძლევამოსილი მხედრობა ეგვიპტის მეფის რამზეს დიდისა კოლხიდაში შევიდა და რამდენიმე ეგვიპტელთა სოფელი გააშენაო. აქ ავტორი იძახაც გვაუწყებს, ვითომც ჩვენ, ქართველებს, ამ რამზესისაგან დასახლებულ ეგვიპტელთაგან გვესწავლოს ხვნა-თესვა და ზოგიერთი სხვა ხელობა. ამაზე საუბარი მერე გვექნება, როცა ავტორს გამოვიწვევთ ჩვენის ძველის კულტურის სათხრობლად. ეხლა-კი მარტო ავტორის ისტორიულ მეცნიერებას ვეძიებთ.

ავტორი პლინის იმოწმებს, — ისიც სულხან ბარათაშვილის* სიტყვითა — მასზედ, ვითომც რამზეს დიდი კოლხიდაში ყოფილიყოს ოდესმე. დიდი საქმე იყო განა, რომ ავტორს, კრიტიკის ასეთს ტრფიალს, ეს ამბავი მართლა კრიტიკით გამოეძია?! ეხლა ხომ დამტკიცებულია და ყოველ ეჭვ-გარეთაც დაყენებულია, რომ ეგვიპტელნი საზოგადოდ, და რამზეს დიდი საკუთრივ, თავის დღეში არ გადმოსცილებიან ორონთას, მდინარეს ასურეთის დასავლეთზე, რომელზედაც იდგა ქალაქი კადეში. ან რა ჭკუაში მოსასვლელი იქნებოდა ეგვიპტელთათვის კოლხიდაში გამოსვლა,

---

* ღირსშესანიშნავია, **რომ ამ შემთხვევაში ავტორი თ. სულხან ბარათაშვილს ხელსა სდებს მოწმად და თვით სულხან ბარათაშვილის ნაწერი დედანი-კი არ წაუკითხავს და დასჯერებია ბ-ნ მურიესაგან ფრანგულად** შემოკლებულ ნათარგმნსა. ამას თითონ ავტორი გვანიშნებს პირველ წერილის 57 გვერდზედ სხოლიოში.

როცა მათი ერთად-ერთი ტკივილი და ნაღველი ის იყო, რომ ევფრატის მხრით* უშიშარ ყოფილიყვნენ.

მათი პოლიტიკა აქ სულ იმახედ ჰტრიალებდა, რომ ასურეთი დაემხოთ და დაემორჩილებინათ ზღვის პირი სირიისა**, საიდამაც მტერნი მოსვენებას არ აძლევდნენ. ან თუნდ ესეც არ იყოს, როგორ გასცილდებოდნენ ამ ქვეყნებს და შევიდოდნენ კოლხიდაში, როცა ასურელებისა და სპარეელებისთანა დაუძინარნი მტერნი ზურგთ უკან დარჩებოდათ. რა თქმა უნდა, მხედართმთავრად, ან ბედის გამგებელად ევგიპტელებს რომ ჩვენი ავტორი ჰყოლებოდათ, უფრო შორსაც წავიდოდნენ. ვითომც ნახტომი შეეშლებოდათ თუ! მაგრამ ეგვიპტის ბედზედ სულ სხვა კაცები, უფრო წინდახედულები შესწრებიათ, თორემ მალე გადაიჩეხებოდნენ სადმე კლდეში.

ან რაღა შორს წასვლა გვინდა: ლენორმანმა, ამ სახელგანთქმულმა მცოდნემ აღმოსავლეთისამ, რომლის ავტორიტეტი ამისთანებში შეუპყეველია, კარგა ხანია თვით ჰიეროგლიფურ ნაწერებით დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ეგვიპტელნი კავკასიაში არასოდეს არა ყოფილან და, ამ სახით, პლინის ტყუილი, კოლხიდაში ეგვიპტელთა შემოსვლის შესახებ, გამოაქვეყნა***. ჩვენმა ავტორმა კი ჯერ ხომ ასე მჩქარში გაახვია ჩვენი ქართველი მეისტორიენი, მათი ნაწერები მასალადაც გამოსადეგნი არ არიანო, ეხლა კი ერთი ამ ქართველთა მეისტორიეთაგანის, სახელდობრ, ბარათაშვილის ნაწერი მასალად-კი არა, საბუთადაც გამოიყენა, რომ მსოფლიო ისტორიაში უკვე დადგენილი და დამტკიცებული ამბავი გაამტყუნოს. ამ ზღაპრების შემდეგ, ავტორი თითქმის ცხრა გვერდს ანდომებს სხვა ზღაპრებს, რომელნიც შეეხებიან ქართულს ენას, სარწმუნოებას, არქეოლოგიას, კულტურას, ხან სად ჩაჩხირულს, ხან სად. ვიმეორებთ — თვითოეულს ამას

---

* ვებერი, ტ. I, გვერდი 193.

** იქვე, გვერდი 196.

*** ეს ტყუილი, რამეზესის ვითომ-და ყოფნისა კოლხიდაში, ეხლა საისტორიო სახელმძღვანელოშიაც კია შენიშნული. ნახეთ **ტრახჩევსკის „Древняя история"**, გვერდი 40. მოდით და ამას იქით უნდეთ-და ავტორის ცოდნასა და იმის თავმოწონებულ ძიებას ჩვენის ძველის-ძველ ცხოვრებისას. გამოძიებულიც რომ თვალით არ დაუნახავს, ამბა გამოუკიებელს როგორღა დაინახავდა.

ჩვენ ცალკეც გამოვიძიებთ. ეხლ-კი ჩვენც ავტორსავით იმ რვაცხრა გვერდს თავს გადავახტებით და მუხლს მოვუყრით ისევ ისტორიულ ამბების მოთხრობას, რომელსაც იგი განაგრძობს მეორე წერილში წინანდებურის ხელგაშლითა და ცოდნის ჭადრით.

პირველ წერილში ავტორმა ხომ დაასკვნა, რომ მეთოთხმეტე საუკუნიდამ ნეშვიდემდე არავის-და უხსენებია ქართველებიო და, როცა ამ მეშვიდე საუკუნეში სკვითებმა ჭარტეხილსავით გადალახეს კიდით-კიდემდე აზიაო, მაშინ კვლავ იხსენიებიან მოსოხნი და თუბალებიო. ეს სკვითების ამბავი იმიტომ მოჰყავს ავტორსა, რომ სთქვას, ვითომც მთელი რვა თუ ათი საუკუნე ქართველებს ეძინათო. ამ სახითაო, განაგრძობს ავტორი მეორე წერილში, მეშვიდე საუკუნეს ქრისტეს შობამდე საშინელმა თავდასხმამ სკვითებისამ (ზოგან ხაზარებს ამბობს) გამოაღვიძა ტკბილის ძილისაგან ქართველები და გამოიყვანა დაუწყნარებელ ბრძოლის საქვეყნო მოედანზედაო. ხაზარები, შეჭირვებულნი მიდიის ძალოვან მეფის კიაქსარისაგან, შევიდნენ იმ დრომდე შეუვალ ადგილებში კავკასიის მთისა და, იპოვეს-რა დარიალის გასავალი, აქამდე ქართველთათვის უცნობი*, გავიდნენ და კავკასიის ჩრდილოთ გაიმართეს თავისი სახელმწიფოო. ჩვენ ხაზარების თუ სკვითების გამო არ გამოვეკიდებით ავტორს, ეს მის ნებაზე მიგვიგდია.

საქმე აქ იმაშია, რომ ავტორის მიერ დაწუნებულ „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით, ავტორი უარჰყოფს, მსოფლიო ისტორიის დანადგენს. აქ რაკი კიაქსარი ახსენა, სხვათა შორის, იმასაც გვეუბნება, რომ კიაქსარმა ააშენა დარუბანდიო (დერბენტი) და ქართველებმა ამ დროდამ ისწავლეს ქვითკირის ხმარება შენობისათვისაო. ეხლა ყველანი ამბობენ, რომ დარუ-

---

* ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამავე ავტორის სიტყვით, მცხეთა დარიალის შესავალშია და გვიკვირს, ავტორს როგორ მოუთავსდა თავში, რომ ქართველებს თავისი სატახტო და დედა-ქალაქი დარიალის შესავალში ჰქონიათ და დარიალი-კი არა სცოდნიათ, ვიდრე სკვითებმა არ დაანახვეს. ზოდინ და ან ერთი დაუჯერეთ და ან მეორე! კრიტიკა აქ თავის-თავად ცტყოდა ამის მთქმელს კაცსა — მომიხმარეო, რომ კრიტიკის ზართლი რამე გაგება ჰქონოდა.

ბანდი სასანიდებისაგან* არის აშენებული. ამას ჰმოწმობენ ყველა წყარონი აზიის ისტორიისა და ამასვე უჩვენებს თურმე ფალაური (ფეხლეური) წარწერა დარუბანდისა. თუ აქ ავტორს დარუბანდად მიუღია „კასპიის კარი“, ამაშიაც შემცდარა ჩვენის ფიქრით, რადგანაც, პტოლომეოსის გეოგრაფიით, „კასპიის კარი“, ანუ ქართლის ცხოვრების „ზღვის კარი“ დარუბანდის დასავლეთით არის თურმე. აშკარაა, ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ მიჰშველებია აქ ავტორს. აი რა საბუთით ვამბობთ ამას. ავტორი გვარწმუნებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონი — კიაქსარიაო. აფრიდონის ერისთავმა „არდამ“-მა, აფრიდონისგან გამოგზავნილმა ქართლის შესამუსრველად, ააშენაო „ქალაქი ზღვის-კარს და უწოდა სახელი დარუბანდიო“, ამბობს „ქართლის ცხოვრება“. ავტორს უსათუოდ აქედამ გამოჰყავს თავისი ზღაპარი დარუბანდის აშენებისა კიაქსარისაგან, იმიტომ რომ ავტორის კიაქსარისაგან, ანუ „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონისაგან აშენება დარუბანდისა მარტო ჩვენს მატიანეშია ხსენებული და, ჩვენის ფიქრით, სხვაგან არსად. იქნება სხვაგანაც იყოს სადმე და ჩვენ მხოლოდ ჩვენს უვიცობას ვაღიარებთ ამ შემთხვევაში.

ან საიდამ გამოიცნო ავტორმა, რომ „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონი მართლა კიაქსარია? თუ თითონ „ქართლის ცხოვრებას“ ჩაჰკვირვებოდა, დაინახავდა, რომ ჩვენის მატიანის „აფრიდონი“ რაღაც მითური გმირია, „რომელმან შეკრაო ჯაჭვით ბევრასფ, გველთა უფალიო, და დააბა მთაზედა, რომელ არს კაცთ შეუვალიო“**. განა პირდაპირ არა სჩანს აქედამ, რომ ეს „აფრიდონ“ რაღაც ზღაპრული გმირია და არა კიაქსარი? აშკარაა, აქ „ქართლის ცხოვრება“ იმეორებს იმ მითურ გმირის სახელს, რომელსაც ფერდუსი თავის შაჰ-ნამეში იხსენიებს ფერიდუნად, ანუ ფრედუნად, და რომელსაც, მინამ გამეფდებოდა სპარსეთში, რაღაც საქმე ჰქონია სპარსეთის მეფის სოღაკის გველებთან. თუნდ ეგეც არ იყოს, „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება იქავ, რომ აფრიდონის კარგა შემდეგ, ქეკაპოს

---

* სასანიდების დინასტია ავიდა სპარსეთის ტახტზედ 226 წელს ქრისტეს ნერმედ (კორში, ტ. I, გვერდი 170) და კიაქსარი მეშვიდე საუკუნეში იყო ქრისტეს წინად.

** იხილეთ „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვერდი 23.

ქოფილა სპარსთა მეფედ, იმას ჰყოლია შვილი ფარშაროტ (ფრაორტი) და ფრაორტის შვილად მეცნიერნი ჰგონებენ კიაქსარსა*. თუმცა, მართალია, სკვითების შემოსვლის ხანებში ყოფილა ეს „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონი და მსოფლიო ისტორიის კიაქსარიც ამ დროსვე იყო, მაგრამ მარტო ამით განა დასაჯერია, რომ აფრიდონი და კიაქსარი ერთი და იგივე კაცია? ამკარაა, „ქართლის ცხოვრებას“ აურევია სახელები და იგი აფრიდონად იხსენიებს მითურს გმირსა და არა კიაქსარსა, თუნდ კიაქსარის დროების ამბავიც რომ ვიგულისხმოთ მის მიერ ნათხრობილში; მაინც-და-მაინც ამაში ძალიანაც არ ავუბირდებით ავტორს. მივიღოთ მისი აზრი, რომ აფრიდონი „ქართლის ცხოვრებისა“ მსოფლიო ისტორიის კიაქსარია.

ჩვენ ხომ მოვიხსენიეთ რომ კიაქსარს, რომელიც მეშვიდე საუკუნეში სცხოვრებდა ქრისტეს შობამდე, არ აუშენებია დარუბანდი, არამედ ააშენეს სასანიდებმა, რომელთა დინასტიაც მესამე საუკუნის პირველ ხანებში ქრისტეს მერმედ ავიდა სპარსეთის ტახტზედ. რადგანაც აფრიდონი „ქართლის ცხოვრებისა“ კიაქსარად მონათლა ავტორმა და რადგანაც აფრიდონის დროს ამენდა, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, დარუბანდი, აშკარაა, ჩვენი ავტორი „ქართლის ცხოვრებას“ დაჰფუძნებია, იმიტომ რომ ეს ამბავი, ჩვენის ფიქრით, სხვაგან არსად იხსენება ამ-რიგად. თუ ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ისეთი სანდოა, რომ მსოფლიო ისტორიაში არსებულ აზრს დარუბანდის აშენებაზე აუქმებინებს ავტორი, მაშ რაღად მოიხსენა უწინ ისეთის ცხვირ-აწევით, თითქო რაღაც უღირსი რამ, ვილაც კომისიისაგან შეთითხნილი და ისიც „в армянской переделке“. თუ ესეთი სანდოა ჩვენის ავტორისაგან ამბუჩად ავდებული „ქართლის ცხოვრება“, მაშ რაღა საბუთი ჰქონდა ავტორს — იგი მასალადაც გამოსაყენებად არ ჩაეთვალა. ჩვენ კვლავაც ვნახავთ გზა-და-გზა, რომ ჩვენი კრიტიკის მოყვარე ავტორი „ქართლის ცხოვრებას“ ტყუილსაც უჯერებს, როცა უჯობს თავის სიტყვის გასაყვანად, და როცა არ უჯობს, მისი მართალიც არა სჯერა.

რად უნდოდა ყველა ეს სიდონები, ქალდეები, რამზესები და კიაქსარები ავტორსაო, იკითხვენ. მად უნდოდა, რომ დაე-

* ვებერი. ტ. I, გვერდი 407.

მტკიცებინა ქართველების ისტორიული არარაობა, ვითომ რაკი ისტორიამ მთელი ათასი წელიწადი იგინი აღარ ახსენა, სჩანს ხსენების ღირსნიც არ იყვნენო. ამას არ სჯერდება ავტორი და სურს ამ მის მიერ ტყუილად მოგონილს ქართველების არ-ხსენებას ფილოსოფიური საბუთიც მოუპოვოს. აბა, აქ არის ის არეულობა ავტორისა, რომელსაც თვით სკვითებისაგან მომხდარი არეულობა აზიაში არ შეედრება. ჩვენ აქ, სწორედ მოგახსენოთ, ვერა გავიგეთ-რა და ვგონებთ არც ბევრი თითონ ავტორს გაუგია. ეგ კიდევ არაფერი: ავტორი არავითარს ღონისძიებას არ გვაძლევს ერთს რასმეზედ შევჩერდეთ და იმაზე ვისაუბროთ, რადგანაც თითონაც არა სდგას ერთს რომელსამე აზრსა და დასკვნაზედ. არ არის თითქმის არც ერთი ფურცელი მის ნაწერისა, რომ ერთხელ თქმული ისევ არ გადასთქვას სულ სხვა-რიგად და ერთმანეთში მოუთავსებლად. ამიტომაც ჩვენ მარტო მაგალითებს ამ წაჯექ-უკუჯექობისას წარმოვადგენთ და მათს განკითხვას-კი თავს დავანებებთ.

ავტორს მოჰსურვებია რა — ახსნას, რანი ვიყავით ქართველები ან სათავისოდ, ან სამეზობლოდ, და რა მნიშვნელობა გვქონდა ან სათვისტომოდ, ან სასხვისოდ, — ასე გვიხატავს ჩვენს ყოფა-მდგომარეობასა.

„Территориальная недоступность не только надолго изолировала их (грузин) от живого общения с цивилизованными соседями запада и востока, но препятствовала также объединению разрозненных ветвей самого грузинского племени"*.

დავიხსომოთ, ვითომც ჩვენის ქვეყნის ადგილ-მდებარეობის შეუვალობამ ისე შეგვამწყვდია და შეგვკეტა, რომ აღარც-რა ვინ მოგვაკარა და აღარც-რა ვის ჩვენ მივეკარენით. ბერე კიდევ ამბობს ავტორი, რომ ამ გეოგრაფიულმა განყოფილებამ ისე გაგვიხადა საქმე, რომ თვითოეული ცალკე თემი საქართველოსი ქართველთათვის იქნება იმოდენადვე უცნობი იყოო, რამოდენადაც უცხოთათვისაო**. აქედამ ცხადიაო, რათ მდუმარებდა ქართველებზედ ისტორია მთელი ათასი წელიწადი პირ-

---

* ნახეთ ავტორის პირველი წერილი, გვერდი 56.

** Страна (Грузия), которая для каждого из этих (грузинских) маленьких племен была, быть может, так-же неведома за пределами из крошечных поселений, как и для чужеземцев! ნახეთ მეორე წერილი ავტორისა, გვერდი 37.

ველ ხსენების შემდეგაო*. სასაცილოა!.. ჩვენ ხომ ვნახეთ, ათასის წლის დუმილი როგორი მართალი გამოდგა და ეხლა ავტორმა თეორიული საბუთიც დაუდვა სარჩულად. ეგრე აშკარად გამართლება თეორიისა საქმით ჯერ სხვა მეცნიერს ბედად არა სწევია.

ამ სახით აშკარაა, რომ აქ ავტორი გვიმტკიცებს ქართველების კარშეკეტილობას, რომელმაც არც სხვა ვინმე მიაკარა ქართველებს და არც თითონ ქართველები სხვებსა. გგონიათ, რომ ამაზედ დასდგეს ავტორი? თქვენგან არ გვიკვირს! ამიერ-კავკასიაო, მაშასადამე, საქართველოც, „эта исконная арена боевых встреч всевозможных племен человечества“**, — ამბობს იგივე ავტორი სხვაგან. როგორ მოგწონთ ჯერ ის კარშეკეტილობა და მერე ეს „исконная арена боевых встреч всевозможных племен человечества“!

ვსთქვათ, ეს „იყო და არა იყო რა“ დავუთმეთ ავტორს. ერთი ეს ვიკითხოთ: ან როდის გამოვუყარეთ ურდული ჩვენს კარშეკეტილობას (замкнутость-ს ავტორისას), ან როდის და ვინ შემოგვიმტვრია კარი და ქვეყანაში გამოგვიყვანა. ავტორი გვარწმუნებს, რომ ეს მოხდაო ფარნავაზ მეფის შემდეგაო, ესე იგი არა უწინარეს მესამის საუკუნისა ქრისტეს შობამდე. ამას გვანიშნებს ავტორის სიტყვები, როცა გვეუბნება, რომ დიდი გზა რიონისა გააკეთეს „ после фарнаваза (первого грузинского царя, жившего в III веке), когда замкнутость Грузии была нарушена ея зависимостью от Персии“***.

სჩანს, სპარსეთმა მესამე საუკუნის შემდეგ გამოუმტვრია კარი ჩვენს შიწშეკეტილობას. გგონიათ, რომ ან აქ მაინც დასდგეს ამაზედ ავტორი და ეს აღარ გადასთქვას?! ნურას უკაცრავად: ჩვენ სხვა ლეკი-ბიჭები ვართ. როცა კიაქსარმა გაამაგრა მცხეთა და ააშენა დარუბანდიო, „с этого момента уже начинается прямая связь Грузии с Ираном, сношения их делаются более живыми и частыми и Грузия мало-помалу вовлекается в русло исторической жизни Востока“

---

* ნახეთ პირველის წერილის 57 გვერდი: Отсюда ясно, почему после первого произнесения имени этих племен, целую тысячу лет (?) молчала о них история.

** ნახეთ 48 გვერდი პირველის წერილისა.

*** ნახეთ 64 გვ. პირველის წერილისა.

და სხვანი*. ან ამას გაკძარებთ განა! ახლა სხვაგან აი ამაზევე რას ბრძანებს ავტორი: „Начиная с нашествия скифов и до завоевания Персии и Грузии арабами, она почти непрерывно жила общею жизнью с Ираном“**. გეგონათ ამას მაინც დაგვაჯერებს ავტორი! აი კიდევ სხვა: „уже при первых Ахеменидах (в VI в. при Кире) Грузия становится пристанищем самых разнообразных пришлецов“... და სხვანი.

ეს რა არის კიდევ! ავტორი სხვას უფრო საკვირველს გვეუბნება. თურმე ნუ იტყვით, დღეს ჩვენში არიან ცალკე მოსახლობანი (колонии) ხაზარებისა, რომელნიც კიროსის დროისანი არიან, ვითომც-და თავისი ენა შეუნახავთ ისე როგორც მათთა ძველის ძველ წინაპართა ჰქონიათ. თუ არ დაგვიჯერებთ, აი ავტორის სიტყვებიც: „Мы встречаем здесь (в Грузии) и в наше время потомков, изгнанных Навуходоносором евреев, а также туранцев, хозар и греков, живущих обособленными группами быть может со времени Кира, сохраняя свои права (?), привычки, национальный тип и язык почти каким он был во времена их далеких предков“***.

ბერძნებისა და ებრაელებისა რა მოგახსენოთ და ამ ხაზარების ყოფნა-კი ჩვენში დღეს პირველი გაგონებაა. მეცნიერებს პატარა ბუნდოვანება აქვთ წარმოდგენილი ამ ხაზერების ვინაობა და, რადგანაც ჩვენში ესენი ისე კარგად დაბინავებულან, რომ თავისი ძველის-ძველი ენაც თითქმის შეუცვლელად შეუნახავთ, რა დიდი სიხარული აუტყდებათ სწავლულთა და მეცნიერთა, რომ ასეთი შემთხვევა ეძლევათ ზედმიწევნით შეიტყონ ამ ერის ვინაობა. სამწუხარო ეს არის მარტო, ვაი თუ ჩვენს ავტორს ცოტაოდენად გაუჭირდეს ამ ხაზარების ბინაზე მიყვანა ვისიმე. მაგრამ რა ვუყოთ, განა ტყუილად არის ნათქვამი, გაჭირვება მიჩვენე, მე გაქცევას გიჩვენებო. ვერ გაექცევი თუ? რა გაუძნელდება იმას, ვინც ერთის კამარით ათასს წელიწადს ზედ თავზე ახტება ხოლმე და ვინც მცხეთას ზურგზე იკიდებს და დარიალის ხეობაში გადააქვს. ან იქნება თითო-ოროლა კაცი, რომელნიც ჩვენში „ყაზარას“ სახელს

---

* ნახეთ მეორე წერილის 38 გვერდი. აქ შევნიშნავთ, რომ კიაქსარი მეშვიდე საუკუნეში იყო ქრისტეს შობამდე.

** იქავე 40 გვერდი.

*** იქავე 40 გვერდი.

ატარებენ, ავტორს „ხაზარები“ ჰგონიან! არც ეს არის შეუძლებელი ჩვენის ავტორისაგან, რადგანაც მისი შედარებითი მეთოდი ეტყოდა, რომ ყაზარადალაჭი და „ხაზარი“ კიროსის დროინდელი, ძალიან ახლონი არიან ერთმანეთზე.

განა დაიჯერებს ვინმე, რომ ეს ყველაფერი ერთისა და იმავე კაცის ნათქვამია ერთსა და იმავე საგანზე, ერთსა და იმავე დროს! რომელი ერთი ამისთანა ამბავი მოვთვალოთ ავტორისა? რომელს ერთს მივყვეთ? რომელს ერთზედ ვუთხრათ ან ჰო, ან არა? კმარა ასე წინა და უკუღმა ტრიალი. ყველაფერს რომ გამოვუდგეთ,

ჭნა დაშვრების. მსმენელისა ყურნიცა დავალდებიან.

წერილი მეექვსე

იმ წარა-მარა სიარულით, რომელიც წინა წერილებში აღვნიშნეთ, ავტორმა, როგორც იყო, ფარნავაზამდე მიგვიყვანა. ფარნავაზის თაობაზე ავტორი გვეუბნება, რომ თითონ იგი და მისი შთამომავლობა „ჯანღითა და ბურუსით“ არის მოცულიო, ეს-კი აშკარაა, რომ შთამომავლობით სპარსი იყო, ახლო მნიდების ნატამალიო*. ამ ფარნავაზის აშკარა სპარსობაზე მოწმად მოჰყავს ბარათაშვილი, მაშინ როდესაც ავტორმა დაგვიფიცა, რომ ქართველების ნაწერები მასალადაც არ გამოდგებიანო. მაგრამ ამისთანაებს ნუღარ გამოვუდგებით. ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი მოვიყვანეთ იმისი, რომ ავტორი ამისთანებში იმ მანასესა ჰგავს, რომელსაც თეიმურაზ მეფე ხშირად ეტყოდა ხოლმე:

ახე, ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო.

ერთის სიტყვითაო, ამბობს ავტორი, ფარნავაზი საქართველოში ისეთივე საშუაგულო კაცია (центральная личность), რომლის გარშემოც ხალხის თქმულობა აგროვებს ხოლმე ყველა თვალსაჩინო ნამოქმედარს ცხოვრებისას, როგორც, მაგალითებრ, კარლოს დიდი ევროპის შუასაუკუნეთათვის

* ნახეთ მეორე წერილი, გვერდი 42.

და „ელადიმირი-კრასნოე სოლნიშკო“ რუსეთის ზღაპრულ მოთხრობათათვისაო. ჩვენის ეხლანდელობის დიდად მცოდნე ავტორს რომ მოვკითხოთ, ერთი გვაჩვენოს, სად, როგორ და რა თქმულობით იხსენიებს ქართვლის ერი ფარნავაზსა, ნეტა რას გვეტყვის? არა გვგონია, „ქართლის ცხოვრების“ გარეთ, ჩვენმა ავტორმა გვიპოვოს რაიმე ხსენება ფარნავაზისა ჩვენს ხალხში და, თუ გვიპოვის, მადლობით მუხლს მოვიყრით. დალოცვილს, თუ ეს თქმულობანი ფარნავაზზე სიზმრად არ მოზმანებია და მართლა სადმე არის, რატომ აქ მაინც არ გამოიყენა ის შედარებითი მეთოდი, რომელიც ამისთანაებში მართლა რომ სასწაულთმომქმედია და ბევრის რამის ამხსნელი და გამომრკვეველი. ამისთანაებში ხომ ეგ მეთოდი თითონ თავის-თავად ეხვეწება კაცს, აცა — ჩემი საქმე აქ არისო, მიმიშვიო, და რატომ ავტორს ყური არ უთხოვებია. სჩანს, ეგ მეთოდი ავტორისათვის ფრაზაა და არა საქმე.

ავტორი, ფარნავაზის ხსენების შემდეგ, ბევრს რასმე ლაპარაკობს ზოგს ქართულ ენასა, საწერწუნოებასა, სახელმწიფო წესწყობილებასა და ერთობ კულტურაზედ და ბოლოს ამბობს, ჩვენა გვგონია — მეტი იყოსო ჩამოთვლა იმ მრავალგვარ ამბებისა, რომლის სარბიელად იყოო საქართველო. ღმერთმა უშველოს, თორემ ჩვენვე გაგვიხდებოდა სახათაბალოდ. ნეტავი ამ საქებურს გზას დასდგომოდა აქამდინაც და მოკლედ მოეჭრა, რაც სათქმელი ჰქონდა. არც ჩვენ დაგვადგებოდა ამოდენა ჯაფა და არც ამდენად შევაწუხებდით მკითხველსა.

აქ მარტო იმას ვიტყვითო, გვეუბნება ავტორი, რომ ფარნავაზიდამ დაწყებული არაბებამდე (მეშვიდე საუკუნემდეო ქრისტეს აქეთ) საქართველოს ერთხელაც არ შეხვედრია ფეხზედ მაგრად დადგომაო. იქნება ეგრეც იყო; მაგრამ საიდამა აქვს ეს აზრი გამონასკული? არა გვგონია, ფარნავაზის ხსენება სხვაგან სადმე იყოს, თუ არ „ქართლის ცხოვრებაში“. „ქართლის ცხოვრება“-კი, რასაც ფარნავაზზე მოგვითხრობს, ამის საბუთს არ იძლევა. კაცმა, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, შეაერთა მთელი საქართველო, ერთმთავრობა დააფუძნა, წესწყობილება ჩამოაგდო, საერისთაონი გააჩინა და რიგი და წესი დაუდო. ნუთუ ეს ფეხზედ დადგომა არ არის! ამიტომაც ამბობს „ქართლის ცხოვრება“:

„იყო განსვენება და სიხარული ყოველსა ქართველსა ზედა და მეფობისათვის ფარნავაზისა იტყოდეს ყოველნი: „ვმადლობთ სვესა ჩვენსა, რამეთუ მოგვეცა ჩვენ მეფე ნათესავისაგან ჩვენთა და აღგვეხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“.

იქნება, და ძალიან შესაძლოც არის, რომ ყოველივე ეს ტყუილიც იყოს მატიანეს მთხრობელისა, მაგრამ თუ ავტორმა ფარნავაზი მატიანეს სიტყვით იცნო, და სხვა წყარო-კი არა გვგონია საფარნავაზოდ გვაჩვენოს სადმე, მაშ ეს სიტყვები იმავ მატიანისა რატომღა ჩააფუჩეჩა. თუ ტყუილი იყო, რატომ არ წაუსაბუთა რამ და, თუ არა წაუსაბუთა რა, რატომ აგრე მჩვარში გაახვია თავისი დაქადებული კრიტიკა. ცარიელი სიტყვა დამიჯერეთო, განა? მეტი რა გზაა, უნდა დავუჯეროთ იმას, ვინც საბუთიანს სიტყვასაც არ იჯერებს. ეს, მართალია, ძალმომრეობაა, ჩემნებობაა, მაგრამ მაინც უნდა შევიწუნაროთ, რადგანაც ახალი აღთქმა მოაქვს ჩვენის ისტორიისა და მეცნიერებისათვის: კრიტიკა შემოაქვს და შედარებითი მეთოდი კვლევისა. დეე, მოტყუვდნენ ბალღები მითომ-და ახალის აღთქმით, რომელიც ყოველ ძველისძველ აღთქმაზე უარესი და უმდარესია. დეე, კრიტიკისა და შედარებითის მეთოდის კალთა გადააფარონ თავიანთ უვიცობას, ვისაც სურს, და ამ ამაოდ ხსენებულ სიტყვებით-კი ვერც ერთს ჭკვათამყოფელს კაცს ვერ დაემალებიან უვიცნი და უმეცარნი.

მაგალითად ჩვენის არარაობისა მოჰყავს ავტორს თვით ვახტანგ გორგასლანიც-კი, რომელიც — თუ გნებავთო — ძველის დროთა გმირებს მიეგვანებაო, მაგრამ ამისთანა კაცების მნიშვნელობა არ იყო ხანგრძლივიო. ესენი უბრალოდ იხოცებოდნენ უნაყოფო ბრძოლაში და ვერაფერი მტკიცედ ვერ ააგეს და დაამყარესო. მაშ, მტკიცედ ვერ ააგეს და დაამყარეს მირიანიდამ დაწყებული ქრისტეს რჯული, რომლისათვისაც მეცხრამეტე საუკუნემდე მთელი ათას ხუთასი თითქმის წელიწადი ჯვართ ეცვა მთელი საქართველო?! მაშ, უნაყოფო იყო ბრძოლა ვახტანგ გორგასლანისა, რომ ჩრდილო-კავკასიელთ თავზარი დასცა იმოდენად, რომ მას მერმედ თითქმის ველარა შემოჰბედეს-რა საქართველოს და მას აქეთ ჩრდილოდამ საქართველო სამუდამოდ უშიშარ იქმნა? მაშ, არც ის ჩაითვლება

საგულისმყოფელ საქმედ, რომ ვახტანგმა მიანიჭა ჩვენს ეკლესიას თვითმყოფელობა, დაიხსნა ანტიოქიის დამოკიდებულებისაგან? ეს ორი-სამი მაგალითიც საკმაოა კაცმა დაასახელოს, რომ შევიტყოთ გულმართლობა ამ მაგალითების განგებ არდამნახველისა, ჩვენ ვამბობთ „განგებ“, იმიტომ რომ წარმოუდგენელია ავტორს არ წაეკითხოს „ქართლის ცხოვრება“ მაინც, როცა საქართველოს ისტორიის წერას მოისურვებდა, და თუ წაუკითხავს, ამ უეჭველს ამბებზედ განგებ დახუჭავდა თვალს, თორემ სხვაფრივ მოუფიქრებელია ამაების შეუნიშნავობა.

დაასვა რა თავისი თვითნებობის ბეჭედი საქართველოს ისტორიას ფარნავაზიდამ არაბებამდე, ავტორი მერე იხსენიებს დავით აღმაშენებელს და ამბობს, რომ გამოსაჩენის ნიჭის კაცი იყო, უყვარდა დაახლოება მეცნიერ კაცებთანა, თუმცა თითონ წერა-კითხვა (грамота) მარტო სიბერეში-ღა (в преклонных летах) ისწავლაო. ჯერ ესა, რომ დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა სულ ორმოც-და-თორმეტის წლისა და ამას არ ეთქმის „преклонные лета“. თუნდ ესეც არ იყოს, საიდამ გამოატყვრინა ავტორმა ესეთი ამბავი! კაცი, რომელიც წიგნს თვალიდამ არ იშორებდა მაშინაც, როცა საომრად და სანადიროდ დადიოდა, და ამის გამო კინალამ საშინელ განსაცდელსაც არ შეემთხვია ტფილისის პირს, როცა არაბებს ჩაუსაფრდა, კაცი, რომელმაც სომეხთა სამღვდელონი გააკვირვა თავისის ცოდნითა და მწიგნობრობითა, კაცი, რომელმაც ღირსშესანიშნავი ფსალმუნები დასწერა და რომელიც, ავტორისავე სიტყვით, ქართველ ყმაწვილებს ჰგზავნიდა სამეცნიეროდ ათონს, ეს კაცი სიბერემდე უვიცი იქნებოდა წერა-კითხვისა?! ყოველს ამას ხომ მისი მნახველი, მასთან ყოფილი მთხრობელი მოგვითხრობს. ნუთუ მნახველის სიტყვაც აღარა სჯერა ჩვენს ყოვლად უჯერო ავტორს, რაღაც უცნაურის ჯადოთი მოჯადოებულს, რომ იქ „არა“ სთქვას უსათუოდ, საცა „ჰო“ არის სათქმელი უტყუარის საბუთითა.

დავით აღმაშენებელიდამ ავტორი გადადის თამარ მეფეზედ. აი ამაზედ რას ამბობს ავტორი:

„..,век Тамары, несмотря на его блеск и внешнее величие, можно скорее назвать веком нравственного раз-

ложения и началом политического падения государства"*.

ავზნეობით ხსენება თამარის დროებისა ძტკნარი ტყეილია, თუ უკაცრავად არ ვიქნებით ავტორთან, და სხვებრ კი იქნება თამარის მეფობა მისაჩნევი იყოს დასაბამად დასასრულისა. ხოლო ამის დამტკიცებას იმისთანა საბუთები კი არ უნდა, როგორიც ავტორს მოჰყავს, საჭიროა ამ შემთხვევაში პატარა ღონიერად დასძრას კაცმა ტვინის ძაფები. „თამარ მეფეო, — ამბობს ერთი გერმანელი, — იმისთანა სახელია საქართველოში, რომ კლდე, ღრე, ხე, ქვა, რასაც ხელს ახლებ და თვალს მიაკარებ, ყველა იძახის ამ სახელოვანის მეფის სახელსაო". ეს მართალიც არის. რაკი ესეა, ამისთანა სახელის გაუქმებას და დამდაბლებას პატარა მეტი საფანელი უნდა, ვიდრე ავტორს ჰქონია. აი, საბუთად რა მოჰყავს. აუარებელი ფული იხარჯებოდა სასახლის მორთულობაზე, მონასტრების და ტაძრების აშენებაზე, რომელზედაც უამისოდაც, უცხოელთა სიტყვითაო, მიდიოდა სამი მეოთხედი მთელის სახელმწიფო შემოსავლისაო.

სრა-სასახლის მორთულობისა რა პოგახსენოთ და რაც შეეხება მონასტრებისა და ტაძრების განდიდება გაშენებასა და ერთობ ამაებზე დიდს ხარჯსა, სწორედ ამაშია დიდი სიბრძნე თამარისა, თუ მართლა ესენი მოუხდენია. ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის-გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოები-

---

* ეს სულხან ბარათაშვილისაგან უსესხნია ავტორს, რომელმაც წინათ დაიჭადა პირველობა ამისთანაებში. ამაში მაინც ბარათაშვილს დაუთმოს პირველობა, სულ თავისკენ რათ ითვლის დალოცვილი.

სათვის. ამიტომაც, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად.

და თუ თამარ მეფე ამავე გზას ვიდოდა, ეგ მარტო იმის სიბრძნესა და მიხვედრილობას უფრო მოასწავებს, ვიდრე არაგაგებას დროების საჭიროებისას. ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა, და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ჭერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდ მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა, რომლის კალთას ხშირად გადიფარებენ ხოლმე ბალღების მოსატყუებლად გალაღებულნი უვიცნი, როცა ტყუილების ბადეში გაებმიან და სხვა გასამართლებელი არა აქვთ-რა.

თუნდ ეგეც არ იყოს, რომელს ისტორიაში თქმულა, რომ აშენება, გამართვა, სახსოვრების აგება — თუნდ მონასტრებისა და ტაძრებისაც, — წუნად ჩაეთვალოს რომელსაძე ერსა, ანუ ერის ბედის გამგებელსა. მაშ, დღეს რომ პარიზში ეიფელის კოშკი ამართეს ქვეყნის გასაოცებლად, სულელობაში ჩამოერთმევა საფრანგეთსა, აქაო და ამაებზედ ფულს როგორ ჰფანტავენო, როცა მუშა-კაცნი შიმშილით უწყდებიანო. თუ ესეა, მაშ ადამიანს ჯერ უნდა ჩამოართვათ ის ნიშან-წყალი ადამიანობისა, რომელიც იწვევს — თავისის სულის წყურვილი ასე თუ ისე სახსოვარში რამეში ხელოვნებით რამით გამოსთქვას, გამოსახოს, გულდამ გარეთ გამოიტანოს. განა ძველმა სარწმუნოებამ ძველის ბერძნებისამ არ შეჰქმნა იგი მათი ხელოვნება, რომელიც დღესაც ქვეყანას აკვირვებს და სახელს ბერძნისას ჰფენს მთელს ქვეყნიერობაზედ?! ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას ამისთანა საქვეყნო ვნიშვნელობას არ ვაძლევთ, მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით — წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურ-

ვილია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა-რა.

მეორე საბუთად ის მოჰყავს, რომ თამარ მეფემ გაილაშქრა ყარსზედა, ვითომ მარტო იმისათვისა, რომ თავის ახლად დაბადებულის შვილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და ამისთვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილ-უბრალოდაო. გაგონილა — ასეთი მალე დაჯერება დაუჯერებელისა იმ კაცისაგან, რომელიც მართალსაც არ იჯერებს ვითომ-და უკრიტიკოდ! იქნება გვითხრან, — „ქართლის ცხოვრებაში“ ესე სწერიაო. თუნდ რომ ეწეროს, რა დასაჯერია?! ნუთუ ძველისძველ საქართველოს მეისტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდეს, რომ მას შემდეგ, რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთი ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად. ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არა სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშრობისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებედნა-რა საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა. შანქორის ომსაც განჯისაკენ ესევე აზრი ჰქონდა და საჭიროება. ამ მხრით გალაშქრება და განზედ გაწევა ჩვენი — დიდი ხანია ერთს უპირველესს საქმეს შეადგენდა ჩვენის ისტორიისას. განა სულელები იყვნენ დავით აღმაშენებელი და მისნი შემდგომნი თამარამდე და თამარის შემდეგ სხვა მეფენიც, რომ სულ აქეთ იწევდენ საომრად?! ქართველებს ამ მხრით გამაგრება რომ მოესწროთ, — ვინ იცის — საქართველოს ბედი როგორ დატრიალებულიყო. საუბედუროდ, ეს ვერ მოასწრეს და ამისი მცდელიკი, სხვათა შორის, თამარი, ჩვენმა ავტორმა გამოაკლო დიდებას და სახელსა. მერე რა საბუთით?

აი, როგორ უთარგმნია ჩვენს ავტორს „ქართლის ცხოვრების“ ცხადი სიტყვები: „პირველად შემყრელთა ბედსა და სვენსა ზედა ლაშასა... მიჰმართეს ბარდავად“... და სხვანი. აქ ის არის ნათქვამი, რომ ლაშა გიორგის დაბადების დღიდამ ეს პირველი გალაშქრება იყოო და სიტყვანი „ბედისა და სვენსა ზედა ლაშასა“ უფრო სიტყვის გალამაზებისათვის არის

მთხრობელისაგან, ვიდრე რაიმე აზრის დასაბუთებისა და დასკვნისათვის. ეხლა-კი არ ვიტყვით ხოლმე „ამის ბედზედ წავედიო“. განა აქ „ბედი“ წასვლის მიზეზად იგულისხმება და არა მარტო სიტყვის მასალად?! ერთის სიტყვით, რაშიაც ღრმად გამსინჯავი კაცი თამარის სიკეთეს დაინახავდა, იქ ჩვენი ავტორი წუნსა და ცუდსა ჰხედავს, რა თქმა უნდა, ეს ავად ხსენება თამარისა არ უშლის ჩვენს ავტორს აქავ ისიც ახსენოს, რომ თამარის დროს მიაღწია ჩვენმა ენამ თავის უმაღლესს სისრულემდე. მოსე ხონელი, შავთელი, სარგის თმოგველი და რუსთველი დასახელებულნიცა ჰყავს. საქართველოში ამ დროს იღვიძებს წყურვილიო სწავლისა და ცოდნისაო. პლატონი, არისტოტელი და სხვა ფილოსოფოსნი ბიზანტიის სკოლისა ითარგმნებიან ქართულადა, მაგრამ ყოველივე ეს წარსულის შუქი უფრო იყოო, ვიდრე საკუთარი ნათელი თამარის დროებისაო. ამბობს ყოველს ამას და არაფრით კი არ ამტკიცებს, არაფრით ასაბუთებს, პირიქით, იმისთანა საბუთები მოჰყავს, რომელნიც უფრო თამარ მეფის საქებარად გამოდგებიან და არა საწუნარად.

დაანებეთ ყოველს ამასაც თავი და მარტო ეს იკითხეთ: რაღა ეს დაუჯერებელი დაიჯერა თამარ მეფეზედ ავტორმა და მთელი ქება-დიდება მემატიანესი ყურთ იქით აიცილა. თუ ცუდს უჯერებს მემატიანეს. კარგს მაინც ყურს რატომ არ ათხოვებს, თუნდ მემატიანის გასამტყუნებლად და ქადებულ კრიტიკაში გასატარებლად. რა ჰქვიან ამისთანა ქცევას, — ეს თქვენ გამოიცანით.

თამარ მეფის ხსენებით ათავებს ავტორი ჩვენს ისტორიას საკუთრივ. მთელს დიდს ხანას თამარის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნემდე ორიოდე სიტყვით-ღა იხსენიებს თავისებურ კადნიერებითვე. აქ არც ერთი ისტორიული სახელი აღარ შეგხვდებათ და ყოველივე იმისთანა ცარიელი და ფუჭი მასლაათია, რომ გაკვირვებულს მკითხველს იმის მეტი არა ჰრჩება რა, რომ გულამოსკვნითა სთქვას: მახლას!

რაკი საკუთრივ ისტორიას მოვრჩით, ღვთისა და ავტორის წყალობით, ამის შემდეგ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რას ამბობს ჩვენი ავტორი ჩვენის კულტურის სხვადასხვა ელემენტზედ. დიახ, ბატონებო საქმე აქ არის. აქა მარხია ის განძი, რომლისათვისაც ასტეხა ჩვენმა ავტორმა ასეთი უილა-

ჯობის ქარ-ბუქი. ამაებში ქადულობს ავტორი, რომ მე პირველი ვარ, რომელიც ამ მხრით ვეხები საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურასაო. მართალია, ბოდიშის მოსახდელად ესა აქვს, რომ რაც მიმიღია, იმას გაძლევთო, მაგრამ მაგას რომ არაფერი მიელოს, ან ჩვენი რა ბრალია, ან ჩვენის ისტორიისა: საცა გაწვრთნილა და უსწავლია, იმას გადაახდევინოს. განა ტყუილია?!

ცემა გმართებს გამზრდელისა,
რა ყრმა ნახო ავად ზრდილი.

წერილი მეშვიდე

ჩვენა ვნახეთ, როგორი საისტორიო ქარგა გაჭიმა ავტორმა „Письма о Грузии"-სამ და რა-რიგად ზედ წამოაქსოვა თავის საკუთარის ხელით დართულ ძაფებით ყოველივე ის, რაც სიზმარში მოზმანებია. ყოველ ამის შემდეგ ავტორი გადადის ჩვენს ძველის-ძველ კულტურის გამორკვევაზედ. იგი, სიბრძნის მანტიაში გახვეული, მითამ იძიებს ქართველების პირველყოფილ ვინაობას, ქართულს ენას, უწინდელს სარწმუნოებას, ზნე-ჩვეულებას, სახელმწიფო და საზოგადოებურ აგებულებაა, კრთის სიტყვით, ყოველს ცალკე ელემენტს კულტურისას თვითეულად. ჩვენც მივყვეთ ყოველ ამაში ფეხ-და-ფეხ, თუ მოთმინება შეგვრჩა მთქმელსაცა და მსმენელსაც ბოლომდე, იმიტომ რომ ავტორის ნათქვამების ნაყვა სწორედ წყლის ნაყაა

ავტორი იკვლევს-რა პირველყოფილს ვინაობას ქართველებისას. ამბობს, რომ იმათი სომეხთაგან გადაკეთებული მატიანე მოგვითხრობსო, ვითომც ქართველები, როგორც სომხებიცა, იაფეტის შვილისშვილ თორგომისაგან ჩამომდინარებენო. თუ ამ თქმულობას დავუჯერებთ, ქართველები არიელნი უნდა იყვნენო, რადგანაც სომხები არიის თესლისად არიან ცნობილნი მეცნიერებისაგანაო. მაგრამაო, განაგრძობს ჩვენი ავტორი, უკეთესი ლინგვისტები ევროპისანი ქართულს ენას არ აკუთვნებენ არც არიულ ენებს, არც სემიტურებს და არც თურანულებსაო. კლაპროტი და სხვანი მკვლევარნი ენისანი

უფრო იმაზე დაგანან, რომ ქართული ენა არის რაღაც მთლად განცალკევებული, როგორც ენა ბასკებისაო. ჩვენი ავტორი, როგორც ყველაფერში, ისეც ამ შემთხვევაში, უარყოფის გუნებაზეა და ამ „ევროპის უკეთესს ლინგვისტებსა“ და მათთან ერთად კლაპროტსაც აზრს ურღვევს და ამბობს, ჩვენთვის შესაძლებელიაო ანალოგიით (რომელის ანალოგიით?) ის დავასკვნათ, რომ ქართული ენა, თუმცა თვალსაჩინოდ განირჩევა არიულ, სემიტურ და თურანულ ენებისაგან, მაგრამ ზოგიერთ მუხლში ნათესაობაცა აქვს ამ ენებთანაო*. განირჩევა იქითიო, რომ არიულს ენებს ორ-ასოიანი ფესვი აქვთ, სემიტურს — სამ-ასოიანი და ქართულს კი ორ-ასოიანიც, სამიანიც და ერთ-ასოიანიცაო. სთქვა და დაჰკრა თავისის ავტორიტეტობის ბეჭედი. თუმცა ესეა, მაგრამ ყოველივე ეს ბჭკნარი ტყუილია, ავტორისაგან მოგონილი. ყველა ამ ენებშია ერთ-ასოიანი ფესვიც, ორ-ასოიანიც, სამ-ასოიანიც, ოთხიანიც და მეტიანიც. საკმაოა ავტორის გასამტყუნებლად მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი სხვათა მრავალთა შორის, რომ სიტყვა არ გაგვიჭიანურდეს: მაგალითებრ, ძაღლი სანსკრიტულად cva (ფესვი cvan და çun), ბერძნულად „კიონ“ (ფესვი „კიონ“ და „კინ“), ლათინურად cani, გერმანულად hun-d**. აი სხვა მაგალითებიც, საცა უეჭველია ფესვი ერთ-ასოიანი, ორ-ასოიანი, სამიანი და ოთხიანიც არიულ ენებში: i=სვლა, ma=ზომვა, vdi=ხედვა, ნახვა, gno=ჩვენი გონი, საიდამაც წამოსულია რუსული знать, ინგლისური Know*** და იქნება ჩვენებური „ცნა“-ც, bhidh=ჩხვლეტა, bhudh=გაღვიძება. აბა, თითებზედ დასთვალოს ჩვენმა ავტორმა რამდენი ასოა ამ არიულ სიტყვათა ფესვებში. ან იქნება ჩვენ არ დაგვიჯეროს, რომ ფესვების საქმე ესეა. მაშ აბა, ერთი სხოლიოში მოხსენებულ მეცნიერთა წიგნებს გადახედოს ავტორმა და თავის одним штрихом მკლავი გადაჰხვიოს. თუ ესეა, მაშ ტყუილი ბაიათი არ არის ავტორისა, რომ ვითომ ფესვის ასოთა რიცხვით განირჩევიან არიული, სემიტური და ქართული ენები, მერე თვალსაჩინოდაც! თვალსაჩინო კი არა, მარტო თვალხუჭუნობით თუ მოელანდება კაცს ამისთანა ტყუილი საბუთი

* Сев Вест., № 2, გვ. 58. 59.

** შრადერი, შედარებითი ენათა-ცოდნა, გვ. 195, 446.

*** ტეილორი, ანტროპოლოგია, გვერდი 142.

გარჩევისა. რა თქმა უნდა, არიული, სემიტური და ქართული ენები განირჩევიან, მაგრამ რით? ამას ავტორი მერე გვეტყვის, როცა ჰკუას ისწავლის. ეხლა-კი თავისი ზღაპარი უკან წაიღოს, სხვაგან გამოადგება.

ეს ხომ თვალსაჩინო გასარჩევი მოგვცა ხსენებულ ენებისა. ეხლა ნახეთ — რა სასაცილო საბუთს იძლევა ამ ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად წინააღმდეგ კლაპროტისა და სხვათა ევროპის უკეთეს ლინგვისტებისა. იგი ამბობს:

Существование сродства грузинского языка с упомянутыми (арийскими, семитическими и туранскими) языками доказывается уже тем, что раньше одни из лингвистов причисляли его к арийскому, другие — семитическому, а третьи — даже к туранскому семейству*.

გესმით ეს „доказывается уже тем"! ეს რა არის: ბოდვაა, თუ ჰკუათა-მყოფელის დალაგებული საუბარი! თუ ევროპის უკეთესნი ლინგვისტნი და იმათ შორის კლაპროტიც ქართულ ენას არ აკუთვნებენ არც არიულს, არც სემიტურს, არც თურანულს. მაშ ტყუილი უნდა იყოს აზრი წინანდელ ლინგვისტებისა, რომელთა შორის, ავტორის სიტყვით, ზოგნი არიულს აკუთვნებდნენ, ზოგნი სემიტურს და ზოგნი თურანულს. აშკარაა, წინანდელი ლინგვისტები სტყუოდნენ, რადგანაც უკეთესნი, ავტორისავე სიტყვით, სულ სხვას ამბობენ: თუ ესეა, მაშ ჩვენის ავტორის „доказывается уже тем"... რა არის? ის არის, რომ, მტკიცდებაო იმითი, რაც ევროპის უკეთესთა მეცნიერთა აზრით — მართალი არ გამოდგაო. გაგონილა დამტკიცება რისამე იმ საბუთით, რომელიც მართალი არ არის?! თუ არ გაგიგონიათ, ეხლა გაიგონეთო, გვეუბნება ავტორი, რომელსაც ღმერთმა მიანიჭა постичь историю и одним штрихом обнять ея перспективу. ერთი ამგვარი გენიოსი-ღა აკლდა Новое Обозрение-ს და დახე, ყოვლად მოწყალე ღმერთმა ამ გენიოსსაც იქ ამოაყოფინა თავი. ამაზეა ნათქვამი: მიეცეს და მიემატოსო.

დღეს გაბათილებულია წინანდელ ლინგვისტების დანასკვნი, რომ ქართულს ენას აკუთვნებდნენ ხან არიულს, ხან სემიტურს, ხან თურანულს ოჯახს ენებისას. ევროპის უკეთესმა ლინგვისტებმა და იმათ შორის ჩვენის ავტორის კლაპროტმაც

* იხ. Вестн., № 2, გვერდი 56, სხოლიო 2.

წინანდელ ლინგვისტებს ჩაილულის წყალი დაალევინეს და ქართული ენა ყველა ამ ენებისაგან განსაკუთრებულ ენად ჩასთვალეს. თუ ესეა, რომ ქართული ენა რაღაც განსაკუთრებული ენააო, უკეთესთა მეცნიერთა აზრით, — სხვა რაღა უნდოდა ავტორს? უსათუოდ ჩვენი ავტორი ევროპის უკეთესთა ლინგვისტებზე უფრო უკეთესი ყოფილა, თორემ — თქვენგან არ გვიკვირს — Новое Обозрение-ში, ამ ბრძენთა ბრძნულ გაზეთში, ის ფეხს მოიკიდებდა და ქადაგად ჩავარდებოდა?! Новое Обозрение-ლებსაც აქვთ ხომ ის უნარი „постичь историю и обнять одним штрихом ея перспективу“. ამიტომაც ჩვენმა ავტორმა და Новое Обозрение-მ სუნით მიაგნეს ერთმანეთს. ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო.

ან ვინ გაამტყუნებს Новое Обозрение-ს, რომ აიღო და თავის ფურცლებზედ ნება მისცა ჩვენს ავტორს ქადაგად ჩავარდნილიყო. Новое Обозрение-მ обняло одним штрихом, რომ აქ ვიღაც გოლიათთანა აქვს საქმე, იმისთანა გოლიათთან, რომელმაც ჯიბეში ჩაისხა ყველა ლინგვისტები ერთად. იქნება არ დაიჯეროთ! ჩვენმა ავტორმა გამოიცნა, რომ ხაზარების ენა აქ, ჩვენში, სადღაც ისე შენახულა, როგორც კიროსის დროს ყოფილა*. აბა, Новое Обозрение კი იქნებოდა და ამ ცოცხალ-ცოცხალ ტყუილის მთქმელს ორსავე კარს არ გაუღებდა! წარმოიდგინეთ, რომ მეცნიერებამ დღეს-აქამომდე, არამც თუ ენა ხაზარებისა, ვინაობაც კი არ იცის; ვინ იყვნენ ხაზარები, ერთი რომელიმე ერი იყო, თუ კრებული მრავალ ერებისა, ჯერ არავის გამოუცვნია. ამათგან ერთი იოტის ოდენა ნაშთიც არ დარჩენილა, რომ კაცმა ვარაუდობით მაინც მიაგნოს — ვინ და რა ეგულებოდათ ხაზარების სახელ-ქვეშ ამის მხსენებელ მემატიანეთა. ერთს სიტყვასაც ამ ხაზარების ენისას არ მოუღწევია მეცნიერთა ყურამდე და ჩვენს ავტორს-კი, არამც თუ ამ ხაზარების ვინაობა სცოდნია, ენაც-კი ისე დაუხსომებია, ისე ზედმიწევნით შეუსწავლია, რომ შეუდარებია კიდეც უწინდელი ეხლანდელ ჩვენში მყოფთ ხაზართა ენასთან და დაუნახავს, რომ იგი დღეს თითქმის იმისთანავეა, როგორიც კიროსის დროს იყო, ესე იგი ორი

---

* ნახეთ сев. Вестн., № 3, გვ. 40.

ათას ოთხასის წლის წინათ. თუ კაცია, ქვეყანაზედ ამას ვრთი ლინგვისტი იტყვის, და ჩვენმა ავტორმა-კი სთქვა.

ამ სახით ჩაისხა ავტორმა ყველა ლინგვისტები ერთად ჯიბეში! არ ვიცით, ჯიბე მისი დაიტევს თუ არა ამოდენა ხალხს და ტყუილების მაფრაშა-კი ამისათვის მეტიც მოვა, იმიტომ რომ ტყუილების მაფრაშა თუნდ მთელს ქვეყანას გასწვდება.

რაც გნებავთ დაარქვით ამისთანა თავგასულობას ცოცხალის და მოურიდებელის ტყუილისას და ავტორი-კი მაინც თავმოწონებულია, რომ აქაც პირველობის ბურთი მან გაიტანა მოედნიდამ და ტყუილების პარკში შეინახა უთაკილებლად. არა გვგონია, მართლმოყვარე Новое Обозрение-ს ამისთანა ვაჭბედავი მთქმელი სხვა ჰყვანდეს. ჩვენმა ავტორმა ამისთანებში ყველას იქ მყოფს აჯობა და დაფნის გვირგვინი სამართლით ამას უფრო ეკუთვნის, ვიდრე სხვას. აკი არარაისგან არ იქნება არა რაიცაო! აი, თუ არ იქნება: დღეს ხაზართა არც ენაა ქვეყნიერობაზედ, არც თითონ ხაზარები არიან სადმე. არსად ერთი სიტყვაც არ დარჩენილა უწინდელ ხაზართა ენისაგან და ჩვენმა ავტორმა-კი ერთიცა, მეორეც და მესამეც იპოვნა კიდეც, — მერე სად? ჩვენში! — კიდეც შეადარა ჩვენში ნაპოვნი ხაზარული ენა კიროსის დროინდელთან და აუწყა ქვეყანას, რომ ხაზართა დღევანდელი ენა თითქმის ივიკვა, რაც კიროსის დროისაო. ერთი, არ შეიძლება, წყალობა მოიღოს ავტორმა და ერთი ფრაზა მაინც ხაზარულისა ან კიროსის დროინდელი, ან ეხლანდელი, გამოაცხადოს Новое Обозрение-ს ფურცლებზედ! აბა, ამას ჰქვიან одним [illegible], აი!

ჩვენ-კი ყურებში თითი დაგვიცვია ამ სიდიდე ტყუილის წინაშე და ავტორმა ხომ თავისი იცის: ის მოატყუოს, ვინც მოუტყუებია, და ამისთანები ხომ ყველგან არიან. გულს ნუ გაიტეხს. მით უფრო, რომ ამ ბოლოს დროს იმისთანა მართლმოყვარე ავტორიტეტმა გადააფარა თავისი ძლევამოსილი კალთა, როგორც Новое Обозрение-ა და მისი უშიშარი და უწუნარი დამჭაშები. ვინ გაუძლოს!

ჩვენ ვერ მოგვითმენია, რომ ქართულის ენის შესახებ არ მოგვყვანოთ აზრი ერთის, საუბედუროდ, უდროოდ გარდაცვალებულის მეცნიერისა, რომელმაც დიდი პატივი დაიმსახურა მეცნიერთა შორის პირველ დაწყებითვე.

ეჭლა შეგვიძლიან დავასკვნათ, — ამბობს იგი, — რომ მის მეტებული ნაწილი ქართულ სახელ-არსებითისა და ყველა იმის ფესვთა ეკუთვნიან განსაკუთრებულს გვარსა, რომელსაც ჩვენ „ქართულის გვარს“ ვუწოდებთ. თუ მომეტებული ნაწილი ამ სიტყვებისა იპოვება სომხურს ენაში, ეს იმას ამტკიცებს, რომ იგინი სომხურს ენას შეუთვისებია ქართულის ენისაგან, რომელიც ოდესღაც დიად გავრცელებული უნდა ყოფილიყო დიდს სომხეთში, ვიდრე არიელები შემოვიდოდნენ. შესაძლებელია, რომ თვით ენას ალბანელებისას კავშირი ჰქონოდა ქართულის ენის ნათესაობასთან. და თუ ეს უკანასკნელი ჰიპოთეზი შესაწყნარებელია, შესაწყნარებელი უნდა იყოს ის აზრიცა, რომ თავდაპირველად ქართველების მეზობლად უცხოვრიათ ალბანელებს, რომელნიც ბოლოს დროს დაუშორებიათ სომხებს-არიელებს*. სომხურის ენის ლექსიკონი, ღარიბი სემიტურის სიტყვებით, შეიცავს მრავალს სიტყვას, შეთვისებულს ქართულისაგან და სხვა კავკასიურ ენებისაგან, რომელთაც უმოქმედნიათ იმის სინტაქსისის წარმატებაზედაც. ამის გამო შეუძლებელია ზედმიწევნით სომხურის ენის შესწავლა, თუ რომ წინათვე შესწავლული არა გაქვთ ქართული და სხვა კავკასიური ენები... ქართულის შესწავლით მე ვცან დიდი მნიშვნელობა ამ ენისა სომხურის ენის გამოკვლევისათვის და ვიდრე სომხურის ენის გრამატიკას გამოვცემდი, შევუდეგ, თვით ედ. დელორიეს (განთქმული არმენოლოგია) რჩევით, ქართულის შესწავლასა იმ განზრახვით, რომ გამომეკვლია, — რა ეკუთვნის სომხურში ქართულს ენასა. უამისოდ სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა მეცნიერულ საძირკველსა და მეთოდს**.

რაღა თქმა უნდა, არც ამას დაიჯერებს ჩვენი ავტორი, როგორც არ იჯერებს ლენორმანის ნათქვამს. ეგ მისი ნებაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თვითნებობა და ჭირვეულობა. ეს რომ დაიჯეროს, ქართული ენა ხომ ცოტად მაინც პატივში ჩავარდება, და ეს, როგორც ვნახავთ, ავტორის ანგარიშში არ შე-

---

* გატტერიასი: ლინგვისტური ეტიუდი ქართულის ენის შესახებ, 15 ივლისს, 1881 წ.

** იგივე გატტერიასი: სომხეთი (არმენია) და სომხები, 1882 წ. ეს გატტერიას აზრი ჩართული აქვს ბ-ნს ბაქრაძეს თავის ახალ ისტორიაში და აქიდამ ჩვენ სიტყვა-სიტყვით ამოვწერეთ.

დის. ავტორს სურს, ქართული ენა არიულის, სემიტურის და თურანულის ნაბიჭვრად გაჰხადოს ჩამომავლობით, და ღირსებით ხომ თითქმის მიწასთან გაასწოროს, როგორც ყველაფერი, რასაც-კი ქართული სახელი ჰქვიან. ეს მოსწონთ-და ბულვარის აკადემიის წვრილფეხობას, და ჩვენის ავტორის მსგავს კაცისათვის დიდი გულადობა და უნარი იქნება ამ წვრილფეხობის ტაშს ყური არ ათხოვოს და არ წაეცდენინოს.

ავტორმა სხვა არა გვაუწყა-რა შესახებ ქართულის ენის ფილოლოგიისა. ის არის და ის, რაც ზემოთ მოვიყვანეთ. ახლა ხომ გაარჩია მითამ ფილოლოგიური აგებულება ჩვენის ენისა და გამოარკვია მისი გვარეულობა, მას მერმეთ შეუდგა მის ისტორიის მოთხრობასაც. ეგ ენაო ფლექსიური ენააო, — გვეუბნება ამ ახალს ამბავს ჩვენი ახალი ისტორიკოსი, — და ეხლანდელი ქართულიო ისე ცოტად განსხვავებულია ძველ-ქართულისაგან, რომ შუა საუკუნეთა თხზულებას დღევანდელი ქართველი ადვილად ჰკითხულობს და ადვილადაც ესმისო. ეს გარემოება გვაჩვენებს, რა ცოტად წარუმატნია, რა ცოტად განვითარებულა ქართული ენაო. დიაღ, ეგრე გახლავთ: იტალიელნი დანტეს (+1321 წ.), ტორკვატო ტასსოს (+1595 წ.) დღეს ადვილად ჰკითხულობენ და ადვილად იგებენ წაკითხულსა და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მას აქეთ იტალიური ენა ძალიან ცოტად წინ წასულა და განვითარებულა!

იმას ხომ არა კმარობს ავტორი, რომ ეს საბუთი არ არის ენის წარუმატებლობისა და განუვითარებლობისა, იმასაც იძახის, — აქედამ ცხადად ვხედავთო ქართულის ენის შეგვიანებას წარმატების გზაზედაო. აქედამ უნდა ვიგულვოთო, რომ ისტორიის წინათ-დროს სვლა ქართულის ენის წარმატებისა უფრო მძიმედ მიდიოდაო. ვინ იცის, რამდენი დაუსრულებელად დიდი დრო გავიდა, ვიდრე ქართული საფლექსიო ხანამდე მოაღწევდაო. სად, როდის და რა გარემოებით მოხდა ეს ამბავი, არავინ იცისო, მაშინ როდესაც მხოლოდ ისტორიას ენისას შეეძლო დაეხატა ჩვენთვის სრული სურათი ქართველების ავ-კარგიანობისა ისტორიის წინათ-დროსაო. ამით ათავებს ავტორი ჩვენის ენის ისტორიას და ეს ისტორიაა, თუ არა, თქვენვე გამოიცანით. ეს ისეთი ისტორიაა ენისა, როგორც ასტრონომიაა — კაცმა სთქვას: დღისით სინათლეა და ღამით

ბნელიაო. აქ ის ღირსება მაინც არის, რომ ყურებ-დასაცმელი ტყუილი ცოტაა.

რაც აქ დააკლო ავტორმა, ის იქ შეასრულა, როცა ჩვენს მწიგნობრობაზე გადადის. არავინ იცისო, ამბობს ავტორი, როდის შემოიღეს ხუცური ანბანიო. სომხებს რომ დაუჯეროთ, — ქართული ხუცური ანბანი იმ მესროფმა შემოიღო, რომელმაც სომხური ანბანი შეადგინაო. სჯერა თითქმის ჩვენს ავტორს ეს ამბავი და უმატებს, არა გვგონია ქრისტიანობამდე ქართველებს ანბანი ჰქონოდეთო. მართალია, ქართული მატიანე და იმის ამყოლი ბარათაშვილი და სხვა ისტორიკოსები ამტკიცებენ, ვითომც ქართული მხედრული ანბანი შემოღებული არის III საუკუნეში, ფარნავაზის დროსაო, მაგრამაო:

„Это утверждение не только идет в разрез с общим законом развития народов, но и со всем ходом развития Грузии (Сев. Вест. № 3, გვ. 49).

ეხლავ დაინახავთ — რა კარგად სცოდნია ჩვენს ავტორს ეს „общие законы развития народов". ჯერ თითონ ავტორსა ვკითხოთ: რას ჰნიშნავს ეს მისი разрез-и с общими законами развития народов. აი რასაო:

„Грузинская гражданская азбука мхедрули звуковая, между тем, древнейший в мире памятник звукового азбучного письма (надпись на гробе царя Ашманацора, найденная близ Сидона) относится, как известно, лишь ко II в. до Р. Х., а следовательно, в III. в. до Р. Х. грузины не могли знать звукового азбучного письма" (Сев. Вестник, № 3, გვ. 49).

ანუ, მოკლედ ვსთქვათ, ქართველებს საიდამ ექნებოდათ ხმოვანი ანბანი, როცა ქრისტეს წინათ მეორე საუკუნემდე ქვეყანაზედ არავისა ჰქონიაო. მთელმა ქვეყანამ იცის, ჩვენის ავტორის მეტმა, რომ ხმოვანი ასოები ჯერ კიდევ ეგვიპტელთა ჰქონდათ, ამათგან გადავიდა ფინიკიაში და ფინიკიელებმა შეადგინეს მას მერმეთ სრული ხმოვანი ანბანი და მთელს ქვეყანას მოჰფინეს. ყველანი, ვისაც კი ამ საქმისა გაუგია რამ, ამბობენ, რომ ხმოვანი ანბანი ათასს წელიწადზე უფრო ადრე ქრისტეს წინათ შემოღებულიაო. ზოგი ორი ათასს წელიწადზედ მეტსაც ჰფიქრობს ქრისტეს წინათ* და ათასზედ ნაკლებ-კი არავინ. შორს რათ მივდივართ, თითონ იმ აშმანა-

* ტრაჩევსკი, ძველი ისტორია, გვერდი 18.

ცორის საფლავზედ ზედწარწერილი, რომელსაც ჩვენი ავტორი ზემოთ იხსენიებს, მეორე საუკუნეს-კი არა, მეთერთმეტე საუკუნეს ეკუთვნის ქრისტეს წინათ. ეს ამბავი ჩვენს ავტორს ამოუწერია კორშის თხზულებიდამ, მაგრამ თავისის „одним штрихом" ვერ გაუგია სიტყვები კორშისა, რომელსაც ხშირად იმოწმებს ხოლმე ჩვენი ავტორი თავის წერილებში. აი კორში რას ამბობს:

„Древнейший из сохранившихся памятников азбучного письма относится к одиннадцатому веку до христианской эры... Это надпись на гробе царя Ашманацора, найденная близ Финикийского Сидона" (Всеоб. ист. лит., т. I, стр. 81).

ეხლა კიდევ ჩვენ ვეტყვით ავტორს მისსავე სიტყვებს, რომელიც ჩვენზედ იმან სთქვა „Новое обозрение"-ს № 1847:

„...Увы, знать заглавие книги и уметь пользоваться ею — далеко не одно и тоже".

კაცს ვერ გაურჩევია თერთმეტი (ასოებით დაწერილი და არა ციფრებით) ორისაგან და სხვას-კი ასე გაბედულად უსაყვედურებს. ვსთქვათ, არ იცოდა ავტორმა, რომ ხმოვანი ანბანი მეორე საუკუნის ამბავი არ არის და ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნეს ქრისტეს წინათ, ვსთქვათ — მისი უნარი „постичь историю и обнять ее одним штрихом" იქამდე „დარდაკია", რომ ზემო-მოყვანილი კორშის სიტყვებიც ვერ გაუგია, — ის კრიტიკული ნიჭი სადღა დაემალა, რომ ეფიქრა, — ამ ჰეროდოტეს რომ ვახსენებ ჩემს წერილებში, რა ანბანითა სწერდაო. ხმოვანი ანბანი მეორე საუკუნეს ქრ. წინათ შემოიღესო. მაშ, ჰეროდოტე, რომელიც 484 წელს იყო ქრისტეს წინათ, თუკიდიდი (474 წ. ქრ. წინათ), სოფოკლი (490 წ. ქრისტეს წინათ), პინდარი (520 წ. ქრ. წინათ) ჰიეროგლიფებითა, იდეოგრამებითა და ლურსმულითა სწერდნენ?! სხვას ნუღარავის დავასახელებთ, ესეც ეყოფა ჩვენს ავტორს ძილადაც და სიზმრადაც.

ეს გახლავთ მისი в разрез с общими законами развития народов.

კიდევ ვიტყვით: დალოცვილს, ესე კარგად სად უსწავლია ეს общие законы развития народов. აკი მოგახსენეთ, რაც ზევით დააკლო ავტორმა, აქ შეგვისრულებს მეთქი. ამისთანა უებრო ტყუილისათვის უპრიანიც იყო, ცოტა შეესვენა.

წერილი მერვე

ჩვენ, რასაკვირველია, სახეში არა გვქონია და არცა გვაქვს ან ჰო ვსთქვათ და ან არა მასზედ, თუ — როდის და ვისგან იყო შემოღებული ქართული ხმოვანი (ფონეტური) ანბანი და ან რომელი ადრეა შემოღებული — ხუცური თუ მხედრული. ეს ჩვენზედ უკეთესად მცოდნეს დავანებოთ. ჩვენ მივყვეთ ისევ მტყუანს ტყუილის კარამდინ.

საქმე ის არის, — ჩვენს ავტორს „Письмо о Грузии“-სას გაუგონია, ალია მომკვრადაო და არ იცის-კი, რომელი ალია. ალალ ბედად ყური სადღაც ჰოუკრავს, რომ ეხლანდელს დროში ერთად-ერთი სახსარი, ერთად-ერთი გზა გამოძიებისა და ჰართლის კვლევისა კრიტიკაა, და ვერ დაუსწავლია, ვერ შეუთვისებია-კი, ეს კრიტიკა რა ხილია. ამ ბატონს ჰგონია. ვითომც კრიტიკა მარტო აშას კვრაა, ანუ სალდათური „ატ-კაზი“. ბალღური, ანუ უკეთ ვსთქვათ, ქუჩური კრიტიკა ხომ იმაში მდგომარეობს, რომ წუნი დასდო იმასაც-კი, რაც დასაწუნარი არ არის და საცა „ჰოა“ სათქმელი, იქაც „არა“ სთქვა, და ამისათვის თუნდ ლოღიკა გაიწიროს, თუნდ ჭეშმარიტება გაითელოს, თუნდ მართლმსჯელობა გაიღახოს, ბევრს არაფერს დაგიდევს. ეს არის იგი ქუჩური კრიტიკა, რომელსაც დღეს ჩვენში დიდძალი ტაშის მკვრელი ჰყავს ჩვენს ბულვარზედ. ხოლო არის სხვა კრიტიკა, რომელსაც [მეცნიერული კრიტიკა] ჰქვიან. იგი „ჰოს“ სათქმელსაც და „არას“ სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით, ერთნაირის აწონდაწონით ეპყრობა. იგი იმითაა ღირსეული, რომ „ჰოს“ საბუთსაც ისეთისავე გულმოდგინებით იძიებს, როგორც „არას“ საბუთსა, რადგანაც სახეში მარტო მართალი აქვს და სხვა არარა. ამისთანა კრიტიკა მართლმოყვარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი: თუნდ რომ „ჰოს“ გზით შეუდგეს თავის საქმეს, თუნდ არას “გზით, ორმავე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს. ამიტომაც კრიტიკა ერთს გზასაც ჰხმარობს და მეორესაც, იმისდა მიხედვით, თუ — რა საქმეში რომელი უფრო უტყუარად და ადვილად აპოვნინებს მართალს.

როგორც ეტყობა, ამ უკანასკნელის მხრით ჩვენი ავტორი არ იცნობს კრიტიკასა და ამიტომაც თითქო უფიქრნია, თუ ყველაფერზედ აშა არა ვკარ, ყველაფერს წუნი არ დავსდე.

კარგიც ცუდად არ ვაქციე, ტყუილს „არას“ მართალი „ჰო“ არ გავაბათილებინე, ან ტყუილს „ჰოს“ — მართალი „არა“, კრიტიკოსად არვინ ჩამთვლისო. სხვა გზით არ აიხსნება იგი უცნაური ქცევა ავტორისა, რომლის გამო იძულებულ ვართ ეხლა საუბარი ჩამოვაგდოთ.

ჩვენს ავტორს თითქო გულში ეკლად სცემია, რომ უსლარმა — ამ ყველასაგან ცნობილმა და პატივცემულმა მეცნიერმა — ჩვენი ქართული ანბანი მოიწონა და სთქვა, ამისთანა სრული და სავსე ანბანი არავისა აქვს ქვეყანაზედაო. თითონ ჩვენს ავტორს მოჰყავს ეს აზრი უსლარისა*.

აბა, ბალღური კრიტიკა როგორ შეიშვნევდა ამ ქებას, რაღა კრიტიკაა, თუ აქებ, თუნდ მართლა საქებურიც რამ იყოს!.. როგორ თუ გაჰბედა ვინმე და ქართველს რამ უქოვო, — თითქო ატკეცილა ამაზედ ავტორი, მოსულა გულზედა და გვეუბნება, — აბა, სწორედ ეგ ანბანის სავსეობა და სისრულე ამტკიცებსო, რომ ქართულს ენას მაგდენი არა წარუმატნია-რა და არ განვითარებულაო.

თუ ენის წარმატებას რაიმე დამოკიდებულება აქვს ანბანის მეტ ნაკლებობაზედ, — რა თქმა უნდა — სავსეობა და სისრულე ანბანისა უეჭველი ნიშანი უნდა იყოს ენის წარმატებისა და განვითარებისა. თუმცა ესეთი დამოკიდებულება ყინულზე დაწერილი თამასუქია ჩვენის ავტორისა, მაგრამ ცოტას ხანს დავუჯეროთ ეს ამბავი და ერთი ვნახოთ, ჩვენს ქებურ ანბანისაგან რა უცნაურს საწუნარს გამოატყვრენს. მართალიაო, ამბობს ჩვენი ავტორი, უსლარი უქებს ქართულს ანბანს სისრულესა და სავსეობასა, მაგრამაო.

„Это обстоятельство еще более подтверждает (?) наше мнение (!!!), высказанное в предыдущих письмах относительно заметно выраженной медленности развития грузинского языка. Если бы он развивался полнее и быстрее, в нем непременно (?!) появились-бы, как это мы видим в других языках, некоторые новые особенности, хотя-бы, напр. сложные гласные“ (Сев. Вест., № 3, გვ. 50).

ამასაც ჰქვიან გამგელებული მადა ბალღურის კრიტიკისა. ჩვენს ავტორს არა სცოდნია, რომ ყველა ენას თავისი საკუ-

---

* Сев. Вест., № 3, გვ. 50.

თარი ანბანი იმიტომა აქვს, რომ თავისი სიტყვები წერით გამოათქმევინოს ასოებს. ვინ არ იცის, ჩვენის ავტორის მეტმა, რომ ანბანი საზოგადოდ მარტო იმ ხმების კრებულია, რომელთაც ენა საჭიროებს თავის სიტყვების გამოსათქმელად და რომელნიც აღინიშნებიან, გამოიხატებიან ასოებით. ანბანი წარმომადგენელია მარტო იმ ხმებისა, რომელნიც ენაში არსებობენ. ანბანის ავკარგიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენის სავსეობითა და სისრულით ჰშველის ენას — მისი სიტყვები განგებ შემოღებულ ნიშნებით, ესე იგი ასოებით, გამოსთქვას წერითა.

უსლარს, რასაკვირველია, ჩვენს ავტორზედ უკეთ სცოდნია ეს ერთად-ერთი ღირსება ანბანისა და ამიტომაც, რაკი ჩაჰკვირვებია ჩვენს ანბანს, დაუნახავს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა ასო, რომ რა ხმის ნიშანიც არის, ის არ გამოითქმებოდეს; არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით, უმეტ-ნაკლეობით გამოსათქმელად შესაფერი ასო არა ჰქონდესო. ამიტომაც მართლწერა ქართულისა ისე გაადვილებულია, ისე განმარტივებული, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზედ არ მეგულებაო. სავსეობა და სისრულე ანბანისაც ამაშია და სხვა არარაში. სხვა რაღა უნდა მოეთხოვებოდეს ენას, ანუ ენის პატრონს ერს, როცა თავის სიტყვების დასაწერად თავის ანბანსა ჰქმნის?

არაო, — გვეუბნება ჩვენი ავგუნებიანი ავტორი, — რატომ „რთული ხმოვანი“ ასოები არა გაქვთო. გაგონილა! თუ ენას არ ესაჭიროება, რად უნდა ტყუილ-უბრალოდ ის რაღაც „რთული ხმოვანებია“! სხვა ენის სიტყვების დასაწერად და გამოსათქმელად თუ? თუ ესეა, ეს რა თავში საცემია ქართულის ენისათვის, რომელსაც იმდენი და ისეთი ხმოვანი ასოები აქვს ანბანში, რამდენიც და როგორიც საჭიროა მისთვის. თუნდ ესეც არ იყოს, რა საბუთია ენის წარმატებულობისა და განვითარებისა რთული ხმოვანები? ან რა არის ეგ რთული ხმოვანები? ამისთანა ტერმინი ჩვენ არსად შეგვხვედრია. მეცნიერებაში ხმარობენ ამისათვის სულ სხვა ტერმინს, სახელდობრ, ორკეცი, ანუ ორმარცვლოვანი* ხმოვანიო. თუ ორკეცი, ორმარცვლოვანი ხმოვანი ნიშანია ენის წარმატებულობისა

---

* Двусложные.

და განვითარებულობისა, მაშ ესტონური ენა ძალიან განვითარებული და წარმატებული უნდა იყოს, რადგანაც ცხრა ხმოვან ასოთა შორის ბევრი ორკეცი ხმოვანიცა აქვს*. ამაზედ უფრო უკეთესს მაგალითს წარმოგვიდგენს ჰოტენტოტების ენა, რომელსაც თორმეტი ორკეცი ხმოვანი აქვს**. მაშ, ჩვენის ავტორის თეორიით, ჰოტენტოტების ენა დიდად წარმატებული და განვითარებული ენა უნდა იყოს, რადგანაც იმოდენა ორკეც ხმოვანს არა ევროპიული ენა ვერ წარმოგვიდგენს. თუნდ ეგეც არ იყოს, არის ბევრი იმისთანა ენა, რომელსაც ძველად ორკეცი ხმოვანები ჰქონია და, რაოდენადაც წარმატებაში შესულა, იმოდენად ცდილა ორკეცი ხმოვანი ერთხმოვანად გადაექცია. მაგალითებრ, კლასიკური ლათინური ენა, რომელიც ყოველთ უწინარეს იმითი განესხვავება ძველს ლათინურს, რომ ორკეცი ხმოვანები ერთხმოვანებად გადაიქცია: თითქმის ყველა ორკეცი ხმოვანი, „au“-ს გარდა, ერთს გრძელ ხმოვანებად შეიცვალა***. ჩვენის ავტორის ტყუილი თეორია რომ დავიჯეროთ, გამოვა, — ვითომც კლასიკური ლათინური ნაკლებ წარმატებული და განვითარებული იყოს ძველს ლათინურზე, რადგანაც ის ორკეცი ხმოვანებიც გაიუქმა, რაც ძველს ენაში იყო, და არამც თუ მოიმატა რამ ახალი.

გაგონილა!.. გაგონილა ასეთი ლაგამ-წამოყრილი ლაპარაკი სამეცნიერო საგნებზედ!.. საკვირველია, საიდამ იგონებს ამისთანა უცნაურს საბუთებს ეს მართლა და უცნაური და რაღაც ჯადოთი შელოცვილი ავტორი. აქ რა არის, თუ არ ბალღური დაჟინება, რომ კრიტიკა მარტო მაშინ არის კრიტიკა, როცა სწუნობ რასმე, თუნდ საწუნარიც არ იყოს. ან რაზედ შეჰშურდა, რომ საწყალ ქართველებს ეს ერთი რამ მაინც უქნეს ევროპიელებმა, და ეს ერთად-ერთი მადლი მატლად რაზედ გადაგვიქცია! ასე იცის განგებ აკვიატებულმა აზრმა, უვიცობაზედ შემჯდარმა: გინდა თუ არა, ჰსურს გადალახოს ყოველივე ქართული და ამისათვის კარგსაც ცხვირში ძმრად გვადენს, მერე ისე, რომ ტყუილს ყველგან კუდი გარედგან ჰრჩება. ესეც კია: ჩვენი მართლა-და მოსაწონი ანბანი რომ ექო, რას

---

* ოველაკ. ლინგვისტიკა, გვ. 93.

** იქვე, გვ. 48.

*** იქვე, გვ. 227.

ეტყოდა ავტორს ჩვენი აკადემია ბულვარისა, — ეგ რაღა „отрицание“ და კრიტიკააო, თუკი ქება და მოწონება წამოგცდებოდაო.

ეხლა დროა ვიკითხოთ, — რა დამოკიდებულება აქვს ენის წარმატებას ანბანის მეტ-ნაკლებობაზედ. სლავიანური ენა კირილესა და მეთოდეს დროს განა უფრო განვითარებული იყო და წარმატებული, რომ მაშინაც ჰქონდა „რთული ხმოვანები“, როგორც მაგალითებრ — „я“, „ю“, რომელთაც ჩვენ „რთულს“ ვეძახით, ანუ უკეთ ვსთქვათ, ორ-ხმოვანებს, რადგანაც სხვა ხმის მოუშველებლად ვერ გამოითქმებიან. ინგლისური ანბანი დღესაც სხვა ანბანზედ უფრო ნაკლულია, უფრო უკან ჩამორჩომილი. ინგლისელნი ერთსა სწერენ და სულ სხვას ამოიკითხვენ ხოლმე. იქ სიტყვა წერით ერთია, წაკითხვით სხვა და ხშირად ისეც არის, რომ სამი სხვადასხვანაირად დაწერილი და სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა ერთნაირად გამოითქმის, ასე რომ მნიშვნელობას მაშინ გაიგებთ, როცა დაწერილსა ჰნახავთ. მაგალითებრ, write=წერა, right=უფლება (право), rite=წესი (обряд). ამ სამსავე სიტყვას ერთნაირად ჰკითხულობენ ინგლისელნი და გამოითქმის როგორც „რაიტ“, სხვადასხვა-ნაირად კი იწერება და სხვადასხვა მნიშვნელობისაა. ტეილორი ამ ამბავს დიდ ნაკლად უთვლის ინგლისურს ანბანს, მაგრამ განა ამითი ითქმის, რომ ინგლისური ენა განუვითარებელია? ჩვენ მოვიყვანეთ ორი მაგალითი, რომ ანბანის მეტ-ნაკლებობა არაფრად შეეხება ენის წარმატებას არც მაშინ, როცა „რთული“ ხმოვანებია ანბანში, არც მაშინ, როცა ანბანი ნაკლულია. მაშასადამე, ენის წარმატებასთან ანბანის მეტ-ნაკლებობას არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს. ესე რომ არ იყოს, მაშ როცა ჰოტენტოტები იქამდე წარიმატებენ, რომ თავის ანბანს იქონიებენ და იმ ანბანში თორმეტს ორკეცს, ანუ ორ მარცვლოვანს ხმოვანს ჩამოარიგებენ, მათი ენა ერთბამად წარმატებული და განვითარებული გამოვა ქვეყნის მოედანზედ. ჰოტენტოტების ანბანის შექმნა ხომ დღესაც შესაძლებელია, ნამეტნავად თუ ევროპიელებმა მოიწადინეს. მაშ ჰოტენტოტების ენა შესაძლოა დღესვე მეტად წარმატებულ ენათა შორის ჩაითვალოს, თუ ჩვენის ავტორის ტყუილმა თეორიამ იპრიანა. აკი ვამბობთ, აშკარაა, რომ ენის წარმატებასთან ანბანის მეტ-ნაკ-

ლებობას არავითარი კავშირი არა აქვს. თუ ესეა, მაშ ავტორის ნათქვამი ჩვენის ანბანის სისრულის გამო: „это обстоятельство еще более подтверждает наше мнение“ ასე უნდა შეიცვალოს: это обстоятельство всего менее подтверждает... და სხვანი.

ან რას აუხირნია და ყურებს გვიჭედავს იმითი, რომ ქართული ენა მძიმედ, დაგვიანებით ვიდოდა წარმატების გზაზედაო. ან რათა ჰგონია, რომ არის ქვეყანაზედ რომელიმე ენა, რომ ჭენებით ევლოს. ყველასაგან ცნობილია, რომ ბევრი ათიათასი წელიწადი გავიდა, ვიდრე ადამიანი ენას შეჰქმნიდა სამეტყველოდ. ეს შემოქმედებითი ძალი მეტყველებისა უფრო ნაკლებად სწარმოებს მას შემდეგ, რაკი ისტორიულ ხანამდე მოაღწია ადამიანმა. ტეილორი ამბობს, რომ ამას შემდეგ ამ ძალმა ახალი თითქმის აღარა შესძინა-რა ენასაო. ამისი მიზეზი ის არისო, რომ ადამიანის საჭიროებას ჰყოფნიდა იგი სიტყვები, რაც მამა-პაპათაგან ესწავლათო, და, თუ ახალი აზრი რამ გამოეხატებოდა გონებაში, ისევ ძველს სიტყვებს გადააკეთებდა ხოლმე ასე თუ ისე ამ ახალის გამოსამეტყველადაო. თუ ესე იყო მაშინ, როცა ენა ნაკლებ მდიდარი იყო სიტყვებით, უფრო ასე უნდა იყოს ეხლა, როცა უკვე ამ მხრით გამდიდრებულია.

ვგონებთ, თვალსაჩინოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მარტო ჯერ არ-დადუღებული, არ-დასრულებული, არ-დამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც-კი ორგანებურ ზრდას ექვემდებარება. ბავში უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე დავაჭკაცებული ადამიანი, ხოლო იგი ენები, რომელთაც უკვე მიუღწევიათ იქამდე, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწიგნობრობა, უფრო ძლიერ უნდა ეურჩებოდნენ ცვლილებას, ესე იგი ახლის რისამე შემოსევას, რადგანაც ლიტერატურა, მწიგნობრობა, ანუ, როგორც ტეილორი ამბობს, სკოლის მასწავლებელი და სტამბა ძლიერ ინახვენ სიტყვებს და ერთხელ და ერთხელ დადგენილ ფორმებს. ველურთა ენა უფრო უღონო უნდა იყოს ამ შემთხვევაში. იგი უფრო ადვილად მოძრავია, რადგანაც ყოველ ცალკე თაობის ხელთ არის. მას მარტო საყოველდღეო ლაპარაკი ინახავს და მარტო იგი შერჩება ხოლმე, რაც განუწყვეტლივ ხმარებაშია*. ამის-

* კარიერი.

თანა ყოფაში ენა მარტო ყურის ანაბარად არის დაგდებული. ხან ვერც მთქმელი იტყვის სიტყვას რიგიანად, ხან ვერც მსმენელი დაიხსომებს გაგონილს უცვლელად და ამიტომაც სიტყვა გადიცვლება ხოლმე ზოგჯერ იმდენადაც, რომ ვერცკი აღადგენს კაცი მის პირველყოფილ სახეს. ეს მიზეზია, რომ მდაბიო ხალხი, ესე იგი უწიგნო, რომელიც სიტყვებს მარტო ყურით ჰტყობულობს და ყურით იხსომებს, ხშირად გადასცვლის ხოლმე სიტყვას და აფუჭებს. მაგალითებრ: **Квартира = хватера = фатера, свобода = слабода, жизнь = жисть,** ბედნიერი = ბედრიანი, მეფე = ნეფე, ნიშანი = ლიშანი და სხვანი.

მინამ ლიტერატურა, მწიგნობრობა, გაძლიერებული და მოფენილი არ არის, ენის ცვლილებას კიდევ გზა აქვს, დიდი თუ პატარა, მერე-კი მუხლი თანდათან ეხუთება და სვლა უმძიმდება, და ამიტომაც ადვილად დასაჯერებელია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ერთხელ დადგენილი სიტყვები და ფორმები უფრო გამძლეობენ, უფრო უცვლელობას ექვემდებარებიან, ვიდრე ცვლილებასა. თუ ესეა, მაშინ ავტორის სიტყვები, რომ თუ ქართულს ენას სრული და სწრაფი წარმატება ჰქონებოდა, ახალს განსაკუთრებულს რასმე თვისებას შეიძენდაო, არას გზით ჭკვაში მოსასვლელი არ არის და უგულო ნაჭუჭია. აკი წინათ მოვიყვანეთ აზრი ტეილორისა, რომ ეხლა ენები საზოგადოდ იმ მდგომარეობაში არიან, რომ შემოქმედებითს ძალს ადამიანისას ძალიან ცოტა-ღა შეუძლიან ახალის რისამე გაჩენისათვის. ან რა არის ის ახალი განსაკუთრებული თვისება, რომლის არ-შემოღებას წუნადა სდებს ჩვენს ენასა ჩვენი ახირებული ავტორი? თუნდა ორმარცვლოვანი ხმოვანებიო, გვეუბნება ავტორი. ჩვენა ვნახეთ, რომ ორმარცვლოვან ხმოვანების ქონა არამც თუ ენის წარმატებულობას მოასწავებს, არამედ რაღაც ლინგვისტიურს ბურანს, რომელიც ჩვენს ავტორს თავს დასხმია.

ახალისა არ ვიცით და რომ ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰნატრებენ, — ამას ეჭვი არ უნდა. ჩვენ მოვიყვანთ ორიოდე ამის მაგალითს, მით უფრო, რომ ეხლა სიტყვამ მოიტანა და — ვინ იცის — მერე შეგვხვდება-ღა დრო ამის თქმისა, თუ არა.

შრადერი ამბობს, რომ ინდო-გერმანული ენები ყველა-

ფერში არ წარმოადგენენ იდეალს სისრულისასაო. მე მოვიყვანო ერთს დიდად საყურადღებო მაგალითს, რომელიც დაგვანახვებს, რომ ინდო-გერმანული ფორმა მეტყველებისა სხვაზედ უარესია და ნაკლულოვანიო. რა მაგალითია ის მაგალითი, რომელიც ასე უსრულადა ჰქმნის ინდო-გერმანულს ენებს და თავის წარმატებულობით სჯობნის? გული გაუსკდება ჩვენს ავტორს, როცა ამის პასუხს ვეტყვით. აი რა: ინდო-გერმანულს ენებს მრავლობითის რიცხვის აღსანიშნავად აქვთ ბრუნვა განსხვავებული მხოლოობითის ბრუნვისაგანაო, მაშინ — როდესაც ლოღიკა ითხოვს მრავლობითსა და მხოლოობითს ერთი და იგივე დაბოლოვება ჰქონდესო. არიანო ამ მხრით უფრო სრული ენები, რომელთაც მრავლობითის მაჩვენებელ სუფიქსს ჩაერთვის ხოლმე მხოლოობითის დაბოლოება დასაბრუნებლად. თურმე ნუ იტყვით, ჩვენი ენაც ამ შრადერისაგან მოწონებულ ენათა შორის მოქცეულია. ერთგვარს მრავლობითს ჩვენს ენაში აქვს სუფიქსად „ები“ და ამ სუფიქსით ჩვენი მრავლობითი ისე იბრუნება, როგორც მხოლოობითი, მაგალითებრ: კაც-ები, კაც-ებისა, კაც-ებსა, კაც-ებმა, კაც-ებითა და სხვანი. ამ სახით, ჩვენს ენაში სუფიქსი სიტყვასა და ფლექსიას შუა მოექცევა ხოლმე, შრადერის სიტყვისამებრ, და იბრუნება როგორც მხოლოობითი. ეს ენის ღირსებად მიაჩნია შრადერს*.

მეორე განსაკუთრებული თვისება ჩვენის ენისა, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ენის წარმატებულობის მომასწავებელია, ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლადა გასაკვირველი ფორმები. ამ მრავალ-გვარ ფორმების წყალობით, მარტო ერთის ზმნით, სხვა სიტყვის ნაწილების დაუხმარებლად, გამოითქმის პიროვანებაც მომქმედისა, მიმართულებაც მოქმედებისა, სხმით-გარდასხმითობაც. მაგალითებრ, „ვაკეთებინებ“, და ბევრი სხვა გარემოება მოქმედებისა თუ მდგომარეობისა, არა გვგონია სხვა ბევრმა ენამ გამოსთქვას ერთის ზმნით, სხვა სიტყვის დაუხმარებლად თუნდ, მაგალითებრ, ეს ქართული: „წავაღებინებ, წამოვაღებინებ, გადააზომინა, გადმოაზომინა“ და მებრვე სხვა. რომ ჩვენმა ავტორმა ესეთი სამარჯვო მიხვრა-მოხვრა ჩვენის ზმნებისა წუნად არ დასდოს ჩვენს ენას, რო-

* შრადერი, შედარებითი ენათა-ცოდნა, გვ. 172.

გორც სისრულე ანბანის ენის წარუმატებლობის საბუთად გაგვიხადა, ჩვენ ვიმოწმებთ იმისთანა ავტორიტეტებს, რომელნიც, თუ ჩვენის ავტორის თანასწორნი არ არიან, ბევრში არ ჩამოუვარდებიან. აი რას ამბობს კარიერი:

„Большим шагом и новою ступенью словоразвития было... то, что человек начал различать предметы от их действия и страдания... Глагол знаменует деятельность вещей, которою они собственно и производят на нас впечатление... Но чтобы речь была образом настоящего мира (который состоит в движении и взаимодействии вещей), действие и страдание должны выражаться в ней движением".

თითონ დიდი და სახელოვანი ჰუმბოლტიც ზმნების თაობაზედ ამ აზრისაა. იგი ამბობს:

„Все остальные части речи представляют как-бы мертвый, ждущий живой связи, материал, один глагол — средоточие жизни, всюду ее разливающее. Мысль, если можно так чувственно выразиться, покидает, благодаря глаголу, внутренее свое жилище и прямо переходит в действительность".

ამის შემდეგ აღარაფერი განმარტება უნდა იმას, თუ რა დიდი ღირსება უნდა იყოს ენისა, როცა მრავალფეროვნება ზმნების ფორმებისა შესაძლოდა ჰხდის მოქმედებასა და მდგომარეობას საგნისას ბევრ-გვარი გარემოება გამოუთქვამს სხვა სიტყვების დაუხმარებლად. არ ვიცით, სხვა რას იტყვის და ჩვენ-კი გვჯერა, რომ მრავალფერად მიმოხვრა და, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გამოყენება იმ სიტყვისა, რომელიც სული და გულია მეტყველებისა, სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას. თუ კარიერისა და ჰუმბოლტისა არ იყოს, მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის, მაშ, ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზედ, იმიტომ რომ ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველობს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით. მაგალითად, მოვიყვანთ რუსთაველს, რომლის ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზმნების ხმარებისას წარმოგვიდგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ ამ დედა-ძარღვს ჩვენის მეტყველებისას ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნა.

ერთს მართლა-და განსაკუთრებულს თვისებას ჩვენის ენისას კიდევ მოვიხსენებთ, სხვათა შორის, და მით გავათავებთ. ეს განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ როგორც სახელი-არსებითი არ იბრუნებოდეს, თუნდ ზმნის-ზედა აიღეთ, თუნდ თანდებული, თუნდ ზედშესრული, თუნდ ნაცვალსახელი და თუნდ თითონ ზმნაც, როცა უღვლილების ფორმაშია. მაგალითებრ, „შენის ხვალი-სა (ზმნის-ზედა) მე არა ვიცი რა, ან შენმა გუშინ-მა (ზმნის-ზედა) ყური გამომიჭედა; შენის შინათი (თანდებული) თავი მობეზრებული მაქვს, ან შენს შინა-ს ვინ გაუძლოს; ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდა-ს (ზმნა); შენს მე-ს (ნაცვალსახელი) მე ვერსად წაუველ; შენმა ახ-მა და უხ-მა (შორისდებული) ჩემს ვაი-სა და ვიშ-სა აჯობა“ და სხვანი.

ეს კიდევ არაფერი. ჩვენს ენას არ ეხამუშება, არ ეუცხოება თუნდ მთელი ფრაზა დააბრუნოს, როგორც ცალკე სიტყვა. მაგალითებრ, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი-ს მაგიერ რუსთაველი უკეთესს ვერას იტყოდა“; ან „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია-მ მთელს ქვეყანას მოჰფინა რუსთაველის სახელი“; ან „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია-ს არა შეედრება რა“. მართალია, იშვიათი შემთხვევაა, როცა კაცს დასჭირდება ამისთანაებში ესეთი ფორმა მოიშველიოს, მაგრამ, თუ მოიშველია, ჩვენის ენის წინააღმდეგი არ იქნება, მით უფრო, რომ თითონ ამ-რიგად მიმოხრილი აზრიც ადვილად გასაგებია. ჩვენ არა გვგონია, რომ ენას წარუმატებლობაში ჩამოერთვას, როცა სხვა სიტყვების ჩაუმატებლად და აუჭრელებლად, მარტო ერთის ფლექსიის შემწეობით, ამისთანა სახსარს იძლევა აზრის მიმოხვრისა და განცხადებისათვის.

ყოველს ამას ყური მოუყრუა ჩვენმა ავტორმა და ჩვენ, რასაკვირველია ვერც დავემდურებით. განგებ აკვიატებულს აზრს ბევრი ბამბა აქვს ყურების დასაცობლად. ჩვენის ფიქრით-კი, როცა კაცი ენის თვისებაზედ ჰლაპარაკობს, ამისთანაებს ყურს ვერ მოარიდებს, თუ განგებ თითით ყური არ დაიცო. სხვა რომ არა იყოს რა, თუ ყოველივე ეს საბუთი არ არის ენის წარმატებულობისა, ენის განსაკუთრებული თვისება ხომ არის. ამ მხრით მაინც მიექცია ჩვენს ავტორს თავისი ბედნიერი თვალი. თუ მართლა ქართულის ენის გამო რისამე თქმა სდომებია,

თორემ ქართული ენა ფლექსიური ენააო, ესე იგი ბრუნვა და უღვლილება აქვსო, ეგ ხომ იმასა ჰგავს, რომ კაცმა სთქვას, კაცს ორი ფეხი აბიაო და ეგონოს, ახალს ამბავს ვამბობო. ან რის მაქნისია ავტორის ზღაპრები ორმარცვლოვან, თუ ორკეც ხმოვანების თაობაზედ? ვინ უნდა მოეტყუებინა ამით? ან რა სათქმელია, მაგალითებრ, რომ ვითომც „უ“ რაღაც გრძელი ხმოვანია, ორხმოვანთაგან წარმომავალი*. ეს ასო გრძელი ხმოვანი-კი არა, სულაც ცალკე ხმოვანიც არ არის, რადგანაც სხვა ხმის მოუშველებლად ვერც-კი იხმარება. ამიტომაც მაგ „უ“-ს უიმისოდ თითქმის არსადა ვხედავთ, რომ გვერდთ არ მოისვას ან „ხმოვანი“ „ი“ ან „ა“. ეგ რაღაც ნახევარ-ხმაა, რომელიც ყურს ესმის, როგორც რამ საშუო ხმა „ვ“ და „უ“-ის შორის. აბა, ეს რომ ვერ გაუგია და ეს ამისთანა დაუხლართველი ამბავი ვერ გამოურკვევია, სხვა რაღა უნდა მოეკითხებოდეს ჩვენს ავტორს, რომელსაც რაღაც ჯადოობა სცოდნია. არამც თუ მოკლე გასჭიმოს და გააგრძელოს, როგორც „უ“, არამედ არარაისგან რაიმეც შეჰქმნას, როგორც დღევანდელი ხაზარული ენა.

ერთგან ჩვენი ავტორი ამბობს, რომ ჰარტო ერთს ისტორიას ენისას შეეძლო აღედგინა ჩვენთა თვალთა წინ სრული სურათი ისტორიის წინათ-დროინდელ ქართველებისაო**. დალოცვილს ის კი დავიწყებია, რომ თითონ ენაა იგი სარკე, გადმომცემელი ცოტად თუ ბევრად მაგნაირ სურათისა. ჩვენს ავტორს რომ მაგ სარკეში ჩახედვის და ნახვის უნარი რამ ჰქონოდა და ერთი ბეწვა გაგება, სხვა გზით დააკვირდებოდა ჩვენს ენას და სულ სხვა ამბავს გამოჰკითხავდა და არ შეაჩერდებოდა „უ“-ის გაზანდრის ადლით გაზომვას. განა ამისთანა სიტყვები, რომელიც ჩვენს ენას დღევანლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მიწყალე, შემიწყალე, მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყლობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია. ტიგროსისა და ევფრატის დაღმა აღარ ვიტყვით, მარტო არმენია ავიღოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღე-

* Сев. Вест., № 3, გვ. 50.
** Сев. Вест., № 2, გვ. 59.

საც „წყლობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ-კი არა მოჰყავს-რა. ან სიტყვა „მიცვალება“, „მიცვალებული“, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარაებას, არამედ „ვარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან. ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი სჭერია. განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებ. ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა, თუ რომ ბრმა კაცი და, ჩვენს ავტორსავით, ყოვლად უვიცი არ შეხვდა, ან განგებ ყურებში ბამბის დამცმელი. ლებბოკმა ამისთანაებზე მთელი მოწმობა ააგო პირველყოფილ კულტურისა და ისტორიულ წინათდროინდელ წყვდიადისაგან სინათლეზედ გამოიტანა ზნე, ჩვეულება, საზოგადოებური თუ ოჯახებური წყობილება, გონიერების შეტ-ნაკლებობა და ერთობ მსოფლმხედველობა პირველყოფილ ადამიანისა.

კიდევ ვიტყვით, — ყოველ ამაებს ყური მოუყრია ჩვენმა ავტორმა. ვინ იცის, იქნება იმიტომაც, რომ ეს ამისთანა ამბები, ცოტად თუ ბევრად, მოასწავებენ ერის თვითმოქმედების ძალ-ღონეს, იმიტომ რომ სხვაზედ განსხვავებულის რისამე შექმნას — თვითმოქმედება და თვითმოქმედების უნარი უნდა, სულ ერთია, ზნე-ჩვეულებას აიღებთ ამ შემთხვევაში, ოჯახებურ და საზოგადოებურ წყობილებას, სარწმუნოებას, ენას, თუ სხვას რასმე. ჩვენი ავტორი რომ ამ მხრით ჩაჰკვირვებოდა საქმეს საზოგადოდ და საკუთრივ ქართულს ენას, ვაი თუ ქართველების თვითმოქმედების საბუთს ზედ წასწყდომოდა და ეს ხომ ის იქნებოდა, რომ თაგვმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო. თვითმოქმედებით შექმნა რისამე — ქებაა, და ქართველის ქებას აბა პირიდამ როგორ ამოუშვებს ბულვარის კრიტიკოსი. კიდევ ვიტყვით, — ეგ რაღა კრიტიკა იქნება, რაღა „отрицание“!.. იქნება ყოველ ამან დაახუჭვინა თვალი ჩვენს ავტორს. საკვირველიც არ არის:

კარგი რამ სჭირდეს, გვიკვირდეს,

ავი რა საკვირველია.

წერილი მეცხრე

ჩვენ ვშიშობთ, რომ რაც წინა წერილში ვთქვით ქართულის ენის შესახებ, ის იმაში არ ჩამოგვართვან, ვითომც ჩვენ ჩვენის ენის ნაკლულევანების დანახვა არ გვინდოდეს და სრული გვეგონოს. ჩვენი ენა, მართალია, წარუმატებელია, ჩვენის ფიქრით, და განუვითარებელი, ხოლო იმ მხრით კი, რომ ჯერ მომზადებული არ არის დღევანდელს აზრს კაცობრიობისას საზოგადოდ და თუნდ ჩვენებურ ინტელიგენციისასაც აღებ-მიცემობა გაუწიოს გაუჭირებლად და საკმაო განცხადებით. დღეს ჩვენი ენა იმ ხანაშია, რომ ამ მხრით შეიძინოს რამ და წარიმატოს. ამისათვის ქართულს ენას მასალა საკმაო აქვს და მხოლოდ სიმარჯვე და მოხერხება-ღაა საჭირო, რომ ეს თავისი დიდი ნაკლი შეივსოს. ვსთქვით რა ეს, ეხლა შეგვიძლიან განვაგრძოთ ჩვენი საუბარი და ისევ ჩვენს ავტორს „Письма о Грузии“-სას კვალ-და-კვალ მივყვეთ.

ჩვენს ავტორს ჰგონია, რომ რაც ჰსურდა, ვითომ ყველაფერი დაასაბუთა, დაამტკიცა, და გადაჭრილად ამბობს:

ამ სახითაო (კაი სახე არ იყო!), ქრისტეს რჯულზედ მოქცევამდე, საქართველოს არც თავისი ანბანი ჰქონია, არც მწიგნობრობა და არც თავისი ფულიო, — უმატებს ავტორი სხოლიოში, რომ — ვინიცობაა — მერე არ დაავიწყდეს, თორემ ღმერთი უწყენს. იქნება ყოველივე ეს მართალიც იყოს, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ტყუილი აი რაშია. თურმე ნუ იტყვით, ქართველებს ენაც არა ჰქონიათ სახელმწიფო საქმეთათვის. ავტორი აი ამას რაგვარ მოგვითხრობს:

„Итак, до принятия христианства, Грузия не имела ни своей азбуки, ни письменности, а для государственных целей употреблялся, вероятно, персидский язык, тем более, что большинство правителей Грузии были персидской крови“ (Сев. Вест., № 3, გვ. 50).

როგორ? მაშინაც სპარსულს ენას ჰხმარობდნენ ქართველები, როცა ჯერ სპარსელების საისტორიოდ ხსენებაც თითქმის არ იყო, თუნდ იმ ხანებში, მაგალითად, როცა მოსე წინასწარმეტყველი, ავტორისავე სიტყვით, ახსენებს მოსხებსა და თუბალებს! ან როცა მთელი რვაას-ცხრაასი წელიწადი, ფარნავაზზედ კიდევ წინათ, ქართველებს მთელი დიდი არმენია სჭერიათ, როგორც ეხლა დამტკიცებულია, თავიანთი სა-

მეფონი, სამთავრონი, თუ სამამასახლისონი ჰქონიათ, მაშ სპარსულს ენას ჰხმარობდნენ ეს მეფენი, მთავრები, მამასახლისები? დავანებოთ ამასაც თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: ეს „вероятно“ საიდამ და რა საბუთით არის вероятно“? იქიდამაო, რომ ქართველების მმართველნი სპარსთა ჩამომავალნი იყვნენო. მაშ, უწინდელი მამასახლისები და მერე ფარნავაზი და მის შემდეგნი სულ სპარსები იყვნენ ჩამომავლობით? თუ ესე ჰგონია ავტორს, მისი „მგონიაობა“ საბუთი არ არის. ამ სპარსთაგან ჩამომავლობას დამტკიცება უნდა და არა ცარიელ სიტყვების ფქვა და რახარუხი. თუნდ ფარნავაზი და მისი შემდეგნი ჩამომავლობით სპარსნი ყოფილიყვნენ, აქედამ განა ის გამოდის, რომ უსათუოდ სპარსულს ენასაც შემოიტანდნენ სახელმწიფო საქმეებისათვის? განა როცა უცხო თესლის დინასტია დაიჭერს სამეფო ტახტსა რომელისამე ერისას, უსათუოდ უცხო ენასაც შეიტანს ხოლმე სახელმწიფო საქმეთათვის? თუ ესეა, მაშ როცა ჩვენში არშაკიდები ჰმეფობდნენ, სომხური ენა უნდა ყოფილიყო სახელმწიფო საქმეებში სახმარისად. საზოგადო აზრია, რომ რაკი ერს თავისი სახელმწიფო აქვს, თავისი ენაც ექნება ყოველგვარ საქმეთათვის. ამ ზოგად აზრს მგონიაობით, вероятно-ებით ვერავინ უარჰყოფს, თუ ამისათვის უცილობელი, უტყუარი, ზედმიწევნილი საბუთი ხელთ არა აქვს, იმიტომ რომ ყოველივე მგონიაობა, вероятно-ბა ამ შემთხვევაში ამ ზოგად აზრისაკენ არის, თუ ჭკუის მართულები არა აქვს კაცს მოშლილი. თუნდ ეგეც არ იყოს, ჯერ ჩვენის ავტორის „положительно“ რა არის, რომ მისი „вероятно“ რა იყოს.

საქმე ის არის, რომ ავტორს, რაკი ერთხელ და ერთხელ აუკვიატებია აზრი — ქართველებს არა ჰქონდათ რაო, უნებებია ენაც-კი გაუბათილოს და, რადგანაც ვერ მოუხერხებია, შეუკმაზავს ეს ყველაფრის ამკიდებელი „вероятно“, შემხტარა ზედ და ჰხედნის: თუ დამიჯერებენ, ხომ რა კარგი, თუ არა და, ცოტათი მაინც დავაქვეითებ ქართულსა და ქართველებსაო. სხვა არ ვიცით, რა მიზეზს გამოუწვევია ეს მისი „вероятно“. ან რა საჭირო იყო იმის თქმა, რომ სახელმწიფო საქმეთათვის სპარსულს ენას ჰხმარობდნენ ქართველებიო. რაკი ამის თქმა უნებებია, კვლავაც იყოს ნება მისი, თუმცა წინა წერილში მოყვანილი აზრი გატტერიასი-კი ამტკიცებს, რომ ქართული ენა ძალიან გავრცელებული ყოფილა არმენიაში — სომეხთა

მეშვიდე საუკუნეში შემოსევამდე. ვგონებთ, გატტერიას აზრი ცოტათი მაინც წინ დასაყენებელი იყოს, ვიდრე ჩვენის ავტორის ყოვლად სახედნი „вероятно“.

მწიგნობრობის შესახებ ავტორი მოგვითხრობს, რომ თვით უძველესს ნაშთს ქართულის ნაწერისას აზის თარიღი IX საუკუნისა ქრისტეს მერმეთ; თუმცა ამაზედ უძველესნი ნაშთნიც არიან, მაგრამ თარიღი არა აქვთო. მაშ თარიღი არა აქვთ ძველს ჩვენს ფულს მეხუთე საუკუნისას, ძველს ხელნაწერებს V — VII საუკუნეებისას, ჯვარის-მონასტრის ზედწარწერას VII საუკ. და უძველესთა გუჯრებსა?* ან იქნება ავტორს ჰგონია, რომ ესენი არ არიან ნაშთნი ნაწერისანი? თუ არა-და რას გვემართლება, რომ ყოველს ამას გვიმალავს ჯერ ჩვენ და მერე თავის მკითხველებს? იქნება არ იცოდაო, გვეტყვით. შესაძლოა, — და თუ ეს მარტო არ-ცოდნაა და არა განგებ გათელვა მართლისა — ეპატიება, რადგანაც არ-ცოდნა არ-ცოდვაა. ხოლო როცა ჩვენი ავტორი არწმუნებს თავის მკითხველს, რომ მეცამეტე საუკუნეზედ ადრე ქართველებს მატიანე არა ჰქონიათო, — ეს კი არ-ცოდნად არ ჩაეთვლება, რადგანაც აქ არ-ცოდნას ადგილი არა აქვს. დღეს ჩვენში ყველგან მოფენილია ის ამბავი, რომ აღმოჩნდა ქართული ქრონიკა, რომლის უეჭველი, ყოვლად უცილობელი თარიღი IX საუკუნეა. ავტორი აქ იმითაც თავს ვერ იმართლებს, რომ ამ ქრონიკამდე ხელი ვერ მიეწვდინეო; ყველამ იცის, რომ ეგ ქრონიკა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავშია და არავის უშლიან ინახულოს საკუთარის თვალით. მაშასადამე, აქაც იტყუა ჩვენმა ავტორმა, მაგრამ ცოტად-კი. ცოტად ვამბობთ, იმიტომ რომ ბევრი-ბევრი, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, ერთი ოთხიოდე საუკუნეა თაბაუთი მეცხრესა და მეცამეტე საუკუნეს შორის და ოთხი საუკუნე, აბა, რა არის იმისთანა კაცისათვის, რომელიც 1700 წელიწადსაც მალაყით და „одним штрихом“ თავს ახტება და და მაინც ფეხზედ სდგება ხოლმე.

ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, ამ ტყუილის ამბავისაგან რა დასკვნა გამოჰყავს ავტორს. დაუჯერებელია, თუ თითონ მისი სიტყვები არ მოვიყვანეთ. იგი ამბობს:

„Несомненно одно, что они (летописные сказания

* დ. ბაქრაძე.

грузин) появились много спустя после христианства (указание на существование грузинской летописи не появляется ранее XIII в.) и это обстоятельство еще рельефнее (!!!) оттеняет влияние Ирана, печать которого не могло стереть даже христианство" (Сев. Вест., № 3, გვ. 40).

აქ „влияние Ирана" რა შუაშია? არ გვესმის და, თუ ვინმე გაიგებს, არ ვიცით. ქართველებს მატიანე არა ჰქონდათ მეცამეტე საუკუნემდეო და ეს გარემოება უფრო თვალნათლად ამტკიცებს ირანის გავლენასა საქართველოზედაო. მოდით და ნუ ჰკითხავთ ავტორს, — ლოღიკა რა ხილია?!

„Да и как могло быть иначе, იძახის ამ ულოღიკობით გათამამებული ავტორი, когда в течении тысячи лет, начиная с нашествия скифов и до завоевания Персии и Грузии Арабами (ჩვენში კი დარჩეს და ამ ორ ამბავ შორის ათასი-კი არა, მთელი ათას სამას წელიწადზე მეტია), она (Грузия) почти непрерывно жила общею жизнью с Ираном"...

ეს „Грузия непрерывно жила общею жизнью с Ираном"... საიდამ გამოატყვრინა ავტორმა? მაშ, მეშვიდე საუკუნედამ ქრისტეს წინათ, ესე იგი სკვითების გამოსვლიდამ, — არაბების შემოსევამდე მეშვიდე საუკუნეს ქრისტეს მერმეთ, საქართველო და ირანი ხელი-ხელ გადაჭედილნი იყვნენ და ამფსონობას უწევდნენ ერთმანეთს.

სხვა არა იყოს-რა, მარტო ერთი ქართველების გაქრისტიანება მირიან მეფის დროს საკმარისია კაცს წარმოედგინა, რომ ეს ამისთანა ბედაური ტყუილი არ წამოსცდენოდა. განა ჭკუათა-მყოფელს კაცს ფიქრად მოუვა, რომ ზოროასტრის მიმდევარი და ცეცხლ-თაყვანისმცემელი სპარსი და ქრისტიანი ქართველი ერთის საერთო ცხოვრებით შეკრული და შებოჭვილი იგულვოს, ერთს საერთო ცხოვრებაში მოათავსოს და მოარიგოს? მერე როგორ აბრტყელებს ჩვენი თავდაუჭერელი ავტორი ამ მოთავსებას და მორიგებას!

„Их связывала не одна только политическая связь, всегда недолговечная и часто прерываемая, а более глубокая, органическая..." (Сев. Вест., № 3, გვ. 40).

გესმისთ რა ამბავია!.. უფრო ღრმა, უფრო ორგანებური კავშირი ჰქონდათ, ვიდრე პოლიტიკურიო, მერე ვისა? ზოროასტრის მიმდევარს სპარსსა და ქრისტეს მოსავს ქართველსა!

ბაზ, თუ მთელი ეს ათას სამასი წელიწადი საქართველოს საერთო ცხოვრება ჰქონდა ირანთან, როგორღა დავიჯეროთ, რომ ამ ორმა ერმა, ათას სამას წელიწადს ერთის საერთო ცხოვრებით მცხოვრებმა, თავ-თავის ვინაობა, ენა, მიწა-წყალი, რჯული შეირჩინა და ან ერთიმეორეს არ გაექელვინა, ან ერთმანეთს არ შეუდუღდა და ერთ ერად არ გარდაიქმნა. რაკი ეს არ მოხდა, აშკარა საბუთია, რომ საქართველოს და ირანს, არამც თუ ერთად უცხოვრიათ საერთო ცხოვრებით, არამედ თვითოეულს თავისი საკუთარი სისხლ-ხორციც ჰბადებია, თავისი გული და წყურვილიც ჰქონია, თავისი ფარი და ხმალი სჭერია, ესე იგი თავისითაც განსხვავებულად უცხოვრია და ამ თავისობას შეუნახავს თვითოეულის ვინაობაც, ენაც, რჯულიც და მიწა-წყალიცა. ათას სამასი წელიწადი რომ ირანს საქართველოზედ განუწყვეტლად ემოქმედნა ისე, როგორც ავტორს მოჰზმანებია, დღეს ქართველების ხსენებაც არ იქნებოდა დედამიწის ზურგზედ და არც ჩვენს ავტორს-და გაუხდებოდა თავში საცემად, საქართველოს ისტორიის მაგიერ, უნდილ ზღაპრების ბღაჯნა.

ამ სახით, ავტორის ზემოხსენებულ „несомненно"-ს თუნდა ეს „да и как могло быть иначе" ზედ დაემატოს, მაინც ის სარჩიელი გამოვა ავტორისათვის, რომ თავის ქერქში მჯდარიყო, ის ერჩივნა, იმიტომ რომ тетеревам не летать по деревам ანუ ჩვენებურად — არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

წერილი მეათე

წინა წერილიდამ ვნახეთ, როგორ მოიხმარა ჩვენმა ავტორმა „Письма о Грузии"-სამ ლინგვისტიკა და ფილოლოგია ქართველების ვინაობის, წარმომავლობის გასაცნობად და მათის წარმატების გამოსარკვევად. მერე ამბობს რომ:

„Археология и антропология, служа подспорьем лингвистики, могли-бы с своей стороны пролить, конечно, не малый свет на происхождение грузин, но в этом отношении сделано так мало, что не дает даже опоры для каких нибудь хотя бы приблизительных выводов" (Сев. Вест., № 2, გვ. 60).

ხომ ამბობს, არქეოლოგია და ანტროპოლოგია, როგორც მშვილდნი ლინგვისტიკისა და მხარის მიმცემნი, თავის მხრით ნათელს მოჰფენდნენ ქართველთა ვინაობის წარმომავლობასაო, მაგრამ ამ მხრით ასე ცოტა რამ არის აღმოჩენილი, რომ კაცს ხელთ ვერაფერი ჩაუგდია, თუნდ დაახლოვებით რაიმე დასკვნა გამოიყვანოსო.

რაც შეეხება ანტროპოლოგიას, ავტორი ამის საქმეს ორი სტრიქონით ათავებს: ბროკმა, რომელსაც ვითომ აქედამ გაუგზავნეს ორი თავის სარქველი, გასინჯა და სთქვაო, რომ იგი ეკუთვნის კიმვრებსაო. ეს არის და ეს. სხვაგან ავტორი არც-კი ახსენებს ანტროპოლოგიას. ხოლო არქეოლოგიისათვის-კი მეტი ადგილი უღირსებია და ყოველს ამაში წინამძღვრად აუჩენია ბაიერნი, რომელმაც სამთავროს სასაფლაო მცხეთაში გასთხარა და ბევრი არქეოლოგიური ნაშთი იპოვა. ეს ბაიერნი ცნობილია, — როგორც კარგი მთხრელი საფლავებისა და საფლავებში ნაპოვნის კეთილსინიდისიერი და უტყუარი აღმწერელი, ხოლო მისი საისტორიო დასკვნა და განსჯა-კი ყველასაგან სასაცილოდ არის აგდებული. მოდით მართლა და ნუ გაგეცინებათ, რომ ეს ბატონი ბაიერნი ალექსანდრე მაკედონელის საფლავს სადღაც ავლაბრის ხევში ეძიებდა, და სემირამიდისას, რომელიც ეხლა მითიურ არსებად მიჩნეულია, წიწამურში, მცხეთის პირდაპირ, არაგვ-გაღმა.

ჩვენი ავტორი, თუმცა დიდი მოყვარეა კრიტიკისა და отрицание-სი, მაგრამ აქ-კი ბაიერნს ბრმად აჰყოლია, უსათუოდ იმიტომ, რომ სამთავროს სასაფლაოსა და ამ სასაფლაოში ნაპოვნებზედ ბაიერნმა თავისი წერილი გერმანულ ჟურნალში დაჰბეჭდა. ამას თითონ ავტორიც გვეუბნება თავის პირველ წერილის სხოლიოში 60 გვერდზედ და თვით იმ ჟურნალსაც გვისახელებს. აქაო-და გერმანულ ჟურნალმა დაჰბეჭდაო, აბა, ჩვენი ავტორი როგორღა შეიტანდა ეჭვსა ბაიერნის შესახებ, თუმცა-კი თვითმსჯელობასა და კრიტიკაზედ დიდის ბაქი-ბუქობით ლაპარაკობს, თითქო ერთისა და მეორის მადლით უხვად მოსილი იყოს! ხოლო ჩვენს ავტორს რომ თვალი ცოტა გრძლად მჭრელი ჰქონოდა, დაინახავდა, რომ ბაიერნის საისტორიო მსჯელობას და დასკვნას თვით რედაქცია, რომელმაც ბაიერნის წერილი დაჰბეჭდა, არ ენდო, რადგანაც აშკარად შეუსაბამონი არიან. ჟურნალი იგი, რომელსაც ჩვენი

ავტორი ასახელებს და რომელმაც დაჰბეჭდა ბაიერნის წერილი, არის Zeitchrift für Ethnoqraphie von Bastian und Hartmann. ამის რედაქციამ იქავ გამოაცხადა, რომ ჩვენ პასუხის-გება აგვიხდია ბაიერნის საისტორიო დასკვნისა და განსჯის თაობაზედაო და ამ მხრით თავზედ მოახვია თვით ბაიერნსა*. აბა, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ჩვენმა ავტორმა მიაფუჩეჩა უსათუოდ იმისათვის, რომ ამით აბრუ გაუტყდებოდა ბაიერნს, და ბაიერნის მოწმობა-კი მისთვის საჭირო იყო, რომ ქართველები ადამიანის ხორცის მჭამელად და ბარბაროსებად გამოეყვანა. დიაღ, საჭირო იყო, რომ ეს ეთქვა ჩვენს ავტორს:

„Итак, Самтаврския (Байерна) раскопки, не решая вопроса о племенном происхождении грузин, рисуют нам их, начиная с X в. до Р. Х. сначала антропофагами, исповедывающими элементарную религию“, და სხვანი და სხვანი (Сев. Вест., № 2, გვ. 64).

ახლა რა უნდა დავარქვათ იმ კაცს, რომელსაც ფრანსუა ლენორმანი, ეს ყველა მეცნიერთაგან ავტორიტეტად ცნობილი, არაფრად მიუჩნევია და ბაიერნი-კი კერპად დაუსვამს და უწამებია, ბაიერნი, რომლის სჯასა და გამჭრიახობასაც თვით მისის წერილის დამბეჭდველი რედაქციაც ვერა ჰნდობია? ეს შეუსაბამო „отрицание“ ყველასაგან მიჩნეულისა ერთის მხრით და მეორეს მხრით ეს ასეთი ბრმა დანდობა ყველასაგან უარყოფილისა — რის მომასწავებელია ერთსა და იმავე კაცში? ამისი პასუხი ყველას ადვილად მოადგება ენაზედ და ამიტომაც ჩვენ აღარას ვიტყვით. ჩვენ მარტო ამას დავუმატებთ, რომ ლენორმანის ნათქვამი ქართველებზედ, ცოტად თუ ბევრად აბრუს უკეთებს ქართველსა, და ბაიერნისა-კი საბუთს აძლევს ავტორს სახელი ცოტად თუ ბევრად მოუთხაროს ქართველსა. აი ამოცანა სად არის ავტორის უცნაურის ქცევისა, თორემ რა დასაჯერებელია, კაცმა უარჰყოს ლენორმანი და ბაიერნი-კი ბრმად იწამოს.

საფლავები, სამთავროში ნაპოვნი, ორგვარნი არიანო, ამბობს ავტორი; ერთი ქვისანი, ძველის ქართველების სამარხნი, მეორე — აგურისანი, უფრო ბოლონდელ დროისანი, და ეკუთვნიან, ბაიერნის აზრით, ბერძნებსაო. ამ საფლავებში ნაპოვნმა ცეცხლისაგან შეფიცხებულმა ძვლებმა ადამიანებისამ,

---

* ხვოლსონი: Надгробная надпись из Мцхета, გვ. 120.

თუ სხვა პირუტყვისამ, ბაიერნი იძულებულ ჰყო ეფიქრა, რომ ძველნი მკვიდრნი მცხეთისანი ადამიანის ხორცის მჭამელნი იყვნენო და თვით ადამიანის ლეშსაც-კი საჭმელად ჰხმარობდნენო. ეგ ჩვეულება მკვდრების ჭამისა და კაცის კვლა კერპების შესაწირად შემოწმებულია თვით ქართველთა მატიანესაგანაო, — ასვამს მერე თავის ბეჭედსაც ავტორი და თვით ვახუშტისაგანაც ამის დასამტკიცებლად მოჰყავს საბუთად შემდეგი ამბად დარჩენილი თქმულება: „კარსნელთა ჰმართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარიო“. ამ საბუთების გასაძლიერებლად ჩვენს ავტორს ერთი სხვა სასაცილო და ჭკუაში მოუსვლელი საბუთიც მოჰყავს. ამას-კი თითონ ავტორის სიტყვებით მოვიყვანთ, თორემ სხვაფრივ დაუჯერებელია.

„Существование антропофагии в эпоху самтаврского кладбища подтверждает еще и то обстоятельство, что большинство найденных там костей, как человеческих, так и животных, лишено студени, — обстоятельство, заставившее Байерна предположить, что их подвергали вываривaнию (?)“ (Сев. Вест., № 2, გვ. 61).

ამ სახით გამოდის, რომ ქართველებს იმ დროს ძვლები უხარშავთ და ბულიონი უკეთებიათ, თორემ ის რაღაც студень-ია აქამდე ძვლებს უნდა შერჩენოდათო. Студень-ი ძვლებში ჩამდგარი სიმსუქნეა, რომელიც გამოხარშვით გამოიწოვება ხოლმე, და მერე, როცა გაცივდება, შედედდება და ჟილეს მსგავსად დადგება. ეს არ შერჩენიათ ადამიანის ძვლებსაო, მაშასადამე, ქართველებს ეს ძვლები უხარშავთ, და აქედამ აღვილად მისახვედრია, რომ ადამიანის ხორცის მჭამელები ყოფილანო. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ ჩვენს ავტორსა და ბაიერნზედ ითქმის. კაცი ამბობს, რომ სამთავროს საფლავები ეკუთვნიან ხანას მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინათ, და იმ დროიდან ბაიერნამდე, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, სამი ათას წლიდამ ორი ათას წლამდე ხანი გასულა და რაღა საწვნე, თუ სიმსუქნე, ანუ ჩვენის ავტორის студень-ი უნდა შერჩენოდა ძვლებს? ეს დრო იმოდენაა, რომ თითქმის თვით ძვალსაც მტვრად გადააქცევს და ჩვენს ავტორს-კი თავის ბაიერნთან ერთად მოსდომებიათ ის რაღაც студень-ი შეენახათ იმ ხანის ძვლებსა, რომ დღეს ბულიონი გამოხადონ. ამისთანა გამძლეობა студень-ისა თუ სიმსუქნისა ძვლებში ახალი აღმოჩენაა მეცნიერებისათვის და აქაც პირველობა ჩვენს

ავტორს უნდა მივულოცოთ, თუ ბაიერნი საიქიოდამ არ შეეცილება.

ან რა საბუთია ქართველებისაგან ადამიანის ხორცის ჭამისა ვახუშტისაგან მოყვანილ თქმულობაში, რომ კარსნელთა ჰმართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარიო! განა ეხლა-კი არ ამბობენ, მაგალითებრ, მთიელები, საცა სისხლის აღება ჯერ გადავარდნილი არ არის. რომ ჩვენი მკვდარი ამა და ამ თემსა ჰმართებსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთს თემს მეორის თემის კაცი მოუკლავს და ჯერ ან სისხლი არ აუღიათ, ან სისხლის ფასი. თუ ამ საეჭვო ამბავს უჯერებს ჩვენი ავტორი ვახუშტსა, რატომ იმასკი არ უჯერებს, საცა იგივ ვახუშტი კეთილს რასმე ამბობს ქართველებზედ? ნუთუ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს ავტორს ყოველივე კეთილი ქართლის შესახებ ეხამუშება. სწყინს, და ყოველსავე ავსა და ცუდს-კი, თუნდ საეჭვოსაც, ხელზედ დაიხვევს ხოლმე, როგორც უეჭველსა და უცილობელს. ეს გახლავთ беспристрастие и об'ективизм-ი, რომელიც აღუთქვა მკითხველს თავის პირველ წერილის 54 გვერდზედ ჩვენმა ავტორმა.

რაც შეეხება იმას, ვითომც ადამიანის ძვლები ცეცხლისაგან შეფიცხებულნი უპოვნია ბაიერნსა სამთავროს საფლავებში, ამაზედ მერე ვიტყვით, როცა ჩვენს ავტორს გამოვკითხავთ ჩვენის უწინდელის სარწმუნოების ამბავს, ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ ჩვენს ავტორს ბევრი რამ გამოჰპარვია ჩვენის ქვეყნის არქეოლოგიის შესახებ. მაგალითებრ, იმას არა სცოდნია, რომ ბევრი და ფრიად შესანიშნავი არქეოლოგიური ნაშთი აღმოჩენილია კამენტსა და კობანს (ვლადიკავკასის მხარეა), სტეფან-წმინდას ანუ ყაზბეგს, დილიჟანს, წალკას, სართიჭალას და სხვ. ყოველს ამაში ყველაზედ ძვირფასნი ნაშთნი პოვნილია კობანს, დილიჟანს და ნამეტნავად სამთავროს. თუ ამას იტყვის, ამისათვის ხელი გავიწვდინე და ვერ მივწვდიო, ეგ ბანზედ სიტყვის აგდება იქნება. ამას დიდი ძებნა არ მოუნდებოდა, თუკი მოისურვებდა. საჭირო იყო მოეკითხნა Труды Москов. Археолог. Общ. Т. X. და იქ იპოვიდა უვაროვის წერილს: Взгляд на Мцхетский могильник.

ეს რომ წაეკითხა ჩვენს ავტორს, მაშინ ის ტყუილი აღარ მოუვიდოდა, რომ ვითომც საფლავები სამთავროსი მარტო ორგვარნი არიან და არც ისე გაითამაშებდა სამთავროს საფლავე-

ბის ძვლებით ხელში. სამთავროს საფლავები ძალიან კარგად გამოძიებულნი არიან იმისთანა მცოდნესაგან, როგორიც უვაროვია. ამ გამოძიებისაგან სჩანს, რომ სამთავროს საფლავები ორ-გვარნი კი არ არიან, როგორც ჩვენს ავტორს მოსჩვენებია. არამედ სამგვარნი. უუძველესი საფლავები რიყის ქვით არის აგებული და მოწყობილი, მეორეა — აკლდამები დიდროვანის კლდის ქვისა და მესამე — უშველებელის აგურისა. ამაებში ნაპოვნი ნივთები კულტურის ნაშთნი არიან და იმათს ამბავს თავის ადგილას ვაუწყებთ მკითხველს.

ამ ხანად-კი ჩვენ იმას ვიტყვით, რომ ეს ზღაპრები ავტორისა იმიტომ არ მოგვიყვანია, ვითომც არა გვჯეროდეს, რომ ოდესმე ქართველებს ჩვეულებად არა ჰქონოდეთ ადამიანის ხორცის ჭამა. იქნება იყო ამისთანა დრო და საკვირველიც არ არის, იმიტომ, რომ ქვეყანაზედ თითქმის არც ერთის ერის პირველყოფილ წინაპართ არ დაეფიცებათ ამ საზარელ ჩვეულების არ-ქონა. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ქართველების სახელის შეთითხნისათვის რა სასაცილომდე უცნაურს სახსრებსა ხმარობს ჩვენი ავტორი, რა-რიგად ადვილად ემყარება არა სარწმუნო კაცებს და მოწმობას, და ამავე დროს რა რიგად ყურს იყრუებს, თვალსა ჰხუჭავს იქ, საცა პირდაპირი, უტყუარი საბუთია ქართველის ასე თუ ისე კეთილად ხსენებისა. ფრანსუა ლენორმანს და სხვებს ამისთანა გამოჩენილს კაცებს არას უჯერებს და ბაიერნის წინაშე-კი ქედს იხრის და თავის კრიტიკისა და отрицание-ს შუბს ძირსა სდებს. ეგ რათ გიკვირთ: თითონ სამთავროს საფლავებმა ბევრი რამ იმისთანა აღმოაჩინა, რომელიც ჰმოწმობს უწინდელ ქართველების კულტურის ასე თუ ისე სიდიდეს და სიმაღლეს და, აბა, თუ ერთი სიტყვა წასცდენოდეს ამაზედ; პირიქით, მკითხველის თვალი შეაყენა თითქმის მარტო იმაზედ, რომ ქართველები კაცის-მჭამლები იყვნენო. მერე ვისის ავტორიტეტობით? აი ამაზეა ნათქვამი, ქოთანმა იგორა, იგორა და თავის სარქველი იპოვაო. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს.

წერილი მეთერთმეტე

ბაიერნისაგან ზეგარდამო შთაგონებულმა ავტორმა „Письма о Грузии“-სამ წყურვილი მოიკლა იმაზედ, რომ ვითომც დაგვიმტკიცა, — ქართველები ადამიანის ხორცის მჭამელები იყვნენო სამთავროს სასაფლაოს ხანაში. ეს, რასაკვირველია, არ იკმარა, ვაი თუ მარტო ბაიერნს არ დაუჯერონო და ამიტომაც ქართველების მიერ მკვდრის მჭამლობას თავისი ფილოსოფიური სარჩულიც დაუდვა, ესე იგი, თავისი ავტორიტეტობაც ზედ დააბღერტა და ძლევამოსილი ბეჭედი დაჰკრა.

იგი თავის მეორე წერილის 37 გვერდზედ ხელაღებით და უცილობელად გვარწმუნებს, რომ მძაფრი, პირქუში (суровая), მთიანი ბუნება საქართველოსი ადვილად არ ემორჩილებოდა ადამიანსაო, მითამ-და ხელს არ აძლევდა, ჰძუნწობდაო და ხშირად, სიმშილობის დროს, აქ კაცი კაცსა ჰკლავდა საჭმელადაო. ძალიან არა სდომებია ჩვენს ავტორს ქართველები კაცის მჭამელად გამოეყვანა, რომ ამისათვის ეს ჩვენი ტკბილი და თბილი, მდიდარი და უხვი ბუნებაც-კი მძაფრ, პირქუშ და ხელმოუცემელ მწირ ქვეყნად გადააქცია, ქვეყნის სასაცილოდ და თავის სასახელოდ. ყველაფერში შეიძლება კაცმა იტყუოს და ასეთი ზორბა, დიდისა და პატარასათვის ადვილად დასანახი ტყუილი-კი არ გაგვიგონია. ამის მთქმელს ჯერ ქვეყნისათვის თვალის-ჩინი უნდა წაერთმია, ჯერ ყველანი დაებრმავებინა და მერე ეს ამისთანა ტყუილი ეთქვა გასასაღებლად.

ბაიერნის ავტორიტეტობით და თავისის ფილოსოფიით გონება-გაფიცხებული ავტორი ამაზედაც არ შეჩერდა. მისმა გახურებულმა ფანტაზიამ უფრო გააფუა, გაადიდა ეს ჩვენი კაცის-მჭამლობა. „რასაკვირველიაო, — ამბობს იქავ ავტორი, — ამისთანა მწირ ქვეყანაში დამშეულნი პირველ ყოვლისა უძლურთა და უღონოებს მისცვივდებოდნენო, სახელდობრ — დედათა და ყრმათაო. ამათ არამც თუ ჰხოცდნენ შესაწირავად, არამედ ჰყიდდნენ კიდეც ზიზილ-პიპილებზედაო“. ამ სახით, ქართველები თავის ცოლ-შვილსაც არა ჰზოგავდნენ საკლავად და საჭმელად. ეს ამბები აუწყა ჩვენს ავტორს სამთავროს სასაფლაომ ბაიერნის ბაგითა და ბოლოს ხომ მისმა საკუთარმა

ფილოსოფიამაც თავისი უტყუარი, უწუნარი და ყოვლად შეუშლელი ბეჭედი დაასვა. სად წაუხვალთ ამ ორკეც საბუთებს, მერე იმისთანა კაცებისაგან შემოწმებულს, როგორიც ბაიერნია საზოგადოდ და ჩვენი ავტორი საკუთრივ!

ამავ სამთავროს სასაფლაოსაგან გამოსჩიკა ჩვენმა ავტორმა თავისი დანასკვნი შესახებ ჩვენის სარწმუნოებისაც. იგი ამბობს, — უფრო ადვილად საგულვებელიაო, რომ ძველნი მკვიდრნი მცხეთისანი სამთავროს სასაფლაოს ხანაში, სახელდობრ მეათე საუკუნეში ქრისტეს წინათ, აღიარებდნენ უბრალოს, პირველდაწყებითს სარწმუნოებას ბუნებისასაო, თაყვანსა სცემდნენ მნათობთა, პირუტყვთა და უსულო საგნებსაცაო. ამასვე ჰმოწმობს ქართული მატიანეცაო, რომელიც — ჩვენში-კი ითქვას — სხვაგვარებში არა სწამს ჩვენს ავტორს. ეს „უბრალო, პირველდაწყებითი“ სარწმუნოებაც-კი შეჰშურდა თითქო ჩვენს ავტორსა და ვინიცობაა სხვამ არ იფიქროს. ვითომ-და ქართველებს აქ მაინც თავისი საკუთარი რამ ჰქონიათო, უმატებს: по всей вероятности, ქართველებს არავითარი განწყობილი და შემუშავებული წესი არ ექნებოდათ და, როცა ხანდისხან მსოფლიო ისტორიის ბედის ტრიალი გადმოჰხვეწდა საქართველოში სხვა წესსა და რიგში ჩაგდებულ რჯულის კაცებს, ქართველები თავის ღმერთების სიას ჩაურთავდნენ ხოლმე ახალმოსულების ღმერთებსაცა და გადმოიღებდნენ იმათს სიმბოლოებსაცაო. ესეთი თვისება აქვს ყოველ პირველყოფილ სარწმუნოებასაო, — ჰფილოსოფოსობს ჩვენი ავტორი (Сев. Вест., № 2, გვ. 62).

ჩვენ არ ვიცით და ჯერ არც არავინ სხვამ იცის, ჩვენის ავტორისა და ბაიერნის მეტმა, რომელს ხანას ეკუთვნიან პირველნი ორის გვარის (რიყის ქვისა და კლდის ქვისა) საფლავნი სამთავროს სასაფლაოსი. მეცნიერთ, რომელთაც ამ მხრით უძიებიათ ეს საქმე, ვერავითარი საბუთი ვერ უპოვიათ ჯერ, რომ ეს ხანა აღრიცხონ და გამოარკვიონ. ვირხოვი, რომელიც ჩვენს ავტორზედ არა ნაკლებ გათქმულია ევროპაში თავისის ცოდნით, ამბობს, რომ სამთავროს სასაფლაოს ნაშთნი უნდა ეკუთვნოდნენ ქრისტეს წინათ ორის ათასის წლის კულტურასაო, და სახელდობრ რომელ საუკუნისანი არიან, ამას-კი არ გვიჩვენებს. ჩვენმა ავტორმა-კი, ბაიერნის შთაგონებით, გამოიცნა ბეჯითად და გადაწყვეტილად, რომ იგი საფლავები

ეკუთვნიან ხანას მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინათ. მოდით და ჩუ იტყვით ქებასა და დიდებას ჩვენის ავტორისას! ჯერ ხომ გაამტყუნა ვირხოვი და მერე ზედმიწევნით გამოიცნა სხვა მეცნიერთაგან გამოუცვნელი. მაგრამ, ჩვენის ავტორის სამწუხაროდ, აქაც რაღაცა პატარა ზიანი სჩანს. ჩვენ ხელთ არა გვაქვს ბაიერნის წერილი ამის თაობაზედ, ხოლო ბ-ნი დ. ბაქრაძე თავის ახლად დაწერილ ისტორიაში (გვ. 74) გვეუბნება, რომ ბაიერნი სამთავროს სასაფლაოს ხანად სთვლისო დროთა სივრცეს მეექვსე საუკუნიდამ ქრისტეს წინათ მეექვსე საუკუნემდე ქრისტეს მერმეთ. თუ ესეა, მაშ აშკარაა, რომ ჩვენს ავტორს თავისი საყვარელი ბაიერნიც-კი ვერ გაუგია და საწყლისათვის ის უთქმევინებია, რაც არ უთქვამს.

ესეა თუ ისე, მივიღოთ ჯერ-ხანად ჩვენის ავტორის მეათე საუკუნე და გამოვიძიოთ, — ქართველები ამ ხანაში მართლა იმ მდგომარეობაში ყოფილან, რომ თითქო გლახა-მთხოვარებსავით დიდ გზაზე მსხდარან და გამვლელ-გამომვლელებისათვის ხელი გაუშვერიათ, ღმერთები შემოგვაწიეთ სამადლოდა, რადგანაც არა ჰქონიათ რჯული წესსა და რიგში ჩაგდებული და, მაშასადამე, მტკიცედ და გამორკვეულად არა სწამებიათ რა. თუ ჰქონიათ რამ, ისიც მარტო პირველდაწყებით რჯული ბუნებისაო, გვეუბნება ავტორი.

ჯერ ვიკითხოთ, საიდამ გამოიყვანა ეს ასეთი ამბავი ჩვენმა ავტორმა? იგი გვეუბნება. რომ სამთავროს საფლავებში ნაპოვნი ნაშთნი მოგვითხრობენ ამასაო და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითები. სხვათა შორისაო, იქ იპოვეს საცრემლონი: ზოგ ამ პატარა მინის ჭურჭლებზე სახე წარმოადგენს სიმბოლოს ქალდეურ ჰერკულესისას სანდონისასაო, ზოგი — ბაალისას და მარსისასაო, ზოგი — ეგვიპტელთა მზისაო. ამ საცრემლოთა შორის იმისთანანიც აღმოჩნდნენო, რომ ზედ გამოსახულნი არიან სახენი უწინდელის ქართველ ქალვაჟისაო. ვაჟი გრძელ ხუჭუჭ-თმიანია და წვერმოპარსული და ქალი მხრებზედ ჩამოშლილ თმიანი და თავსაკრავით მორთულიო. იმავ საფლავებში იპოვნეს ბევრი ვერცხლისა და რკინის ღილები თუ ბალთები, ორი ოქროს საყელური, მინის ჭურჭელი ვერცხლით შემოსილი და ზედ გამოსახულია საქმენი ჰერკულესის, ქალდეურ სანდონისაო. აქავ ნაპოვნია აბსიდიანის

დანა, რომელიც გვანიშნებსო, რომ ძველი მცხეთელები ცეცხლთაყვანისმცემელნი ჰყოფილანო. მოგვითხრობს რა ყოველს ამას, ავტორი ჰფილოსოფოსობს:

„Итак, Самтаврские раскопки... рисуют нам их (грузин), начиная с X в. до р. Хр., сначала антропофагами, исповедывающими элементарную религию природы, превращающуюся мало-по-малу, под влиянием политической зависимости от Мидо-Персии, нечто в роде электрического культа, в котором элементы сабаизма, парсизма и слабые следы греческого политеизма мирно уживаются рядом, не успевая, однако, сложиться в систему" (Сев. Вест., № 2, გვერდი 64).

თუ იმ ნაშთებისაგან, რომელიც ავტორმა ჩამოგვითვალა თავის პირველის წერილის 63 გვერდზედ, ამისთანა „итак"-ს გამოიყვანს სხვა ვინმე, ჩვენის ავტორის გარდა, მაშინ ადამიანმა ხელი უნდა აიღოს ჭკუასა და გონებაზედ, იმიტომ რომ იმისთვის ერთიცა და მეორეც ტყუილი და მეტი ბარგი იქნება. ეგ მაგისთანა „итак" ხომ დაასკვნა და დაასკვნა. მაგრამ თითქო შეშინებია, არავინ იფიქროსო, ვითომც ამ сабаизм-ის, парсизм-ის და ბერძნულ политеизм-ის შემორევნით ქართველს პატარა ჭკუა და თვალი აეხილებოდაო, — ავტორი იქვე მისწრებით უმატებს:

„Если в древнем грузинском культуре и сказывается некоторое преобладание сабаизма, то это легко объясняется тем, что сабаизм является более элементарным и наглядным, а след, более доступным первобытному мировоззрению древних грузин, чем другие религии".

ამ სახით აფრთხილებს თავის მკითხველებს: ნუ გეგონოთ, რომ აქაო და საბაიზმმა, პარსიზმმა და პოლითეიზმმა ბინა დაიდო ქართველების რჯულში, ამით ქართველებს გონება გახსნოდეთ და მომატებოდეთ რამეო. იგინი მაინც უფრო საბაიზმს მისდევდნენო, რადგანაც გონება-გაუხსნელ მაშინდელ ქართველთათვის უფრო ადვილად მოსაწვდომი იყო ეგ პირველდაწყებითი და თვალათ-საჩენი სარწმუნოება, ვიდრე სხვაო. თითქმის იმავე სახით, როგორც სამთავროს სასაფლაო, ქართული მატიანე გვიხატავს სარწმუნოებას ქართველებისასაო და, მატიანეს გარდა, თვით ბატონიშვილი ვახუშტიცაო. აქ ავტორი შემთხვევას არა ჰკარგავს კიდევ არ განიმეოროს ბევრგან განმეორებული მის მიერ კაცის-მჭამელობა ქართველებისა,

უთუოდ იმისათვის, რომ ამით კარგად გამოუჭედოს ყურები თავის მკითხველს, ვინიცობაა ბედი არ გაუწყრესთ და არ დაავიწყდეთო.

პირველდაწყებით რჯულად მეცნიერებაში ცნობილია თაყვანისცემა ცისა: რა თეორიაც უნდა წაიმძღვაროს კაცმა, თუნდ სპენსერისა, რომელსაც პირველდაწყებითი რჯული ადამიანისა გამოჰყავს წინაპართა სულის თაყვანისცემისაგან, თუნდ ამისი წინააღმდეგი თეორია სხვებისა და, სხვათა შორის, კარიერისა, რომელსაც სათავედ პირველდაწყებით სარწმუნოებისა მიღებული აქვს თვით გარე-მოხვეული ბუნება და მისი უშუამავალო, პირდაპირი ზედმოქმედება პირველყოფილ ადამიანის გრძნობა-გონებაზედ, — მაინც იქ მიხვალთ, რომ პირველდაწყებითი სარწმუნოება თაყვანისცემაა ცისა. ჩვენ ამაზედ გაბმა საუბარისა შორს წაგვიყვანს და ვისაც სურს ამის თაობაზედ ვრცლად სიტყვა მოისმინოს, იმან უნდა მიმართოს, სხვათა მრავალთა შორის, კარიერს, რომელსაც ეს ამბავი, ჩვენის აზრით, მშვენივრად და ნათლად გამოძიებული აქვს*.

ეს ცის თაყვანისმცემლობა ერთ ღმერთობას მოასწავებდა, არა იმისთანას, რომ ეპირისპიროს მრავალღმერთობას, რადგანაც მრავალ-ღმერთობის აზრიც არ იყო ჯერ იმ ხანაში. ამ პირველყოფილ ერთ-ღმერთობას — კარიერის სიტყვით — მოჰყვა მრავალ-ღმერთობა, სახელდობრ, თაყვანისცემა მნათობთა — მზისა, მთვარისა და ვარსკვლავებისა**. ეს მნათობთა გაღმერთება და თაყვანება შეადგენს შემდეგს ხანას სარწმუნოებურ გრძნობის განვითარებისას. ამ ორ ხანაში ადამიანს წარმოდგენილი აქვს ღვთაება განყენებულად; აქ ღვთაება იდეაა, აზრია, და მას არავითარს ნივთიერს სახეს არ აძლევს ადამიანი არც გამოხატვით, არც გამოქანდაკებით. დიდი დრო გადის, ვიდრე ადამიანი ცალკე გამოარკვევს ხილულ ბუნებისაგან უხილავ, ხორცუსხმელს ღმერთებს და ხილულად და ხორცსხმულად გარდაჰქმნის სალოცავად. კერპები, რომელნიც წარმოადგენენ უხილავთა ღმერთთა — ან გამოხატულობით, ან

---

* კარიერი: ხელოვნება, კულტურის საზოგადო განვითარებასთან ერთად. ტომი I, გვ. 46 და შემდეგი.

** საბაიზმი, რომელსაც ესე ხშირად იხსენიებს ხოლმე ჩვენი ავტორი, ჰქვიან მნათობთა თაყვანისცემას და განსაკუთრებით უფრო ვარსკვლავებისას და ცდომილებისას.

გამოქანდაკებით, ახალს ხანას მოასწავებენ სარწმუნოების განვითარებისას და წარმატებისას და ძალიან წინ წასულია, პირველდაწყებით ბუნების რჯულს რომ შეედაროს. ადამიანს დიდი და ხანგრძლივი დრო მოუნდა, დიდი წინ-წაწევა განვითარების გზაზედ, ვიდრე კერპთმსახურებამდე მიაღწევდა.

კერპთმსახურებაო, — ამბობს ლებბოკი, — უცილობლად წარმოადგენს უკვე უმაღლესს ხარისხს სარწმუნოებისასა და ერთობ მოასწავებს გონების განვითარებას, აღმატებულობას, იმაზედ გაცილებით შორს, რასაც წარმოადგენს პირუტყვთა და ცის მნათობთა თაყვანისცემა. კერპობა არისო ნივთიერად გამოხატულობა ღმერთებისა და კერპთმსახურება კაცობრიობის წარმატებულობის უმაღლესს ხარისხს გვიმტკიცებსო. ახლა ვნახოთ, იმ ხანაში, რომელსაც ჩვენი ავტორი აკუთვნებს სამთავროს სასაფლაოს, ესე იგი მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინათ, იყო საქართველოში კერპთმსახურება თუ არა.

ჩვენ ვერ წარმოვუდგენთ მკითხველს ზედმიწევნილ საბუთს მეათე საუკუნისას ქრისტეს წინათ, ხოლო მეცხრე საუკუნედამ თითქმის შეხუთე საუკუნემდე-კი დღეს მეცნიერებას ხელთა აქვს უტყუარი საბუთი იმისი, რომ ამ ხანაში ქართველების სარწმუნოება კერპთმსახურება ყოფილა. ეს ამბავი აღმოჩდა ასურელთა ლურსმულ წარწერათაგან, რომელნიც ზოგი ასურელთ მეფეებს ეკუთვნის და ზოგი იმ ალაგების მკვიდრთა, საცა უწინ ბინადრებულან ქართველები. ფრანსუა ლენორმანი* მოგვითხრობს, რომ ლურსმულნი წარწერანი ვანისა, Palon და არზრუმის გარეშემოსი გვიმტკიცებს, რომ იქაურნი მკვიდრნი, რომელთაც ლენორმანი ქართველებად ჰრაცხს, არამც თუ ენითა და ზნე-ჩვეულებით, არამედ სარწმუნოებითაც ერთნი იყვნენო, თუმცა-კი პოლიტიკურად ცალ-ცალკე დაყოფილ თემებს წარმოადგენდნენო. ამ წარწერილებში მოიხსენებიან აუარებელი რიცხვი როგორც იქაურების ღმერთებისა, აგრეთვე სხვებისაცაო. ზოგან აღნიშნულია კიდეც, რომ ლაშქრობის ნადავლისაგან რომელს ღმერთს რა ნაწილი დავლისა უნდა ჰრგებოდა და ზოგან ისიც არის, რამდენი რა შეუწირავთ სამღვთოდა, რამდენი და რა საკლავი დაუკლავთ.

---

* წერილი დელორიესთან ლენორმანისა.

ლენორმანის სიტყვით, ეს სარწმუნოება იმაში მდგომარეობდა, რომ თაყვანსა სცემდნენო ერთს უზენაესს სამეულს (ტრიადას). ყველა წარწერა ჯერ იწყება ამ სამსამობის, თუ სამეულ ღმერთების მიმართ სავედრებელითა და მერე იხსენებიან სხვა უმცირესნი, მეორე ხარისხის ღმერთებიო. ამ სამეულის უპირველეს ღმერთს ეწოდება „ქალდი“, ქალდისი“-ო. სარიუკინი, მეფე ასურეთისა (ბიბლიის სარგონი) ამ „ქალდი“-ს იხსენიებს უმაღლეს და უპირველეს ღმერთადაო. ამ სამეულის ორ სხვა ღმერთებს ლურსმულნი წარწერანი წარმოადგენენო იდეოგრაფიულ ნიშნებით, რომელთაც. თუ ასურულად წავიკითხავთ, „Bin და Samas“ გამოდისო*. ეს სახელები ხან მარტივად არიან ხსენებულნი, ხან ბრუნვათა დაბოლოებითაო, როგორც, მაგალითებრ, ზემოხსენებული „ქალდისი“**. უკანასკნელი ორნი ღმერთნი წარმოადგენენ: ერთი — ატმოსფერასა, ეთერს, ბრწყინვალე ცას, მეორე — მზეს, და „ქალდი“ შესავსებლად სამეულისა — მთვარეს***. რომ ეს ღმერთები კერპის სახედ იყვნენ, ამტკიცებს ის გარემოება, რომ ასურელნი მეფენი, როცა მოგვითხრობენ თავიანთ გამარჯვების ამბავს მაშინდელ ქართველებზედ, სხვათა შორის ამბობენ, დავატყვევეთო იმათი ღმერთი „ქალდი“ ანუ „ქალდისი“ და წამოვიღეთ ასურეთშიო. ხორზაბადის სასახლის ბარელიეფნი წარმოადგენენ ერთს ამისთანა ლაშქრობას ასურეთის მეფისას, და ამ ბარელიეფის მოწმობით ლენორმანს დიდის დაწვრილებით აწერილი აქვს თურმე საკერპო ტაძარი „ქალდისისა“, რომელიც ასურთა მეფეს გაუძარცვავს და საკუთარ განძი დავლად წაუღია.

---

* ბ-ნი ოპრომჭედლიშვილი გვაუწყებს, რომ შემდეგში ეს სახელები აღგილობრივ და არა ასურულ ენის მიხედვით ასეა წაკითხულიო: Teisha და Ardini.

** აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულის ენის თვისებისამებრ, თვით ეს ფორმა „ქალდისი“ სახელობით ბრუნვად ჩაითვლება. ქართულში ხშირია, რომ ნათესაობითი ბრუნვა სახელობითად გადაიქცევა ხოლმე, მაგალითებრ, მამა-სახლისა — მამასახლისი, ტფილისა — ტფილისი.

*** აქ უნდა შევნიშნოთ, რომ შედარებითი მითოლოგია ბევრს მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას. რომ ზოგი ერი ღმერთს მთვარისას უფრო დიდ პატივს აძლევდა, ვიდრე ღმერთს მზისას. მაგალითებრ, ძველ ქალდეველთა სარწმუნოებაში ღმერთი მთვარისა უმაღლესი და უდიდესი იყო მზის ღმერთზედ.

რას ჰნიშნავს ეს „სამეულობა“ ღმერთებისა? შედარებითი მითოლოგია რომ მოვიშველიოთ, ამის პასუხს მალე ვიპოვით. ბევრს ერს ქვეყნიერობაზედ — ზოგან მიბაძვით, ზოგან დამოუკიდებლად, — თვისის სარწმუნოების ღმერთნი წარმოდგენილნი ჰყოლიათ გუნდ-გუნდად, უფროს-უმცროსობის და მაღალ-დაბალის ხარისხებით. თითო გუნდში მოუქცევიათ სამ-სამი ღმერთი თანასწორის ხარისხისა, ხოლო სხვადასხვა წოდებისა და მნიშვნელობისა. ზოგან ამისთანა სამეული გუნდი ორია, ზოგან სამიც არის, და ამ სამეულთაგან წარმოშობილ არიან დანარჩენი დაბალის ხარისხის ღმერთნი. მაგალითებრ, ბაბილონსა და ქალდეაში ორი ამისთანა სამეული გუნდი იყო. პირველ ხარისხის, ანუ უკეთ ვსთქვათ, უმაღლესის ღმერთების სამეულს წარმოადგენდა ღმერთი „ანუ“, „პირველშობილი, უუძველესი ღმერთთა შორის, მამა ღმერთთა, მპყრობელი საუკუნისა“ (უკუნი=ბნელი, საუკუნე=საბნელე, საბნელეთი). ეს „ანუ“ იყო ღმერთი ცისა; მისი საბრძანებელი უძრავი ცაა, უძრავის ვარსკვლავებით. მეორე ღმერთი ამ სამეულისა „ეა“-ა და მოასწავებს შემოქმედობის ძალს ღვთაებისას, და მესამე — „ბელ“, გამჩენელი ზესკნელისა და გამგებელი ვარსკვლავთა მსვლელობისა ცის სივრცეზედ*.

ამ პირველ-ხარისხოვან სამეულისაგან ჩამოდიან მეორე სამეულის ღმერთნი: „სინ“, ღმერთი მთვარისა, ძე „ბელ“-ისა, მანათობელი და გამათბობელი დედამიწისა; „ბინ“, ანუ „რამან“ (სირიული „რიმონ“) ღმერთია ატმოსფეროსი, წვიმისა, ჭექა-ქუხილისა და ელვის მომავლინებელი; და მესამე — „სამას“ ღმერთია მზისა, მპყრობელი ცისა, ძე „სინ“-ისა.

თურანელთაც სამეულობით სწამებიათ ღმერთები. ამათგან მარტო ერთი სამეული-ღა დახსომებია ისტორიას. თურანელთა სამი უდიდესი ღმერთი ჰყოლიათ, ერთი — ზესკნელს, მეორე — დედამიწას და მესამე — ქვესკნელს. ამ სამეულის გარდა, ბევრნი სხვა ღმერთებიცა ჰყოლიათ, რომელთ შორისაც ზოგნი კეთილის-მყოფელნი არიან და ზოგნი ბოროტისა; აგრეთვე ეგვიპტეშიაც შენიშნულია სამეულობა ღმერთებისა**. სამ-სამობით დაყოფილნი გუნდნი ღმერთებისა სარწმუ-

---

* გებერი.

** კორში.

ნოებაში აღმოჩენილია ასურეთშიაც, რომელსაც ღმერთნი და სარწმუნოება ბაბილონისაგან მიუღია და შეუთვისებია. თუ გიგულვებთ, ვითომც ქართველებს სხვისაგან მიეღოთ თავისი რჯული, დაუჯერებელი არა არის-რა, რომ ეს სამეულობა ღმერთებისა შემოსულიყოს ჩვენში ან თურანელთაგან, რომელთაც ხშირად შევხვედრივართ და თითქმის მეზობლადაც ვყოფილვართ, ან ასურელთაგან, რომელნიც ჩვენი მტერ-მეზობელნი ყოფილან და რომელთაგანაც ჩვენ ბევრი რამ სხვა გადმოგვიღია, მაგალითებრ — ხუროთმოძღვრება და ლურსმული წერა, რომელიც, ლენორმანის სიტყვით, ჩვენ ჩვენის ენის თვისებისამებრ მერე ცოტად თუ ბევრად გადაგვიკეთებია. შესანიშნავი ამ სამეულ ღმერთების გამო ის არის, რომ ქართველებს არამც თუ ასურელთა ეპოქაში, მერეც, მცხეთის გაძლიერების დროს, ეს სამეულობა არ დაუკარგავთ. ამას ამტკიცებს ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ფარნავაზის დროსაც სამეულს ღმერთებს გვისახელებს: „არმაზს, გაიმს და გაცის“ და უმატებს, რომ ამასთანავე „ქართლოსის“ საფლავსა ჰლოცულობდნენ და ჰფიცავდნენო.

ძალიან ჭკუას ახლოა და ადვილად საფიქრებელი, რომ ლურსმულ წარწერილში მოხსენებული „ქალდი“, „ქალდისი“ იგი „ქართლისი“ იყოს, რომელიც მერე, ბიზანტიის ზედგავლენით, „ქართლოსად“ გადაკეთდა და რომელიც ქართულმა მითოლოგიამ დაგვისახელა ქართველთა პირველყოფილ წინაპარად, და რომელსაც ქართველნი მერეც თაყვანსა სცემდნენ, როგორც ჩვენი მატიანე გვაუწყებს. რასაკვირველია, ამ ჩვენს ნათქვამს, ჩვენს დაახლოვებას ჩვენის მატიანის „ქართლოსისა“ ლურსმულ წარწერილის „ქალდისთან“ უფრო ძლიერი დასაბუთება სჭირია და ჩვენ ძალიან შორსა ვართ ამას რაიმე უცილობელი მნიშვნელობა მივცეთ. ჩვენ აქ ეს ამბავი მოვიხსენიეთ მარტო იმისათვის, რომ ამ მხრით ყურადღება მიექცეს და ეს საგანი გამოძიებულ იქმნას ჩვენზედ უკეთ მცოდნეთაგან. შედარებითმა მითოლოგიამ აღმოაჩინა, რომ ეს მითად გადაქცევა მართალისა თუ მოგონილის წინაპარისა, — მთელს ქვეყნიერობაზედ შემჩნეულია. ტეილორი, ლებბოკი, სპენსერი და სხვანი ბევრს მაგალითს გვიჩვენებენ ამისას და იქამდინაც მიდიან, რომ მოგვითხრობენ დიდის წინაპარის, ანუ **გმირის** და სხვა გამოჩენილის კაცის უმაღლესს ღმერთად გადაქცევასაც.

ამ სახით, დღესაც ღონგოლები ჩინგის-ყაენს ღმერთად ჰხადიან*.

ასეა თუ ისეა, ორი სამეულნი ღმერთნი სჩანან ჩვენს პანთეონში, ერთი ასურელთა ეპოქისა და მეორე — მცხეთისა. აშკარაა, ეს სამეულობა ღმერთებისა ჩვენშიაც, როგორც ბევრგან სხვაგან, ჩვენის ადრინდელის სარწმუნოების გარკვეულს სისტემას მოასწავებს. უყურადღებოდ დასაგდები არ არის სამგვარი ცნობა ჩვენის მატიანისა ჩვენის უძველეს რჯულის შესახებ. ერთი ისა, რომ თავდაპირველად ქართველები ერთს ღმერთსა სცემდნენ თაყვანსაო და ეს, როგორცა ვნახეთ, ესეც უნდა ყოფილიყო პირველ-დასაწყისში, ვითარცა ყარიერი გვემოწმება საზოგადოდ, როცა პირველყოფილ სარწმუნოებაზედ ლაპარაკობს. მას მერმეთ ქართველებს, ჩვენის მატიანეს სიტყვით, მრავალ-ღმერთობა შემოუღიათ და ბოლოს ხომ კერპთმსახურება. არც ერთი ეს ცნობა არ ეწინააღმდეგება ისტორიულს დანასკვნას მასზედ, რომ ყველგან ამ კიბით უვლია რჯულის განვითარებასა და წარმატებას. მესამე ცნობა, რომელსაც, ლენორმანის სიტყვით, ისტორიული საბუთი აქვს, — ეგ სამეულობაა ღმერთებისა, და ჩვენი „ქართლის ცხოვრება", როცა ბოლოდელ დროშიაც სამეულს ღმერთებს იხსენიებს, მხარ-და-მხარ უდგება ისტორიულს საბუთსა.

მეტად საინტერესოა გამოძიება იმისი, თუ რა მნიშვნელობის ღმერთნი არიან არმაზი, გაცი და გაიმი, და რას მოასწავებდნენ, მით უფრო, რომ ჩვენ, თუ არა ვცდებით, ზოგიერთ საბუთს წავაწყდით ამ საკითხის აღსახსნელსა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი წერილები უამისოდაც მეტად გრძელდება და ამიტომაც ამაზედ საუბარი კაცმა ცალკე სჯობს იქონიოს. ახლა-კი ამას ვიტყვით, რომ ჩვენის ღმერთების პანთეონში ბევრი სხვა ღმერთებიც მოიპოვებიან, მაგალითებრ „ბოჩი". თეიმურაზ ბატონიშვილი ასე აგვიწერს ამის კერპსა:

„ბოჩისასა იტყოდეს ამას: ესხნენ შვიდნი ხელნი, რომლითაცა ხელმწიფებდა თვითოეულითა ხელითა მათ ყოველთა სხვათა მწვერვალთაგან შვიდთა მწვერვალთა კავკასიისათა და თვითოეულსა ხელსა მისსა აქვნდა თითო ფერი ხელმწიფება

---

* ტეილორი: ანტროპოლოგია, გვ. 356; ლებბოკი: დასაწყისი ცივილიზაციისა; სპენსერი: სოციოლოგია, და სხვანი.

მოფენად სარგებლობისა, წყალობისა. გინა რისხვისა*. ეგ სახედვეყ — უმატებს მერე თეიმურაზი, — შვიდნი ხელნი ბოჩისანი ნიშვნიდენ შვიდთა ნათესავთა თარგამოსიანთასა, ქართლოსისა და სხვათა ექვსთა ძმათა მისთა“.

უძველესნი ღმერთნი იყვნენ კიდევ ზემოხსენებულნი „გაცი“ და „გაიმი“, ანუ „გაისი“, თუ „გაასი“. გაცი კაცის სახის კერპი იყო, ოქროსი, ფეხ-მდგომარე, გაიმი-კი — ვერცხლისა. ამათ გარდა, ჯერ კიდევ მამასახლისობის დროს, ყოფილა კერპი „ზადენი“, „აინინა“, „დანინა“ და ბოლოს „აფროდიტეც“-კი, რომელიც მესამე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ მითომ მეფე რევის ცოლს, სეფორს, ბერძნის ქალს, მოეტანოს საბერძნეთიდამ და მცხეთას აღემართოს. ფარნავაზ მეფის დროს ხომ უპირველეს ღმერთად, ჩვენის მატიანეს სიტყვისამებრ, შეიქმნა კერპი არმაზი, რომელიც ფარნავაზმა აღმართა და ჩააყენა არმაზის მთაზედ უძველესთა კერპთა — გაცისა და გაიმის შუა. არმაზის კერპი წარმოადგენდა ფეხზედ მდგომარე სპილენძის კაცს, ტანზე სცმია ოქროს ჯაჭვი, თავს ჰხურებია ოქროსავე ჩაფხუტი, სამხრენი და თვალნი ზურმუხტისა და ბივრიტისა ჰქონია. ხელთ სჭერია ხმალი „ელვარე და ბრწყინვალე“, რომელსაც კერპი იქნევდა თურმე აქეთ-იქით და „შიშითა მისისა მიმთხვევისა და სიკვდილისათა მის მიერითა არავინ განუკრძალველად შეემთხვეოდეს“.

სამწუხაროდ ჩვენდა, არავითარი საბუთი ჯერ არ აღმოჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო გამოგვეცნა, — თვითოეული ღმერთი ამ პანთეონისა რის მომასწავებელნი არიან და რა აზრს, იდეას უწინდელის ქართველისას წარმოადგენენ. არ ვიცით საიდამ, და თეიმურაზ ბატონიშვილი-კი ზოგიერთს ნიშნებს მოგვითხრობს. მაგალითებრ, ერთს ადგილას ამბობს, რომ არმაზი ნათელისაგან შობილად იყო წამებულიო. იგივე თეიმურაზი გვაუწყებს, რომ მირიან მეფე წმინდა ნინოს სასწაულთ-მოქმედებას „იხილვიდა მცირედ ორგულებითაო“ და

---

* ეს „ბოჩი დღესაც დარჩენილია ჩვენში, მაგალითებრ ქვემოიმერეთში დღესაც ბალღებს აშინებენ და ეუბნებიან, როცა გაჭირვეულების დაწუნარება სურთ, დაჩუმდი, თორემ „ბოჩია მოდის, ბოჩიაო“. საკვირველი არა არის-რა, რომ ძველთაგან დარჩენილი იყოს ეს საშინელი სახელი ძველის, ზოგჯერ მრისხანე ღმერთისა.

მოჰყავს საიდამღაც ამოწერილი მისი სიტყვა, წარმოთქმული წმიდა ნინოს წინაშე. ამ სიტყვისაგან სჩანს, ვითომც არმაზი და ზადენი იყვნენო ღმერთნი „სოფლის მპყრობელნი, წვიმის მომყვანებელნი, მზის მომფენელნი, ქვეყანით ნაყოფთა აღმომყვანელნი, გამომზრდელნი ქართლისანი“, ხოლო გაიმი და გაცი „ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნიო“.

აქ დაუჯერებელი არა არის რა. ვისაც შედარებითის მეთოდით უსინჯავს სხვადასხვა რჯულნი, რომელთა ცნობაც მეცნიერებას დღეს ხელთა აქვს, იმას ეცოდინება, რომ ძალნი სოფლის მპყრობელობისა, მზისა და ნათელის მომფენელობისა, წვიმის მომყვანელობისა, ნაყოფთა აღმომცენებლობისა და სხვა ამისთანა მოვლენისა გაღმერთებულნი იყვნენ ყველა ერისაგან მთელს დედამიწის ზურგზედ. ჯერ მინამ მეცნიერება თავის უტყუარის მცნებით არ მიჰშველებია ადამიანს გაგებად ბუნების მოვლენისა, ყველა ეს ძალნი კაცის გონებისათვის მიუწვდომელნი და გამოუცნველნი არიან. გონება-კი ადამიანისა იმ თვისებისაა, რომ რა ხარისხზედაც გინდა იდგეს კაცი, — ველურია თუ განათლებული, — ყოველთვის წინ უდგა ამ მრავალფერ ქვეყანაში ჰირველი საკითხი: საიდამ რაა და როგორ? ტეილორი ამბობს, რომ ესეთი საკითხები მარტო განათლებულის კაცის კუთვნილებას არ შეადგენს და ველურს კაცსაც ისე აეკვიატება ხოლმე, როგორც მეცნიერებით გონებაგახსნილსაო.

რაკი ესეა და ბუნების დიდნი მოვლენანი უმეცნო კაცისათვის გაუგებარნი არიან, მაშ რა ჰქნას ახლად ფეხადგმულმა გონებამ კაცისამ, თუ მიზეზად ყოველ ამისთანა მოვლენისა არ იწამოს რაღაც ყოვლად-შემძლებელი, უხილავი არსება და იმას არ მიაწეროს შექმნა და მოვლინება ყოველ იმისა, რის მიზეზი და სათავეც თითონ ვერ გამოუცვნია და ვერ მისწვდომია. აქედამ არის წარმომდგარი ის, რომ უწინდელ დროების ერნი, და ეხლაც ველურნი, ყველა ამისთანა მოვლენის ასახსნელად ცალკე ღმერთსა ჰქმნიან და ღმერთი ხომ ყოვლად-შემძლებელია. მზე — ეს დიდებული მნათობი, ნათელის მომფენელი, სიცოცხლის მომნიჭებელი. მთვარე, ვარსკვლავი, ქარი, წვიმა, ჭექა-ქუხილი, ელვა, თითონ ხეც-კი, რომელიც ერთ ბეწო თესლისაგან, რაღაც დაფარულისა და გონება-მიუწვდომელის ძალით, მრავალ-შტოიან უშველებელ საჩრდილო-

ბელად გადაიქცევა ხოლმე, — ყველა ეს განსაცვიფრებელი ამბავი უმეცნო კაცისათვის საიდუმლოებაა, დაფარული, უხილავი ყოვლად-შემძლებელობაა, და აქედამ დიდი მანძილი არ არის ამ უხილავის ძალის გაღმერთებამდე. სხვადასხვა რჯულთა, სხვადასხვა ერთა შედარება გვიმტკიცებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ამ გზით უვლია და ყველა მოვლენასა თუ საგანში ცალკე მიუწვდომელი ძალი უგულვებია და ცალკე ღმერთი შეუქმნია ამ ძალის მომასწავებლად, მიზეზად და დასაბამად. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველ ამ შემთხვევაში ძალია საგნისა გაღმერთებული ხოლმე და არა თითონ საგანი. მაგალითებრ ძალი მზისა, რომელიც ნათელსა და სითბოს აფენინებს, და არა თითონ მზე.

ამ ერთ-გზად სვლას ადამიანის გონებისას ერთ-სახის დასკვნაც მოჰყვებოდა და ამიტომაც ვხედავთ საოცარს მსგავსებას რჯულისას სხვადასხვა ერში, რომელნიც თავის-დღეში ისტორიის გზაზედ ერთმანეთს არ შეჰხვედრიან. მსგავსება-კი ისე გასაოცარია, თითქო ერთმანეთისაგან მიუღიათ, ერთმანეთისათვის მიუბაძავთო მაშინ, როდესაც, როგორც სივრცით, ისეც ყოველისფრით ერთმანეთზედ მიუწვდომელად დაშორებულნი ყოფილან და არიან. სეისი, რომელიც თითონ სახელგანთქმულს სპენსერსაც-კი ამისთანაებში მოწმად მოჰყავს, ამბობს, რომ სწორედ ეს გარემოება (დამოუკიდებლად მსგავსება) ამტკიცებსო, რომ ბუნება ადამიანისა, სემიტია თუ არიელი, ზანგია თუ თეთრი, დიდ-თავა თუ წვრილ-თავა, ყველგან ერთი და იგივეა; თუ გარემოებანი, რომელთ შორისაც ადამიანი ჰტრიალებს, ერთი და იგივეა, თითონ მათი შედეგიც ერთი და იგივე იქნებაო, ერთმანეთს ეგვანებაო. ამიტომაც გვანება, მსგავსება რჯულისა, ანუ ღმერთებისა, ყოველთვის არა ნიშნავს ერთის ერისაგან მეორის მიერ მიღებას. აქ შესაძლოა ერთმა ერმა თავის-თავად ისეთივე რჯული შეიქმნას, როგორც სხვა ერმა, მსგავს ბუნებასა და გარემოებაში მყოფმა.

ამიტომაც ერთისა და იმავე თვისებისა და მნიშვნელობის ღმერთნი, ხოლო სახელების სხვაობით-კი, ყველა ერში მოიპოვებიან. შედარებითი მითოლოგია საოცარის, მაგრამ უტყუარის საბუთებით გვიმტკიცებს ამას და მეტისმეტი კადნიერება არ იქნება ჩვენის მხრით, რომ ჩვენც, თეიმურაზის სიტყვისამებრ, ესევე უწინდელ ქართველებში ვიგულვოთ.

გარდა იმისა, რომ ქართველთა კერპთმსახურება მტკიცედ-ბა იმისთანა უცილობელ საბუთით, როგორიც ლენორმანს მოჰყავს, ისიც დამტკიცებულად ჩასათვლელია, რომ ქართველებს სარწმუნოებური წესი, რიგი და სისტემა უნდა ჰქონებოდათ კარგად გარკვეული. უამისოდ ძნელად წარმოსადგენია კერპთმსახურება, რომელიც, როგორც უფრო რთული და განვითარებული რჯული, წესსა, რიგსა და სისტემას ითხოვს ლოცვისას, თაყვანისცემისას, მსხვერპლის შეწირვისას და მებრვე სხვას. თუნდ ეგეც არ იყოს, თვით იგი ამბავი, რომ მაშინდელ ქართველებს საკერპო ტაძრები ჰქონიათ, მერე იმისთანა სატაძრო განძითა და ავეჯით, რომ თითონ ასურელთა მეფენიც-კი ამაების მოტაცებასა და წაღებას ჰქადულობენ, პირდაპირ გვეუბნება ამ რიგისა და წესის არსებობას. რაკი ტაძარია, იქ ლოცვაც არის და მსხვერპლის შეწირვაცა; რაკი ლოცვა და შეწირვაა — იქ მღვდელმსახურებაც არის, და რაკი მღვდელმსახურებაა — იქ მაღალ-დაბალნი, უფროს-უმცროსნი მსახურნიც არიან ტაძრისა თუ კერპებისა, და ნუთუ ყოველივე ეს უწესოდ, ურიგოდ, და უსისტემოდ შესაძლებელია? ნუთუ ყოველ ამის ამსრულებელი რჯული წესსა და რიგში ჩაუგდებელი, სისტემაში მოუყვანელი უნდა იყოს?

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ თუ არ საკუთრივ მეათე საუკუნიდამ ქრისტეს წინათ, მეცხრიდამ მაინც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველების რჯული კერპთმსახურება ყოფილა ქრისტეს რჯულზედ მოქცევამდე. ჩვენ ლებბოკი ვიმოწმეთ, რომ კერპთმსახურება ძალიან შორს გაცილებულია პირველდაწყებით სარწმუნოებისაგან და წარმოადგენს უფრო უმაღლესს ხარისხს რჯულის განვითარებისას და წარმატებისას, ვიდრე მნათობთა მსახურება და თაყვანისცემა. თუ ლებბოკის სიტყვას არ დაიჯერებს ბაიერნის ჩვენი ბრმად დამჯერი ავტორი „Письма о Грузии“-სა, კარიერი მაინც გადიკითხოს, ის კარიერი, რომელსაც ასე ხშირად თითონვე იმოწმებს ხოლმე თავის წერილებში. სხვებს აღარ ვიტყვით, იმიტომ რომ ჩვენი ავტორი ამისთანაებს ვერ ეწყობა, რადგანაც თავის პირველ წერილის 49 გვერდზე ამბობს:

„Для этого понадобилось бы много кропотливого, скучного труда, к которому совсем не располагает Кавказ с его вечно-ясным небом и жгучим (აკი

суровая оуо!!!) солнцем*, погружающим в сладкое far niente".

იყოს ნება მისი მაგ „сладкое far niente"-ს შესახებ, ჩვენ-კი ამას ვიტყვით, რომ ზემო-ნაჩვენები გზა სარწმუნოების მსვლელობისა სრულებითაც არა სცოდნია ჩვენს ავტორს, თორემ როგორ იტყოდა, ვითომ მცირე საუკუნიდამ დაწყებული ქრისტეს წინათ ქართველებს პირველდაწყებითი რჯული ჰქონდათო, მაშინ როდესაც კერპთმსახურობა ჰქონიათ, ესე იგი დიდად შორს-გავლილი და წინ-წასული რჯული. ლენორმანის მოკლე, მაგრამ დასაბუთებულ სიტყვადამე სჩანს, რომ იგი რჯული — გარკვეული, სისტემაში და წესში ჩაყრდნილი ყოფილა და, თუ ჩვენი ავტორი თეიმურაზ პატონიშვილსაც დაუჯერებს, მაშინ ხომ ბოლად და დაწვრილებით შეიტყობს ამ წესისა და რიგის ამბავს. დავარწმუნებთ, რომ თეიმურაზი ამისთანაებში უფრო სარწმუნოა, ვიდრე ჩვენის ავტორის ბაიერნი.

მაშ რიღას პატრონი გვეუბნება და რამდენჯერმე გვიმეორებს, ვითომც ქართველებს ისეთი რჯული ჰქონებოდეთ. რომ მისი არც თავი იცოდნენ, არც ბოლო, ესე იგი, უწესო და ურიგო იყოო. აშკარაა, ამაშიც ჩვენი ავტორი, погруженный в сладкое far niente, მართალს გაჰქცევია და ტყუილს გადაჰხვევნია. ამასა ჰქვიან „одним штрихом обнять", რომელიც ჩვენმა ავტორმა ასე თავმოწონებით დაიჭადა Новое Обозрение-ს ფელეტონში. დალოცვილს ბაჯს ხომ არავინ არ თმევდა, ორის штрих-ით სცდილიყო გაეგო რამ, რაკი მისი ერთი штрих-ი ასე სცუღლუტობს ხოლმე და ამისთანა ხათაბალაში ჰხვევს. თუნდ მესამე штрих-იც ეშველია, რაკი ეგრე იყო, ვინ დაემდურებოდა, მაგრამ —

თუ კაცი თითონ არ არის,
რას არგებს მრავალ-штрих-ობა.

---

* ეგ მაშინ იყო, როცა ჰსურდა ქართველების კაცის-მჭამელობა დაემტკიცებინა, ეხლა-კი, როცა თავისი უვიცობა უნდა შეგვაწყნარებინოს და შეგვანდობინოს, ის „суровая, горная природа" შეიცვალა, ცაც მოიწმინდა და მზეც გაფიცხდა.

წერილი მეთორმეტე

ჩვენ ერთს წინა წერილში ერთი იმისთანა საქმე დაგვრჩა გამოსაძიებელი, რომელსაც, ჩვენის ფიქრით, რჯულის წესთანა აქვს კავშირი. ამიტომაც ჩვენ მისი გამორკვევა ვამჯობინეთ მაშინ, როცა ავტორს „Письма о Грузии"-სას ჩვენის უწინდელის რჯულის სათხრობლად გამოვიწვევდით. ეს საქმე შეეხებოდა სამთავროს საფლავებში ნაპოვნ ნაშთებს, რომელთა შორის ბაიერნმა იპოვა ვითომც ნიშნები ქართველების მიერ კაცის-მჭამელობისა და მერე ხომ ჩვენმა ავტორმაც თავის მხრით დაასაბუთა ეს ქართველთა მიერ კაცის-მჭამელობა სამთავროს სასაფლაოს ხანაში, რომლის სიერცე, ავტორის აზრით, იწყება მეათე საუკუნიდამ და თავდება მეორე საუკუნეს ქრისტეს წინათ.

არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ავტორი ჩვენს ლიტერატურას უკიჟინებს, კრიტიკა და შედარებითი მეთოდი მისთვის სრულიად უცნობიაო. ეს მართალია, ხოლო საბუთი გვაქვს ამის შემდეგ თვით ამისთანა მოკიჟინეს ვუგულვოთ ეგ კრიტიკაც და ეგ შედარებითი მეთოდიც. ეხლა ვნახოთ, რა ძალ-ღონიერის კრიტიკისა და შედარებითის მეთოდის კაცი ყოფილა ჩვენი ავტორი, და ამ კრიტიკასა და მეთოდს მართლა რაშიმე იყენებს, თუ ეს სიტყვები მისთვის მარტო თქმაა და არა ქმნა.

აი საიდამ გამოჰყავს ჩვენს ავტორს თავისი აზრი, რომ ქართველები სამთავროს სასაფლაოს ხანაში კაცისმჭამელები ყოფილანო. ბაიერნმაო, ამბობს იგი, დასინჯა რა სამთავროს საფლავები, განცვიფრდაო, რომ ადამიანის ძვლები ერთსა და იმავე საფლავში იმდენად არეულ-დარეული იყოო, რომ ერთი მთელი ჩონჩხიც-კი (скелет) ვერ ამოიღოო. გარდა ამისა, ერთი საფლავის გვერდით ნაცარი ჰნახაო და იმ ნაცარში იპოვნა დამწვარი ძვლები ადამიანისა და იქავ ძვლები ხარისა, ცხენისა, ცხვრისა და ქათმისაო. თითონ საფლავებში არამც თუ მარტო ჩონჩხები თავისა ენახა შუა-გაპობილი, არამედ ტანიცა, ასე რომ ზოგან ზედა-ტანი ერთს საფლავში გამოჩენილა და ქვედა-ტანი მეორეშიო. „ყოველ ამ გარემოებამაო, — უმატებს ჩვენი ავტორი, — ბაიერნი იძულებულ ჰყო ეგულვნა (предположить), რომ ძველნი მკვიდრნი მცხეთისანი,

არამც თუ კაცის-მჭამელნი იყვნენ, არამედ მკვდრის ლეშსაც ხმაობდნენ საჭმელადა და როცა ლეში მოსჭარბებოდათ, ბევრი უგროვდებოდათ, გადანარჩენს საფლავში ინახავდნენო"*.

ამ სახით, გამოდის, რომ ჩვენის ავტორის აზრით, ზოგიერთი საფლავი საკუჭნაოსავით უხმარიათ ადამიანის ლეშის შესანახავად, რადგანაც ხორაგად გამოსადეგი ყოფილა. სხვა რა აზრი უნდა ჰქონდეს ჩვენი ავტორის სიტყვებს:

„Питались даже трупами и, когда трупов накопилось много, прятали остатки их в гробницах".

ამისთანა ბრძნულად საფლავის გადაქცევა საკუჭნაოდ მარტო ბაიერნს და ჩვენს ავტორს თუ მოუვა ფიქრად, თორემ სხვას არა გვგონია. ეს საკუჭნაოდ საფლავის გადაქცევა ახალი ამბავია მეცნიერებისათვის და, რადგანაც ჩვენის ავტორის „კრიტიკითა და შედარებითის მეთოდით" არის აღმოჩენილი, დასაჯერებელიც უნდა იყოს. ამიტომაც სამართალი ითხოვს ამის აღმოჩენაშიაც პირველობა ჩვენს ავტორს დავულოცოთ. მეცნიერული განსჯა და ბჭობა გაგონილა და ამისთანა? გაგონილა ამისთანა სასაცილობა?!

ეგ კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ ბაიერნი ქართველების მიერ ადამიანის ხორცის ჭამას გადაწყვეტილად არ ამბობს. იგი ამ ამბავს მგონიაობით გვაუწყებს. თითონ ჩვენი ავტორი ამ მგონიაობით გვიცხადებს ბაიერნის აზრსა: „Эти обстоятельства заставили Байерна предположить"-ო. თუმცა ესეა, მაგრამ ჩვენმა ავტორმა ბაიერნის предположение გარდაჰქმნა გადაწყვეტილ და უცილობელ ამბავად. იგი ამბობს:

„ჩვეულება მკვდრის ხორცის თქვლეფისაო (пожирать) და ადამიანის შეწირვა კერპებისათვის შემოწმებულია ქართულის მატიანესაგანაცაო... რომ სამთავროს სასაფლაოს ხანაში კაცის-მჭამელობა არსებობდა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ უფროს-ერთს იქ ნაპოვნს ძვლებში, — ადამიანისაა, თუ პირუტყვისა, — სიმსუქნე, ესე იგი ტვინი (студень) არ აღმოჩნდაო; ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო ბაიერნი ეგულვნა (აქაც предположить) რომ ძვლები უხარშავთო"**.

ამ აღსავალს კიბეზედ დამდგარი ჩვენი ავტორი უფრო-

* Сев. Вест., № 2, გვ. 60.
** იქვე: გვ. 61.

და-უფრო მაღლა ადის ბაიერნის предположение-საგან. თა-ვის მეორე წერილის 37 გვერდზედ იგი უფრო ძლიერ ასა-ბუთებს ქართველების მიერ კაცის-მჭამელობას და ამ გზით, ბაიერნის „предположение"-თი დაწყებულს, ბოლოს-და-ბო-ლოს უეჭველ ამბავად ჰხდის. იგი ამბობს:

„Суровая горная природа (Грузии) не легко покоря-лась человеку и часто в голодные годы им (грузинам) приходилось налагать руку на ближнего. Первыми жерт-вами становились, конечно, слабые — женщины и де-ти..."

აშკარაა, ჩვენი ავტორი თავის ოსტატს ბაიერნზედ უფრო შორს წასულა ამ შემთხვევაში: რაც ბაიერნს ეჭვით და მგო-ნიობით უგულვნია, ის ჩვენს ავტორს დაუსაბუთებია და უეჭველობის ტახტზედ დაუბრძანებია, ვითარცა გამორკვე-ული ჭეშმარიტება.

რადგანაც სათავე ჩვენის ავტორის დანასკვნისა ამ შემ-თხვევაში მაინცა-და-მაინც ბაიერნის ნათქვამია, სრულიად გა-ნუსჯელად, განურჩევლად, უკრიტიკოდ მიღებული მის მიერ, ჩვენ ჯერ გავსინჯოთ, — რამოდენად სარწმუნოა ეს თითონ ბ-ნი ბაიერნი საზოგადოდ და ქართველების მიერ კაცის-მჭამელობის შესახებ საკუთრად. ბაიერნი უსათუოდ დიდი და შეურყეველი ავტორიტეტი უნდა იყოს, რომ ასე ბრმად აჰყვეს ჩვენის ავტორისთანა კაცი, რომელიც ვითომ-და უკრი-ტიკოდ არაფერს იჯერებს, არაფერს ითვისებს. ვნახოთ, ამისთანა ავტორიტეტია ბაიერნი, თუ არა.

ბაიერნის წერილები, რომელთაც უკრიტიკოდ აჰყოლია ჩვენი ავტორი, გასინჯულია მეცნიერთაგან და ჯერ არც ერთი იმისთანა მეცნიერი არ გამოჩენილა, ჩვენის ავტორის გარდა, რომ ბაიერნის დანასკვნი და ნაბჭობნი შეეწყნარე-ბინა და ყოვლად უსაფუძვლოდ არ ეცნა. ჩვენ წინათაცა ვსთქვით, და არც ეხლაა მეტი გავიხსენოთ, რომ ჯერ თითონ რედაქციამ გერმანულ ჟურნალისამ, საცა ბაიერნმა თავის წე-რილები დაჰბეჭდა სამთავროს სასაფლაოს შესახებ, საჭიროდ დაინახა ამ დანასკვნთა გამო პასუხისგებაი თავის-თავისაგან აეხადნა და მთლად ბაიერნისათვის ეკისრებინა.

ყველასაგან არქეოლოგიის მცოდნედ ცნობილი გრაფი უვაროვი პირდაპირ აცხადებს, რომ ბაიერნის დანასკვნ-

ნი შეუწყნარებელნი არიანო*; ვ. გ. ტიზენჰაუზენი, რომელმაც ორჯერ გაარჩია ბაიერნის ნათქვამი და ნაწერი სამთავროს სასაფლაოს შესახებ, თითქმის სასაცილოდ იგდებს ბაიერნს. იგი ამბობს:

„ჩემი აზრი შესახებ მცხეთაში ნაპოვნ ნაშთებისა და ბაიერნის უცნაურ დანასკვთა მე წინათაც გამოვთქვი. მას შემდეგ უფრო დაწვრილებით შევიგნე ბაიერნის აზრები მცხეთის სასაფლაოს თაობაზედ მისის ორის წერილისაგან, რომელნიც დაბეჭდილნი იყვნენ 1872 და 1874 წ. გერმანულ ჟურნალებში**. ამ წერილებმა უფრო ცხადად დამანახვეს, რომ ბაიერნის დანასკვნი და მოსაზრებანი სულ ერთიანად უღირსნი და შეუწყნარებელნი არიან“***.

აი რა სარწმუნო და ხელშეუხებელი ავტორიტეტი ყოფილა ჩვენის ავტორის ხელმძღვანელი ბაიერნი საზოგადოდ. საკუთრივ ქართველების მიერ კაცის-მჭამელობის თაობაზედ აი რას ეუბნება არქეოლოგიური საზოგადოება ბაიერნს:

„В обряде погребения Байерн усматривает из безпорядка, в котором встречаются кости, особое жертвоприношение людей и даже какие-то следы антропофагии. Между тем граф Уваров полагает, что безпорядок, в котором встречаются кости, может объясниться гораздо проще“****.

გრაფმა უვაროვმა, რომელმაც თავის თვალით დასინჯა სამთაროს საფლავები, და მერე ტიზენჰაუზენმა***** ცხადად დაამტკიცეს, რომ ის საფლავები, საცა ბაიერნს რამდენისამე კაცის ძვლები ერთმანეთში არეული უნახავს, საოჯახო სამარხნი ყოფილან. ეს ყველაზედ უწინარეს იმითი მტკიცდება, რომ ყოველს ამისთანა საფლავს სახურავად სამი ქვა სდებია, ადვილად ასახდელი ერთმანეთზედ დამწყობილებლად. ახალის მკვდრის ჩასასვენებლად ხან ერთს ქვას ახდიდნენ, ხან ორს ერთად, ხან სამსავე, იმის-და მიხედვით, თუ რა ტანის მიცვა-

---

* Взгляд на Мцхетский могильник, Труды Имп. Моск Археолог. Общества, т. X, стр. 10.

** აქ ტიზენჰაუზენი იმ წერილებს ასახელებს, რომელიც ჩვენს ავტორს მოჰყავს, როცა ბაიერნზედ ჰლაპარაკობს.

*** იქავ: გვ. 59.

**** იქავ: გვ. 58.

***** Труды четвертого археолог. съезда в России, т. I, стр. 53 и 54.

ლებული უნდა ჩაესვენებინათ. რა თქმა უნდა, ეს უიმისოდ არ მოხდებოდა, რომ ახალის მკვდრის გვამს წინათ დამარხულის ძვლები არ მიეწივ-მოეწია, არ აერივ-დაერია ერთმანეთში. გრაფი უვაროვი და ტიზენჰაუზენი ამითი ხსნიან იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე საფლავში რამდენისამე ადამიანის ძვლებია ერთმანეთში არეული. ასე ყოფილა ბევრგან სხვაგანაც და საკვირველი რათ უნდა იყოს, რომ ჩვენშიაც ეგეგე ყოფილა. ამის დასამტკიცებლად სხვა საბუთებიც მოჰყავთ ზემოხსენებულთ მეცნიერთ, ხოლო სიტყვის მოკლედ მოჭრისათვის ჩვენ აქ არ ვიხსენიებთ.

აშკარაა, ბაიერნს არავითარი საბუთი არა ჰქონია ამ გარემოებისაგან თავისი предположение გამოეყვანა და ჩვენს ავტორს კიდევ საფლავი საკუჭნაოდ გადაექცია. რაც შეეხება კაცის-მჭამელობას, ეს ისე უღირსად დაინახეს უვაროვმა და ტიზენჰაუზენმა, რომ ყურიც არ ათხოვეს და ამის თაობაზედ ბაიერნს პასუხიც არ აღირსეს. თითონ ზემომოყვანილი სიტყვები: даже какие-то следы антропофагии გვიმტკიცებს, — რომ ეს აზრი ბაიერნისა თითქმის სასაცილოდაც არის აგდებული.

ჩვენს ავტორს რომ მართლა კრიტიკის გაგება რამ ჰქონოდა და ეს სიტყვა არ დაეხვია ხელზედ მარტო თავმოსაწონებლად და მარაქაში გასარევად, ესე ბრმად არ დაჰნებდებოდა იმისთანა ავტორიტეტს, როგორიც ბაიერნია. აბა, ამისთანა კაცი უკიჟინებს სხვას კრიტიკის არ ხმარებას! მოდით და ნუ იტყვით: სართი დასწრებისაო.

ეხლა გავუსინჯოთ მეორე საბუთი, საიდამაც ბაიერნს და მის ამყოლს ჩვენს ავტორს გამოჰყავთ თავიანთი დასკვნა ქართველთა მიერ კაცის-მჭამელობის თაობაზედ. ეს მეორე საბუთი დამწვარი ძვლებია — ადამიანისა თუ პირუტყვისა — ბაიერნისაგან ზოგიერთ საფლავების ახლო ნაცარში ვითომდა ნაპოვნი, და გამოვიძიოთ, — ეგ დამწვარი ძვლები, თუნდა ადამიანისაც, კაცის-მჭამელობას მოასწავებს, თუ მეცნიერება საბუთს გვაძლევს სხვა რამ ვიგულისხმოთ.

შედარებითმა მითოლოგიამ გამოარკვია, რომ ყოველს ერს დედამიწის ზურგზედ თითქმის ერთნაირი გზა გამოუვლია სარჯულო ფილოსოფიისა, და ამ ფილოსოფიას ერთნაირი, ერთგვარი ჩვეულება მოჰყოლია, ბოლოს წესად და რიგად

გადაქცეული, ყველა ერს იმისთანა ხანა ჰქონია, როცა სიკვდილი ჰგონებია დროებითი განსვენება, მიცვალება, მიბარება და არა სამუდამოდ მოკვდომა. ეს რწმენა კაცობრიობას დღევანდლამდე შერჩა, ხოლო სხვა სახით. დღესაც გვწამს, რომ, როცა იქნება, მკვდრეთით აღვსდგებით, მეორედ მოვალთ; აქედამ იმ დროს მეორედ მოსვლას ვეძახით. ეხლა გვწამს, რომ სიკვდილით სააქაოს ვშორდებით, პირველყოფილ დროსაც სიკვდილს ისე უყურებდნენ, როგორც განგრძობას სააქაო ცხოვრებისას. ამასთანავე ეგონათ, რომ ადამიანი სიკვდილს შემდეგაც ისე სცხოვრობს, როგორც ცოცხლობის დროს, ისეთივე საჭიროება აქვს, ისეთივე სურვილი, ისეთივე წყენა და სიამოვნება, სიმშილი და წყურვილი*.

ეს ამისთანა გამოხატულობა სიკვდილის შემდეგ ცხოვრებისა, რასაკვირველია, ვალად დასდებდა ჭირისუფალთ თავის მიცვალებულისათვის ისე ეპატრონათ, ისე მოევლოთ, მისი ცხოვრება ისე მოეწყოთ, როგორც ცოცხლობის დროს. აქედამ არის წარმომდგარი იგი ჩვეულება, რომ მიცვალებულს თან გაატანდნენ ყოველ იმას, რაც სააქაოს იმისთვის საჭირო იყო, რაც უფრო უყვარდა, რაც უფრო ესიამოვნებოდა, რომ საიქიოს ცხოვრება არ გასჭირებოდა, და ყოველივე ის — ცოტად თუ ბევრად — ჰქონოდა, რაც სიცოცხლის დროს ჰქონებია. ამიტომაც, რაკი ოჯახში ვინმე მოკვდებოდა, უკეთეს ტანისამოსით მორთავდნენ, თან საფლავში ჩააყოლებდნენ იარაღს, სამკაულს, ხორაგსა, საჭმელ-სასმელს, საფლავზედ დაუკლავდნენ ცხვარს, ცხენს, ქათამს და სხვას ამისთანას, რომ ყოველივე ეს საიქიოს მოიხმაროს საჭიროებისამებრ. ყოველს ამას მიართმევდნენ მიცვალებულს, არამც თუ მარტო დამარხვის დროსა, დამარხვის შემდეგაც კიდევ დიდხანს ეგრე ჰპატრონობდნენ, და ეს პატრონობა იქამდე მიდიოდა, რომ იმის კერძს საჭმელ-სასმელს არ მოაკლებდნენ ხოლმე, და ზოგან ყოველ-დღე და ზოგან დროგამოშვებით ამ კერძს ცალკე დასდგამდნენ, მიცვალებულის სული მოვა და შეექცევაო.

ზოგი ერია დღესაც, რომ სუფრიდამ ცალკე კერძს გადას-

---

* სპენსერი: საფუძვლნი სოციოლოგიისა; ლებბოკი: დასაწყისი ცივილიზაციისა; ტეილორი და სხვანი.

-დგმენ ხოლმე მიცვალებულის სულისათვის. ფიჯიელნი (ველური ხალხია) დღესაც ნაწილს ხორაგისას ცალკე გადისვრიან, როცა ჭამა-სმაზედ სხედან, რომ მიცვალებულის სული უნაყოფოდ არ დარჩეს. სპენსერს მოჰყავს მალაკოლმი იმის მოწმად, რომ ბილახნი (ველური ხალხია) სასმელს ისე არავის არ უთავაზებენ, რომ თავი არ გადაუქციონ, ვითომ-და მიცვალებულსაც ერგოს რამეო. სმიტი მოგვითხრობსო, ამბობს სპენსერი, რომ არაუკანელნი (ველური ხალხია) ყოველთვის სასმელს თავს გადუქცევენ ხოლმე და ყოველის საჭმლის ნაწილს ცალკე გადასდებენ მიცვალებულის სულისათვის უწინარეს იმისა, მინამ თითონ ჭამა-სმას დაიწყებენო.

განა შორს არის ყოველს ამაზედ ჩვენი საკუთარი ჩვეულება, რომ მკვდრის ხსენებაზედ ღვინოს თავს გადავუქცევთ და ხან პურზედ დავაწვეთებთ, ხან მიწაზედ. იმისდა მიხედით, ვდგევართ, თუ ვსხედვართ, და პური ხელთა გვაქვს თუ არა სმის დროსა. ეს ჩვენი ჩვეულება სწორედ ამ სათავიდამ-ეე მომდინარეობს.

რომ ეს ასეთი რწმენა თითქმის ყველას ჰქონია ერთს დროს, ამისი უკეთესი საბუთი იგია, რომ დღესაც ყველგან დარჩენილია ჩვეულებად სამკვდრო ტაბლა. როგორც ჩვენში, ისე ბევრგან სხვაგან, და სხვათა შორის ევროპაშიაც, დღესაც წელიწადში ერთხელ მაინც მიცვალებულს მიუტანთ ხოლმე სასაფლაოზედ ტაბლას ხორაგითა და სხვა სასმელ-საჭმელით. ჩვენი კოლიო, წანდილი, ქელეხი, მკვდრის სულისათვის საკლავის დაკვლა სხვა არა არის-რა — გარდა იმისი, რომ ნაშთია იმ რწმენისა, ვითომც სული მიცვალებულისა არ მოგვიშივდესო და საზრდო მივაწოდოთო. ამ რწმენის ნიშნებს ბევრს სხვა ჩვეულებაშიაც იპოვის კაცი, თუ გონება გაადევნა.

გარდა ამისა, რომ ჭირისუფალნი მიცვალებულის სულისათვის საჭმელ-სასმელსა ზრუნავდნენ, თავის-თავს მოვალედა რაცხდნენ მიცვალებულის სულს ის მოწყობილობა არ მოაკლონ, რაც სიცოცხლის დროს ჰქონდა. ეგონათ, რომ მიცვალებულს სიკვდილის შემდეგ ყოველივე ის დასჭირდება, რაც საჭაოსა სჭირდებოდა. ამიტომაც, როგორცა ვსთქვით, სახშარს იარაღს, საყვარელს ცხენს, თუ ხარს ზედ დააკლავდნენ, ზოგან თან ჩააყოლებდნენ ხოლმე საფლავში. ამისთანა რწმენამ იმ საზარელ ჩვეულებამდე მიაღწევინა ადამიანს, რომ

მიცვალებულის მოსამსახურეებს, მიცვალებულის ცოლს შიგ ჩააყოლებდნენ ხოლმე საფლავში იმ აზრით, რომ ყოველივე ეს იქაც დასჭირდებაო. სპენსერი, როცა ამ მკვდრისათვის საჭმელ-სასმელზედ და მოსამსახურეების თან ჩაყოლებაზედ ლაპარაკობს, გვეუბნება, რომ ორი მიზეზი იყო ამისთანა წესისა და რიგისაო: ერთი ისა, რომ საჭმელ-სასმელი არ მოაკლდეს მიცვალებულის სულსაო და მეორე ისა, რომ მოსამსახურე და ცოლი იქაცა ჰყვანდესო. ეს პირველ ხანებში სამარხი რიგი იყოო და მერე თანდათან რჯულის წესად შეიქმნაო*.

ბევრგან ჩვეულებად მიცვალებულის დაწვაც ყოფილა, პირდაპირ დამარხვის მაგიერ. ინდოელნი, ბუდის მოძღვრებისანი, სწვავდნენ მიცვალებულსა**. არიელნი — კელტნიც აგრე იქცეოდნენ***. რა თქმა უნდა, დასწვავდნენ მიცვალებულისათვის თან გასატანებელსაც — ადამიანი იქნებოდა თუ პირუტყვი. ლებბოკი ამბობს, რომ ეს დაწვა მიცვალებულისათვის გადადებულის მსხვერპლისა — ადამიანია, თუ პირუტყვი — ყველა ძველ რჯულში მოიპოვებაო. ეს წესი წარმოადგენსო აუცილებელს საფეხურს ყოველის რჯულის განვითარების კიბეზედაო. იგი გვარწმუნებს, რომ არც ერთი რჯული არ არის, რომ ეს გზა არ გამოევლოსო. ლებბოკიც თანახმაა სპენსერისა, რომ ეს წესი ჯერ სამარხი წესი იყოო და მერე რჯულის წესად გადაიქცაო, და იმ მიზეზთაგან წარმოსდგაო, რომელსაც სპენსერი გვაუწყებს, როგორც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. ლებბოკი გვიხსნის, საიდამ წარმოსდგა ჩვეულება მკვდრისათვის გადადებულ შესაწირავის დაწვისა. იგი ამბობს, რომ ჯერ, რასაკვირველია, ეგონათ, მკვდრის სულნი მართლა სჭამენ შეწირულსაო და მერე, როცა არა ერთხელ და ორჯერ ნახეს, რომ შეწირული ხელუხლებლად რჩება და სულთაგან არ იჭმევა, აშკარაა ის აზრი ებადებათ, რომ სულნი მარტო სულიერ ნაწილს შეწირულისას იწირვენო****.

აქედამ არის წარმომდგარი წვა შესაწირავისა, რომლის

---

* სპენსერი: საფუძველნი სოციოლოგიისა, გვ. 282, 284.

** იქავ: გვ. 275.

*** კარიერი: გვ. 106.

**** ლებბოკი: დასაწყისი ცივილიზაციისა. გვ. 263.

გამოც ხორციელი ნაწილი, სულთათვის უვარგისი, სრულად იწვის, და სულიერი-კი, ბოლის სახით, მაღლა ადის, ვითომ-და სულის სახმარად და სარგოდ.

იმავე გრძნობამ, იმავე მიზეზმა, რომელმაც ადამიანს ჩააგონა პირუტყვის შეწირვაო, ამბობს ლებბოკი, მიიყვანა ადამიანი შეწირვის უმაღლესს ხარისხამდე, ესე იგი კაცის მსხვერპლად შეწირვამდეო. იმ განვითარების ხარისხზედ, რაზედაც მდგარან ადამიანები პირველყოფილ დროს, ეს ამბავი იმოდენად ადვილად მისაღებია ადამიანის გონებისათვისაო, რომ ეს მსხვერპლად გაწირვა ადამიანისა ჩვეულებად ჰქონია ყოველს ერს მთელს ამ ქვეყნიერობაზედაო. ამის გამო სრულიად უსამართლო იქნება მივაწეროთ ეს ამბავი ადამიანის გამხეცებულობასაო. პირიქით, იგი გვანიშნებს ღრმასა და ღრმად გამსჭვალულს გრძნობას სარწმუნოებისას, მხოლოდ უკუღმართად და შეცდომილად მიმართულსაო.

მართლადაც, ეს შეწირვა ადამიანისა — წვითა, დაკვლითა, თუ ცოცხლადვე მკვდართან ერთად დამარხვითა, ჯერ სამარხის წესად ყოფილი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მკვდრის სულისათვის თან გასაყოლებელი, ესე იგი ჯერ სამკვდროდ დადებული და მერე რჯულის წესად, საღმრთოდ გადაქცეული — ყველგან არის შენიშნული. კართაგენელთა, როცა დამარცხებულ იქმნენ აღათოკლესაგან სიცილიაში, დასწვეს შესაწირავად რამდენიმე ტყვე. ასურელნი ამისთანავე მსხვერპლს სწირავდნენ თავის ღმერთს ნერგალს. საბერძნეთშიაც ყოფილა ეს ჩვეულება, თუმცა ისე ხშირად არა, როგორც სხვაგან, რადგანაც ამისთანა წესი მათს მითოლოგიას ეუცხოებოდა. კლასიკური მწიგნობრობა ადამიანის მსხვერპლად წვას ბევრგან იხსენიებს. მაგალითებრ, პატროკლის დაწვას და მასთან ერთად ტროიანელ ტყვეებისას, ცხენებისას და ძაღლებისას. რომის ისტორიაში უფრო ხშირად შეხვდებით ამისთანა ამბებს თითქმის ბოლონდელ დრომდე. ცეზარმა ორი ჯარისკაცი შესწირა ღმერთებს. აგვისტოსმა შესწირა ერთი ქალწული ქალი, სახელად გრეგორია. ანტიოქიის ტაძრის განახლების დროს ტროიანემაც-კი შესწირა ერთი სული.

ევროპაში ამ ჩვეულების მაგალითებს კარგა ხანის შემდეგაც ვპოულობთ. სკანდინავიაში ღმერთს ოდინს 893 წელს შესწირეს იქაურ მეფის შვილი. იარლ გაკონმა შესწირა ღმერ-

თებს თავისი საკუთარი შვილი. 993 წ. მეფე შვედებისა დომალდი დაუწვეს ღმერთს ოდინს შესაწირავად, სიმშილის ასაცილებლად. ტეილორი ამბობს, რომ ევროპაში, მას აქეთ რაკი გადავარდა ცოლებისა და მოსამსახურეების თან გადაყოლება, ცხენის დაკვლა მიცვალებულის საფლავზედ და მიცვალებულთან ერთად მისი დამარხვა კიდევ დიდხანს იყო ჩვეულებადაო. ამისი მაგალითი ყოფილა ჯერ კიდევ 1781 წ. ინგლისში და ბევრგან სხვაგანაც. დღესაც მიცვალებულს უკან მიაყოლებენ ხოლმე ცხენსა. ეს ჩვეულება ჩვენშიაც არის დღეს: ამ შემთხვევისათვის ცხენს უკუღმა შეჰკაზმენ, ვითომდა მიცვალებულის უკან მოსაბრუნებლად.

ლებბოკის სიტყვით, ებრაელთაც ჰქონიათ ადამიანის მსხვერპლად გაწირვა დაწვითა თუ დაკვლითა. ამ რჯულად ქცეულს წესს ისე შეუხურებია ადამიანის გონება, რომ ბევრგან არამცთუ შესაწირავს ადამიანს სწვავდნენ, თითონ თავის ნებითაც ცეცხლში სცვივოდნენ და ამ რიგად გაიწირვიდნენ ხოლმე თავს. ეს იყო, ლებბოკის სიტყვით, ინდოეთში, ორსავ არაბეთში, საცა ყოველ-დღე დანიშნულს დროს ადამიანს სწირავდნენ ღმერთად აღიარებულს ცეცხლს, და ზოგნი თითონაც თავის ნებით შიგა ცვივოდნენ და ამ-რიგად ღმერთს სწირავდნენ თავსა.

სლავიანებს, როგორც ბევრს სხვასაც, ჩვეულებად ჰქონიათ თან ჩააყოლონ, ანუ დასწვან მიცვალებულთან ერთად, იმისი ქონება, იმისი პირუტყვი, მოსამსახურეები, ცოლი. დუნაის-პირელნი ბოლგარნი მიცვალებულთან ერთად მარხავდნენ იმის ცოცხალს ცოლსა, მოსამსახურეებსა და ზოგჯერ სწვავდნენ მიცვალებულთან ერთად. ერთს მატიანეში აწერილია დამარხვა ერთის სოვდაგრისა ბოლგარიაში. მდიდრად მოსილი გვამი მიცვალებულისა დაუწვავთ და მასთან ერთად დაუწვავთ აგრეთვე იმისი მრავალი ქონება, ხორაგი, სანოვაგე, ძაღლი, ორი ცხენი, ორი ძროხა, ქათმები, მამლები და ახალგაზრდა მოახლე, დამარხვის დღეს დაკლული.

ყოველი ესენი რომ წავიმძღვაროთ და მივმართოთ იმ სამთავროს საფლავების ახლოდ ყოფილს ნაცარს, საცა ბაიერნს, ჩვენის ავტორის სიტყვით, უპოვნია დამწვარი ძვლები ადამიანისა, ხარისა, ცხენისა, ცხვრისა და ქათმისა, განა შორს ვიქნებით მართალზედ, ვიგულისხმოთ, რომ ქართველებსაც

წესად და ჩვეულებად ჰქონიათ წვა მკვდრის საფლავზედ, ანუ მის ახლოდ, მსხვერპლისა — ადამიანისა თუ პირუტყვისა, ისე, როგორც თითქმის ყველა სხვა ერს იმ ადრინდელ ხანაში, რომელსაც ეკუთვნიან პირველის ორის რიგის საფლავნი სამთავროსი, რომლის ძველის-ძველობა ჯერ გამოცნობილი არ არის მეცნიერთაგან დაბეჭდითებით და რომლის ზოგიერთი ნაშთი, ვირხოვის სიტყვით, მიეწერება კულტურას ორი ათასის წლისას ქრისტეს წინათ. ეს არამც თუ საგულისხმოა, უეჭველიც უნდა იყოს, ნამეტნავად იმისათვის, ვინც ჩვენზედ უფრო დაწვრილებით ჩააკვირდება შედარებითს მითოლოგიას. ჩვენი ავტორი აბა ამ ჩაკვირვებისათვის რათ შეიწუხებს თავს მაშინ, როდესაც უბეში ჩასჯდომია იმისთანა ავტორიტეტს, როგორიც ბაიერნია. ამისთანებში ჩვენი ავტორი მარტო ბაიერნს იცნობს და იმის წყალობით გამოდის. აბაზეა ნათქვამი: მითხარ, ვის იცნობ, გეტყვი, ვინა ხარო.

მეორე საბუთი ქართველების მიერ კაცი-მჭამელობისა ხომ ის არის ჩვენის ავტორისაგან წარმოდგენილი, რომ ბაიერნმა სამთავროს საფლავების ადამიანთა ძვლებში ტვინი ველარა ნახა და აქედამ იგულვა, ვითომც იგი ძვლები ურჯაშავთო. თუ გავიხსენებთ, რომ იგი ძვლები ორი ათას წელიწადზედ ნაკლებისანი არ არიან, ავტორისავე სიტყვით, მაშინ ეს საბუთი უტვინოსათვისაც-კი ყოვლად შეუწყნარებელი იქნება. ამოდენადვე შესაწყნარებელია თითონ ჩვენის ავტორის საკუთარი საბუთი, ვითომც მჭახე და მოუცემელი ბუნება საქართველოსი იძულებულ ჰყოფდა ქართველებს სიმშილობის დროს ერთმანეთი ეჭამათ. ეს ისეთი საბუთია, რომელიც თავის-თავსვე აბათილებს. რადგანაც საქართველოს ბუნების აგრე ხსენებისათვის ჯერ საჭიროა კაცმა თვალები დაითხაროს და გრძნობიერება, ცნობიერება დაიხშოს. ამ ორსავ საბუთზედ, ჩვენის ავტორის მიერ გაფუებულებზედ, პასუხი უკვე მოვახსენეთ ჩვენს მკითხველს წინა წერილში და ხელახლად განმეორება თქმულისა მეტია.

ამ სახით, ჩვენის ავტორის მიერ მოქსოვილი და ბეჭდვაკრული კაცის-ჭამელობა ქართველების მიერ — ზღაპრად უნდა ჩაითვალოს, თუ ამისათვის იმაზედ მეტს საბუთს ვერ გამოგვიჩხრეკს, რომელიც მას მოყვანილი აქვს თავის წერილებში. ვიმეორებთ, ჩვენ ამით იმის უარ-ყოფა კი არ გვინდა,

ვითომც ქართველებს ეგ საზარელი ჩვეულება ოდესმე არა ჰქონოდეთ. იქნება ჰქონდათ, როგორც ბევრს სხვას, მაგრამ ქართველების კარგად თუ ავად ხსენებისათვის რაკი დანახულია საჭიროდ ამისი თქმა და მერე დაჟინებითაც, სხვა საბუთებიც უნდოდა და არა იმისთანა უხერხულად მოქარგული, როგორც ავტორს და იმის წინამძღოლს ბაიერნს უნებებიათ. აქაოდა ღმერთს ჩემთვის მოუნიჭებიაო одним штрихом все обнять, და თითო მარცვლობით ასაკენკს, კრიტიკის ცხრილში გასაცხრელს ჩვენი ავტორი ნიჩბითა ჰხვეტს გაუცხრელად და გადაუნიავებლად. მართალია, ამისთანა ქცევას თუ შრომას მარტო ერთი ის ღირსება აქვს, რომ ჩქარია, მაგრამ ესეც-კი საცოდნელია, რომ —

ზოგჯერ სიწყნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა.

[1889 წ.]

დამატება წერილებისა

ეი ისტორია

წერილი მეშვიდე

ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი წარმოვუდგინეთ მკითხველს იმისი, თუ რა „ინტენსიურის“ ცოდნით აკიდებული ბრძანებულა ჩვენი ბაქია და ტყუილად თავმომწონე ავტორი „Письма о Грузии“-სა. ეხლა შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რა სიბრძნისა, გონებაგახსნილობისა, რა მსოფლმხედველობის და ჭკუის პატრონი ყოფილა ჩვენი ჭკუა-აფრინე ავტორი. თუ სხვისა არა ჰღირსებია, სხვისაგან არა უსწავლია რა, თავისი საკუთარი მაინც ჰქონია რამე თუ არა. ყოველივე საამისო მაგალითი ერთი მეორეზედ უკეთესი მარგალიტია იმ გვირგვინში, რომელსაც ასეთის ბაქი-ბუქით და კორიანტელის

* ქვემოთ მოთავსებული ორი წერილი (მეშვიდე და მეთოთხმეტე) ავტორს არ გამოუქვეყნებია და ხელნაწერად არის მოღწეული. რ ე დ.

აყენებით თავზედ იდგამს ეს ჩვენი ახლად გამომცხვარი გაპუებული მეცნიერი, როცა ჩვენს ძველისძველს კულტურაზედ ჰლაპარაკობს. აქაც იგივე ჰო და არა აქვს ერთსა და იმავე საგანზედ. რასაკვირველია, ეს კაი ხერხი და ოსტატობაა, რადგანაც ან ერთი გამოდგება მართალი, ან მეორე, თუმცა ზოგან კი იმასაც ახერხებს, რომ მისი არც ჰო იყოს მართალი, არც არა.

ჯერ გამოვარკვიოთ ავტორის დედა-აზრები მასზედ თუ, — კულტურა, ანუ ცივილიზაცია, სხვისა თუ საკუთარი, როგორ და რა გზით შედის და მოქმედობს ერის ცხოვრებაში. აბა ამაზედ ავალაპარაკოთ თითონ ენა-ჭრელი და ენა-პტყელი ავტორი. ბოდიშს ვიხდით, რომ ავტორის ნაუბარი რუსულად მოგვყავს, მიზეზს ვერიდებით, არ შეგვწამონ სიტყვების გადასხვაფერება. აი რას ამბობს ავტორი:

„Под напором новой жизни, нового яркого духовного света, народ может скоро забыть старые былины и песни... Народ начинает обыкновенно в таких случаях стыдиться (?) своего темного житья и, спеша воспринять доступную ему внешность, отбрасывает прошлое со всеми его драгоценными сокровищами“*.

დაიხსომეთ აქ ნათქვამი და ნამეტნავად ის, რომ ავტორის აზრით ერი მიიღებს ხოლმე მარტო გარეგანობას კულტურისას. ორს-სამს სტრიქონს შემდეგ ჩვენი გულმავიწყი მეცნიერი სულ სხვა-რიგად გადასთქვამს ამ ნათქვამსა, თითქო სხვას თავის მოპირისპირეს ალაპარაკებსო. იგი ამბობს:

„Она (современная цивилизация) захватывает сразу (!) весь (!) уклад (!) народной жизни, неся могучие идеалы и... заставляя импонирующе ярко выступать современность и тонуть во мраке прошлое“**.

აქ ხომ ჰხედავთ, ავტორი სულ სხვას ამბობს. სამის სტრიქონის წინათ მოგვითხრა, რომ ერი მარტო გარეგანობას კულტურისას გადაიღებს ხოლმეო. ეხლა-კი გვეფიცება, გარეგან სახეს კი არა ცივილიზაცია მთელ შინაგან-გარეგანობას (весь уклад) ერის ცხოვრებისას ძირიდამ თხემამდე ერთბამად შეიპყრობს ხოლმეო. ამ სახით სამის სტრიქონის მანძილზედ ჩვენს მეცნიერს ლოღიკა ვერ მიჰყვა და დიდის ბაჭი-ბუჭით კი ჰლამის მთელს სამი ათასს წლის მანძილზედ ვითარება

---

* Сев. Вест. № 2, გვერდი 51.
** Сев. Вест. № 2, გვერდი 51.

საქართველოსი განსჭვრიტოს ამ უღონო და ფეხ-მოკლე ლოღიკითა. აქ უღონობა ლოღიკისა იმოდენად საკვირველი არ არის, რამოდენადაც ასეთი გალაღებული გამბედაობა უმეცრებისა და ჭკვამოკლეობისა.

ეხლა ვკითხოთ ავტორს, — ვის და რას შემოაქვს ერის ცხოვრებაში ეს ყოვლად-შემძლებელი იდეალები, რომლის მეოხებითაც ცივილიზაცია „сразу захватывает весь уклад народной жизни, заставляя импонирующе ярко выступать современность и тонуть во мраке прошлое". ამ საკითხების პასუხად სიტყვა-ჭარბი ავტორი აი რას გვეუბნება:

„Как сильно встряхнула современность весь стародавний уклад грузинской жизни, ярко доказывается" და სხვანი და სხვანი*.

იმას ნუღარ ვიტყვით, რომ ავტორი სხვა ადგილას გვეფიცება, ვითომც ქვეყანაზედ მარტო საქართველოს ერია იმისთანა, რომლის აწმყოშიც ისე ცოცხლად შენახულია წარსული, როგორც არსად**, და მაშასადამე, ან ეს „сильно встряхнула современность стародавний уклад грузинской жизни" უნდა ტყუილი იყოს, ან ეს ცოცხლად შენახულობა წარსულისა.

საქმე ის არის, რომ ამ „сильно встряхнула"-ს ბრწყინვალე საბუთიც მოუპოვა ჩვენმა ავტორმა, რომელიც, რასაც ერთგან ამბობს, ის მეორეგან ავიწყდება, თითქო ჯადო რასმე შეუკრავს მისი ჭკუა და გონებაო.

ზემოხსენებულ „как сильно встряхнула"-ს წაიკითხავთ თუ არა, რასაკვირველია, იმას მოელოდინებით, რომ აი ავტორი ეხლა იმასაც გვიჩვენებს, რა იდეალებია ის ყოვლად შემძლებელი იდეალები, და იმასაც — თუ ვის და რას შემოაქვს იგინი და როგორ захватывает современность весь уклад народной жизни сразу. თურმე ნუ იტყვით, ყოველ ამ სასწაულების მომქმედი, ამ იდეალების შემომტანელი „შარმანკა" და ქალაქის კინტო ყოფილა და სარბიელი მათი — მუშტაიდი და მიკიტნის დუქანი. თუ არა გჯერათ, წაიკითხეთ (51 გვერდი Сев. Вест. №2) სასაცილო მასხარაობა ავტორისა ამ საგანზედ. ჩვენში კი ითქვას და სამასხაროდ კი არა, საბრძნოდ მოჰყავს

---

* იქავ.

** იქავ, გვერდი 53.

ავტორს ეს ცივ-ცივი ტყუილი და ჭკუაში მოუთავსებელი მაგალითი ცივილიზაციის გარედამ შიგნით შემოსვლისა. აი თურმე „შარმანკისა“ და კინტოს მეოხებით современность сразу захватывает весь уклад народной жизни, неся могучие идеалы და სხვანი და სხვანი. აი თურმე „შარმანკა“ და ქალაქის კინტო ყოფილა ავტორის „напор новой жизни, напор нового яркого духовного света“, რომელთა გამოც ერი მალე ივიწყებს თავის ძველ ზღაპარ-თქმულობას და ლექსებსა. მაგრამ ყოველივე ეს напор-ები, ეს сразу захватывает — გულმავიწყს ავტორს რანდენისამე სტრიქონს მანძილზედ აღარ ახსოვს, თითქო მისი ნათქვამი არ იყოს და ამიტომაც ახლა სხვას გვეფიცება. რაკი დაამტკიცა, რომ „შარმანკისა“ და კინტოს მეოხებით напор новой жизни, нового яркого духовного света მიაწყდება ხოლმე ერის ცხოვრებას, იგი გაანაგრძობს:

„Так мало-по-малу (აკი сразу-ო!) современность в ея искаженных уродливейших формах (ვაი ყოვლადშემძლებელო იდეალებო, ავტორისავ. ვაი яркий духовный свет-ო, რა მალე აგვგოთ ანდერძი!) подкрашивает стародавний уклад и ничто не в силах побороть ея влияния და სხვანი*. როგორ მოგწონთ! ჯერ ხომ ცივილიზაციის გარეგანობა შეიბყრობს ხოლმე ერის ცხოვრებას. მერე გვეუბნება, გარეგანობა კი არა, ძლიერი იდეალები მოაქვს და сразу захватывает весь уклад народной жизни, заставляя ярко выступать современность и тонуть во мраке прошлое“.

ბოლოს კი გამოდის დიამც იყოსავით, რომ сразу კი არა, мало-по-малу современность в ея искаженных уродливейших формах подкашивает стародавний уклад. რაღა იქმნა ის современность-ი, რომელიც „сразу захватывает весь (!) уклад народной жизни, неся могучие идеалы?“ სად დაიკარგნენ ის ავტორის напор-ები? გზაზედ გაეფანტა ჩვენს ბატონსა. მაშ რა ეწვნა? მძიმედ აკიდებულია „ინტენსიურის“ ცოდნით და სულ სად ეზიდნა ამოდენა ბარგი და მერე იმ-სიდიდე მანძილზედ, როგორც ერთი სტრიქონიდამ მეორეა.

ნუთუ გვონიათ, ან ამაებზედ დასდგეს დიდხანს ავტორი. ნურას უკაცრავად. ავტორი არც ისეთი კაცია, რომ სთქვას და აღარ გადასთქვას, თითქო გვეუბნებოდეს. დიახ, მე კი ვიქ-

* Сев. Вест. № 2, გვ. 52.

ნები, ერთი ვსთქვა და აღარ გადავსთქვაო, მაშ თავზედ ქუდი არა მხურებიაო. არაო, გვეუბნება იგი სხვა ადგილას, არც подкрашивает, არც захватывает весь уклад народной жизни, და თუ ან ეთი, ან მეორე დამიჯერეთ წინათ, გთხოვთ ეხლა ნუღარ დამიჯერებთო. სულ ტყუილია ესენიო, რადგანაც:

„Человеческая натура так пластична (ეს пластична რაღა ეშმაკი და ქაჯიაა), что, уступая во власть событиям форму и внешность,... свято бережет заложенные в ней природою силы“* და სხვანი.

თურმე ნუ იტყვით, ადამიანი მარტო ფორმით და გარეგნობით ემორჩილება საქმეთა ვითარებას და შინაგანად, ძირეულად-კი ხელუხლებელად ჰრჩება. მაშასადამე, რაც ავტორმა წამოფქვა, ვითომც цивилизация сразу захватывает ანუ подкашивает весь уклад народной жизни, ტყუილი ყოფილა. ესეც მეოთხედ გადათქმა ერთისა და იმავე საგანის გამო. მოდით და ამ ოთხკეც ლოდიკას, ამ აბდაუბდას, ამ უმჯობესობას მოჰკითხეთ კულტურა რა ხილია. ან განა ამ მეოთხე გადათქმას გვაკმარებს ეს ჩვენი მეცნიერი! იგი თავის მეორე წერილის 44 გვერდზედ იმ აზრს გვიქადაგებს, ვითომც ცხოვრება ერისა, რაკი ერთხელ თავის ჩარჩოებში ჩაჯდა, შეურყეველია და ყოვლად შემძლებელი იმოდენად, რომ არამცთუ თითონ ელახვინებინება სხვის ზედმოქმედებას, არამედ თითონ ზედმოქმედობს სხვაზედ და იმორჩილებს**. ესეც ახალი ამბავი, მით უფრო, რომ ამას საქართველოზედ ამბობს, რომელიც, ავტორისავე სიტყვით, სულითაც და ხორცითაც ყოვლად უძლური იყო. თუ ყოვლად უძლურის ერის ცხოვრება ესე თავის-შემნახველია და გამძლე, მაშ ის ზოგადი თეორია ავტორისა რაღაა, რომ გარედამ მოსული цивилизация сразу захватывает весь уклад народно жизни? მოდით და გაიგეთ, ამ ხუთში რომელშია მართალი ჩვენი პტყლა-პტყლად მოუბარი მეცნიერი. ესეც თქვენი ერთ-არსი სამება კი არა, ერთ-არსი ხუთება, რომელსაც ავტორი თავის თავით წარმოგვიდგენს, თითქო ხუთთავიანი დევიაო. ჯადო-ღა იქნება ამაზე მეტი! კაცი ერთი იყოს და ერთსა და იმავე დროს ხუთ-

---

* Сев. Вест. № 3, გვ. 47.
** Сев. Вест. № 3, გვ. 44.

ნაირად გეჩვენოთ. ნუთუ ეს მეცხრამეტე საუკუნეს სასწაულად არ უნდა ჩაეთვალოს!

ეს დედა-აზრები ხომ ასე გარკვეული ჰქონია კულტურის და ცივილიზაციის ძალ-ღონის გამომძიებელს ამ ჩვენს ახლად-მოზელილს ბოკლსა. ამის შემდეგ იგი გადადის ჩვენის ძველის-ძველ კულტურის თვითეულს ცალკე ელემენტზედ. არ-ჩევს ენას, ძველის-ძველ სარწმუნოებას სახელმწიფო და სამ-მართველო აგებულებას, ერთის სიტყვით, ჩვენს სულიერს და ხორციელს ყოფა-ცხოვრებას. აბა ამაებში ვნახავთ ლაგამ-წამოყრილი ყოვლად მტკნარი უვიცობა რა-რიგ დოღს გაგვი-მართავს და რა მანძილზედ გაჰენდება ამოუქშენლად. დაგვი-ჯერეთ, რომ ჩვენთან ერთად გაოცებულნი შესძახებთ ავტორს კიკნაძე-ბერის სიტყვებს:

„შენ, ვარდის კონავ,
დრამის წონავ,
რა მოგიჩმახავს!“

წერილი მეთოთხმეტე

თუმცა პირდაპირ არ გვითქვამს, მაგრამ წინა წერილებიდამ ცხადადა სჩანს — საით გადახრილა ჩვენი ავტორი „Письма о Грузии“-სა და საითკენ სჭიმავს თავის ზღაპრებით გაპო-ხილს ჭაპანსა. ორსავ წერილში ის თავი-და-თავი აზრი აქვს გატარებული, რომ ქართველებს თავიდამ ბოლომდე თავისი არა ჰქონიათ-რა და სულ ყოველისფერი სპარსელების ნაწყა-ლობებიაო. ჩვენ ხომ ვნახეთ, ჩვენი ავტორი რა სიმარჯვით მოახტა ზურგზედ თავის უბელო „вероятно“-ს იმის შესახებ, რომ ქართველებს ენაც-კი სამეფო საქმეთათვის სპარსული უნდა ჰქონებოდათო. ეხლა გვიმტკიცებს, რომ რჯულიც სპარ-სული ჰქონებიათო. იქნება ეგრეც იყო, მაგრამ ერთი გამო-ვკითხოთ, რა საბუთებმა მიიყვანა ჩვენი ავტორი ამ დას-კვნამდე.

აშკარაა, ჩვენის ავტორის დანასკვნის დასამტკიცებლად სა-ჭიროა შედარება ქართველთა და სპარსთა რჯულისა. ამისათ-ვის ერთად-ერთი სახსარია: ქართველთა და სპარსთა რჯულის ზედმიწევნილი ცოდნა. ჩვენ ხომ ვნახეთ, რა ცოდნის პატრო-

ნი ყოფილა ჩვენი ავტორი მსოფლიო ისტორიისა საზოგადოდ და საქართველოსი ცალკე. ამაზე უფრო ნაკლებ ქვეითი ყოფილა სპარსეთის შესახებ. ამას ეხლავ ვნახავთ.

იგი ამბობს, რომ ქართველები ცეცხლ-მსახურნი იყვნენო სამთავროს სასაფლაოს ხანაში, ესე იგი მეათე საუკუნედამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინათ. ეს შესაძლოა, ხოლო შეუძლებელია ეს ამბავი კაცმა გამოიყვანოს იქიდამ, საიდამაც ჩვენს ავტორს გამოჰყავს. იგი ამბობს, ცეცხლში დამწვარ ძვლებ შორის, რომელიც სამთავროს სასაფლაოზე იპოვა ბაიერნმა, აღმოჩნდა აბსიდიანის* ნატეხები. ეს აბსიდიანის ნატეხები ამტკიცებსო, გვეფიცება ჩვენი ავტორი, რომ მაშინდელ დროში მცხეთის მკვიდრნი ცეცხლმსახურნი იყვნენო**. მართალია, აბსიდიანის დანით ჰხოცდნენ უწინ საწირავს საკლავსა, მაგრამ ეს სრულობით საკუთარი ნიშანი არ არის ცეცხლ-მსახურებისა. საწირავის დაკვლა ერთია და ცეცხლმსახურება სხვაა. სხვა რჯულთა წესის აღსასრულებლადაც ჰხმარობდნენ და დღესაც ჰხმარობენ აბსიდიანის დანასა, მაგალითებრ წინადაცვეთისათვის***. მაშასადამე, აქაო და აბსიდიანის ნატეხები აღმოჩნდა სამთავროს სასაფლაოზე, აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ ამნაირის დანის მხმარებელნი ცეცხლ-მსახურნი ყოფილიყვნენ.

მეორე საბუთი ქართველების ცეცხლ-მსახურებისა ის არის, ავტორის ფიქრით, რომ ვითომც დღესაც ქართველები ცოდვად სთვლიან უწმინდურებით რითიმე წამურტლონ ცეცხლი. არ ვიცით, სად და რომელს მხარეს ჩვენში შეუნიშნავს ეს ამბავი ჩვენს ყოვლად-მხედველს ავტორსა. ის მაინც არ უნახავს ავტორს, რომ ყოველ დიდ დღესასწაულის წინადღეს ჩვენი ქართველი კაცი თავის ეზოს, სახლს მოჰგვის და ყოველს უწმინდურებას ერთს ადგილას დაახვავებს და მერე წაუკიდებს ცეცხლსა დასაწვავად. არ გვინახავს ჩვენ და არა გვგონია სხვასაც ვისმე ენახოს, რომ ცეცხლს ადრე მოწიწებით და სასოებით ექცეოდნენ ჩვენში, როგორც ავტორს მოს-

---

* აბსიდიანი ერთნაირი ქვაა, ერთგვარის ტალისა. ამისაგან საჭრელს აკეთებდნენ უწინდელ დროში და იმითი ჰხოცდნენ შესაწირავს საკლავსა.

** Сев. Вест. № 2, გვ. 61.

*** სპენსერი.

ჩვენებია. თუ კერაზედ ცეცხლს პატივსა-სცემენ, ეგ პატივი კერას ეკუთვნის და არა ცეცხლსა, იმიტომ რომ კერას გარე მძვრსაც კი არ არიდებენ ჩვენში ცეცხლსა.

ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომ არა გვჯეროდეს, რომ ქართველები ერთს დროს ცეცხლ-მსახურნი ყოფილიყვნენ. ეს აზრი არამცთუ შესაწყნარებელია, უსათუოც უნდა იყოს, როგორც შემდეგ ვნახავთ. ხოლო ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ ავტორს უსაბუთო საბუთები მოჰყავს ამის დასამტკიცებლად.

რაკი ჩვენმა ავტორმა დაამტკიცა, რომ ქართველნი ცეცხლ-მსახურნი ყოფილან, აქედამ იქ გადავიდა, ვითომც ცეცხლ-მსახურება სპარსეთისაგან აქვნდათ მიღებულიო, იმიტომ რომ სპარსელები ცეცხლ-მსახურნი იყვნენო.

განა სპარსელების მეტს სხვა არავის გაუღმერთებია და არა სწამებია ცეცხლი? მეცნიერთა სიტყვით ცეცხლმსახურება მეტად გავრცელებული და თითქმის მთელს ქვეყნიერობაზედ მოფენილი საყოველთაო რჯული ყოფილა. ცეცხლ-მსახურება ისე ხშირიაო, ამბობს ლებბოკი*, რომ თითქმის მთელის მსოფლიოს რჯულად ჩაითვლებაო... არა ყოფილა არც ერთი ქვეყანა, ცოტად მაინც ცნობილიო, განაგრძობს იგი, რომ ეგ ცეცხლ-მსახურება რჯულის წესად არ ჰქონებოდესო. მისის სიტყვით, ეგ მსახურება წესად ჰქონიათ აზიაში ებრაელთა, ქალდეველთა, ფრიგიელთა, ლიკიელთა, მცირე-აზიელთა, სპარსთა, მიდიელთა, სკვითთა, სარმატთა, ყველა ერს პონტოისას და კაპადოკიისას, ინდოეთისას და ორსავ არაბეთისას. აფრიკაში ჰქონებიათ — ეგვიპტელთა, ეთიოპელთა, ლივიელთა, ატლანტიელთა; ევროპაში — რომაელთა, იტალიელთა, ბერძენთა, ისპანიელთა, გალიელთა, ძველ პრუსსიელთა და სხვათა. ამერიკაში თითქმის ყველგან შენიშნულია ეგევე, ასე რომ თვით ველურთა შორისაც გავრცელებულიაო. რასაკვირველია, ამის შემდეგ, რომ ეგ რჯული ჩვენშიაც ყოფილიყოს.

ესე ერთმანეთზე დაშორებულ ერთა შორის ერთისა და იმავე წესის არსებობა ცხადად გვიმტკიცებს იმას, რომ ცეცხლ-მსახურება შესაძლოა რომელსამე ქვეყანაში თავისითაც დაფუძნდეს, ერთმანეთის მიუბაძველად. ვსთქვათ, ჩვენმა

* დასაწყისი ცივილიზაციისა, გვ. 227 და შემდეგი.

ავტორმა არ აღირსა ეს თავის-თავობა ქართველებსა და რასაც ველურებში ვპოულობთ იგი ჩვენთვის მიუწვდომელად სცნა. მაგრამ აქედამ მაინც ის არ გამოდის რომ ცეცხლ-მსახურება სპარსელებისაგან მიგვეღოს. პირველი ესა, რომ თითონ ავტორი გვარწმუნებს, ვითომც ცეცხლში არამც თუ ადამიანებსა ვწვავდით, არამედ ადამიანის ლეშსაც. თუ ჩვენს ავტორს სპარსელების რჯულის ცოტა რამ გაგება ჰქონოდა, სწორედ ამ ამბავს უნდა დაეჯერებინა, რომ ჩვენ ცეცხლ-მსახურება სპარსელებისაგან არ უნდა გვქონოდა გადმოღებული. დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ სპარსელნი ისეთის სასოებით ეპყრობოდნენ ცეცხლს, არაფერს მიაკარებდნენ. მკვდრებს არცა ჰმარხავდნენ, დედამიწა არ წავმურტლოთო და არცა ცეცხლში სწვავდნენ, ცეცხლი არ შევაგინოთო. მკვდარს ხეზედ დასდებდნენ, ან ჩამოჰკიდებდნენ ფრინველთა შესაჭმევად. ვებერი ამბობს, რომ სპარსელნი ისეთი პატივისმცემელნი იყვნენ ცეცხლისაო, რომ ჰშიშობდნენ, ამოსუნთქულის ჰაერითაც არ წაებილწებინათო. ამისათვის ცეცხლთან ხელსახოცით პირაკრულები მიდიოდნენ, ვითომ ხელსახოცი სუნთქვას დაიჭერს და ცეცხლს არ მიაკარებსო.

ახლა იფიქრეთ, ცეცხლ-მსახურება ქართველებისა რაში ჰგვანებია სპარსელებისას, როდესაც პირველნი ცეცხლში სწვავდნენ ადამიანის გვამსა, თუ ლეშსა, და მეორენი სუნთქვასაც არ აკარებდნენ, არ წაებილწოთ ცეცხლიო. მარტო ეს მაგალითი საკმარისი იყო, რომ ავტორს ქართველების ცეცხლ-მსახურება სპარსთაგან გადმოღებულად არ მიეჩნია.

პოლემიკური სტატიები „ПИСЬМА О ГРУЗИИ“-ს გამო (1889)

I

გზა-და-გზა და სხვათა შორის

ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი წარმოვუდგინეთ მკითხველს იმისი, თუ რა „ინტენსიური“ ცოდნა ჰქონია ისტორიისა ავტორს „Письма о Грузии“-სას. ეს არ იკმარა გალაღებულმა ავტორმა და ერთი ორიოდე მაჩთი-მალაყი კიდევ გადავიდა „Новое обозрение“-ს ფურცლებზედ, თითქო ლიტერატურა საართურმო მოედანი იყოს. ჩვენ თავს არ გავუყადრებთ და ყურს არ ვათხოვებთ იმ ყოვლად უზრდელობას და უწმაწურობას, რომლითაც თავდაუჭერელმა ავტორმა აავსო თავისი ორი უღირსი ფელეტონი, იმიტომ რომ ესეთია გადაუვალი ბუნებური კანონი: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“ და „ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობს“. არც იმ სახელ-უწოდებელ ტყუილს გამოვუდგებით, ვითომც „Audiatur et altera pars“ ჩვენ წესად არა გვქონდეს ჰიღებული. შესაძლოა ამით ვინმემ იფიქრა — იქნება თითონ „Новое обозрение“-ს რედაქციამაც — რომ ვითომც თავისი პასუხი ავტორს ჩვენს რედაქციაში მოეტანოს და ჩვენ დაბეჭდვის უარი გვეთქვას. ეს სინიდისის საქმეა და დღე საკუთარმა სინიდისმა ამხილოს ამისთანა კადნიერი მომგონი აშკარა ტყუილისა.

ჩვენ მარტო მის უთავ-ბოლო სიბრძნეს ჩავუდგებით კვალში და ორიოდე ბრწყინვალე მაგალითს კიდევ წარმოვუდგენთ მკითხველს იმისას, თუ სადამდე მივა ხოლმე ლაღი კადნიერება თავმომწონე და თავგასულ უმეცრებისა.

ჩვენ ჩვენს წერილებში ვსთქვით, რომ მოსე წინასწარმეტყველი, შლოსსერის სიტყვით, გარდაიცვალა 1480 წ. ქრისტემდე. როგორც თქვენ, ისეც შლოსსერი სტყუითო, გვიბრძანა ამაზედ ავტორმა და ჩვენდა გამტყუნების საბუთად წარმოგვიყენა შემდეგი სიტყვები ვებერისა:

„...Возвращение израильтян из Египта (около 1300 г.) оттеснило хананейские племена на узкое побережье".

ამ სიტყვებით აფრთოვანებული ავტორი „Письма о Грузии"-სა რაღაც უცნაურის ლოღიკით განაგრძობს:

„Нужна-ли еще ссылка на то, кто именно, Моисей, или кто другой вывел израильтян из Египта? Сравните-же после этого дату Вебера 1300 г. с нашею датою — 1311 г. и с его (фельетониста Иверии) датою по Шлоссеру — 1480 г., и скажите, не фарс-ли его поход против нас. В том то и дело, что Вебер не календарь, его нужно знать и уметь им пользоваться". (Новое обозрение № 1847).

ჩემი რა გითხრა, გული რით დაგწვაო, სწორედ ეს არის. თითონ ვერ გაუგია ვებერის თქმული და სხვას-კი უკიჟინებს, არ გესმითო. ვებერის თარიღი ეკუთვნის ერთს ამბავს, რომელიც ავტორს სულ სხვა ამბავში აურევია. ვებერი უჩვენებს თარიღს ისრაელთა პალესტინაში მისვლისას და ჩვენს ავტორს კი ეგვიპტიდამ გამოსვლის თარიღად მიუჩნევია. განა ისრაელთა გამოსვლა ეგვიპტიდამ მოსეს დროს და პალესტინაში მისვლა ისუ-ნავეს დროს ერთი-და-იგივე ამბავია, ან ერთისა-და-იმავე თარიღისა? აბა ერთი მეორე კლასის შეგირდსა ჰკითხოს ავტორმა, რა პასუხს მიიღებს. დღეს ბალღმაც-კი იცის, რომ ამ ორს ამბავს შორის მთელი ორმოცის წლის ხანაა ისრაელთა უდაბნოში ყოფნისა, სულ ცოტა რომ ვსთქვათ. ბალღმაც-კი იცის, რომ მოსემ ვერ მიაღწია პალესტინამდე და ისრაელთა მისვლამდე გარდაიცვალა, და ჩვენს თავმომწონე ავტორს-კი ყოველივე ეს ჯერ არ შეუტყვია. ვებერი აბობს ისრაელთა პალესტინაში მისვლაზედ და ავტორს კი ეს ამბავი ეგვიპტიდამ გამოსვლად ჩასწვეთებია ყურში. წაკითხულის გაგება გინდათ და ამისთანა! მოდით და ამის შემდეგ ავტორს მისვე სიტყვებს ნუ მიუბრუნებთ:

Вебер не календарь, его нужно знать, уметь им пользоваться и, когда он говорит о возвращении израильтян в Палестину, следует понимать это в смысле возвращения израильтян в Палестину, а не исхода их из Египта, ибо между этими двумя совершенно различными событиями лежит почти целый полувековой период странствования евреев по пустыне.

თუნდ ეგეც არ იყოს: ჩვენც შეტყობილი გვქონდა, რომ მოსეს გარდაცვალებას ზოგნი 1480 წელს ამბობენ, ზოგნი

1475 წელს, როგორც ნემზერი, რომლის ებრაელთა ისტორია გამოვიდა 1888 წ., ზოგნი — 1350 წელს. ჩვენ მივიღეთ თარიღი შლოსსერისა, რომელსაც ნემზერის თარიღთან მარტო ხუთი წელიწადი აქვს თაბაუთი, უამისოდ ჩვენის ავტორისათვის უნდა შეგვეწამა არ-ცოდნა გამოთვლისა (вычитание). აი რა საბუთით ვამბობთ ამასა:

ზემოხსენებულისაგან სჩანს, რომ ავტორს ეხლა ჰსურს მოსეს აღსასრულის თარიღად მივიღოთ 1300—1311 წელი. დავუთმოთ ეს ჩვენს ავტორს. ხოლო რას გვეტყვის იგი, როცა მოვაგონებთ, რომ თავის პირველ წერილში (Сев. Вест., გვერდი 56) მოგვითხრობს, ვითომც მოსეს შემდეგ გადისო კიდევ რვაასი წელი (ზოგან ათასსაც ამბობს) იეზეკიელამდე, რომელიც, ავტორისავე სიტყვით, მეშვიდე საუკუნეში სცხოვრობდა. გამოსთვალეთ 1300—1311 წლებიდან რვაასი წელიწადი — ათასს აღარ ვიტყვით — და განა ძირს მეშვიდე საუკუნე დარჩება? აბა ერთი თითებზედ იანგარიშოს ავტორმა. ჩვენ მიერ ჩვენებულ თარიღიდამ კი სწორედ მეშვიდე საუკუნე ჰრჩება. მაშასადამე, ჩვენ არ უნდა გვეფიქრა, რომ ავტორი შლოსსერის თარიღს ჰგულისხმობს, ან უნდა შეგვეწამა, რომ თითებზედ თვლაც არა სცოდნია. ჩვენ პირველი მივიღეთ სახეში და თავაზა და ხათრი გავუწიეთ ავტორს. ჩვენ არ გვინდოდა თითებზედ თვლის არ-ცოდნამდე დაგვექვევითებინა თავმოწონებული ავტორი დაწაფებული „დიდს წყაროს ცოდნისას და ნათელისას“.

ეხლა, რაკი თითონ ავტორს სამჯობინაროდ დაუნახავს თითებზედ თვლის არ-ცოდნა იკისროს, ვიდრე შლოსსერს დაუჯეროს, ეგ მისი ხელშეუხებელი ნებაა. ჩვენ-კი ამ შემთხვევაში მოსეს გარდაცვალების თარიღად თუნდ დღევანდელ დღეს მივიღებთ, როგორც სალმანასარის ცხოვრების თარიღად ავტორს მიუღია მეცხრე საუკუნე ქრისტეს შემდეგ (Сев. Вест., № 2, გვერდი 63), მაშინ — როდესაც იგი მერვე საუკუნეში იყო ქრისტეს წინათ. ამ სახით, ყოვლად-შემძლებელმა ავტორმა მკვდრეთით აღადგინა იგი თითქმის 1700 წლის მერმეთ.

ეხლა ჰნახეთ, რა მალაყს გადადის ჩვენი ავტორი მცხეთის გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობის გამო. ჩვენ ჩვენს წერილებში ვსთქვით, რომ ავტორს მცხეთა გადაუტანია და და-

რიალის ხეობის შესავალში დაუბინავებია. ეს იმ საბუთიან ვსთქვათ, რომ ავტორი (Сев. Вест. № 2, გვერდი 37) გვეუბნება: ვითომც Ксеркс — „позаботился укрепить Мцхет, резиденцию старшего Мамасахлиса Грузинского, расположенную у входа в Дарьяльское ущелье".

დავაკვირდით ამ სიტყვებს და გულზედ ხელის დადებით გვითხარით, სცოდნია მცხეთის გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობა თუ არა ავტორს. ჩვენ, რასაკვირველია, ვუთხარით ავტორს, რომ არა სცოდნია. ეხლა უყურეთ, რა პასუხს იძლევა იგი ამაზედ „Новое Обозрение"-ს № 1859-ში. თქვენ რად გიკვირთო, რომ მე მცხეთა დარიალის ხეობის შესავალში მდებარედ ვსთქვიო; თქვე საწყლებო, სტრატეგიისა არა გაგეგებათ-რაო; განა არ ამბობენო, რომ:

„Смоленск для Наполеона был ключем к Москве, Мец — ключем для немцев к Парижу, а Герат является ключем к Индии".

მითამ რა გამოდის აქედამ? რა ვუყოთ, რომ სმოლენსკი „ключ"-ია მოსკოვისა, მეცი — პარიზისა და ჰეირათი — ინდოეთისა! აქედამ განა ის გამოდის, რომ სმოლენსკი მოსკოვის შესავალში მდებარებს, მეცი — პარიზისაში და ჰეირათი — ინდოეთის შესავალში? განა ავტორმა არა სთქვა — მცხეთა დარიალის ხეობის შესავალში მდებარებსო და აქ „„ключ"-ების ჩხარაჩხური რა შუაშია. ნეტა ვის დასცინის ავტორი? თავის-თავს, თუ „Новое Обозрение"-ს მკითხველებს? ღვთის გულისათვის, ერთი გვიამბეთ — რა უგავთ ერთმანეთს — Мцхет расположен у входа в Дарьялское ущелье და Смоленск ключ к Москве, Мец—к Парижу, Герат—к Индии? პირველ შემთხვევაში საუბარი გეოგრაფიულ მდებარეობაზეა და მეორეში — სასტრატეგიო ადგილზე, ფიგურულად ნანიშნზედ. პირველ შემთხვევაში გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობაა, მეორეში სტრატეგიული მნიშვნელობა ადგილისა. დავანებოთ ამასაც თავი, ცოტას ხანს დავუჯეროთ ავტორს, რომ, რადგანაც ამბობენ სმოლენსკი „ключ"-ია მოსკოვისა და მეცი — პარიზისა, ამიტომაც მეც შემიძლიან ვსთქვა, რომ Мцхет расположен у входа в Дарьяльское ущелье,— ეს სულ ერთი იქნებაო.

ხოლო, ავტორის სიტყვით, სმოლენსკი ხომ ნაპოლეონისათვის იყო „ключ"-ი მოსკოვისა და მეცი — გერმანელები-

სათვის — პარიზისა. მცხეთა თუ „ключ"-ია დარიალისა, ვისთვის? თითონ ქართველებისათვისვე განა! აბა მცხეთიდამ სხვა ვინ გააღებდა დარიალს, და თუ სხვა ვინმე გააღებდა — მაღლობა ღმერთსაც — ჩვენგან გასასვლელად გააღებდა და თავიდამ მოგვშორდებოდა.

ჩვენ გვახსოვს ლორის-მელიქოვზედ გრძელი წერილები და იქიდამ დიაღაც შეტყობილი გვაქვს, რომ „Новое Обозрение"-ს კარგი სტრატეგოსები ჰყავს და, მაშასადამე, სტრატეგიის შესახებ ყველაფერი, მის ფურცლებზედ ნათქვამი, სახარების სიტყვასავით უნდა დავიჯეროთ. მაგრამ ნურას უკაცრაოდ, თუ ამ შემთხვევაში გავბედავთ ჩვენი აზრი ვიქონიოთ. ვინ არ იცის რომ, სტრატეგიის თვალით, შესანახი და დასაცველი რომელისამე ქვეყნისა მისი სატახტო ქალაქია, და „ключ"-ი, ესე იგი ჩვენებურად — კარი, მისი გარეთი ნაპირებია.

ვის არ გაუგონია, ჩვენის ავტორის მეტს, რომ კარს გარედამ შემოსვლის შიშით აბმენ და არა შიგნიდამ გასვლის შიშითა. მცხეთა ხომ სატახტო ქალაქი იყო, ავტორისავე სიტყვით, და სასტრატეგიო ლოღიკა ითხოვს, რომ თუ სადმე „ключ"-ია, სატახტო ქალაქის მოღმართ უნდა იყოს, როგორც სმოლენსკია მოსკოვის მოღმართ, მეცი — პარიზისა, და არა მიღმართ როგორც მცხეთისათვის დარიალია. აბა ერთი მაგალითი გვიჩვენოს ავტორმა მთელს ქვეყნიერობაზედ, რომ სატახტო ქალაქი სადმე კარად, ანუ ავტორის „ключ"-ად გაეხადნოს ვისმე, რომელისამე სანაპირო ადგილისათვის.

აი ავტორმა, „Новое Обозрение"-ს ავტორიტეტობის წინამძღოლობით, რომ მოსკოვი სმოლენსკის „ключ"-ად გადააქციოს, პარიზი — მეცისად და მერე რომ მცხეთაც დარიალის „ключ"-ად გარდაქმნას, კიდევ ჰო: კაცი ამას მაინც იტყოდა, აქ მცირეოდენი ძაფი მაინც არის ლოღიკისაო, თუმცა ამ ძაფზე გამონასკული სტრატეგია-კი მაინც ბედაური ტყუილი იქნება. იმისთანა სტრატეგია, როგორიც ავტორმა მცხეთის თაობაზედ გამოაჩინა და „Новое Обозрение"-ს ავტორიტეტობით გააძლიერა, ახალი გაგონებაა ქვეყნისათვის, და აქაც მეტი რა გზაა — პირველობა აღმონაჩენობისა ჩვენს ავტორს უნდა დავულოცოთ და ამ სტრატეგიის გამომზევება — Новое Обозрение"-ს, თუმცა Сев. Вест. კი იწყენს, ეს პატივი მე რათ

ჩამომართვესო. ვინმემ ჩვენის ავტორის თავაზითა და „Новое Обозрение"-ს ხათრით საფრანგეთი პარიზს მეცის „ключ"-ი იქნება მცხეთისა ჩრდილოეთით და არა მცხეთა დარიალისა. ხათრიჯამად ბრძანდებოდეს ამაზედ ავტორი, და ნურას უკაცრავად, თუ სანდალას და ბალღების მეტმა, სხვამ ვინმემ არ დაუჯეროს ესეთი გადატრიალება სიტყვებისა, ვითომც მის მიერ თქმული — მცხეთის მდებარეობა დარიალის შესავალში იმასვე ნიშნავდეს, რასაც სმოლენსკისა და მეცის „ключ"-ობა ვოსკოვისა და პარიზისათვის.

ამასაც თავი დავანებოთ. თუ მცხეთა მართლა დარიალის „ключ"-ად ეგულებოდა ავტორს და აქ ღობე-ყორეს არ ედება ბალღების გასაბრიყვებლად, მაშ რადად ამბობს (Сев. Вест., № 3, გვ. 37), ოთხ ვიდრე ხაზარებმა არ ასწავლეს ბეშვიდე საუკუნეში, ქართველებმა არ იცოდნენ დარიალის გასავალიო. როგორ? ქართველებმა მცხეთა დარიალის „ключ"-ად გაიკეთეს და თითონ დარიალი-კი არ იცოდნენ!.. ღმერთმა მშვიდობა მისცეს ჩვენს ავტორს! მართლა რომ საოცარი კაცი ყოფილა... ეხლა გვესმის, რათ ასტეხია ხანგრძლივი სიცილი, როგორც თითონ ამბობს „Новое Обозрение"-ს თავისუფალ ფურცლებზედ, როცა ჩვენი ფელეტონები წაუკითხავს: მე ზღაპრებს გეუბნებით ისტორიის სახელითა და თქვენ-კი მართალი ისტორია გვონებიათ და გამომეკიდენითო. მოდი და ნუ გაეცინება სიხარულისაგან ამისთანა ოსტატს, რომ ამ შემთხვევაში ალჩუ დაუჯდა და ჩვენ წაგვიტყუა.

ჩვენ ჩვენს წერილებში შევნიშნეთ, რომ ჩვენს доисторический период-ის მკვლევარს ბატონს ისიც არა სცოდნია, რომ სტრაბონი ბერძნული მწერალია. იგი ეხლაც ამტკიცებს, რომ სტრაბონი რომაელი მწერალია. ტყუილს სიტყვას რომ ბაჟი ედოს, რასაკვირველია, ეს ასე არ მოხდებოდა. ბედი ავტორისა, რომ სიტყვა დღეს ბაჟისაგან თავისუფალია. მართალიაო, გვეუბნება ავტორი: სტრაბონი ჩამომავლობით არ იყო რომაელი და ბერძნულადაც სწერდაო, მაგრამ:

„Упоминая Страбона, мы имели в виду оттенить эпоху; происхождение-же его не имело никакого отношения к делу"*.

ბატონო! ბატონო! რა არის ამდენი ტყუილი! რა საკადრი-

* „Новое Обозрение", № 1859

სია! აი, ავტორის სიტყვები, საცა იგი სტრაბონს რომაელთა მწერლად ჰგულობს:

„Пророки Моисей и Иезекиил, греческие историки Геродот и Ксенофонт, римские Страбон и Плиний и... даже сам Тацит упоминают вскользь о некоторых племенах, населявших Закавказье*.

სხვაგან არსად, არსად ავტორი სტრაბონს არ იხსენიებს რომაელ მწერლად. ამის მთქმელი გვეუბნება, რომ упоминая Страбона, мы имели в виду оттенить эпоху. აბა დააკვირდით აქ ავტორის მიერ ხსენებას სტრაბონისას და გვითხარით, არის თუ არა იოტის ოდენა მაინც მართალი იმაში, რომ ჩვენ ვახსენეთ და სტრაბონი, სახეში გვქონდაო „оттенить эпоху". აბა მალაყი ამისთანა უნდა, აი! თუ კაცია, ქვეყანახედ ვინმე ამოიკითხავს ავტორის ზემო-ამოწერილ სიტყვებიდამ, რომ „он, упоминая Страбона, имел в виду оттенить эпоху". რა „эпоха"? რა „оттенить"? სად არის აქ ან „эпоха", ან „оттенить"! კაცი ამბობს, სტრაბონი რომაელი მწერალიაო და აქედამ არც რაიმე ეპოქა გამოდის, არც რაიმე „оттенить". აქ მარტო ის გამოდის, რომ ავტორი ტყუილში მოემწყვდა და თავის დასაძვრენად ერთს ტყუილს მეორეც ზედ დააკვდა.

ახლა ბითამ ავტორმა თავი გაიმართლა სტრაბონის შესახებ და ჩვენ გვეუბნება იქავ, საცა სტრაბონის ხსენებით ჰსურვებია „оттенить эпоху":

„Да, г. фельетонист, постичь историю, обнять одним штрихом ея многообразную перспективу, далеко не так легко, как обновить костюм".

გსთქვათ, ეს ბაალად თქმული постичьисторию, ეს обнять одним штрихом ღმერთმა ჩვენ არ გვარგუნა და ყოველ ამითი სავსე კალთა ზედ დააბღერტა ჩვენს ავტორსა, — საკითხი ეს არის: ნუთუ ღმერთი ისე გაუწყრა ქვეყანას, რომ წთელს დედამიწის ზურგზედ ჩვენის ავტორის მეტი სხვა ადარავინ გამოჩნდა, რომ შესძლებიყო постичь историю, обнять одним штрихом და ყოველ სხვა ამისთანა ბაიათებით ჩვენს ავტორსავით სტრაბონი რომაელ მწერლად ჩაეთვალა. ერთი მოწყალება მოიღოს ამ ჩვენმა обнимающий-მ одним штрихом ავტორმა და გვიჩვენოს ან ინგლისის, ან საფრანგე-

* „Сев. Вест". № 2 გვ 47.

თის, ან გერმანეთის, თუნდ რუსეთის, და ერთობ ევროპის თუ სხვა ქვეყნების მწერლობაში, რომ ვისმე სტრაბონი რომაელ მწერლად დაესახელებინოს. აქაც პირველია ჩვენი ავტორი და იშვიათი — უკანასკნელიცა. დალოცვილს იმ საიდუმლოდ შენახულ წიგნში მაინც ჩაეხედნა, რომელსაც „чтоб подразнить любопытство (Иверийцев) ბუტია ბალღსავით გვიმალავს, და 63 გვერდზედ ჰნახავდა, სტრაბონი რომაელი მწერალია, თუ ბერძნელი.

თუმცა სტრაბონი კაპადოკიიდამ იყოო, — გვიქადაგებს ავტორი, — და ბერძნულად სწერდაო, მაგრამ რადგანაც სტრაბონი დაიბადა იმ ეპოქაში, როცა რომი ბრძანებლობდა მთელს ქვეყანასა*, როცა საბერძნეთი აღარ იყო და იყვნენ მარტო ბერძენნი-მონანი, ამიტომაც სტრაბონი რომაელ მწერლად უნდა ჩაითვალოსო. მაშ მოსე წინასწარმეტყველიც, რომელიც დაიბადა კიდეც ეგვიპტეში, გაიზარდა კიდეც ეგვიპტეში, ეგვიპტისავე სწავლა-მეცნიერება მიიღო, და ეს ყოველივე მოხდა მაშინ, როცა ეგვიპტე გაძლიერებული იყო და ებრაელნი ტყვედა ჰყვანდა, მაშ, ვამბობთ, უფრო მეტი საბუთია მოსე წინასწარმეტყველი — ებრაელ მწერლად კი არა, ეგვიპტელ მწერლად ვიცნათ, ჩვენის ავტორის თეორიით. რა მოგახსენოს ამ постичь историю, ამ обнять одним штрихом ея перспективу. არც ეს გაგვიკვირდება, რომ ეხლა ამაზედ გამოიდოს თავი ჩვენმა ავტორმა და მოსე ეგვიპტელად გაჰხადოს. მითამ იმაზედ მეტი, რაც დააკლდა, სხვა რაღა დააკლდება. ვინც არასა ჰკარგავს, ის ყოველთვის კაცნიერი და გამბედავია.

ჩვენა ვსთქვით, რომ აწინდელი „არმენია“ დასახლებული ყოფილა ქართველთა ნათესაობისაგან ასურელთა გაძლიერების ხანაში მეშვიდე საუკუნემდე ქრისტეს წინათ. მაშასადამე, ასურეთს ზედ ეკრა ქართველთა მაშინდელი ქვეყანა. ეს ასეთის უეჭველის საბუთებით დაამტკიცა ფრანსუა ლენორმანმა, რომ დღეს ყველა სახელმძღვანელოშია მოქცეული, როგორც

---

* დაიხსომეო, რომ თუმცა მაშინ რომი, მართალია, ბრძანებლობდა მთელს ქვეყანას, მაგრამ კულტურა, სწავლა-განათლება კი მთლად ბერძნებისა ჰქონდა და ბერძნების ხელში იყო. მაშასადამე, სტრაბონი არამც თუ სისხლით, არამც თუ ენით რომაელი არ იყო, არამედ კულტურითაც, სწავლა-განათლებითაც სულ სხვა ერს ეკუთვნოდა.

მეცნიერებისაგან ეჭვს გარეშე დაყენებული მართალი*. ჩვენი ავტორი-კი დაიცინება, საიდამ სადაო, და საბუთად მოჰყავს რა კიპერტის რუკა, გვეუბნება, — ასურეთსა და საქართველოს შუა „არმენიააო“. ის-კი წააფუჩეჩა, რომ სწორედ ეგ „არმენია“, ასურეთის დროს — მე-7 საუკუნემდე ქრისტეს წინათ, ქართველთა ნათესავის ადგილ-მამული იყო. აქაც ჩვენს ავტორს იგივე რჩება უნდა მივცეთ, რომ Кипперт не календарь, его надо знать и уметь пользоваться.

სხვებს, რაც ამ ბ-ნს ავტორს მოუხსენებია თავის მკითხველთათვის „Новое Обозрение“-ს ფელეტონებში, ჩვენ აღარ შევეხებით. დეე, რამდენიც უნდოდეს იძახოს, რომ სტრაბონი რომაელი მწერალია. დეე, მცხეთა ისე მდებარებდეს დარიალის ხეობის შესავალში, როგორც სმოლენსკი მოსკოვის შესავალშია, მეცი — პარიზისა და ჰეირათი — ინდოეთისა (რა მოგახსენათ ლოლიკამ შედარებისამ!), ვინ გაუგონებს, ჭკუადაბღერტილის მეტი. დეე იძახოს, ჯერ მოვიცადოთ, ლენორმანის გამონაძიები გამართლდება თუ არაო**; იცადოს, მინამ მოეწყინებოდეს, და ლენორმანის გამონაკვლევმა-კი, ჩვენის ავტორის დაუკითხავად, თავისი დასაბუთებული ადგილი დაიჭირა გიმნაზიებში სასწავლებელ წიგნებშიაც-კი.

იკითხავთ, მეცნიერებამ რატომ ბრძანება მოცდისა არ გაუგონა ჩვენს ავტორსაო. წადით და ჰკითხეთ ამ თავგასულს მეცნიერებას! იგი — დახეთ მის კადნიერებას! — თავის წარმატების გზაზედ სვლას არ იშლის და ჩვენი გამწყრალი ავტორი-კი იჯდეს, მინამ მოეწყინება, ზღვის პირას და დარი მოილოდინოს. ჰკვაც — თუ გნებავთ — ეს არის, ამიტომ რომ ცუდად შრომას ისევ ცუდად ჯდომა სჯობია.

[1889 წ.]

---

* იხ. ისტორია, რაც-კი ამ ბოლოს ხანებში გამოსულა, თუნდა, მაგალითად, ისტორია ზაიცევისა, ტრაჩევსკისა და სხვანი.

** „Новое Обозрение“, № 1859.

НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ-Ს წერილის გამო

I

ძლივს ძლივს მოვესწარით, რომ აქაურმა რუსულმა გაზეთმა „Новое Обозрение"-მ მოიცალა ჩვენთვისაც მრავლად რთულ და მძიმე საქმეებისაგან. ძლივს იკადრა და ხმა ამოიღო „Сев. Вестник"-ში დაბეჭდილ „Письма о Грузии"-ს თაობაზედ. იკადრაო ვამბობთ. იმიტომ რომ ამ ყურმახვილს და გონებაფხიზელს გაზეთს არ უყვარს რაღაც დაობებულ საგნებზე ლაპარაკი. იგი უფრო მწვავეს და უფრო დღევანდელ საჭირბოროტო საქმეებზეა თავდადებული, როგორც მაგალითებრ ბაქოს ნავთი და ბაქო-ბათომის რკინის გზაა, და ხავსმოკიდებული წარსული საქართველოსი კი, რომელიც ხსენებულ წერილებს საგნადა აქვს, მიუხედებია საღეჭად და საცოხნელად იმისთანა გაზეთებისათვის, როგორიც ჩვენი უბადრუკი, უფხო და მკვდარი „ივერიაა", ან იმისთანა წვრილფეხობისათვის, როგორიც ჩვენი ჭკუამოკლე და გონებამახვილი ინტელიგენციაა.

ვამბობთ — ხმა ამოიღო, მაგრამ ვაი ამ ხმის ამოღებას!.. „Новое Обозрение" არც აქ ასცდენია თავისებურ თავმოწონებას. როცა თავიდამ ბოლომდე ჩაიკითხავთ გუშინწინდელს მის მეთაურს, სამ-ოთხს სვეტზედ გაპტყელებულს და გაჭიანურებულს, მარტო ეს-ღა გრჩებათ გულსა და გონებაში: ავტორიც „Письма о Грузии"-სა სულელი ყოფილა, მის მიერ გულამღვრეული და გულზედ-მოსული ქართველთა ინტელიგენციაც. და თუ ჭკუა გინდათ, მარტო „Новое Обозрение"-ს რედაქციაში მონახეთო. სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მარტო ეს შეგვრჩა იმ გრძელ მეთაურისაგან.

რასაკვირველია, პირდაპირ ეს არ არის თქმული. სიტყვა „სულელი" ხმარებული არ არის არც „Письма о Грузии"-ს ავტორის დასაშვენებლად და არც ქართველთა ინტელიგენციის თავმოსაწონებლად და სანუგეშებლად. ამბა ყოველთვის მართებული და ზრდილობიანი „Новое Обозрение" რათ იკადრებდა ეხმარა წერილში ამისთანა უმართებულო სიტყვა. მაგ-

რამ განა არ შეიძლება თქმაშიაც ოსტატობა იყოს? განა არ შეიძლება ფიცი იყოს და ბოლო-კი გვაკვირვებდეს? ძაღლსა სცემდენ და რძალს ასმენდენ, ხომ გაგონილი გვაქვს, სხვა არა იყოს-რა.

საკვირველია! საქმე იმაზეა აქ შემდგარი, რომ „Письма о Грузии“-ს ავტორი გადაჰკიდებია რუსთაველს, ჰლამის ვირზედ პირუკუღმა შესოს და კუდი ხელში დააჭერინოს ამ აქამდე ქართველთაგან თაყვანცემულს კაცს, და ჩვენი ინტელიგენცია, „Новое Обозрение“-ს სიტყვითვე, ამაზედ გამწარებულა და გამოსარჩლებია საწყალს შოთას და მის უსაბუთოდ გაუპატიურებას უკადრისობს, ჰთაკილობს. ამ წერაში, ამ მიჯნებში ჩაყენებული საქმე მარტო იმას ჰთხოულობს, რომ გადაწყვეტილ იქმნას, ვინ არის აქ მართალი და ვინ მტყუანი, ვინა ჰსულელობს აქ და ვინ არა და „Новое Обозрение“-კი გამოსულა და იძახის: ერთიც ტყუის და მეორეც, ერთიც ჰსულელობს და მეორეც, და ამავე დროს წარბშეუხრელად თითონვე ესარჩლება რუსთაველს და გვიმტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი დიდი და სახელოვანი კაციაო. აი, ამასა ჰქვიან, გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარესაო. აი, ამასა ჰქვიან ოსტატობა და ხერხი ლაპარაკისა. აი ამასა ჰქვიან — ერთსა-და-იმავე დროს კაცმა თვალი უყოს მგმობელსაც და მოსარჩლესაც, მტერსაცა და მოყვარესაც, შორეულსა და მახლობელსაც ერთმანეთზე წასაქეზებლად. მართლა-და განა გასაშტერებელი ოსტატობა არ არის, რომ ერთსა-და-იმავე დროს ერთმა-და-იმავე კაცმა რუსთაველის მგმობელსაც ეთხრას, რომ რუსთაველის მოსარჩლე სულელია, მოსარჩლესაც უფიცოს, რომ სულელი მისი მგმობელია, და ამავე დროს თითონვე ესარჩლებოდეს რუსთაველსა და აინუნშიაც არ მოსდიოდეს, რომ აქ სამს საგანს, ერთმანეთთან შეუწონელს და შეუფერებელს, ერთმანეთის გამომკლებელს, ბურთსავით ხელში ათამაშებს.

გვეტყვიან, სარჩლიც არის და სარჩლიც, შესაძლოა კაცი კაცს სულელურადაც გამოესარჩლოს და ჭკვიანურადაც. ეგ ჭკუამახვილობასა და ცოდნაზეა დამოკიდებული. ჩვენც სწორედ აქა ვართ. აკი მოგახსენეთ, რომ „Новое Обозрение“ ჭკუის საპოვნელად თავის რედაქციაში ეპატიჟება ხალხს. იგი— თავის მეთაურით, სწკეპლავს რა ინტელიგენციას, ეუბნება, სარ-

ჩლი თქვენებურ სულელური კი არ უნდა, აი როგორი და რა გზით უნდათ და მაგალითისათვის ანბანს უკითხავს ქართველთა ინტელიგენციას, მერე იმისთანა ანბანს, რომელიც დღეს ბალღსაც-კი ენაზედ აკერია და თავმოწონებულს „Новое Обозрение“-ს კი ახალი ამბავი ჰგონია საზოგადოდ და ჩვენის ინტელიგენციისათვის ცალკე.

„Новое Обозрение“ ასე იწყებს თავის მეთაურს:

„В грузинском обществе смятение: нашелся „нечестивец“, усомнившийся в самобытности и оригинальности Шота Руставели, творца „Барсовой кожи“. Сомнения свои сей заалазанский Герострат изложил — о, ужас!— на русском языке и предал тиснению в либеральном «Северном Вестнике» под заглавием «Письма о Грузии».

საკმარისია კაცმა ყური ათხოვოს მარტო სამს გამონათქვამს ამ ციტატისას, სახელდობრ, „нечестивец“, „сей заалазанский Герострат“ და „о, ужас“ — რომ უეჭველი აზრი გამოინასკვოს მასზე, თუ ასე დაწყებული გრძელი წერილი რითი გათავდება ბოლოს-და-ბოლოს. ჩვენის ფიქრით დანარჩენს გადაკითხვაც არ უნდა. თვითოეული აზრი, აქ მოჭრით გამოთქმული, ხსენებულ მეთაურში მარტო გაპტყელებულ-გაჭიანურებულია და ხელმეორედ გადაზეხილ-გადაზეპილი ასაკრიალებლად.

„Нечестивец“ თავის-თავად საამური სიტყვა არ არის. მაგრამ როცა იგი განსაკუთრებულ ნიშნებით შემკულია, როგორც ხსენებულ მეთაურში, და როცა ამასთანავე ზედ დაატანენ, რომ შენ ამას გეძახიან იმიტომ კი არა, რომ მართლა უწმინდურება რამ ჩაგედინოს, არამედ იმიტომ, რომ გაჰბედე და არა გჯერა ყველასაგან აქამდე უკვე დაჯერებული, ეგ უამური სიტყვა საქებურად მისაღებია, ნამეტნავად ეხლანდელ დროში, როცა ყოვლად უსაბუთო უჯერობაც კი გენიოსობას და თავგაწირულ ვაჟკაცობას მოასწავებს ჩვენი ბულვარის აკადემიის თვალში. თუნდ ეგეც არ იყოს, დასაბუთებულ ეჭვის ლახტით შერყევა იმისი, რაც ყველას ხელზედ დახვეული აქვს, ვითარცა უცილობელი ჭეშმარიტება, მართლა რომ საქებური გაბედულებაა და სასახელო სამსახური. უმეცარნი და ჭკუაბნელნი ამისთანა კაცს, ვითარცა შემარყეველს მათ მიერ ჭეშმარიტებად ნარწმენისას, „нечестивец“-ს ეძახიან და ეს სიტყვა რუსულს ლიტერატურაში ხშირად ხმარებულია სანუგეშოდ გამბედავ

შეეჭვისა და დასაცინლად უმეცარ და ჭკუაბნელ მოსარჩლისა. აბა, მართლა-და ტვინთხელა და ჭკუამოკლე კაცის მეტი ვინ ვის უწოდებს „нечестивец“-ს მარტო იმისთვის, რომ ეჭვის თვალით სჩხრეკს ყოველს საძიებელსა, გამოსაკვლევსა. თითონ ჩხრეკა და კვლევა ეჭვისაგან მოივლინება, თორემ უეჭველს რაღა ჩხრეკა და კვლევა უნდა?

ამ სახით, ეგ სიტყვა „нечестивец“ ამ შემთხვევაში ნუგეშსაცემი, ქებად მისაღები სიტყვაა ჩვენის „Письма о Грузии“-ს ავტორისათვის. ხოლო მეტის-მეტად თავი რომ არ მოიწონოს და არ გაიზვიადოს ერთის მხრით ავტორმა, და მეორეს მხრით არ იწყინოს ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც — რა თქმა უნდა — მარტო უმეცრების და ჭკუაბნელობის გამო „нечестивец“-ს ეძახის გაბედულს მეეჭვეს, — „Новое Обозрение“ აქვე სასაცილოდ იგდებს თავის მიერვე ქებულს და ნუგეშცემულს ავტორს „Письма о Грузии“-სას, სდებს რა ალაზან-გაღმელ ჰეროსტრატეს სახელსა. ხომ ჰხედავთ, რა გასაშტერებელი ამბავია. ერთს ანუგეშებს, რომ მეორე უმეცრებით „нечестивец“-ს ეძახის იმისათვის, რაც საქებურია, და მეორეს ეუბნება, რომ მართალი ხარ, ეგ ალაზან-გაღმელი ჰეროსტრატე, რომელმაც — (ბერძენთა ჰეროსტრატემ და არა ალაზან-გაღმელმა) — ერთს დიდსა და სახელოვანს ტაძარს ცეცხლი წაუკიდა მარტო იმისათვის, რომ ქვეყანაზედ ამით მაინც დარჩება, ამით მაინც გაითქმის ჩემი სახელიო. მეტი ოსტატობა-და გნებავთ, რომ კაცმა თავის ნებით საგანი აიღოს პოსა თუ არას სათქმელად, და არც ჰო სთქვას და არც არა, ან ჰოცა და არაც ერთსა და იმავე დროს იძახოს? მეტი ოსტატობა-და გინდათ, კაცმა განგებ ცეცხლი გააჩაღოს, გააღუოს, შიგ მწვადი ჩასდოს და არც მწვადი იწოდეს და არც შამფური? ერთს მეორით ანუგეშებს, აქეზებს, მეორეს — ერთითა, და ორივე ერთად კი სულელებად გამოჰყავს. ოსტატობა არ არის, მა რა ეშმაკია.

ეს კიდევ არაფერი: სიტყვას „о, ужас“-ს დაუკვირდით. ამით რა ჰნებავს ეთქვა „Новое Обозрение“-ს? ვინ ужас-ობს, რომ ავტორს „Письма о Грузии“-სას რუსულად დაუწერია თავისი წერილები? ვისთვის რა სა-ужас-ოა ეს ამბავი? ან აქ რა ჰკვად-მისაღები მიზეზია ужас-ობისა, ვისგანმე და ვისთვის-ღა? ან ამ ужас-ობასთან რა მოსატანია რუსული და რუსულად

წერა? ვითომ ვის გაჰკრეს და კის გაჰკენწლეს ამით? არ ვიცით, რისთვის და ვისთვის არის წამოტყვრენილი ეს უადგილო სიტყვა? არ ვიცით — კის უმიზნებს „Новое Обозрение“ ამ ფრთოსანს ისარს მაშინ, როდესაც შვილდსა ჰმალავს, და ეს-კი ვიცით, რომ ახლო სცემს და თავის ადგილას მივა. საწყალი ქართველები! ნეტა კის რა გველი შეუწვეს!..

სადღეისოდ ესეც კმარა, დანარჩენი შემდეგისთვის გადავსდოთ.

2

შემდეგ იმისთანა საუცხოვო „წყობილ-სიტყვაობისა,“ რომელიც ჩვენ წინა-წერილში რუსულად ამოვწერეთ, „Новое Обозрение“ შეჰნანის ავტორს „Письма о Грузии“-სას და თითქო სწუხს კიდეც, რომ მან თავისი ძვირფასი დრო და არა ნაკლებ ძვირფასი ცოდნა-სიბრძნე შეახარჯა და შეალია იმისთანა მკვდარს საგანს, როგორიც საქართველოს ძველი ისტორიაა, და არა იმ დღევანდელ ჭირბოროტსა, რომ შიშილით კუჭი გვეწვის და თავზე სახურავი ჭერი არა გვაქვს. მართლადა იმისთანა ჰკუის პატრონს, როგორიც ჩვენი „ნარ-დონია“* ჩვენის დღევანდელ გაჭირვებისათვის რომ ხელი ჩაეკიდნა, ახა ძალიან კი გაუძღებდა საქართველოს დამშეულ კუჭსა და ლამაზადაც წამოადგამდა თავზე ჩარდახსა. „ნეტარ არიან მორწმუნენი“ — ნათქვამია და, როგორც ეხედავთ, „Новое Обозрение“-ესაც ამ ნეტარებაში წილი ჩაუდგია. დეე, ეგ იმედი იქონიოს „Новое Обозрение“-მ და როცა „ნარ-დონის“ ხელით პური რამ გამოცხვეს, ჩვენ წილს ნუღარ დაგვიდებს.

რათ ინება „ნარ-დონმაო“, — ჰკითხავს თავის-თავს „Новое Обозрение“ — რომ საქართველოს ძველს ისტორიას შეახმარა თავისი ძალ-ღონე მაშინ, როდესაც იგი ღონე ისე საჭიროა დღევანდელ ჭირ-ბოროტისათვისაო! მადაო, რომ დაფიქცებინა, ვითომც ქართველებს იმდენი ათასი წელიწადი უცხოვრიათ და თავისი არა ჰქონიათ-რაო. სხვაც რომ არა იყოსრაო, განა თვით ეს ათას-წლობითი ცხოვრება არ ითხოვს ჰკუ-

* ავტორი Письма о Грузии-სა თავის წერილებს ბოლოში აწერს „ნ. დ.“ თავის სახელისა და გვარის მაგიერ. ჩვენც ამას იქით ხან „ნარ-დონად“ მოვიხსენიებთ სიმოკლისათვის. თორემ „ავტორი Письма о Грузии-სა“ მეტად გრძელია და მოსაბეზრებელიც.

ადამჯდარ ისტორიკოსისა თუ კრიტიკოსისაგან მეცნიერულად ახსნასა და გამორკვევასა, იკითხავს პირუთვნელი მკითხველიო, — ამბობს „Новое Обозрение“. ამ პირუთვნელ სჯას მკითხველისას „Новое Обозрение“ აძლიერებს მით, რომ თავისი მხრითაც უმატებს: „თუ ქართველებს თავისი არა ჰქონიათ-რა, უიმისოდ როგორ გასძლებდა ეროვნული არსებობა საქართველოსი ამოდენა საუკუნოების განმავლობაშიო. თვით ამ არსებობის მაგალითი ბრძნად მკვლევარისა და ისტორიკოსის თვალში მოასწავებსო, რომ ამ ერს ჰქონია რაღაც ჯერჯერობით გამოუცნობელი, ჯერჯერობით არ-დანახული და გამოურკვეველი, მაგრამ უეჭველად ღირებული-კი ასახსნელად და საძიებლადაო“.

„Новое Обозрение“ გვარწმუნებს, რომ ამას იტყოდა ყოველი პირუთვნელი და ბრძნულად მკვლევარი კაციო. მაშასადამე, ვინც ამას არ იტყვის, იგი პირმოთნე და უგუნურად მკვლევარი კაცი უნდა იყოს თვით „Новое Обозрение“-ს სიტყვითვე. ხომ ესეა, და აბა ეხლა ჰნახეთ, თითონ „Новое Обозрение“ ამავე საგანზე რას ამბობს იმავე მეთაურში:

„გონებიანად რომ დავუკვირდეთ, რა უნდა სთქვას კაცმაო ამ „Северный Вестник“-ში დაბეჭდილ „Письма о Грузии“-საზედ? მარტო ის თუ, რომ მათმა ავტორმა უნაყოფოდ შეახმარა თავისი დრო და ღონე (აფსუს!) იმისთანა საქმეს, რომელიც, სწორედ რომ ვსთქვათ, გამოჭმულ კვერცხის ნაჭუჭის ფასადაც არა ჰღირსო“. — მეორე ადგილას ამის-გამოვე უმატებს: „ამ გზაზედ დადგომა და გარჯა ტყუილ-უბრალო შრომააო“.

როგორ? ერთი და იგივე საგანი მეთაურის მეორე სვეტზედ იმოდენად ღირს-საცნობია, რომ ითხოვს ჭკუადამჯდარ ისტორიკოსისა და კრიტიკოსისაგან მეცნიერულს ახსნასა და გამორკვევას, იმოდენად დიდი რამ არის ბრძნულად მკვლევარისათვის, რომ უეჭველად ღირებულია ასახსნელად და საძიებლად, და იგივ საგანი იმავ მეთაურის მესამე და მეოთხე გვერდზე კვერცხის ცარიელ ნაჭუჭადაც არა ჰღირს და მის ძიებისა და გამოკვლევის გზაზედ დგომა და გარჯა წყლის ნაყვაა?!

ეს სადაური ლოღიკაა? თუ პირუთვნელი და გონიერი კაცი, „Новое Обозрение“-ს სიტყვით, იმ საგანს ღირსად ჰპოებს საცოდნელად და გამოსაკვლევად, მაშ მარტო პირმოთნე და უგუნურს კაცს-ღა ეთქმის, რომ კვერცხის ნაჭუჭადაც არა

ჰღირსო, და ამას ხომ თვით „Новое Обозрение“ ამბობს. მაშ ამ შემთხვევაში ვის-ღა ჰრჩება სანატრელი სახელი პირმოთნესი და უგუნურად მკვლევარისა? ეგ თითონვე გამოიცანით და ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ მართლა თქმულა: რასაც კაცი თავის-თავს უზამს, იმას სხვა არ უზამსო.

კიდევ ვიტყვით: ეს სადაური ლოღიკაა? ეს ის ლოღიკაა, რომლის წყალობითაც ეხლანდელს დროში გაზეთს „живая газета“-ს ეძახიან და „живая“ ხომ ცოცხალს თევზსავით ხელიდამ ადვილად გამოუსხლტება ხოლმე კაცსა, ხელში ადვილად არ დაეჭერინება.

აქაც ესეა. მეორე სვეტიდამ მესამე და მეოთხე სვეტამდე ცოტა თუ ბევრი მანძილია და, რასაკვირველია, ამ მანძილზედ ბევრი რამ არის ნათქვამი თავის დასაძვრენად, თუ ვინიცობაა ვინმე ულოღიკობას შესწამებდა ამ „живая газета“-ს მეთაურსა. და არც ჩვენა გვგონია გადავურჩეთ უიმისოდ, რომ ეს თავის-დასაძვრენი არ მოგვახალონ გასამტყუნებლად. ჩვენ კი, რაკი წინა-წერილში მოყვანილმა რუსულმა ციტატამ ღობე-ყურეს მოუდებელად პირდაპირ გაგვაგებინა დედააზრი მეთაურისა, რომელსაც ჰოს თქმაც მოსწყურებია და არასიც ერთსა-და-იმავე დროს და ერთსა-და-იმავე საგანზედ, ჩვენ-კი, ვამბობთ, ამ წაღმა-უკუღმა ლაპარაკში იმასა ვხედავთ, რაც წინათ დავინახეთ, სახელდობრ, წაჯეგ-უკუჯეგობას იმისთანას, რომ ერთსაც ხელთ სამურველი ჰქონდეს გულის მოსაფხანად და მეორესაც და ორნივ ერთად-კი სასაცილოდ ასაგდებნი გამოვიდნენ.

ვინ ერთი და ვინ მეორეო? — იკითხავთ. ერთია ავტორი „ნარ-დონი“, რომელსაც თავს უქონავს, რომ — აფსუს! — ტყუილ-უბრალოდ შეალია შენი ძვირფასი ღონე და ძვირფასი დრო იმისთანა საქმეს, რომელიც ჩალის ფასადაც არა ჰღირსო. მაშინ, როდესაც შენისთანა ბრძენი კაცი ბევრს რასმე მოიაზრებდა ჩვენთვის დღევანდელ ჭირ-ბოროტობაშიო, — და მეორე — ქართველები და ქართული ინტელიგენცია, რომელთაც თავსა ჰფხანს, რომ საქმე, რომლის გამოც თქვენ უწყრებით „ნარ-დონსა“, უეჭველად ღირსია ჭკუადამჯდარმა ისტორიკოსმა და ბრძნულად მკვლევარმა გამოიძიოს და არა იმისთანა მამლაყინწამ და ჩიტირეკიამ, როგორიც „ნარ-დონია“, ეგ ალაზანგაღმელი ჰეროსტრატეო. მეტი რა მოეთხოვება ეგრეთწოდე-

ბულ „живая газета“ს? შენც გაამებს, იმასაც. და ამასთანავე ორივეს გაგწკეპავს, მაგრამ ისე კი, რომ ერთმა მეორის ტკივილით ინუგეშოს და წყენა გაიწელოს.

ამ გაწკეპაში, კაცმა რომ მართალი სთქვას, მოგებული მაინც ალახან-გალმელი ჰეროსტრატე ჰრჩება. ამ ვაჟბატონს ცოტა არ იყოს უფრთხილდება ჩვენი „живая газета“, და ან რათ უნდა კვიკვირდეს: „Новое Обозрение“-ს იმედი აქვს, რომ იგი მის რჩევას ყურში ჩაიწვეთებს, არქეოლოგიურ ბარდებიდამ გამოძვრება, დღევანდელს ჭირბოროტს დაუბრუნდება და მაშინ ჰნახეთ, რა ქადებსა და ნაზუქებს გამოუცხობს დაწშეულს ქართველებსა და რა დახარატებულ ჩარდახს თავზე წამოადგამს. ჩვენ-კი ღმერთმა გვიხსნას იმის გამომცხვარ ნაზუქ-ქადებისა და მის მიერ აშენებულ ჩარდახებისაგან. კიდევ ვიტყვით, ნეტარ არიან მორწმუნენი, და ჩვენ კი „ნარ-დონისა“ არა გვწყინს-რა: საცა და რა წრეშიაც გინდ იფორთხალოს, იგი ფონში გამსვლელი კაცი არ არის. ეგეთი არაარაობის ნიშანი არავის დასმია შუბლზედ ისე უეჭველად და უცილობელად, როგორც ბ-ნს „ნარ-დონს“, მერე საკუთარის ხელითვე. ამ ვაჟბატონს თითქო ცთავაზება ჩვენი „живая газета“ და ეხლა ჰნახეთ ჩვენი ინტელიგენცია, რომელიც. „Новое Обозрение“-ს სიტყვით, აპილპილებულია „ნარ-დონზედ“ რუსთაველის გაუპატიურების გამო. რა სისულელემდეა ძირს დაშვებული, რა ბრიყვად გამოყვანილია. ამას შემდეგ წერილში ვიტყვით და ეხლა-კი ერთს კიდევ დავძენთ პირის ჩასატკბარუნებლად.

ჩვენი „წყაზარი გაზეთი“ გულმტკივნეულობით ამბობს, რომ ჩვენს დღევანდელ ჭირსა და ბოროტს რიგიანი კაცები არა ჰყავს გასაძღოლადაო და ამ კაცების უყოლობაში იმისთანა ძვირფას დროის და ღონის პატრონი, როგორც „ნარ-დონია“, როდი უნდა მოსცდეს რაღაც ძველ-ძულების ძონძებისთვისაო და თუ მაინც-და-მაინც მოსცდება, კიდევ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ისტორია საქართველოსი მიეტევება რომ გამოიძიოს და გამოარკვიოსო.

როგორ? სხვა საუკუნოები-და რათ უნდა მიგვაფუჩეჩებინონ, რაკი ჩვენის ისტორიის კვლევასა და გამოძიებაზეა საუბარი? ორში ერთი, ან ის სხვა საუკუნოები სულ არა ყოფილან, ან ყოფილან და ყოფნადაც არ ჰღირებულან, თორემ რა

სათქმელია, სამი ათასის წლის ისტორიაში მარტო ორის უკანასკნელის საუკუნის ავ-კარგიანობა გეპატიება რომ იკვლიო და იცოდეო? მერე ვის ეუბნება ამ პატიებას? ჯერ „ნარ-დონისა“, რომლის ძვირფასს დროს და ღონეს ეგრე შეჰნატრის „Новое Обозрение“, მერე ქართველთა ინტელიგენციას, რომელსაც ამით მითომ-და ჰკუას ასწავლის: ჰა, გაფრთხილდითო, იმაზე შორს ნუღარ გაიწევითო.

მაშ, ხელი უნდა ავიღოთ, რაღა, მთელს ორი-ათას-რვაას წლის ისტორიაზედ? ბატონმა შავროვმა რაღა ბევრი დააშავა, როცა სთქვა, რომ ბევრი ბევრი მეთერთმეტე საუკუნიდამ იწყება თქვენი ისტორიაო, და თუ გინდათ თქვენის ვინაობის ამბავი, აქედამ დაიწყეთო, და ამ სახით ხელი აგვაღებინა მთელს წინა საუკუნოებზე, მაშინ ამ თქმისათვის ძალიან გამოეკიდა ჩვენი „წყაზარი და მალხაზი გაზეთი“ ბ-ნ შავროვს და ეხლა-კი თითონ იმასაც გვართმევს, რაც ბ-ნმა შავროვმა გვიწყალობა, და გვეუბნება: დასჯერდით მარტო ორს უკანასკნელ საუკუნესაო, აქედამ დაიწყეთ თქვენის ვინაობის ამბავიო, თითქოს ჩვენი ისტორია მართლა-და მარტო მეთვრამეტე საუკუნედამ იწყებოდეს. ბ-ნ შავროვის ოდენა შებრალება მაინც ჰქონოდა ჩვენი ამ ჩვენთვის თავდადებულს „живая газета“-ს!

ხოლო „Новое Обозрение“-ს სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ იგი ხელს გვაღებინებს სამუდამოდ კი არა, მარტო იმ დრომდე, ვიდრე ავტორი „Письма о Грузии“-სა ქადა-ნაზუქებს გამოგვიცხობდეს და ჩარდახებს დაგვიდგამდეს. თუ ამას ვუცადეთ, მალე კი მოვესწრობით, აი, ნამეტნავად თუ ღმერთი გაგვიწყრა და „ნარ-დონის“-თანა გაბრძნობილმა კაცებმა თავისი ძვირფასი დრო და არა ნაკლებ ძვირფასი ღონე ამაებს მოახმარეს „Новое Обозрние“-ს რჩევითა და წინამძღოლობით. აბა კუჭი მაშინ გაუძღება საქართველოს, აი! კიდევ ვიტყვით მესამედ: ნეტარ არიან მორწმუნენი და ამ ნეტართა შორის ერთიც „Новое Обозрение“ ყოფილა.

3

ჩვენ ვნახეთ, რომ „Новое Обозрение“-მ მარტო ორი დანაშაული უპოვა ავტორს „Письма о Грузии“-სას. ერთი ისა, რომ შეუდგა საძიებლად საქართველოს ძველს ისტორიას,

ესე იგი იმისთანა საქმეს, რომელიც ცარიელ კვერცხის ნაჭუჭადაც არა ჰღირს, და მეორე ის, რომ სცდებაო, ვითომც ქართველებს თავისი არა ჰქონიათ-რა მაშინ, როდესაც ამოდენი საუკუნოები უცხოვრიათო. პირუთვნელობამ „წყაზარის გაზეთისამ“ სხვა ვეღარა შეამჩნია-რა იმ სახელდაუდებელს ქადნიერებას უვიცობისას, რომლითაც „ნარ-დონმა“ წასთითხნა თავისი ნაწერები. ის ათასი სხვა უშვერობა, ის ათასი სხვა განგებ მოგონილი ტყუილები, განგებ თავდაყირა და უკუღმა გადაბრუნებული ამბები-კი „Новое Обозрение“-მ აპატია „ნარდონსა“ და წაუფუჩჩა. კაცი იტყვის: რაკი ამას შეეხო „Новое Обозрение“, როგორღა გამოეპარა ყოველივე ესაო? რატომ ამაების გამო კრინტიც არ დასძრაო? ხომ ამისათვის დასტამბული, გამოქვეყნებული საბუთი ხელთ მისცა თითონვე „ნარდონმაო“? სხვებრ რით ავხსნათ ეს ამოცანა, თუ არ იმით, რომ ჩვენი „წყაზარი გაზეთი“ არ იმეტებს არა ნაკლებ „წყაზარს“ ავტორს „Письма о Грузии“-სას.

ახლა ჰნახეთ, რა-რიგის გამომეტებით, რა-რიგ დაუზოგველად იგივ „Новое Обозрение“ მიწასთან ასწორებს ქართველთა ინტელიგენციას იმისთვის, რომ გაჰბედა და აუპილპილდა „ნარ-დონსა“ და ეომებაო მაშინ, როდესაც საომარი საგანი დახარჯულის ტყვია-წამლის ფასადაც არა ჰღირსო; აქ რა თქმა უნდა, „Новое Обозрение“ შემთხვევას არა ჰკარგავს ახაროს თავის მკითხველებს, რომ ქართველთა ინტელიგენცია ისე გონებამიხდილი და დახშულიაო, რომ „Письма о Грузии“-ს მეტი სალაპარაკო საგანი იმათს გონებას ვეღარ მოუპოვებია და მოუხერხებია სავარჯიშოდაო. ასეთი საბუთ-დადებული სჯა, ასეთი პირუთვნელობა დასაჯერი უნდა იყოს, თუ თქვენც იტყვით. პირუთვნელობას ვამბობთ იმიტომ, რომ უფროს-ერთი თანამშრომელი „Новое Обозрение“-სი ქართველთა ინტელიგენციას ეკუთვნის და, მაშასადამე, რასაც ქართველთა ინტელიგენციას უკიჟინებენ, ისიც თავის-თავს უნდა უკიჟინონ, რადგანაც აქ გამოუკლებლივ ლაპარაკია ყველაზე საერთოდ, მთელს ინტელიგენციაზედ. ან იქნება ჰგონიათ, რომ რაკი რუსულადა სწერენ, ჩვენგან გაიხიზნენ? სწორედ მოგახსენოთ, აქ არც პირუთვნელობაა და არც გახიზვნა. აქ მარტო ის არის, რომ ჩვენს გარდა ყველანი ჩიტირეკიები არიანო. ჩვენ „Письма о Грузии“-ს გარდა სხვა ბევრი საგანი გვაქვსო ჩვენის გო-

ნების სალესავად და გასაჩარხავადო. ვინ გაამტყუნებს, მართალნიც არიან. ეს ხომ კარგია და თქვენი მოსაწონებელი, ხოლო არ შეიძლება ერთი ეს ვიკითხოთ: ნუთუ მართლა ქართველთა ინტელიგენციას იმოდენად გამოჰლევია გონება, რომ მარტო „Письма о Грузии“-ს ცრუპენტელობით-ღა იკვებება? სად არის ამისი საბუთი?

ამ უსაბუთოდ გაბიაბრუებას ქართველთა ინტელიგენციისას არა ჰკმარობს „წყაზარი“ გაზეთი. ზედ სხვასაც უმატებს და აქ-კი საბუთიც მოჰყავს. იგი ამბობს, ვითომც ქართველთა ინტელიგენცია აუპალპალდა „ნარ-დონსა“ მარტო იმისათვის, რომ ამ ვაჟბატონმა შესწყმა რუსთაველს, ვითომ სხვისაგან გადმოეღოს თავისის „ვეფხის-ტყაოსნის“ ამბავი. ვსთქვათ რომ ასე იყოსო, — ამბობს სხვა საგნებზე გონებაგალესილი „Новое Обозрение“, — აქ წყრომას და რისხვას ინტელიგენციისას რა ადგილი აქვსო? ვის არ გადმოუღია, ვის არ გადმოუკეთებია სხვისაგან გაგონილი ან ამოკითხული ამბავიო? მარტო ამით არ ათავებს „Новое Обозрение“ თავისის სიბრძნის გულზედ მოწოლას და, თითქო ჰსურსო დაგვიმტკიცოს, რომ მართლა უჩარხავს თავისი გონება ბევრ სხვა მაღალ ფარდების საგნებზედაც. ჰოჰყოლია და ვეიქადაგებს: ან — ერთი ბისტია, ბან — ორიო. დიახ, ქართველთა ინტელიგენციის ჰკუის სასწავლებლად ყოვლად-მცოდნე „Новое Обозрение“-ს მაგალითები მოჰყავს მთელს სვეტ ნახევარზე იმისი თუ, — გეტე, შექსპირი და სხვა ბევრი სახელოვანი მწერალი ამასვე სჩადიოდნენო, ესე იგი ხშირად სხვის ამბავს გაღმოიღებდნენ და ამის გამო იმათს სახელოვანებას არავითარი ჩრდილი არ მისდგომია და მაინც მსოფლიო გენიოსებად ითვლებიანო.

საწყალი ჰკუა-უბადრუკი, გონება-გაუჩარხავი ქართველთა ინტელიგენცია! ეს ანბანიც არა სცოდნია, რომ არაფერი საძრახისია მწერლისათვის სხვისაგან ნათქვამი, ან გაგონილი ამბავი აიღოს და ამ ამბისაგან ისეთი რამ შეჰქმნას, რომ სახელი იდიდოს, თავი გამოიჩინოს. კიდევ კარგი, რომ ამ ინტელიგენციას გულშემატკივრად ჰყოლია „Новое Обозрение“, რომელსაც გეტეს, შექსპირის მაგალითები სცოდნია, თორემ შენი მტერი, ვილა აცოდინებდა ამ ძნელად საცოდნელსა. ხოლო ისკი არ არის კარგი, რომ ქართველთა ინტელიგენცია ყოველ ამის უცოდინარი ჰგონებია და ჰგონია ჩვენს გონებაფხიზელს რუ-

სულს გაზეთს. დღეს ამის უცოდინარი ხომ მეორე კლასის გიმნაზიელიც არ არის და რათ უნებებია „Новое Обозрение“-ს ასე დაქვეითება, ასე ძირს დაწევა, ასე სულელად გამოყვანა ჩვენის ინტელიგენციისა? ყოველთვის სამართლიან „Новое Обозрение“-ს არ შეიძლება არ შევნიშნოთ ეს ერთად-ერთი უსამართლობა, გასაკიცხად კი არა, შესაწყნარებლად, რადგანაც ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო.

ვინ იტყვის? ქართველთა ინტელიგენციას ბევრი რამ ეკიჟინება, მაგრამ არც ისეთი მჩვარში გასახვევია, რომ იმისი არცოდნა დაჰბრალდეს, რის ცოდნაც დღეს ბალღსაც კი ენაზე აკერია, და ამ არ-ცოდნას რომ სწამებს „Новое Обозрение“, იმ წმინდა გრძნობას სამართლიანობისას რაღა პასუხს აძლევს? მაგისი თითონ „Новое Обозрение“-მ იცის და ჩვენ კი ამას მოგვკითხვენ: საიდამ გამოიყვანეთ, რომ „Новое обозрение“ მაგას სწამებს ჩვენს ინტელიგენციასაო? იქიდამ, რომ ჩვენი მართლმოყვარე გაზეთი არწმუნებს თავის მკითხველებს, ვითომც ჩვენი ინტელიგენცია მარტო იმაზე უწყრებოდეს ავტორს „Северный Вестник“-ის წერილებისას, რომ — როგორ გაჰბედა და რუსთაველზე სთქვა, სხვისგან მოიღო თავის პოემის ამბავიო. ვითომ ჩვენი ინტელიგენცია მარტო ამაზედ იმღვრევდეს გულს, რომ:

„Как смел нечестивый автор статей „Северного Вестника“ утверждать, что Шота Руставели „заимствовал“ свое произведение у персидских поэтов“.

ამის თქმა რის მომასწავებელია, თუ არ იმისი, რომ ჩვენს ინტელიგენციას არა სცოდნია არაფერი იმისი თუ, აქ საძრახისი არა არის-რა. არა სცოდნია ის ანბანი, რომ შესაძლოა კაცმა სხვის ამბავზე ისეთი თხზულება ააგოს, რომელიც მთელს ქვეყანას შემოირბენს ქებითა და დიდებითა. ამაზე მეტი გაბიაბრუება-ღა იქნება, რომ კაცმა ცოტად თუ ბევრად ნასწავლს კაცს უთხრას, ეს ანბანი შენ არ გაგეგებაო. ჩვენი გულშემატკივარი „Новое Обсзрение“-ც ჰგრძნობს, რომ ეს უანბანობა, ამის არ-ცოდნა, მეტის-მეტი ჯკუა-მოკლეობა, მეტის-მეტი სამარცხვინოა ჯერ ინტელიგენციისთვის და მერე თვით ქართველთა საზოგადოებისთვის, ჰგრძნობს და ჩვენის სიბრალულით, ჩვენის მეტის-მეტ სიყვარულით ამას გულ-ამოსკვნით და მწუხარებით იძახის:

„Что нас особенно печалить во всем этом деле, это отношение грузинской интеллигенции и публики к подобным ошибкам и несообразностям".

კაი ნუგეშია განა კაცმა კაცს უთხრას: უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში ჰყოფილხარ და ანბანიც არ გისწავლია; ღმერთი — რჯული, გულითა ვწუხვარ, რომ ამისთანა სულელი და ბრიყვი ხარო. ეს „გულით-წუხილი" როგორი საქებარია მწუხარესათვის და როგორი საამურია ჭირისუფლისათვის—ეგ კი ალარ ვიცით.

თუნდ ეგეც არ იყოს, გაჭირვებულებულმა „ნარ-დონმა" განა მარტო ისა სთქვა რუსთაველზედ, რომ თავისის პოემის ამბავი მოჰპარა სპარსელებსა, ან იმათგან გადმოიღოო, და თუ სთქვა — განა რითიმე დაასაბუთა, განა რაიმე ხელთ მოგვცა ამისათვის, გარდა იმისა, რომ სპარსელების ამბებსაც სავნად სიყვარული აქვთ და ვეფხის-ტყაოსანსაცაო. ეგ ხომ იმასა ჰგავს, კაცმა სთქვას, ივანე პეტრესა ჰგავს მარტო იმიტომ, რომ ერთსაც ცხვირი აქვს და მეორესაცაო. განა პირუთვნელს მჩხრეკელს „ნარ-დონის" პირგახეულ ტყუილებისას მარტო ეს უნდა ეთქვა და სხვა არაფერი? „ნარ-დონმა" რუსთაველი განა მარტო ამით ამოსვარა ლაფში, განა მარტო ამის გამო შესვა ვირზედ?

განა აშკარა არ არის, რომ „ნარ-დონმა" განგებ თვალებში ნაცარი ჩაიყარა, განგებ ყურებში თითი დაიცო, რომ არა დაიხახოს-რა, არა გაიგონოს-რა რუსთაველის სიკეთისა და უებარ ბრწყინვალებისა? განა ვეფხის-ტყაოსანზე კაცმა მარტო ის უნდა სთქვას, რომ რაკი საქართველოს მთელი ექვსი საუკუნე ეს წიგნი სიყვარულით ხელში სჭერია, მისი სიტყვები ანდაზებად გაუხდია, გაუზეპირებია, რაკი მისი სენტენციები საფუძვლად დასდებია ქართველთა ზნეობას, რაკი ყოველივე ეს ასე მიუღია ქართველობას, იგი წიგნი დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს ამ ერის ავ-კარგიანობის გამოსარკვევად და სხვა მისი მხარენი-კი უკან დაყენებულ და გაბათილებულ უნდა იქმნან ჭკუადამჯდარ მკვლევარისა და კრიტიკოსის თვალშიო? განა მარტო ეს უნდა ეთქვა „Новое Обозрение"-ს სარჩლად რუსთაველისა? ნუთუ ვეფხის-ტყაოსანი მარტო დოკუმენტია, მარტო მშრალი პროტოკოლია და სხვა არარა? ამით ხომ „Новое Обозрение" უფრო „ნარ-დონს" ჰმოწმობს, ვიდრე ამტყუნებს. მარ-

თლა-კი ეგრეა? აბა ერთი გულზედ ხელი დაიდოს კაცმა და ესა ჰკითხოს თავის-თავსა.

ან ვსთქვათ, საქართველო ესე მოექცა და ეჭცევა თავის საყვარელ ვეფხის-ტყაოსანს, განა არ შეიძლება საქართველო მოტყუებული იყოს ამაში და ის მოსწონდეს, რაც მოსაწონი არ არის თავის-თავად? განა ცოტა მაგალითებია მსოფლიო ისტორიაში, რომ „ხელი-ხელ საგოგმანებლად“ გაეხადნოთ უშვერი და ულაზათო რამ? განა თვით „ნარ-დონი“ არა ჰყვირის თავის ჩხავანა ხმითა, რომ ეგ საქართველოს მიერ მოწონება ვეფხის-ტყაოსნისა ბევრს არას ნიშნავსო და არაფრის საბუთიაო? ნუთუ ვეფხის-ტყაოსანს სხვა არავითარი ღირსება არა აქვს-რა, გარდა იმისა, რომ ქართველებს მოსწონს? ეს ხომ სხვის მოწონებით მოწონებული გამოდის და თითონ „Новое Обозрение“-ღა რატომ არას გვეუბნება, არის რამე თავის-თავად საქებ-სადიდებელი ვეფხის-ტყაოსანში, არის რამე თავის-თავად სასახელო რუსთაველისა, თუ მართლა იმისთანა უშვერია, რომ მის მომწონს ეგ მოწონება სირცხვილად უფრო ჩაეთვლება, ვიდრე ქებად? აქ საქმე იმაზეა მიშდგარი, რომ „ნარ-დონი“ სწორედ ამისთანა უშვერობას სწამებს ვეფხის-ტყაოსანსა, — „Новое Обозрение“-ს ამაზე უნდა ეთქვა თავისი „ჰო“ თუ „არა“ და არ ამოჰფარებოდა სხვის კალთასა, სხვის მოწონებას.

ამასაც თავი დავანებოთ, თავი დავანებოთ, რომ ჩვენს „წყაზარს გაზეთს“ მისებურმა ვაჟკაცობამ მთელს ამ ისტორიაში უმტყუნა და დანასავით ყელში მობჯენილ ჰოსა და არაზე თავს გაუფრთხილდა და არა სთქვა-რა. ჩვენ გვიკვირს, რატომ ესე არა ჰფრთხილობს, როცა „ნარ-დონზე“-კი არა, ქართველთა ინტელიგენციასა და საზოგადოებაზე ჰლაპარაკობს და სწამებს იმისთანა სისულელეს, ვითომც ერთიც და მეორეც იმიტომ უწყრებოდეს „ნარ-დონსა“, რომ რუსთაველს შესწამა სპარსელ პოეტებისაგან აიღო ვეფხის-ტყაოსნის ამბავიო. მარტო ამ რუსულ გაზეთის მკითხველს სასაცილოდაც არ ეყოფა ასეთი ტვინთხელობა, ასეთი სულელობა ქართველებისა საერთოდ და მის ინტელიგენციისა საკუთრივ. მართლა-კი ამისთვის აუპილპილდა, ამისთვის გაუწბილდა ავტორს „Письма о Грузии“-სას ქართველობა და ქართველთა ინტელიგენცია?! განა სხვა უფრო ჭკვათ-მისაღები, უფრო პატივსადები

მიზეზი არ მისცა ერთსაცა და მეორესაც „Новое Обозрение"-საგან ეგრე სათუთად შეწყნარებულმა „ნარ-დონმა". აქ განა საქმე არ არის იმაში, რომ „Письма о Грузии"-სა თავიდამ ბოლომდე ერთი გაპტყელებული და უშვერი ტყუილია, მარტო ძაგებისთვის შეთითხნილი, ჭირვეულობის და ყოველად უაზრობისა და უვიცობისაგან და თავგასულ მამლაყინწაობისაგან ურცხვად გატრაბახებული? ტყუილი ხომ, თუნდ საქებარად მოგონილი, მაინც საზიზღია და საწბილო. აი, თუ მართლა გული ემღვრევა ქართველთა ინტელიგენციას „Письма о Грузии"-ს გამო, სად უნდა მოიძებნოს ამისი მიზეზი, და არა ქართველთა ინტელიგენციის ჭკუა-დახშულობასა და გონებამიხდილობაში.

რათ გასწირა „Новое Обозрение"-მ ასე უწყალოდ ქართველობა და ქართველთა ინტელიგენცია? რათ მოექცა ასე უსამართლოდ, ასე უსაბუთოდ ერთსაცა და მეორესაც? რომელმა ქართველმა და რომელმა მონაწილემ ინტელიგენციისამ წამოროშა იმისთანა სულელობა, რასაც „Новое Обозрение" სწამებს? სად და როდის წამოროშა, არ შეიძლება გვიჩვენოს?! იქნება გვითხრან, ჩვენის ყურით გაგვიგია ბულვარის აკადემიკოსებისაგანო, და განა საკადრისია სალიტერატურო ორგანოსათვის ბულვარის სულელობა აიღოს და თავზე მოახვიოს მთელს ინტელიგენციას, მთელს ქართველთა საზოგადოებას და ამისათვის სამარცხვინო ბოძზე გააკრას ერთიცა და მეორეც! თითონ „Новое Обозрение" ჰგრძნობს, რომ აქ ინტელიგენცია და ქართველთა საზოგადოებაც სამარცხვინო ბოძზეა მისგან გაკრული და ამიტომ თუ ამბობს გულითადის მწუხარებით:

„Не больно-ли видеть это?"...

ვსთქვათ, რომ „больно" და თქვე დალოცვილებო, რაზედ გაიჭირეთ საქმე? ხომ თქვენვე სჭრით და თქვენვე ჰკერავთ, ვისი რა ბრალია!

[1889 წ.]

ქველი საქართველოს ისტორიული წყობის შესახებ

ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში.

ერთი სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა.

ამის გამო არც ერთი უეჭველი საბუთი არ უდევს სარჩულად არც ერთს ისტორიულს ფაქტს ჩვენის ხალხის ცხოვრებისას.

თუმცა ასეა, მაგრამ არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია.

უეჭველია, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და გაუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად.

საქართველო დღე-და-ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდამ მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.

ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკ-

ვირველი ეს არის — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო — და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?

ყოველს ამ საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეგვიწყობს. ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და წომავალსაც გზას გაუნათებდა. ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით გაზეთის მოკლე წერილში. სწორედ მოგახსენოთ, ამისათვის არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო. ხოლო ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ვგონებთ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრი მკითხველსაც განვუზიაროთ.

ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულდედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდე-

ბოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე.

სიფრთხილე რაში უნდა აღმოჩენილიყო?

ჩვენს ეკონომიურს წყობაში ორ-გვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე — საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო: მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწის-მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა — მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა.

აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად. ასე რომ ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და ღღესაც აქაბომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო.

ბოლოს-და-ბოლოს ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიური წყობისასა ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც. არიან ეხლა იმისთანა კომლეულნი გლეხ-

შორის, რომელთაც დაუპყრიათ სოფლის მამულები ათის, ორასის დღისა, და რომელთაც თავისი ხიზნები ჰყავთ, ყმებზედ უარესად შეწუხებულნი. არიან იმისთანა სოფლებიცა, ოთხი-ხუთი კომლია, და ხუთას-ექვსასი დღის სამსოფლო მამულები აქვთ, მაშინ როდესაც მათ გვერდით სხვა სოფელია, საცა მიწა ენატრებათ და არ იციან ვიწროობისა გამო, რა ქნან და საით წავიდნენ.

[1880 წ.]

დავით აღმაშენებელი

(დავით აღმაშენებელის მოსახსენებელი დღისათვის — 26 იანვრისათვის)

არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის.

უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და ღედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი — საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვანობა ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის

დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდენ, თუ გარეშეების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომჭმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანსასცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო,—ამბობს ბრძენი სენეკა, — იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო".

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია. ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებელის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსე-

ბის თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-ღა დიდ-ბუნებოვანობა მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა-სცემდა! ჩვენს მატიანეებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მემატიანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას.

სომეხი მ ა თ ე ე დ ე ს ე ლ ი ამბობს:

„დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული, დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორი (გორი), სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგეშის ცემა და შვება“.

ვ ა რ დ ა ნ დ ი დ ი სწერს:

„დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა: იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

ეგ კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი ასე ეჭცეოდა სომხებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანები იყვნენ და არიან. დიდ-ბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მიეფინათ, და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მისის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად.— მაჰმადიანთა მწერალი ა ლ-ა ი ნ ი ასა სწერს:

„დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. და-

ვითი თავის შვილის დიმიტრითურთ ყოველ-დღე დადიოდა უმთავრესს მეჩითში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატევებას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსა-სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი"*.

ყოველივე ეს დიდსულოვანობა და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას ალარ ვამბობთ, რომ სნეულთა, უღონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი ეს დიდებული მეფე — რა დიდებულ კაცურ-კაცის საზესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებული ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო,—ამბობს ჩვენი ერი,—ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფეს: აქ აღმაშენებელის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა — წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

(1888 წ.)

---

* როგორც ეს ციტატა, ისეც ზემოყვანილნი, ბ-ნ დ. ბაქრაძის შენიშვნიდან არის ამოღებული.

ლუარსაბ წამებული

(ლუარსაბ წამებულის მოსახსენებელი დღისათვის — 21 ივნისისათვის)

21-ს ივნისს საქართველოს ეკლესია ადიდებს სახელს მეფის ლუარსაბისას, რომელიც ამ დღეს ეწამა შაჰ-აბაზისაგან. ლუარსაბ II მეფე ქართლისა იყო შვილი მეფის გიორგი მე-V-ისა და ლიპარტიანთა ასულისა მარიამისა. ლუარსაბი ავიდა ქართლის სამეფო ტახტზედ მამის გარდაცვალების შემდეგ და სცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

მის დროს იყო იგი სახელოვანი დიდი მოურავი გიორგი საააკაძე, რომლის მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენთა ისტორიკოსთაგან, და რომელიც, იყო რა უხვად შემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებითა, დღეს-აქამომდე არც ავად არის ჩვენ მიერ დაფასებული და არც კარგად. მისი ავ-კარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი, — ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა. ეს კი გულდაჯერებით საღიარებელია, რომ მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირველი და გასაოცებელი. ამ ლუარსაბის დროსვე იყო ერთი სხვა გამოჩენილი კაციც, ნუგზარ არაგვის ერისთავი, სიმამრი საააკაძისა, რომლის სახელიც დღევანდლამდე სახსოვრად ჩარჩენია გულში საქართველოს ერს. ჩვენი ერი დღესაც ნუგზარს იხსენიებს ამ საგულისხმიერო ლექსით:

„ნუგზარ ერისთვის დრისაო,
სისხლის წვიმების დროსაო“.

დიდ მოურავს საააკაძეს, როგორც ერთს უპირველესს კაცს იმ დროში, დიდი გავლენა და ზედმოქმედება ჰქონდა მეფის ლუარსაბის სვე-ბედზედ და თვით მთელ საქართველოზედაც. ჯერ გსთქვათ ის, რომ დაი საააკაძის ცოლად შეირთო ლუარსაბ მეფემ. აზნაურშვილის მოყვრობამ, და ნამეტნავად აზნაურშვილის ქალის გადედოფლებამ, გული აუმღვრია მაშინდელ დიდებულებს, რომელთაც ითაკილეს აზნაურის ქალის დედოფლობა და ბატონობა. იქნება ყოველივე უბედურება,

რაც მერე ლუარსაბ მეფეს დაატყდა, ამ მისებითაც შეეძხვია. დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მბნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალ-ბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავზნეობისა ბევრს მეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ-ბუნებიანობა. ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ამ სახელოვანს დიდ მოურავსა მრავალი მტერი აუჩნდა. მტერთა შორის ყველაზედ გავლენიანი და ძლიერი შადიმან ბარათაშვილი იყო, მამამძუძე ლუარსაბ მეფისა. ამან დაიყოლია მეფე და აათვალწუნებინა იმისთანა კაცი, როგორიც იყო დიდი მოურავი, გადაჰკიდა მეფე დიდ მოურავსა, და დიდი მოურავი იძულებულ შეიქმნა შეჰკედლებოდა შაჰ-აბაზსა, რომელსაც ცოლად ჰყვანდა დაი ლუარსაბ მეფისა. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ბრალსა სდებს დიდ მოურავსა, რომ იგი „აზრახებდა ყეენსა დაპყრობად ქართლისადა“.

ესე იყო თუ არა, ყეენი შაჰ-აბაზი მოვიდა განჯას და დაბინავდა უგრძნეულად შესვლა კახეთს. კახეთის მეფემ თეიმურაზმა მოიწვია საშველად ქართლის მეფე ლუარსაბი, შეჰკრეს ამ ორმა მეფემ პირობა, რომ წინააღუდგნენ შაჰ-აბაზსა და ამ პირობისამებ მეფე თეიმურაზი მოვიდა ლუარსაბთან მუხრანს, რადგანაც ამ დროს შაჰ-აბაზიც კახეთიდამ ქართლს წამოვიდა. მეფეებმა თუმცა მოიწადინეს ომისათვის მიენდოთ თავისი სვე-ბედი, მაგრამ რა იხილეს დიდი სპა და ჯარი ყეენისა, ომი ვეღარ გაუბედეს და გაიხიზნეს იმერეთს. იმერეთის მეფემ გიორგიმ დიდის პატივით მიიღო ორივენი. შაჰ-აბაზი შევიდა გორს და აქედამ სთხოვა გიორგი მეფეს, დამითმე მეფენიო. გიორგიმ უარი შეუთვალა. ყეენმა რომ ნახა, ძალით ალარ გაეწყობა-რა, ხერხი იხმარა. მოიხმო მამა-მძუძე ლუარსაბ მეფისა შადიმან ბარათაშვილი, შეჰფიცა, ოღონდ ლუარსაბი მომიყვანეო, და არამც თუ თავის სამეფოს მივცემო, სხვას ბევრს ნიჭსაც არ დავიშურებო. გამოისტუმრა შადიმან, საჩუქრად გამოატანა ლუარსაბისათვის ძვირფასად მოჭედილი ხმალი და თანაც ბარათი ლუარსაბის დისა, მოდი, ნურაფრის შიში გაქვსო.

შადიმანმა დაარწმუნა მეფე, რომ ყველი ბოროტს არას შეგაშთხვევსო და მეფე მოემზადა წასასვლელად. ბევრი ურჩიეს წარჩინებულთა და დიდებულთა, ნუ მიენდობი ყველსა და ნუ წახვალო, მაგრამ მეფემ ასე უპასუხა: „უკეთუ არა წავიდე, ამიყრის ქვეყანასა და მოაოხრებს, რა მადლი არს ჩემდა“. მისული მეფე შაჰ-აბაზმა ჯერ ჩაიტყუა ტფილისს, მერე ყარაიაზედ, ვითომც და სანადიროდ, სანადიროდვე გაიწვია ყარაბაღს, ყარაბაღიდან მაზანდარანს, და აქ მაზანდარანში-კი გამოუცხადა, უნდა უარჰყოო რჯული ქრისტესი და გამაჰმადიანდეო. თუ ამას იქმო „დიდითა პატივითა პატივ-გცე და მრავლითა დიდებითა განგიტეო ქვეყანად შენდაო“. ლუარსაბ მეფემ შორს დაიჭირა და უპასუხა: „უკეთუ ყოველი ქვეყანთ ჩემდა იყოს, არა თავს ვიდვა სიტყვათა და ქადაგებათა შენთა მორჩილებაი, არამედ მეუფისა და ღვთისა მიერ ჩემისა ნათელ-მიღებიეს, და მის მიმართ დამიძს სასოება ჩემი და თვინიერ მისა სხვა ღმერთი არავინ ვიცი“.

ამის შემდეგ ხელ-ფეხ-შეკრული მეფე წაიყვანეს და დაამწყვდიეს ციხეში, შვიდი წელიწადი ჰყვანდათ ასე და ცდილობდნენ გაემაჰმადიანებინათ, მაგრამ მეფე „ესრეთ მტკიცედ და შეურყეველად ჰდგა, ვითარცა კლდე ანდამატი, და ესრეთ იხილვებოდა მშვენიერი და ბრწყინვალე პირი მისი — ვითარცა ოქრო გამოდნობილი ბრძმედსა შინა, და განკვირვებულ იყვნენ სიმხნისა და ახოვნებისა მისისათვის“. ბევრს ურჩევდნენ მეფეს შეებრალა თავისი მშვენიერება და სიჭაბუკე, და მწარითა სიკვდილითა არ მომკვდარიყო შაჰ-აბაზის უწყალო ხელითა, მაგრამ მეფემ არ უღალატა თავისის ქვეყნისა და ერის რჯულსა და არ შეუდრკა სიკვდილსა. „რა გნებავთ ყოფად ჩემდა, ჰყავთ, — ეუბნებოდა თურმე შაჰ-აბაზის მოციქულთა — და აღასრულეთ ბრძანებაი მისიო“. რა ნახა შაჰ-აბაზმა ასეთი სიმტკიცე ლუარსაბ მეფისა და ვეღარა გააწყორა, ბრძანა სიკვდილი ლუარსაბისა. როცა მივიდნენ ჯალათნი ამის ასასრულებლად, მეფემ ითხოვა, მაცალეთ, სიკვდილის წინ ვილოცოო. ნება მისცეს. დაისვენა თურმე წინ ხატი ღვთისმშობლისა, რომელიცა თანა ჰქონდა, და ესე შეევედრა: „ჰოი დედოფალო ღვთის-მშობელო, შენდამი დამიძს სასოება ჩემი, შენ ხარ ნუგეშის-მცემელი ჩემი. შენ მომეც შეწევნა წამებისა ჩემისა ამის, და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა

თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულსა".

ამის შემდეგ მივიდნენ ჯალათნი და დაარჩევეს მშვილდის საბლითა. ეს იყო 1622 წელს, ივნისის 21-სა დღესა. გვამი ესრეთ ქვეყნისა და რჯულისათვის წამებულის მეფისა ჰმარხია შირაზს.

მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთბელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად ულირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე. ამიტომაც მეტად არა ვსთვლით, რომ დღეს ერთი საქართველოს გმირთაგანი გავიხსენეთ, იგი გმირი, რომელმაც სთქვა: რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, — წავიდა და წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა. და დღეს ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა გარდა იმისა, რომ ბესარიონ კათოლიკოზთან ერთად ქება-დიდებით წარმოვსთქვათ:

„ყოფადთა მცნობი, ბრძენი და ახოვანი
მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდენ".

[1886 წ.]

საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი

(ძველ-ქართულ ხელნაწერთა და სიგელ-გუჯართა აღწერის საჭიროებაზე)

ვინ არ იცის, რომ ჩვენს მონასტრებსა და ძველის-ძველს ეკლესიებში მრავალი საისტორიო განძი მოინახება, რომ გული გულობდეს. ჩვენი ისტორია, ჯერ კრიტიკის ცეცხლში არგატარებული და არ-გადახალისებული, ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, მრავლის ბნელის ადგილების შუქმოსაფენად. რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განვლილის ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ აჩნევია ჩვენთა მამა-პაპათა ხელთნაქმართა და

ჩქუით ნამოქმედარნი. ეხლა ყოველივე ეს თვალთაგან მიფარებულია და დამარხულია მონასტერთა და ეკლესიების კუდელთა შორის და ანუ მონასტრისა და ეკლესიების სალაროში. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, ყოველ ეჭვ-გარეთ უნდა იყოს, რომ მონასტერთა და ეკლესიების სალაროში მრავალი წიგნი კიდევ მოიპოვება. ჯერ მარტო დავით-გარეჯის მონასტერში ასზედ მეტი წიგნი აღმოჩენილა და მათ შორის ზოგი იმისთანაა თავისი სიძველით, რომ ფასდაუდებელია. რამდენი სხვა ამისთანა მონასტერია ჩვენს ქვეყანაში და რამდენი წიგნი უნდა აღმოჩნდეს ამ მონასტრებში, ვინ მოსთვლის.

კარგი იქნებოდა და დიდს ღვაწლს გაუწევდნენ ჩვენს ძველ ლიტერატურის ისტორიას ცალკე და ცხოვრებისას საერთოდ, რომ ამ ძვირფასის განძის სიები, კატალოგები შესდგეს, თვითოეულად აღნუსხულ იქმნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედწარწერანი აქვს და მებრვე სხვა. რასაკვირველია, ეს შეუძლიანთ ღირსეულად შეასრულონ მარტო მათ, ვისაც ხელი მიუწვდებათ, ვინც ახლო უდგანან ამისთანა განძსა. ჩვენი ბერ-მონაზონები და სამღვდელონი, რომელთაც აბარიათ სალარონი მონასტრებისა და ეკლესიებისა, დიდს ვალს დასდებენ ჩვენს ქვეყანასა, რომ ამ საჭიროებას ყურადღება მიაქციონ, და რაც მათდამი მინდობილს სალაროში წიგნებია, იმის სია ანუ კატალოგი შეადგინონ, როგორც ვსთქვით, და რომელსამე გაზეთში დაჰბეჭდონ გამოსაქვეყნებლად. გვერწმუნონ, რომ ეს დიდი და სასახელო საქმეა, დიდს და სასახელო სამსახურს გაუწევენ ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც: ამ სიების შემადგენელთა სახელი ყოველთვის მადლობით მოიხსენიება შთამომავლობის მიერ.

არა ნაკლებ საქებნი და სადიდებელნი იქმნებიან ერის-კაცნიც, რომელნიც არ დაიზარებენ და გამოაქვეყნებენ, სად და ვისთან ეგულებათ ქართული ხელნაწერი წიგნები, გუჯრები, სიგელები, და თუ ხელი მიუწვდებათ, ყოველ ამის სიას შეადგენენ და გადასცემენ რომელსამე გაზეთს დასაბეჭდად. ვიმეორებთ, ეს ამისთანა შრომა სრული არ იქნება, თუ გულმოდგინებით გამოძიებული არ იქნა და სიაში მოხსენებული თვითოეული წიგნი, გუჯარი და სიგელი იმ მხრით, თუ რა წიგნია, რა გუჯარი, რა სიგელი, ვისგან არის დაწერილი, შედგე-

ნილი, თუ მიცემული, რა დროს ეკუთვნის, რა ზედწარწერანი აქვს და არის რამ შესანიშნავი მის გარეგნობაში თუ არა.

ნუ ვინ იფიქრებს, რომ ეს ამისთანა შრომა დიდის მადლობის ღირსი არ იყოს და დიდად საქებურიც მისთვის, ვინც თავის სასახელოდ ამას იკისრებს და გულმოდგინებით შეასრულებს. დაგვიჯერეთ, ეგ დიდი საქმეა და დიდი სამსახურია ჩვენის ქვეყნის წინაშე.

ჩვენი გაზეთი ყოველთვის მზად იქნება დაბეჭდოს ყოველივე, რასაც ამ საგანზედ ვინმე მოაწვდის რასმე.

ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ

ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსების შეკრება და ბეჭდვაა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში. სამწუხაროდ, როგორც თითქმის ყოველთვის და ყველაფერში, სახალხო სიტყვიერების ნაწარმოების შეკრების შესახებაც ცალკერძი გატაცება ეტყობა ჩვენს საზოგადოებას. აქაო-და სახალხო პოეზიას დიდი მნიშვნელობა აქვსო ჩვენის მწერლობისათვის და მდაბიო ხალხის ესთეტიურის გემოვნებისა და აზროვნობის გასაცნობადაო, ხელი მოვკიდეთ მარტო ამ პოეზიის შეკრებას და სხვა საგნები-კი ხალხის ნაწარმოებისა სრულიად დავიწყებული გვაქვს. მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფერას. ამ გვარია, მაგალითებთ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას.

ყველას, ვისაც კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთ შორის

ალებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა — სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება. ჯერ ეხლაც, ხალხმა დაწერილის კანონისა არა იცის-რა და სასოფლო სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს. მართალიც არის, მდაბიო ხალხის ეკონომიური და იურიდიული ცხოვრება ჯერ-ჯერობით ისე ვიწროთ და მკვიდრად შემოფარგლული წრეა, რომელსაც მაგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევს და ვერ შეუვა. ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს — რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერა ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულობას სამართალზედ, ერთურთს დამოკიდებულებაზედ და სხვა.

სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერსა სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება: სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ — რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი.

როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ჩვენმა ინტელიგენციამ ხელი მოჰკიდა მარტოდ-მარტო სახალხო პოეზიის შეკრებას. ეს საკმაო არ არის. არა თუ საკმაო, იქნება ბევრჯერ მავნებელიც იყოს და ხალხის ცხოვრების შესახებ შეცდომაში შეგვიყვანოს ამ პოეზიამ. რისთვის, როგორ? — გვკითხავს განცვიფრებული მკითხველი. აი რისთვის და როგორ: პოეზია, და მეტადრე სახალხო პოეზია, თქვენც მოგეხსენებათ, უფრო ფანტა-

ზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრე-რიგად არ ეწყობა და არ ეპორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას. ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნეობაზედ არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და მის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდამ აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულობის გარდა ხალხის სხვა შეხედულობას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ, და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყველა-გვარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება. ჩვენი დედააზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ. ჩვენ ამ-ჟამად დავახასიათებთ ნაწარმოები ორის სფეროდამ — ეკონომიურის და იურიდიულის ცხოვრებიდამ. ეს იმიტომ, რომ ერთისა და მეორისაც შეკრება და შესწავლა ყველასათვის საადვილო საქმეა და უფრო ბეჯითობას და დაკვირვებას მოხოულობს, ვიდრე სპეციალურს ცოდნასა და მომზადებას. ვინც ცოტაოდნად ნასწავლია და ხალხში ტრიალებს, ცხოვრობს, თვალყურს ადევნებს იმის ეკონომიურს და იურიდიულს ჩვეულებებს, ის ადვილად შენიშნავს ამ ჩვეულებებში და იმათი ქაღალდზედ გადმოღება ხომ უფრო ადვილი საქმეა.

ერთის რომელისამე საგნის ამოჩემება, იმისი „მოდაჲ“ დაწესება და სხვა საგნების დავიწყება — კარგი არადროს არ ყოფილა და არც ჩვენთვის იქნება. სახალხო პოეზია კარგია, მაგრამ როცა მარტო იმისი შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება „მოდად“ ხდება, მაშინ საჭიროა, რომ სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს გახათლებულმა საზოგადოებამ.

საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად ხაკი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველივერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის. თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენთვის კი დრო არ არის?

[1887 წ.]

ერი და ისტორია

(დიმ. ბაქრაძის ნაშრომის გამო საქართველოს ისტორიაზე)

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დაშხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო— მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი.

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულებას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა-წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის —ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.

თუ ესეთი არა, ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ რომ, რა იყო —ის დავიწყებული

აქვს და, მაშასადამე, რა არის — არც ის იცის. არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად. იგი დიდება, იგი სახელი, რომელსაც ამისთანა ერი ჩაინარჩუნებს ხოლმე წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და საგალობელში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში, მართალია, ბევრს ანუგეშებს ხოლმე ჭირსა და ლხინში, მაგრამ, რაც დრო მიდის, ეგ ნუგეშიც, ისტორიის დავიწყებასთან ერთად, ნელდება და თანდათან ჰქრება, იმიტომ რომ სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩენილნი სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო, მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრადღა გარდაიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშიაც. ამის გამო ამ სახსოვრებში ის ცეცხლმოსაკიდებელი ძალ-ღონე აღარ არის, რომელიც კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც-კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამაო და ფუჭია ერის გამხნევებისათვის, ერის დღეგრძელობისათვის.

თუნდ ეგეც არ იყოს, შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.

ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის,

რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას.

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა — რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა, ვიმეორებთ, იმიტომ, რომ დავივიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია. ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავს-ბრუ-დახვეულ კაცივით და ვერა გამოგვიტანია რა. ეს უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი, უქმად წარხდომილი მხნეობა და ცდა, ჭანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელს ერს ხომ გული უტყდება, თავის-თავზე სასოება და იმედი ეკარგება, და აქედამ განა დიდი მანძილიაა სრულად განადგურებამდე!

გარდა ყოველ ამისა, ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, კეთა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, გულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ტრისებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს ეშედეგებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის ვა-

გალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.

დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირებს ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული. რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალ-წინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს.

ეს მრავალგვარი მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის კარგად იცოდნენ თავის ერის გულშემატკივარმა სხვა ქვეყნებში. იგი სახელოვანნი მამულისშვილნი, ყველაზედ უწინარეს, ერის გამოკეთებისათვის დავიწყებულის ისტორიის აღდგენას შეეცადნენ. გამოღვიძებამ ერისამ უგემურის ძილისაგან ყველგან აქედამ დაიწყო თავისი დასაწყისი, და ამ-გზით გამოფხიზლებულ ერის კეთილდღეობასა და ხელახლად აღორძინებას დღეს ბევრგან ჩვენის თვალით ვხედავთ.

ჩვენ გვწამს ესეთი სასწაულთმოქმედება ისტორიისა და ამიტომაც დიდის სიხარულით ვეგებებით იმ ამბავს, რომ ჩვენს დაუღალავ მოღვაწეს ბ-ნს დ. ბაქრაძეს განუზრახავს ჩვენის დავიწყებულის ისტორიის აღდგენა და გახსენება. „ივერიაში“ დაბეჭდილის პროგრამისაგან სჩანს, რომ ბ-ნ ბაქრაძეს სანატრელის სიდიდით შემოუფარგლავს თავისი საგანი ასე, რომ თუ პროგრამა შესრულდა, ჩვენ, ქართველებს, ხელთ გვექნება მთელი დიდი და ვრცელი სურათი ჩვენის აწ დავიწყებულის წარსულისა. ვისაც-კი გაეგება რამ, სიხარულით აღტაცებულნი მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როცა დაიბეჭდება ეს ისტორია, ვითარცა დიდს დღესასწაულს რასმე. მართალნიც არიან.

ზემოხსენებულისაგან ცხადად დაინახავს ჩვენი მკითხველი, თუ რა დიდსა და სახელოვან ღვაწლსა და სამსახურს სდებს

ბ-ნი ბაქრაძე ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანასა. კიდევ ვიტყვით, ღირსება ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან. ყოველ ამ დიდ სიკეთის მომნიჭებელი იქნება ჩვენი პატივცემული ბ-ნი ბაქრაძე, რომელსაც მადლობელი ერი და დავალებული ქვეყანა თავის-დღეში არ დაივიწყებს თვისთა საჭელოვანთა კაცთა შორის. ღმერთმა ისე კეთილად შეასრულებინოს ეს სასახელო განზრახვა, როგორც თვითონ ბ-ნ ბაქრაძეს და მისთა კეთილმყოფელთა ჰსურდეს და, სხვათა შორის, ჩვენცა.

[1868 წ.]

საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო

დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირობს სიონთან დააარსოს მუზეუმი შესანახავად და დასაცავად ძველთა საეკლესიო ნივთთა, რაც-კი აღმოჩნდება საქართველოს საექსარხოსოში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს განზრახვა დღეს უკვე შეუსრულებიათ და სიონის ჩრდილოეთით, სიონისავე ეზოში, დღეს წამოჭიმულია მაღალი შენობა მუზეუმისათვის, და წესდებაც საეკლესიო-საისტორიო მუზეუმისა უკვე დამტკიცებულია და გაზეთებშია გამოცხადებული.

ამ წესდებაში სხვათაშორის მოხსენებულია, რომ სასურველია ამ ძველთა ნაშთთა-საცავში მოგროვდეს როგორც გუჯრები, რაც კი დღეს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში და ეგზარხოსის ეპარხიაში მოიპოვება, ავრეთვე იგი გუჯრები, რაც კანტორას გადაუცია სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის თბილისსა თუ ქუთაისში. გარდა ყოველ ამისა, აქ, მუზეუმში უნდა შეიკრიბოს ყოველივე ძველი საეკლესიო ნივთი, რაც-კი სადმე აღმოჩნდება და სადამდინაც-კი მუზეუმის გამგებელთ ხელი მიუწვდებათ. აქ ჩვენ მთელს წესდებას არ მოვიხსენიებთ, რადგანაც ჩვენს გაზეთში ცალკე იბეჭდება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს.

ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფუჭებული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში, რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები და სხვა წერილები უადგილო-ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში იმდენი იკარგება, ჰფუჭდება და იღუპება. ეხლაკი, რაკი მუზეუმი არის, ყოველი ეს ერთს ადგილას თავს მოიყრის, და ვინ იცის, ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენის ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა, იმას აღარ ვიტყვით, რომ დღეის იქით შიგ ჩვენს დედა-ქალაქში შეიკრიბება ეგ ძველი ნაშთები, კაი ბინა ექნება, ყოველი ნივთი თუ ნაწერი, წესსა და რიგზედ გარიგებული და ამ გზით ყოველის მოწადინესათვის ადვილად ხელმისაწვდენი, და სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება.

თუ ამ მუზეუმის გამგებელთა საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინეს, არ გავა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ახლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქმნას, რომ სხვისი ყურადღებაც მოიზიდოს, როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეც ღირსებითა და გამოსადეგობითა. ჩვენი ქვეყანა სავსეა ყოველგვარის ძველის ნაშთითა, და თუ დღეს ამას არა ვხედავთ, იმისი ბრალია, რომ არ ვიცით, სად რა არის და ვის რა აქვს. ყოველი ეს ხომ შეძლებისამებრ ერთს ალაგს თბილისში მოგვიგროვდეს, როგორც აზრადა აქვს მუზეუმსა. მაშინ, იმედია, დავინახავთ, რა განძი დებულა ჩვენს ქვეყანაში უქმად და გამოუყენებლად.

„ყოვლად წმინდის ღვთის-შობლის ძმათა“ საბჭოს საეკლესიო-საარქეოლოგიო ნაწილი მუზეუმისა ჩაუბარებია იმისთანა კაცთათვის, რომელთა შორის უფროს-ერთნი ცნობილ არიან, ვითარცა მცოდნენი და მკვლევარნი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისა. ამისთანა კაცნი საკმაოდ თავმდებნი არიან, რომ ამ ახლად დაწყებულ საქმეს სათავეში კარგნი გამგებელნი ეყოლება და, მაშასადამე, იმედია თვით საქმის კეთილად დაწყებისა და განვრძობისა.

[1889 წ.]

ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა. ამ ახალ საუკუნეს ჯერ არა ეთქმის-რა, გარდა იმისა, რომ შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო. წარსულმა საუკუნემ, რომელმაც დღეს გზა და ტახტი თავისი დაუთმო ახალს საუკუნესა, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერობას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის.

ბეკონმა, ინგლისის ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ დღიდამ დღემდე განზე გადადგმულ იქმნას საზღვარი შეუძლებელისაო. ამ თვალით რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველებაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა — დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობით. მანძილი, რომელიც დღეს-აქამომდე იყო სხვადასხვა ქვეყნებ-შორის, რკინისგზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა თითქმის მოსპეს. დოსტაქრობამა და მკურნალობამ აქამდე მიაღწია, რომ ცოცხალ ადამიანის აგებულებაში თითქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარა არის-რა. დღეს ცოცხალ ადამიანის შიგნეულობას ისე ჰხედავენ, ისე ითვალისწინებენ, თითქო გარეთ გამოტანილი საგანიაო. ბევრს ჭირს, რომელიც დღეს-აქამომდე მუსრს ავლებდა ქვეყნიერობას, წამალი უპოვეს, და ლამის ის სიცოცხლის ელექსირიც-კი იპოვონ, რომელსაც ასე გულმოდგინებით ეძიებდა და ეძიებს ყოვლად-მძლევი გონება ადამიანისა. მეცნიერება უკვე წააწყდა სახსარს მოხუცებულობისაგან განახლებისათვის და, ვინ იცის, იქნება მალეც მოვესწრათ, რომ ამ გზაზედაც მეცნიერებამ თავისი სასწაულთმოქმედება გამოიჩინოს. ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ჭონებით, გონებით და ზნეობით. სიმდიდრემ გონები-

თმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია, რომ სიზმრადაც არ ზმანებიათ წინანდელ საუკუნეებს. ერთობ კაცობრიობის სიკეთემ აიწია, წეწვა-გლეჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტრულად მისვლამ — პირში ლაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა. ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვაალისამ, სხვას აღარ ვიტყვით, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისას.

ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწყო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად". ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენა არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა ღვისდა პატივის მოსახსენებლად.

ერთის სიტყვით, რასაც კი თქვენდა გარეშემო თვალს და ყურს მოჰკრავთ, ყველგან წარმატება და წინსვლაა. მართალია, შექსპირისა არ იყოს, ქვეყნიერობაში კიდევ ბევრი რამ არის, რომელიც სიზმრადაც არ მოზმანებიათ ეხლანდელ მეცნიერთ, მაგრამ რაც დღემდე იქმნა, ისიც დიდი ძლევამოსილობაა ადამიანის მჭრელის გონებისა, და აქ ღვაწლდადებული იგი საუ-

კუნება, რომელმაც გუშინ გზა დაულოცა ახალს საუკუნეს, ეხლა შენ იცი და შენმა ძალღონემაო.

კიდევ ვიტყვით: წარსულმა საუკუნემ თავისის მხრით, ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით.

[31 დეკემბერი, 1899 წ.]

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნაცვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში ამისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილასვე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვედინ, დღეო სიხარულისაო!..“ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და ვიგაახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს — ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ-კი ასეთნი?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაგუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც ვიცოცხლეთ და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით

გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდეგით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალთურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას!.. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაჩრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს—სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდარად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას როგორც მძოვრი, როგორც ლეში! რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით— იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ჭარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში

ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს „და სიტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიჭრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ველარავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნალარა. უბუკ-ნალაროდ სთესავს, უბუკ-ნალაროდ მკის. კოკისებურ, ზღაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოლაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისამებრ ნა-

ყოფის გამომცემელია". არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო,— იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ამთქმევინებთ. რა გლეხკაცი!.. თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღალადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღალადი? ვაი რომ არა!.. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან — და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო" და ამ გზუილიდამ არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

[1897 წ. 31 დეკემბერი]

ასიც წლის წინათ

(პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში)

11-ს იანვარს 1798 წელს თელავში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული სახელოვანი მეფე ერეკლე. საქართველოს სამეფო ტახტზედ ავიდა მისი უფროსი შვილი გიორგი. საქართველო, დამარცხებული აღა-მაჰმად-ხანისაგან მეფე ერეკლეს სიცოცხლეშივე, ჯერ კიდევ ვერ იყო გამობრუნებული. ტფილისი, ეს ჩვენი სატახტო დედა-ქალაქი, აკლებული და აოხრებული, ჯერ კიდევ რაღაც დარღვეულსა და დანგრეულს ქვეყანას წარმოადგენდა. ჯერ გამრთელებული არ იყო იგი საშინელი წყლული და ჭრილობა, რომელიც ეწვია ჩვენს ქვეყანას აღა-მაჰმად-ხანის უწყალო და შეუბრალებელ ხელითა. ჯერ კიდევ გამოგლოვებულნი არ იყვნენ დახოცილნი და გაჟლეტილნი დიდი თუ პატარა, ქალი თუ ვაჟი, სისხლის-მსმელ-სპარსთა ყეენისაგან.

დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა“, უფრო კარ-ღია შეექმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტრებს. ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი, ხმალამოღებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ. სპარსეთი უწყრებოდა საქართველოს, რატომ ჩემთან არ იჭერ საქმეს და ჩემს მფარველობაც ქვეშ არ ეძიებ შენს დღეგრძელობას და კეთილდღეობასაო. ამასვე უწყრებოდა ოსმალეთი და ახალციხიდამ მოსვენებას არ აძლევდა ქართლსა. ერთი სახელმწიფოც და მეორეც თავისთვის გამოელოდა საქართველოს. ერთსაც და მეორესაც ჰსურდათ საქართველო, თუ ხმლით არა, მფარველობის სახით მაინც ხელთ ეგდოთ, თავისი საკუთარი ჯარები შიგ ჩაეყენებინათ და მით მაგრა მოეკიდნათ აქ ფეხი. გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრებამდე მოაწია ჩრდილოეთის ჰხრით, ერთსაც თავზარსა სცემდა და მეორესაც. ფეხის შემოდგმა რუსეთისა საქართველოში და მათი აბრუს გატეხა და თითქმის დაქვეითება დასავლეთ და მცირე აზიაში — ერთი იყო.

როგორც სპარსეთმა, ისეც ოსმალეთმა კარგად იცოდა, რა

დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისთვის, ვინც ღასწრობს. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზედმოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში და სვე-ბედი აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შესახუთავად. გარდა ამისა, არც სპარსეთს უნდოდა, რომ საქართველოს დაჭერით ვინმე სხვა სახელმწიფო ახლო მოსვლოდა, არც ოსმალეთს, რადგანაც საქართველო ამ ორსავ სახელმწიფოს საზღვრად და გზად ედვა. თუმცა რუსეთისაგან შიშს ეს ორივ სახელმწიფო ერთად უნდა ემოქმედებინა, მაგრამ ასე არ მოუხდათ. სპარსეთს უნდოდა მარტოს სჭეროდა საქართველო, ჯერ ვითარცა კარი რუსეთიდამ აზიაში შემოსევისათვის დასაკეტი და-მერმე ვითარცა გზა ოსმალეთის შესალახველი. ამასვე ჰლამოდა ოსმალეთი და სპარსეთს არ ანებებდა საქართველოს დაჭერას, თვით სწყუროდა ეს კარი და გზა თითონ ჰქონებიყო და სპარსეთისათვის მუქარად ხელთა სჭეროდა. აზიაში ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ეცილებოდა პირველობასა და ბატონობას და ამიტომ ერთმანეთზე ალურსებული იყვნენ და ერთმანეთს შორს უდგნენ.

ეს ორ-მხრივული მტრობა საქართველოსათვის ახალი ამბავი არ იყო. თუმცა დიდი ხანია ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ამ აზრით ეტანებოდნენ ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ საქართველო, ასე თუ ისე, როგორც იყო, იგერიებდა ერთსაც და მეორესაც და არც ერთს არ ჰნებდებოდა. წინათ ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ბევრჯერ მიანგრ-მოანგრიეს, ჩამოათალეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული კი ვერ შეუნგრიეს. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმოდა და გულს კი არ იტეხდა. ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე. შეირჩინა რჯული, ენა, თავისიეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა. როცა გაძლიერებულმა რუსეთმა ფეხი მოაბჯინა ჩრდილო-კავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისაკენ მიიხედა და გული მიიბრუნა, მაშინ უფრო გაუმძვინვარდნენ მტრები და ნამეტნავად სპარსეთი. აღა-მაჰმად-ხანის მოსევა და თავდასხმა 1795 წელს — რუსეთთან საუბრის გამართვამ გამოიწვია და ოსმალოც ამ მიზეზმავე თავს წამოგვაყენა, და ერთიც და მეორეც, თუმცა ცალ-ცალკე-კი, უფრო მეტის მძვინვარებით მოგვისია.

გულკეთილი, მაგრამ სუსტი მეფე გიორგი როგორ გაუძლებდა ამისთანა გარემოებას და როგორ გაუძღვებოდა გაჭირვებულს სამეფოს, რომელიც აღა-მაჰმად-ხანის აოხრებისაგან ჯერ კიდევ არ გამობრუნებულიყო, არ გამორკვეულიყო და წყლული არ გამრთელებოდა. ამას დაურთეთ ის ამბავიც, რომ ლეკნიც-კი გაუთამამდნენ უღონოდ-ქმნილს მეფეს და, ახალციხის ფაშის წაქეზებით, ხან აქ იკლებდნენ ქვეყანას, ხან იქ. გარდა ამისა, შინ, მეფის სახლობაშიაც, ყველაფერი აწეწილი და აშლილი იყო. ცალკე ქვრივი დედოფალი დარეჯანი, ცალკე ძმები აეშალნენ, ყველანი თავის-თავისაკენ იწევდნენ და მეფეს ეურჩებოდნენ. სამეფო სვე-ბედი ხელში სათამაშოდ გაიხადეს და საწყალ მეფე გიორგის რა უნდა ექმნა ასეთს მდგომარეობაში: გარეთ მტრისათვის გაეცა პასუხი, თუ შინ გასძღოლოდა შუღლსა და ცილებას დედინაცვლისას და ძმებისას, ყოველ ამას შავი ჭირიც დაერთო და მთელი ქვეყანა შეაძრწუნა და სასოწარკვეთილებას მისცა. თვითოეული ზემოხსენებული უბედურება ცალკე საკმაო იყო, რომ მეფე და სამეფო განწირულებაში ჩაევარდნილიყო და სულ ერთად ხომ ზედმოსეული — ერთ დიდ და უძლეველ უბედურებად შეიქმნა.

იქნება მეფე გიორგი შინაურს არეულობასა და უბედურობას კიდევ როგორმე გასძღოლოდა, თუ გარედამ მტრის შიში მაინც არა ჰქონოდა. მაშინ აღა-მაჰმად-ხანი ცოცხალი აღარ იყო და მის მაგიერ სპარსეთის ტახტი დაიჭირა ბაბა-ხანმა. ბაბა-ხანი შუშისა და განჯის ხანებს ზედ-მისეოდა, მათის სახანოების დაპყრობა უნდოდა და მერე აპირობდა საქართველოს თავს დასხმოდა, ოსმალეთიც ახალციხიდამ იმუქრებოდა.

სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთის-მოსავმა და ღვთის-მოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც, მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან. ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად.

ძეფე გიორგიმ აღარ დააგვიანა საქმე, მას უკვე გაგზავნილი ჰყვანდა პეტერბურგში რწმუნებული მოციქული თ. გარსევან ჭავჭავაძე, რათა აუწყოს იმპერატორს პავლე პირველს თავისი სამეფო ტახტზე ასვლა და საქართველოში გამეფება. მეფე გიორგიმ 11-ს ოქტომბერს 1798 წელს ზედ მიადევნა თხოვნა იმპერატორ პავლესათვის მისართმევად. თითონ გარსევან ჭავჭავაძე წარსდგა იმპერატორის წინაშე და მოახსენა: „დიდო იმპერატორო, მფარველო და შემწეო ქართლ-კახეთის სამეფოთაო! მოგართმევ რა თხოვნას, მე, უერთგულესი ქვეშევრდომი თქვენის იმპერატორების დიდებულებისა, ღირს ვიქმენ ჩემთა მეფისა გიორგი ერეკლეს ძისაგან და ყოველთა მისსა სამფლობელო ერთაგან დაევმხო ფეხთა ქვეშე თქვენის იმპერატორების დიდებულებისა და ჩემდა მოვალეობისამებრ გავბედო გთხოვოთ — ბედნიერ ჰყოთ ხელმწიფე ჩემი და დაუმტკიცოთ მეფობა საქართველოსი, როგორც კანონიერ მემკვიდრესა. შეჰმოსოთ სამეფო ნიშნებითა და განაგრძოთ მისდა და მისთა ერთადმი თქვენი მოწყალება. მიიღეთ ეს ჩემ-მიერ მორთმეული თხოვნანი და ღირს ჰყავით თქვენის დიდებულის ყურადღებისა".

შემდეგ თ. გარსევან ჭავჭავაძეს მეფე გიორგიმ დაავალა წარუდგინოს იმპერატორს მეორე თხოვნაც შესახებ იმისა,—რომ მემკვიდრედ დაუმტკიცოს დავით ბატონიშვილი და შემდეგისათვისაც აღთქმულ იქმნას, რომ შთამომავალნი ჩემნი საუკუნოდ და შეურყევლად მეფობდნენ საქართველოში და არავინ სხვა არ ერეოდეს ჩემს შინაურ საქმეთა განკარგულებაში, და როგორც ჩემთა თავადაზნაურებთან, ისეც სხვა ქვეშევრდომებთან საქმე არავის არა ჰქონდეს-რაო. ამასთან მეფე გიორგი აუწყებდა იმპერატორს პავლეს, რომ წინაპარნი ჩემნი ყოველთვის ერთგულნი იყვნენ რუსეთისა და მეც ჩემის მხრით აღთქმასა ვსდებ, რომ ქვეშევრდომობის ერთგულებაში შე ჩემს წინაპრებს აღვემატოო და ითხოვდა — ნება მიბოძეო მიწერ-მოწერა პირდაპირ პეტერბურგთან ვიქონიო ჩემის მინისტრის თ. ჭავჭავაძის საშუალებითაო, რადგანაც სხვა გზით საქმეთა სვლა ყოვნდება და გვიანდებაო. მეფე გიორგი სთხოვდა იმპერატორს პავლეს სამი-ათას რუსის ჯარისკაცს, შეჭურვილს სათანადო იარაღით და ყოველ სამხედრო კუთვნილებითა. ამის თაობაზე გიორგი მეფე სწერდა იმპერატორს პავლეს: „როცა

თქვენი ძლევამოსილი ჯარი საქართველოში ყოფილა, ყოველთვის ბოროტნი კაცნი რაღაცეებს იგონებდნენ და სამდურავს და შუღლს აჩენდნენ თქვენისა და ჩვენის ჯარის უფროსთა შორის, ამიტომ გთხოვთ უბრძანოთ აწ გამოსაგზავნ ჯარის უფროსს, მარტო ჩემთან იქონიოს საქმე, ანუ ჩემ-მიერ რწმუნებულთანო". დასასრულ მეფე მოახსენებდა იმპერატორს პავლეს, რომ ჯერ ჩემ ყმაწვილობაშივე მსურდა ჰირად ხილვა რუსეთის თვითმპყრობელისა, მაგრამ მრავალი გარემოება მიშლიდაო. „დღეს-კი, — ამბობს მეფე გიორგი, — თქვენა გზადით ჩემდა ხელმწიფედ და ვსასოებ, რომ თქვენდა მიმართ გამოწვდილნი ხელნი ჩემნი უკუქცეულ არ იქნებიანო".

მინამ თ. გარსევან ჭავჭავაძე თავისს მოციქულობას ასრულებდა და დრო ამ მიწერ-მოწერაში გადიოდა, მეფე გიორგის დღე-და-დღე უფრო და უფრო უჭირდებოდა საქმე. ლეკები სადავლოდ დაუსჯელად ჰთარეშობდნენ. ახალციხის ფაშა ქართლს წამ-და-უწუმ შეესეოდა ხოლმე და იკლებდა, საცა კი ხელი მიუწვდებოდა. მართალია, იმპერატორმა პავლემ უბრძანა თავისს ელჩს სტამბოლში, რომ სთხოვოს სულთანს არ აწიოკოს საქართველო, მაგრამ ახალციხის ფაშა მაინც თავისას არ იშლიდა და ლეკებსაც გზას აძლევდა და ხელს უმართავდა სადავლოდ საქართველოში ეთარეშნათ. არც სპარსეთის მუქარა და მტრობა ასვენებდა საქართველოს. ასეთმა გარემოებამ დიდს საფიქრებელში ჩააგდო მეფე გიორგი, მით უფრო, რომ რუსეთიდამ ჯერ გადაწყვეტილი არა იცოდა-რა. სხვა გზა არ იყო, უნდა აეჩქარებინა თ. გარსევან ჭავჭავაძე, რომ საქმე მალე გაათავოს და ჯარი რუსეთისა მოაშველოს და ამასთან სთხოვოს, რომ მეფეს ნება მიეცეს თითონ ამოქმედოს ჯარი იქ, საცა საჭიროება მოითხოვს.

იმპერატორმა პავლემ, მოისმინა რა გაჭირვება მეფე გიორგისა და საქართველოსი და იუწყა რა ახალი მუქარა სპარსეთისა, აწიოკება ქვეყნისა ოსმალეთისა და ლეკთა თარეშობისაგან, მსწრაფლ შეუდგა, რომ მეფე გიორგის გადაწყვეტილი პასუხი მისცეს. 23 თებერვალს 1799 წელს ბრძანება მისცა ჩრდილო-კავკასიის ჯარის მთავარ-მმართველს მოამზადოს საქართველოში წასასვლელად მეჩვიდმეტე ეგერის პოლკი გენერალ-მაიორ ლაზარევისა თავისის არტილერიით და ასი ცხე-

ნოსანი ყაზახი ზედ დაუმატოს. ეს ეგერის პოლკი იდგა მაშინ მოზდოკში.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჯერ კიდევ 1783 წელს მეფე ერეკლესთან შეკრულ პირობის ძალით, საქართველოს მეფის კარზე რუსეთს უნდა ჰყოლოდა განსაკუთრებული რწმუნებული მინისტრი. 1799 წლამდე, სხვადასხვა გარემოების გამო, ეს პირობა შეუსრულებელი დარჩა და იმპერატორმა პავლემ, თ. გარსევან ჭავჭავაძის თხოვნით, გააღვიძა ეს პირობა და რწმუნებულ მინისტრად დანიშნა სტატსკი სოვეტნიკი კავალენსკი, რომელსაც, სხვათა შორის, ებრძანა, რომ საქართველოს ერის სიყვარული და ნდობა მოიპოვეო.

1799 წ. მაისში კავალენსკი წამოვიდა პეტერბურგიდამ და ჭკათათვის ბოლოს მოვიდა ყაზახის სოფელს ნაურში, საცა იმყოფებოდა კნორრინგი, მაშინდელი მთავარ-მმართველი ჩრდილო კავკასიის ჯარებისა; აქედამ კავალენსკიმ აუწყა მეფე გიორგის, რომ მოდის საქართველოში და თან მოჰყავს დაპირებული ჯარი. კნორრინგმა თავისის მხრივ ბრძანება მისცა ლაზარევს, მზად იყავ შენის პოლკით და არტილერიით საქართველოში წასასვლელად, მოიმზადე ათის დღის სურსათი, რომ, როცა საჭირო იქნეს, ერთის საათითაც არ დაყოვნდეო.

კავალენსკის გამოატანა იმპერატორმა პავლემ დამამტკიცებელი გრამოტა მეფე გიორგის სახელზე. გრამოტა იგი არის დაწერილი 18 აპრილს 1799 წელს. იმპერატორი პავლე იწერებოდა: „მივიღე რა მადლობით თქვენი თხოვნა, ტრაქტატის ძალითა მუხლის ძალითა გამტკიცებთ დღეს თქვენ საქართველოს მეფედ და ძესა თქვენსა დავითს თქვენდა მემკვიდრედ თქვენს შემდეგ“. ამასთან იმპერატორმა პავლემ გამოატანა კავალენსკის სამეფო სამკაულები და სამეფო ნიშნები: 1. ოქროს სამეფო გვირგვინი, შიგა-და-შიგ ძვირფასის თვლებით შემკული; 2. სკიპტრა, ძვირფასის ქვებითვე მოჭედილი; 3. ხმალი, ოქროთი და ძვირფასის თვლებით შემოსილი; 4. სამეფო პორფირი ყარყუმის ბეწვისა. შვინდისფერ ხავერდის საპირეთი, მასზედ ქარგით ნაკერი გერბი რუსეთისა და საქართველოსი; 5. თეთრი დროშა ორ-თავიან არწივითა, შუაგულში რუსეთის გერბი ჰქონდა; 6. სამეფო ტახტი შვინდისფერის ხავერდით გადაკრული პრტყელის ოქრომკედის არშიებითა და ოქრომკერდისვე დიდრონ ფოჩებით მორთული, და ამისთანავე სამი ბა-

ლიში; შუაგული ტახტისა ეჭირა საქართველოს გერბსა და აქეთიქიდან რუსეთის გერბს; 7. ტახტთან ერთად ორი პატარა სტოლი, ხავერდითვე გადაკრული და ოქრომკედით მორთული; თვითოეულ სტოლისათვის თითო ბალიში, რომელზედაც დადებულ უნდა ყოფილიყო სამეფო ნიშნები: ერთზე გვირგვინი და სკიპტრა, მეორეზე ხმალი და უმაღლესი გრამოტა; 8. სამი ორდენი, ალმასებით შემკული, ერთი წმიდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულისა — მეფე გიორგისათვის, მეორე დიდწამებულის ეკატერინესი — დედოფალ მარიამისათვის, და წმიდა ანნას პირველ ხარისხისა — მემკვიდრე დავით ბატონიშვილისათვის.

ყოველ ამას გარდა, იმპერატორმა პავლემ გამოუგზავნა კავალენსკის ხელითვე ძვირფასი ნივთები მარიამ დედოფალსა, ბატონიშვილებსა, კარის ეკლესიის მღვდელს, სიძეს მეფისას მუხრან-ბატონს და სიმამრს მეფისას თ. ციციშვილს.

მეშვიდმეტე ეგერის პოლკი ლაზარევისა ბრძანებისამებრ წზად იყო საქართველოში წამოსასვლელად, თან უნდა გამოჰყოლოდა თვით კავალენსკიცა, რომელსაც უნდა წამოეღო პავლე იმპერატორის მიერ გამოტანებული ნივთები. დასასრულ, 19 ოქტომბერს, 1799 წელს, კნორრინგმა კვლავ ინახულა ხსენებული პოლკი, კმაყოფილი დარჩა და მეორეს დღისათვის ბრძანება მისცა გასულიყო თერგსა და გზას შესდგომოდა. მეორე დღეს, ბრძანებისამებრ პოლკი თავისის ადგილიდამ დაიძრა, გამოვიდა თერგს და წამოვიდა ტფილისისაკენ. კნორრინგმა მისცა დარიგება ლაზარევს, როგორ უნდა მოიქცეს და, სხვათა შორის, აუწყა უმაღლესი ბრძანება: „ლაზარევის პოლკი, მივა თუ არა ტფილისში, მეფე გიორგის იმისთანა პატივით უნდა შეეგებოს როგორც წესდებით მე, იმპერატორს, მეკუთვნის, იმავე წესით სასახლის მცველნი დაუყენოს. მეფის გვირგვინის კურთხევის დღეს პოლკი საპარადოდ განწყობილ იქნას და ბატალიონებად დამწკრივებულ. როცა მეფე გიორგი შევა ეკლესიაში და გამოვა, ჯარმა შესაფერი პატივი მისცეს“.

დიდი წვალება გამოიარა რუსის ჯარმა, რაკი კავკასიის მთებში შემოსდგა ფეხი. ვიწრო აღმართ-დაღმართები, თოვლი და ყინვა, გაფუჭებული გზები, ზოგან სურსათის ნაკლებლობა, — ყოველივე ეს ერთად, აბრკოლებდა ჯარს. ზარბაზნები და სხვა არტილერიის კუთვნილებანი ზოგან ხელდახელ და

ზურგით გადმოჰქონდათ ჯარისკაცებს, რადგანაც სხვანაირად ვერა ხერხდებოდა. როგორც იყო, ჯარმა ყოველს დაბრკოლებას სძლია, გადმოიარა მთები და გადმოხედა არაგვის ხეობის დაბლობებს. აქ ჯარს მიეგება ბატონიშვილი ვახტანგ, მიაგება ოთხმოცი ულელი ხარ-კამეჩი, გამომცხვარი პური და სხვა სურსათი, ტფილისამდე გზა-და-გზა სხვადასხვა ადგილას ორმოცდა-ათ-ათი საპალნის საზიდი ცხენი მოუმზადა. ამ სახით იარა ჯარმა მთელი თვე და ექვსი დღე და როგორც იყო მოუახლოვდა ტფილისსა. ტფილისი დიდის ყოფით მოიკაზმა და მოირთო ჯარის დასახვედრად და მისაღებად. ჯარს მოელოდნენ ტფილისში 26 ნოემბერს. მთელი ქალაქი აიშალა და გარეთუბანს და ვერაზედ გავიდა და აქ ელოდებოდა ჯარის მოსვლას.

მეფე გიორგიც გაეგება თავისის ამალით. თან ახლდნენ: მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, სხვა ბატონიშვილები, გამოჩენილნი მოხელენი საერონი და სამღვდელოებისანი და მთელი დიდკაცობა ტფილისისა. ქალაქის ბანები მოიჭედა დიდითა და პატარითა, ქალითა და კაცითა, და მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯარსა, ვითარცა ქვეყნის მხსნელსა, მშვიდობიანობისა და მოსვენების მომავლინებელსა.

ბოლოს მოვიდა ჯარიცა. მეფე გიორგი თითონ წამოუძღვა წინ და შემოიყვანა ტფილისში. სიხარულის კიჟინა ხალხისა, ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ერთს დიდს ყოფას და ამბავს წარმოადგენდა. კავალენსკიმ ამრიგად აუწყა კნორრინგს რუსის ჯარის შემოსვლა ტფილისში: „ჯარი, დასასრულ, მოვიდა ტფილისს; მოსვლისას იგი წარმოადგენდა სასიამოვნო სანახავსა თავისის წყობითა და წეს-რიგიანობითა. სამის ვერსტის მანძილზე დიდის ყოფით მოეგებნენ ჯარს, იმ წესით, როგორაც წინათვე დავაწყეთ მისმა უმაღლესობამ მეფე გიორგიმ და მე. მეფე მთელის თავისის წარჩინებულ საერო და სამღვდელო დიდკაცობით მიეგება ჯარს. საბლის ბანები სულ ბოლად სავსე იყო თეთრ-ჩადრიან ქალებითა, კაცს ეგონებოდა მთელ ქალაქში მოფენილია კარვები ბანაკისაო. ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ამ დღესასწაულს აძლიერებდა, და სიხარულის კიჟინა ერისა, მოძრაობა და თვით ცრემლნი, ნამეტნავად დედაკაცობისა, აგვირგვინებდა იმ ტკბილად საგრძნობელ სურათსა და უტყუარს ერთგულებას ჩვენდამი ერისას“.

მეფე გიორგიმ, გახარებულმა — რომ სასურველი აუს-

რულდა, ყოველივე ღონისძიება იხმარა, რომ ჯარი კარგად დაებინავებინა და სურსათი საკმაო და რიგიანი ჰქონოდა. შემოსვლის მეორეს დღესვე ჯარს გაუგზავნა ხუთ საპალნემდე ღვინო და რვაასი ცალი ხმელი თევზი, გარდა ამისა, რაც ულუფად განწესებული იყო. აფიცრებს სადგომად თავისი სასახლე უთავაზა, ხოლო აფიცრებმა არ ინდომეს მეფის შეწუხება და დიდი მადლობა გადაუხადეს ამისთანა გულმტკივნეულ თავაზიანობისათვის.

ესე შემოვიდა რუსის ჯარი ტფილისში. ამ დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ჭოხამდე სიხარულმა გაშალა თვისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას.


ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელ-

ნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარლობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ.

[1899 წ.]

წერილები სახალხო განათლების საკითხებზე



ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო

გაზეთს „Кавказ“-ში ჩვენ დიდის ყურადღებით წავიკითხეთ ცოტად ცხარედ დაწერილი წერილი ბ-ნ იანოვსკისა. ამ წერილში ბ-ნი იანოვსკი ამბობს, რომ ყოველივე ის, რასაც „დროება“ მაბრალებსო, ახალ-სენაკის სკოლაში არ მითქვამსო, არც ბ-ნ მარკოვისათვის მიმიწერია ოფიციალური ქაღალდიო და არც ბ-ნ სემიონოვისათვის არავითარი დარიგება და რჩევა არ მიმიციაო.

ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ ბ-ნი იანოვსკი ეგრე ბეჯითად უარჰყოფს ყოველს იმას, რაც მართლადა საკადრისი არ არის განათლებულის კაცისათვის. მას შემდეგ, რაკი ეგრე საჯაროდ გამოაცხადა ეგ უარყოფა იმისთანა პატივცემულმა გვამმა, როგორიც ბ-ნი იანოვსკია, ჩვენ აღარა გვეთქმის რა. ჩვენთვის ისიც საკმაოა, რომ თითონ ბ-ნი იანოვსკი არა ჰკისრულობს არც ერთს ბრალსა, „დროებაში“ გამოცხადებულს. ჩვენ დიდის სიამოვნებით ვერწმუნებით ბ-ნს იანოვსკის და ამასთანაც გვიხარიან, რომ იგი თაკილობს იმისთანა მოქმედებას და სიტყვას, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, აქამომდე საკვეხურადა ჰქონდათ ზოგიერთს აქაურს პედაგოგებს და პედაგოგიის გარეთ მდგომ მოხელეებსაც. ესეც ერთი წარმატებაა, ერთი სიკეთეა.

ამის გამო ჩვენ თავს ვანებებთ იმაზედ ლაპარაკსა — ვინ არის ამ შემთხვევაში მართალი და ვინ მტყუანი. ეხლა ეგ ჩვენთვის სულ ერთია. ეგ საგანი ეხლა უკან უნდა დავაყენოთ,

იმიტომ რომ ბ-მა იანოვსკიმ სხვა, უფრო უაღრესი და უმძიმესი საგანი წამოაყენა თავის წერილში. ამ უკანასკნელ საგანთან ის პირველი ჩვენ თითქმის არაფრად მიგვაჩნია. ჩვენ ვამბობთ აქ იმაზედ, რომ ბ-ნმა იანოვსკიმ თავისი მოქმედების და მოღვაწეობის დედა-აზრი გამოგვიცხადა თავის წერილში და აი, ეს დედა-აზრია ის უაღრესი და უმძიმესი საგანი, რომელმანც მიიზიდა მთელი ჩვენი ყურადღება.

ჩვენ ვეცდებით, გულახდილად და თამამად წარმოვსთქვათ ამ საგანზედ ჩვენი აზრი. იმედი გვაქვს, რომ არავინ დაგვწამებს—ხალხს გული უნდათ ააყრევინონ ჩვენს მოქმედებაზედაო. იმედი გვაქვს, რომ ამ უმართებულო და უკადრისს ფარხმალს არ მოჰკიდებს ხელს იმისთანა კაცი, როგორიც ბ-ნი იანოვსკია. ჩვენ გვსურს—ბ-ნი იანოვსკი დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ აქ ჩვენ გვალაპარაკებს მარტო ერთი ჭეშმარიტების სიყვარული და ჭეშმარიტების საკადრისი გულწრფელობა და სხვა არა-რა.

თუმცა ბ-ნი იანოვსკი, როგორც მრავალმხრით განვითარებული კაცი, უეჭველად კეთილის განზრახვით არის აღძრული და ჰსურს იმ ადგილს და საზოგადოებას, საცა მოწვეულია სამსახურისათვის, სიკეთე მიანიჭოს, მაგრამ მისგან ამორჩეული გზა, ჩვენის ფიქრით, სრულებით არ შეეფერება არც მის განზრახვასა და არც მის სიკეთის სურვილსა. ჩვენა გვგონია, რომ საერო სკოლას* საერთოდ და ჩვენსას საკუთრივ ბ-ნი იანოვსკი ისე არ უყურებს, როგორც ის გამოჩენილნი პედაგოგიაში გვამნი, რომელთაც დაადგინეს საერო (народный) სკოლა მის ნამდვილს და ჭეშმარიტს მნიშვნელობაზედ. ბ-ნს იანოვსკის, როგორცა სჩანს მის წერილიდამ, განსაკუთრებული დანიშნულება და უმაღლესი საქმე ამისთანა სკოლისა უკან დაუყენებია და საერო სკოლას იმ ტვირთსა ჰკიდებს, რაც მოსამზადებელის კლასის საზიდარია. ჩვენის ფიქრით, ეს დიდი შეცდომაა საზოგადოდ და ჩვენში ხომ საკუთრივ, ჩვენ ვეცდებით — ეს სიტყვა უსაბუთოდ არ დაგვრჩეს.

საერო სკოლა, საზოგადოდ, სკოლაა ერისა, ესე იგი იმ უმრაელესობისა, რომელსაც არც დრო აქვს, არც ძოცალეობა,

---

* საერო სკოლას იმ აზრით ვხმარობთ, როგორც რუსები სიტყვას народная школа.

არც შეძლება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის. ჩვენდა საბ-წუხაროდ ამასაც ვიტყვით, რომ არც დიდი საჭიროება მიუძღვის, ჯერ ხანად მაინც, რადგანაც სხვადასხვა ხელმოკლეობის გამო შინიდამ გარეთ ფეხის გამოდგმის ღირს მოწყვეტილია. ამიტომაც საერო სკოლა ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედ-გამოჭრილია უმეტნაკლოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილობაზედ.

საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯელობასა და თვითმსჯელობასა. საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღწვის და მოქმედებს.

„საერო სკოლის საგანი ის კი არ არისო,—ამბობს გამოჩენილი რუსი პედაგოგი უშინსკი,—რომ ბავშის თავი, ცოტად თუ ბევრად, გამოჰქედოს სხვადასხვა-გვარის ცოდნითა, რომელიც მერე დავიწყებას მიეცემა ხოლმე, ან კიდევ ტეხნიკური ცოდნა მიანიჭოს წერა-კითხვისა, რომელსაც მოზარდი არ გამოიყენებს; არამედ ის არის, რომ სკოლაში ვარჯიშობითა გაიხსნას ბავშმა ჭკუა და გულისყური ბუნებრივის ღონისძიებით გონების თვალი აიხილოს გარე შემორტყმულ ბუნებაზედ და საზოგადო დამოკიდებულებაზედ, იმოდენად გაიმართოს ნიჭი მართლ და თვითმსჯელობისა, რომ საკუთარის ჭკუით შეეძლოს ცნობიერად იცხოროს და გონიერად იმოქმედოსო“. აი თავი და ბოლო საერო სკოლისა.

აი ამ დიდსა და მძიმე დანიშნულებას უნდა მისდევდეს საერო სკოლა საზოგადოდ და მარტო მაგის მიხედვით უნდა მოწყობილი და აგებული იყოს. სხვა საგანი საერო სკოლას არა აქვს.

„საკუთრივ საერო სკოლასაო,—ამბობს იგივე უშინსკი,—თვისი მნიშვნელობა იმოდენად განსაკუთრებული აქვს და სხვა უმაღლეს სკოლებთან ისე შორს არის, რომ მის გამართვაზედ ცალკე შეიძლება კაცმა იფიქროსო“.

ეს ორი აზრი, ერთი მეორის შემავსებელი, იმისთანა გამოჩენილის პედაგოგისა, რომლის ტოლიც რუსებს ჯერ აქამომდე არა ჰყავთ, საკმარისია, რომ დავინახოთ, რაში მდგომარეობს ბ-ნ იანოვსკის შეცდომა საზოგადოდ. პირველი იმაში, რომ საერო სკოლას მოსამზადებელის კლასის საქმეს უნიშნავს, და მეორე მასში, რომ ამ საქმის შესაფერად მოუწადინებია თითონ საერო სკოლების გამართვაცა. ასე ვფიქრობთ ჩვენ, იმიტომ რომ მის წერილში ერთი სიტყვაც არ არის თქმული მასზედ, რაც საერო სკოლის, უმთავრესს კი არა, განსაკუთრებულს დანიშნულებას შეადგენს.

ეს შეცდომა უფრო ცხადად გამოგვეხატება თვალ-წინ, როცა გამოვიკვლევთ — რა ღონისძიებით და საშუალებით შეუძლიან საერო სკოლას თავისს განსაკუთრებულს და ფრიად ძნელს დანიშნულებას რიგიანად და წარმატებით მიაღწიოს.

პედაგოგიის დედაბოძი და განთქმული მეცნიერი დისტერვეგი ამ საგანზედ ამბობს, რომ—

„ის მეტ-ნაკლები გონება-გახსნილობა, რომლითაც ბავშვი შედის სკოლაში, უნდა აუცილებლად იყოს საზღვარი, საიდამაც უნდა მოჰყვეს ადამიანი სწავლებასაო. ამის გამო ოსტატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ენასა, რომელსაც ყმაწვილები ხმარობენ სკოლაში შესვლის დროსაო. ცხალი უნდა აიხსნას ძველის შემწეობითა, უცნობი—ცნობილითაო. სხვა გზა არ არის, სხვა ღონე და საშუალება შეუძლებელი საქმეაო“.

მეორე გამოჩენილი და განთქმული პედაგოგიაში კაცი პესტალოცი ამბობს, რომ—

„ბავშის სულიერნი ძალნი შორეულზედ, უცხოზედ არ უნდა ავარჯიშონო, ვიდრე ძირი არ გაჰმაგრებიათ და არ განათლებულან იმაზედ ვარჯიშობითა, რაც მახლობელია ბავშისა, რაც გარს არტყია, რაც ბავშის ღვიძლი და თავისიანიაო“.

„ერს რომ თავისი ენა არ ასწავლოთო, — ამბობს მეორე გამოჩენილი რუსი პედაგოგი ვესსელი, — ეგ ის იქნება, რომ არ გინდათ ერის აზრი, მისი სულიერი ძალღონე, ნიჭი გაიხს-

ნას და გაიმართოსო. ეგ ის იქნება, რომ არ გინდათ ერი ბალღობიდამ გამოვიდესო. თუ ჩვენ არ დავაწყებინებთ ერს თავისის დედა-ენის სწავლებას და, თუნდაც მის მაგიერ სხვა, ძალიან მახლობლის ენის სწავლებას მოვაყოლებთო, მაშინ უფრო უარესს ვიზამთო: სრულებით შევშლით ერის გონებითს განვითარებას, სრულებით შევშლით მის სულიერს ბუნებასაო".

„ბავში რომ სწავლობს დედა-ენას, იგი სწოვს სულისათვის სიცოცხლეს და ღონეს ღვიძლის ენის ღვიძლის ძუძუდამაო, — ამბობს უშინსკი,—დედა-ენა ისე უხსნის ბუნებას ყმაწვილს, როგორც ვერც ერთი ბუნების მცოდნე კაცი; ისე აცოდინებს ხასიათს იმ ხალხისას და საზოგადოებისას, რომელთა შორისაც ბავში სცხოვრებს, მათს ისტორიას, თვისებას და მიდრეკილებას, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსიო".

„საერო სკოლა საკუთრივ დედა-ენის სკოლააო, რომელიც უნდა შეისწავლოს ყველა ყმაწვილებმა იმისდა მიუხედავად, განაგრძობენ მერე სწავლას გიმნაზიებში, თუ არაო", — ამბობს ივანე ამოს კომენიუსი.

ჩვენ მოგვყავს ეს აზრები მეცნიერებისა იმიტომ-კი არა, რომ გეგონოს, ვითომც ბ-ნმა იანოვსკიმ ყოველივე ეს ჩვენზედ უკეთ არ იცოდეს, არამედ იმიტომ, რომ ყველამ, დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ, მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების ხახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა, — და გინდა ეს სასურველია ვისთვისმე?

ზემოთ-მოყვანილიდამ ცხადია, რომ დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება ასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს. მაშასადამე, სკოლამ საზოგადოდ და საეროს საკუთრივ ეგ სამსახური უნდა გაუწიოს ერსა.

მეორე სახსრად და საგნად ცნობილია იმ ადგილის, ქვეყნის, ერის შესწავლა და ცოდნა, რომელთაც ბავში ეკუთვნის დაბადებით და ცხოვრებით.

„პირველ-დაწყებითის ცოდნის მოედნად უნდა იყოს სამშობლო", — ამბობს პესტალოცცი. „კაცს გულში გამოუკვანძეთ მისი პატარა სამშობლო, — ამბობს დისტერვეგი, — გზა გაუხსენით, რომ არამც თუ მარტო შეისწავლოს, არამედ შეიყვაროს კიდეც იგი სამშობლო, მისი განსხვავებული თვისება, მისი განსაკუთრებული ხასიათი. ამით ნუ გგონიათ, რომ ხელს უმართავდეთ პროვინციალურს პატრიოტობას, არამედ გაუმაგრებთ ადამიანს ფესვებს ადამიანის სულის ღონისას. ეგ ფესვები მის სამშობლოს მიწა-წყალშია, მის მოძმეთა განსაკუთრებულ ხასიათშია—მათს ისტორიაშია. ყოველს სასიხარულოდ უნდა მიაჩნდეს, როცა თვითოეულს ადამიანში კაცი პოულობს განსაკუთრებულს თვისებას მისის ქვეყნისაო". /

„როგორც ჩვენის საკუთარის ერის პატივისცემაში ვსწავლობთ სხვა ერის პატივისცემასა, ჩვენის ქვეყნისაში—სხვა ქვეყნებისასაო, ისეც პატივისცემა პატარა ნაწილისა მრთელის პატივისცემას გვასწავლისო", — ამბობს გერმანელი პედაგოგი რიხტერი, როცა ლაპარაკობს მასზედ, თუ რა დიდი რამ არის ბავშის აღზრდისათვის შესწავლა და შეყვარება თუნდ პატარა ადგილისა, საცა მოზარდი დაბადებულა.

„პესტალოცცის სკოლა, — ამბობს ტილო, — ნამდვილი საერო სკოლაა, იმიტომ რომ ყოველი საგანი სწავლებისა დაგენილია სამშობლო ნიადაგზედა. იგი იწყებდა თვის მოქმედობას იქიდამ, რომ ცოცხლად და თვალთხედვით შეასწავლიდა სამშობლოს, მამულსა. ამიტომაც სამშობლო ქვეყანა, დედაენა, სამშობლო ერის ცხოვრება შეიქმნენ მას აქეთ უპირველეს საგნებად პირველ-დაწყებითის სკოლისათვისაო".

„თქვენს კულტურას არც ძირი აქვს, არც სიღრმე, —ამბობს საფრანგეთის მეცნიერი ბრეალი, — იმიტომ რომ თქვენ არა გწამთ ძალნი ადგილის და თავისიანობის სიყვარულისაო. სკოლა ადგილზედ უნდა იყოს ამოსული, ადგილში უნდა ჰქონდეს გამაგრებული ძირი და არა ზემოდამ იყოს ამოსული, მოდგმულიო".

„არის მარტო ერთი საზოგადო, დაბადებითვე დაყოლილი მიდრეკილება, რომელზედაც აღზრდას (სკოლას) ადამიანისას

შეუძლიან ყოველთვის დაემყაროს, — ამბობს უშინსკი, — ეგ ის არის, რასაც ჩვენ ვეძახით ეროვნობას (народность). როგორც არ არის ადამიანი, რომ თავისთავი არ უყვარდეს, ისეც არ არის ადამიანი, რომ არ უყვარდეს თავისი მამული, თავისი ქვეყანა. აი ეგ სიყვარულია ის უტყუარი გასაღები ადამიანის გულისა, რომელსაც აღზრდა (სკოლა) უნდა ხმარობდეს. ეროვნობაზედ დამყარებული ბავშის აღზრდა ყოველთვის იპოვის პასუხს და შემწეობას მაგ ცოცხალს და ძლიერს სიყვარულში, რომელიც უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე რწმენა, მარტო ჰკუით მიღებული, ანუ ზნე, დასჯის შიშით ჩანერგულიო".

ამ სახით, მეორე აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ეროვრივი ელემენტი არის, ესე იგი— ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთ შორისაც ბავშვი ტრიალებს და სცხოვრებს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდამვე. მაშასადამე, ყოველ ამის შესწავლა და ცოდნა არის მეორე განსაკუთრებული საგანი საერო სკოლისა. ამას არაფერი არ უნდა დააკლოს საერო სკოლამ და გადამეტება ხომ ძნელია და ძნელი.

ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა, იმისდა მიუხედავად — განგრძობილი იქნება მას შემდეგაც სწავლა, თუ არა. ამ სკოლას თავისი საკუთარი მოედანი აქვს, რომლის თავი და ბოლო იქავე, სკოლაშია. მართალია, პატარა მოედანია, მაგრამ ყოველი ჰხედავს, რა მძიმე და რა ძნელი გასავლელია. ნურავის ნუ ჰგონია, საერო სკოლის საკუთარი ტვირთი ისე მსუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდოს რამე.

სწორედ ამ სხვა საპალნესა ჰკიდებს საერო სკოლას ბ-ნ იანოვსკის წერილი, მერე ისე ჰკიდებს, რომ საკუთარის ტვირთის ზიდვისათვის ღონე თუ სულ არ მოესპობა, ძალიან მოაკლდება მაინცა.

ბ-ნ იანოვსკის თვისი დედა-აზრი გამოჰყავს უმაღლესად დამტკიცებულის განჩინებიდამ და გვაუწყებს რომ: 1) ყოველი, რასაც რომელსამე სასწავლებელში ასწავლიან, უნდა ასწავლონ ც ნ ო ბ ი ე რ ა დ და გ ა გ ე ბ ი თ, რადგანაც მარტო

ამ პირობით სწავლებას ერთისა თუ მეორის საგნისას ექმნება ზედმოქმედება შეგირდის გონებითსა და ზნეობითს განვითარებაზედ; 2) სწავლება ერთისა თუ მეორის საგნისა იმ განზრახვით უნდა მიდიოდეს, რომ მოსწავლეს მიანიჭოს ნამდვილი ცოდნა საგნისა; უამისოდ სწავლება საგნისა უქმად დროს დაკარგვა იქნება, არამც თუ ურგები, არამედ მავნებელიცა მოსწავლეთათვის; 3) ზოგად განათლების სხვადასხვაგვარ სასწავლებელთა შორის უნდა იქმნას, რამოდენადაც შესაძლოა, მჭიდრო კავშირი, მით უმეტეს უნდა იყვეს საჭირო კავშირი სხვადასხვა საგნების სწავლებაში ერთსა და იმავე სასწავლებელში და 4) სასწავლებელმა უნდა დააკმაყოფილოს, რაც შეიძლება მოშატებულად, საჭიროება იმ საზოგადოებისა, რომლის შორისაც და რომლისათვისაც არსებობს.

— ამ წინადადებათა ძალით, ამბობს ბ-ნი იანოვსკი, ყოველს კეთილად განწყობილს პირველ-დაწყებითს სკოლაში სწავლება საზოგადოდ უნდა მიდიოდეს უპირატესად (და არა განსაკუთრებით?) დედა-ენის შემწეობითაო. რუსული ენა არა რუსთათვის ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ყმაწვილებმა, კურსის შესრულების შემდეგ, იცოდნენ არამც თუ მარტო წერა-კითხვა, არამედ გაგებაც ჰქონდეთ წაკითხულისა და წერითაც გამოთქმა შეიძლონ როგორც დედა-ენაზედ, ესეც შეძლებისამებრ (?), რუსულადაცაო. ამის მოსაღწევად აი რა გზა ამოურჩევია.

პირველ წლის მეორე ნახევრიდამვე ოსტატმა ყოველ დღე უნდა გადასდოსო 30—45 წამი, რომ ბავშები შეაჩვიოს რუსულს ენასა და იმისათვის, რომ ბავშებმა ცნობიერად შეითვისონ ცალკე სიტყვები, ფრაზები და მოკლე ამბები, უნდა ყოველივე იგინი ჯერ დედა-ენაზედ ათქმევინოს და მერე რუსულადაცაო. მეორე წელს კი, რაკი შეგირდები შეისწავლიან დედა-ენაზედ წერა-კითხვას, უნდა შეუდგნენ რუსულის წერა-კითხვის სწავლებასა, მესამე წელიწადს კი, რასაც დედა-ენის შემწეობით ასწავლიან ბავშებს, ყოველივე ის, შეძლებისამებრ (?), რუსულადაც უნდა ასწავლონო.

რუსულის ენის შესწავლას ამ გზით ბ-ნი იანოვსკი იმ საბუთითა ჰხედავს საჭიროდ, რომ ზოგან საერო სკოლაში თავადაზნაურთა შვილებიცა სწავლობენო, რომელთათვისაც გიმნა-

ზიებში შესვლა არამც თუ სასარგებლოა, არამედ აუცილებლად საჭიროცაა. უმაღლეს სასწავლებელში შესვლას თითონ გლეხის შვილებიც არა იშვიათად ნატრულობენო და ამას უნდა ხელს უწყობდეს და უმართავდეს საერო სკოლაო.

გავბედავთ და ვიტყვით, რომ ეს პროექტი ბ-ნ იანოვსკისა პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ოთხს მუხლს, მის აზრისას, რომელიც თითონ ბ-ნ იანოვსკის ზევით მოჰყავს. პირველი მუხლი თხოულობს, რომ ყოველი საგანი ისწავლებოდეს სკოლაში ცნობიერად და გაგებით. პედაგოგიის ძირეული კანონი კიდევ ამას ამბობს, რომ თუ ცნობიერად და გაგებით უნდათ ბავშმა რამე ისწავლოსო, ჯერ თავისი კარგად უნდა შეისწავლოსო, რომ მერე სხვისას შეუდგესო. ნუთუ ვისმე ჰგონია, რომ ბავშები, არამც თუ პირველს ექვს თვეში, არამედ სამსა და ოთხს წელიწადში, თავის დედა-ენაში ისე გაიწურთნებიან, რომ მასზედ დაფუძნდეს რუსულის ენის ცოდნაცა? და თუ ესე არ იქნება, ხომ ცნობიერად და გაგებით ცოდნაც არ იქნება რუსულის ენისა. აი რა ფაქტი მოჰყავს რიხტერსა, როცა საერო სკოლაში პროვინციალურს ენასთან სახელმწიფო ენასაც ასწავლიან. სახელდობრ, ნემეცურს, ესე იგი, იმავე ძირის ენას, მაგრამ უფრო განვითარებულს. რეკრუტის კამისიების სიტყვით, „ისე არა ავიწყდებათ-რა ბავშებს, როგორც ნემეცური (სალიტერატურო) ენაო“.

4-ს იანვარს ყოფილმა საერო სკოლების ოსტატების კრებამ პეტერბურგში საქვეყნოდ აღიარა, რომ რუსეთში, საცა ჩვენებრ სამის წლის კურსია და ასწავლიან მარტო ერთს დედა-ენას — რუსულს, ბევრი ყმაწვილები სკოლის შემდეგ წერა-კითხვას ივიწყებენო. მაშ რაღა ითქმის რუსულის ენის შესახებ ჩვენს სკოლებში, საცა იგივე სამის წლის კურსია და საცა ეგ ენა სრულიად სხვაა მოსწავლე ბავშისათვის. ნუთუ ჰგონიათ, ჩვენში საერო სკოლა სამისავე წლის კურსით იმ სასწაულს მოახდენს, რომ დედა-ენაც შეასწავლოს ბავშს და რუსულიცა იმოდენად ცნობიერად და გაგებით, რომ მერე არ გადაავიწყდეთ?

მეორე მუხლი ბ-ნ იანოვსკის აზრისა თხოულობს, საგანი ისე შეასწავლონ ბავშს, რომ ნამდვილი ცოდნა იყოს საგნისა. ნუთუ დედა-ენაში ჯერ კარგათ არ გაწურთნულს და გავარჯიშებულს ბავშს ისე ეცოდინება სამს წელიწადში თავისი

დედა-ენა და რუსული, რომ ან ერთი იქნას ნამდვილ ცოდნად და ან მეორე? ნუთუ ეგ ნამდვილი და გამოსაყენებელი ცოდნა იქნება და არა გაზეპირება? თუ ესეა, რომ სამი წელიწადი დედა-ენის შესწავლებასაც არა ჰყოფნის, როგორც საქვეყნოდ აღიარეს თითონ რუსეთში საერო სკოლის ოსტატებმა, თუ ესეა—რომ ახალი ძველის შემწეობით უნდა ისწავლებოდეს, შორეული — მახლობელით, უცნობი — ცნობილით,— მაშ, ნუთუ ერთსა და იმავე დროს დედა-ენის და ჯერ თითქმის უცნობის — რუსული ენის სწავლება ჩვენს საერო სკოლებში უქმად დროს დაკარგვა არ არის, არამც თუ ურგები, როგორც სწორთლიანად ამბობს თითონვე ბატონი იანოვსკი, არამედ მავნებელიცა? უცნობი ცნობილით ასწავლეთო, — ამბობს დისტერვეგი, — თუ გინდათ ცოდნას ცოდნა ერქვასო, სწავლას — სწავლაო, სხვა გზა არ არისო, სხვა ღონე შეუძლებელიაო. ან ეს ძირეული კანონი პედაგოგიისა სულ მთლად აღიარებული უნდა იყოს, ან სულ არა. ამათ შუა საფეხური არ არის, რომ კაცმა ფეხი მოიკიდოს.

სასწავლებელმა უნდა დააკმაყოფილოსო, რაც შეიძლება მომატებულად, საჭიროება იმ საზოგადოებისა, რომელთ შორისაც და რომლისათვისაც არსებობსო, ამბობს იგივე ბ-ნი იანოვსკი. საერო სკოლა ერის შორის და ერისათვის არსებობს, ესე იგი — იმ უმრავლესობისათვის, რომელსაც, როგორც წინა ვსთქვით, არც დრო აქვს, არც მოცალეობა, არც შეძლება და, ჩვენდა სამწუხაროდ, არც საჭიროება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის. ამა უმრავლესობის საჭიროება რა არის ამ შემთხვევაში? რასაკვირველია, არა ისა, რომ გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში განაგრძოს სწავლა, თუმცა კი ეს დიდად სანატრელია, არამედ თვალახილებული იყოს. თვის გარეშემოში თავისის ჭკუით შეეძლოს ცხოვრება, მართლმსჯელობის ნიჭი გახსნილი ჰქონდეს, თვითმსჯელობას შეეჩვიოს, ერთის სიტყვით, იმოდენად გაღვიძებული იყოს სულითა და გულით, იმოდენად განვითარებული, რომ თავის შინაურობის ავ-კარგიანობას გაუძღვეს, თავის პატარა მოედანს ცხოვრებისას თვალი და ხელი ცნობიერად და გაგებით გადააწვდინოს.

ამას საჭიროებს ერი საზოგადოდ და ჩვენი ნამეტნავად. ამ ეს საჭიროება უნდა დააკმაყოფილოს იმ სკოლამ, რომელიც

ერის შორის არის და ერისათვის არსებობს. რაც შეიძლება მოშატებულად უნდა დააკმაყოფილოს, ამბობს ბ-ნი იანოვსკი თითონ, — და მისი პროექტი კი ამ საჭიროებას არამც თუ რაც შეიძლება მომატებულად არ აკმაყოფილებს, არამედ რაც შეიძლება ნაკლებად, იმიტომ რომ საერო სკოლას ისეც არასაკმარს ღონეს და დროს უფანტავს და უყოფს. ჩვენ ვამბობთ, — და ყველანიც დაგვემოწმებიან,— რომ სამის წლის კურსი საერო სკოლისა მეტად მოკლე ხანია ჯერ იმისათვისაც, რომ ბავშმა გონება გაიხსნას, სულიერად და ხორციელად გაიმართოს თავისიანობაზედ ვარჯიშობითა, თავისი დედა-ენა, თავისი ქვეყანა გაიცნოს და შეისწავლოს იმოდენად, რომ ცხოვრებაში გამოიყენოს. ჯერ თითონ რუსეთში, საცა ჩვენებრ სამის წლის კურსია, საცა მარტო ერთს დედა-ენას ასწავლიან, ემდურიან — საერო სკოლა თავისს დანიშნულებას ძალიან ნაკლებად ასრულებსო, და რამოდენად ნაკლებად უნდა ასრულოს ჩვენმა საერო სკოლამ, რომელსაც, გარდა თავის პირდაპირის დანიშნულებისა, გარდა დედა-ენის ცოდნისა, რუსულის ენის ცოდნასაც ავალებენ და იმავე სამის წლის კურსს უნიშნავენ.

— ჩვენ უარს არა ვყოფთ, რომ საერო სკოლას შეუძლიან მოსამზადებელის კლასის საქმეც გაარიგოს. ჩვენ იმას განმეორებით ვიტყვით, რომ საერო სკოლას საზოგადოდ ის დანიშნულება არა აქვს — ერის მოზარდი უმაღლესის სასწავლებელისათვის მოამზადოს, იმას, როგორც ვნახეთ, თავისი საკუთარი საქმეც მეტად ბევრი და მძიმე აქვს და, თუ მაგ მხრითაც საერო სკოლა შველის სადმე ერსა, — ეგ მარტო იქ თუ შეიძლება, საცა ერის დედა-ენა და უმაღლესი სასწავლებელისა ერთი და იგივეა და სკოლის კურსიც უფრო ხანგრძლივი. იქ საერო სკოლაში გამოვლილი ბავში მომზადებულია უმაღლესის სასწავლებლის უმცირესის კლასისათვის, რადგანაც კეთილად აგებული საერო სკოლა ისე არ გამოუშვებს ბავშს, რომ არ იყოს გონებითაც საკმაოდ გახსნილი და დედა-ენაშიაც, რომელიც უმაღლესის სასწავლებლის ენავეა, საკმაოდ გაწურთვნილი და გავარჯიშებული. იქ საერო სკოლას თუ მოაქვს ეგ ნაყოფი, თავის-თავად გამოაქვს მარტო იმის წყალობით, რომ თავიდამ ბოლომდივე, უმცირესს სასწავლებელიდამ უმაღლესამდე, ერთი და იგივე ენა მოქმედებს სწავლებისათვის.

აქ, ჩვენში კი საერო სკოლის ენა ერთია და უმაღლესისა სრულებით სხვა. ამიტომაც ჩვენში საკუთრად საერო სკოლა, თუ უნდა რომ მარტო სახელით არ იყოს, თავისდღეში სამის წლის კურსით მოსამზადებელ კლასის საქმეს ვერ იზამს, რადგანაც აქ ამ მოკლე ხანში დედა-ენაც საკმაოდ უნდა შეისწავლოს ბავშმა და უმაღლესის სასწავლებელისაცა, ესე იგი, რუსული ენაც; ერთის სიტყვით, ერთი-ორად საქმე ისე გაიძნელოს, რომ ვერც ერთი ჰქმნას და ვერც მეორე. ნუთუ ეს სასურველია ვისთვისმე?

ჩვენ კიდევ ვიტყვით, რომ სამის წლის კურსი საერო სკოლისა საკმაოდ არ მიგვაჩნია ჯერ სკოლის პირდაპირის დანიშნულებისათვისაც და სად შესძლებს იგი მოსამზადებელ კლასობასაც იმისთანა უმაღლეს სასწავლებელისათვის, საცა მარტო რუსული ენა მოქმედებს და დედა-ენა პირ-აკრულია. გერმანია, და ნამეტნავად პრუსია, არის ის ქვეყანა, საცა საერო სკოლის განსაკუთრებული თვისება მისხლობით გამოკვლეული აქვთ გამოჩენილთა მეცნიერთა შემწეობით, მისი თავი და ბოლო, სიგრძე და სიგანე დიდის ცოდნით და სიფრთხილით გაზომილი აქვთ: იქ საერო სკოლის განსაკუთრებული საქმე იმოდენად ძნელად და სამძიმოდა აქვსთ აღიარებული და ცნობილი, რომ მისი კურსი ხუთისა და ექვსის, ზოგან რვა წლობითაც არის ბოლმე. თუ იქ, საცა, რაც უნდა ესთქვათ, ერის გონებრივი და ქონებრივი ყოფა-ცხოვრება გაცილებით ჩვენზედ მეტია და უკეთესი, საცა ერი უფრო მიხვედრილია და გონება-გახსნილი, საცა დახელოვნებული და კარგად მომზადებული ოსტატები მრავალია და, მაშასადამე, საცა, ყოველ ამ მიზეზით, სკოლის საქმე უფრო გაადვილებულია, ხუთს წელიწადზედ არა ნაკლებ ახმარებენ საერო სკოლის პირდაპირ დანიშნულებას,—ნუთუ ჩვენში სამი წელიწადი, ეს მოკლე ხანი, იმისათვისაც საკმაოა, რომ საერო სკოლამ თავისი პირდაპირი დანიშნულებაც ასრულოს და რუსული ენაც იმოდენად აცოდინოს ბავშს, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლოს?!

ავსტრიაში, საცა რუსეთისამებრ სხვადასხვა ენის ერი ცხოვრებს, ბევრსა სცდილობდნენ, რომ სკოლების შემწეობით განევრცელებინათ ნემეცური ენა, როგორც საზოგადო სახელმწიფო ენა. ბევრი სისტემები სცვალეს, ხან ერთი კანონი დაადგინეს, ხან მეორე. მაგრამ ნემეცური ენა ისე ვერ გაავრცელეს,

როგორცა სურდათ, და ერს კი აწყენინეს და გული ტყუილუბრალოდ აუმღვრიეს. 1805 წ. კანონის ძალით, პირველ წელიწადს ნება ჰქონდათ მიცემული სწავლება მარტო დედა-ენის შემწეობით ემოქმედებინათ და მას შემდეგ ნემეცურად.

„ცხადიაო, — ამბობს ამაზედ რუსის პედაგოგი ვესსელი,— რომ ამისთანა მოთხოვნილება შეუძლებელი იყოო".

და მართლადაც, 1848 წ. მთავრობამ სცნო, რომ მაგ კანონიდამაც არა გამოვიდა-რა და ახალი კანონი დაადგინეს, რომლის ძალითაც მთელი სწავლება სკოლაში დედა-ენაზედ უნდა მოწყობილიყო, იმ პირობით კი, რომ ნემეცური ენაც ესწავლებინათ, როგორც სახელმწიფო ენა.

1855 წ., ესე იგი, როცა ავსტრიის პოლიტიკა უკუიქცა, შესცვალეს ეს კანონი და 1805 წ. კანონს დაუბრუნდნენ და უბრძანეს, რომ ყოველს სკოლაში სწავლება იყოს ნემეცურს ენაზედ, მხოლოდ კი პირველ წელიწადის პირველ ექვს თვეში ნება ჰქონდათ ერის დედა-ენაზედ სწავლებისა.

„ამ კანონმაო, — ამბობს იგივე ვესსელი, — გული აუმღვრია საერთოდ სლავიანებს, მადიარებს და იტალიელთა, მით უფრო უმეტეს, რომ მ თ ა ვ რ ო ბ ა ა მ ა ს მ ო ი თ ხ ო ვ დ ა და ა რ ა ვ ი თ ა რ ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ს-კი (ხ ა რ ჯ ს) ა რ ი ძ ლ ე ო დ ა თ ვ ი ს ი ს ძ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს ა ს ა ს რ უ ლ ე ბ ლ ა დ ა ო. ბოლოს, 1866 წელს, ესე იგი მას შემდეგ, რაკი ავსტრიის მთავრობამ ისეც სცადა და ესეც და დარწმუნდა, რომ არა გამოდის-რა, მიიღო კანონად ბოგემიის კრებისაგან დადგენილი წესი, რომლის ძალითაც ჩეხურს და ნემეცურს ენას ერთნაირი უფლება მიანიჭეს სწავლებაში, მაგრამ ისე კი, რომ სწავლება საერო სკოლაში ერთ-ერთზედ უნდა ყოფილიყო და მეორე კი ესწავლებინათ, როგორც საგანი სწავლებისა. სხვა სკოლებისათვის კი აღდგენილ იქმნა ისევ 1848 წ. კანონი. 1869 წ. ეს კანონი შეივსო მით, რომ დაადგინეს: თითონ საზოგადოებამ, რომლის ხარჯითაც იმართება სკოლა, გადასწყვიტოს: ა) რა ენაზედ უნდათ მოაწყონ სწავლება და ბ) მეორე ენაც, იმ ქვეყანაში მომქმედი, უნდა ასწავლონ თუ არაო".

აი სად მიიყვანა ავსტრია თითქმის სამოც-და-ათის წლის გამოცდილებამა.

მართალია, ბ-ნი იანოვსკი რუსულის ენის სწავლებას საერო სკოლაში იმ საბუთითაც თხოულობს, რომ აქაურებს ჰსურ-

თო რუსულის ენის ცოდნაო. ჩვენცა გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონებაგახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ გარეთ ფეხს გამოვდგამთ.

მაგრამ საქმე იმაშია, ისე მოგვიწყოთ სკოლა, რომ რუსულის ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა იყოს, იმოდენად მაინც, რომ კაცმა ცხოვრებაში და ცხოვრებისათვის გამოიყენოს. ჩვენ თუ გვსურს რუსულის ენის ცოდნა, ისე გვსურს, რომ სულიერი და ხორციელი სარგებლობა მოვიპოვოთ, სხვათა შორის, მის შემწეობითაცა. ამისთანა ცოდნისათვის არამც თუ სამყოფია ის სამის წლის კურსი საერო სკოლისა, რომელიც ბ-ნს იანოვსკის განუზრახავს, არამედ არა ნაკლებ ექვსის წლისა, რომ პირველს სამს წელიწადს საერო სკოლა ჩვენში თვის პირდაპირ დანიშნულებას ემსახუროს განსაკუთრებით და მეორე სამს წელიწადს ის მეტოდა იხმაროს რუსულის საცოდნელად, რომელიც ნაჩვენებია ბ-ნ იანოვსკის წერილში. მაშინ ბავში გონება-დაუჩაგვრელად მომზადებული იქნება არამც თუ უმაღლესის სასწავლებლისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ შინაც ღონისძიება ჰქონდეს განაგრძოს სწავლა, როგორც დედა-ენის შემწეობით, ისეც რუსულითაცა. ამასთან დედა-ენა და რუსული ენა იმოდენად შესწავლული იქნება, რომ, თუ საჭიროა, შინაც გამოიყენოს და გარეთაც.

იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს, იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენში დანიშნული აქვს. ამ ორივე — სულ სხვადასხვა საგნის — შეხვედრა არც ერთს დააყრის ხეირს და არც მეორესა*.

[1881 წ.]

---

* ამ წერილის ბოლო, ჩვენდა უნებურად, მოწყვეტილია.

(ავტორის შენიშვნა)

ჰედაგოგიის საფუძვლები

I

გაზეთებმა მოგვიტანეს ამას-წინათ ამბავი და ჩვენს „ივერიაშიაც“ თავის დროზედ მოვიხსენიეთ, რომ პრუსიაში დედათა სასწავლებლებში შეუნიშნავთ დაქანცვა გონებისა მოსწავლეთა ქალთათვის მეტის-მეტი სწავლებისა გამო. ამის გამო ზოგიერთი ახალი წესები დაუდგენიათ, რომ მოსწავლეთა ქალთა გარჯა და შრომა შემსუბუქებულ ექმნათ. თუ არ მეტი, ესეთივე ქანც-გაწყვეტა სულითა და ხორცითა დიდიხანია შეჰნიშნეს ევროპაში მოსწავლე ვაჟებსაცა და ამის გამო თითქმის მთელი ლიტერატურა შესდგა, ნამეტნავად გერმანიასა და საფრანგეთში, საცა ამ ამბავმა უფრო ძლიერ თავი იჩინა, — და დაანაღვლა, როგორც იქაურნი გამგებელნი სწავლა განათლების საქმისანი, აგრეთვე დედ-მამანიცა.

ჩვენა გვგონია მეტი არ იყოს, გამოვარკვიოთ, ჩვენის შეძლებისამებრ, მიზეზნი ამისთანა საშუხარო ამბისა იმ თხზულებათაგან, რომელთა ავტორნიც მოეკიდნენ ამ საქმეს შესაფერის გულმტკივნეულობითა.

ამ უკანასკნელ ხანებში საპედაგოგიო ლიტერატურაში გახშირდა ხმა-მაღლად ღაღადება, რომ ეხლანდელის სკოლის ყოფა მდგომარეობა ევროპაში თავს არ მოდის და ახალს მოზარდს თაობას სჩაგრავს, რადგანაც ცალ-მხრივია და ცალ-კერძოო. ყველანი ამაზედ თანახმანი არიან, რომ ეხლანდელი სკოლა უფრო იმაზეა მიმართული, რომ რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა აძლიოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წვრთნა, სწორება და გამართვა-კი მთლად უყურადღებოდ არის დატოვებულიო. ამ ცალ-კერძოდ სკოლის მომართვის შედეგზე აი რას ამბობს ერთი ავტორი:

„სამწუხარო სურათი წარმოუდგება თვალ-წინ ყველას, ვისაც არ ეშინიან პირდაპირ შეხედოს მართალს და თვალი თვალში გაუყაროს. თითო-ოროლა მაგალითს გარდა, ეხლანდელი ყმაწვილი-კაცი ჯანით მეტად უძლურია, საშინლად ძარღვ-მოშლილი და მოდუნებული, თითქო სნეულიაო. საკმაოა მცირე რამ დაბრკოლება დახვდეს და მაშინვე უღონობისაგან ხელებს ჩამოჰყრის; გულს უხეთქავს, ხალისს უკლავს

ყოველი საქმე, რომელიც-კი ცოტად თუ ბევრად მხნედ, მედგრად ხელის მოკიდებას ჰთხოულობს, ხანგრძლივს, დაჟინებულს, გულგაუტეხელს ბეჯითობას და გარჯას. არ არის იგი ჩვეული თავით თვისით ისაზროს, იფიქროს და ამის გამო ადვილად ეძლევა უარყოფას ძველისას და სრულიადაც არა ჰნაღვლობს უარყოფილის სანაცვლოდ ახალი რამ ჩააყენოს. ყოველ ამის გამო ეხლანდელი ყმაწვილ-კაცობა დიდად უბედურია და ძალინ იშვიათად შემძლებელია, რომ გონიერად, ჭკვა-დასმით და სასარგებლოდ თავით თვისით გააკეთოს რამ და იღვაწოს. იგი უღონოა თვითმოქმედებისა და მოღვაწეობისათვის.

„ზოგნი ამათგანი, — ამბობს შემდეგ ივივე ავტორი, — და ეს ზოგნი საკმაოდ ბლომად არიან, ნამეტნავად ცოტაოდნად შემძლებელ ოჯახისანი — მთელს თავის სიცოცხლეს იმას ანდომებენ, რომ პროტექციით ლუკმა პური იშოვნონ და სცხოვრობენ პირუტყვსავით დღე-დღეურად, თითონაც არ იციან, რისთვის არიან და სად მიდიან: სჭამენ, სმენ, თამაშობენ ქალალდს, ჰტანციობენ, არშიყობენ, ჰმსახურობენ იმდენად, რომ ჯამავირები იღონ. ეს ჯურა ხალხი მთლად ხელახალებელი ხალხია, ყოვლად უვარგისი, უხეირო, არარაის მაქნისი. ამათ მკვდარი აქვთ ყოველივე ფანტაზია, ყოველივე ახრი, ყოველივე გრძნობა, ნაძირალ გრძნობის გარდა. ცოდნა, სკოლაში მიღებული, ზოგჯერ საკმაოდ ბევრიცა, ამათთვის მეჯი ბარგია და მალე დაებღერტებათ, გაეფანტებათ ხოლმე ცხოვრების გზაზედ.

„სხვანი უფრო ნიჭიერნი — ხელგამომავალნი არიან და ჯერ სკოლაშივე გამოარკვევენ ხოლმე, — რა საქონელსა აქვს გასავალი საზოგადოების ბაზარში ამა-და-ამ-დროს. ამათი ფანტაზია, აღფრთოვანებული ადვილად გამდიდრების ცოცხალ მაგალითებითა, წინ გადუფენს ხოლმე სარჩოიანს გზას ვექილისას, მკურნალისას, ინჟენერისას, არქიტექტორისას, მზვითვიან ცოლის, თუ შემძლებელ ქმრის შერთვისას — ერთის სიტყვით, უხატავს იმ გამორკვეულს იდეალს ხერხიან კაცისას, რომელსაც საგნადა აქვს ადვილად გამდიდრება და მერე მაძღარი განცხრომა გაურჯელად და უშრომელად. ამ ჯურის ხალხი ყველაზედ უარესნი, ყველაზედ მავნებელნი მუქთამჭამელნი არიან და მეტის-მეტად საშიშარნი თავის ქვეყნი-

სათვის, რადგანაც ყოველ წუთს მზად არიან მიჰყიდონ იმისი სვე-ბედი იმას, ვინც მეტს მისცემს“.

რა თქმა უნდა, რომ ავტორი აქ ჰლაპარაკობს უფროს-ერთზე, უმრავლესობაზედ. ვინ იტყვის, რომ თითო-ოროლა სასიხარულო მაგალითიც არ იყოს ეხლანდელს ყმაწვილ-კაცობაში. უამისობა ხომ ქვეყნის უკუქცევა იქნებოდა. ავტორი მარტო უმრავლესობის, უფროს-ერთის უფერულობას, უღონობას გვანიშნებს და ამაში არა გვგონია იგი გაამტყუნოს ვინმემ. იგი ამბობს, რომ:

„ბევრმა ყმაწვილ-კაცმა არ იცის, რა გზას დაადგეს და საით წავიდეს; ამის გამო ყმაწვილი-კაცი სასოწარკვეთილებას ეძლევა, გული უტყდება, აღარაფრისათვის ერჩის. ეს სასოწარკვეთილება და გულის გატეხა ჭკვას უშრობს, გრძნობას უხშობს, უკლავს ყოველს ხალისს მოქმედებისას, რომელსაც მისგან მოელის იმისი სამშობლო და რომლისათვისაც ამ სამშობლოს გაუწევია ღვაწლი იმ იმედით, რომ ჩემის შვილის მოქმედება ოდესმე გამომადგება და ერთი-ორად მაინც მიზღავს ჩემის ღვაწლის სამაგიეროსაო“.

ეს მართლა-და სამწუხარო სურათი ყმაწვილ-კაცობისა ბევრს უდგა თვალ-წინ, მაგრამ — ერთის მწერალისა არ იყოს — ეს ბევრნი ან არ ჰხედვენ ამას, ან ჰხედვენ და მარტო ჰკიცხვენ და ჰკილვენ თითონ ყმაწვილ-კაცობას. აბეზღებენ საზოგადოების წინაშე, სდევნიან და აბრუს უტეხენ, იმის მაგიერ, რომ გულდასმით ჩაუკვირდნენ თითონ მიზეზს, თითონ სათავეს ამ მართლა-და სამწუხარო და მერმისისათვის საშიშარ მოვლენისას. მეცნიერნი, რომელთაც მართალის გულმტკივნეულობით მიუქცევიათ ყურადღება ამ უნუგეშო სურათისათვის, მიზეზს ჰხედვენ ყოველთ უწინარეს იმ საზოგადო წრის უფერულობასა და უვარგისობაში, საცა ნორჩი სული ბავშისა პირველ იღვიძებს და მერე ზრდაში შედის. რასაკვირველია, რომ იმ წრეს, საცა ბავში პირველ ხანიდამვე ჰტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ. ბავშის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავში და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ-საზით, არავითარი ეჭვია, რომ თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზედმოქ-

მედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ. ხოლო არის მეორე საგანიც, რომელსაც, თუ არ მეტი, ნაკლები ზემოქმედება არა აქვს ადამიანის ავ-კარგიანად გამოსვლაზედ. ეგ მეორე საგანი სკოლაა. ევროპაში ან მხრით გამოიძიეს ეს ეხლანდელის სკოლის ყოფა-მდგომარეობა და ერთს დიდს ბრალს იმ სამწუხარო ამბისას, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, თითონ სკოლის ეხლანდელს ყოფა-წყობილებასა სდებენ.

რა-გვარია ეს ბრალი და რამოდენად საბუთიანია — ამას შემდეგს ნომერში ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

II

ჩვენს წინა-წერილში იმაზედ ვლაპარაკეთ სიტყვა, თუ, — მეცნიერნი რა-გვარს ბრალსა სდებენ ეხლანდელს სკოლას და რამდენად საბუთიანად უკიჟინებენ, რომ თავის დანიშნულებას არ ასრულებსო. ვიდრე ამ ბრალის და საბუთების ჩამოთვლას შევუდგებოდეთ, ჯერ პირველად საჭიროა ვიცოდეთ — რა უნდა მოეთხოვებოდეს სკოლას. ამის პასუხად ბევრს გამოუთქვამს აზრი და ყველა ეს აზრი, სხვადასხვაფერად გამოთქმული, ერთს საფუძველზეა აგებული, ერთის სათავიდან წარმომდინარებს. ეს საფუძველი, ეს სათავე ის არის, რომ სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთვნიდეს კიდეც ბავშსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადამბული უნდა ვიდოდეს სკოლაში.

წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს — სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა-კი — გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე. საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებელობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია. ეს ყველამ იცის და, გვგონია, ბევრსაც თავის თვალით უნახავს და გამოუცდია. რაც უნდა იყოს კაცი ავი, როცა მხო-

ლოდ სწავლულია და არა ზნე-ხასიათ გაწურთვნილიცა?

საკვება ერთობ აღამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობითა და უხასიათობით არის ავი ზნეუწრთვნელი სწავლული კაცი.

ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწრთვნელი. ხოლო ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა, და ამიტომაც ჩვენა გვგონია, რომ თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა ჰშველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და ჰგვებს.

რასაკვირველია, ზნე-ხასიათის წარსამატებლად წურთვნას სკოლაში თავისი საკუთარი გზაცა აქვს, თავისი საკუთარი სახსარიცა. ამ შემთხვევაში დიდად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს გამგეობას სკოლისას საერთოდ და ოსტატს და მოხელეს ცალკე. ამ შემთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა. ერთს მშვენიერს ამბავს გვიამბობს ერთი მწერალი მასზედ თუ, — წინდახედულად და გონიერად მოქცევა ოსტატისა რის შემძლებელია ზნე-ხასიათის წურთვნისათვის. თუმცა გრძელია ეს ამბავი, მაგრამ ისე კარგი რამ არის, რომ გვსურს სულ ამოვწეროთ და მით ვასიამოვნოთ ჩვენს მკითხველებსა. აი ის ამბავი:

„იმის დასამტკიცებლად თუ, — რა-რიგად ლბილია ბუნება

ბავშისა და რა ადვილად შესაძლოა ბავშს შთააგონოს კეთილი, თუ გონება-გახსნილი კაცი ხელსა ჰკიდებს საქმეს და სიყვარულით ეძღვება თავის დანიშნულებას, შემდეგი მომხდარი ამბავია. ამ რამდენისამე წლის წინათ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გაათავა უნივერსიტეტი თუ არა, ოსტატის თანამდებობა მიიღო ერთ სასწავლებელში. პირველი გასაკვეთი ერგო საშუალო კლასში, საცა უფრო მოზრდილნი შეგირდები არიან, ესე იგი ბავშობიდამ ყრმობაში გადამდგარნი. ამ ხანში ყმაწვილები უფრო ცელქები და მოუსვენარნი არიან. დირექტორმა აუწყო ბავშებს ახალის ოსტატის ვინაობა, თითონ ოსტატმაც ორიოდე ტკბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს. გასაკვეთის ახსნის დროს დასჭირდა კლასის დაფაზედ წერა. როცა წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ზურგშექცეული იქნებოდა და შეგირდებს ვერა ჰხედავდა. ამ დროს დაფას მოხვდა და ზედ დააჯდა დაღეჭილი ქაღალდი, რასაკვირველია, ერთ-ერთის შეგირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არც-კი მოიხედა და განაგრძო წერა, მითამ-და საყურადღებო არა მოხდა-რაო. როცა გაათავა წერა, მოუბრუნდა შეგირდებს და უთხრა: „ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი გასაკვეთია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ. სამართალსა ვთხოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინიდისსა. აბა იფიქრეთ,— მას შემდეგ, რა უპატიურებაც მომაყენა ერთმა თქვენგანმა,— რა გამწარებული გრძნობა უნდა გამყვეს მე თან თქვენის კლასიდამ, საცა ჩემს სიცოცხლეში პირველად დავიწყე სწავლება შეგირდებისა. მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში. რა საჭიროა!.. დეე განიკითხოს ის იმისმავე სინიდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის გამაუპატიურებელის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი.

იქნება, თქვენის სიყვარულის ღირსი გამოვდგე. ჯერ გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ. დიაღ, ბატონებო, სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოსვლა საპედაგოგიო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო. ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი რომ შევიტყო, — ვინ იცის,

მეც კაცი ვარ — იქნება გულში იმისი ჯავრი ჩავიყოლიო და ჯავრმა ცოტად თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს“.

„როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, შეგირდებში ჩუმი ჩოჩქოლი ასტყდა. დაიწყეს აქეთ იქით ჩურჩული, ერთი მეორეს რაღაცას ეუბნებოდა, მეორე მესამეს და ეგრე მთელს კლასს აცნობეს ერთმანეთის გულის-პასუხი. ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოსტატს: „ნება მომეცით მე, მოვითხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ: ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვაპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანისა“. ოსტატმა სიხარულით მიიღო ბოდიში და გამოუცხადა, რომ სამუდამოდ დავიწყებას მივეცი ეს ამბავი და გულიდამ ამოვიღეო. ამ დღის შემდეგ ამ ახალგაზრდა ოსტატის საქმე ისე კარგად გაიმართა, რომ უკეთესი არ უნდოდა: ძალიან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა თავის შეგირდებისავან მთელს ხუთსავე კლასში, რომელშიაც ივი ასწავლიდა“.

ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისა, თუ სხვა რისამე ამისთანისა.

ჩვენ ამ ამბავმა მეტად გაგვიგრძელა წერილი და რაც სათქმელი გვქონდა, იმასაც გადაგვახვევინა. ჩვენა გვგონია, რომ ამით ბევრი არა დაშავდა-რა და თუ დაშავდა, ვეცდებით, შემდეგში დანაშაული ვიპატივოთ.

III

ჩვენ წინა-წერილში ლაპარაკი გვქონდა ზნე-ხასიათის წრთვნაზედ. ხოლო რა არის ეს ზნე-ხასიათის წრთვნა, ეს კი ვერ ავხსენით. ამის ახსნას დიდი გამოძიება უნდა და ჩვენთვის კი ამ-ჟამად საკმარისი იქნება ვსთქვათ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წრთვნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა. ამიტომაც

ზნე-ხასიათის წრთვნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარის წვრთნისა, ზრდისა და განათლებისა.

სხვანი ამაზე უფრო შორს მიდიან და, — სწორედ მოგახსენოთ, — არც უსაბუთოდ. ეს სხვანი ამბობენ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა არამც-თუ უდიდესი, არამედ ერთადერთი საგანია სკოლისა, მისი პირველი და უკანასკნელი დანიშნულებაო. სკოლას ამის მეტი სხვა არავითარი საგანი არ უნდა ჰქონდეს და ყოველი ღონე ამას უნდა მიჰმართოს და მოახმაროსო. კაცს თუ ღონე აქვს გამოირკვიოს პატიოსანი საგანი ცხოვრებისა და, ვითარცა გამორკვეულის საგნის კაცი, ქვეყანაში იყოს ერთი რამ კეთილი თავით თვისით, მისი სულიერი ვინაობა სასურველად დადგენილია და გამართული. აი სწორედ ეს ღონე და ხერხი გამორკვევისა, პატიოსანი წყურვილი და ხერხი ქვეყანაში ერთ რამედ ყოფნისა უნდა კაცს შესძინოს სკოლამ. ამისათვის უნდა იწრთვნებოდეს კაცი სკოლაში. უამისოდ იგი არაფრის მაქნისია, რაც უნდა ბევრი სწავლა და ცოდნა ჰქონდეს, იმიტომ რომ უამისოდ იმისი სწავლა-ცოდნა უქმი საუნჯეა და თითონ კაცი დაკეტილი ზანდუკია უქმად მდებარე საუნჯისა.

ამიტომაც თითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წვრთნას, ამ ერთად-ერთს საგანს თვისას, გაუძღვეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისა.

დღეს ყველასაგან ცხადად დანახულია, რომ ვერც ერთი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, იმოდენა სავსებით ცოდნას ვერ იძლევა, რომ კაცი მართლა მეცნიერი და სწავლული იყოს, ამ სწავლა-ცოდნაზე შეყენებული და გაჩერებული. ეს ამბავი მით უფრო საბუთად სახმარია, რომ ეხლანდელი სკოლა, თუნდა უნივერსიტეტი, მარტო სწავლა-ცოდნის შეძენაზეა მიმართული და აგებული და სხვა არაფრისათვის არ აცლის არც მასწავლებელს, არც მოსწავლესა.

თუმცა ასეა, მაგრამ ჩვენ არც ერთი კაცი არ გვახსოვს, რომ უნივერსიტეტიდამ, თუ სხვა სკოლიდამ გამოსვლის უმალ თავი ეჩინოს მეცნიერებასა და სწავლა-ცოდნაში. ვისაც თავი

ჟჩენია, იმას სკოლის, უნივერსიტეტის შემდეგ უშრომია და ეს შრომა იმით ჰქონია გაადვილებული, რომ სკოლას, უნივერსიტეტს, — ჰქონია ფიქრად, თუ არ ჰქონია, — მაინც ასე თუ ისე უცნობებია, უსწავლებია, სად და როგორ გაივნოს სწავლა-ცოდნის, მეცნიერების გზა. ამ სახით, თუმცა ეხლანდელს სკოლას განსაკუთრებულ საგნად სწავლა-ცოდნის შეძენა აქვს, მაგრამ ამ საგანს ამაოდ ებღაუჭება და ვერა გზით ვერა სწვდება. ვიმეორებთ, თუ დღეს მეცნიერნი და სწავლულნი არიან, მარტო იმით, რომ სკოლისა და უნივერსიტეტის შემდეგ თითონ თავით თვისით შეუძენიათ სწავლა და ცოდნა.

მაშასადამე, სკოლამ ისე უნდა ამზადოს და სწურთვნოს, რომ კაცს ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს ერთ რამე ყოფნისა ქვეყნის სასარგებლოდ; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, პატიოსანი რამ საგანი ცხოვრებისა იქონიოს; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, ყოველ ამისათვის მოიპოვოს შესაფერი სწავლა-ცოდნა. ეგრე მოწყურებული, გაღონიერებული და ხერხიანი კაცი არავითარს სიძნელეს საქმისას არ შეუშინდება, არ შეუდრკება და ზნე-ხასიათობაც ეს არის.

ეხლანდელი სკოლა-კი სულ სხვა საგანს მისდევს და ეს ზნე-ხასიათის წვრთნა თავმინებებულია. ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს. ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომაც არც კაცად ღა ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ. ამიტომაც სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე-და-დღე ეკარგებათ, როგორც მეტი რამ.

„ესეთი ყოფა და მიმართულება ეხლანდელის სკოლისა, — ამბობს ერთი მეცნიერნი: — ერთი უსაშინელესი და უდიდესი ცდომაა ადამიანის ყოველ სხვათა ცდომათა შორის. ყმაწვილის ნორჩს გონებას ვტვირთავთ, საბარგულედა ვხდით რიცხვით აუარებელ და მრავალფერ ცოდნისათვის, იმისდა გამოურკვევლად თუ, — რა აზრით ვშვრებით ამასა. იმის მაგიერ რომ ბუნებისამებრ ვზარდოთ, ვწურთნოთ სული, ჩვენ მარტო იმასა ვსცდილობთ, რომ ბავშვს გავუგეშოთ მხოლოდ ნიჭი გონებისა და ხსოვნა ციფირებისა, სახელებისა, წელიწა-

დებისა, სამათემატიკო ფიგურებისა, საგრამატიკო ფორმებისა. ამას ჩვენ ისეთის ახირებითა ვსცდილობთ, იმოდენად რიცხვით ბევრს და დიდის საწყაოთი ვუწყავთ, რომ ბავში მთლად იქანცება ხორცით, აღარა აქვს დრო თავის ბუნებურ თვისების თავის თავად გახსნისა და წარმატებისათვის, არც იმისათვის, რომ ამ აუარებელ სასწავლებელ საგნებ შორის გამოარკვიოს, გაიგნოს რამ. შესვენებისათვისაც-კი აღარა რჩება დრო თავისუფლად მიეცეს ფიქრსა უიმისოდ, რომ ზედ არ დასცქეროდეს დაუძინებელი, გულის ასარევამდე მოძულებული ოსტატი, ანუ ზედამხედველი".

„ასწავლიან გრამატიკას, არითმეტიკას. გეოგრაფიას, ისტორიას,— ამბობს სხვა მწერალი: — და უმთავრესს აზრს, უმთავრესს საგანს სკოლისას კი ივიწყებენ, სახელდობრ, იმას, რომ სკოლამ უნდა უშველოს, ღონე მისცეს შეგირდის ზნე-ხასიათს თავის-თავობა იჩინოს და გაიწურთვნოს წარსამატებლად და განსავითარებლად".

„თუ ამ გზით არა ჰშველის სკოლა შეგირდსაო, — ამბობს იგივე: — მაშინ აღარც იდეალია, აღარც ღონეა თავდამჭერი ავში და წამახალისებელი კარგში და საკუთრივ ამაებისაგან კი დაიწვნის ხოლმე უკეთესნი თვისებანი ადამიანის ზნე-ხასიათისანი, სახელდობრ: კაცთმოყვარეობა და სამართლიანობაო".

მართალიც არის. კაცურის კაცობის თავი-და-თავი ღირსება ეს ორი გრძნობაა: თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თვითოეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის-მომქმედიც იქნები, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. შეძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი, — სხვას ამის მეტს არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა, და სკოლამ სწორედ ამისთანა შვილი უნდა გაუზარდოს ქვეყანას, ამისათვის გაუხსნას გონება, ამისათვის გაუღოს გული.

ეს ამისთანა აზრი სკოლის მოვალეობაზედ ახალი ამბავი არ არის. ამის სათავეს საშუალო საუკუნოებში ვპოულობთ და მაშინდელ დიდ ბუნებოვან კაცებს არა-ერთხელ წარმოუთქვამთ, თუ რა ახირებულია კაცობრიობა ყოველ იმაში, რაც

ერთხელ დაუჩემებია, ამას გვიმტკიცებს ამ აზრის ისტორია: აბა, ამ ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში გაღვიძებულს აზრს ამ მეცხრამეტე საუკუნეშიაც თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაუჭერია.

შემდეგს ნომერში ამ ისტორიას ვუამბობთ ჩვენს მკითხველებსა.

IV

მოკლედ რომ მოვსჭრათ, რაც გრძლადა ვსთქვით ეხლანდელს სკოლაზედ, გამოვა, რომ დღევანდელს სკოლას სახეში აქვს მარტო ჭკვა-გონების წარმატება და გაძლიერება, თუმცა ბევრს შემთხვევაში საქმე ისე მიჰყავს, რომ ვერც ერთსა სწვდება და ვერც მეორეს. ეხლანდელი სწავლა-ცოდნა სკოლისა თუმცა ჰშველის კაცს გონების თვალით დაანახვოს და გონებისავე ყურით გააგებინოს, რაც კაცის გარეშემო არსებობს და თავს იჩენს, მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არა ჰმოქმედობს. ამიტომაც დღევანდელს დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვდეთ, — კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრნი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა.

ამას ნათლად გვიხატავს მეცნიერი ვესსიო. რომელიც ამბობს:

„ბერძნებსა და რომაელებს ფილოსოფოსი ასწავლიდა,— ასე რომ ვსთქვათ — ქუჩაში, ყველგან ეჩვენებოდა მთელის თავის შეგირდების კრებულითა, ცხოვრებას ცხოვრებაშივე აკვირდებოდა, უხსნიდა და განუმარტავდა მისთა მოვლენათა, ესაუბრებოდა და ეკამათებოდა ხალხსა, ერთის სიტყვით, საზოგადო, საყოველთაო მოღვაწე იყო. ეხლა ფილოსოფოსი განსაკუთრებულად მწიგნობარი კაცია, უფრო ხშირად მეთეორიეა. ჩვენ იშვიათად შეგვხვდება ხოლმე მოსმენა მისის ცოცხალის სიტყვისა, უფრო იშვიათი შემთხვევაა მისი საუბარი ჩვენთან. უფროს-ერთი მარტო იმათს თხზულებას ჰკითხულობს, ისიც მაშინ, თუ ფილოსოფოსმა გვაღირსა და საქვეყ-

ნოდ გამოამჟღავნა თავისი სისტემა. ძველთა ფილოსოფოსთა მიმდევარი შესაძლო იყო გეცნათ მისის ცხოვრებისაგან, იმიტომ რომ სტოიკად, თუ სოფისტად ყოფნა ჰნიშნავდა, რომ ცხოვრებითაც სტოიკია, ანუ სოფისტი. ეხლანდელს დროში კი არამც-თუ მე, ან თქვენ გამოვიცნობთ, რომ ჩვენი ნაცნობი პოზიტივისტია, არამედ შესაძლოა თითონ ორმა პოზიტივისტმა, რაც უნდა ხშირად ინახულონ ერთმანეთი, ერთმანეთსვე ვერ გაუგონ, რომ ერთისა და იმავე ფილოსოფიურ სისტემის მიმდევარნი არიან. ეხლანდელს ფილოსოფიას აქვს საქმე მარტო ჭკვა-გონებასთან და ცხოვრების მოვლენათა გაგებასთან ადამიანის მიერ, არც ადამიანის საქციელზედ-და მოქმედობს, არც არკვევს და წინ უძღვის ადამიანის თვითმოღვაწეობას".

ამ-საბით, ჯერ ძველ დროშივე სცოდნიათ, რომ სწავლა-ცოდნა სკოლაში ზნე-ხასიათის საწურთველ ღონედ უნდა იხმარებოდეს და არა იქმნას მარტო თავის-თავად სანუგბარი რამ, თავის-თავად სანატრელი. ამ აზრმა ძველის დროისამ უფრო მეტის გარკვევით, უფრო მეტის სიცხადით თავი გამოიჩინა საშუალო საუკუნოებში, საკუთრივ მაშინ, როცა ეგრეთწოდებულს სჭოლასტიკას საძირკველი შეერყა და მოძღვრება „ჰუმანობისა" წამოდგა ფეხზედ. ეს ხანა ისტორიისა გამოჩენილია მით, რომ ადამიანის ჭკვა-გონება დიდად გაძლიერდა, მრავალი რამ შეიგნო და ისწავლა ბერძნებისა და რომაელების მწერალთა ნაწერებისაგან და მრავალი რამ აღმოაჩინა. ყველაზედ უდიდესი აღმონაჩენი ამ დროისა, — მიშლესი არ იყოს,— ადამიანია, ესე იგი, ამ საუკუნემ ახალის თვალით მიახედა კაცობრიობა ადამიანის ღირსებაზედ და იმის არსებობის საგანზედა.

„ჰუმანობის მოძღვრება იმაში მდგომარეობსო, — ამბობს ერთი მწერალი: — რომ ადამიანი შეჰხაროდეს ცხოვრებას, ელინებრ სიხარულის თვალით უყურებდეს; იმაში მდგომარეობს, რომ კაცის ადამიანური ღირსება ღრმად პატივცემულ იყოს და არა-ნაკლებ ღრმადვე ჩანერგული რწმენა გვქონდეს, რომ ყოველი ღონე და ნიჭი ადამიანის ბუნებისა აუცილებლად საჭიროა განვითარებულ და წარმატებულ იქმნას ერთიანად და გამოუკლებლივ".

ეს პატივისცემა ადამიანის ღირსებისა დაიწერა თავის

დროშაზედ ჰუმანობის მოძღვრებამ და ეს მოძღვრება გარკვევით გამოსთქვა მაშინ ერთმა იტალიელმა ჰუმანისტმა პიკოდელა-მირანდოლამ, 1486 წელსა. ამ პიკოს სიტყვით, — აი რას უბრძანებს ღმერთი პირველს კაცს ადამსა:

„მე შენთვის, ადამო, არავითარი სამუდამო ბინა და სადგური არ მომიცია, არავითარი სამუდამო და უცვალებელი საქმე არ ამიჩენია. ეს იმისთვის, რომ საცა შენ გიამოს, იქ იცხოვრო, რაც გინდოდეს, ის საქმე აიჩინო. მე შენ არც სასიკვდილოდ გამიჩენიხარ, არც უკვდავად დამინიშნიხარ. ეს იმისთვის, რომ შენ თითონ იყო შენის თავის მკეთებელი და ისეთი სახე მიიღო, როგორც შენ თითონა გსურს: შენ შეგიძლიან პირუტყვადინაც ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზადინაც ზე ახვიდე".

კაცმა რომ ჩაიხედოს ამ სტრიქონებში და ამასთან უნარიცა ჰქონდეს, გამოსარკვევი გამოარკვიოს და დასანახავი დაინახოს, ჩვენთან ერთად იტყვის, რომ ამაზედ მარტივად და ამაზედ ნათლად ძნელია კაცმა გამოსთქვას-ღა, როგორც ადამიანის არსებობის საგანი, ისეც ადამიანის ღირსება.

ჯერ ეს პიკოს სიტყვა არ იყო თქმული, როცა იტალიაში დაიძრა აზრი, რომ სკოლა აგებულ იქმნას ჰუმანობის მოძღვრების მიხედვითა. ამისი პირველი მცდელობა იყო პადუელი ჰუმანისტი ვიტტორინო დე-ფელტრე, რომელიც ახალის პედაგოგიის მამად ითვლება დღესაც.

ამისი ამბავი და სხვაც დანარჩენი შემდეგისათვის გადიდვას.

V

ვიტტორინო დე-ფელტრე*, რომელიც, — როგორც წინათა ვსთქვით, — პედაგოგიის მამად ითვლება, ერთის ღარიბის ოჯახის შვილი იყო ვენეტიკის სამფლობელოში და დაიბადა 1378 წელსა. იმის ყრმობის დროს ერთი აქა-იქ მოარული ოსტატი იყო რიტორიკისა და ლათინურის ენისა, მეტად სახელგანთქმული. ეს იყო ჯიოვანნი დერავენნა. პირველდაწყებითი

* ეს ცნობები თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოვსწერეთ, ცოტა კი შემოკლებით, თხზულებიდამ: „პედაგოგიური თეორიები განახლების ეპოქისა".

სწავლა-განათლება ვიტტორინომ ამისაგან მიიღო. მერე პადუის უნივერსიტეტში გადავიდა და საოცარი წყურვილი ჰქონდა მათემატიკა ესწავლა. ხოლო გროში არა ჰქონდა ფული ეძლია მათემატიკის ერთად-ერთ მასწავლებელისათვის პადუაში, ბიაჯიო პელაკანისათვის, აიღო და მოსამსახურედ დაუდგა და მოსამსახურობით გასამრჯელოს უხდიდა თავის ოსტატსა.

მალე შეატყო ვიტტორინომ, რომ ბიაჯიო ვერაფერი ოსტატია და ამისაგან ვერას გამორჩება. დიდის ნიჭის პატრონი და ამასთან ცოტაოდენ სწავლა-განათლებით გზა-კვალ-გახსნილიც, ვიტტორინო განშორდა ოსტატს და თითონ მარტოკა შეუდგა საყვარელის მეცნიერების სწავლასა. მალე ისე გაიმართა და ისე ისწავლა, რომ თვითვე შეეძლო ესწავლებინა მათემატიკა სხვისათვის. 1414 წელს ვიტტორინომ ვენეტიკაში ოსტატობა დაიწყო: აიყვანა რამდენისამე დიდკაცის შვილი სასწავლებლად ფულით და ღარიბებს-კი მუქთად ასწავლიდა. 1418 წ. რიტორიკის პროფესორადაც შეიქმნა. ამ პროფესორობაში ისე გაითქვა სახელი, რომ მანტუის ჰერცოგმა ჯიან ფრანჩესკო ჰონზაგომ მიიწვია თავის შვილების აღმზრდელად. ჰერცოგმა მშვენიერი სადგური მისცა ტბის პირას, ქალაქზედ მოშორებით, და 1425 წ. ვიტტორინო აქ დაბინავდა ჰერცოგის შვილებითა და მათის ტოლამხანაგებითა დიდკაცთა შვილთაგან. თუმცა ეს სკოლა მარტო ჰერცოგის და მის დარბაისელთა შვილთათვის დანიშნული იყო, მაგრამ ვიტტორინომ ეს არ შეიწუნარა და იგი მანტუის სკოლა საყოველთაო სკოლად გადაიქცა. ამ-სახით, სკოლის კარი გაიღო ყველა წოდების შვილთათვის, როგორც მდიდართა, ისეც ღარიბთათვის. ხოლო ღარიბთათვის სკოლის მახლობლად გაჰმართა ცალკე სადგური, საცა იგი აჭმევდა, ასმევდა, აცმევდა და აძლევდა ყოველისფერს, რაც სკოლაში სახმარად საჭირო იყო.

ჩვენ ეს მანტუის სკოლის მოკლე ისტორია იმიტომ მოვიხსენიეთ აქ, რომ იგი ერთი უძველესი საშუალო სასწავლებელი იყო ევროპაში, რომელმაც ყველაზედ უწინ საფუძვლად და სათავედ დაიდო ახალი მოძღვრება ჰუმანურობისა, ვიტტორინოს მეთაურობითა. ვიტტორინოს იდეალად, ანუ მაგალითად, ჰქონდა ათინური „გიმნასიი“, საცა ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჰკვა-გონების განვითარებასა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-

ხორც-ჯანის გამაგრებასა და გაღონიერებაზედ. ხოლო მისაღწევი საგანი კი ვიტტორინოს სკოლისა ზნე-ხასიათის გაწვრთნა, დამთავრება და დადგენა იყო. ამიტომაც სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზედ ვარჯიშობა ერთი-ერთმანეთს რიგრიგად მოსდევდა. ყოველ დღეს, დანიშნულს საათს, რაც გინდ ტაროსი ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ სრბოლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში, ზოგჯერ ნადირობის და თევზაობის ნებასაც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანხლებით ყმაწვილებს სამგზავროდ ისტუმრებდა კარგა შორს, ზოგჯერ ალპიის მთებშიაც.

თუმცა სწავლების სახსრად ძველი ენები იყო, ბერძნული და ლათინური, რომელთაც თითონ ვიტტორინო ასწავლიდა უფროსს კლასებში, მაგრამ მარტო იმისთანა კლასსიკებს აკითხებდა, რომელთაც შეეძლოთ ემოქმედნათ ყმაწვილების ზნე-ხასიათის გაწრთვნასა და გამართვაზედ. ამ კლასსიკების სწავლებასთან ერთად მხარ-და-მხარ ასწავლიდა მათემატიკას, რომელიც ვიტტორინოს მიაჩნდა გონებისათვის უკეთესს სავარჯიშოდ.

ვიტტორინო სულითა და გულით მიეცა თავის სკოლას და ყმაწვილებს ისე ექცეოდა, როგორც მამა შვილებსა. სკოლას შესწირა თავისი საკუთარი ბედნიერება: არ მოეკიდა არც ოჯახს, არც ცოლ-შვილიანობას. როცა მეგობრებმა ურჩიეს, ცოლი შეირთე და შენისთანა შვილები დაუტოვე შენს ქვეყანასაო, იმან უპასუხა, რომ უმაგისოდაც საკმაო შვილები მყვანან სკოლაშიო.

მაგრად იდგა რა პლატონ ფილოსოფოსის თქმულზედ, რომ თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდესო უტყეპ-უცემლად, ვიტტორინო უძღვებოდა თავის შეგირდების წრთვნას მაგალითითა და ჩაგონებითა და მარტო ძალიან იშვიათს შემთხვევაში ჰხმარობდა ხორცთა სასჯელსა. როცა ამ გზით საქმის სვლამ დაანახვა, რომ საქმე კარგად მიდის, მან სამუდამოდ და უკუ-დაუბრუნებლად განაძევა თავის სკოლიდამ ხორცთა სასჯელი. სკოლის რიგი და წესი მარტო თავის-თავის ზნეობურს გავლენაზედ დაამყარა ამ საკვირველმა კაცმა, რომელზედაც მისი თანამედროვე ამბობს, რომ იგი იყო ზეგარდმო ღვთაებურის მადლით ცხებულიო. მხია-

რულად და ხალისიანად მიდიოდა სკოლის საქმე, ასე რომ თითონ სკოლას „მხიარული სახლი“ დაერქვა სახელად.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვიტტორინოს სკოლა უნაკლულო იყო. ბევრი რამ აკლდა და ვრცლად რომ აგვეწერა, იქნება დაგვენახა ზოგი რამ მეტიც, ხოლო ჩვენ თუ ეს ამბავი მოგვყავს, მარტო იმისათვის, რომ ვიტტორინოს აზრი, მაშინდელის სკოლის საფუძველად დადებული, მხოლოდ დასაწყისია, ფეხის ადგმაა ახალის საპედაგოგიო თეორიისა, მაშასადამე, ვიტტორინოს მოქმედებას სასკოლო სარბიელზედ ისე უნდა ვუყუროთ, როგორც დვრიტას, რომელიც მერე და მერე გაღვივდა, როგორც კვირტს, რომელიც მერე და მერე გაიშალა და გადაიხსნა სხვათა მეცნიერთა შემწეობითა.

VI

„ივერიის №№92 — 96 მეთაურების საგნად*) ავიღეთ ეხლანდელის სკოლის ვითარება საზოგადოდ და ვსთქვით, რომ ერთი უდიდესი ნაკლულოვანება ის არის, რომ ეხლანდელს სკოლას აზრადა აქვს, რაც შეიძლება ბევრი სწავლა-ცოდნა შესძინოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წურთვნას-კი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ამ სწავლა-ცოდნასაც ისეთის დიდის საწყაოთი იძლევა, რომ მოსწავლე ძლივ-ძლიობით ასდის, სულით და ხორცით იქანცება, არაჭათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯან-გალეული კაცი გამოდის სკოლიდამ. ამ-სახით, ეხლანდელი სკოლა მიმართულია მარტო გონების აღტაცებაზედ და სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისას არამც-თუ ჰშველის, არამედ სჩაგრავს და ჰხუთავს.

ეს შეჰნიშნეს მეცნიერთა და კაცთმოყვარეობით გამსჭვალულებმა ამ დიდის შეცდომის გასწორება მოისურვეს. დედა-

*) ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ დღეს ისევ ძველს ამბავს უნდა დავუბრუნდეთ. მაშინ დავიწყეთ და ვეღარ შევასრულეთ სხვადასხვა მიზეზებისა გამო და რაც დაგვაკლდა, ეხლა გვსურს შევავსოთ. [ავტორი აქ გულისხმობს ამ წერილის პირველ ხუთ თავს, რომლებიც დაიბეჭდა 1886 წლის ივერიის №№92 — 96. რ ე დ.].

აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს. ეს დედა-აზრი, რომელსაც ეხლანდელნი მეცნიერნი ჰლამობენ დაუდვან სკოლას, ახალი ამბავი არ არის. მაგ დედა-აზრის სათავე ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში მოიპოვება, სახელდობრ, ეგრეთ-წოდებულ „განახლების ეპოქაში“, როცა თავი იჩინა ჰუმანობის მოძღვრებამა. პირველი კაცი, რომელმაც ჰუმანობის მოძღვრებაზე ააგო სკოლა, იყო იტალიელი ვიტტორინო დე-ფელტრე. ამ კაცის მოკლე ისტორია და იმისი საპედაგოგიო საფუძველი უკვე მოვახსენეთ მკითხველს „ივერიის“ №96-ში.

ეს მამამთავარი პედაგოგიისა ისე აღსრულდა, რომ ერთი სტრიქონიც არ დაუწერია ახალ პედაგოგიის შესახებ. იგი მარტო საქმით მოქმედობდა და ამბობდა, რომ კარგად მოქმედება სჯობს კარგად წერასაო. ხოლო იმისი საქმით მოძღვრება უნაყოფოდ არ დარჩა. იმის დროს სცხოვრობდა ორი სხვა მეცნიერი, პადუის პროფესორი პაოლო ვერჟერიო და რომის პედაგოგი მატტეო ვეჯიო. ვიტტორინოსაგან საქმით მოძღვრებულნი საფუძველნი ახალის პედაგოგიისა ამათ სამეცნიერო წესსა და რიგში ჩააგდეს და თვითეულმა მათგანმა საკმაოდ გამოჩენილი თხზულება დასწერა. ამ-სახით, ეს ორი კაცი შეიქმნა მეცნიერულად დამფუძნებელი ახალის პედაგოგიისა. ამათი ნაშრომი იმითია გამოჩენილი, რომ თვალსაჩინოდ, თვალნათლად გამოთქმულია დედა-აზრნი ახალის საპედაგოგიო სისტემისა, წარმომდგარნი ჰუმანობის მოძღვრებისაგან.

ვერჟერიო თავის თხზულებაში სკოლის საფუძვლად სდებდა ამ ოთხს დედა-აზრსა: ა) საგანი აღზრდისა ის არის, რომ თავის რიგსა და წესზედ წარმატებულ იქმნას ყოველნი ძალნი და ნიჭნი ადამიანისა, როგორც გონებითნი, ისე ზნეობითნი, როგორც სულიერნი, ისე ხორციელნი. ბ) სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას არა მარტო ასაკი და წლოვანება მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი. გ) რადგანაც ბავშის ცოცხალსა, მკვირცხლსა და ადვილად აღმბეჭდავ ბუნებაზედ ცოცხალი მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედობს, ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება, ამი-

ტომაც ყველაზედ უკეთესი ღონე ის არის, რომ მოწაფეს წინ გადუშალოს ოსტატმა ცხოვრება დიდ-ბუნებოვანთა კაცთა, რომელნიც ასე ბევრნი მოიპოვებიან ძველს დროში. დ) სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალთა მეცნიერებათა შესწავლაზედ. ამ მეცნიერებათა სათავეში სდგას ფილოსოფია, რომელიც ადამიანს გონებითად თავისუფალ ჰხდის. მას მოსდევს მეცნიერება მჭევრმეტყველებისა, რომელიც ასწავლის კაცს აზრის ნათლადა და ლამაზად გამოთქმას. მერე მოდის ბუნებისმეტყველება, რომელიც გვაგებინებს ჰარმონიას ყოველ მისას, რაც არსებობს, და ბოლოს ისტორია, რომელიც მოგვითხრობს სვლას და განვითარებას მეცნიერებისას და მრავალს სასარგებლო მაგალითს თვალ-წინ გვიყენებს.

როცა ვერჟერიო ამაებზედ ლაპარაკობს, ბევრს ეხლანდელ დროისათვისაც სასურველს აზრსა და ჭეშმარიტებას ამბობს. მაგალითებრ, იგი ამბობს, რომ ჭკუაგონება მოწაფისა უფრო წარმატებაში შედის მაშინ, როცა ერთს რომელსამე თხზულებას საფუძვლიანად ისწავლის, ვიდრე მაშინ, როცა ხელ-და-ხელ და გაკვრით გადააბულბულებს მრავალსაო. გადამეტებული ცოდნა წვრილმანებისა მეტის მეტად ამძიმებს მოწაფის გონებასა, ჰქანცავს და ჰღალავს ყმაწვილსა იქამდე, რომ ბოლოს დაბოლოს სამუდამოდ აუძლურებს და ასუსტებს. როგორც უწესურობა, ისე მეტის-მეტი მკაცრი წესიერება (დისციპლინა) სკოლაში ერთნაირად მავნებელიაო. პირველ შემთხვევაში სული და გული, ერთობ ბუნება და გუნება მოწაფისა აღვირაშვებულია, გაქსუებულია, მოწაფეს ეკარგება ღონე თავდაჭერისა და უნარი, ხალისი გარჯისა და შრომისაო; მეორე შემთხვევაში გატანჯული და დაშინებული მოწაფე ყოველს მხნეობასა ჰკარგავს, ნიჭი თაოსნობისა და თვითმოქმედობისა უკვდება, იმიტომ რომ ვისაც ყველაფრისა ეშინიან, ის უღონოა რაიმე საქმეს შეუდგეს თავისითაო.

უფრო მეტის საბუთიანობით და სისტემით გამოჩენილია მეორე მეცნიერის ვეჯიოს თხზულებაო, ამბობს ავტორი, რომლის თხზულებიდამაც ამოვკრიბეთ ჩვენ როგორც ეს ცნობანი, ისეც წინანდელნი. ეს მისი თხზულება ახალი პედაგოგია არისო, — ამბობს იგი ავტორი, — და ბავშის აღზრდას დაბადების დღიდანვე თანა სდევსო. ვეჯიო მთელის თავის

ძალღონით ეწინააღმდეგება იმ ჩვეულებას, რომ შვილებს ძიძას აზრდევინებენ და ცხარედ იღვწის, რომ დედამ თითონ აწოვოს შვილსა. წესიერად და მართალის გზით განვითარება და წარმატება სულისა და ხორცისა, ჩანერგვა ბავშის გულში კარგის მაგალითების შემწეობით კეთილ-მომქმედის ზნისა და ხასიათისა უნდა იყოს, ვეჯიოს აზრით, ერთად-ერთი საგანი აღზრდისა. ვეჯიოც, როგორც ვერჟერიო, იმ აზრზედ სდგას, რომ აღზრდაში სახეში უნდა იქონიონ არამც-თუ მარტო ასაკი მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი. ხოლო ვეჯიო ამ საგანზედ უფრო ვრცლად ლაპარაკობს. იგი ამბობს, რომ სხვადასხვაა ბუნება სხვადასხვა ბავშისაო. ეს სხვადასხვაობა ბავშთა ბუნებისა იმოდენად ძლიერია, რომ უფრო ადვილია მზეს შეაცვლევინონ გზა, ვიდრე დაბადებით თანდაყოლილნი მიდრეკილებანი ბავშისა შეიცვალოსო. ამ სხვადასხვაობას უნდა შეეფეროს სხვადასხვა ღონისძიებაც აღზრდისაო. მკვირცხლს და თამამს ბავშს სხვარიგად უნდა მოექცნენ, ვიდრე კდემარეს, მორცხვსა და აზიზს ყმაწვილსაო. ესევე უნდა იქონიონ სახეში ჭკუა-გონების აღზრდაშიაცაო.

ამიტომაც ვეჯიო დედ-მამებს არ ურჩევს, შვილები იმისთანა სკოლაში აძლიონ, საცა ბევრი ყმაწვილები არიან, იმიტომ რომ თვით უკეთესი ოსტატიც-კი ამ შემთხვევაში უღონო იქნება თვითოეულს ბავშს ცალკე ადევნოს თვალი და თვითოეულის განსაკუთრებულს ბუნებას და გონებას ცალკე შეურჩიოს გზა გონების გახსნისა და ზნე-ხასიათის წურთვნისა.

აი ეს სამნი — ვიტტორინო, ვერჟერიო და ვეჯიო, არიან პირველნი მესვეურნი ახალის პედაგოგიისა და ამსახით, იგი დედა-აზრნი, რომელნიც დღეს გაღვიძებულნი არიან მეცნიერთაგან, მომდინარეობენ ჯერ კიდევ მეთხუტმეტე საუკუნიდამ. განსხვავება მარტო იმაშია, რომ ეხლა ეგ აზრნი უფრო მეტის სავსებით, მეტის გარკვევით, მეტის მეცნიერებით და გამოცდილებით შემუშავებულნი, განვითარებულნი არიან და დასაბუთებულნიცა.

ვიტტორინომ, ვერჟერიომ და ვეჯიომ, ამ, როგორც ვსთქვით, სამმა მესვეურმა ახალის პედაგოგიისამ, გზა გაუხსნა პედაგოგიასა და მათმა თეორიამ ახალის მოძღვრებისამ დიდი ზემოქმედება იქონია შემდგომებზედ. სახელოვანი დეზიდერი ერაზმი როტტერდამელი, რომელიც დაიბადა 1467 წელსა და გარდაიცვალა 1536 წელს, ერთი იმათგანი იყო, რომელთაც ბოლოსდა-ბოლოს სრულად დაჰფუშეს ძველი სქოლასტიკური სისტემა სკოლისა და ახალი საფუძველი დაუდვეს. ჰუმანობის მოძღვრებაზედ აგებული. საპედაგოგიო აზრნი ერაზმისა იმითი არიან განსაკუთრებით შესანიშნავი, რომ ერაზმი აღმატებულის სასოებით თაყვანსა სცემს ბავშსა და ამ სასოებისაგან შეპყრობილი იძლევა სარჩიელს ბავშის წურთვნისას და აღზდისას. ბავშიო, ამბობს იგი, წმინდა ტაძარია სულის-წმინდისა და სიფრთხილითა და სიყვარულით უნდა მოექცნენო. იგი არ ეთანხმება ვეჯიოს, რომელიც ბავშის ბუნებურს მიდრეკილებას მეტის-მეტს მნიშვნელობას აძლევდა, ერაზმი, პირიქით, ამტკიცებს, რომ აღზრდას და წურთვნას შეუძლიან სრულად გარდაჰქმნას ბავშიო. საქმე იმაშიაო, რომ ამ აღზრდამა და წურთვნამ ბავში ჩაიგდოს ხელში პირველ ხანშივე. ნორჩობაშივე და ყოველს მის ფეხის გადადგმას უწინამძღროსო.

ერაზმის აზრით, ბავშმა შემდეგი კიბე უნდა აიაროს აღზრდისა და წურთვნის დროსაო: ჯერ პირველად ყმაწვილის ნორჩს და მალე შემთვისებელს გულში უნდა ჩანერგილ იქმნას ფესვი სათნოებისა, სიყვარული შემოქმედისა და რწმენა მისი, რომ ღვთისათვის საცნაურია არამც-თუ საქმენი ადამიანისა, არამედ გულის ზრახვანიცა. როცა ამ გზით სული და გული მოწაფისა საკმაოდ მომზადებული იქნება, მაშინ მეცნიერების სწავლებასაც უნდა შეუდგნენ და ბოლოს ხომ უნდა განუვითარონ გრძნობა მოვალეობისა და ასწავლონ, როგორ უნდა მოექცეს და მოეპყრას თავის მსგავს ადამიანსაო. ყმაწვილის სწავლება უნდა დაიწყონ, ერაზმის აზრით, შვიდ, ანუ რვა წლიდამ, იმისდა მიხედვით, თუ სულით და ხორცით რა ღონისაა ყმაწვილი, რადგანაც ამ ხანში ბავშს გართობა და თამაშობა უყვარს, ამიტომ საჭიროა სწავლა და წურთვნა ისე

მოეწყოსო, რომ ბავშმა სწავლება წვალებად არ მიიჩნიოსო. იმაზედ უარესი არა არის-რა, რომ ბავშმა მოიძულოს სწავლა-ცოდნა, ვიდრე შეიგნებდეს ერთისა თუ მეორის სიკეთესაო.

ერაზმი ოსტატისაგან ბევრს რასმე ჰთხოულობს. თუ ოსტატს ჰსურსო, რომ საქმე ემარჯვოს და კეთილად იმოქმედოს ბავშზედა, აუარებელი ცოდნა უნდა ჰქონდესო, ოსტატმა თითქმის ყველაფერი უნდა ზედმიწევნით იცოდესო. „თქვენ მეტყვითო, ამბობს ერაზმი, რომ მე დიდს ტვირთსა ვსდებ ოსტატსაო. მართალია ეგ, მაგრამ ერთს რომ დიდს ტვირთსა ვკიდებ, ამით სხვა მრავალს ვუსუბუქებ ტვირთსაო. მე მსურსო, რომ ოსტატს გავლილი ჰქონდეს მთელი სივრცე კაცთა მეცნიერებისა, იმიტომ რომ მოწაფეებს აღარ დასჭირდეს თითონ ჰქმნან ეგეები". ხოლო ესეც საკმაო არ არის, ერაზმის აზრით ოსტატისათვის: იგი უნდა იყოს მაღალის ზნეობის კაცი, უნდა იცოდეს, როგორ მოექცეს ბავშსა, უნდა შემძლებელი იყოს მოიპოვოს სიყვარული და პატივისცემა ყმაწვილისაო „პირველი თავმდები ბავშის აღზრდის მარჯვედ მსვლელობისა — სიყვარულია მოწაფისა ოსტატის მიმართო" — ამბობს ერაზმი.

ერაზმი ძალიან ეურჩება, ძალიან ჰკიცხავს, თუ გასაკვეთი ხანგრძლივია სასწავლებელში. ხანგრძლივად სვლა გასაკვეთებისა ჰღალავსო შეგირდის გულისყურს, ქანცს ულევს ყმაწვილსა და სულიერად თუ ხორციელად სჩაგრავსო. ამიტომ რჩევას იძლევა, რომ რაც შეიძლება მალ-მალე უნდა იცვლებოდეს ხოლმე საშრომელი ბავშისაო: სწავლა, შესვენება, სეირნობა და გართობა ერთმანეთში რიგ-რიგად ჩართული უნდა იქმნასო.

ვეჯიოსებრ, ერაზმი სამჯობინარად ჰხედავს იმისთანა სკოლას, საცა მოწაფენი ბევრნი არ არიან. ცოტა შეგირდებიანი სკოლა სჯობია, როგორც შინ აღზრდასა, ისე ბევრ-შეგირდებიან სკოლასაო. შინ რომ იზრდება ყმაწვილი, თვალ-წინ არავინა ჰყავსო, რომ უპირატესობისა და ჯობნობისათვის შეეჯიბროს ვისმე, და შეჯიბრება კი ამ შემთხვევაში დიდი ღონეა ბავშის წარმატებისათვისაო. ბევრ-შეგირდებიან სკოლაში ხომ ოსტატი უღონოა თვითოეულ ბავშის ბუნებას ცალკე ადევნოს თვალყურიო.

ამაოდ არ ჩაიარა საპედაგოგიო მეცნიერებისათვის ვიტტორინოს, ვერჟერიოს, ვეჯიოს და ბოლოს ერაზმის ღვაწლმა და მეცადინეობამ. ამათმა საბუთიანმა და მართალმა მოძღვრებამ თანდათან ფეხი გაიდგა და მომხრენი მოიპოვა ჯერ კიდევ „განახლების“ ეპოქაშივე სხვა ქვეყნებშიაც. მაშინდელს საფრანგეთში გზა გაიკვალა ახალმა საპედაგოგიო თეორიამ გამოჩენილის და სახელგანთქმულის ფრანსუა რაბლეს მეოხებითა. ფრანსუა რაბლე იყო ფრანგი. იგი დაიბადა 1483 წელს და გარდაიცვალა 1558 წელსა. თუმცა პირველ ხანში რაბლე ბერ მონაზონი იყო, მაგრამ მერე შეიქმნა სახელოვან რომანისტად და უფრო სახელოვან სატირიკოსად. ამან სრულიად შეითვისა ახალი საპედაგოგიო მოძღვრება ერაზმისა და მის წინა-მყოფთა, ხოლო ისე-კი, როგორც დიდ-ბუნებოვანს კაცს შეჰფერის. რაც კარგი იყო ახალის პედაგოგიის მესვეურთა ნამოქმედარსა, თუ ნაწერებში, ყოველივე იგი მიიღო და ამ მიღებულზედ ფეხმოკიდებულმა უფრო წინ წასწივა საპედაგოგიო მოძღვრება და გაუმატა. ამის გამო მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ მან შეჰქმნა საკუთარი თეორია აღზრდისა და ამაში დიდი გამჭრიახობა, დიდი ცოდნა და ჭკვა-გონება გამოიჩინა.

რაბლეს არ დაუწერია განსაკუთრებული საპედაგოგიო თხზულება და არც თითონ ჰქონია სკოლა. ერაზმისებრ რაბლესაც თავის-თავზედ ჰქონდა გამოცდილი მთელი სიმძიმე სქოლასტიურის სწავლებისა, რომელიც უფრო წვალება და წამება იყო ბავშისა, ვიდრე წრთვნა და ზრდა, და რომელსაც აზრადა ჰქონდა, მარტო წყალსავით დასწავლება წიგნისა და არა გაგება საგნისა და ქვეყნიერობისა, ამიტომაც, როცა დრო მოეცა, მთელის თავის მწვავის ენით სასაცილოდ აიგდო სქოლასტიური წესი სწავლებისა და დასწერა მწვავი სატირა-რომანი, რომელსაც „გარგანტუა“ ჰქვიან. ამ სატირაში ერთის მხრით სასაცილოდ აგდებულია ძველი სქოლასტიური წესი სწავლებისა და მეორეს მხრით გამოხატულია იდეალი ახალის ჰუმანიურის სწავლა-წურთვნისა. ერთიც და მეორეც ნაჩვენებია ორის ყმაწვილის გამოსახვითა. ამ ორ ყმაწვილში ერთი ძველის წესით იზრდება და მეორე ახალის წესითა.

ახალი წესი, რაბლეს ბიერ მოძღვრებული, იმაში მდგომარეობს, რომ ბავში რაც შეიძლება ნაკლებ იყოს მოშწყვდეული ოთხ კედელს შუა, რადგანაც დახშული და დაბუღებული ჰაერი ოთახისა და უმოძრაობოდ ყოფნა სჩაგრავს ყმაწვილსა. ყმაწვილი დღეში უფრო ბევრი წილი გარეთ უნდა იყოს, ჰაერზედ. არც ერთმა საათმა დღისამ უქმად არ უნდა ჩაუაროს ბავშსა: ოსტატმა საცოდნელი და საწურთნელი ყოველთვის უნდა მოუპოვოს ბავშსა და ერის წუთსაც უსაქმოდ არ უნდა ამყოფოს. წიგნის კითხვისათვის და კლასში სასწავლებლად საკმაოა სადილის წინ სამი საათი და სადილის უკანაც სამი. სხვა დრო-კი შიგა-და-შიგ და რიგ-რიგად უნდა მოხმარდეს იმას, რომ შეგირდს გაეცნას ნიჭი დაკვირვებისა, გამოკვევისა და ამიტომაც საჭიროა ბავშმა თავის საკუთარის დანახვითა, საკუთარის მოაზრებითა და განსჯითა იცოდნოს ბუნება და ცხოვრება. სეირნობს ბავში, თუ ჰთამაშობს, თუ ტანის და აგებულობის წარსამატებლად ვარჯიშობს, სჭამს თუ სვამს, ოსტატმა ბავშის თვალი და გონება უნდა მოახედოს ყველაფერზედ, რაც-კი საცოდნელად და საწურთვნელად გამოსადეგია.

რაბლეს სისტემაში ტანის და აგებულების ვარჯიშობას დიდი ადგილი უჭირავს: ბურთაობა, კენჭაობა, ცხენზედ ჯდომა; ცურვა, ჭიდაობა,— ყოველივე ეს საჭიროდ დანახულია რაბლესაგან. რაბლეს აზრით, მოზარდმა თავის თვალით უნდა გაიცნოს ცხოვრება და მისი ავკარგიანობა თავის ყურით გაიგონოს. ამიტომაც ოსტატი უნდა ატარებდეს ყმაწვილსა ფაბრიკებში, სავსჯაროში, სახელოსნოებში და ეკლესიებში ქადაგების სასმენლადაო და, რაც საჭიროა და შესამჩნევი, შეამჩნევინოს და გააგებინოსო.

ასე გაჩნდა და ასე გაიცსო ახალი მიმართულება პედაგოგიისა „განახლების“ ეპოქაში, რომელიც საშუალო საუკუნოებს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ეხლანდელს სკოლას ბევრში ჩამორჩება სკოლა „განახლების“ დროებისა. ერთი დიდი უპირატესობა ეხლანდელის სკოლისა ის არის, რომ იგი მარტო დიდკაცთათვის აღარ არის და საყოველთაოა, როგორც დიდისა, ისე პატარასათვის, როგორც მდიდრისა, ისეც ღარიბისათვის. არც იმასა აქვს ეჭვი, რომ ეხლანდელს სკოლაში თითონ ხერხი სწავლებისა ბევრად უკეთესია უწინდელზედ, მაგ-

რამ ესეც-კი უნდა ითქვას, რომ ეხლანდელი სკოლა ბევრში უკან ჩამორჩომილია უწინდელზედ. დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჭკვა-გონების გარდა, გულიცა აქვს, რომელსაც კაი-კაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა; დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულობაცა აქვს, რომელიც წურთვნიდა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა. ამ მხრით ეხლანდელი სკოლა ბევრში ჩამოუვარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელთაც საგნადა ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა. ეხლანდელი სკოლა, მართალია, ბევრს ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ მოქმედობს, ხასიათის წურთვნას თითქმის თავს ანებებს და ტან აგებულებას ადამიანისას არამც-თუ ჰშველის, არამედ ჰღალავს.

— იგი ავტორი, რომელმაც ყოველივე ზემოხსენებული გვაუწყა, ამბობს: ყველამ იცის ეხლანდელის სკოლის ნაკლულევანება და საკუთაოდ არა ერთი და ორი ცვლილება და შევსება მოელის ეხლანდელს სკოლასა. ვინატრით, რომ შემცველთა და შემავსებელთა ხანდისხან ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მიიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტებ-პედაგოგებთან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

[1868 წ.]

ვიცინოთ თუ ვიტიროთ

ვგონებ, არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, ბერე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბღერ-

ტინებს. არც მის მომჭმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო.

ჩვენ რის ამბის მბობაც გვინდა, დაუჯერებელია. არც თითონ დავიჯერებდით, რომ სანდო კაცისაგან არ იყოს გადმოცემული.

„ივერიაში“ ამას წინათ მოხსენებული იყო, რომ გორში არსებობს შარშანდელს აქეთ საოსტატო სემინარია, ესე იგი იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელნი ჩვენის სახალხო სასწავლებელთათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, რომ აქ ქართულს ენას პირველი ადგილი ეჭირება სხვათა შორის. მაგრამ ეგ ეგრე არ არის. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას გადუწყვეტია, რომ ქართველთა ბავშების ოსტატს ქართულის ცოდნა გულს აუსუყებსო. ამის გამო იმ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან, ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ. როგორ მოგწონთ? შუაგულს ქართლში მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბავშებისათვის ოსტატები გამოსწურთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან. ვიცინოთ ამაზედ, თუ ვიტიროთ?

წარსულს სექტემბერს ამ გორის სემინარიაში შევიდა ორმოც-და-ათი მოწაფე. ამათ რიცხვში ოც-და-თეთრთმეტი ყმაწვილი ქართველია, დანარჩენნი სხვადასხვა გვარ-ტომისანი არიან. მაშასადამე, რაოდენობა ქართველთ ყმაწვილებისა შეადგენს ორ-მესამედს მთელის რიცხვისას. მომავალშიაც, რასაკვირველია, ქართველთა მოწაფეთა რიცხვი ამ-გვარადვე მეტი იქნება სხვებზედ. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ ამის გამო მაინც ქართულს ენას სემინარიაში სავალი ექნებაო. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას სულ სხვა ფიქრი მოსვლია. მის დირექტორს მოუწვევია საშველად მეცნიერება, გამოუძიებია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამომავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მოწაფენი ეკუთვნიან თორმეტს გვარტომობასაო; ამათ შორის რუსები არიანო ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, პოლაკები ორნი, ინგილონი ორნი, გურულნი ორნი, ფშავნი ორნი, აბხაზნი ორნი, უდინი ერთი, ჩერქეზი ერთი და ბერძენი ერთი. — ამ-გვარად, ქართველი, გურული,

იმერელი, ფშაველი — ქართველად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი, — რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუთუ ამის თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუშორებია? არა, ბატონო, იმას ეს უფიქრია: „მართლა ქართველი, რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხვენ, ოც-და-თერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივოო. ის არა სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო“. ძალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

სემინარიასთან არსებობს მოსამზადებელი კლასი, რომელსაც პროსემინარიას უწოდებენ. წესდებულების ძალით, სემინარიასთან უნდა დაარსებულიყო სამი პროსემინარია: ერთში უნდა ისწავლონ ქართველებმა, მეორეში — რუსებმა და მესამეში — სომხებმა. შარშან სექტემბერში დაარსდა მხოლოდ ქართული პროსემინარია. ყოველის ეჭვის გარეთ იყო ყველასათვის, რომ ამ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ქართველებისათვის არის დანიშნული, ჯეროვანი გზა მიეცემოდა ქართულს ენას. მაგრამ აქაც უკუღმა დატრიალებულა საქმე. ამ პროსემინარიის მეორე განყოფილებაში ქართულის ენის ხსენებაც არ არის; მისთვის ერთი საათიც არ არის კვირაში დანიშნული და მოწაფენი ქართულს წიგნებსაც მოკლებულნი არიან. შესაძლებელია, რომ გორის სემინარიის გამგეობას ქართულის ენისათვის დრო არა ჰქონდეს, რადგანაც გვარ-ტომობის გამოკვლევას ეგრე წარჩინებულად შესდგომია თავის-და სასახელოდ და იმ გამოკვლევაშია გართული. ჩვენ აქ არა გვეთქმის-რა, მაგრამ ქართულს სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ — ეს მაინც-და-მაინც დაუჯერებელია. ჩვენ მარტო ამას ვკითხულობთ. ამაზედ ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

იმავე პროსემინარიის პირველს განყოფილებაში თუმცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ბავშმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ჯღაბნის მეტი არა ისწავლოს-რა. უსათუოდ ამ განზრახვით მოუგონიათ ისეთი მეთოდი, რომ ქართულის სწავლა კი

არა, ვგონებთ ისიც დააგიწყდეს ბავშს, რაც იცოდა. ამ მეთოდის მომგონებელი გახლავთ ქართულის პროსვეშინარიის მასწავლებელი უფ. ნათიევი. ეს მეთოდი აი რაში მდგომარეობს: ერთსა და იმავე დროს ბავშმა უნდა გაიკვეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები, ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლების, სიტყვების და ფრაზების შედგენა. ამასთან მათ უნდა დაიხსომონ რუსული სიტყვები და ახსნან რუსული ფრაზები. საწყალო ბავშებო! თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენის ბუნების ძლიერებას!.. ჩვენი ქართული ანდაზა „ორი კურდღლის მდევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“ უფ. ნათიევს ვერ მოსწონებია და უთქვამს: მე დავუმტკიცებ ქვეყანასაო, რომ მე ოთხს კურდღელს გამოეუდგები და ოთხსავე ერთად დავიჭერო. ნეტავი ექვსიც ერთად დაიჭიროს, ოღონდ კი მარტო კურდღლებს გამოუდგეს და ბავშების სწავლას კი თავი დაანებოს. უფ. ნათიევის ვარჯიშობაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

უფ. ნათიევი არც ოთხის კურდღლის გამოდგომას დასჯერებია. მეხუთე კურდღელიც გაუგდია წინ. არ ვიცით, რა უნდა ვუქოთ უფ. ნათიევს,—სირბილი, თუ მეძებრობა. ქართულს და რუსულს ანბანთან იგი ასწავლის თურმე მოწაფეებს მესამე ანბანსაცა. ეს ანბანი არ გახლავთ არც ფრანცული, არც ნემეცური, არც ლათინური, არც ბერძნული, ერთის სიტყვით, იმ ანბანით, რაც კაცობრიობა არსებობს, არც წიგნი დაბეჭდილა და არც დაწერილა. იგი არ უნახავს წარსულსა, არ არსებობს აწმყოში და ყოვლად შეუძლებელია მომავალში. იგი მოზმანებია უფ. ნათიევს მისთა მოწაფეთა უბედურებისათვის. რა ანბანია ასეთი ახირებული ანბანი?— იკითხავს მკითხველი.

აი რა ანბანია. ნათიევს სიზმარი უნახავს, რომ ქართული სიტყვები რუსულის ასოებით უნდა დაიწეროსო. აუღია და თვის ანბანში შიგა და შიგ ქართული სიტყვები ჩაუთავს რუსულის ასოებითა. რადგანაც რუსულს ანბანს აკლია ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენის ხმების გამოსახატავად, ამიტომაც უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები, არც რუსული, არც ქართული, არც ამ მთისა, არც იმ მთისა, და ამ ახალის ასოებით შეუვსია რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია. აქ სწორედ უფ. ნათიევს ორი კურდღელი ერ-

თად დაუჭერია. ბარაქალა მის ფეხმარდობას და სისწრაფეს! მაგრამ ჩვენი საწყალის ბავშების რა გადასახდელია, რომ უფ. ნათიევი ფეხმარდია. იმ ბაბილონის გოდოლს, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, მესამე ანბანიც დაუმატა თურმე უფ. ნათიევმა. ვაი თქვენი ბრალი, საწყალო ბავშებო! არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები, რომ „ნათიაური“ ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ, არ გამოჩენილიყო?! ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

აბა, ეს ამბავი შეიძლება რომ სხვაგან სადმე მოხდეს და ასე დაუსჯელად ჩაიაროს? მეცხრამეტე საუკუნეში, ესე აშკარად სამასხაროდ საქმე გამხდარა სადმე? ესეთი სასაცილოდ აგდება მთავრობის კეთილ-განკარგულებისა, მთავრობის დაწყობილებისა სადმე გაგონილა? გაგონილა, რომ ესეთი წვრილ-ეხობა, როგორიც უფ. ნათიევია და სემინარიის გამგეობა, ესე ფუჭად ხდიდეს მთავრობის ჩვენდამი მზრუნველობას და ყულმტკივნეულებას?.. ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

თუ ჩვენ გვკითხავთ, ორივეს მიზეზი და საბუთი ხელთა გვაქვს.

[1877 წ.]

საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის

1

ტფილისი, 10 ნოემბერი, 1877 წ.

ჩვენს ქვეყანაში დიდი და პატარა სწავლის, განათლების სახსარს სტირის და სჩივის, მაგრამ მაინც შველა არსად არის. საკვირველიც არ არის. ტირილითა და ვაშლითა მტერნი არ შეგვიბრალებენო, ამბობს ჩვენი გლეხური ანდაზა. სხვაზედ მინდობა — ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში. წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“ და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედა-

მიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დაბდობილს, ერთს უდაბურს ტიწზედ გარიყავს, შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი — ისტორიული კანონია, იქნება ზოგიერთისათვის ფრიად არა-მოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც რომ ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, მაინც ბოლოს „ჟამთა სვლა“ ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება. ჩვენ გამბობთ, რომ ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით. თუ ხორცით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ. მით მალე გამოვიხსნით თავს იმ გაჭირვებიდამ, რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით. გვეყო, რაც ჩვენმა წარსულმა ჩვენ მაგალითები გვიჩვენა. ნუთუ აქამომდე გული ვერ დავაჯერეთ, რომ ჩვენს გარე ჩვენი ხსნა სიზმარია! მაშ თუ ასეა, სწავლისა და განათლების სახსარის ნაკლებულობას ჩვენის ცრემლით, ვახით და ვიშით ვერ შევავსებთ. სულ ტყუილია! როგორც თვითეული კაცი, ისე საზოგადოება. ისე ხალხი მარტო თავისით არის და თავისით უნდა იყოს კიდეც. ძალაც ამისთანა ხალხშია და ბედიც.

ოცს საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში, ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო. თუ შიგა-და-შიგ, ჭრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოგვიდგენს... საქართველო ახლა ცოტად თუ ბევრად დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებას არ მოჰყვა ის ნაყოფი სწავლისა და განათლებისა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა. რის გამო? თუ უწინ დღე ჩვენი ღამდებოდა და ღამე თენდებოდა მარტო იმის მეცადინეობაში, რომ მტერი მოგვეგერებინა, თუ უწინ ამის გამო სწავლისათვის მოცდა არა გვქონია, ეხლა ხომ უნდა გვქონოდა. ეხლა ხომ ეს მიზეზი არ გვიშლიდა და რატომ მოხდა, რომ სწავლის და განათლების ნაკლებულობაზედ ასეთი სამართლიანი სამდურავი მიგვიძღვის?

ჩვენ ამის მიზეზს იმაში კი არა ვხედავთ, რომ ვითომც სწავლის სურვილი არა გვქონდეს, როგორც ზოგიერთნი ჩვენნი კეთილის-მყოფელნი ამტკიცებენ. არა, — სურვილი დიდია. არც იმაში ვხედავთ, რომ სწავლის მიღების ნიჭი არა გვქონდეს, თუმცა ამასაც ჩვენი კეთილის-მყოფელნი ჰყვირიან. არც იმაში ვხედავთ, რომ ვითომ ნივთიერს ღონისძიებას მოკლებულნი ვართ. ესეც ტყუილია, ჩვენის ფიქრით. მართლა-და, არც ისე ლუკმა-გაწყვეტილები ვართ, რომ, თუ არ თვითოეულმან ცალკე, ერთად მაინც საზოგადოებრივად ღონისძიება არ მოვიკრიფოთ ჩვენის აუცილებელის საჭიროების შესავსებლად. მიზეზი ის არის, რომ დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც, თუკი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია. საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა; საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას.

ამ ჭეშმარიტს და ფრიად ნაყოფიერს აზრზედ არის დამყარებული ერთის ჩვენის პატივცემულის გვამის მეცადინეობა, რომელმაც ამ ცოტას ხანში ჩვენში კარგა ბლომად მომხრეები მოიპოვა. გიორგი რომანის-ძე ერისთავმა, მიიღო რა სახეში სწავლის გავრცელების საჭიროება ჩვენში, ამასთან თვითოეულის ჩვენგანის ცალკე ღონე-ნაკლებობა, — ჩვენს გაჭირვებას წამალი მოუპოვა: რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისაგან ბევრს ნურას ველოდებითო; რასაც თვითოეული ცალკე ვერ შევსძლებთო, ამას საზოგადოებრივად, ერთად აღვილად შევიძლებთო; — აი ორი ნაყოფიერი აზრი, იმ მეცადინეობის დედაბოძად მიღებული. შეუდგა ამ აზრზედ დამყარებული თ. ერისთავი საზოგადოების შედგენას, რომელმაც ხელი უნდა გაუმართოს და შეუწყოს ჩვენის ქვეყნის ღარიბს ხალხს და ნამეტნავად ღარიბ თავად-აზნაურებს, რომ შვილებს რიგიანის სწავლისა და განათლების გზა მისცენ დაბალ თუ მაღალ სასწავლებელში. „ვინ არ იცისო, — ამბობს თვის წინასიტყვაობაში გ. რ. ერისთავი, — რომ ამ საგანზედ ჩვენი გულგრილობა ჩვენის თავის სიკვდილიაო;

ნუთუ ეგ არ მოუღებს ბოლოს თვით ხალხსაცაო! ნუთუ **ეგ** არ მოიწვევს ჩვენს თავზედაო რისხვასა და წყევასა ჩვენის შთამომავლობისასაო“.

ვისაც სურს ამ ქვეყნისათვის საკეთილო საქმეში მონაწილეობა მიიღოს, მას, ქალი იქნება თუ მამაკაცი, გლეხი თუ თავადი, ნება აქვს ჩაეწეროს წევრად საზოგადოებაში, იმ აუცილებელის პირობით კი, რომ წელიწადში არა ნაკლებ ერთის მანეთისა ფული წარუდგინოს საზოგადოებას. ჩვენ ამ საქმის მეთაურისაგან მონდობილი გვაქვს ეს საჯაროდ გამოვაცხადოთ და ვსთხოვოთ ყველას, ვისაც ენებება ამ საზოგადოებაში წევრად შესვლა, „ივერიის“ რედაქციას აცნობოს; ფულს კი ჯერ-ხანობით ნუ გამოჰგზავნიან, რადგანაც ამის თაობაზედ თავის დროზედ ჯეროვანს განკარგულებას მოახდენენ საქმის გამგებელნი.

ამ საზოგადოების წესდება შედგენილია და ამ მოკლე ხანში წარდგენილ იქნება მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად. როცა დაამტკიცებენ, ჩვენ ვეცნობით ის წესდება საყოველთაო საცნობელად გავხადოთ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქართველობა ამ ქველსურს საქმეში უკან არ დაიხევს, გულმტკივნეულობით და თანაგრძნობით მიეგებება და ხელს შეუწყობს.

გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გაწევა. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ.

ჯერ თუნდა აქედამ დავიწყოთ, რომ ჩვენს შვილებს სწავლისა, განათლებისა და **ერთობ კაცად ქცევის გზა მივსცეთ** იმოდენად ფართო, რამოდენადაც შესაძლო იქნება.

II

ტფილისი, 11 მაისი, 1878 წ.

ამ ბოლოს დროს, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ, მრავალი სხვადასხვა საზოგადოება სდგება ხოლმე ჩვენში სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამ საზოგადოებათა მეცადინეობით იმართება სკოლები: ამბობენ, კახეთში ეხლა ოცზედ მეტი სკოლა არისო. იმართება სოფლის ბანკები, რომელთ რიცხვი თითქმის ხუთმეტამდე ადის ტფილისის გუბერნიაში; იმართება საამხანაგო დეპოები, — ერთი გამართულია საგარეჯოში და მეორეც დღე-დღეზედ დაიწყებს მოქმედებას თიანეთში, რადგანაც წესდება დამტკიცებულია. ერთის სიტყვით, ჩვენს ხალხში გაღვიძებულია და ფეხზედ წამომდგარი სურვილი, რომ ერთმანეთის შემწეობით გზა გაიხსნან უკეთესის ცხოვრებისათვის. სასიხარულო ეს არის, რომ ყოველ ამაში კერძოობითი სარგებლობა კი არ არის საფუძვლად დადებული, არამედ საყოველთაო. ღმერთმან ჰქმნას, რომ ამ გზაზედ ჩვენს კეთილის-მყოფელთ დაბრკოლება არა დახვდეთ-რა; ღმერთმან ჰქმნას, რომ ამ კეთილის სურვილით ადუღებულს კაცებს ჩვენმა გულგრილობამ ხალისი არ მოუკლას. თუ ამ გზაზედ მიმავალთ ჩვენთა კეთილის-მოსურნეთ ჩვენც მხარი მივეცით, ჩვენც ხელი შევუწყეთ, — არ გავა ათი-ხუთმეტი წელიწადი, რომ ჩვენი დავრდომილი ქვეყანა სახეს შეიცვლის.

სოფლის ბანკს აიღებთ, თუ სოფლის სკოლას, თუ ამხანაგობის დეპოს, ანუ საზოგადოებას ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, — ყოველს მათგანს ჩვენის ცხოვრების არსებითის ძარღვისათვის წაუვლია ხელი. ყოველ ამისი მომქმედნი კატასავით არა ჩხავიან, არა ყვირიან საჯაროდ: აი, რა კაცები ვართო. უფრო ბევრი მათგანი სადმე კუნჭულშია მიმალული და ქვეყნის სიყვარულით აღტყინებული იბრძვის, მეცადინეობს, მხნეობს, საქმობს, და ჯილდოდ მარტო იმას ელის, რომ ჩემი სინიდისი მეტყვისო: „თუმცა წვალებით ვიცხოვრეო ამ სოფლად, მაგრამ ჩემი ცხოვრება უქმად არ გამიტარებია, შეძლებისამებრ ჩემთა მოძმეთათვის სიკეთე მომიტანიაო“. დამიჯერეთ, ძალა ქვეყნისა ამისთანა კაცებშია და არა იმათში, ვინც პარიზის ყაყახანაში გამოწრთვნილა, მოსულა აქ

და ყვირის: რაცა ვარ, მე ვარო. ამათ პარიზი არ უნახავთ, ამათ უნივერსიტეტი არ ღირსებიათ, ესენი არიან ჩვენის ხალხის შვილნი, მის კალთაშივე გამოზრდილნი; ესენი არიან უბრალო სიკვდილის შვილნი, ეფრო ბევრნი სემინარიელნი, და მათში ზოგიც იმისთანა, რომელთაც სემინარიის სწავლაც არ შეუმთავრებიათ სხვადასხვა მიზეზისა გამო. საყოველთაო სიკეთის ლაზათი ამათშია, ამათში! იღვწიან, საქმობენ, მხნეობენ საყოველთაო საკეთილოდ და, დახეთ მათს პატიოსნებას, მათს ზნეობითს აღმატებულებას, რომ სახელის გამოჩენაც არ უნდათ. დიდი რამ არის ბუნება, არ გადაცვლილი განათლებულის ქვეყნების ყაიდანებში თრევითა და განათლების ჯერეგან ზიზილ-პიპილებითა.

იქნება ამისათვის სასაცილოდაც აგვიგდონ ჩვენმა ჩხავანა პუბლიცისტებმა, მაგრამ ბრძა უნდა იყოს კაცი, ან შურით მოწამლული, რომ ამ უჩინართა მომქმედთა ღვაწლი არ აცოდინოს, არ აღიაროს საქვეყნოდ. დაიარეთ სოფლები, ცოტას შეჰხვდებით იმისთანა სოფელს, საცა ერთი მაინც ამ მოქმედთაგანი არ იყოს ისე, ჩრდილში მიგდებული; საცა ერთი მაინც ამათგანი არ იღვწოდეს ან ყმაწვილების აღზრდისათვის, ან გლეხკაცების კეთილდღეობისათვის, ან სოფლის ბანკისათვის, ანუ საამხანაგო დეპოსათვის და ან ლიტერატურისათვის. აბა ერთი ამათგან დავიწყებული საქმე მიჩვენეთ, რომ გაქსუებულიყოს, გაუქმებულიყოს! რათ არის ეს? იმიტომ არის, რომ ხალხის შვილნი არიან, ხალხის კალთაში დაბადებულნი და გამოზრდილნი; იციან რას მოჰკიდონ ხელი, იციან როგორ მოჰკიდონ და ამასთანავე დაუღალავნი არიან; იციან ხალხის ტკივილი და წამლის შერჩევაცა, რადგანაც ხალხი უყვართ, ხალხში არიან და ხალხში ტრიალებენ, და ამასთანავე თვისებად აქვსთ — თავის-თავზედ ყვირილი კი არა, საქმის გაკეთება, საქმის წარმართება. დიახ, ბატონებო არა გვგვანან ჩვენ, გაბღინძულთ და გაზვიადებულთ მარტო იმით, რომ პეტერბურგი და პარიზი გვინახავს და რაღაც „ვითომ განათლება“ მოგვცხობია. ისინი არც ჩვენსავით აპილპილდებიან ხოლმე და არც ჩვენსავით მალე ჩაჰქრებიან. ერთხელ დაძრულს და წარმომდგარს აზრს ზედ აკვდებიან, მინამ ხორცს შეასხამენ. იმათ ამისათვის არც ტაში უნდათ, როგორც ჩვენ, არც ქება; იციან რომ მათი ქება თითონ საქმეა და არა წამ-და-უწუმ ჩხავილი, მე ასეთი ვარო.

ესევე უჩუმარად, ხმაამოუღებლივ, უშფოთვარად შესდვა ამ ახლო ხანს ერთი ფრიად სასარგებლო საზოგადოება. იგია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, შედგენილი გიორგი რომანის-ძე ერისთავის მეცადინეობით. ამ საზოგადოებას საგანად აქვს მოამზადოს ღარიბნი ყრმანი რომელსამე სასწავლებელში შესასვლელად, ხელი გაუმართოს შეუძლებელთა და ნიჭიერთა მოსწავლეთა, ღონისძიება ალმოუჩინოს სწავლის განგრძობისათვის. თქმა არ უნდა, რომ საგანი ამ საზოგადოებისა მეტის-მეტად სასარგებლოა და საკეთილო ჩვენის ქვეყნისათვის.

წესდება ამ საზოგადოებისა დამტკიცდა მთავრობისაგან და რუსულად დაბეჭდილიც არის. რვას მაისს პირველი მორიგი კრება შესდგა. ამორჩეულ იქმნა გამგებელი კომიტეტი*) და დადგენილ, რომ უფ. პაიჭაძესაგან ქართულად თარგმნილი წესდება დაიბეჭდოს და ზედ დაერთოს სახელი და გვარი აქამომდე ჩაწერილთა წევრთა. ყოველმა წევრმა უნდა შემოიტანოს წელიწადში არა ნაკლებ ერთის მანეთისა: დღევანდლამდე ორას წევრამდეა ჩაწერილი და იმედია, რომ ეს რიცხვი მოიმატებს.

საქმე ეხლა იმაშია, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ, ჩვენმა ხალხმა, ამ საზოგადოებას ხელი გაუმართოს და შემწეობა აღმოუჩინოს. ამისთანა საქმეში გულგრილობა შეუნდობელი შეცოდებაა წინაშე ქვეყნისა, ჩვენის შვილებისა, შთამომავლობისა. ვისაც რა შეუძლიან და რითაც შეუძლიან, ყველამ უნდა გაიჭიროს საქმე და ამ საზოგადოებას ნივთიერი ღონისძიება მისცეს მისდა კეთილის განზრახვის აღსრულებისათვის. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი გროში, იმ დიდის საქმისათვის შეწირული, ჩვენს შვილებს მოხმარდება, მათის კაცად გახდომისათვის, მათის ბედნიერებისათვის, მათის განათლებისათვის იმოქმედებს. აქ უკან დახევა შვილების ღალატია, ქვეყნის გმობაა, საუკუნოდ საწყევარი. გვეყო, ბატონებო, სხვაზედ დანდობა, სხვის მაყურებლობა. ჩვენ თითონ მივეშველ-

---

* თავმჯდომარედ ამორჩეულია გიორგი სიმონის-ძე ერისთავი, თანაშემწედ კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძე მამაცაშვილი, წევრებად: ვახტანგ თულაშვილი, უფ. ცხვეტაძე, გოგებაშვილი, ლუარსაბ მაღალაშვილი და დ. გ. ერისთავი; სეკრეტრად ნ. დ. ჭანიშვილი.

ნეთ ჩვენს თავს: რაც ერთისათვის შეუძლებელია, ის ყველასათვის ადვილია; მივცეთ ურთიერთს მხარი და ზურგი და ეს ჩვენის შვილების საკეთილო საქმე გავაწყოთ და რიგიანად წარვმართოთ. გამგებელს კომიტეტში ბევრი იმისთანა კაცია, რომ რაც მათზედ დამოკიდებული იქნება, არას ღონეს და შრომას არ დაზოგვენ, რომ ეს საქმე კეთილად დაგვირგვინებულ იქმნას. ოღონდ ფულია საჭირო, რომ ამ საზოგადოებამ ვრცლად მოჰხვიოს ხელი ჩვენს საყოველთაო საჭიროებას შვილების გაზრდისას და თვალთსაჩინო სიკეთე მოჰფინოს ჩვენს ქვეყანასა. იმედია, რომ ბევრი არ დაიხევს უკან და შეძლებისამებრ შემოაწევს რასმე ამ საზოგადოებას.

ქართულ საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე

ტფილისი, 9 ნოემბერი, 1878 წ.

ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმ სკოლის თაობაზედ, რომლის გახსნასაც აპირებს ჩვენი „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. თვით საგანში, მართალია, ღირს-შესანიშნავი და თვალსაჩინო მაგდენი არა არის რა. ვთქვათ, აწ მყოფ სასწავლებელთა შორის ჩნდება კიდევ ერთი, და მით კიდევ ერთი საშუალება ეძლევა ჩვენს საზოგადოებას მისცეს თვის შვილთ პირველ-დაწყებითი სწავლა. გარდა ამისა, ღარიბ და შეუძლებელ ბავშებთ ეხსნებათ ცოტად თუ ბევრად სწავლის გზა, რომელიც მათთვის შეკრული იყო სიღარიბისაგან. ყველა ეს მართალია-მეთქი და ყურადღების ღირსიც, მეტადრე ჩვენს მიყრუებულ ცხოვრებაში, რომელსაც საზოგადო საქმეთა შორის ბევრი კი არა აქვს რა საკვეხნო და თავგამოსადები. მაგრამ, რაც უნდა იყოს, იმდენად მაინც არა ვართ, მადლობა ღმერთს, მიძინებულნი და იმდენად არ გაგვწყვეტია გრძნობიერება და მხედველობა, რომ ზემოხსენებული საქმის სიკეთის გაგებისათვის და ყურადღების მიქცევისათვის ბევრი ლაპარაკი და ჩაჩინი გვჭირდებოდეს. არც ამ ჩაჩინისათვის დაგვიწყია ლაპარა-

კი ახალ სკოლაზედ. ამ საქმეს აქვს კიდევ მეორე მხარე, რომელიც ჩვენის აზრით, არა ნაკლებ ღირს-შესანიშნავია და მნიშვნელობით აღსავსე ჩვენის ცხოვრებისათვის...

ამ საზოგადოების სკოლა იქნება, როგორც მოგეხსენებათ, მოსამზადებელი სასწავლებელი, ე. ი. იქ მოსწავლე ყმაწვილები მომზადებულ უნდა იქმნენ გიმნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში შესვლისათვის. ეს იქნება უმთავრესი განზრახვა ამ სკოლისა, თუმცა იქ შეუძლიანთ მიიღონ პირველ-დაწყებითი სწავლა აგრეთვე იმ ყმაწვილთ, რომელთაც მშობლები მის შემდეგ არ უპირებენ სხვა სასწავლებელში მიბარებას. მაგრამ, ვიმეორებ, უმთავრესი განზრახვა კი სკოლისა იქნება ბავშების მომზადება საშუალო სასწავლებელთათვის. ეს რასაკვირველია, ფრიად საჭირო საქმეა, მეტადრე იმ შვილების პატრონთათვის, რომელნიც მუდამ სოფელში ცხოვრობენ და მოკლებულნი არიან შვილების აღზრდისა და მომზადების საშუალებას. მაშასადამე, ამ მხრით ხსენებულის საქმის მაღალი მნიშვნელობა ცხადია და უეჭველი.

მაგრამ ჩვენი მომდინარე ცხოვრება აღმოაჩენს მრავალ იმ-გვარ გარემოებას, რომლის ძალითაც ახალ სკოლას უნდა უსათუოდ მიეცეს კიდევ სხვა მნიშვნელობაც. ვისაც ცოტაოდენად თვალყური უდევნებია საშუალო სასწავლებელთათვის ჩვენში, რასაკვირველია კარგად ეცოდინება, რომ მრავალი მომზადებული ყმაწვილი რჩება საშუალო სასწავლებლის გარეთ მარტო იმიტომ, რომ თვით სასწავლებელში ადგილი აღარ არის. ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ დავამცირო ახალის სკოლის მნიშვნელობა იმ განზრახვის შესახებ, რისთვისაც არსდება იგი. როგორც ზემოთ ვსთქვით, ეს მნიშვნელობა უეჭველია: სრულიად ღარიბ და შეუძლებელ მშობლებთ ეძლევათ ღონისძიება შვილების მომზადებისათვის; გარდა ამისა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი სკოლა იმგვარად იქნება მიმართული, რომ მასში მოსწავლე ყმაწვილები უფრო მტკიცედ და ხელრიანად იქნებიან მომზადებულნი, ვიდრე სხვა კერძო სასწავლებლებში მოსწავლენი. მაგრამ არის-მეთქი იმ-გვარი გარემოება, რომელიც სხვა მნიშვნელობასაც აძლევინებს ზემოხსენებულ სკოლას; არის იმგვარი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილების ღონისძიება სასურველია მიეცეს იმავე სკოლას. თუ აწინდელი საშუა-

ლო სასწავლებლები საკმარისნი არ არიან და ამის გამო ჩვენი შვილები სასწავლებელთ გარეთ რჩებიან, მაშასადამე, საჭიროა გავმართოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მივცეთ ჩვენ შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა. აი ამ საშუალო სასწავლებლის საძირკველადაც უნდა იქნეს ის სკოლა, რომელსაც აფუძნებს ეხლა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის"; ამაში მდგომარეობს ის მეორე მაღალი მნიშვნელობა, რომელიც უნდა მიეცეს ამ სკოლას და რომლის ძალითაც იგი უნდა იქმნეს ყურადღებისა და ფრიადის თანაგრძნობის ღირსი ყველასათვის, ვისაც კი ცოტად თუ ბევრად ენაღვლება თვისის ქვეყნის ბედი თუ უბედობა.

ამ ჟამად, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ გაგიწევთ ვრცელ საუბარს ამ საგანზედ. აქ მხოლოდ საგანსა ვდებ, რათა მოვაგონოთ მკითხველს საზოგადოებას, რა-გვარი მნიშვნელობა ეძლევა ახლად დაწყებულ საქმეს, თუ ჯეროვან ყურადღებას მისცემს მას და არ მოაკლებს თვის თანაგრძნობას. ვერ მოგიყვებით აგრეთვე ლაპარაკს მასზედ, თუ რა-გვარი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენის ქვეყნისათვის ჩვენს საკუთარ საშუალო სასწავლებელს...

ქალი მასწავლებელი

ტფილისი, 7 იანვარი, 1886 წ.

პატიოსანი და ყოვლად მაღალ-ზნეობიანი ჯაფა და გამრჯელობა ოსტატისა, მასწავლებლისა, გამზრდელისა, ქალია თუ მამაკაცი, იმოდენად პატივდებული არ არის, რამოდენადაც ღირსია. ეგ რომ მარტო ჩვენში იყოს ესე, კიდევ იტყოდნენ, გაუნათლებელი, გონება-გაუხსნელი ქვეყანაა და, რასაკვირველია, აგრე იქნება ჯერ-ხანადაო. საქმე იმაშია, რომ ბევრგან სხვაგანაც ეგრეა, ჩვენდა სამწუხაროდ. სხვა, რაც უნდა მდაბიო სამსახური იყოს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. რაც უნდა მცირე თანამდებობა ეჭიროს კაცსა, რაკი

თანამდებობაა და სამსახურია, უფრო მომეტებულის პატივისცემით ექცევიან. ამას კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, თუ რომ მასწავლებლის მართლა-და მძიმეს, რთულს და დიდს ჯაფას და მოვალეობას გასამრჯელო მაინც საკმარისი ეძლეოდეს. ეს ნამეტნავად ცხადია მათ შესახებ, ვისაც სასოფლო სკოლის მასწავლებლობა თავის მიდრეკილებისამებრ ამოურჩევია და მისთვის შეუწირავს თავისი უკეთესნი დღენი ცხოვრებისანი. ამათ არც სამსახური სამსახურად ეთვლებათ და არც იმოდენა გასამრჯელო აქვთ, რომ სოფლის მასწავლებელის ჭირნახულობისათვის ცოტად მაინც შეზომილი იყოს. ცოტად თუ ბევრად ნასწავლი, გონება-გახსნილი სოფლის მასწავლებელი არის სადღაც მიყრუებულ ადგილას, ქვეყნის სიამოვნებას მოშორებული, ბევრჯერ მშიერი, ბევრჯერ მწყურვალი, ბევრჯერ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგურიც არა აქვს, რომ ავდარს მაინც გადურჩეს გაულახველად, დილიდამ საღამომდი იბრძვის, იღვწის ბავშვების მომზადებისა და აღზრდისათვის და ყოველ ამისათვის ოცი და ოც-და-ათი თუმანი აქვს წელიწადში საცხოვრებლად. კაცმა რომ სამართლიანად გასინჯოს ეს ყოვლად უნუგეშო გარემოება სოფლის მასწავლებლისა, დააკვირდეს მის დაუღალავს ღვაწლს ყოველის დღისას, არ შეუძლიან იმ აზრზედ არ დადგეს, რომ სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის გაწირვაა, მსხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული, უფრო გამწვავებული.

ამ მხრით უფრო უარესს ყოფაში არიან ქალები მასწავლებელნი, ნამეტნავად თუ ბედს არ ურგუნებია მათთვის სახელმწიფო სასწავლებელში სადმე რაიმე თანამდებობა. ამათი ჯაფა, იმავე თავგანწირულობით და სიმძიმით დატვირთული, უფრო ნაკლებ პატივცემულია, უფრო ნაკლებ დაზღვეულია გასამრჯელოთი და სასყიდლითა. გარდა ამისა, რაც უნდა უკეთ მომზადებული იყოს, რაც უნდა თავ-გამომეტებული თავისის თანამდებობის აღსრულებისათვის, რაკი ქალია, იშვიათად უპირატესობა მიეცემა ხოლმე მამაკაცის წინაშე, როცა ორივენი ერთს დროს წარსდგებიან ადგილის საშოვნელად. ეს გარემოება და ცილება ხშირად კარგად მომზადებულს ქალს ულუკმა-პუროდ სტოვებს და საწყალი ქალი, როგორმაც უკეთესი თვისი დრო მასწავლებლად მომზადებას

მოახმარა და შესწირა იმ პატიოსანის ფიქრით, რომ ჩემს დედ-მამას მუქთა-მჭამელად აღარ ვეყოლებიო, მე თვითონ მოვინაგრებ რასმეო, გულდაწყვეტილი ემორჩილება უმართლოებას და გარემოების სისასტიკეს, ზნეობრივად დაჩაგრული და ღონე-მიღებული.

ასეთმა ყოფამ ქალის-მასწავლებელისამ გამოიწვია ჩვენში ერთ-გვარი საზოგადოება საკუთრივ ქალთა-მასწავლებელთა შემწეობისა და ხელშეწყობისათვის. სასიამოვნო ეს არის, რომ ეს საზოგადოება შესდგა თვით ქალების თაოსნობით და მეცადინეობით და 4-ს იანვარს, როცა დამტკიცებულის წესდების ძალით, პირველი კრება მოხდა ამ საზოგადოებისა, საზოგადოება მოქმედებას შეუდგა,— საზოგადოების მმართველად და გამგებელად სულ ქალები არიან ამორჩეულნი და სწორედ ამიტომ დიდი იმედი გვაქვს, რომ საქმე კეთილად წარიმართება. ქალები ამისთანაებში უფრო მხნენი, უფრო მოხერხებულნი, უფრო დაუღალავნი არიან, ვიდრე, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენ, მამაკაცნი, ვართ. ამ საქმის დამწყებთა სადიდებლად და ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენ ეს უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში ქალების მხრით თავისის საკუთარის ძალ-ღონით ბურთის გატანისა ცხოვრების მოედნიდამ. პირველი მაგალითია, რომ ქალებს თავისი საქმე დაუწყიათ უსარგებლო ჩივილით და ხვეწნით კი არა, როგორც აქამდის ვიცოდით ხოლმე, აცა გვიშველეთ, ვიღუპებითო, არამედ თვისი საკუთარი მხნეობა, საკუთარი თაოსნობა და საკუთარი თვითმოქმედება ფარხმალად აუღიათ, რომ თავის საკუთარის ძალ-ღონით წინ აღუდგნენ ქალთა დამჩაგრავს გარემოებასა და ბედი, შეძლებისამებრ, თავისაკენ მოატრიალონ. ამ თვითმოქმედებაშია მთელი სიმძიმე ამ თავმოსაწონის და პატიოსანის საქმისა. ამასთანავე მთელი სახელოვანებაც, და ამაზედვეა დამყარებული იმედი გამარჯვებისა. თვითმოქმედება ყოვლად მხსნელი და ძლევამოსილი ძალია ყოველსფერში და ნამეტნავად მაშინ, როცა კაცს, თუ საზოგადოებას თავის-თავის შველა უნდა.

ქართველი სტუდენტობა რუსეთში

I

ტფილისი, 4 თებერვალი, 1886 წ.

გუშინ ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო „ახალ ამბავთა“ შორის ერთი გულსაწვავი ამბავი. ოდესის უნივერსიტეტში, საცა ჩვენი მოზარდი ყმაწვილ-კაცობა ჰრჩეობს უმაღლესის სწავლის მიღებას, რადგანაც იქ ჰავა სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებზედ უფრო უკეთესია და უფრო შესაწყნარებელი ჩვენებურებისათვის, ქართული სტუდენტობა კარგა ბლომად არის. ბევრნი მათგანი, გატაცებულნი უმაღლესის სწავლის სიყვარულითა, უქონლობას არ შეუშინებია და ყმაწვილ-კაცობის ხალისით და გაბედულებით გასდგომიან შორს და სანატრელს გზას სწავლისას. „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებითო“, და როგორც იქნება, ვითა თუ ვაგლახით, ჩვენს თავს გავიტანთო. ეს კეთილშობილური სითამამე, ეს პატიოსანი თავგამომეტება, ეს, თუ გნებავთ, ვაჟკაცური წინდაუხედაობა — უკეთესი სამკაულია ყოველის კაცისა და ყმაწვილ-კაცობის ხომ უკეთესი და აუცილებელი ღირსება და ძუთვნილებაა. უკეთესს მოხუცს თუ რამ ენანება თავისის წარსულისა, სწორედ ამ თვისებათა შესუსტება ენანება ხოლმე და ამიტომაც არც ერთი გონიერი და სულგრძელი კაცი ამისთანაებში არ უსაყვედურებს ყმაწვილ-კაცს, წინდაუხედავი რათა ხარო. საცა კეთილია, იქ აღებ-დაღება არ უნდა და რომ სწავლა საზოგადოდ და უმაღლესი საკუთრივ კეთილია — ამას ეხლა ყურ და თვალდახშულიც აღიარებს. აქ ჩვენ ყმაწვილ-კაცობის თავგანწირვას ვერაფერს წუნს ვერ დავსდებთ და ვინც წუნს დასდებს, შესცოდებს ღმერთსაც და კაცსაც.

ამ მხრით ვერავინ გულს ვერ გაიგრილებს, ვერავინ ყურს ვერ მოიყრუებს: როცა სწავლისათვის თავგანწირულ ყმაწვილ-კაცის ძახილი მოდის, მიშველეთო. ყველა ჩვენი ღონე ზედ-შევაკალით, ყველა ჩვენი მეცადინეობა ზედ-შევალიეთო და ვერას გავხდითო, იწერებიან ოდესიდამ უნუგეშოდ შორსღნი ყმაწვილ-კაცნი, ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები და იმედნი მერმისისანი. ნუთუ ქართველობა ისე გაძუნწდება, რომ ამ სასო-

წარკვეთილების ხმას ყურს არ ათხოვებს და გაჭირვებულთ მოძმეთ არ გაუწვდის შემწეობის ხელსა! აქ ყოველი გროშიც განძია და იმედი გვაქვს, რომ არავინ დაიშურებს, შეძლებისამებრ, რაიმე შეაწიოს. სწორედ ამისთანა საქმისათვის არის თქმული:

„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულია“.

II

ტფილისი, 22 დეკემბერი, 1886 წ.

ვერავინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და ცოდნის სურვილი. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ჰხედავს, ყველა ჰგრძნობს, ყველა ჰღაღადებს. ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჭკუა-გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო, — ის, რასაკვირველია, არ იკმარებს მაგ დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა — სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავ-მოსაწონებელი. პატარა ბავშიც კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერი ცოდნა აქვს, ძლიერია უცოდინარს გოლიათზედა და უფრო შემძლებელი ამ წუთის-სოფლის მოედანზედ, საცა დღეს იგი იმარჯვებს — ვინც მცოდინარეა, იგი ჰთამამობს — ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან. ეგ სურვილი ყოვლად-მხსნელის სწავლისა და ცოდნისა გულში უქმად, ცარიელ სურვილად არ დაგვშთომია. იგი ჰმოქმედობს და არა ერთსა და ორს დედ-მამას მიაყენებს ხოლმე სასწავლებლის კარებზედ ხვეწნით და მუდარებით, რომ სანატრელი კარი მისთა შვილთა წინ გაეღოს, და ამასთანაც ჰკანკალებს, — ვაი თუ არაო. არა ერთსა და ორს ჩვენ ყმაწვილ-კაცს გაიტაცებს ხოლმე თავგამომეტებით თავის საყვარელის სამშობლოდამ, რომ იქ შორს, შორს სადმე დაეწაფოს უმაღლესის ცოდნის ანკარა წყაროსა, რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტარებისა ჯერ არა სჩქეფს, —

„და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთა მშობელს ქვეყანად, მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალად ერთი ათასად“.

მოდიან ის თავგანწირულნი, ცოდნის სიყვარულით და წყურვილით შორს გარდახვეწილნი და წინ მოიმძღვარებენ მეცნიერებას და მის მწვანე შტოს ნოეს მტრედსავით, ნიშნად ხარებისა და ნუგეშ-ცემისა. მას აქეთ, რაც ქვეყნისათვის ჯვარცმულმა ღმერთმა ბრძანა: „მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ“, — არა-რას ქვეყნიერობაზედ ისე სამართლიანად არ შეუძლიან თავის დროშაზედ დააწეროს ეს ნუგეშმცემელნი სიტყვანი, თუ არ იმ სალაროს ცოდნისას და სწავლისას, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან და რომელმაც ნადირიკაცი ღვთის ხატად და მსგავსებად გარდაქმნა.

ყოველს ამას მოველოდებით სწავლისა და ცოდნისათვის თავგადადებულთა და გარდახვეწილთაგან. ამას ვითხოვთ, ამას ვავედრებთ, ამას ვეხვეწებით და, ჩვენდა სამწუხაროდ, იმას კი აღარ ვკითხულობთ, რა დღეში არიან ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები, მინამ თავის წყურვილს სწავლისას და ცოდნისას მოიკლავენ. დღევანდელი კიევიდამ მოწერილი ამბავი მკრთალი სურათია იმისა, რასაც ჩვენი საცოდავები ყმაწვილ-კაცობა ითმენს და იტანს სწავლისა და ცოდნის გულისათვის. ესე იგი იმ ძვირფასს თესლთა შეკრებისათვის, რომელიც მშობელ ქვეყანად უნდა მოჰხიდონ ერთი ათასად მოსამკალად და, მაშასადამე, ჩვენდა საბედნიეროდ. გარდიხვეწებიან ხოლმე საცოდავები და აქ დაშთენილნი კი არა ჰფიქრობენ მასზედ, რომ პური არა აქვთ საჭმელად, სახლი არა აქვთ თავშესაფარავად, და არას ჰზრუნავენ, რომ ხელი გაუწოდონ შველისა და შემწეობისა და იმ საშინელს წამებას გადაარჩინონ, რომელსაც შიმშილი და წყურვილი ჰქვიან. ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლენი მეტი ნაწილი ღარიბნი არიან. თქმა არ უნდა, რომ სიღარიბე უფრო იღვწის ამ შემთხვევაში, ვიდრე სიმდიდრე. სიმდიდრეს რა უჭირს? ცა ყოველთვის ქუდად აქვს, დედამიწა ქალამნადა. მას ჯერ არ აეშლება საღერღელი სწავლისა და ცოდნისა, და თუ აეშალა, ვარდით დაფენილ გზაზედ მიდის. სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰშაშრავს მის შიშველს ფეხსა და ტანსა. აქ სვლა მსხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გამომეტებაა. რამდენს დაულევია უდღეოდ სიცოცხ-

ლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმშილით დაუძლურებულს ხორცს ველარ უტარებია ღონიერი სული ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ? რამდენს დედას გამოსცლია ამ გზით ხელიდამ შვილი, რამდენს დას — ძმა, რამდენს მეგობარს — მეგობარი და რამდენი საიმედო შვილი დაჰკარგვია ქვეყანას!..

ნუთუ მამანო, ძმანო, დედანო, დანო და ქვეყნის გულშემატკივარნო, ასეა და ასე უნდა იყოს... ნუთუ მართლა ისე უღონონი ვართ, რომ თითო გროშის მიწვდენა არ შეგვეძლოს!.. თუ, — თქმაც კი ცოდვად მიგვაჩნია, — ისე გულგრილები ვართ, ისე უმადლონი, რომ გული ხელს იკავებს და დაუდევრობა — მადლის სურვილსა!

ჩვენი ხალხი და განათლება

ტფილისი, 2 მაისი, 1886 წ.

უმეცრება — აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალრბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს... ეს არავისთვის საიდუმლო არ არის: თითონ ცხოვრება ხმა-მაღლივ ღაღადებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაღებინოთ... გადიკითხეთ ყურადღებით გაზეთებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარედამ მოწერილი ამბები და ჰნახავთ...

ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს; წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზე დასო, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდამ გამოეცალა... რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალ-ღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე

ღონით გასძღოლია... სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკივოდეს და წარმატების გზა უჩვენოს?..

ხალხს მოსავლიანი წელიწადი დაუდგა, ჯაფამ მუქთად არ ჩაუარა. ხალხს ათას-გვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე. ამისთვის ფული უნდა. მოსავალია მთელი მისი სიმდიდრე, ერთად-ერთი წყარო. მოსავალია მისი ფული, მოსავლით უნდა გაუძღვეს ყველა ხარჯს და გადასახადსა. მოსავალი უნდა ფულად აქციოს. მაგრამ როგორ? აღებ-მიცემობისა არა ესმის რა, ანგარიში კარგად ვერ გაუგია, სად რასა აქვს გასავალი, არ იცის... ესეც ერთი უმეცრების ნაყოფი!

სიღარიბე, რიგიანის სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობის ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა... ბევრი მათგანი იხოცება და შველას-კი ვერსაიდამა ჰხედავს. ექიმი არა ჰყავს, წამალი არა აქვს. უილაჯობით ხან შვილოცველთან გარბის, ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარს ექიმობას სოფლისას, შელოცვას, ხატებში სიარულს. სოფლელ დედაკაცების წამლობას, ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვთ ხალხისთვის, ვიდრე სარგებლობა. განა ხალხს სიცოცხლე მოსძაგებია, განა სიკვდილი იამება? მაშ რატომ მეცნიერებას არ მიჰმართავს, რატომ თავის ერთს უძვირფასეს საუნჯეს — სიცოცხლეს არ იცავს რიგიანად? აქაც დაბნაშავე იგივე უმეცრება, ცრუმორწმუნებაა.

დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუწყობლობის გამო, და სხვა ბევრი ამ-გვარი ნაყოფი უმეცრებისა — ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადებს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას.

ბევრს ჯერ პირველ-დაწყებითის განათლების ნიშანწყა-

ლიც არ მოსცხებია. ხალხმა უმეტეს ნაწილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, რომ ხალხმა თავის ავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალით უყურებს და განს უდგება. ზოგიერთ ადგილას ხალხი პირდაპირ მტრულად ეკიდება სკოლას. მაგალითად, ამ დღეებში ერთი ჩვენი კორესპონდენტი გვწერდა, რომ ილორის საზოგადოება ცდილობს თავის სკოლას ხელი შეუშალოსო.

სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად, და ხალხი კი სდევნის სკოლას, განათლებას. რა მიზეზია? ცხადია, უმეცრება!

აი მოკლედ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ... უმეცრების შედეგი. დასაფიქრებელია ასეთი არა-სანუგეშო სურათი. უმეცრებაა ჩვენის საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა ძნელად მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგეს, ხალხს ძალი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, — ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალნი გამოიყვანონ უმეცრებიდამ. უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. ფული არა გვაქვსო, გარშემო შემწეობას არა ვხედავთო და ამიტომ უღონონი ვართ ამ საქმისათვისაო, ეს, რასაკვირველია, შესაწყნარებელი მიზეზია და არა გასამართლებელი. ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეგ თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შევაჩერ-

დებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!.

სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ

ტფილისი, 28 თებერვალი, 1886 წ.

ეხლანდელი სამინისტრო სახელმწიფოთა ქონების, მინდობილი ბ-ნის ოსტროვსკისათვის, ცნობილია თავისის განათლებულის მოქმედებით, რომელიც მიმართულია მასზედ, რომ ეხლანდელს ეკონომიურს უძლურებას ერისას მიზეზი უპოვოს და შეძლებისამებრ წამალი რამ დასდვას. გამოიძია რა, რამოდენადაც შესაძლო იყო, ადგილობრივნი ვითარებანი, სამინისტრომ სხვათა მრავალთა მიზეზთა შორის, ერთი მიზეზი შეჰნიშნა და აღიარა. ეგ შენიშნული და აღიარებული მიზეზი ერის ყოველგვარი უცოდინარობაა საზოგადოდ და ადგილმამულის კეთებისა საკუთრივ. ამის წამლად სამინისტრომ ერის სწავლა-განათლება ჰსცნო საჭიროდ და სწავლა-გახათლების მოსაფენად — მდაბიო სკოლების გამრავლება აღნიშნა. რადგანაც მდაბიო სკოლები ზოგადის ხასიათისა და თვისებისა საერო განათლების სამინისტროს საქმეა, ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბ-ნმა მინისტრმა ოსტროვსკიმ მდაბიო სამეურნეო სკოლებს და კანონს მოჰსთხოვა, რომ ამგვარი სკოლები ქონებათა სამინისტროს მზრუნველობას და გამგეობას ექვემდებარებოდეს. უმაღლესმა მთავრობამ ნება დაჰრთო და ამისათვის საჭირო ღონისძიება მიუბოძა. სამინისტრო მაშინვე შეუდგა ამგვარის სკოლების დამართვასა რუსეთში, და რომ კერძო კაცთა მეცადინეობა გამოიწვიოს და მათი შემწეობაც მოახმაროს ამ საქმეს, აღუთქვა სამინისტროს მხრით ფულით და ყოველისფრით დახმარება, ოღონდ კი ითავეთო.

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს კეთილი განზრახულება და დაწყო-

ბილობა ჯერ ხანად ჩვენში არ შემოტანილა, მაშინ, როდესაც, არა გვგონია, ბევრი სხვა ადგილი ისე ჰსაჭიროებდეს მდაბიო სამეურნეო სკოლებს, როგორც კავკასია საერთოდ და ამიერკავკასია საკუთრივ. მთელი ამიერკავკასია ძველადგანვე სცხოვრებს და თავს იკავებს მარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. ერთად-ერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიურის არსებობისა — საადგილმამულო მრეწველობაა და ამაზეა მთლად აგებული სრული ძალღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუჭირებლად და უნაკლულოდ.

ამიტომაც აქ უფრო ყველაზედ მომეტებულად საჭიროა ყოველის მხრით, ყოველის ღონისძიებით ხელის შეწყობა, რომ მაგ, — აქაურმა ერთად-ერთმა მრეწველობამ, ერთად-ერთმა ერის სარჩო-საბადებლის წყარომ გზა გაიხსნას, ავალა იქონიოს და, რამოდენადაც შესაძლოა, უფრო უხვად იდინოს ერის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის. ეგ ხელის შეწყობა არსებითი საჭიროება დღევანდელის დღისა, დღის ბოროტია, როგორც იტყვიან ხოლმე, დაგვიანება ამ ხელისშეწყობისა დაკარგვაა ჟამისა და ქონებისა და ამიტომაც ეს საქმე არ უნდა დარჩეს მთავრობის განსაკუთრებულ მზრუნველობისა და მეცადინეობის გარეთ და იმედია არც დარჩება.

ერთი უდიდესი ხელშემწყობი ღონე ამ საქმისა, ნაცადი და უტყუარი, — იგია, რომ გავრცელდეს და მოეფინოს ქვეყანას მამულის მოვლისა და კეთების ცოდნა იმოდენად მაინც, რამოდენადაც საყოველთაოდ გამოსადეგი და მოსახმარია მდაბიო მიწათმომქმედთათვის. უკეთეს გამავრცელებლად და მომფენავად კიდევ მდაბიო საკოლმეურნეო სკოლებია, სოფლად დამართულნი.

ჯერ ხანად ძნელი მოსალოდნელია, რომ მესვეურობა და თაოსნობა ამ ფრიად დიდმნიშვნელობიანს საქმეში კერძო კაცმა, ან თვითონ საზოგადოებამ მიიღოს ჩვენში. მეცადინეობა და გულისტკივილი ამ საქმისადმი ერთისაც და მეორისაც, — თუ კი კანტიკუნტად სადმე თავს იჩენს, — მსწრაფლ შეიმუსრება ხოლმე იმ რკინის კბედლზედ, რომელსაც გაჭირებას ეძახიან ფულის უქონლობის გამო. მაგისთანა სკოლებს იმოდენად მოზრდილი საგზალი უნდა, რომ ძნელად მოსაფიქრებელია ან კერძო კაცი, ან თვით საზოგადოება გასწვდეს და

გაუძღვეს. ამ მხრით მაინც რომ მთავრობა მოეშველოს ჩვენს ქვეყანას და ხელი შეუწყოს, უეჭველია კერძო მეცადინეობაც ფეხს აიდგამს და თავის მხრით დიდს სამსახურს გაუწევს სახელმწიფოსაც.

სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე

ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ, და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები.

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი, — მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით — საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აჟი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ — ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონესაცა სჯობდა, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს. რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით — უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა სცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან?! არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“, — თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის.

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

ღონიერი და ჭირთა-მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰჭონდეს და გამოჰჭონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

ეგ თქვენ თითონაც კარგად იცით. თქვენ თითონ ყოველდღე ჰხედავთ, რომ ეგ ეგრეა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა. რათა? იმიტომ რომ გუთნისდედა — მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის-მკეთებელი უფრო მეტადა ჰღირს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

ამიტომ ვამბობ, რომ მცოდნე თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს

სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო.

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის-დღეში არა: მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილის-შვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, — ერთნაირად შეივედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაც. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა.

ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი — აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

აი, სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან. აი, ამ პატარა სახლი-

დამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებული ფარ ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.

ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვანიშნებს — სად რა სიმდიდრე სძევს და რა-რიგის ხერხით, რა-რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვარიშვილს; ამ აკვანის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად! გაუმარჯოს ა იმ პატარა კაცსაც, თავადს ბებუთაშვილს, რომელმაც გაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარტო ერთის საქმის სიყვარულისა გამო, თავის დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა! ღმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველთვის! ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შეჰხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზე წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა, თქვენის თვალით დაგანახოთ, რომ მართლა „ხერხი სჯობნებია ღონესა“. მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია ვაჟკაცსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“.

თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვით: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად, გეუბნებით: „თქვენი გამარჯვებისა იყოს“!

წინამძღვრიანთ-კარის ქართული სამეურნეო სკოლა

ტფილისი, 1 ივლისი, 1886 წ.

ბევრი ხანი არ არის, რაც სოფელს წინამძღვრიანთ-კარში, დუშეთის მაზრაში, გაიმართა ქართული სამეურნეო სკოლა. ეს სკოლა გამართული ერთის კაცის მხნეობითა, ღონითა და ღვაწლითა. კაცმა დღეს რომ ამ სკოლის ყოფა-ცხოვრება თავის თვალით ინახულოს, სწორედ გაოცდება და მართლაც გასაოცებელია. ჰკვირობთ, როგორ შესძლო ამოდენა ერთმა კაცმა, რომელსაც ამისათვის არც საკმაო შეძლება აქვს საკუთარი, არც მოცლა. ეს დღევანდელი ყოფა სკოლისა მარტო მის გულგაუტეხელს მხნეობას, მის ზნეობით ძალღონეს უნდა მიეწეროს. რაკი ყველაფერი ეს იცი და ჰხედავ ამ სკოლის სიკეთეს, გულში გაოცებით ამბობ: დაუძინებელს მხნეობას საქმის უანგაროდ და გულწრფელად სიყვარულს, ერთობ ზნეობითს ძალღონეს, ერთს რაიმე სიკეთეზედ დაჟინებით და უკან დაუხევლად მიმართულს, სწორედ სასწაული შესძლებია. მართალიც არის: მოგახსენებთ, სწორედ სასწაულად მიეჩნიეთ, როცა ამ სკოლის ვითარება და გარემოება ჩვენის თვალით ვნახეთ. მშვენიერი ქვითკირის სახლი, წინ მთიდამ სკოლისაკენ დაქანებული ასის დღის მინდორი, რომელიც სკოლას საკუთრებად დაუმტკიცა სულის ჩამდგელმა და ღამაარსებელმა ბ-ნმა ილია წინამძღვრიშვილმა, სამჭედლო ყოვლის ფრთით მოწყობილი, საცა ყმაწვილები მჭედლობასა სწავლობენ, ეგრედ-წოდებული „ფერმა“, საცა თვითონ შეგირდს 70 საჟენი კვალი აქვს მიჩენილი საკეთებლად, კაბინეთი, საცა აწყვია სხვადასხვა სამოსწავლო საგნები, სხვადასხვა ნიმუშები სამეურნეო იარაღებისა, და მცირეოდენი ბიბლიოთეკაც არის; ოთახი, საცა სხვადასხვა მცენარეობას ზრდიან ზამთრობით და ინახავენ, საფუტკრე მრავალი გვარის სკებითა და გეჯებით მოწყობილი — ყოველივე ეს ლამაზად, ფაქიზად და საქმის ცოდნით არის გამართული, მოწყობილი, და მოვლილი.

თვითონ შეგირდები, რომელთა რიცხვიც ორმოც-სამამდეა, და რომელთ შორისაც თავადნი და აზნაურნიც არიან,

აგრეთვე შორიდამ მოსულნიცა, მაგალითებრ, მთიულეთიდამ, გურიიდამ, კახეთიდამ და ქართლიდამ, სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენენ. იმ დაჩაგრულს, დამფრთხალს, დაღვრემილს სახეს, რომელსაც ასე ხშირად შეხვდებით ზოგიერთს სკოლებში, აქ ვერა ჰნახავთ: ჯანით მრთელნი, სულითაც ჯანმრთელნი, მკვირცხლნი, სიცოცხლით სავსენი არიან აქა. მათმა ცოდნამ, გონებაგახსნილობამ, წერამ, კითხვამ, წაკითხულის ახსნამ, არა ერთი მაყურებელი და მსმენელი გააოცა.

ამაზედ ჩვენ დღეს ცალკე წერილი გვაქვს დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. ჩვენ თუ ამას შევეხენით ამ წერილში, მარტო იმისათვის, რომ ჩვენის საზოგადოების ყურადღება მიგვექცია ერთს სამწუხარო ამბავზედ. ეს ყოვლისფრით შემკული, ეს ფრიად სასარგებლო სკოლა, ესე კარგად და ცნობიერად დაწყობილი, ესე კარგად მიმდინარე სასწავლებელი, დღეს ერთის კაცის ზნეობითს ძალღონეზედ ტრიალებს. თვითონ საკუთარი შეძლება არა აქვს, რომ ეს სკოლა ასაზრდოოს; რასაც კი სადმე თავისის პატიოსანის შრომით შჰოობს, სულ ამ სკოლას ანაცვალებს; მაგრამ როდემდის ამ ტანჯვით და ვაებით გაუძღვეს ამ სკოლასა? ჩვენ ისიც გვიკვირს, ან აქამდე როგორ გაუძღვა და თავი და ბოლო როგორ მოაბა მაგ მარტოხელმა, ქონებით უღონო კაცმა. ნუთუ ჩვენი ქართველი საზოგადოება არ მოხედავს, მართებულის გულ-მტკივნეულობით არ მოაწვდის ხელსა საშველად და ამ სკოლას, ბევრნაირად საგულისხმოს და სასარგებლოს, სახსარს არ მისცემს, სახსარს მოუგროვებს ცხოვრებისა და არსებობისათვის? ამ დიდს სამაგალითო საქმეს, თითქმის არარაობით დაწყებულს, ეგრე მშვენიერად შესაბამს გზაზედ დაყენებულს, ეგრე საჭიროს ჩვენის ქვეყნისათვის, — ნუთუ ბოლო უნდა მოეღოს ჩვენის გულგრილობითა, გაუტანლობითა, გულშემატკივრობითა! ცოდვაა, ცოდვა რომ ეს მშვენიერად მიმავალი საქმე ამ სამარცხვინო დღეში ჩავაგდოთ. ცოდვაა ჩვენის ერისა, ჩვენის ქვეყნის წინაშე.

რაც ბ-ნმა ილია წინამძღვრიშვილმა ამ სკოლას ღვაწლი დასდო, რაც თავის საკუთარის შეძლებიდამ მოახმარა, რაც შრომა, ჯაფა და წვალება გამოიარა, ნუთუ არა კმარა ერთის კაცისათვის? ნუთუ სამართალი არ მიუძღვის გვითხრას ჩვენ: აჰა, რაცა მქონდა შეგწირე ამ საკეთილო საქმეს, რაც

შემეძლო გავისარჯე, ვიმხნეე, დღე და ღამ ვიზრუნე, საქმე საქმეზედ მოვიყვანე, სკოლა თავის გზაზედ დავაყენე და ახლა თქვენ იცით. შეუძლიან ეს გვითხრას, მაგრამ არ გვეუბნება. არ გვეუბნება, იმიტომ რომ ამისთანა საქმეში, ამისთანა გარემოებაში, ჩვენ თვითონ უნდა ვიგრძნოთ ჩვენი მოვალეობა, რადგანაც ეს საქმე ჩვენის ქვეყნის სასარგებლო საქმეა და არა ვისიმე კერძო კაცისა. ბ-ნი ილია წინამძღვრიშვილი იმოდენად თავდადებულია ამ საქმეზედ, რომ თავის უანგარო ჯაფას და საქმის სიყვარულით გაძლიერებულს მხნეობას არ შოაკლებს თავისის თაოსნობით გამართულს და თავისის ძალღონით გაზრდილს საქმესა, მაგრამ ჩვენ მიერაც ხელის მიწვდენა უნდა, შველა უნდა; ნუ ვიცით ხოლმე, რომ ჩვენის გაჭირვების ყავარჯენს ერთს კაცზედ მივაყუდებთ საზოგადო საქმეში და ჩვენ კი გულგრილად დავიკრებთ გულზე ხელებს, თითქო აქ ჩვენ არაფერს შეეში ვართო. ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილის საქმე ჩვენი საკუთარი საქმეა, იმიტომ რომ ჩვენის ქვეყნისათვის სახეირო და სასარგებლოა. იგი ამ საქმეში მარტო მესვეურია, მერე მხნე და გამრჯელი მესვეურიცა. ჩვენც უნდა მივყვეთ, რომ სასახელო სვე ბოლომდის სასახელოდვე გავიტანოთ.

ვაუწყებთ რა სამწუხარო გარემოებას სკოლისას, რომელსაც სახსარი მეტად მცირე აქვს არსებობისათვის, ვიმედოვნებთ, რომ ჭეშმარიტი ქართველი კაცი არ დაიშურებს ამ სკოლისათვის შესაწევარს თავის შეძლებისამებრ. აქ ყოველი გროში დიდი მადლობით მიიღება და ჩვენის ქვეყნის მოზარდს ყმაწვილს მოჰხმარდება მისდა და ჩვენდა საკეთილდღეოდ.

ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა შესახებ

ტფილისი, 30 ოქტომბერი, 1886 წ.

რამოდენა შეუძლიან ჩვენს ქვეყანას ან ხილი მოიყვანოს, ან ღვინო დააყენოს, რამოდენა ადგილი უჭირავს ხილნარსა და ვენახებსა, რამოდენაა შესაძლო, რომ კვლავ დაიჭიროს სა-

ვენახე და სახილნარე ადგილები, რა ადგილი უფრო რის მომცემია, სად რა სიკეთის ხილი და ღვინო მოდის, — ამაებისა ჩვენ თვითონ ძალიან ცოტა რამ ვიცით, და იმით, რომელთაც ამ მხრით შველა ჰსურთ ქვეყნისა, ხომ სრულებით არა იციან-რა. აი, მაგალითად, ერთი გაზეთი, რომელიც ამ საგანზედ ჰლაპარაკობს, რა ცოდნით გამოდის მოედანზედ:

„იმ ხილნარების გარდა, რომელნიც მთელს რუსეთში მოფენილია და რომელნიც მარტო ვაშლსა და ალუბალს იძლევიან, ჩვენა გვაქვს კავკასია და კავკასიაში იმისთანა დალოცვილი ადგილებია, როგორც რიონის ვაკე, საცა ყოველგვარი ხეხილი ჰხეირობს და საცა მარტო ყურძენი 4. 472. 000 ფუთი მოდის ყოველ წლით".

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ რიონის ვაკე მშვენიერს ხილსა და ბლომად ყურძენს იძლევა, მაგრამ გაზეთმა, რომელიც შეჰხებია ამისთანა საყურადღებო საგანს, როგორ არ უნდა იცოდეს, რომ დიდძალი ხილი ქართლშიაც მოდის, რომ დიდძალი ვენახები ქართლშიაც არის; რომ ერთისა და მეორისათვისაც კახეთი ერთს მართლა და ღვთისაგან დალოცვილს ადგილს წარმოადგენს; რომ ზაქათალის მაზრა, ნუხა, განია, ერევანი, ყოველივე ესენი, კარგი სახილნარო და სავენახე ადგილებია და დღესაც ბლომად იძლევა ხილსა და ღვინოსა. ქართლი, კახეთი და ეს ჩვენგან ჩამოთვლილი ადგილები სწორედ ულეველი ბოღაზია ხილისა და ღვინისა და პატივცემულს გაზეთს კი ჰგონებია, რომ ამიერკავკასიაში მარტო რიონის ვაკეა იმისთანა, საცა ხილი და ყურძენი მოდის. იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ხსენებულს გაზეთს ეგ უცოდინარობის გამო კი არ მოსვლია, არამედ იმით, რომ სურვება მოკლედ ეთქვა სიტყვა და მაგალითად მარტო რიონის ვაკე მოუყვანია. არა, ბატონებო, ჯემდეგ იმისა, რომ ზემოთ ამოვსწერეთ, გაზეთი სიტყვას აგრძელებს ამავე საგანზედ და აი რას ამბობს:

„ჩვენა გვაქვს ბესარაბია, რომელსაც ზედ-ებმის ზოგიერთი მაზრა ხერსონისა და პოდოლის გუბერნიებისა. საცა ჯერ კიდევ 1873 წელსა ვენახებს ეჭირათ 28. 230 დესეტინა თვით ბესარაბიაში, და 1. 500 ხერსონისა და პოდოლის გუბერნიების მაზრებში".

თუ სადმე ხილნარისა და ვენახების გამო ბესარაბია და თითო-ოროლა ადგილი ხერსონისა და პოდოლის გუბერნიე-

ბისა იხსენება, იქ როგორ არ უნდა იხსენებოდეს ქართლი, კახეთი, თიოქმის მთელი იმერეთი, ზაქათალა, ნუხა, განჯა, ერევანი და სხვანი, თუ კი ცოდნა იყო სადმე... ეგ სწორედ იმას ჰგავს, რაც კრილოვის ზღაპარშია: კაცს წვრილი კოღოები კი დაენახა და მათ შორის მყოფს სპილოზედ კი სთქვა: თვალი ვერ მოვკარიო.

ქვეყნის წარმატებისათვის მარტო ცარიელი სურვილი უქმი თამასუქია. ამიტომაც ბევრი რამ დაწყებულა ქვეყნის საკეთილოდ, მაგრამ უქმად ჩაუვლია და ქვეყანასაც გული გასტეხია და ნდობა დაჰკარგვია ყოველის ახალის დაწყებულების მიმართ. ხშირად, და ძალიან ხშირადაც, ასეთი ბოლო-გაუტანლებლობა, ასეთი მარცხი საკეთილოდ მოგონილის ღონისძიებისა თვითონ მკვიდრთათვის დაუბრალებიათ, არ ესმით სიკეთეო, ყოველს ახალს ეურჩებიან, ბრიყვი ხალხიაო და სხვა ამისთანა ტყუილი მიზეზები მოჰყავთ და გამგონიც იჯერებს. იმის გამომძიებელი და მთქმელი კი აღარავინ არის, რომ აქ ხალხი არასფერს ბრალშია; რომ მარცხის მიზეზი თვითონ საქმეშია, რომელიც მარტო ცარიელს სურვილზეა აგებული და მოკლებულია საჭირო ცოდნას ადგილის ვითარებისას, ურომლისოდაც კეთილი სურვილიც კი ფეხს და ხელს ისე ვერ გაანძრევს, რომ არ შესცდეს და გზა-კვალი არ აერიოს.

ესეა თუ ისე, მთავრობას შეუმჩნევია, რომ ყველგან რუსეთში ხილნარობას და მევნახეობას უკან დაუწევია, ხილს მეტად მოჰკლებია როგორც ბარაქიანობა, ისეც სიკეთე და ღირსება. სახელმწიფოთა ქონებათა მინისტრს ბ-ნს ოსტროვსკის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ამ ამბისათვის და შესდგომია, ღონისძიება რამ მოიპოვოს ამ მხრით სასოფლო მეურნეობის გახალისებისა და განკარგებისათვის. ღონისძიება, რომელიც ბ-ნს მინისტრს მოუპოვებია, იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ბევრს ადგილას რუსეთში გაიმართოს სკოლები სასწავლებლად ხილნარობისა და ვენახობისა. ამის გამო დეპარტამენტს მიწათმოქმედებისას და სასოფლო მრეწველობისას მან მიანდო შეადგინოს პროექტი საყოველთაო კანონდებულებისა და პროგრამებისა ამ სკოლებისათვის. ამ წლის იანვარში უკვე გამოცხადებულ იქმნა, რომ სამეცნიერო კომიტეტს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროისას მოუწონებია იგი პროგრამები მხოლოდ შესა-

ხებ სასპეციალო საგნებისა. რაც შეეხება საზოგადო განათლების საგნებსა, ბ-ნს მინისტრს საჭიროდ დაუნახავს შეიტანოს ამ სკოლებში პროგრამმა, უმაღლესად დამტკიცებულის ნორმალურის წესდებისა, რომელიც უკვე მოქმედებს სასოფლო მეურნეობის დაბალ სკოლებისათვის. რადგანაც ახლად განზრახულს სკოლებში მოსამზადებელი კლასები იქმნება, საცა წერა-კითხვის არ-მცოდნენი მიიღებიან, ამიტომ სასპეციალო კლასებში შესვლა მარტო იმათ შეეძლებათ, ვინც საზოგადო განათლების საგნებში საკმაო ცოდნას გამოიჩენს იმ ზომით, რა ზომაც დადებულია პირველდაწყებითს საერთო სკოლებისათვის.

იმავე დროს, როცა ესენი გამოცხადებულ იყვნენ, ხმა გავარდა, რომ ერთის უმაღლესის სასწავლებლის გამართვაც უნდათ ხილნარობისა და ღვინის კეთების სწავლებისათვისაო. ჯერ სდომებიათ თურმე იმისთანა სკოლა პეტერბურგის საბოტანიკო ბაღთან ერთად შეეერთებინათ და მერე კი მოსკოვის მიწათმოქმედების აკადემია ამჯობინეს და ამაზედ დასდგნენო. ჩვენ არა გვჯერა ეს უკანასკნელი ამბავი, იმიტომ რომ ეს უმაღლესი სკოლა ხილნარობისა და ღვინის კეთებისა ნუთუ იქ უფრო იხეირებს, საცა არც ხილი მოდის და არც ღვინო!..

თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში

I

ტფილისი, 8 აპრილი, 1886 წ.

ჩვენი, ქართველების, ხასიათი მართლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არი. კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კაცთა მია საჭირო, რომ გამიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიყვანოს იმ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც

შემდგარია ეს ხასიათი, თითქო ათას-ფეროვანი ჩუქურთმა არისო. ერთის მხრით ჩვენ მართლა, ხელგაშლილი, გულახდილი, გულწრფელი და სულმაღალი რაინდები ვართ. თუკი რაიმე გრძნობამ გვძლია და გაგვიტაცა, ჩვენ თავმოტაცებულ ცხენსავით შეჩერება არ ვიცით; რაც უნდა საშინელი ბოლო მოსდევდეს ჩვენს გატაცებას და რაც უნდა ცხადად და უტყუარად ვხედავდეთ ამ შედეგს ჩვენის გატაცებისას, ჩვენ მაინც რაღაც გამოუცნობის მორჩილებით ვნებდებით მისს მომხიბლავ ძალას... ამ შემთხვევაში ჩვენი გული სწორედ რომ შინაური ზღვაა, რომელიც ვნებათ-ღელვისა გამო ხშირად სუნთქავს... და, თუმცა ზოგჯერ კიდეც სცდილობს მოიპოვოს როგორმე სანატრელი მყუდროება, მაგრამ მაინც ძალა-უნებურად ნებდება დაუცხრომელ ტალღათა სრბოლას...

ერთის მხრივ ესეა, მეორეს მხრით... ზოგიერთის გრძნობა გარეშე მეთვალყურესათვის წარმოადგენს პაწია მღვრიე და ხავსით მოსილს ტბას, რომლის ადიდება და აგორვება ისე შეუძლებელია, როგორც უბრალო თვალთაგან უხილავის კბილის ჭიის ვეშაპად გარდაქმნა. რაც გინდა მრისხანე ცხოვრების გრიგალი დაჰქროდეს ამ ტბას, მისი ტალღები მაინც მყუდროდ განისვენებენ თავის ბინაზედ და არ ექვემდებარებიან მოძრაობის ქარ-ტეხილსა... ამ შემთხვევაში ზოგიერთი ჩვენგანი — მცხედარს ჰგავს, სულგანაბულად მდებარეს, რომელსაც თითქო არც კი ეხება ის, რაც ხდება საერთო ცხოვრების არემარეზე...

ამ-გვარი სამარეებური უგრძნობლობა, — თავს იჩენს ხოლმე ჩვენში ყოველთვის, როცა საქმე შეეხება არა უთავბოლო ფულის ფლანგვას, სმას და ქეიფს, არამედ „იმ-თავმომაბეზრებელს“ საგანს, რომელსაც საზოგადო საქმეს ეძახიან...

ეს ყოველისფერი, რაცა ვსთქვით ზემოთ, თვალ-წინ წარმოგვიდგა უნებლიეთ, რაკი წავიკითხეთ დღევანდელი კორეს-პოდენცია გურჯაანიდამ. ამ წერილის ავტორი სამართლიანი გულის წყრომით გვაუწყებს იმ დამდოვრებულს გულგრილობას, რომელიც გამოიჩინა თურმე კამისიამ, სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობის მიერ ამორჩეულმა, სასკოლო ფულის გასაწერად ერთმანეთ შორის.

მკითხველმა, რასაკვირველია უკვე იცის, რომ ჩვენმა

თავად-აზნაურობამ საერთოდ განიზრახა თავისის შვილების აღსაზრდელად ფული შეჰკრიბოს და ამისათვის საჭიროდ სცნო ფულის გაწერა თვისთა წევრთა შორის შეძლებისა გვარად, თითქმის ყველა მაზრის თავად-აზნაურობამ დიდი ხანია გაიწერა ფული და სიები წარადგინა, ხოლო სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობამ კი ეს საქმე დააგვიანა. ბოლოს როგორც იყო იგიც არ ჩამორჩა უკან სხვა მაზრების თანამოძმეთ და აირჩია კამისია კეთილი საქმის დასაგვირგვინებლად. საუბედუროდ, კამისია ისე მოჰქცევია ზემოაღნიშნულს საგანს, როგორც ჩვენ ვიმეორებთ, საზოგადოდ ყოველ ამ-გვარ საქმეს მოვექცევით ხოლმე გულგრილად და გულცივად... პატივცემულ წევრთ, თუმცა არ უარ-უყვიათ სრულიად სწავლა-განათლების საჭიროება თავის წოდებისათვის, მაგრამ იმნაირად კი შეუსრულებიათ თავისი მოვალეობა, რომ გარეშე კაცმა აწონ-დაწონოს მათი მოქმედება, იმ დასკვნას გამოიყვანს, ვითომ ხსენებულის მაზრის თავად-აზნაურობა მეტად გულაცრუებული იყოს სწავლა-განათლებაზედ. საკმაოდ მივუთითოთ იმ სამართლიან, ყველრებით სავსე სიტყვებზე, რომელიც წილად ხვდა თურმე კამისიას ზოგიერთ თავად-აზნაურობის წევრთა მიერ... — „ნუ თუ ბატონებო, უთქვამს კრებაზედ, თ. ი. გ. ვაჩნაძეს კამისიის წევრთათვის, — ნუთუ ჩვენი მაზრა ასე გაღატაკებულია, რომ 3100 მან. მეტის შეწირვა ველარ მოახერხა ამ სასიქადულო და საშვილიშვილო საქმისათვის. რას ფიქრობდა დალოცვილი კამისია, როცა აყენებდა ამ სიდიდე ჯამს? ნუთუ მას არ ესმის, რომ 3100 მან. ერთი მერვედის ჩვენის შვილებისა არ გაიზრდება რიგიანად? ჩვენს ნაყმევს გლეხებს მარტო თავიანთ სკოლების შენობათათვის შეუწირავსთ 4000 მანეთამდე და ჩვენ, კი გვინდა 3100 მანეთით დავაარსოთ და შევინახოთ გიმნაზია!.. თუ რამდენად აუწ-დაუწონია კომისიას მასზე მინდობილი საქმე სჩანს მისგან წარმოდგენილ სიებიდამ. მე, მაგალითად, შეუძლებელია სიაში მოუწყვდევიყავარ, თითქო მე არ შემეძლოს ხუთ თუმანზე მეტის ვაღახდა. ტყუილია! შემიძლიან გადავიხადო არა თუ ხუთი თუმანი, — ათიც, ისე როგორც ზოგიერთებს აქ მკითხეთ არაფერი არ დააკლდებათ იტვირთონ სამასი და ოთხასი მანეთის შეტანა... მაგრამ, — დააბოლოვა თ. ვაჩნაძემ თავისი სიტყვა, — შეძლებულ პირებს, როგორც ჩანს არა სურთ საყოველთაო სიკეთე. დავფიქრდეთ,

ბატონებო, რა სამასხარო საქმეს ჩავიდენთ რომ დავამტკიცოთ კამისიის სიები".

მარჯვენისა და კაცის მხნეობის კვალობაზე გავაწერეთ სასკოლო ფულიო, ამბობდა თურმე კამისია თავისის თავმჯდომარის პირით თავის-თავის გასამართლებლად. ვერაფერი უღელი გაუთლია პატივცემულ კამისიას სასწორისათვის. თუ ეს მართალია, თქმა არ უნდა, რომ ამ საბუთით ხელმძღვანებულს კამისიას სდომებია მდიდარნი წყლიდამ დაუსველებელნი გაეყვანა და ღარიბნი კი მოემწყვდია. ვინ არ იცის, რომ, თუ სადმე უქმობაა მარჯვენისა და მხნეობა-მოკლებულობა, უფრო მდიდართა შორის არის.

მარტო ღარიბია იძულებული მარჯვენაც ამოქმედოს და დიდი მხნეობაც გამოიჩინოს ამ ცხოვრების ჭიდილისათვის. ამის გამო ღარიბთა შორის უფრო ხშირია მხნე კაცი, ვიდრე მდიდრებ შორის. რაკი ეს უსამართლო საფუძველი აუღია პატივცემულს კამისიას ფულის გაწერის საქმეში, რაღა საკვირველია, რომ სასკოლო ფული ღარიბებს უფრო დასწოლია, ვიდრე მდიდრებსა. წარმოიდგინეთ, პირვანდელი ჯამი ფულისა, სამართლიანად დაწუნებული თ. ი. გ. ვაჩნაძისაგან, გაუდიდებიათ, როგორც კორესპონდენტი იწერება, ისევ ღარიბთა ჯიბიდამ! თ. ი. გ. ვაჩნაძის სამართლიანი სიტყვა, და გულ-მოსახვედრი, გრძნობით სავსე მშვენიერი სიტყვა სულგრძელის ღარიბისა ბ-მ გომელაურისა, დარჩომილა ხმად მღაღადებლად უდაბნოში.

II

ტფილისი, 30 დეკემბერი, 1887 წ.

ეხლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არა ჰშველის თავის თავს, თვითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარ მხნეობის გარეთ ეძიებს სახსარს ცხოვრების ავ-კარგიანობის გასაძღოლად,— ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ.

სხვის იმედის მჭონებელი გლახაა, მთხოვარაა, და გლახა-მთხოვარაობით ცხოვრება პირველი რომ სათაკილოა, თითონ

ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებელია, და მეორე — არც შემძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზედ დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს.

გლახა, მთხოვარა, რამოდენადაც წაქეზებულია სხვის გულ-შემატკივრობისაგან, იმოდენად თანდათან უკან მიდის, იმოდენად სული და გული უღონდება, უკვდება და ბოლოს ის გამოდის, რომ მთლად გადაეჩვევა თავის-თავის პატრონობას და მოვლას. ამ გადაჩვევას ხომ უღონო, დაუძლურება სულისა და ხორცისა მოსდევს, და ეს უღონობა, დაუძლურება — კდომაა, ხრწნაა, აგებულების დაშლა და დარღვევაა.

თუ ეს ითქმის ცალკე კაცზედ, თუ ეს საფიქრებელია და მართალია ცალკე კაცისათვის, უფრო საფიქრელია და მართალი მაშინ, როდესაც რომელიმე წოდება, ან მთელი საზოგადოება ამისთანა სენით არის დასნეულებული. ამაზედ უარესი სენი ჩვენ არ ვიცით. რომელს წოდებასაც, თუ საზოგადოებას ეს სენი ჩასჯდომია გვამსა და აგებულებაში, ფუტურო ხესავით დღე და დღე იფხვნება და პირქვე დასახმობლად გამზადებულია და გადადებული: თავოსნობას მუხლი ეჭრება, თვითმოქმედებას, გამრჯელობას და მხნეობას — ამ დედაბოძებს წარმატებისას — ძირი ულპებათ და აქ დარღვევისა და წაქცევის მეტს რას უნდა მოელოდეს ადამიანი?

ეს საშინელი სენი უქმობისა, თავის-თავის არ-პატრონობისა, თავის-თავის არ-შველისა ისე არსად არ არის ხელ-აღებით მოკიდებული, როგორც ჩვენს თავად-აზნაურობაში. არ არის არც ერთი იმისთანა გაჭირება, რომელსაც ცხოვრება კარზედ მოგვაყენებს ხოლმე, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ მაშინვე თვალი არ გაახილოს, იმისათვის კი არა, რომ თვითონ თავის თაოსნობასა და მხნეობაში მოიპოვოს ღონე ხსნისა, არამედ იმისათვის, რომ თავის გარეთ, ხელ-ფეხ-გაუნძრევლად, გაურჯელად — სამადლოდ ხელი ვისმე გამოაწვდევინოს საშველად. თუ ეს სამადლოდ გამოწვდილი ხელი იპოვა, ხომ რა კარგი, თუ არა-და, დაიკრებს ხოლმე გულზედ ხელებს და წუწუნებს, ვაი რა მეშველებაო, არავინ არა მშველისო.

ამისთანა საკუთარი სულმოკლეობა, მარტო სხვის სულგრძელობაზედ დამყარებული, კარგს არას მოასწავებს. პირ-

იქით, რამოდენადაც დიდს ხანს გასტანს და დიდს მანძილს გაივლის, იმოდენად გაათახსირებს, მოადუნებს, მოაკვდენს თვითარსებობის ძალ-ღონესა. წუთი-სოფლის სუფრა ჩვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისია და მარტო იმისი.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ, მაგალითად, სწავლა-განათლების საქმე. სწავლა-განათლება საჭიროა ყველასათვის და ამ საჭიროებას თავად-აზნაურობა უფრო უნდა დიდის ტკივილითა ჰგრძნობდეს, ვიდრე სხვა ვინმე, იმიტომ — რომ ამისი გემო თავად-აზნაურობას ყველაზედ უწინა აქვს გაღებული. რას ვხედავთ აქ? არც ერთი წოდება ჩვენში ისე გულგრილად არ ეკიდება ამ საქმეს, როგორც თავად-აზნაურობა. აქაო და მთავრობას სკოლები და სასწავლებელი აქვსო სხვათა შორის ჩვენთვისაცაო და იმას კი აღარა ჰფიქრობენ, რომ მთავრობა ვერ გასწვდება, ძალიანაც მოწადინებული რომ იყოს. მთელს იმ სიდიდე საჭიროებას, როგორიც ქვეყნის სწავლა-განათლებაა. აქ უეჭველად თვითონ ერის, საზოგადოების თაოსნობა და შველაც უნდა. ეს იგრძნო ჩვენში თითქმის ყველა ცალკე წოდებამა. მოქალაქეებმა თავისი სკოლები აიჩინეს, გლეხობამ თავისი, სამღვდელოებამ თავისი და მარტო თავად-აზნაურობა დარჩა წრეს გარეთ და სხვის იმედზედ.

მართალია, ტფილისისა და ქუთაისის ბანკი ორ სათავად-აზნაურო სკოლას ინახავს; მართალია, ამ ბანკების საწარმოებელი ფული, თავის სასახელოდ, თავად-აზნაურობამ გამოიღო, მაგრამ ყველანი ჰგრძნობენ, რომ მარტო ამ სკოლაზედ არ უნდა შეჩერებულიყო ჩვენი თავად-აზნაურობა, იმიტომ რომ საჭიროება დღეს სახსარს გადაჰეტებულია. რომ მართლა ამ ნაკლებულობასა ჰგრძნობენ, ამისი ცხადი მაგალითი ის არის, რომ ტფილისის თავად-აზნაურობამ სასკოლო ფულის გაწერვა მოიწადინა, მაგრამ ეს სამაგალითო და მშვენიერი წადილი

მარტო წადილადღა დარჩა და არავინ ჰფიქრობენ წადილი საქმედ აქციოს.

ამბობენ, ღარიბნი ვართო და წელი არ მოგვდევს სწავლა-განათლებისათვის გამოვიღოთ რამეო. ჯერ ამას ვიტყვით, რომ ღარიბნი თუ ვართ, სწავლა-განათლების უქონლობის მიზეზია. სწავლა-განათლება თითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ. მერე ერთი ეს ვიკითხოთ: მართლა ისეთი ღარიბნი არიან, რომ ამაზედ შესდგეს ჩვენი ლარი და ხაზი? გლეხები და მდიდრები არიან რომ თავის სკოლებს თავისის საკუთარი ჯიბით უძღვებიან? ვთქვათ, აქაც სიტყვას შემოგვიბრუნებენ და გვეტყვიან: გლეხები ბევრნი არიან, იმათ სკოლებსაც ბევრი ხარჯი არა აქვთ და მსუბუქად უძღვებიანო. ჩვენს სამღვდელოებაზე რაღას იტყვით, რომ მარტო ტფილისის გუბერნიაში შვიდს სასწავლებელს ინახავენ თავისის საკუთარის ხარჯით თავისი საკუთარი შვილებისათვის? ნუთუ ჩვენი თავად-აზნაურობა ჩვენს სამღვდელოებაზედ უფრო ღარიბი და შეუძლებელია? თავის დღეში ამას არ დავიჯერებთ და, მაშასადამე, სიღარიბის ხელზედ დახვევა სხვა არა არის-რა, რომ მიზეზს — დოს მარილი აკლიაო.

თუ გული ჰგულობს, ქადა ორი ხელით იჭმევა. საქმე ის არის, რომ გული არა ჰგულობს და ტყუილად ღობე-ღურეს ვედებით. საქმე ის არის, რომ თავად-აზნაურობა აქაც როგორც ბევრში სხვაშიაც, დაჩვეულია სხვისით თავის საქმის გასწორებას და გაძღოლას: სულ მთავრობას შესცქერის — მუქთად გვიზარდოს შვილებიო.

ეს ძველი ჩვეულება, თუ ოდესმე თავად-აზნაურობას ხელს უწყობდა, დღეის იქით ვეღარას გამოადგება. თავად-აზნაურობამ — ბევრია თუ ცოტა — თავის შვილების სწავლა-განათლებას უნდა თავის ჯიბით მიეშველოს, უამისოდ ხსნა არ არის და ეს სახსარი რაც მალე იქნება, მით უფრო ძლიერ და უებარ წამალად დაედება იმ წამწყმედელს ტკივილს, რომელსაც სწავლა-განათლების უქონლობას ეძახიან.

ეს ძველი წელიწადი იმით გავათაოთ, რომ მასთან ერთად გამოვეთხოვოთ ამ ძველს ჩვეულებასაც და ახალს წელიწადს მივეგებეთ იმ ტკივილის იმედით, რომ თავად-აზნაურობა ჩვენი თვალს ახელს და საკუთარი მხნეობით თავის-თავის მორჩენას მოიწადინებს და შეუდგება.

ისევ განათლების საკითხებზე

I

ტფილისი, 26 ოქტომბერი, 1889 წ.

დღეს ჩვენშიაც-კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს — რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ეს სიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს, როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაჰლიოს, იოლად გამოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არცა ჰშივა კაცს და არც სცივა. ამის გამო ცოდნის არ-ქონას ისე ვუყურებთ, როგორც არ-ქონას მორთულობისას, სამკაულისას, სახელდობრ იმ მორთულობისას, იმ სამკაულისას, რომელიც, თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არა და, არა ჰღირს იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს.

ჩვენი შეცდომა სწორედ ამაშია. ცოდნა, სწავლა-განათლება, ასე ახსნილი და გაგებული, სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შეგინებაა, გაუპატიურებაა. ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საქმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რაიმე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია. დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი, და უსწავლელი, უცოდინარი-კი მისი ყურმოჭრილი ყმაა, რომელიც ძალა-უნებურად იძულებულია იმას დასჯერდეს, რაც მცოდნეს და ნასწავლს მორჩება, რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არა ჰკიდებს, როგორც მისთვის უღირსსა და გამოუსადეგს.

ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშ-

რეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც ოჯ-
ვის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალწინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი-კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება.

ესეთი ძლიერება ცოდნისა და სწავლა-განათლებისა ჩვენ საკუთარ თვალ-წინ შესაძლოა კაცმა დაინახოს. რამდენი მაგალითია, რომ უცხო-ქვეყნელი, ვინ იცის საიდამ მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არამც თუ ლუკმა-პურსა ჰშოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის, და ჩვენ-კი, ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, ჩვენს საკუთარ მამა-პაპის ბინაზედ, გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა. ჩვენ მუდამ იმასა ვჩივით და ვტირით, რომ ღარიბნი ვართ, ლუკმა-პურის ილაჯს ვერსად გამხდარვართ, და ის-კი აღარ გვახსოვს, ის-კი აღარ გვაგონდება — სად და რაშია სათავე და მიზეზი ჩვენის სიღარიბისა.

საკვირველია! თუ უცხო-ქვეყნელი მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაში, საცა არც ერთი მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელშემწყობი და გულშემატკივარი და მარტო თავის თაოსნობაზედ და მხნეობაზედ დანდობილი, ჰშოულობს საქმეს, თავს ირჩენს, მდიდრდება, კეთდება, ჩვენ რაღა დაგვემართა, ჩვენ, რომელთაც მიწაცა გვაქვს, მამულ-დედულიც, ბინაც, მახლობელნი და ნათესაობაც გვყავს და მაინც ვჩივით და ვტირით სიღარიბეს. ჩვენს საკუთარს სუფრაზედ სხვანი ძღებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდან სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი, ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გვშიან და გვწყურიანო. ის-კი ვიცით, რომ „ტირილითა და ვიშითა“ სოფელი არ აშენდება.

რათ არის ესე? იმიტომ არის, რომ უცხო-ქვეყნელი იმ განძით, იმ საუნჯით მოდის ჩვენში, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და ურომლისოდ ეხლანდელ დროში თითონ ფულითაც მდიდარი ღარიბია, რადგანაც უქმია და გამოუსადეგი, და უქმი და გამო-

უსადეგი ხომ მარტო ქონების მჭამელია და არა ქონების გამდიდებელი და გამაძლიერებელი, ქონების გამღებია და არა მომღები. ეხლანდელს დროში ნურვინ იფიქრებთ, რომ წინ წაუხვიდეთ მცოდნესა და განსწავლულსა და ან არსებობისათვის ჭიდილში საეკონომიო მოედანზედ გამარჯვება თქვენ დაინარჩუნოთ; ნაღებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს სასვლეპავად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს.

ჩვენი უცოდინარობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ვეღარ გაგვიწევია ახალმოსულთა უცხოელთათვის. ყველგან იგინი გვჯობნიან, ყველგან იგინი წინ გვასწრობენ, გამოსარჩენს საქმეს ხელიდამ გვაცლიან. რას იზამთ? იმათკენ ცოდნაა, განათლებაა, მიხვედრილობა და გაგებულობაა, ჩვენკენ-კი უვიცობა, სიბნელე, მიუხვედრებლობა, გაუგებლობა. ამ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფნი რით უნდა შევეჭიდნეთ, რით უნდა გავუმკლავდეთ სწავლითა და ცოდნით შეთოფ-იარაღებულს, ცოდნითა და სწავლით გაძლიერებულს, გაღონიერებულს და გათამამებულს? რასაკვირველია, იმავ იარაღით, რითაც ისინი იმარჯვებენ ჩვენზედ, ესე იგი, ცოდნითა და სწავლულობითა. სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა.

ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა. მაშასადამე, ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული-კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან.

აქედამ აშკარაა, რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ ჯანი მიეცეს მის სულსა და ხორცს ცხოვრების მოედანზედ საჭიდაოდ და გასამარჯვებლად. იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის

მომფენელთ და მომავლინებელთ. მაგრამ, აბა ერთი უყურეთ, ან ამ მხრივ რა ყოფაში ვართ. აქაც, ჩვენდა საუბედუროთ, სხვებზედ უკანა ვართ დარჩენილნი.

რის გამო გავმართეთ საუბარი ამ ძველის-ძველ და ყოველთვის-კი ღირს-სახსენებელს საგანზედ, ამას შემდეგს წერილში გამოვარკვევთ.

II

ტფილისი, 27 ოქტომბერი, 1889 წ.

ჩვენს წინა-წერილში ვსთქვით, რომ ქართველობა, რაც შესაძლოა, ძლიერ უნდა ეტანებოდეს სკოლებს და სასწავლებლებს ცოდნისა და სწავლა-განათლების კარის გასაღებად, ხოლო ამის სანაცვლოდ იმასა ვხედავთ, რომ აწ არსებულს სკოლებსა და სასწავლებლებში ქართველები თითქმის ყველგან ნაკლებად არიან. ეს ცხადად დაგვანახვა სხვათა შორის ტფილისის რეალურ სასწავლებლის წლიურმა ანგარიშმა.

კვირას, 22 ოქტომბერს, ხსენებულ სასწავლებელში იყო აქტი. ამ აქტზედ წაკითხულ ანგარიშიდამა სჩანს, რომ გასულს წელს ამ სასწავლებელში ყოფილა სულ 358 შეგირდი და ამათ შორის ქართველი მხოლოდ 27, მაშინ როდესაც რუსი ყოფილა 138, სომეხი—136, გერმანელი — 24, პოლშელი — 16, თათარი — 10, ბერძენი — 4 და ებრაელი — 3. მოდით და გული ნუ დაგეწვით მწუხარებით ამისთანა ამბის გაგონებისაგან! 358 შეგირდს შორის მარტო 27 ქართველია მაშინ, როდესაც სომეხი 136-ია, რუსი 138-ი და გერმანელი — 24! მერე სად? საქართველოს დედა-ქალაქის, საქართველოს შუაგულის სასწავლებელში!..

ეს ამბავი გულში უფრო მწვავედ ჩააჩნდება ყოველს ჩვენს მოკეთეს, როცა გვეცოდინება, ქართველებთან შედარებით ვინ რამდენნი არიან, თუნდ, მაგალითად, მარტო ტფილისში. ტფილისი აიწერა 1876 წ. ამ აღწერიდამ სჩანს, რომ რუსები არიან ტფილისში რიცხვით 20.000-მდე, ჯარებს გარდა. ამათში 9.000 წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა; იმერ-ამერ ქართველნი — 22.000, ამათში მარტო 7.000 წერა-კითხვის მცოდნეა; სომე-

ხი—37.000, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 11.000-ზე მეტია; თათარი — 2.000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე მარტო 381; ყიზილბაში — 1.700-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 240-ი; გერმანელნი — 2.000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე — 1.500-ი. პოლშელები—1.500-ი; ამათში წერა-კითხვის მცოდნე— 1000-ია. ერთს მესამედზედ მეტს ჩვენებურ მკვიდრთა სცოდნიათ რუსული წერა-კითხვაც. ყოველ აქედამ გამოდის, რომ რუსებს თითქმის ნახევარ წილს სცოდნია წერა-კითხვა, ქართველებს თითქმის მესამედ წილსა, სომხებს მესამედზე ცოტა ნაკლებს. ხოლო წერა-კითხვის ცოდნის კვალობაზედ ყველაზე წინ არიან გერმანელნი, რომელთა შორის მცოდინარი ოთხში სამია; ამათ მოსდევენ პოლშელნი, — რომელთა შორის მცოდინარი სამში ორია; შემდეგნი არიან რუსნი, რომელთ შორის ორში თითქმის ერთია. მეტ-ნაკლებობა ეგრეთ-წოდებულ კულტურისა სხვათა შორის ამ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვითაც განიზომება.

თუ 20.000 რუსი სასწავლებელში ჰზრდის 138 ყმაწვილსა, თუ ორი ათასი გერმანელი ზრდის 24-ს, 1.500 პოლშელი — 16-სა, ჩვენ რა წყრომა ღვთისა გვეწია, რომ 22.000 ქართველი თითქმის მარტო იმოდენასა ჰზრდის, რაც ორი ათასი გერმანელი. ეს გულსაკლავი ამბავი რის მომასწავებელია? ვამბობთ, ღარიბნი ვართო და ვერ ვუძღვებით შვილების გაზრდის ხარჯსაო. კიდეც ეგ არის სავალალო, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მოსული გერმანელი-კი იმოდენად მდიდარია, რომ შვილების გაზრდის ხარჯსაც ჰშიეღლობს და სახლობასაც გაუჭირებლივ ჰკვებავს. რათა? რათ უნდა იყოს ესე? ჯერ იმიტომ, რომ გერმანელს და სხვა მისებრ მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად-კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულ-მკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა, და ამიტომაც, როცა სარჩო-საბადებელისათვის იღვწის, მაშინ წელებზედაც ფეხს იდგამს, რომ შვილის გასაზრდელი ხარჯიც მოიმარაგოს. გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად-კი თავის მონაგარს გროშს გადასდებს, შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაჰზოგავს და

ყველაფერს გაიმეტებს. გერმანელმა იცის, რომ შვილის კა-
ცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავ-
ლა-განათლებაზეა დამოკიდებული, იცის, რომ ცოდნა ვენახ-
ზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნია, უფ-
რო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვავი. ამ სახით, რა-
კი გერმანელისათვის ცოდნა, სწავლა-განათლება აუცილებე-
ლი საჭიროებაა, მის საეკონომიო ანგარიშში, მის საღვაწოსა
და საამაგოში შვილის გასაზრდელად სახარჯოს მოპოვებას თი-
თქმის უპირველესი ადგილი უჭირავს. ჯაფას, გარჯას იორკე-
ცებს და, თუ ამით ვერას გამხდარა, სხვაგან იკლებს და ამ სა-
ხარჯოს-კი ჰმატებს.

მეორე მიზეზი იმისი, რომ გერმანელს არ უჭირდება შვი-
ლის სკოლაში გამოსაზრდელი ხარჯი, ის არის, რომ გერმა-
ნელს ცოტად თუ ბევრად ცოდნა აქვს რისამე: ან სწავლულია
და ამით ჰშოობს ცხოვრების საგზალსა, ან ხელოვანია რაში-
მე, ან ხელოსანია. იგი საცა მიდის, ყველგან ჰპოულობს საქ-
მეს, და რაკი ცოდნა აქვს, მრავალკეცად იადვილებს სარჩო-სა-
ბადებლის შოვნასა და ჩვენებურ უცოდინარს ხელიდამ აც-
ლის საქმესაც და ლუკმასაც, ძალ-მომრეობით და უნამუსობით
კი არა პირისპირ ომით, პირისპირ ბრძოლით, ერთის სიტყვით—
იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვიან
და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია
და გამარჯვებული.

ჩვენ ყოველს ამაზედ ძალიან შორსა ვართ. ჩვენს საეკო-
ნომიო ანგარიშში, ჩვენის ცხოვრების „ჩოტკში“ შვილის გა-
საზრდელს სახარჯოს არავითარი ადგილი არ უჭირავს. განა მი-
თამ სურვილი სკოლაში მიბარებისა არ იყოს ჩვენში გაძლიე-
რებული!.. აბა ჰნახეთ, რამოდენა ქართველობა მიაწყდება
ხოლმე სასწავლებლის კარს, როცა მიღების დრო მოდის. ხომ
ესეა, და ბოლოს და ბოლოს მარტო იმასა ვხედავთ, რომ ამ
მრავალთაგან თითო-ოროლა-ღაა შესული სასწავლებელში და
ამ გზით ქართველები ყველგან ცოტანი არიან.

რათ არის ესე? თუ სურვილი ძლიერია, საქმეც უნდა გა-
მოდიოდეს რამე და რატომ არ გამოდის? იმიტომ, რომ ჩვენ
შვილი მიგვყავს სკოლაში მარტო იმისათვის, რომ თავიდამ
მოვიშოროთ, ან სახელმწიფოს მოვახვიოთ კისერზედ, ან სხვას
ვისმე კეთილმყოფელს, და რადგანაც სხვისი ჯიბე იმოდენად

უხვი არ არის, რამოდენადაც დიდია სურვილი მუქთად შვილის გამოზრდისა და გამოკვებისა, ამიტომაც ბევრი დედ-მამა იძულებულია შვილი უკან წაიყვანოს. ეს სწორედ იმასა ჰგავს, — ყვავს ბახალა მოუკვდაო და ბუს მიუგდო, დიდი თავი შენა გაქვს და შენ იტირეო.

ერთხელ და ერთხელ საჭიროა ყურებიდამ ბამბა გამოვიღოთ. ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. რასაკვირველია, ამას ხარჯი უნდა, და აი სწორედ ამის სახარჯოსათვის ჩვენ არ ვირჯებით, არა ვმოქმედობთ, არა ვმონაგრობთ, ერთს წვეთს ოფლსაც არ ვიმეტებთ, პური როცა გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშოობთ, ღვინო როცა გვაკლია — ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია, იქით ვეცემით, აქეთ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ,— და როცა შვილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ გავძრავთ, თუნდა მთელი დღე იმოდენად მოცლილი ვიყვნეთ, რომ გულდაღმა ვიწვნეთ და ჭერში ბუზებსა ვსთვლიდეთ. გაზრდა შვილისა-კი ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფროს-ერთი დრო ამას უნდა შევახმაროთ.

აკი ვსთქვით, სურვილი სკოლაში შვილის მიბარებისა ბევრია, მაგრამ გვინდა-კი, რომ ყოველივე ეს ან მუქთად მოგვეცეს, ან მოწყალებასავით სხვისაგან გვეძლიოს. ჩვენ თითონ-კი ამისათვის ხელის განძრევაც გვეზარება: თუ მოვა თავისთავად, ხომ რა კარგი, თუ არა, უმაგისოდაც გავძლებთო, ვიტყვით ხოლმე. უმაგისოდ ვერ გასძლებთ, ვერა. ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია. მაშ თან ხომ არ გადავყვებითო მაგ ხარჯსა და მოვალეობას, როცა ჩვენ თითონაც არა გვაბადია-რაო. სწორედ თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგებიკი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან.

ქალთა სასწავლებელი

ტფილისი, 6 მარტი 1889 წ.

რაც გინდ დიდ გაჭირვებაში ჩავარდეს კაცი, ერთად-ერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. მართალია, შესაძლოა სხვა გარემოებამაც ხელი შეუწყოს კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავი-და-თავი მომქმედი ძალი მთა-კლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა. უამისოდ სხვისით საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა, სხვისაგან მოლოდინი შველისა და ხსნისა უფრო მიძინებაა მხნეობისა, თვითმოქმედებისა და თავისთავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება.

კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, — აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მთხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი. ამისთანა კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამადლოდ გამოხსნამდე იყო, იმიტომ რომ თვითონ უქმია და მოედანი ცხოვრებისა-კი იმისია, ვინც თითონ მხნეობს და ირჯება თავის-თავის საშველად. საზოგადოებას აიღებთ, თუ ცალკე კაცს, ყველგან ერთსა და იმავე უცვალებელს ბედისწერასა ჰხედავთ, რომ მარტო საკუთარს თვითმოქმედებას, მხნეობას, გამრჯელობას წარუმართნია საქმე როგორც საზოგადოებისა, ისეც ცალკე კაცისა. რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი, სხვაზედ დანდობილა და თითონ გულ-ხელი დაუკრებია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა — იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე წასაღებად.

ჩვენ ეს საუბარი ჩამოგვაგდებინა ერთმა წერილმა, რომელიც 4-ს მარტს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ამ სათაურით: „საზოგადოების საყურადღებოდ“. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ წერილში ის ვიპოვეთ, რასაც არაერთხელ ვნატრულობდით ეგრეთ-წოდებულ „დედაკაცთა საქმის“ ჰეშმარიტს გზაზედ დასაყენებლად და, მაშასადამე, წარსამატებლად. ამ წერილში არ არის ის უკბილო საყვედური და უქმი ჩივილი, რომ აი,

თქვე გულ-ქვაო კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთო? რატომ იმისთანა თავისუფლებას ჩვენც არ გვაძლევთ, რომელიც თქვენ ასე ტკბილად გატარებინებთ თქვენს სიცოცხლესაო და სხვა ამისთანა? არც ის უთავბოლო ფრაზებია იმაზედ თუ, — დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი „უწმინდაესი, უსამღვთოესი დანიშნულება“ აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქო ყველაზედ უწინარეს იგი ამავე ადამიანად არ იყოს გაჩენილი, როგორც მამაკაცი და, მაშასადამე, მინამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, ყველაზედ უწინარეს იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს. დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი-კაცობა შესძლებს. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის.

ჩვენ ეს, ამ-ხანად მოკლედ გამოთქმული, აზრი იქნება ოდესმე უფრო ვრცლად გავარკიოთ, ეხლა-კი ისევ ზემოხსენებულ წერილს დავუბრუნდეთ. პატივცემული ავტორი ქალი გვაუწყებს, რომ ჩვენს ქალებს უთავნიათ, ღონე მოიპოვონ და სკოლა გაჰმართონ ქალების გასაზრდელად და თვით გაზრდა შეუფერონ ჩვენის დღევანდელის დღის საჭიროებასა.

„უთუოდ მეტყვით, მკითხველო, — ამბობს ავტორი, — რომ ამ-გვარ სკოლას დიდი-ძალი ფული მოუნდება. მაგრამ, ბატონებო, თქვენის დახმარებით და ჩვენის მეცადინეობით იქნება ეს აზრი საქმედ ვაქციოთ. უეჭველია, საქართველოს ყველა კუთხითგან გამოგვეხმაურებიან, ხელს მოგვაწვდენენ, აღმოგვიჩენენ შემწეობას და ამითი გაგვამხნევებენ და შეგვიმსუბუქებენ იმ ტვირთს, რომელიც ჩვენ ვიდეთ კისრად“ .

ჩვენ ამ წერილისა ის მოგვწონს და ის გვიხარიან, რომ

ჩვენს ქალებს თავის-თავის შველა მოუწადინებიათ და სათავედ დაუდვიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მეცადინეობა. უკეთეს სახსარს, უკეთეს ღონეს სხვას ვერას იპოვიან, თუ მართლა ჰსურთ საქმის გაკეთება და არა ტყუილ-უბრალო წივილ-კივილი. ჩვენ ეს ამბავი სიხარულით შეგვაქვს ჩვენს მატიანეში და მივულოცავთ ჩვენს ქალებს, რომ ჭეშმარიტს გზას დასდგომიან თავიანთ სვე-ბედის გასასწორებლად. მალე შეუსრულდებათ ეს კეთილი განზრახვა, თუ გვიან, — დღეს საქმე იმაში არ არის. საქმე იმაშია, რომ თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთ მოქმედებისათვის და შესდგომიან, რომ თავის საკუთარის ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდამ თავიანთ სვე-ბედის ბურთი. რაც გინდ ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდეს პირველ ხანებში ამ ქალებისაგან განზრახულს საქმეს, ბოლო მაინც გამარჯვებაა და გამარჯვება, რადგანაც იშვიათი ამბავია, რომ დაუღალავს მხნეობასა და საქმის ბოლომდე მედგრად მიყოლას თავი არ გაეტანოს. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს ქალებს წესად მიუღიათ, რომ —

„თუ თვით არ ვიღვწით, ვერ ვპოვებთ
კეთილსა შესაკრებელსა“.

დედათა საქმე და ქალთა განათლება

ტფილისი, 15 მარტი 1889 წ.

თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ— მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლი-

ტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა. თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია.

რასაკვირველია, ამ ზედმოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია. ამნაირი კაცი კაჭკაჭია და არა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადებულის აზრისა, რომელიც თუ სხვისაგან დაუჩემებია, კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თავისად გარდაექცია. უამისოდ ზემოქმედება უძლიერესისა უღონოზედ უკეთესისა უარესზედ მარტო ცარიელი მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლაა, ტყვეობაა და არა თავისუფლება და თვითმოქმედება გონებისა, რომელიც ერთად-ერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა. ამ სახით ყოველივე ზედმოქმედება — ავია თუ კარგი — არაფრის კეთილის მომასწავებელი არ არის. პირიქით იგი აძინებს, ჰკლავს მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახობას გონებისას სჩაგრავს და აბათილებს.

ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთვნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიან: იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარ-და-მხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ. ლიტერატურა, რომელსაც მადლი ცხოველ-

მყოფელობისა სძრავს და ამოქმედებს. ერთი გაუწყვეტელი გრეხილია აზრთა ზედმიყოლებით განვითარებისა და წარმატებისა. ამისთანაა რუსული ლიტერატურაცა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რაც გუშინ სწამდა ლიტერატურას, რა მოძღვრებაც გუშინ ჰპატონობდა ლიტერატურაში, დღეს ყოველივე ის უარყოფილია და დევნული იმავ ლიტერატურისაგან. ხშირად ერთს რომელსამე ხანაში აღძრული აზრი. თუ საგანი, მეორე ხანაში ისევ იმ საგნადა და აზრად რჩება, მხოლოდ სულ სხვა სახით, სხვა შუქით, სხვა სიგრძე სიგანით გამოდის. ამას ყოველსფერს თვალის დევნა უნდა და თუ არ კრიტიკითა და გამოძიებით გამორკვევა, შეინიშვნა მაინც და ანგარიშის გაწევა. თორემ აქაო და ამ ოცისა და ოცდა-ათ წლის წინათ ამა-და-ამ საგანზედ ეს და-ეს ითქვაო და დაიჟინონ, — ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა.

სწორედ ამისთანა საქმე მოსდის დღეს ჩვენში, სხვათა შორის, ერთს მოძღვრებასაც, რომელიც ეგრეთ-წოდებულ „დედათა უფლების საქმეს“*, შეეხება. ეს საქმე ჩვენში დღესაც იმ საბუთებზე ჰტრიალებს, რა საბუთებითაც ამ ოცისა თუ ოც-და-ათის წლის წინათ თავი იჩინა და მოედანზედ გამოვიდა. თითქო კაცობრიობას საზოგადოდ და რუსულ ლიტერატურას ცალკე მას აქეთ ეს საქმე წინ არ წაეწიოს, უფრო ფართოდ არ გადეშალოს, არ დაეყენებინოს და უფრო საბუთიანს საფუძველზედ არ ამოეყვანოს.

თუმცა ეს საქმე დიდად შესანიშნავი რამ არის და ჩვენთვისაც ისე საჭიროა, როგორც სხვისთვის, მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოდ, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ჩვენის თაოსნობით არ არის დღეს ჩვენში ფეხზედ დამდგარი. ამ საქმეს და მის საჭიროებას კვლავ იმავ რუსულმა ლიტერატურამ მიგვახვედრა და დღესაქამომდე იმ საბუთებითა და იმ აზრებით იკვებება, რომელნიც — როგორცა ვთქვით — ხელზედ დახვეული ჰქონდათ ამ საქმის მოსწრეთა ამ ოცისა და ოც-და-ათის წლის წინათ. აბა გადასინჯეთ ყოველი, რაც ამ საგანზედ ჩვენში წერებულა და იწერება დღეს, თუ ჯერ-დელებრ მარტო სახელითა „დედობი-

*) Женский вопрос.

სათა, ცოლობისათა და დობისათა“ არ ითხოვდნენ ამ საქმის ასე თუ ისე წარმართვას. ასე იყო დასაბუთებული ღაღადი დედათა უბედობის თაობაზედ ამ ოცისა თუ ოც-და-ათის წლის წინათ რუსულ ლიტერატურაში, თითქო დაავიწყდათო, რომ დედაც კაცია, ადამიანია და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლების საქმე უნდა ჰღაღადებდეს და თხოულობდეს თვის წარმართვასა. ამ ფართო გზაზედ ჰდგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია ვერაფერს სამსახურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდამ ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცოლობისა და დობის უღელი გააწევინონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალობონ.

ჩვენს მეთაურს, რომელმაც გამოიწვია „ქართველის ქალის“ წერილი, დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი სხვა არა უთქვამრა ამის მეტი. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს საბუთი ვსთქვათ, რომ რუსულმა ლიტერატურამაც ამ-რიგად დაუწყო ყურება ამ საქმეს. 7-ს მარტს პეტერბურგში დაბეჭდილ და 13-ს მარტს ქალაქში მოსულ გაზეთებიდამ ამოვიკითხეთ, რომ სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ჩვენი მეთაური დაიბეჭდა, პეტერბურგში გამოსულა ჯურნალი „Женское Образование“. ამ ჟურნალშია წერილი რუსეთში ცნობილ პედაგოგის ი. გ. გურევიჩისა, რომელიც სწორედ იმასვე ამბობს, რაც ჩვენის „ქართველის ქალის“ მიერ დაწუნებულ მეთაურში ჩვენ ვსთქვით. გაზეთს მოჰყავს-რა ამ გურევიჩის სიტყვები, თავის მხრით ამისთანა წინასიტყვაობას უძღვნის:

> «Шаблонные моралисты, говоря о женском образовании, любят часто повторять по адресу школы классическое требование: «дайте нам хороших жен, матерей и хозяек... და მერე: Гуревич доказывает всю риторическую пустоту этого притязательного требования».

აი თითონ გურევიჩის სიტყვებიცა:

„ამ კეკლუცმა ფრაზამ, — ამბობს სტაიუნინიო თავის-თავზედ, — მეც ერთხელ ამიყოლია. ხოლო მერმედ-კი სხვა მეორე საგანმა მიმიზიდა და ვკითხე ჩემს თავსა: რატომ მამაკაცის შესახებ-კი არავის წამოსცდენია სურვილი, რომ მოგვიმზადეთ კარგი ქმრები, კარგი მამებიო? ეს ღირსებანი ხომ ისე საჭირონი არიან მამაკაცისათვისაც ოჯახში, როგორც დედა-

კაცისათვის კარგი ცოლობა და კარგი დედობა. რატომ არავინ ჰფიქრობს, რომ ეს ღირსებანი დაუნერგონ და განუვითაროს მამაკაცებსა? იმიტომაო, — ამბობს ახლა თავისით გურევიჩი,— რომ მამაკაცთა სწავლა განათლების თაობაზედ ჩვენ უფრო უკეთესი და მართალი აზრი გვაქვს, ვიდრე დედაკაცის სწავლა განათლების თაობაზედაო. როცა მამაკაცი გვყავს სახეში, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზედ უწინარეს უნდა განვანათლოთ ადამიანი და რაკი ადამიანი განათლებულია, მალე გაიგებს თავისს მოვალეობას, რომელიც მან უნდა იკისროს იმ გარემოების მიხედვითა, რაშიაც ცხოვრება ჩააყენებს, და მალე შეიძენს იმ განსაკუთრებულ ცოდნასაც, რაც დასჭირდება ცხოვრების ამა თუ იმ გზაზედ.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, სასაცილოა ის სურვილი, რომ მამაკაცი ვამზადოთ მარტო საკარგ-ქმროდ და საკარგ-მამოდ. განა ამავე აზრით არ უნდა მივმართოთ ქალების სწავლა-განათლების საქმე? განა ქალიც არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერისად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გულის-ტკივილი კაცობრიულის და მოქალაქობრივის ინტერესებისათვის, გავაგებინოთ იგი ვალი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს? ესეთის აზრებით, რწმენით და თვალთა-მხედველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა და მისებრივ ადვილად გაიგებს, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, და უკვე განათლებული ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე მისთვის საჭირო იქნება".

აი დღეს დედათა საქმე რა გზაზედ და რა ფართოდ არის დაყენებული რუსულ ლიტერატურაში და ჩვენი პატივცემული ქალი-ავტორი ამაოდა ჰცდილობს გამოვლილ გზაზედ უკანვე დაბრუნებას. ამ ახალს მოძღვრებას დედათა საქმის შესახებ ვერავინ გაემკლავება, რადგანაც დღევანდელი ბურთი და მოედანი უფრო მეტის ცნობიერებით, უფრო მეტის სიმართლით და საბუთით ამ მოძღვრებას დაუჭერია არამც-თუ მარტო რუსეთში, სხვაგანაც. დღეის ამას იქით აგრე სამართლიანად განდიდებულს და გაფართოებულს საქმეს ველარავინ გამოჰკვე-

ბავს წინანდელის ნამცეცებითა. ჩვენ ამასაც ვიტყვით, რომ მარტო ამ მოძღვრებას შეუძლიან თავი გაატანინოს დედათა საქმეს ყოველთა სასიხარულოდ და სასიქადულოდ, და ვისაც დედათა საქმის სიდიადე გულწრფელად და გაგებულად გულში სდებია, არა გვგონია, ამ გზაზედ საქმის დაყენება მიიჩნიოს გზის გამრუდებად და არა გასწორებად.

სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი ღონებრიობის ფინაანდეგ განათლების საქმეში

ტფილისი, 31 დეკემბერი, 1893 წ.

ჩვენ მოგვივიდა მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება სოფლის მეურნეობის ქალების სასწავლებლისა.

გარდა იმისა, რომ უკანასკნელ ხანში სხვადასხვა პროექტი მზადდება სამინისტროს მიერ ქალთა განათლების შესახებ, მთავრობას საჭიროდ დაუნახავს დედათა სქესს მეურნეობაშიც წილი დაედოს.

ასეთი განკარგულება, რასაკვირველია, დიდის თანაგრძნობით იქნება მიღებული, ნამეტურ ხალხის მიერ, რადგანაც გლეხთა ქალები მრავალგან თითქმის იმდენსა მუშაობენ მიწას, რამდენსაც თვით მამაკაცნი. ამ შემთხვევაში საგანგებო სამეურნეო წესდების ცოდნა და სწავლა ფრიად დაეხმარება გლეხის ოჯახობას, რომელმაც ხშირად სულ უბრალო დამაბრკოლებელის მიზეზის მოშორებაც-კი არ იცის თავიდან. მაგრამ იმ ახალის კანონის შემდეგ უნებურად ებადება კაცს ეს აზრი: დაბალ სამეურნეო სასწავლებელში-კი ეძლევათ ქალთა უფლება შეისწავლონ მიწის მუშაობა, განვითარდნენ და დახელოვდნენ მამულის მოსავლელად, — მაგრამ ამნაირივე უფლება ენიჭებათ მათ უმაღლესი სამეურნეო განათლების მისაღებადაც, თუ არა?

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ დახშული აქვთ კარი ქალთა, და უმაღლესი სამეურნეო სკოლები დანიშნულია მხოლოდ მამაკაცთათვის.

რასაკვირველია, ქალთა სამეურნეო სასოფლო სკოლა ახალი საქმეა და, რომ დაბადებისთანავე ამ სკოლას არ დაჰყვა

სამეურნეო აკადემიებში შესვლის უფლებაც, ეს გარემოება სრულად არ უნდა გვაეჭვებდეს და გვისპობდეს იმედს იმის შესახებ, რომ შემდეგშიც დავიწყებული იქნება ქალთა სამართლიანი სურვილი უმაღლეს სამეურნეო სკოლაში შესვლისა...

ადვილად შესაძლოა, რომ ჩვენი მოლოდინი გაცუდდეს, და უმაღლესის სამეურნეო სასწავლებლის კარები მომავალშიც დახშული იქნეს ქალთათვის; მაგრამ პირველი ნაბიჯი დედათა სქესის რომელისამე უფლების მინიჭებისა მაინც მოსალოცავია და სასიამოვნო მისაგებებელი.

მაგიერად, სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება იქონია ჩვენზედ განათლების სამინისტროს მეორე პროექტმა, რომლის ძალითაც „ქალთა გიმნაზიებში“ ექნებათ ადგილი მხოლოდ უმაღლეს წოდების ყმაწვილებს.

ჩვენ კარგად ვერ გაგვიგია, რას ნიშნავს ამ შემთხვევაში სიტყვა — უმაღლესი წოდება, რადგანაც ის არევ-დარევა წოდებათა მნიშვნელობის შესახებ ეხლანდელს დროში, რომელიც ყოველგან არსებობს, მრავალს იჭვსა და გაუგებარს გარემოებას გამოიწვევს.

ყოველს შემთხვევაში, უნდა აღვნიშნოთ, — პროექტის შემდგენელს დავიწყებია, რომ ასეთი განკერძოება წოდებათა, ასეთი განცალკევება ერთის ქვეყნის შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები, გრძნობა, აზრი და მისწრაფება ურიცხვის სიმით არის გადაბმული და გადახლართული დანაშთენთან, შეცდომაა. ეს შეცდომა დაჰგმო ძველ ერთა ისტორიამ და დაამტკიცა, რომ მხოლოდ ყველა წოდების კავშირი გაუძლებს განათლების და ხალხის დაწინაურების დამაბრკოლებელს მიზეზებს.

უმთავრესი და, იქნება ერთად-ერთი გარემოება, რომლის წყალობითაც დაიღუპნენ და აღიგვნენ დედამიწის ზურგითგან მრავალნი ძლიერნი და სახელოვანნი ერნი, — იყო უთანხმოება და განსხვავება წოდებათა შორის!

თუმცა დიდი მოძღვარი ინდოელთა — ბუდდა და შემდეგ მაცხოვარი ჩვენიც ერისა და იმასვე ასწავლის ქვეყანას — თანასწორობას და სიყვარულს წოდებათა განურჩევლად, მაგრამ ეს სანატრელი და თაყვანის-საცემი მცნება დღესაც თეორიად რჩება.

წოდებათა შორის უთანხმოებისა და სიძულვილის წამო-

ყენება, რასაკვირველია, ვერსად ვერ დააარსებს კეთილსა და სასურველს განწყობილებას, მაგრამ ერთი-ასად უფრო მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება ამ გრძნობის ხელოვნურად გამოწვევა და აღძვრა ჩვენში!

ჩვენ, ისეც დაჭაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა რაღა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად უნდა გვეცალოს!

მაგრამ ზოგიერთნი ძველნი და ახალნი მბღაჯველნი ამ მარტივს აზრს ჯერაც ვერ მომხვდარან.

ოჯისის სამეურნეო სკოლის საკითხზე

I

ტფილისი, 20 იანვარი, 1897 წ.

23-ს ამ იანვარს დანიშნულია საგანგებო კრება თავად-აზნაურობისა მოსალაპარაკებლად იმის თაობაზე, რომ თ. ზაქარია ერისთავს ჰსურს უძღვნას თავად-აზნაურობას თავისი ოძისის მამული იმ პირობით, რომ თავად-აზნაურობამ თავისის მხრითაც შრომა მიიღოს, სამეურნეო სასწავლებელი გამართოს და სასწავლებელს საგზალი და სახსარი აღმოუჩინოს. ეს თითქმის პირველი და სასახელო მაგალითი უხვის შეწირულებისა საზოგადო საქმის საოხად და საშველად დიდმნიშვნელობიანია და ცოდვა იქნება, რომ თავად-აზნაურობა ისე ხელდახელ და გაკვრით მოეკიდოს ამ საქმეს და მის გაჩხრეკას და გადაწყვეტას მოუმზადებლად შეჰბედოს. აქ მცირედი რამ წინდაუხედულობა, არა საკმაოდ გამორკვევა ყოველის ვითარებისა და გარემოებისა, არასაბუთიანად გამოკვლევა ყოველ იმისი, რაც საფუძვლად უნდა დაედვას ჩვენს ამ საგანზე განაჩენსა, მეტის-მეტი უგულობა, უთავბოლობა იქნება ჩვენის მხრით.

რომ ასე არ მოხდეს ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, საჭიროა ვიცოდეთ მოკლე ისტორია მაინც ამ საქმისა, როგორ იქმნა დაწყებულ, რაზედ აშენდა რაზედ შესდგა, რა გარემოება შეხვდა გზაზე და რამ მოიყვანა იგი დღევანდელ

დღემდე. ამ საგანზე არსებობს პროტოკოლი თავად-აზნაურთა საგანგებო კრებისა. პროტოკოლი დადგენილია 7 მაისის 1895 წელსა. ამ პროტოკოლიდამა სჩანს, რომ ჯერ კიდევ 1893 წელს მაშინდელ გუბერნიის მარშლისათვის მიუწერია თ. ზაქარია ერისთავს და გამოუცხადებია სურვილი შესწიროს თავად-აზნაურობას თავისი ოძისის მამული იმ პირობით, რომ იქ გაიმართოს სამეურნეო სასწავლებელი, შესაფერი თავად-აზნაურთა საჭიროებისა. მაშინდელს მარშალს სწორედ ასე მოუხსენებია ეს სურვილი თ. ზაქარია ერისთავისა თავად-აზნაურთათვის, რომელნიც მოწვეულ ყოფილან საგანგებო კრებაზე 2-ს მაისს 1893 წ. ამ კრებაზე თავად-აზნაურობას დაუდგენია: 1) გამოეცხადოს მთელის თავად-აზნაურობის სახელით თ. ზაქარია ერისთავს მადლობა; 2) მიენდოს გუბერნიის მარშალს კანონიერის გზით დაემტკიცოს თავად-აზნაურობას ეს შემოწირული მამული, როგორც კუთვნილება და საკუთრება; 3) მასვე გუბერნიის მარშალს მიენდოს, თუ საჭიროდ დანახულ იქმნება, იშუამდგომლოს, რომ უმაღლესად ნება დართულ იქმნას ამ შემოწირულ მამულის დამტკიცება თავად-აზნაურთა სახელობაზე: 4) მიენდოს გუბერნიის მარშალს მიიღოს იგი პირობანი, რომელსაც თ. ზაქ. ერისთავი დაადგენს კუთვნილების ქაღალდის შედგენის დროსა*).

9-ს დეკემბერს 1894 წ. უმაღლესად ბძანება გამოვიდა, რომ ნება დართულ იქმნა შემოწირული თ. ერისთავისაგან მამული 1.000 დესეტინა, რომელიც შეადგენს მამა-პაპეულს მის კუთვნილებას, მიიღოს საქართველოს თავად-აზნაურობამ იმ აზრით, რაც ნაჩვენებია თვით შემწირველისაგანაო (იხ. ბ-ნ გუბერნატორი ქაღალდი 12 იანვრის 1896 წ. №197).

ამის შემდეგ თ. ზაქ. ერისთავს მიუწერია გუბერნიის მარშლისათვის ორი წერილი, ერთი 24 აპრილს და მეორე 3-ს მაისს. ამ წერილებში თ. ზაქ. ერისთავი ამ პირობას თხოულობს თავად-აზნაურობისაგან: 1) წელსვე შემოდგომიდამ გამართოს სასოფლო მეურნეობის სკოლა დაბალის ხარისხისა; ათს წელიწადს შემდეგ, როცა იმ დროისათვის შეძლება სკო-

---

*) აქ საჭიროა მოვიყვანოთ თვითონ ტექსტი ამ მეოთხე მუხლისა.

4. Уполномочить губернского предводителя дворянства на принятие тех ограничений, какие будут установлены князем Захарием Георгиевичем Эристовым, при составлении акта о переходе имения.

ლისა მოიმატებს მამულის რიგიანად კეთების გამო, და თვით თ. ზაქარია ერისთავიც, თავისის მხრით იმ სკოლის ღონისძიებას განაძლიერებს, იგი სკოლა უნდა გადაკეთებულ იქმნას საშუალო სასოფლო-მეურნეობის სასწავლებლად. ამასთან თ. ზაქარია ერისთავი სთხოვს გუბერნიის მარშალს ეს კატეგორიულად დადგენილნი პირობანი აუწყოს თავად-აზნაურობას და აცოდინოს, რომ თუ თვითონ თავად-აზნაურობაც თავისის მხრით არაფერს შემოსწირავს და თავისის მხრითაც არაფერს გაიმეტებს, ეს საქმე არც ეხლა და არც ბოლოს არ განხორციელდებაო. მოისმინა რა ყოველივე ეს თავად-აზნაურობამ 7-ს მაისს 1895 წ., დაადგინა: ამორჩეულ იქმნას კამისია თ. ზაქ. ერისთავის თავმჯდომარეობით და წევრებად კომისიისა დანიშნულ იქმნან: თ. ივ. სულხ. ჭავჭავაძე, ალ. იოს. კობიაშვილი, დ. ი. მუსხელოვი, თ. ივ. ზაქ. ანდრონიკაშვილი, იოს. ივ. წინამძღვრიშვილი და თ. რევ. ქაიხ. ვაჩნაძე. ამათ თავად-აზნაურობამ დაავალა დაწვრილებით გამოარკვიონ საქმე და გამორკვეული და მომზადებული მოხსენება წარუდგინონ ან საგანგებო კრებას თავად-აზნაურობისას, ან მორიგს, როგორც საჭიროდ დაინახავენ.

კომისია შეუდგა თუ არა ამ მისთვის მინდობილ საქმეს, თავისი ყურადღება მიაქცია ოთხს საგანს და ეს ოთხი საგანი გამოარკვია ამ სახით: პირველი საგანი იყო ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობის ცოდნას თავად-აზნაურობისათვის. ეს საგანი მეტად თვალნათლივ დასანახია და ამაზე დიდი ლაპარაკი და საუბარი არ დასჭირებიათ.: ყველას ერთხმობით გადაუწყვეტია, რომ იმისთანა სასწავლებელი, საცა ჩვენ ყმაწვილკაცობას შეეძლება მიიღოს ხსენებული ცოდნა, უცილობელს საჭიროებას შეადგენს მთელის თავად-აზნაურობისათვის. „მარტო ის გარემოებაო, ამბობს მოხსენება კომისიისა, რომ სასოფლო მეურნეობის სასწავლებელი საჭირო ცოდნას მისცემს იმ ნაწილს ყმაწვილკაცობისას, რომელიც ვერ შესძლებს თვისი სწავლა-განათლება განაგრძოს აწ არსებულ საშუალო სასწავლებლებში, და თავისს ოჯახს დაუბრუნდება განსაზღვრულად მომზადებული, ისეთის დიდის მნიშვნელობისაო, რომ სასოფლო მეურნეობის სასწავლებლის სარგებლობა ეჭვს გარეშეაო.

მეორე საგნად ის აღნიშნეს, თუ რა სახის სასოფლო-მეურ-

ნეობის სასწავლებელი უფრო სასურველია და შესაფერი. კომისია იმ აზრზე დადგა, რომ თუ გვინდა საწავლებელი გაუძღვეს აწ არსებულ საჭიროებას თავად-აზნაურობისას, მთელი თავისი ღონე იმაზე უნდა მიჰმართოს, რომ საკმაო სწავლა-ცოდნა მიანიჭოს შუათანა და წვრილი მამულების მეურნეობისათვის თეორიულად და პრაქტიკულად და ამიტომ განზრახული სასწავლებელი უნდა იქმნას საშუალო სასწავლებლის კურსისაო.

მესამე საგანი ის იყო, თუ,— ოძისის მამული, მისი ადგილ-მდებარეობა და გარემოება შეეფერება თუ არა ხსენებულ სახის სასოფლო მეურნეობის სასწავლებლის მოთხოვნილებასო. მცოდნე კაცებს გაუსინჯავთ ამ მხრით შემოსაწირავად დანიშნული თავ. ზ. ერისთავისაგან მამული და უცვნიათ, რომ ოძისის მამული თავისის ადგილ-მდებარეობით, სივრცით და სიდიდით სხვადასხვა ნაწილებისა, მიწისა და ჰავის მხრით, აგრეთვე მით, რომ ადვილი სარწყავები აქვს, მთლად შეეფერება მას, რაც საჭიროა სასოფლო მეურნეობის სასწავლებლისათვის. ნაკლად მარტო ის უცვნიათ, რომ რკინის-გზას მოშორებულიაო, მაგრამ გზები უკვე კეთდება და ამ სიკარგით მისვლა-მოსვლა გაადვილებულ იქმნებაო.

ყველაზე მძიმე და ძნელად გადასაწყვეტი მეოთხე საგანია. ეს საგანი შეეხება მას, თუ რა ეღირება სკოლის გამართვა და მისი შენახვა. ეს რადგანაც რთული და ძნელი საგანია, ამაზე საუბარს ხვალისათვის გადავდებთ.

II

ტფილისი, 25 ნოემბერი, 1897 წ.

მეოთხე საგანი, რომელიც კომისიას გამოურკვევია, ის არის, — თუ რა დასჭირდება, რომ ოძისის სკოლა გაიმართოს, მოეწყოს, და რა ხარჯი მოუნდება მას შემდეგ ყოველწლივ. ამის შესახებ კომისიას შეუდგენია სრული და დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უნდა წარედგინოს თავად-აზნაურთა კრებაწ. ამ ხარჯთაღრიცხვიდამა სჩანს, რომ თუ სახეში მივიღებთ 80 შეგირდს და იმათგან მარტო 40-ს, რომელთაც

თვით სკოლა შეინახავს თავისის ხარჯით, სკოლას მოუნდებაო მოწყობისა და მომართვისათვის 47, 300 მანეთი ერთხანად და ყოველწლივ 21, 270 მანეთი — იმ 4000 მანეთის გარდა, რომელსაც თვითონ შემოწირული მამული შემოიტანს. კომისია ამასთანავე იმედოვნებს, რომ თვითონ შემოწირულ მამულის შემოსავალი თანდათან იმატებს და საკმაოდაც, რადგანაც უფრო უკეთ მოუვლის და უპატრონებს სკოლა.

კომისია აცხადებს, რომ რადგანაც ოძისის მამულში უკვე სადგური შენობებია და სხვა საოჯახო მომართულობა, და რადგანაც პირველ ხანებში კლასები საჭირო არ იქნება ერთბაშად ყველა ერთად გაიმართოს, ამისათვის შესაძლოა, რომ ზემოხსენებული ხარჯი პირველ სამს წელიწადს ამნაირად განაწილდესო: პირველს წელიწადს გაწყობისა და მომართვისათვის საჭირო იქნება მარტო 19, 400 მანეთი, მეორე წელიწადს 16, 500, მესამე წელიწადს 11. 400 და ყოველ წლიურ ხარჯად პირველს წელიწადს 16. 000 მანეთი, მეორე წელიწადს 18. 500 და მესამე წელიწადს 22. 000.

ამ საბით გამოდის, რომ პირველ წლისათვის ერთობილი ხარჯი შეადგენს 35. 000 მანეთს, მეორე წელიწადს — 35. 000 და მესამე წელიწადს — 33. 500. ამ ხარჯებს უნდა გამოეკლოს ოთხასი თუმანი, რომელიც ოძისის მამულიდამ ყოველწლივ უნდა შემოვიდეს კომისიის აზრით.

კომისიას უგრძვნია, რომ იმოდენა ფულის გამოღება, რაც ზემომოყვანილ ანგარიშით დანახულია საჭიროდ მის მიერ, დაუმძიმდება თავად-აზნაურობას და მოუწადინებია შემდეგის საბით გაუადვილოს. იგი ამბობს, რომ 47. 300 მანეთი, ან ცოტა ამაზე ნაკლები შესაძლოა ისესხოთო საადგილ-მამულო ბანკიდამ იმ პირობით, რომ თავნი და სარგებელი იხადოს საერთო საჭიროებისათვის გადადებულმა ფულმაო. თუ ეს მოხდა, მაშინ საქმე მარტო იმაზე მისდგება, რომ თავად-აზნაურობამ ინაღვლოს მარტო 21. 270 მანეთი ყოველ-წლივ ხარჯისათვის, თუ 40 შეგირდს სკოლა თავისის ხარჯით შეინახავსო, და თუ ეს თავისის ხარჯით შესანახი არ მოუნდება, მარტო 17. 270 მანეთის შოვნაღა დასჭირდებაო. ამ საბით პირველ წელიწადს დასჭირდება, თუ 40 შეგირდს თავისის ხარჯით შეინახავს 12. 000 მანეთი, მეორე წელიწადს 14. 520 მანეთი, და მესამე წელიწადს 18. 100; და თუ შეგირდებს არ შეინახავს თავისის

ხარჯით, — პირველს წელიწადს 11. 000 მანეთი, მეორეს — 12. 520 და მესამეს — 15. 000. ხოლო მეოთხე წელიწადს სრულს ხარჯში შევა სკოლა და ყოველ წლივ დასჭირდება, 40-ს შეგირდს თუ თავისის ხარჯით შეინახავს, 21.270, და თუ არა — 17.200 მანეთიო.

თუ ვინიცობაა ბანკიდამ აღებული სესხად ფული არ აუდგება 47. 300 მანეთს, მაშინ ეს აღრიცხვა ამისდა მიხედვით შეიცვლებაო.

ჩვენ არ შევალთ იმის გარჩევაში, თუ რამოდენად ზედმიწევნილია ეს რაოდენობა ხარჯისა. მცოდნე და ამ საგანზე დაახლოვებულ კაცებს გამოურკვევიათ ეს რაოდენობა და ჯერ ხანად მაინც საბუთი არა გვაქვს მათი გამონარკვევი არ დავიჯეროთ. ხოლო საკითხავი ეს არის: საიდან და როგორ უნდა შესძლოს თავად-აზნაურობამ ამ ხარჯის გაძღოლა? ამ საკითხავზედაც პასუხს იძლევა თვითონ კომისია. იგი ამბობს, რომ ჩვენ ავღნიშნეთ შემდეგი წყარონიო: 1) ის სამეურნეო თავნი-ფული, რომელიც წესდების ძალით უნდა გაადიდოს ხოლმე თავად-აზნაურთა ბანკის მოგებიდან ყოველ-წლივ; 2) ზოგი იგი შემოსავალი, რაც თავად-აზნაურთა ქარვასლას აქვს და ექნება; 3) ზოგი საერთო საჭიროების თავნი-ფული, რომელიც სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის მოგებიდან შესდგება ხოლმე და 4) იგი ფული, რომელიც შესაძლოა ისესხოს ბანკიდან თავად-აზნაურობამ და გირაოდ მისცეს თვით ოძისის მამული, იმ პირობით, რომ თავნი და სარგებელი მოშორებულ იქმნას იმავე საერთო საჭიროებისათვის გადადებულ ფულიდამ, რომელიც წინა მუხლშია მოხსენებული.

ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ნაჩვენებ წყაროთაგან საიმედოა მარტო ერთი. ეგ ის წყაროა, თუ თავად-აზნაურობა დააგირავებს საადგილ-მამულო ბანკში ოძისის მამულს და იქიდან ნასესხის ფულით ხელს მოინაცვლის. სხვა წყაროები დიდად საეჭვოა. საერთო საჭიროებისათვის ბანკის მოგებიდან გადადებულს ფულს ისეთი მძიმე ტვირთი აწევს აწ არსებული სათავად-აზნაურო სკოლის შენახვისა, რომ ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, თუ ამას უნაკლოდ გაუძღვა. ჩვენის ფიქრით ამ ფულს არამც თუ სხვა უფრო მეტი რამ ტვირთი უნდა მოუმატონ, არამედ თავად-აზნაურობამ უნდა წინადვე იფიქროს სხვა რამ წყარო მოაშველოს, რომ

ბანკმა შესძლოს ყოველ-წლივ ეს სამსახური გაუწიოს აწ არსებულს სკოლას თავად-აზნაურებისას. ჯერ თვითონ ბანკი იმისთანა ბუნების და თვისების საქმეა, რომ იმედს ყოველთვის მოგებისას ვერ მოგცემთ და, მაშასადამე, ჯერ სათავად-აზნაურო სკოლაც ამ მხრით დიდს განსაცდელშია. მერე ჩვენს ბანკს ამ უკანასკნელ წლებში ისეთი დავიდარაბა და თავში საცემი ამბები დაატყდა ჩვენგანვე, რომ სავინიცობაოდ გახდა მისი ბედი და უბედობა და ღმერთმა იცის რამოდენად კლებაში შევა მისი მოგება. აი წელს, მაგალითად, არა გვგონია იმოდენა იყოს, რომ დაჰფაროს მთლად აუცილებელი საჭიროება აწ არსებულის სკოლისა. თავად-აზნაურობას დასჭირდება მოფიქრება წელსვე საიდამ და როგორ გასწვდეს ამ სკოლის ხარჯსა. ქარვასლის შემოსვლიდამ თუ არ მოეშველა თავად-აზნაურობა ამ სკოლას, სკოლის საქმე მეტის-მეტად გაჭირდება წელსავე. ამიტომაც მეტი და ტყუილი იმედი იქნება, რომ ბანკის მოგებისაგან გადადებული ფული და ქარვასლის შემოსავალი სხვა რასმე მოხმარდეს თუ არ აწ არსებულ სკოლას თავად-აზნაურობისას. ამიტომაც ამ ორს წყაროზე დაფუძნებული ანგარიში ქვიშაზე აშენებული შენობა იქნება და არა იგი ულეველი წყარო, რომელიც საჭიროა იმისთანა სამუდამო და მძიმე საქმის გასაძღოლად, როგორც სკოლაა.

თვით სამეურნეო საჭიროებისათვის თავნი ფული, რომელიც ბანკმა უნდა გადასდოს ამას იქით თავის მოგებიდამ, ეგეც საეჭვოა, იმიტომ რომ ეგ ფულიც, როგორც საერთო საჭიროების ფულიცა, იმაზეა დამოკიდებული, ექნება მოგება ბანკსა, თუ არა, და რამოდენა ექნება. ამისთანა იმედზედ დამყარებული სკოლა იმავე წელიწადში სულს დალევს, რა წელიწადშიაც ან ცოტა იქნება მოგება, ან სულ არ იქნება, — ერთიც და მეორეც შესაძლებელია, — და ამიტომ ამისთანა ყინულზე თამასუქის წერა ვერაფერი გამოსაყენია და დიდად საფრთხოა განზრახულ სკოლისათვის.

სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ

ტფილისი. 25 ნოემბერი, 1898 წ.

1870 წელსა, როცა გერმანიამ თავს-ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა და საცა შეხვდა, ბრე გაადინა, სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო. ამითი იმის თქმა უნდოდათ, რომ უხვად მოფენილმა და კარგად მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა-განათლებამ გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე, რომელმაც შეჰმუსრა საფრანგეთიო. მას აქეთ გერმანიამ ახლა სხვა გზაზე იჩინა თავი თავისი ძლევამოსილობა და წინსვლა იმავე ღონისძიებით. აქაც, როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევამოსილებისა იგივ სკოლის მასწავლებელია, იგივ სწავლა და განათლებაა.

ამ ოცს უკანასკნელ წელიწადში ხელოსნობა და ერთობ ვაჭრობა-მრეწველობა ისე წინ წამოდგა გერმანიაში, რომ ყველასათვის საოცებელი გახდა. წინად ამ მხრით სუსტი და უღონო გერმანია ბევრად ჩამოუვარდებოდა იმისთანა სამრეწლო ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია და შორი-ახლოსაც სასწორზე ვერ დაუდგებოდა ინგლისს, რომელიც მრეწველობა-ვაჭრობით ყველა ქვეყნებზე წინ იყო. ეხლა გერმანია ამ ოცს თუ მეტ-ნაკლებ წელიწადში მრეწველობა-ვაჭრობაში საფრანგეთს თითქმის წინ უსწრობს და ლამის ინგლისს გაესწორპიროს და მსოფლიო ბაზარში ცილობა გაუწიოს.

ასეთმა სისწრაფემ გერმანიის წარმატებისამ განცვიფრებული ყურადღება მიიქცია იმისთანა მრეწველ-მოვაჭრე ქვეყნებისა, როგორიც ინგლისია, ბელგიაა, და ჩრდილო ამერიკის შტატებმაც-კი ყურები აცქვიტეს გაოცებისაგან და იმის გამოსარკვევად, თუ რა ძალი და ღონე იხმარა გერმანიამ, რომ მისი ვაჭრობა-მრეწველობა ასე გაძლიერდა და გადიდდა, კომისიები დანიშნეს. აი ეს კომისიები რას ამბობენ:

„იგი უპირატესობა გერმანიისა, რომელიც წლიდან წლამდე უფრო და უფრო თავს იჩენს, საქონლის სიკეთითა და ბაზრების განდიდებითა, სამართლიანი ჯილდოა იმ ზედმიწევნით ასრულებულ პროგრამისა, რომელიც სამის სიტყვით გამოითქ-

მის: საერო განათლების წარმატება. ეს ქვეყანა მკის იმას, რასაც სთესავს. თუ სხვა ქვეყნებს ჰსურთ მის ვაჭრობას და მრეწველობას გაუმკლავდნენ, ისე უნდა მოიქცნენ, როგორც იგი, და იმავე მხნეობითაო".

მარტო ერთი პრუსია, და ამ მხრით იგი სხვა ყველა გერმანიის ქვეყნებზე დაბლა სდგას, სატექნიკო სწავლა-ცოდნის გავრცელებისათვის წელიწადში ჰხარჯავს მილიონ ნახევარ მანეთსა იმისდა გარეშთად, რასაც ამ საგნისათვის სწირავენ ქალაქების გამგეობანი, სახელმწიფო დაწესებულებანი და ცალკე კაცნი.

„თვით მეფაბრიკენი და მექარხნენი, ჰხედვენ-რა, რა სარგებლობაა, როცა სწავლული და მცოდნე ხელოსნები და მუშები ჰყავთ, ინახავენ სკოლებს თავისის საკუთარის ხარჯით და ზოგჯერ მთავრობაც ჰშველის ფულით ამ საქმეში ცოტად თუ ბევრად. ამ სახით გამართული 248 სკოლაა და შიგ მოსწავლენი არიან 11.000 ყმაწვილი.

„ყოველის ცალკე ხელობისათვის ცალკე სკოლებია. ხელოსნებისათვის, რომელნიც შენობებს გარედამ და შიგნით ჰხატვენ და ალამაზებენ, პრუსიაში 32 ცალკე სკოლაა, ხარაზებისათვის — 9, დერეფნებისათვის — 16, ხაბაზებისათვის — 20, ყასბებისათვის — 6, მჭედლებისათვის 26 და სხვანი.

„ბადენის დიდ საჰერცოგოს სულ ნახევარ მილიონზე ნაკლები მკვიდრი ჰყავს და სატექნიკო სკოლებზე-კი წელიწადში ჰხარჯავს 180. 000 მანეთსა. ჰესენის დიდ საჰერცოგოში, რომელსაც სულ ერთი მილიონი მკვიდრი ჰყავს, ცხრა სახელოსნო სკოლაა, 43 სამრეწველო და 82 სამხატვრო. ყველაზე წინ არის საქსონია, რომელიც თუმცა დიდი ქვეყანა არ არის, მაგრამ ას თერთმეტი სატექნიკო სკოლა აქვს, საცა ასწავლიან ყოველგვარ ხელობას და ხელოვნებას. ამასთან საქსონიაში 10 სკოლაა საკუთრივ მიწათმოქმედებისა და 40 სავაჭრო სასწავლებელი".

ინგლისის კომისია ამბობს: „ყოველგვარ სამრეწველოში მუშის გასამრჯელო მატულობს გერმანიაში, ხანი სამუშაო დღისა განუწყვეტლივ კლებულობს და პატარა ყმაწვილების მუშაობა თითქმის მოისპო. ინგლისის მეფაბრიკეთ ტყუილადა ჰგონიათ, ვითომც წარმატებას მრეწველობისას გერმანიაში სხვა რამ მიზეზი ჰქონდეს და არა მარტო უპირატესობა და

აღმატებულება საყოველთაო საერო განათლებისა და სასპეციალო-სატექნიკო სწავლა-ცოდნისა".

ვისაც ჩვენში გული ერჩის ჩვენის ქვეყნის სიკეთისათვის და ვინც იცის, რა ძალღონეს შეადგენს ერისას ვაჭრობა და მრეწველობა, იმისათვის გულში დასაჭდევია ყოველი ზემოხსენებული ამბავი. იგი დასკვნა, რომელიც გამოურკვევიათ ხსენებულ კომისიებს, ალალ-ბედად ნათქვამი არ არის: იგი შედეგია მცოდნე კაცების გამონაძიებისა და გამონაკვლევისა და, მაშასადამე, სახელმძღვანელოდ მისაღებია ყველგან და ჩვენთვის უფრო. რა თქმა უნდა, ჩვენ იმოდენა ღონე არა გვაქვს, რომ ამ სიდიდე საქმეს შევეჭიდნეთ და სწორედ ეს უღონობა ვალად გვდებს ის მცირეოდენი, რაცა გვაქვს და რაც ხელიდამ გამოგვივა, ტყუილუბრალოდ არა ვფლანგოთ, სიფრთხილით და დიდის წინდახედვით გამოვიყენოთ იქ, საცა უფრო საჭიროა ფეხის მაგრად დადგომისათვის და წელში გამართვისათვის.

ნურვინ იტყვის, რომ ამა თუ იმ ერსა ვაჭრობისა და მრეწველობის ნიჭი და ბუნება არა აქვსო. ამ ოცისა და ოც-და-ათის წლის წინედ გერმანიის ვაჭრობა და მრეწველობა თითქმის სახსენებელიც არ იყო. გავიდა ეს ხანი და დღეს გერმანიამ, ვხედავთ, მსოფლიო ბაზარში იმოდენა ადგილი დაიჭირა, რომ ინგლისსაც კი საფიქრებლად გაუხდა. ინგლისსაც, რომელსაც მსოფლიო ბაზარი თითქმის მთლად ხელთ ეპყრა უცილობლად. რამ მოახდინა ეს სასწაული? სასპეციალო და სატექნიკო სწავლა-ცოდნის მოფენამ და წარმატებამ. სჩანს, აქ ნიჭი ბევრს არაფერს შუაშია, საქმე სწავლა-ცოდნა ყოფილა. ან ვაჭრობა და მრეწველობა რა იმისთანა საქმეა, რომ განსაკუთრებული ნიჭი რამ უნდოდეს? ყოველ ორთა-შუა კაცს საკმაო ჭკუა და გონება აქვს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეს მისწვდეს, თუ, რასაკვირველია, ამაების სწავლა-ცოდნაც ხელთ ექმნება. ხოლო გვეტყვიან: თუ ეგრეა და განსაკუთრებული ნიჭი არ სდომებია, ბევრნი უცოდინარნი და უსწავლელნი წინ რას მიჰყავს ვაჭრობასა და მრეწველობაში, თუ არ ნიჭსა? მართალია, ამის აშკარა მაგალითებს ბევრსა ვხედავთ, ნამეტნავად ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში, და ამას არა ერთი და ორი იხვევს ხელზე იმის საბუთად, ვითომც აქ ერთი რაღაც განსაკუთრებული ნიჭიერება მოქმედებდეს იმ მოდგმისა, რომელსაც


ჩვენში უფროს-ერთი ვაჭრები ეკუთვნიან. ამ სამოცისა თუ მეტის წლის წინად გერმანიის ებრაელნიც სწორედ ამასვე ამბობდნენ თავიანთ თავზე და აფოლებდნენ გერმანიას. დრომ და ჟამმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის და გერმანელმა ცოტა არ იყოს ფრთა შეაკვეცა ამ ტყუილად გაბერილს თავმოწონებას.


ცხადია, ესეთი მაგალითები განსაკუთრებულ ნიჭს ვაჭრობისას და მრეწველობისას არ უნდა მიეწეროს. ეს იმ ერთ გვარ უნარის საქმეა, რომელიც თვისის საკუთარის ღონით კი არა გულოვნობს, არამედ სხვისა უღონობით, თავისის სიკეთით კი არა, სხვის ნაკლებულობით, თვისის გამჭრიახობით კი არა, სხვისი გაურჯელობით, თვისის საქმიანობით კი არა, სხვისა უსაქმურობით. საცა უვიცობაა, როგორც ჩვენში, იქ ამისთანა ვაჭრის ბაღდადია. ეგ იმიტომ კი არა, რომ თვითონ ვაჭარი არის სწავლული და უცოდინარი, არამედ იმიტომ რომ ჩვენა ვართ უსწავლელნი და უცოდინარნი.

ამ სახით, ჩვენი უღონობა სხვისა ღონედ შექმნილა, ჩვენი უსაქმურობა სხვას საქმიანობად გაუხდია. ჩვენი უცოდინაროობა სხვისა ცოდნად ქცეულა და ამაების წყალობით ჩვენი ქვეყანა დღეს წარმოადგენს თაფლს, რომელსაც ბუზი ბაღდადიდამ მოჰყავს. რასაკვირველია, ერთის უნარი, სულდგმული მეორის უხეირობისაგან, ბევრს თავ მოსაწონებელს და სასიქადულოს არაფერს მოასწავებს, მაგრამ ეს ჩვენთვის რა ნუგეშია? მართალია, ამისთანა უნარს მალე ჩააყრევინებს კბილებს იგი სწავლა-ცოდნა, რომელსაც, როგორც ზევით ვნახეთ, ფეხზე წამოუყენებია გერმანია, საცა ვიდრე ამ სწავლა-ცოდნის გზას დაადგებოდნენ, თითქმის ებრაელთა ხელში იყო სულ შეხუთული და დღეს კი ამ მხრით ყოვლად შემძლებელს ინგლისსაც-კი თითქმის ომს უსწორებს მსოფლიო ბაზარში და წარმატება გერმანიელისა აოცებს სხვებსა.

კიდევ ვიტყვით: ამისთანა უნარი, რომლის ღონე მარტო სხვის უღონობაა, დიდი ბურჯი არ არის, რომ ამაზე დაებჯინოს იმედი რომელისამე ერის მერმისისა. ამით დაე თავი მოიწონონ და ქადილით ყური გამოგვიყრუონ იმათ, ვისაც ამისი ხალისი აქვს და ვისაც ამისთანა ფუყი უნარი დიდი განძი ჰგონია. ხოლო ჩვენ კი ჩვენი უღონობა უნდა გავითვალისწინოთ და სახსარს ჩვენის გაღონიერებისას ხელი მოვკიდოთ.

ტკივილი ჩვენი აშკარაა და წამალიც ნაპოვნი, ჩვენ მარტო ის-ღა დაგვრჩენია, იგივე წამალი ვიხმაროთ თავის მოსარჩენად. რა თქმა უნდა, ჩვენ იმოდენა სახსარი სად გვაბადია, რომ ჩვენს ტკივილს მთლად გავუძღვეთ, მაგრამ უარარაობას ცალუღელი ხარი სჯობია. თუ ბევრს ვერ გავწვდებით, ცოტას მაინც მივაშველოთ ჩვენი ორივე ხელი. საქმე ის არის, ის აზრი გამოინასკვოს ჩვენში, რომ სახელოსნო და სასპეციალოსატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია ჩვენის წასულის საქმის ხელ-ახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონე-მილეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის. დროა ამაზე ვიფიქროთ, დროა ამ საქმეს ჩავკიდოთ ხელი და ვინ იცის, იქნება იგი თითო-ოროლა გროში, რომელსაც ცალკე კაცნი, სოფლები და ქალაქები თუ ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი იმეტებენ, ცოტად თუ ბევრად ამ საქმესაც მივაწოდოთ და მოვახმაროთ. მაინც და მაინც ამ აზრის და მეცადინეობის ფეხის ადგმამ ჩვენში იქნება იმოდენად გავვამხნეოს, რომ იგი შევვაძლებინოს, რასაც დღეს ჩვენის უთაურობისაგან კარი დახშული აქვს. აზრი და სურვილი ჰშობს საქმესა, რადგანაც აზრი მამაა საქმისა და სურვილი დედა.


ცხოვრება
და
კანონი



ცხოვრება და კანონი

წერილი პირველი

ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინც-დამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ. მთიულსა შოტლანდიისას გარს ახვევია გულდახურული, ღარიბი ბუნება. იგი დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თითო ლუკმა პურს, რომელსაც აწვდის თვის ჯალაბს საზრდოებისათვის. იგი თავგადადებით, თავგამომეტებით დღედაღამ ებრძვის ბუნებას და ყოველი ესრეთ მოპოებული ლუკმაპური ძლევამოსილებაა მისის მხნეობისა, შრომისმოყვარეობისა. თუმცა ესრეთ აღამებს იგი დღეს და ათენებს ღამეს, მაგრამ იგი უფრო ბედნიერია და კმაყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისათვისაც ბედს შემოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და საზრდოებისათვის.

ერთი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულდაგული კაცი, მეორე არის გულჩათუთქვილი, ილაჯ-გაწყვეტილი, ფრთხალი და გათელილი. ერთი — იმედით აღსავსე სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლევამოსილობაა ხვალისათვის, მეორე — სასოწარკვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს, მშვიდობით გატარებულს დღეს ნატრულობს და არა სწამს ხვალე. ერთი — სულით თუ ხორცით ყოველდღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე — სულითაც და ხორცითაც დალევაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხვია და მდიდარი. რა არის ამისი მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო“, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა, — ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, — ეგ ჩემი უფლებაა.

უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონთმდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რასაკვირველია, საბუთი აქვსთ მათ, ვინც ამბობენ, რომ მომქმედთა კანონთა უვარგისობა, თუ სიკეთე, თითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ რომ თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხიაო. რამოდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შევუდგებით; ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამისი მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება. მაგრამ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, სახელდობრ 1864 წლიდამ, ჩვენში ბევრგვარი ცვლილება მოხდა, რომელთ აზრად ჰქონდათ და აქვთ საზოგადო ურთიერთშორისი წყობილება უკეთესს და უფრო უმართლესს ნიადაგზედ დაედგინა. ამ ცვლილებას ჩვენში ყოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი დიდის

სიხარულით და თითქმის აღტაცებით მიეგება. ხოლო გამართლდა ჩვენი სიხარული და აღტაცება თუ არა? ჩვენ ვეცდებით, ამის პასუხი მივცეთ მკითხველსა.

1864 წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარა ჰქონდა. მაშასადამე, აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულს გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილოდ, ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რადგანაც გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტევეს, მაშასადამე, აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და ნაბატონარის შორის. აი, ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა. რასაკვირველია, ვიდრე ეგ საქმე გადაწყდებოდა, დიდი ლაპარაკი და ყაყანი იყო მასზედ, თუ როგორ უნდა გააშველონ ბატონი ყმასა, ყმა ბატონსა. მცირემ, მაგრამ უკეთესმა, ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ისა სჯობიაო, ეხლავე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს ახრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვისა. ამგვარად გაშველებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის, რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლე-

ხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ. რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არჩევაზედ მივარდნილიყო საქმე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედააზრიც სრულად უარჰყო.

ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დედააზრი და ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭგამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც. მოჰყვა ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი, სხვადასხვა კანონები სადავიდარაბო და ორივე მხრისათვის თავში საცემი. რომ მებატონესთან გლეხი პირნათლად გამოსულიყო, რასაკვირველია, მებატონის კაცი უნდა დასწრებოდა ნამუშევარის შინ შემოტანის დროს, რომ მეოთხედი მიეთვალა, თუ აეწყო. დაიდვა ეს კანონიცა. ყველამ იცის, რომ ნამუშევარი თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოდის. მთელ საქართველოში თუ არა, ერთ და იმავე სოფელში მაინც. აბა, ეხლა იფიქრეთ, რა უნდა ექმნა ამ შემთხვევაში იმ მებატონეს, რომელსაც ათი და ოცი კომლი ნაყმევი ეყოლებოდა? როგორ უნდა გასწვდენოდა ათსა და ოცს კომლსა? სადა ჰყვანდა ათი და ოცი კაცი მაგ მეოთხედების უკან სადევნებელად ერთ და იმავე დროს? არ გაგზავნიდა — ეჭვში უნდა ჩავარდნილიყო, გლეხი მომპარავსო, და გაგზავნიდა კიდეც — იმ მეოთხედიდამ კაცების დაჭერის ხარჯს კაი წილი მიჰქონდა. იყო ორ ჭირ შუა. ამ შემთხვევაში ან გლეხის კეთილსინდისიანობას უნდა დამყარებოდა, ან არა და ერთი თუ ორი კაცი უნდა ეტარებინა მეოთხედების ასაკრეფადა, რადგანაც მეტს მძიმე ხარჯი მოსდევდა. გლეხი უფრო ცუდს დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნაბატონარის კაცს, ეინ იცის, როდის მოვიდოდა, და ბატონის კაცის ლოდინში შიშით სული ელეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამიხდინოსო; არ მოუცდიდა კიდევ — შიში ჰკლავდა, მეტს წამომედავებიანო.

ამ ყოფაში ან ერთს რა გამორჩომა ექმნებოდა თავისის მამულიდამ, ან მეორეს თავის ნამუშევარიდამა. ამ მდგომარეობაში ან ერთის გაკეთება რა საფიქრებელია, ან მეორისა.

აქ ბევრსაც რომ ცდილიყვნენ, ვერც მებატონე და ვერც გლეხი ვერ შესძლებდნენ საქმე ისე მოემართათ, რომ ურთიერთის უფლება და მოვალეობა არ დაერღვიათ. ჩვენ ამისი მოწამეც ვყოფილვართ, რომ გლეხს გარეთ დალპობოდეს ნამუშევარი ბატონის კაცის ლოდინშია. ხანდისხან ჯაბრი ამაზედ უარესს საქმესაც მოახდენდა ხოლმე. ამისი მაგალითები ორივეს მხრით ბევრია. ესე იყო თუ არა, მაინცდამაინც მაგ განუსაზღვრელს მეოთხედობის გამო ბატონსაც და გლეხსაც საქმე იმაზედ შეუდგათ, რომ ნებით თუ უნებლიეთ ურთიერთის კეთილსინდისიანობაზედ უნდა დამყარებულიყვნენ. ვინ არ იცის კიდევ, რომ კეთილსინდისიანობა გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდნი ზედ გადააბოტებენ და ისე გადადიან, პატარები კი ქვეშ გაუძვრებიან ხოლმე. რადგანაც ამგვარს ვარჯიშობას არც დიდნი თაკილობდნენ და არც პატარები, ამიტომაც ატყდა ბატონსა და გლეხს შორის აუარებელი საჩივარი და დავიდარაბა. პირველ ხანებში ამ საჩივრებს ვერ ასდიოდნენ მოსამართლენი.

ამ მეოთხედობას, ამას გარდა, სხვა აუცილებელი კანონიც დაერთო, საშფოთო და სადავიდარაბო. რაკი მეოთხედი უნდა ეძლია გლეხს, ისიც უნდა დაეწესათ, თუ რამოდენა უნდა ეხნა გლეხს ყოველწლივ. უამისოდ გლეხს რომ ამის დღის მიწა სჭერებოდა და მარტო ერთისა ეხნა, მებატონეს თავისის საკუთრებიდამ ბევრი არა შემოუვიდოდა რა. ამისათვის გლეხს კანონმა კისრად დასდვა, რომ უსათუოდ რგებულის მიწების ნახევარი ყოველწლივ მოხნული უნდა გქონდესო. ამ კანონმაც მრავალი შფოთი ჩამოაგდო ორთა შუა და მრავალი საჩივარი გამართა. შფოთებმა ამ ორ წოდებათა შორის უსიამოვნება დათესა და საჩივრებმა კიდევ თავი მოაბეზრა მებატონეს და გლეხსაცა. ახლა ამას ისიც ზედ დაართეთ, რომ მაგ საჩივრების გამო ჩვეულებრივი მიწერ-მოწერა გაიმართებოდა ხოლმე, დაბარება, გამოძიება, და ამის გამო საჩივარის თავი თუმცა იყო, მაგრამ ბოლო კი არა სჩანდა. რადგანაც აქ საქმე თითქმის დღიურს საზრდოებაზედ იყო შემდგარი, ამისათვის ვერც მებატონე ითმენდა და ვერც გლეხი იმ დრომდე, ვიდრე სამართალი თავისას იტყოდა. გაიმართებოდა ხოლმე ძალმომრეობითი ტაცება, დარბევა და სხვა ამგვარი. ამ დანაშაულობას შეუდგებოდა ხოლმე ახალი სა-

ჩივრები და დავიდარაბები. ამაების გამო ცხოვრების ილაჯი გლეხსაცა და მებატონესაც გაწყვეტილი ჰქონდა. რასაკვირველია, გლეხს უფრო, ვიდრე მებატონესა, იმიტომ რომ გლეხი დღიური მუშაკაცია და იმისათვის საჩივრებისა გამო აქა-იქ თრევა და ტანტალი ლუკმაპურის დაკარგვაა. მართალია, ზოგან რომ არაქათი გაუწყდათ ბატონსა და გლეხსაც, აიღეს და ეგ საშფოთო და განუსაზღვრელი მეოთხედი გადაკვეთილ და გადაჭრილ გადასახადად გაიხადეს, ერთის სიტყვით, შინაურულად მორიგდნენ. მაგრამ, საუბედუროდ, ყველგან არა, ეგ მარტო იქ მოხდა, სადაც გლეხს უფრო კაცმოყვარე და მშვიდობიანი მამულის პატრონი შეხვდა და საცა მაგისთანა მამულის პატრონს — გულმართალი გლეხი. უფრო ბევრგან კი, ჯაბრისა გამო თუ დავიდარაბის სიყვარულისა გამო, ისევ ის განუსაზღვრელი, სახათაბალო, მიზეზიანი მეოთხედობა დარჩა. ამის გამო დღესაც, თუ არ წეწვა და გლეჯაა, უსიამოვნება მაინც არის და არის.

მთავრობას, რომლის თაოსნობითაც გაუქმდა ჩვენში ბატონყმობა, წინათვე დანახული აქვს ეგ უსიამოვნო შედეგი განუსაზღვრელის ყოფა-ცხოვრებისა და ბატონისა და გლეხის საკეთილოდ წამალიც ცნობილი და ნაპოვნი აქვს. თუმცა მეოთხედობა გლეხთა განთავისუფლების წესდებაში შევიდა, მაგრამ მთავრობის შორმხედველობითმა მსჯელობამ ყურადღება მიაქცია იმ უმცირესთა დედააზრსაც, რომელიც წინ მოვიხსენიეთ. იმავ წესდებაში ორი გზა არის ნაჩვენები ბატონ-ყმობის საქმის უკეთ დაბოლოებისათვის. პირველი და უკეთესი ის, რომ გლეხს ღონისძიება აქვს — მთავრობისაგან დანიშნული მამული შეისყიდოს, და მეორე ის — რომ ვიდრე ეს მოხდება, ეგ მეოთხედი ერთს განსაზღვრულ და გადაკვეთით გადაჭრილ გადასახადად უნდა იქცეს.

ამ ორს საგანზედ შემდეგში გვექნება ლაპარაკი.

წერილი მეორე

წინა წერილში ჩვენ თვალი გადავავლეთ მეოთხედობას იმ მხრით, რა მხრითაც იგი შეეხებოდა ადამიანის შინაურს მშვიდობიანად ცხოვრებასა. რომ ცნობიერად და რიგიანად მივმართოთ ეხლა იმ საგანთა, რომლის ვითარების ახსნაც ჩვენ პირველს წერილში დავპირდით მკითხველს, საჭიროა, ჩვენის ფიქრით, გამოკვლევა მის, თუ რა ნერგზედ არის აღმოცენებული ეგ მეოთხედობა და რა ეკონომიური ზემოქმედება აქვს ქვეყნის ნივთიერს კეთილდღეობაზედ. რაკი ამ მხრითაც ეგ მეოთხედობა განიხილება, მაშინ ჩვენ ხელთ გვექნება მისი ავკარგიანობის სასწორი.

რასაც ევროპაში მიწის რენტას ეძახიან, იმას ჩვენში ღალა ჰქვიან. ღალა არის ის სასყიდელი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის მიწის ქირა, რომელსაც მიწის მომქმედი იხდის მიწისპატრონის სასარგებლოდ. ყოველს გვარს ეკონომიურს მოღვაწეობაში ცილებას * ცოტად თუ ბევრად ზედმოქმედება აქვს სასყიდლისა, ანუ ფასის აწევ-დაწევაზედ. მაგრამ არის მეორე ძალაც, რომლის მეოხებითაც ფასი, თუ სასყიდელი, განისაზღვრება ხოლმე. მაგისთანა ძალა ჩვეულებაა. ღალის ზომიერებაზედ და რაოდენობაზედ ამ უკანასკნელს ძალას უფრო დიდი ზედმოქმედება აქვს, ვიდრე ცილებასა. აქ ჩვეულება სწორედ რჯულთ უმტკიცესია.

ჯონ სტუარტ მილლი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ცილებას თითქმის ადგილიც არა აქვსო, მარტო ჩვეულება მოქმედობსო. ეს, საზოგადოდ ცნობილი და აღიარებული ჭეშმარიტება, ჩვენში ბევრს ცხადსა და უცილო მაგალითებს წარმოგვიდგენს.

ქვეყნიერობაზედ ორგვარი ღალა ყოფილა და არის ჩვეულებაზედ დამყარებული. ერთი — ის სასყიდელი (სულადით, თუ ფულით), რომლის რაოდენობაც და ზომაც წინათვე განსაზღვრული და ცნობილია, მაგალითებრ: დღიურზედ კოდი დღიურზედ მანეთი, ანუ მეტ-ნაკლები; მეორე — ის სასყიდელი (უსათუოდ კი სულადით და არა ფულით), რომლის რაოდენობასაც ნამუშევრის წილი შეადგენს და რომლის ზომაც

---

* Соперничество.

წინათვე არ არის ცნობილი, მაგალითებრ — მეექვსედი, მეხუთედი, მეოთხედი და სანახევრო. იმგვარს ადგილ-მამულის ჭერას, რომლის გამოც მამულის პატრონი მიწისმომქმედს წილში უდგას, ევროპაში, თუ რუსეთში „მონახევრობას“ ეძახიან*, ჩვენში კი „წილზედ-ჭერას“ იტყვიან. სიტყვა „მონახევრობა“ ევროპაში წარმოსდგა იქიდგან, რომ უფრო ბევრგან პატრონის წილად — ღალა ნამუშევრის ნახევარი იყო. ეხლა კი ეგ სახელი საზოგადოდ „წილზედ-ჭერას“ ჰქვიან, ნახევარი იქნება, მესამედი, თუ მეოთხედი — სულ ერთია. რადგანაც ჩვენი სიტყვა „წილზედ-ჭერა“ უფრო მართლად გამომთქმელია, ამისათვის ჩვენ ყველგან, საცა ამ საგანზედ საუბარი ჩამოგვივარდება, ამ სიტყვას ვიხმარებთ.

წილზედ-ჭერა ადგილ-მამულისა დიდის ხნის ამბავია, დიდ ხანია შეთვისებულია ჩვეულებისაგან და მისგანვე ყოველის მხრით განვითარებული. ინდოეთის ძველს კანონებში მოხსენებულია მეექვსედი და მეოთხედი ნამუშევრისა მიწის ღალად. ევროპაში „წილზედ-ჭერა“ რომაელთაგან არის შემოღებული და მათგან მომდინარეობს. ჯერ კიდევ კატონი და პლინი იხსენიებენ გლეხობას, რომელთაც ადგილ-მამულები წილზედ სჭერებიათ. ევროპის ეხლანდელმა ხალხებმა ეგ ჩვეულება რომაელთაგან მიიღეს XIII საუკუნეს. ვენეციაში წილზედმჭერელნი ადგილ-მამულისა აძლევდნენ პატრონს მესამედს, მეოთხედს ნამუშევრისას, და ნამჯას კი სრულიად. რომის კამპანიაში დღესაც მეხუთედია, ტოსკანაში — ნახევარი, ლუკკაში — ორი-მესამედია. ერთობ იტალიაში დღესაც წილზედჭერა ადგილ-მამულისა ძალიან გახშირებულია. 1861 წელსა იტალიაში წილზედ-მჭრელნი 1. 284. 286 კაცი ყოფილა.

ადგილ-მამულის მაგგვარი ჭერა იტალიაში სამუდამოა. თუმცა ზოგან თითო წლობით შეიკვრიან ხოლმე მიწის პატრონი და მიწისმომქმედი ხელწერილითა, მაგრამ ეგ ხელწერილი ყოველწლივ ახლდება მარტო ჩვეულების თვითრჯულობისა და სიმტკიცისა გამო. ჩვეულებას ამ შემთხვევაში ისეთი ძალა აქვს იტალიელთ შორის, რომ ვერც მიწის პატრონი ჰბედავს მის ღალატსა, ვერც მიწისმომქმედი. ერთხელ დადგინებული ნამუშევრის წილი არც იკლებს, არც მატუ-

---

* Половинчество (métayage).

ლობს. აქ, იტალიაში, ამ ჩვეულების მფარველობითა მიწის-მომქმედი წილზედ-აღებულს მამულზედ დგას, მასზედ აქვს ბინა მოკიდებული. ვიდრე მამულის პატრონს თავისას აძლევს, იმას ადგილ-მამულიდამ ვერ დაითხოვს მიწის პატრონი, ბინას ვერ მოუშლის, მას ადგილ-მამული საშვილიშვილოდ უჭირავს. ეს უფლება გლეხისა კანონზედ კი არ არის დაფუძნებული, დამყარებულია მხოლოდ ჩვეულებაზედა. გარდა ამისა, იმავე ჩვეულების ძალით, მიწის პატრონი მოვალეა მიწისმომქმედს წარმოების ხარჯში მიუდგეს. ზოგან საწარმოებელს თანხას მამულის პატრონი სრულად თითონ აძლევს მიწისმომქმედს, ზოგან ნახევარს აძლევს, ზოგან აძლევს მარტო საქონელს და იარაღს, ზოგან — თესლსა და სხვა ამგვარსა. ერთმა რომ სადმე რაიმე ცვლილების შემოღება გაბედოს, მთელი ქვეყანა, დიდი და პატარა, ყაყანს და ალიაქოთს შეიქმს თურმე. საფრანგეთშიაც ასეა. აქაც ძალიან გახშირებულია „წილზედ-ჭერა“ ადგილ-მამულებისა. 1859 წ. 1.356.909 წილზედ-მჭერელი მამულისა ყოფილა საფრანგეთში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საფრანგეთში მოკლე ხნობით იღებენ წილზედ ადგილ-მამულებსა. ხშირად ვადა სამს წელიწადზედ მეტი არ არის.

ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ორგვარი ღალა იყო. წილზედ-ჭერა ჩვენში თუმცა ყოფილა და არის კიდეც, მაგრამ ძალიან იშვიათად მოხდება, რომ მაგგვარად სახნავი მიწა გაიცეს ან აიღებოდეს ერთს წელიწადზედ მეტის ხნითა. ეგ ჩვეულებაში არცა ყოფილა და არც დღეს არის. ამიტომაც თითქმის ვერსად ვერ ნახავთ, რომ წილზედ აღებულს ადგილ-მამულზედ ჩვენებურს გლეხს ბინა მოეკიდებინოს, ჩვენებური გლეხი დასახლებულიყოს. ეს ერთი შესანიშნავი მხარეა, რომლითაც ჩვენი ჩვეულება იტალიის ჩვეულებას არა ჰგავს. სხვაფრივ კი ეგ ჩვეულება ბევრით ემსგავსება. ჩვენშიაც, თუ გლეხი წილზედ სახნავ მიწებს იღებდა, უსათუოდ იმ პირობით, რომ მამულის პატრონს მიწის წარმოების ხარჯში ცოტა თუ ბევრი მონაწილეობა მიეღო. თუ მეტს წილს ჩაიღებდა მამულის პატრონი, მეტი მონაწილეობაც უნდა მიეღო ხარჯში; თუ მამულის პატრონის წილად ნახევარი იყო ნამუშევრისა, მაშინ თესლი სრულად მამულის პატრონისა უნდა ყოფილიყო, ხშირად მკის ხარჯიცა, ნამუშევრის ზიდვა და ლეწვა კი

თავ-თავისი. წილზედ-ჭერაში ჩვენს ჩვეულებას ამაზედ წინ ფეხი არ წაუდგამს, მაგრამ მაინცადამაინც წილზედ-ჭერა საზოგადოდ ხშირი არ იყო და დღესაც არ არის. ხშირად, და ძალიან ხშირადაც, ჩვენში გადაკვეთილი ღალა წარმოებდა, დღიურზედ ერთი კოდი; ამაზედ მეტი იშვიათად თუ სადმე მოიძებნებოდა. ჩვეულების ძალმომრეობა ასეთი მტკიცე და ძლიერი იყო ამ შემთხვევაში, რომ არა რაიმე სხვა ეკონომიურმა ძალამ ამ ღალის აწევ-დაწევაზედ ვერ იმოქმედა. თვით ყოვლადშემძლე ბატონ-ყმობამ მაგ ღალის ზომას ვერა გადაამატა რა, და ერთხელ გადაკვეთილი ღალა ნამუშევრის წილზედ ვერ შესცვალა. პირიქით, ჩვენ იმისთანა მაგალითებიც ვიცით, რომ ახალ შემოღებული მეოთხედობა მაგ ჩვეულების ძალმა დაიმორჩილა და ისევ დღიურზედ ერთს კოდად შესცვალა.

ერთის სიტყვით, ჩვენში წილზედ-ჭერას ხალხი და ხალხის ჩვეულება ეურჩებოდა, და, თუ სადმე სუფევდა, იმ აუცილებელის ნიშნით სუფევდა, რომ გლეხი, თუ წილზედ მამულს აიღებდა, არამც თუ სამუდამოდ მასზედ ბინას მოიკიდებდა, არამედ ხანგრძლივობასაც ერიდებოდა და, ამას გარდა, რამოდენ წილშიაც მამულის პატრონი ჩაუდგებოდა, იმოდენად მეტ ნაკლები მონაწილეობა უნდა მიეღო ხარჯშიაცა. აქედამა სჩანს, რომ იმისთანა სამუდამოდ წილზედ-ჭერა, რომელიც ამჟამად განხორციელებულია მეოთხედობაში, ჩვენის ცხოვრების ნერგზედ არ არის აღმოცენებული, რადგანაც, ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგ, მეოთხედობა წილია და არა გადაკვეთილი ღალა, და მერე იმისთანა წილია, რომლის მოპოებაშიაც ხარჯი სრულად ერთის მხრისაა და არა ორივე მონაწილისა მაინც.

ხოლო ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ საიდამაც უნდა იყოს ეგ მეოთხედობა წარმომდგარი, მაინცდამაინც იგი ცხოვრების წინ წადგომაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ბატონ-ყმობას წარმოვიდგენთ, რაც უნდა იყოს, გლეხი სხვის ნების ანაბარად არ არის დარჩომილი. მძიმეა თუ სუბუქია ეგ მეოთხედობა, გლეხმა იცის, რომ მას ბინას ვერავინ შეუშლის, და რაც მეოთხედს გადურჩება, ის უცილოდ და ხელშეუხებელად მისია. მაგრამ, ეკონომიურის მხრით, წილზედ-ჭერას საერთოდ და მეოთხედობას საკუთრივ — მაინცდამაინც მავ-

ნებელი შედეგი მოსდევს. რადგანაც აქ ნაშრომის ნაყოფში, ცოტად თუ ბევრად, სხვასაც წილი უდევს. გლეხს არ ექნება ისეთი ხალისი, ისეთი თავგამომეტებითი მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თვის საკუთრებაზედ მუშაობს, მაშასადამე, შრომა გლეხისა იმოდენად ნაყოფიერი არ უნდა იყოს, რამოდენადაც ეგ შესაძლოა. ეს ერთი. მეორე, — მიწის განოყიერებისათვის, მიწის გაკეთებისათვის, გლეხი ხარჯს ვერ გაიმეტებს, იმიტომ რომ ამ ხარჯში მონაწილე არ უდგება და წილი კი სრულად მიაქვს. ადამ სმიტი ამბობს: „მხვნელ-მთესველს (რომელსაც წილზედ უჭირავს მიწა) არავითარი სარფა არა აქვს, მამულის კარგა შემუშავებისათვის ხარჯი რამ გასწიოს, იმიტომ რომ მიწის პატრონი იმ დანახარჯის მოგებაში წილს იდებსო და ხარჯში კი არაო. მეათედი წილი ხომ ცოტაა, მაგრამ ყველასაგან მიღებულია, რომ ეგეც ამ მხრით სოფლის მეურნეობის წარმატებას დიდად აბრკოლებსო“. რომ ეს მართალია, აი ამის დასამტკიცებლად რა მაგალითებია შენიშნული. არტურ იუნგი მოგვითხრობს: „საცა კი წილზედ-ჭერა არის, შეიძლება კაცმა გულდაჯერებით სთქვასო, რომ იქ მცხოვრებნი უხეირონი და საცოდავად ილაჯგაწყვეტილები არიანო. საცა, მილანის მაზრაში, უხეირო, ღარიბი, მოურწყავი მიწა შემხვედრიაო, ყველგან ისე გამოსულა, რომ მიწები წილზედ უჭირავთო“. მაკ-კულოხი ამბობს: „წილზედ-ჭერა ყველგან წარმატების დამაბრკოლებელიაო, ასე რომ წილზედ-ჭერამ ყველგან მხვნელ-მთესველნი უკიდურესს სიღარიბეში ჩააგდოო“. ჯონ სტუარტ მილლი ამბობს, რომ თუმცა წილად-ჭერას ბევრი მაქებარიცა ჰყავსო, მაგრამ ეს წესი არც ერთის მხრით ისეთი სახარბიელი არ არის, რომ საცა მას ფესვი არა აქვს, იქ ხელახლად შეიტანონო. ამის სიტყვით, გადაკვეთილს ღალას კი ის სიკეთე მაინც მოსდევს, რომ, ბევრია თუ ცოტაა, გლეხს ხელს არ უშლის მამულის გაკეთებისათვის ხარჯი გასწიოს, უფრო მედგრად იმუშაოს, უფრო დიდი მხნეობა და მეცადინეობა იხმაროს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მომატებულის ხარჯისა და შრომის მონაგები სრულად მისია. აქ ღალას მიწის ქირის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და არა შრომის ნაყოფის გაწილადებისა. აქ შრომა, ცოტად თუ ბევრად, თავისუფალია, და რამოდენადაც თავისუფალია, იმოდენად ყოვლად-შემძლებელიც არის.

ეს წერილი ძალაუნებურად გაგვიგრძელდა და ამის გამო პირველ წერილში მოხსენებული საგნები ამჟამად გაურჩევლად დაგვრჩა. ეგ შემდეგისათვის იყოს.

წერილი მესამე

ჩვენ წინა წერილებით ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ წილზედ-ჭერა მამულისა: 1. მიზეზიანი და სადავიდარაბო უფლება-მოვალეობაა ორთა წოდებათა შორის; 2. ჩვენის ხალხის ჩვეულებაზედ არ არის აღმოცენილი, იმ სახით მაინც, რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ ჩვენში შემოიტანა; 3. ეკონომიურის მხრით, თუმცა ყმობაზედ ბევრად უკეთესია, მაგრამ მაინც მავნებელია; 4. მიწის-ჭერაში ჩვეულება. ყველა სხვა ძალაზედ მტკიცეა, თვითრჯულია, და 5. ამის გამო პირველი და უპირატესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქმნას ჩვეულებაზედ, როცა მიწის-ჭერის შესახებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დანახულია.

რომ ნაყმევის მიწის-ჭერის შესახებ ცვლილება საჭიროდ დანახულია თვით მთავრობისაგანაც, — ამას ცხადად გვიმტკიცებს 172 მუხლი გლეხთა განთავისუფლების დებულებისა*. მაგ მუხლშია გამოცხადებული მტკიცე განზრახვა მთავრობისა მიქცეული მასზედ, რომ წილზედ-ჭერა მამულისა — ეგ სადავიდარაბო, წინათვე განუსაზღვრელი ღალა, ერთს გარდაკვეთილ გარდასახადად იქცეს. ეს განზრახვა ამ მხრით და მხოლოდ ამ მხრით ეთანხმება ჩვენის ხალხის ჩვეულებასა, რადგანაც წინა წერილიდამ ვიცით, რომ ჩვენში თითქმის ყველგან ღალა გარდაკვეთილი სწარმოებდა და არა საწილო. როგორ უნდა მოვიდეს ეს აღსრულებაში? დებულებაში მოხსენებულია, რომ 1. ჯერ უნდა წესი დაიდოსო მასზედ, თუ

---

* აი ნამდვილი სიტყვები 172 მუხლისა: „კავკასიის ნამესტნიკსა მიენდობა დასდვას კანონნი მოყვანისათვის ცნობაში გარდასახადთა რაოდენობისა მიწისა მოსავლითა გლეხთა მინდვრისა მიწათაგან და ძალთაგან; გარდასახადნი ესენი დაფასდეს ფულად შეთანასწორებით ადგილობრივთა მოთხოვნილებათა ნამდვილისამ ოსავალთა ღირებულობისა და დაწესდეს ამ დაფასებით გარდასახადი მოხსენებულითა მინდვრისა მიწათა და ბაღთათვისა“.

როგორ მოიყვანონ ცნობაში აწინდელის წილადობილის ღალის რაოდენობაო; 2. მერე, ადგილობრივის გარემოების მიხედვით, ეგ რაოდენობა ღალისა ფულად დაფასდესო და 3. მას შემდეგ ნაყმევის გარდასახადი ღალა ერთობ ფულად განისაზღვროსო, ესე იგი ჩვეულებრივი მიწის მოსავლით გარდასახადი მახტად გადიქცესო.

ამ კანონმდებლობას რომ თვალი დავაკვირდეთ, ერთს განსაკუთრებითს ღირსებას ვიპოვით. აქ ცხადად გამოხატულია მთავრობის გულითადი მეცადინეობა, რომ ეს აუცილებელი ცვლილება ორივე მხრისათვის სამართლიანად მოახდინოს. ამაში მთავრობას ყოველივე ჩვენი თანაგრძნობა ეკუთვნის. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მთავრობისაგან აღნიშნულის გზით, განზრახული მისგან ცვლილება აუსრულებელია. ამას ამტკიცებს ის თვალსაჩინო მაგალითი, რომ აი მეცამეტე წელიწადი მიდის და ამ მხრით საქმის წინ წაწევისათვის არავის არც ხელი გაუნძრევია, არც ერთი ბიჯიც არ გადუდგამს. ჩვენის ფიქრით, თუნდა მოეწადინებინა ვისმე, აუარებელი დაბრკოლება წინ დახვდებოდა და პირველის ბიჯის გადადგმაზედვე გულს დააჯერებდა, რომ აღნიშნულს გზაზედ სვლა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ ვერ მოგვიფიქრებია, რა წესი უნდა იყოს იმისთანა, რომ სახნავ მიწისა და ვენახის მეოთხედი, ანუ სათიბის მიწის მესამედი ცნობაში მოიყვანოს და ეს მოყვანილი ცნობა მართალი და უტყუარი იყოს. აქ, ჩვენის ფიქრით, ერთს რასმე შეეძლო შველა: მას, რომ ცნობილი იყოს, ვის ვისგან რამდენი რგებია მეოთხედობიდამ ამ ცამეტ წელიწადში და მერე რიცხვთა შუა ანგარიშით კაცს გამოეყვანა თვითოეულის მებატონისათვის და თვითოეულის ნაყმევისათვის მაგ წილადობილის ღალის რაოდენობა. განა ეს შესაძლებელია? ან ერთმა მებატონემ, ან ერთმა ნაყმევმა იცის ეგა? თუნდ იცოდნენ კიდეც,— რამოდენა ხანი უნდა, რამოდენა კაცი, რომ თვითოეულის მებატონისა და თვითოეულის გლეხისაგან ეგ ცნობა მოეკრიფათ და საბუთიც მოეთხოვათ. უამისოდ ხომ არა რაიმე ცნობა დასაჯერი არ არის და არც იქნება. თუ ეგრეა, განა ამგვარად ცნობის შეკრეფას ბოლო მოეღებოდა-ღა როდისმე? არა გვგონია.

ვსთქვათ, რომ შეუძლებელი შესაძლოა, ვსთქვათ, რომ რაოდენობა ცნობაში ასე თუ ისე მოყვანილ იქმნას, მას შემ-

დეგ ერთი სადავიდარაბო — იმ რაოდენობის დაფასება იქნებოდა. ნუთუ ეს ვისმე ადვილი ჰგონია? ფასის აწევ-დაწევაზედ ათასი მიზეზი მოქმედობს; ეგ მიზეზნი დღეს ერთია, ხვალე სხვა. ადგილობრივის გარემოების მიხედვით ეგ უნდა მოხდესო, ამბობს კანონი. რარიგად ზედმიწევნით უნდა აღინუსხოს გარემოება, რომელიც მრავალგვარია, რარიგად ზედმიწევნით უნდა დაიდვას სასწორზედ ყოველი იგი, რომ ამ შემთხვევაში არც მწვადი დაიწვას და არც შამფური. სად არის ამის ღონისძიება? მერე დღეს დადგენილი ფასი, დღევანდელს გარემოებაზედ დაფუძნებული, ხვალაც ისე იქნება? ვის შეუძლიან ამისი თქმა? ვის შეუძლიან სთქვას, რომ ამ შემთხვევაში ან მებატონე არ დაჰკარგავს და ან გლეხი? თუ ესეა, მაშ მაგ დაფასებაში სამართლიანობაზედ იმედს უნდა გამოვეთხოვოთ. თუ სამართლიანობა არ იქნება, მაშ ან გლეხს რა გაუმთელებს ნატკენ გულს, ან მებატონესა? სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო, ამბობს ჩვენი ქართველი კაცი. ყურადღების ღირსია ამისთანა რწმენა ხალხისა. თვით ღალის ფულად ქცევა, ესე იგი მახტის დადგენა მიწის-ჭერაში დიდად გაუძნელებს გლეხს თავისის მოვალეობის აღსრულებას და ნაბატონარსაც არას შემატებს. პირველი, იმიტომ — რომ ღალის ხდა ფულად ჩვენს ჩვეულებაში თითქმის არა ყოფილა, გარდა ორიოდ მაგალითისა, რომელიც მხედველობაში არ მიიღება, და მეორე, იმიტომ — რომ ფული ძნელად ჩაუვარდება ხელში გლეხსა, რომლის სიმდიდრე დღესაც ფულიანობით კი არ იზომება, არამედ პურისა და ღვინის მეტნაკლებობითა, ესე იგი მიწის მოსავლითა. თუნდ ეგეც არ იყოს, ჩვენ ვერ მიმხვდარვართ — რა საჭიროება მოითხოვს, რომ სულადით გარდასახადი ფულად იქცეს? საქმე მაგ გარდასახადის განსაზღვრაა. რაკი ეგ განისაზღვრება, მაშინ ყოველივე წილადობილის ღალის მავნებელნი შედეგნი მოისპობიან ცოტად თუ ბევრად. და ამაში სულადით გარდასახადს თუ ფულად გარდასახადს არავითარი ზედმოქმედება არა აქვს. თუ ესეა, რათ უნდა ტყუილ-უბრალოდ შეირყეს ჩვეულება, რომლის მეოხებითაც გლეხი დღეს-აქამომდე ღალას თუ კულუხს მიწის მოსავლით იხდიდა და ფულით გარდასახადს ერიდებოდა. ჰირი ხომ ჰირია, მაგრამ ჩვენი ხალხი ამაზედაც ამბობს, რომ შეჩვეული სჯობია შეუჩვევარსაო.

ერთის სიტყვით, იმ გზით და სახით, რა გზითაც და სახით ნაჩვენებია დებულებაში, გლეხის აწინდელის გარდასახადის გადაკვეთა ჯერ შეუძლებელია და მერე, თუნდაც შესაძლო იყოს, ერთს მხარეს მოვალეობას უმძიმებს და მეორეს ამით არას მატებს. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ წილზედ-ჭერას შველა არა აქვს, არსაიდამ მოევლება. შველა აქვს და ძალიან ადვილიცა, ოღონდ კი მივმართოთ ჩვეულებას და იგი დაგვანახვებს ხსნის გზასა. თუ არ მხარე და მხარე, მაზრა და მაზრა მაინცა ამ შემთხვევაში დიდს ერთფეროვნობას და ერთგვაროვნობას წარმოგვიდგენს. არ არის მხარე, არ არის მაზრა, საცა დღიურზედ გადაწყვეტილის ზომისა და დადგენილის სახის ღალა არ სწარმოებდეს. სად როგორი ჩვეულებაა, სად რა სახის და რა ზომის ღალაა, — ეგ ადვილად საცნობია, იმიტომ რომ ეგ ადგილობრივ დიდმა და პატარამ შეუცდომელად იცის. გამოიძიონ ეს, ცნობაში მოიყვანონ ჩვეულებით დადგენილი ღალის რაოდენობა და სახე, და ყოველ ამის კვალად გადაკვეთონ აწინდელი წილადობილი ღალა თავ-თავისის ადგილის მიხედვითა. არც გლეხი იწყენს ამასა და არც ნაბატონარი, იმიტომ რომ მათს გარეშემო მწარმოებელს ჩვეულებაზედ იქნება ყოველივე ეს დამყარებული და ამით არც მწვადი დაიწვის და არც შამფური.

ესე ყოველი, რაცა ვსთქვით, მხოლოდ მინდვრის მიწებს შეეხება და, ჩვენის ფიქრით, ვენახების თაობაზედ უფრო ადვილად შეიძლება საქმის გათავება. აქ ჩვეულებამ თავისი ჰქმნა კიდეც და, ამ ჩვეულებას თუ გარედამაც ხელი შეეწყო, არ გავა ხუთი, ექვსი წელიწადი, რომ ნაყმევნი ვენახების პატრონად შეიქმნებიან. ჩვენში ჩვეულება იყო, რომ ვინც სხვის მიწაზედ ვენახს გააშენებდა, ნახევარი გამშენებელისა იყო და ნახევარი — მიწის პატრონისა. აქაც ჩვეულებამ დაგვიმტკიცა, რომ მიწის-ჭერაში უძლეველია. თითქმის მთელი კახეთი მოურიგდა გლეხობას ვენახებზე თაობაზედ მაგ ჩვეულების წინამძღომელობითა და ძალითა. თუმცა აქაც მეოთხედი იყო კულუხად დაწესებული მთავრობისაგან, მაგრამ არც ნაბატონარმა ინდომა ეგ და არც ნაყმევმა. აიღეს მათ და უდრტვინველად, უდავიდარაბოდ, მშვიდობიანად ვენახები შუაზედ დაიყვეს, და ამრიგად გლეხი ვენახის პატრონად შეიქმნა. ამგვარი მორიგება წუნარ-წუნარად გადადის ტფი-

ლისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც. ამაში შესანიშნავი ის არის, რომ გლეხი უფრო ეტანებოდა ამგვარად საქმის გათავებას, ვიდრე ნაბატონარი; დღესაც გლეხს უფრო უნდა მაგგვარად საქმის გათავება, ვიდრე ნაბატონარსა. ნაბატონარი ამ შემთხვევაში უკან იწევს იმიტომ კი არა, რომ ეგ საზარალო ეგონოს. არა, ნაბატონარმა კარგად იცის, რომ აქ არა ეკარგება რა, რადგანაც იმ ნახევარს ვენახისას ყველა სანახევროდ აიღებს და ნახევრიდამ ნახევარი ისევ იმ მეოთხედს შეადგენს მთელიდამ. ამაში მოგებასაც ხედავს მით, რომ თავის წილს ვენახს თვით უვლის და საშფოთველი გლეხთან არა აქვს რა. მაგრამ ერთი რამ აბრკოლებს, სახელდობრ ისა, რომ წვრილ-წვრილი ნაჭრები შეხვდება, სხვადასხვა ადგილას გაფანტული. ამით მოვლა და თვალყურის ჭერა უძნელდება.

მაშასადამე, რომ ამ საქმეს ნაბატონარისაგან დაბრკოლება არ მიეცეს, საჭიროა — ნაბატონარს ღონისძიება მიეცეს, რგებული ვენახების ნახევარი ერთს ადგილს შეაგროვოს. ამისათვის გაცვლა-გამოცვლა ვენახებისა უნდა გაადვილებულ იქმნას. იშვიათად არის, რომ ნაყმევთა ვენახები სახასო და საეკლესიო გლეხთა ვენახებში ჩაჩხირებულ არ იყვნენ და, რადგანაც სახასო და საეკლესიო გლეხთა ნება არ აქვსთ ვენახების გაცვლისა, ამის გამო ერთს ადგილას მოგროვება ვენახებისა თითქმის შეუძლებელი ხდება. რომ ამგვარს მორიგებას ფეხი აჩქარებინონ იქ, საცა ფეხი ადგმული აქვს კიდეც, როგორც კახეთში, და ფეხი აადგმევინონ იქ, საცა ჯერ ფეხიც არ აუდგამს, საჭიროა მთავრობამ ნება მიანიჭოს სახასო გლეხს, რომ საცა ხელს მისცემს, დაუბრკოლებრივ შეუცვალოს ნაბატონარს და ნაყმევს ვენახები ურთიერთშორის მორიგებითა. ამისათვის მთავრობამ ერთი საერთო განკარგულება რომ მოახდინოს, დიდს შემწეობას მისცემს ნაყმევსაცა და ნაბატონარსაცა.

გამოიცვლება 172 მუხლის ძალითა აწინდელი წილადობილი ღალა და კულუხი თუ არა, მაინცდამაინც ამას ვიტყვით, რომ ეს არ არის გვირგვინი ბატონ-ყმობის საქმისა. ეგ შუა გზაა, უკეთესი მასზედ, რაც არის, და უარესი მასზედ, რაც სანატრელია. მაგაზედ გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მი-

წის-პატრონად შეიქმნას. მთავრობას წინათვე უგრძვნია ეს აუცილებელი საჭიროება და მის აცილებისათვის ღონისძიებად მამულების შესყიდვა დაუნიშნავს.

მთელი კანონმდებლობა ამ საგანზედ იმავე საფუძველზედ არის დამყარებული, როგორც საერთოდ რუსეთში. როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც, მაგ კანონებს ეტყობა, რომ კანონმდებელთა ორის რამის ფიქრი ჰქონიათ. ერთი იმის ფიქრი, რომ გლეხობა არ ინდომებს მამულის შესყიდვასაო. ამის გამო გლეხს ვალად დაადვეს, რომ თუ მებატონე მოითხოვსო, უსათუოდ სახნავ-სათიბი მიწები და სასახლის ადგილი უნდა შეისყიდოო. რადგანაც საფიქრებელი იყო, რომ ამგვარად ძალად შესყიდვისათვის გლეხს ფულის სახსარი არ ექმნებოდა, ამიტომაც მთავრობამ დააწესა, გლეხს ფულს ვასესხებო 49 წლითა და წელიწადში თავნსა და სარგებელში ათს თუმანზედ გამოვართმევო ექვს მანეთსა, რომლიდამაც ხუთი სარგებელში წავაო და ერთი თავნშიო, მეორე იმის ფიქრი ჰქონიათ, რომ გლეხობა თავ-თავის ვადაზედ ფულს ვერ შემოიტანსო და ამით სახელმწიფო ხაზინა იზარალებსო; ამისათვის 49 წელიწადი დანიშნეს სესხის ვადად, თუმცა ასზედ ერთი მანეთი თავნს 37 წელიწადს ასწორებს და იშორებს. აქ თორმეტი წელიწადი მეტია დანიშნული, იმიტომ რომ ხაზინას რაც 37 წელიწადში დააკლდება, ამ თორმეტის წლის შემოსატანის ფულით შეისრულოს.

იქნება ამ ორს ჭკუაში მოსასვლელს საგანს რაიმე საბუთი ჰქონდეს რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი — არა მგონია. ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეა. იგი სოფელი, საცა მის მამა-პაპას უცხოვრია, საცა მამა-პაპის ძვლები უმარხია, საცა მამა-პაპის სალოცავია, ჩვენის გლეხისათვის მეტად ძვირფასი რამ არის. დღესაც თუ ბედის ბრუნვას ერთის ადგილიდამ მეორეში გადმოუსახლებია ვინმე, იმის შვილიშვილნი და უფრო შორეული შთამომავლობა თითქმის ყოველ-წლივ უწინდელის ბინის დასახედად მიდის, მამა-პაპის ხატისა და სალოცავის თაყვანის-საცემლად დაიარება. ამისთვის არც ხარჯს, არც დროს და არც გზაზედ სიარულის შრომას არა ზოგავს. თუნდ ეგეც არ იყოს, ყველასაგან და ყველგან ცნობილია, რომ მუშაკაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია, სადმე ბინა მოიკიდოს, სადმე თავისი საკუ-

თრება იქონიოს, და მიწისმომქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა. ამ-გვარებში ნამეტნავად ჩვენი გლეხია ღირსშესანიშნავი. თუკი თავის ახლომახლო მამულს როგორმე შეიგულებს, თავს დაიგირავებს, ცოლ-შვილს დაატყევებს ხოლმე, ვალში, ვახშში ჩავარდება და მამულის სყიდვის შემთხვევას კი არ დაჰკარგავს. ჩვენებური გლეხი წელს გაიმაგრებს თუ არა, მარტო იმის ნატვრაშია, რომ მამული იყიდოს.

რომ ჩვენის გლეხის მიდრეკილება მამულის სყიდვისადმი ძლიერი და დაუძინებელია, — ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ სამს თვალთსაჩინოს, უცილოს მაგალითსა:

1. ჩვენებური გლეხი, რაკი მამულის სასყიდლად გაიწევს, მას არა ფასი არ აშინებს, უკან არ დაახევინებს. და ამის გამო, რასაც გლეხი იმეტებს მამულის სასყიდლად, იმოდენას თავის-დღეში სხვა კაცი ვერ გაიმეტებს. ფასის აღმატებაში გლეხს სხვა კაცი წინ ვერ წაუვა და ვერც შეეცილება. ეს ყველასაგან ცნობილია. ჩვენ იმისთანა მაგალითიც ვიცით, რომ ასს საქენს სოფლის ცარიელს მიწაში გლეხს ოცი თუმანი მიეცეს. ვსთქვათ, რომ ეს მხოლოობითი შემთხვევაა, მაგრამ მაინც ყველამ იცის, რომ ჩვენებური გლეხი, რაკი ღონისძიებას ხელთ იგდებს, გიჟურის ფასის მძლეველია. ცხადია, რომ ესე გულუხვად ფასის გამომეტება განსაკუთრებით გლეხის მიდრეკილებისაგან არის წარმომდგარი, და აქ სხვა რაიმე ეკონომიური მოსაზრება და ანგარიში არ მოქმედობს.

2. აუარებელი ნასყიდობის ქაღალდები წარმოადგინა ჩვენმა ნაყმევ გლეხობამა საგლეხო სასამართლოში დასამტკიცებლად იმ მამულების თაობაზედ, რომელნიც ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის გადავარდნის უწინ ეყიდნათ; ესე იგი მაშინ, როცა გლეხების საკუთარი და ამგვარად შეძენილი მამულიც ბატონის ნებაზედ იყო მინებებული და ბატონის საკუთრებად ითვლებოდა, ჩვეულებით თუ არა, კანონით მაინცა, და როცა კანონი გლეხს საკუთრების სიმტკიცისათვის მფარველობას არც ჰპირდებოდა და არც უწევდა. რა ძლიერი მიდრეკილება უნდა ჰქონოდა, რომ ამგვარის წყობილების წინაშე გლეხი მამულის სყიდვაში მაინც უკან არ იხევდა და მაინც მამულს ყიდულობდა.

3. მარტო ქუთაისის გუბერნიაში, საცა გლეხობა ყველას უფრო ღარიბად მიგვაჩნია, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ რვა ათას სამოცდახუთეტმა (8. 075) ნაყმევთა კომლმა შეისყიდა თვისი ნაჭერი ადგილ-მამულები ნაბატონართაგან და ერთი მილიონი ას ოთხი ათას რვაას სამოცდაათი (1. 104. 870) მანეთი თავისის საკუთარის ჯიბიდამ მისცა. ასე რომ მთავრობის შემწეობაც არ ითხოვა. გერმანიაში ოცდაშვიდს წელიწადში ნაყმევთაგან მარტო მეოთხედმა ნაწილმა ძლივს დაიხსნა თავისი ადგილ-მამულები, ისიც მთავრობის შეწევნითა, და იმერეთში კი (გარდა სამეგრელოსი) ერთმა მესამედმა 10 წელიწადში გამოიხსნა თავისი მამულები, ისიც მთავრობის დაუხმარებლად. ნუთუ ეს მაგალითები არ ამტკიცებენ მას, რომ ჩვენებურს გლეხში დიდი მიდრეკილებაა მამულის შეძენისადმი.

აქედამ სჩანს, რომ ის კი არ უნდა ეფიქრათ, გლეხი მამულის სყიდვას არ ინდომებსო, ფიქრი მებატონისა უნდა ჰქონოდათ, რომ იგი მამულს არ გაჰყიდდა. ამის წამალი უნდა მოეპოებინათ. ყველგან ყოველის ხალხის კანონებში ის კი თქმულაო, ამბობს ერთი რუსის მწერალი, რომ სახელმწიფო საჭიროებისათვის, საყოველთაო სიკეთისათვის, ძალად გააყიდვინონ ადგილ-მამულიო, და ძალად აყიდვინონ კი — ეგ არსად გაგონილაო.

ჩვენის ფიქრით, მეორე შიშიც — რომ გლეხი პირნათლად ვერ გამოვაო მთავრობისაგან ნასესხის ფულის გადახდაშიაო, ჩვენის გლეხკაცის ავკარგიანობაზედ არ არის დამყარებული. ოღონდ გაუადვილდეს გლეხს მამულის სყიდვა, ოღონდ კისერზედ ნუ მოეხვევა უხეირო, უხმარი მამულები, და ამითი გული ნუ გაუტყდება, და იგი ნასესხის ფულის გადახდის თაობაზედ პირშავად არ გამოვა. სასოფლო ბანკები, თითოროლა მაგალითი საადგილმამულო ბანკისა, ცხადად გვიმტკიცებენ, რომ გლეხნი ვალის მოშორებაში უტყუარნი არიან. ეგ იციან არამც თუ მათ, ვისაც გლეხთან გულშემატკივრად საქმე დაუჭერიათ, არამედ იმათაც, ვისაც მათთვის მამასისხლად ფული უსესხებიათ. ამიტომაც სესხის ჯეროვანს ვადას გარდამეტებული თორმეტი წელიწადი, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, მეტისმეტი სიფრთხილეა, მით უფრო, რომ ეგ სიფრთხილე გლეხს აწვება კისერზედ, ძაძით როდესაც იგი მა-

გის მიზეზი არ არის. დიდი შეღავათი იქნებოდა გლეხისათვის, რომ ერთისა და იგივე გარდასახადით ვალი ოცდაჩვიდმეტს წელიწადს მოეშორებინა და არა ორმოცდაცხრასა. როგორც ამჟამად არის დაწესებული.

თუ გლეხს მაგისთანა წყურვილი აქვს მამულის სყიდვისაო, თუ მთავრობისაგანაც მამულისათვის საჭირო ფულს ეგრე იაფად შოულობსო (თუმანზე) სამი აბაზი თავში და სარგებელში 49 წლის ვადით), მაშ ნაყმევთაგან მამულების დახსნა ეგრე ტაატით რათ მიდისო, გვეტყვიან ჩვენ. ამის მიზეზი ბევრია, და მათში არც ერთი იმისთანა არ არის, რომ გლეხის ბრალი იყოს. ჩვენ ამჟამად მარტო უმთავრეს მიზეზებს მოვიხსენიებთ.

კანონით, ნაყმევსა ორი გზით შეუძლიან მამულის სყიდვა: ერთი — თავისის ფულით, მთავრობის შეუწევნელად, და მეორე — მთავრობისაგან ნასესხის ფულითა. გლეხი ერიდება თავისის მამულის დახსნას საკუთარის ფულით, იმიტომ რომ ბევრს მაგალითებს ხედავს, რომ ამრიგადაც მამულის შეძენისათვის კანონიერის სიგელის გამოტანა უძნელდებათ და უგვიანდებათ, რადგანაც ამგვარად სყიდვაშიაც მომრიგებელი შუამდგომელი* და ერთობ საგლეხო გამგეობა, არ ვიცით რისთვის, ერევა** და უამისოდაც რთულს საქმეს სიგელის დამტკიცებისას საზოგადო კანონისამებრ უფრო აძნელებს. მაგალითებრ, თვით მთავრობას ცნობილი აქვს, რომ ქუთაისის საგლეხო გამგეობას თითქმის 1877 წლამდე არც ერთი ამგვარი სიგელი არამც თუ დაუმტკიცებია, არც კი განუხილავს. ნუ დავივიწყებთ, რომ 8. 075 კომლის სიგელი მაინც უნდა იყოს ქუთაისის გუბერნიაში ამჟამად. რასაკვირველია, გლეხკაცობას ამგვარი საქმის გაძნელება და დაგვიანება ყოველს ხალისს თუ არ მოუკლავდა, სყიდვის სურვილს მაინცდამაინც დიდად შეუყენებდა.

საკვირველია, რომ მთავრობის შემწეობით სყიდვას გლეხი უფრო ერიდება, თუმცა, ადგილობრივის მიხედვისა კვალად, მთავრობა ბევრით იაფად აძლევს გლეხს სესხსა. ამისი მიზეზი ის არის, რომ სესხის გადასახდელად ურთიერთის თავდე-

---

* Мировой посредник.

** იხ. Приложение к § 17 (примеч. 2) наказа по выкупной операции в Тифлисской и Кутаисской губерниях, მუხლი 8, 9.

ბობაა კანონად დადგენილი. ეგ ჩვენებურის გლეხის ჩვეულების პირდაპირ წინააღმდეგია. წინააღმდეგია მისის მეურნეობის გამართულობისა, მისის ეკონომიურის მდგომარეობისა და მოწყობილობისა. რუსეთში მაგას თავისი ადგილი აქვს და თავისი ჯეროვანი საბუთიცა. იქ მამულების საერთოდ-სასოფლოდ* მფლობელობა არის და საერთოდ-სასოფლოდ მფლობელობას საერთო მოვალეობაც მოსდევს. კარგია თუ ავია საერთოდ-სასოფლოდ მფლობელობა მიწისა, ჩვენ ამის გამოძიებაში არ შევალთ. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ურთიერთის თავდებობა უსაბუთოა იქ, საცა საერთო, თანასწორი მიწისმფლობელობა არ არის. ლაველე ამბობს, რომ ურთიერთის თავდებობას მაშინ აქვს ადგილი და საბუთიო, როცა მიწის საერთოდ-მფლობელობიდამ არის წარმომდგარიო. ჩვენში მფლობელობა ადგილ-მამულისა, მეურნეობის გამართულობა, ეკონომიური მოწყობილება — კომლეულია, განსაკუთრებით საოჯახოა და არა საერთოდ-სასოფლო. ამის გამო ჩვენში ურთიერთის თავდებობას მარტო მოვალეობის თვისება აქვს გლეხისათვის, და რაც მაგ მოვალეობას უფლება მოსდევს, იმ უფლებას კი ჩვენებური გლეხი მოკლებულია. რადგანაც ჩვენს დებულებაში ისევ ის ჩვეულებრივი კომლეული მიწისმფლობელობაა ჩვენის გლეხის მდგომარეობის დედაბოძად მიღებული, ამის გამო არავითარი საბუთი არ იყო, რომ ურთიერთი თავდებობა შემოეღოთ და ვალის ხდა კომლეულობით არ მოესაზრათ, ჩვენებურს გლეხს არ ესმის და, სწორედ გითხრათ, ვერც გაიგებს, რისთვის უნდა იხადოს სხვის მაგიერი ვალი, მაშინ როდესაც იმ სხვას თავისი საკუთარი ბინა აქვს, თავისი მიწა და ქონება; იმ მიწასა და ქონებაზედ თვით არავითარი უფლება არ მიუძღვის, არც საზოგადოებრივი, არც კერძობრივი. ერთობ, ეგ ურთიერთის თავდებობა დიდად აშინებს გლეხსა და მთავრობის კეთილგანზრახულს შემწეობაზედ ხელს აღებინებს. გლეხს, ამას გარდა, კიდევ ის აფრთხობს, რომ ხაზინასთან საქმის დაჭერა ეძნელება. მრავალის მაგალითით გული დაუჯერებია, რომ, მოთანამდე პირთა გულმოდგინებისა გამო, ხაზინის გადასახადი ერთი აბაზი ხშირად მანეთად დასჯდომია.

---

* Мирское.

თუ ეს არ იყოს. რათ უნდა ერიდებოდეს გლეხი მთავრობისაგან ვალის აღებას? რომ ერიდება, ამის მაგალითად იმას მოვიყვანთ, რომ იმერეთში გლეხკაცობამ ერთ მილიონზედ მეტი ფული მისცა თავის მამულების დასახსნელად ისე, რომ მთავრობას ერთი გროშიც არ ესესხა. თუმცა ტფილისის გუბერნიაში ათას ორას ოცმა (1220) კომლმა გამოისყიდა მამულები და ამისათვის მთავრობისაგან სამას თოთხმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი (314. 985) მანეთი ისესხა, მაგრამ ამათაც კი გამოუცხადებიათ სურვილი, რომ ეგ ფული სულ ერთბაშად შეიტანონ ხაზინაში*. გულდაჯერებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ ორს ზემოხსენებულს შემთხვევაში გლეხი ვალის აღებას არ გადურჩებოდა და იმაზედ იაფად, როგორც მთავრობას განუზრახავს, სად იშოვის გლეხი მაგ ვალსა? არსად, და მაინც, როგორც ეტყობა, გლეხკაცობა მამასისხლად ვალის აღებას უფრო რჩეობს, ვიდრე ხაზინისაგან დიდის შეღავათით ხელის გამართვასა.

ყველაზედ უმთავრესი მიზეზი, რომელიც ნაყმევთა მამულების დახსნას ხელს უშლის და დიდად აბრკოლებს, ის არის, რომ ნაყმევი მამულს ვერ იყიდის, თუ მებატონე ამას არ მოიწადინებს. ამ საგანზედ ჩვენ ჩვენი აზრი ზემოთ გამოვსთქვით. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, თუ რა აბრკოლებს, რომ აქამომდე ეგ წადილი იმოდენად ფეხადგმული არ არის, რამოდენადაც სასურველია. აი, ჩვენის ფიქრით, რა აბრკოლებს. ზოგი მებატონეა დღესაც, რომ მისი დღეობაა, როცა გლეხი მასთან სახვეწრად მოვა და მძიმედ თავს დაუკრავს. აწინდელი მიზეზით სავსე კავშირი მათ შორის ამ თავმოყვარეობას, ცოტად თუ ბევრად, ხელს უმართავს და მებატონე ამით კმაყოფილია. ბატონ-ყმობაში დაბადებულს, ბატონ-ყმობაში გამოზრდილს მებატონეს, რასაკვირველია, ეძნელება, გული ეთანაღრება, რომ მის გარეშემო ბატონობას ავალა აღარა აქვს და ფიქრობს, რაკი წყალს მივყევარო, ხავსს მაინც მოვეჭიდოო. ხავსად კიდევ მიზეზიანი მეოთხედობა გაუხდია და ამას მაგრად ეჭიდება. ჩვენდა სასახელოდ, ამისთანანი ბევრნი არ არიან. ზოგი მებატონეა, რომ, თუმცა დებულების ოქმში მეოთხედობა მოუხსენებია, მაგრამ ამ მიზეზიანის მო-

---

* იხილე Донесение губернского по крестьянским делам присутствия от 15 июня 1876 г., № 471.

ვალეობის შემწეობით გლეხი იქამდე მიუყვანია, რომ იგი ძალაუნებურად მორიგებია მებატონეს შინაურულად, სიტყვით, და უწინდებურად გაუბეგრავს თავი, ესე იგი, გარდა გადაკვეთილის ღალისა და კულუხისა, გლეხს მებატონისათვის მუშაობაც უკისრნია. რასაკვირველია, ამგვარის მებატონისათვის მამულის გასყიდვა, რომელიც გლეხის სრულს განთავისუფლებას მოასწავებს, სანატრელი არ იქნება, რადგანაც ამით მოისპობა ის მიზეზი, რა მიზეზითაც დღეს გლეხი ძალაუნებურად ბეგარასა უწევს. ზოგი მებატონეა და, ჩვენდა სანუგეშოდ, მომეტებული ნაწილიც, რომ მამულის გასყიდვა უნდა და მარტო იმისთვის არ აცხადებს სურვილს, რომ ეშინიან, დავიწყებ საქმესო, ტყუილუბრალოდ გავებმიო, თრევას და ხარჯს ვეღარ გაუვალო და ბოლო კი არ მოეღებაო. ორს პირველს მიზეზს კბილს მოსჭრის ის, რომ, ზემოხსენებული 172 მუხლის ძალით, აწინდელი წილადობილი გლეხის გარდასახადი ყოველგან მალე გადიკვეთოს და განისაზღვროს ადგილობრივის ჩვეულების მიხედვითა, — და მესამეს კი ის, რომ ერთობ უსაბუთოდ რთული და დაუბოლოებელი წარმოება მამულის დახსნის თაობაზედ გამარტივდეს და სწრაფად აღსრულებაში მოდიოდეს.

ამ უკანასკნელის მიზეზის მოსასპობლად, ამ ახლო ხანებში ჩვენის მთავრობის წინაშე წარდგენილა ახალი წინადადება. ამ წინადადების ქვაკუთხედი და დედააზრი იგია, რომ მთავრობამ ნაყმევთა მამულების დახსნისათვის იმისთანა რამ ადგილობრივ გამართოს, როგორც საადგილმამულო ბანკი, საიდამაც გლეხთა მამულის დახსნისათვის ფულის სესხად აღება შეეძლოთ იმავე წესით და პირობით, როგორც ეგე ყოველი საადგილმამულო ბანკშია მიღებული. ეს ქვეყნიერებაზედ ახალი ამბავი არ არის. მაგგვარი წყობილება ევროპაში, სახელდობრ გერმანიაში, დიდი ხანია შემოღებული იყო ნაყმევთა მამულების დახსნისათვის და იქ, სცა იყო შემოღებული, ამგვარმა წყობილებამ მეტად ააჩქარა ბატონ-ყმობის საქმის დაბოლოვება საყოველთაო საკეთილოდ. დანიაში 1806 წ. დაწესდა მაგგვარი ბანკი, ჰესსენ-კასსელში 1832 წ. ჰანოვერში 1841 წ., ნასსაუში 1849 წ. და სხვა.

რადგანაც ჰანოვერის ბანკს მოქმედობას მეტად უქებდნენ, ამის გამო მის აგებულებაზედ და განწყობილებაზედ ზოგი-

ერთს უმთავრესს ცნობას მოვიყვანთ. ჯერ კიდევ 1830 წლიდამ, ჰანოვერში გამოთქმულ იქმნა ის აზრი, რომ ნაყმევთა სრულიად განთავისუფლებისათვის ბანკი რამ გაიმართოს მთავრობის დახმარებითა. ნემეცთა, ჩვეულებისამებრ, ეგ აზრი სინჯეს, გაზომ-გამოზომეს, აიღეს-დაიღეს და ბოლოს 1841 წ. აღსრულებაშიაც მოიყვანეს. ბანკი დააწესეს და საგნად მარტო გლეხთა მამულების გარდასახადის დახსნა დაუნიშნეს. მავრამ თითქმის იმავე დროს მთავრობამ გამოაცხადა სურვილი და აღსრულებაშიაც მოიყვანა, რომ ეგ ბანკი მარტო გლეხთა მამულების გამოხსნას არ მიჰყვეს და თვისი მოქმედება განავრცოს, ესე იგი სესხი აძლიოს ყოველს უძრავს ქონებაზედაც — ნაყმევისა იქნება, თუ სხვა ჭირისა. პირველს და მეორეს შემთხვევაშიაც გირაოდ მიიღებოდა უძრავი ქონება. მთავრობამ ნახევარი მილიონი ტალერი ($91^1/_4$ კაპეიკია) დაუნიშნა, რომ თუ ვინიცობაა გაჭირვებამ მოითხოვოს, ბანკმა ხელი გაიმართოს. ამ ფულიდამ ბანკს ნება ჰქონდა მოეთხოვნა სახელმწიფო ხაზინასაგან ერთ ხანად 100.000 ტალერი; ხაზინას სარგებლად უნდა ერთმია ათს თუმანზედ სამი მანეთი წელიწადში. ამას გარდა, ყოველივე პასუხისგება ბანკის მოვალეთა წინაშე თვით მთავრობამ იკისრა. ჰანოვერის ბანკი შინაგანის საქმეთა მინისტრის გამგეობით სწარმოებდა. თითონ ბანკსა მართავდა მთავრობისაგან დანიშნული სამი კაცი, რომელნიც ბანკის მმართველობას შეადგენდნენ. მსესხებელთ შორის ურთიერთის თავდებობა მიღებულ არ იყო. ამ ბანკში შესანიშნავი ორი რამ არის. ერთი ის, რომ სესხის მოსაშორებლად ერთი ვადა კი არ იყო დაწესებული, არამედ რამდენიმე; მსესხებელის ნებაზედ იყო მიგდებული, ან ერთს ვადაზედ დამდგარიყო, ან მეორეზედ. მეორე ისა, რომ, რაკი ბანკში მამული გირაოდ შევიდოდა, არა რაიმეს კერძოობითს, მთავრობისა ან სასამართლოს განკარგულებას არავითარი ძალა არ ჰქონდა იმ მამულის თაობაზედ, თუ რომ იმ განკარგულებას ბანკისათვის რაიმე ზარალი და ვნება მოსდევდა. 1841 წლიდამ 1850 წლამდე, ესე იგი ათის წლის განმავლობაში, ამ ბანკმა შვიდ მილიონზედ მეტის ფასის (7. 249. 779 ტალერი) მამულები დაახსნევინა ნაყმევებსა.

ჩვენი პირდაპირი საგანი, რომელსაც, ცოტად თუ ბევრად,

ამ წერილების სათაური აცხადებს, სულ სხვა არის. ამიტომაც ზემოხსენებულს წინადადებას ამჟამად ჯეროვანად და ვრცლად ვერ გამოვიძიებთ.

ბატონ-ყმობის გაუქმებას ჩვენში ზედ მოჰყვა სასოფლო მმართველობის ახალი წესდებულებაცა. ამაზედ ლაპარაკი შემდეგ გვექნება.

წერილი მეოთხე

1865 წელსა დამტკიცებულ იქმნა და აღსრულებაშიაც მოვიდა სასოფლო მმართველობის წესდებულება. ვიდრე გავარჩევთ მას, თუ რამოდენად მოუხდა იგი ჩვენს ცხოვრებასა, რამოდენად აღგვისრულა მასზედ დანდობილი იმედი, არ იქნება მეტი, რაც შეიძლება მოკლედ, გამოვსთქვათ ზოგიერთი აზრი შინაგანს მმართველობაზედ* საზოგადოდ.

ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს. მაგალითებრ; რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები მაზრებად, მაზრები სოფლის საზოგადოებად. ყოველს სახელმწიფოში ორი დიდი მდინარებაა: ერთი მთელის სახელმწიფოის საქიროებისა და მეორე — საზოგადოებისა. ეს ორივე-გვარი საჭიროება ყოველს ნაწილში მომდინარეობს იმდენად მეტ-ნაკლებად, რამდენადაც თვით ნაწილი მეტ-ნაკლებია; განსხვავება თითქმის ამ მეტ-ნაკლებობაშია და სხვა არაფერში. ამიტომაც მთელს სახელმწიფოში, თუ თვითოეულს მის ნაწილში, ამ ორგვარის საჭიროების მზრუნველობა და გამგეობა საჭირო არის. ეგ მზრუნველობა და გამგეობა არის აუცილებელი და უსათუო საგანი ყოვლის მმართველობისა.

ქვეყნიერობაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით

---

* Внутреннее управление.

მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, — ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელეკაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არის პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას* უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ოვარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა

---

* Самоуправление, децентрализация.

აუცილებელია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის ვამგეობისა შეუმსუბუქებია, აუხსნია.

ერთი მწერალი ამბობს: „ისტორია ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც. საცა დიდკაცობაა* ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვაკუთხედადა. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, საცა იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორც შვეიცარია (739 ოთხკუთხი მილია) და იქაცა, საცა იმისთანა უზარმაზარი უდაბნო მინდვრებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილადგანწყობილი და შეთვისებულია, საცა იმისთანა სახელოვანი განათლებაა, როგორც ლონდონში და იქაცა, საცა იმისთანა გაუნათლებელი ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კოლონიებში“.

თუმცა ესეა, მაგრამ მაგ თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო — საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო.

როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ, თუ რაგვარი მმართველობა მივცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყნებს, ბისმარკმა აი რა სთქვა: „ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის განძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივნი საზოგადოების კრებანი უნდა დავაწყოთო ადგილობრივის მმართველობისათვისაო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნების საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა**. ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაყენებულნი მოხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა

---

* Аристократия.
** Чиновник.

მგონია, რომ მათგან ამორჩეულნი მოხელენი უფრო ცოტას გვაკნებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი".

თუ იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკი, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინცდამაინც არ არის, ისე იღვწოდა თვითმმართველობისათვის, მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რკინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა კზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვითმმართველობის მინიჭებითა, სხვას რაღა ეთქმის.

ამ თვითმმართველობის დადგენისათვის ყველაზე ძნელი იმ ზომის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფო საჭიროების საქმენი მიეზომება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობასა, და საზოგადოებრივი კი — ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნამდვილის საზღვარის პოვნაც ძნელია, იმიტომ — რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების ძაფები ერთი-ერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან, თუ ყოველისფერში არა, ბევრში მაინცა. მაგრამ თვითმმართველობის საქებარად ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი. ღირსება და სიკეთე შინაგანის მმართველობისა ჯერ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების შორის მათდამი კუთვნილთა საქმეთა გამგეობა, და თუ განაწილებულია — როგორ და რამოდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი. ყოველივე შინაგანის მმართველობის ღირსება და სიკეთე ამ სასწორით უნდა აწონილ იქმნას.

ადგილობრივი თვითმმართველობა* და უმაღლესი მთავრობა** არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ორნივ მშვიდობიანად თავსდებიან და ურთიერთის სახეიროდ მოქმედობენ. ზემოთ მოვიხსენეთ, რომ ძნელია ამათ შუა ნამდვილის საზღვრის დადება, თუ

---

* Местное самоуправление.
** Верховное правление.

ყველაფერში არა, ზოგიერთში მაინცა, თუმცა ეს ასეა, მაგრამ საზოგადოდ ერთსაც და მეორესაც ისეთი თვალსაჩინო თვისების კუთვნილება აქვს, რომ მის მეოხებით კაცს შეუძლიან, თითქმის ყოველს შემთხვევაში, გაარჩიოს, ან ერთი რის მოღვაწე და პატრონი უნდა იყოს, ან მეორე. ჩვენ თვისება თვითოეულისა ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ. მაგრამ ვხედავთ, რომ იგი ჩვენის უმთავრესის საგნის უკეთ ცნობისათვისა ცოტაა, ამისათვის გვსურს ამჟამად ეგ თვისება ცოტაოდენად დაწვრილებით აღვნიშნოთ.

ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარტომობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას. ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმიწევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს. ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თითონ, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეუძლიან ვერც თვალი მიაწვდინოს დასანახავად ყველგან, ვერც ყური სასმენლად და ვერც ხელი საშველადა. ცხადია, რომ მან უნდა იყოლიოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი, ყოველგან მოფანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობა თვით ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს, მიანდოს. პირველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა, იმიტომ რომ სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ; სხვა ჩემს ავკარგიანობას ჩემსავით ვერ შეიტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუვლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ ეცოდინება. ეს

ყველგან ესე სცნეს და ამიტომაც ეგ საშუალება თითქმის ყველგან დაწუნებულ იქმნა და უარყოფილი.

სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის მეთვალყურედ, მოხელედ და ადგილობრივთა საქმეთა გამგედ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ უკეთ იციან თავისი გითარება, უკეთ იციან თავისი საჭიროება, უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა. ამ შემთხვევაში, ერთის მხრით, ყოველის კუთხის ჭეშმარიტი საჭიროება, უტყუარი ტკივილი, გულწრფელი და მართალი წადილი მთავრობამდე მიღწეულია, მეორეს მხრით — უმაღლესის მთავრობის საერთო მზრუნველობა ერთნაირის გულისტკივილით, ერთნაირის მადლით ყოველს კუთხემდე მიწვდენილია, მორიგებული და მოფენილი.

აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდვას საზღვარი უმაღლესის მთავრობისა და თვითმმართველობის შუა. უმაღლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია. მაგგვარნი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონმდებლობის წარმოებასა, საყოველთაო ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის) მოძრაობასა და საყოველთაო მხედრობის განწყობილებასა. ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა, და თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და განწესებული. თვითმმართველობა ხელქვეითია ამ შემთხვევაში უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი.

რაც სახელმწიფოს საერთოს ვითარებას არ შეადგენს, იგი თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს უცილო კუთვნილებაა. თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და

წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. ყოველივე ამის მომქმედია იმოდენად, რამოდენადაც ყოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებასა. აქედამ სჩანს, რომ თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი* ორღანოა.

ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორღანოც არის უმაღლესის მთავრობის წინაშე, და უმაღლესის მთავრობის ორღანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა.

ცხადია, რომ როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა — თვითმპყრობელობითი, მონარქიული წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა,— ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა, საზოგადო წყობილებას არამც თუ ხელს შეუშლის, არამედ ხელს მოუმართავს, რადგანაც თვით ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულეა და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მიწვდენილი.

რუსეთშია მაგ თვითმმართველობას დიდი ფართო გზა გაეხსნა უმაღლესის მთავრობისაგან და თითქმის მთელი რუსეთი ამას სიხარულით მიეგება. იქ ჯერ სოფლის, გლეხთა საზოგადოებას მიენიჭა თვითმმართველობის უფლება, მერე მაზრასა და გუბერნიასა ერთად** და ამ სახით ყოველს განყოფილებაში დაიდგინა თვითმმართველობითი გამგეობა ადგილობრივთა საქმეთა. იგი დიდი ხანია მოქმედებს ინგლისშიაც, საცა მონარქიული წარმომადგენლობითის სახის მთავ-

---

* Исполнительный. „ხელისუფლება“ სწორედ ამ აზრით არის ხმარებული ჩვენს დასტულამაში. აქედამ არის წარმომდგარი სიტყვა „მოხელე“. თითონ დასტულამაში მეფის და მდივანბეგის განჩინების აღმასრულებელნი კაცნი საერთოდ „ხელისუფალად“ წოდებულ არიან.

** Земство.

რობაა, და ჩრდილო-ამერიკაშიაც, საცა რესპუბლიკაა. ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, რომ თვითმმართველობა უმაღლესის მთავრობის სხვადასხვაობაზედ არ არის დამოკიდებული, რომ იგი ყოველგვარს უმაღლეს მთავრობას უხდება.

თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი.

უმთავრესნი კუთვნილებანი თვითმმართველობისანი არიან:

1. ადგილობრივთა საქმეთა ადგილობრივის განსამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხებლობა;

2. უმაღლესის მთავრობისაგან გაწწესებულის ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განაწილება. ეს უკეთესი ღონისძიებაა, რომ ყოველმა სამართლიანად და უშეტ-ნაკლოდ გადუხადოს სახელმწიფოს თვისი შესახვედრი მოვალეობა;

3. ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსულის ფულის თავისუფლად გამგეობა;

4. სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს;

5. ადგილობრივის საზოგადოების პირველდაწყებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა;

6. ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება;

7. ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თავდარიგის დაჭერა და ღონისძიების მოპოება;

8. ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა;

9. უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასზედ, რაც ადგილობრივის საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს.

უმთავრესნი საფუძველნი თვითმმართველობისანი არიან:

1. ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულიწლოვანია; მაშასადამე, ყოველს მოვალეობაშიაც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას;

2. ადგილობრივის სამმართველოს ხელქვევით უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობს; აქ, როგორც პირველს შემთხვევაში, წოდებათა შორის განყოფილება და ხარიხების გადება მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია;

3. ადგილობრივი მოსამართლენი, აგრეთვე მოხელენიცა, უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა;

4. ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მექონი კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე.

ჩვენის სასოფლო მმართველობის წესდებულებას ვინც თვალს გადაავლებს, დაინახავს, რომ იგი, ცოტად თუ ბევრად, თვითმმართველობის საფუძველზედ არის ამოყვანილი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: თუ თვითმმართველობა ეგ არის, მაშ, ყოველის მხრით და ყოველგან რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზედ? რატომ მაგ თვითმმართველობამ არ ააყვავა სოფელი, თვით გლეხობა ეგრე ერთხმად რად უჩივისო?

ჩვენ ვეცდებით ამ საბუთიანს სიტყვას შესაფერი პასუხი მივცეთ შემდეგს წერილში.

წერილი მეხუთე

ჩვენ წინა წერილში ვაჩვენეთ, რამოდენადაც ჩვენ თითონ შევძელით და შეგვაძლებინეს, — რომ ჩვენის სოფლის მმართველობა, ცოტად თუ ბევრად, თვითმმართველობის საფუძველზეა ამოყვანილი. ამის გამო, ჩვენი ქება თვითმმართველობისა მეოთხე წერილში ამით დავაბოლოვეთ: „ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: თუ თვითმმართველობა ეგ არის, მაშ ყოველის მხრით რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზედ? რატომ მაგ თვითმმართველობამ არ ააყვავა სოფელი? თითონ გლეხობა აგრე ერთხმად რად უჩივის?“

მაშინ დავპირდით მკითხველს, რომ ამ საბუთიანს სიტყვას შესაფერს პასუხს მივცემდით შემდეგს წერილში. ის შემდეგი წერილი, — ზოგი ჩვენის მიზეზით, ზოგი სხვისით, — აქამომდე დაგვიანდა. ეხლა, როცა ზარბაზნის ჭექა-ქუხილის ხმა მისწყდა, როცა მშვიდობიანობამ სხვადასხვა ფათერაკის მოლოდინი გააქრო, როცა სხვა სიომ დაუბერა ჩვენს გარეშემო, როცა... როცა..., ერთის სიტყვით, — ეხლა შესაძლოდ გაგვიხდა შრომის განგრძობა იმოდენად, რომ ჩვენი ნაღველი, — თუ სხვა გზით არა, — უნაღვლოდ მაინც გამოვფინოთ. ძნელია ნაღვლის უნაღვლოდ თქმა, მაგრამ ზოგან ცარიელი, უფერული თქმაც ნეტარებაა.

ვიდრე ჩვენს საგანს შევუდგებოდეთ, მკითხველს ვსთხოვთ გაიხსენოს, რაც მეოთხე წერილში მოგვიხსენებია. იმ წერილშია აღნიშნული, — შეძლებისამებრ ფრთხილად და ენის კვნეტით, — ის საწყაო, რომლითაც უნდა ავწყათ ჩვენებურის სოფლის თვითმმართველობის ავ-კარგიანობა.

ვისაც ცნობილი ჰქონდა თვითმმართველობის არსებითნი თვისებანი და კუთვნილებანი, დიდი ნიჭი არ დასჭირდებოდა წინასწარმეტყველობისა, რომ გამოეცნო, რა შედეგიც მოელოდა იმ წყობილებას, რომელიც დადგინებულია ჩვენში 1865 წ. 11 აპრილის წესდებითა შესახებ ჩვენებურ სოფლების მმართველობისა.

პირველი და უდიდესი ნაკლი ამ წესდებისა ის არის, რომ თვითმმართველობის არსებითნი საფუძვლნი არ არიან მისგან აღიარებულნი და, რაკი თვითმმართველობას ეგ ნაკლი თან შეჰყვა, იქ თვითმმართველობას ნურავინ დაემდურება, იმიტომ რომ იქ თვითმმართველობა არ გახლავთ და არაფერს შუაშია. ეს ნაკლი თითონ შიდა-იმპერიის წესდებასაც თან შეჰყვა და, რადგანაც ერთსა და იმავე მიზეზს ერთი და იგივე შედეგი თან მოსდევს, ამიტომაც იქაც, როგორც ჩვენში, სოფლის მმართველობაზედ დიდი ჩივილი და დრტვინვა ისმის. თუ რომ კეთილი კიდევ სჭირს, — ძალიან ცოტა-კი, — შიდა-იმპერიის წესდებას, ეგ კეთილი იმაში მდგომარეობს, რომ იქაურს სოფლის ვითარებას, ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს წყობას, ცოტად თუ ბევრად, ყურადღება მიუქცევია კანონთმდებლისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენს წესდებაზედ: იგი მთლად გადმოღებულია რუსეთიდამ. რასაკვირველია, თვითმმართველობას იმისთანა ზოგადი თვისებანიცა აქვს, რომელნიც ყველასათვის ერთნაირად სახეიროა, მაშასადამე ყველგან გამოსადეგია, და იმისთანანიც, — რომელნიც ადგილობრივს მოთხოვნილებას და სხვადასხვაობას უნდა შეეფერებოდეს.

ჩამოაცალეთ სოფლის მმართველობას თვითმმართველობის სიკეთენი, ზედ დაუმატეთ, რომ ის მმართველობა სულ სხვა ნიადაგიდამ არის ამოღებული და გადმორგული, მაშინ ცხადად დაინახავთ, რატომ ჩვენს სოფელს არ მოუხდა ეგრეთწოდებული თვითმმართველობა. ამ სახით, მეორე, უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის ამოცენილი და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ. სხვა მიზეზიც არის, მაგრამ ამაზედ ბოლოს ვიტყვით. ეხლა კი შევუდგებით ამ ორის მიზეზის დაწვრილებითს გამოკვლევას.

ჩვენ წინა წერილში ჩამოვთვალეთ ის ოთხნი უმთავრესნი დედა-აზრნი, ურომელთოდაც თვითმმართველობა თვითმმართველობად არ უნდა იხსენიებოდეს. ერთი იმათგანი ის არის, რომ ხმა და არჩევნის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრული წლოვანია. მაშასადამე, ყოველს მცხოვრებს ყოველს მოვალეობაშიაც

ხვედრი წილი უნდა ჰქონდეს. წესდების 7 მუხ. ძალით კრძა და არჩევანის უფლება ეკუთვნით მარტო იმ სახლში ეფროსთ გლეხთ, რომელნიც კამერალიის აღწერაში ცალკე კომლად არიან ხსენებულნი. ამრიგად, სოფლის მმართველობის წრეში მცხოვრებნი ყველანი კი არ არიან წევრნი ერთისა და იმავე საზოგადოებისა, არამედ — ზოგნი, თუმცა მთელის საზოგადოების ავკარგიანობა, ავად თუ კარგად გამგეობა, მოღვაწეობა, ყოველთათვის ერთნაირად საწყენია და საამური, თავად-აზნაურნი, ვაჭარნი, მოქალაქენი, სამღვდელო პირნი, სოფელში ბინადრად მცხოვრებნი, და თითონ გლეხნიც, კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გასულნი, ამ უფლებას გამოკლებულნი არიან და ამის გამო არც ერთს სასოფლო მოვალეობაშიაც არც ერთს მათგანს წილი არ უდევსთ, რასაკვირველია იმ გლეხთა გარდა, რომელნიც კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გამოსულან. ამათ, თუმცა არავითარი უფლება არა აქვთ სასოფლო საქმეთა გამგეობაში, მაგრამ სასოფლო მოვალეობის ტვირთი კისრად აწევთ ისე, როგორც სხვას. წარმოიდგინეთ, რომ ერთის კამერალიის აღწერის დროდამ მეორემდი ათს წელიწადზედ ნაკლებ დრო არ გადის და მაშინ ცხადი იქნება, რამოდენა ძალი ხალხი უფლებას მოკლებულია ხოლმე, მაშინ როდესაც ყოველი ტვირთი კი სოფლისა ზურგად ჰკიდია.

ჩვენი აზრი ის არის, რომ თვითმმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთგვარად უნდა იყოს მიჩნეული. თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც აბია წარმატების უღელში და ეწევა სხვებთან ერთად. მაშასადამე, გამოკლება ვისიმე თვითმმართველობიდამ — დაუძლურებაა ღონისა, წარმატებისათვის მიმართულისა. წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერობისანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთ სახით სწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთ სახით გაჭირვების უღელს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალეობას. საცა ეს არ არის, მაშინ ერთის ამაღლება, ერთის კეთილდღეობა, — მეორის დამდაბლებაზედ, მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული. უსწორ-

მასწორობა ერთმანეთ-შორის, სხვათა შორის, უჯრა-უჯრად დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოს; რაც არის, ისიც უნდა დაშალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს.

სოფელი, მის ბინადართა კვალობაზედ, ერთი დაურღვეველი აგებულებაა, ნამეტნავად ჩვენში. როგორც გაუქმება ერთის რომელისამე ასოსი ადამიანის აგებულებაში ადამიანს აუძლურებს, ასუსტებს, ისეც სოფელს ასუსტებს და უღონოდ ქმნის, როცა მის კეთილდღეობის მზრუნველობაში ერთნი არიან და მეორენი არა. მაშასადამე, თვითმმართველობა სოფლისა, როგორც ჭეშმარიტი ორღანო სოფლის გამგეობისა და მზრუნველობისა, ღონემოკლებული უნდა იყოს, საცა სოფლის ერთობაზედ არ არის დამყარებული. რუსეთში რომ სოფელი უჯრა-უჯრა დაჰყვეს, ერთს წყობას მიანიჭეს შევება და აჰკიდეს ტვირთი თვითმმართველობისა და მეორე გამოაკლეს ერთსაც და მეორესაც, იქ ამას ხელმოსაჭიდებელი მიზეზი მაინც ჰქონდა*.

სოფელი, სოფლის საზოგადოება რუსეთში სულ სხვა ნიადაგზეა დანდობილი და სხვა ნიადაგზე ამოსული. იქ გლეხობა კომლეულობით, მემკვიდრეობით არა ჰფლობს ერთსა და იმავე მიწას; იქ მიწა სახასოა, ესე იგი საერთოა და არავის არა აქვს ისე დაჩემებული სამუდამოდ, როგორც ჩვენში. ამის გამო იქ სოფელი წარმოადგენს მიწის შესახებ ორნაირს მფლობელობას: ერთის მხრით — სოფლეულად სახასო, საერთო მფლობელობას გლეხთა მიერ, მეორეს მხრით — კერძოობით და განსაკუთრებულს მფლობელობას თავად-აზნაურთა მიერ. სოფლის გამგეობა, რომელიც თვითმმართველობის შინაგანი არსებაა, ამ ორს, ვითომ ურთიერთის წინააღმდეგს მოპირდაპირე მფლობელობას და მათგან მომდინარეს მოთხოვნილებას ვერ მოითავსებდა, — კანონმდებელთა აზრით, — და მათს ინტერესებს ერთს კვალში ვერ ჩააყენებდა. ამის გამო, საჭიროდ დაინახეს განცალკევება, განთვითეულება გლეხისა და თავად-აზნაურობისა სასოფლო მმართველობაში. ეს დარღვევა სოფლისა, სოფლის ერთობისა, მიბაძვის ბრალიც

---

* გთხოვთ, არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ აქ მარტო სასოფლო ქმართველობაზედ ვლაპარაკობთ.

იყო. თვალწინ ჰყვანდათ სამაგალითოდ ინგლისი კი არა, რომელიც პირველსახეა თვითმმართველობისა და რომელსაც უარყოფილი აქვს სოფლის მცხოვრებთა შორის განთვითეულება, როგორც მომაკვდინებელი სენი თვითმმართველობისა, არამედ ერთი სხვა სახელმწიფო, რომელიც ამგვარებში ყველა სხვა სახელმწიფოებს უკან ჩამორჩა და რომელიც ამგვარებში დღესაც იმ აზრებით სულდგმულობს და მოქმედობს, როგორც ნეტარხსენებულ ბატონ-ყმობის დროს.

ეს სახელმწიფო გახლავთ გერმანია და უფრო განათლებული პრუსია. იქ საზოგადოებრივის წყობის პირველ წერტილიდამვე მცხოვრებნი სამს უჯრად დაყოფილნი არიან: Gutsherren — მიწათმფლობელნი, Bürgern — მოქალაქენი, Bauern — გლეხნი, და ეს განთვითეულება პრუსიის მონარქიას ფეხიდამ თავამდე მთელს აგებულებაში გატარებული აქვსო, ამბობს ერთი მწერალი. უკანასკნელი საპროვინციალო წესდება პრუსიისა, მის გამო გაცხარებული ბაასი პარლამენტში, ცხადად ამტკიცებს, — იქაური „გუტსველტმარკ"-ობა, ესე იგი მიწათმფლობელი თავად-აზნაურობა, სადა სცემდა: ყველა ტვირთი გლეხსაო, ყველა შვება ჩვენაო. დაწინაურებული თაობა-კი ეუბნებოდა, შვებაც მიიღე გლეხთან ერთადო და ტვირთიცაო.

თუმცა რუსეთში ასეთი განსხვავებული ეკონომიური მდგომარეობაა სოფლად მცხოვრებთა წოდებათა შორის, მაგრამ იქაც არ მოსწონთ ერთის ჩაბმა სოფლის საქმეთა გამგეობაში და მეორის ამოშვება. იქაც ხმა ისმის, რომ ეგ სხვადასხვაობა მიწისმფლობელობისა ტყუილი შიშიაო და სოფლის ერთობას არას დაუშლის და წინ არ აღუდგებაო. ერთი მწერალი ამის თაობაზედ ამბობს, რომ რუსეთში მეტად აზვიადებენ სასოფლოდ-მფლობელობის მნიშვნელობასაო; სხვადასხვა მოსაზრებისა გამო შესდგა იმისთანა აზრიო, ვითომ საერთოდ-მფლობელობა უარჰყოფდეს დედა-აზრს კერძოობითის საკუთრებისასაო; ვითომ ამ ორგვართა მფლობელობათა შორის მოურიგებელი უთანხმოება იყვესო, მტრობა და ერთმანეთის დევნაო, ეს სულ ტყუილიაო. სოფლად მცხოვრები მამულის მოსაკუთრე ძალიან მშვიდობიანად სცხოვრობსო სახასოდ მფლობელთა გლეხთა გვერდითაო; თუ რამე უფრთხობს მშვიდობიანობასაო, ცუდუბრალო ყვირილი უფრთხობსო, რო-

მელიც გაიძახისო, რომ გლეხნი, სახასოდ მფლობელნი, კერძო საკუთრების მტერნი არიანო. მართალია, გლეხნი-მეზობელნი ნამუსზედ ხელაღებით ჰპარავენ ტყესაო, უხდენენ მოსავალსაო, უძოვებენ ყორუღებსაო, მაგრამ ამას განა იმისაგან სჩადიანო, რომ კერძოობითს საკუთრებას უფრო ნაკლებ პატივსა სცემდნენ, ვიდრე სასოფლოს, სახასოს, არამედ იმისგანაო, რომ არავითარი საკუთრების პატივისცემა არა აქვთო, არც თავისისა და არც სხვისა, და, სლავიანურ ფართო ბუნების მიდრეკილებისა გამო, არც თავისას ზოგვენ, არც სხვისასაო. „ჩვენის აზრითაო, — ამბობს იგივე მწერალი, — გლეხნი სახასო, სოფლეურად მფლობელნი მიწისა, და სხვა სოფლელნი, კერძოდ მფლობელნი, ძალიან ადვილად მოთავსდებიან ერთმანეთთანაო ერთსა და იმავე სოფლის საზოგადოების თვითმმართველობაშიო“.

თუ სოფლის საზოგადოების დაურღვეველობაზედ ამას ამბობენ რუსეთში, საცა, — რაც უნდა იყოს, — სოფელი, — ანუ უკეთ ვსთქვათ, სოფლობა, ორგვარ ეკონომიურს წყობას წარმოადგენს, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელთა შორის ეგ ორგვარობა არ სუფევს!

ჩვენში გლეხთა მიერ მიწისმფლობელობას ისეთივე კერძოობითის საკუთრების მნიშვნელობა აქვს, როგორც თავად-აზნაურისას, მღვდლისას, თუ სხვისას. ჩვენში მფლობელობა კომლეულია, მემკვიდრეობითი და სამუდამო ყველა წოდებათა შორის. მაშასადამე, ამ მხრით განაწილება სოფლად მცხოვრებთა და დარღვევა სოფლის ერთობისა, უსაბუთოა, უმიზეზოა. განსხვავება არის მამულის მეტნაკლებობაში, როგორც თითონ თავად-აზნაურთა შორის, ისეც გლეხთა შორის. მამულის მეტნაკლებობა საკუთრივ და ქონების მეტნაკლებობა საერთოდ სოფლის მმართველობის საგანს არ შეადგენს და არც მისგან წარიმართება. ამიტომაც ეგ მეტნაკლებობა სოფლის მმართველობის მსვლელობაში შუღლის მიზეზად ვერ შეიქნება. სოფლის მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება, სარჩოსაბადებლის, ქონების, საკუთრების საერთოდ გაფრთხილება მტაცებლობისა, ქურდობისა და ავაზაკობისაგან, მინდვრების, ვენახების რიგიანი დაცვა წინახედისაგან, კარგის გზების, ხიდების, რუების ქონვა და გამგეობა, კარგი რიგიანი და იაფი სამართალი იქავ თვალწინ მრავალგვარ წვრილმან

საქმეებისათვის, საერთო მზრუნველობა სკოლისათვის, საპყართა და უძლურთა პატრონობისათვის, საერთო შველა და ხელის გამართვა შიმშილობის დროს და სხვა უბედურობის დღეს, თანასწორი განაწილება სახელმწიფო სამსახურისა, ხარჯისა, ბეგარისა, საერთო საჭიროებისათვის შუამდგომელობა უმაღლეს მთავრობასთან, ერთის სიტყვით — ყოველ შინაურ სოფლის საქმისა კეთილად დაწყობა და სამართლის გამგეობა, — ეს იმისთანა საგნები არიან თვითმმართველობისა, რომელნიც ერთნაირად შეეხებიან სოფელში მცხოვრებთ თავად-აზნაურთა და გლეხთა, ერთნაირად სანატრელია და საზრუნველი ყველასათვის, ვინც-კი სოფლის საზოგადოებაში სცხოვრობს. ყოველს ამაში საშუღლო, სამტრო რა არის? აბა, რა არის აქ იმისთანა, რომ ერთმა წოდებამ სულ თავისკენ მიიზიდოს და მეორე ცარიელზედ დააგდოს? იტყვიან, ხარჯის გაწერაში, ბეგარის განაწილებაში — სოფლობაში* აირევ-დაირევიანო. განა ეგ მიზეზი თითონ გლეხთა შორის დღეს არ მოქმედებს? განა მეტნაკლებობა ხარჯის, ბეგარის გაწერაში დღესაც არ არის მიზეზად ცხარის ბაასისა მდიდართ და ღარიბთ გლეხთა შორის? აბა, ერთი მიჩვენეთ მაგალითი, რომ მაგ მიზეზს განხეთქილება რამ ჩამოეგდოს სადმე ისეთი, რომ მთავრობის მიშველება დასჭირებოდეს?

ამ სახით, არც ჩვენის სოფლის ეკონომიურს მდგომარეობაში და არც თვითმმართველობის საგანთა შორის არ არის მიზეზი კაცმა იფიქროს, რომ თავად-აზნაურობა და გლეხობა ერთმანეთში ვერ მოთავსდებიან განუყოფელად. ახლა ვნახოთ, იქნება ეგ მიზეზი იმაში იყოს, რუსები რომ ეძახიან „сословные предразсудки“.

ჯერ დავიწყოთ იქიდამ, რომ ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა „сословие“ ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა; ეხლა შემოგვყავს ვაინაჩროპით და ისიც ვინ იცის — ვარგა სახმარად, თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგის მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიაც და წერილებშიაც არსად არ შევხვედრივართ. ეს იქნება იმის მიზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველს

* Сход.

ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმოშადგენელობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს — არა, და ერთს ამით ეჩაგრა მეორე. ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა. თუ რაიმე მაგალითებია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენს ხელმწიფეებს კრება მოუხდენიათ და მოუწვევიათ სამღვდელონი და დიდკაცნი რჩევისათვის, ეგ ამ წოდებათა განსაკუთრებითს უფლებას კი არ მოასწავებდა, არამედ უფლებას თვით ხელმწიფისას, რომელიც, თავისის სურვილებისამებრ, თუნდა მოიწვევდა და თუნდა არა. ამის გამო, იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაბყრობად, გასავრცობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არა ჰქონია.

ჩვენ ამით იმის თქმა-კი არ გვინდა, რომ ჩვენ ცხოვრებაში სრულიად არ ყოფილა ელემენტები, რომელთ მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქებამდე მიიყვანდა, თუ დასცალდებოდა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებად დაყოფაც ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობ-წყობად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში, რომელიც, თუ თვის ცხოვრებაში უნუგეშობას რასმეს ჰგრძნობდა, საერთოდ ჰგრძნობდა, რადგანაც ყველანი, როგორც ზევითა ვსთქვი, ერთნაირად იყვნენ უფლებას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყვნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში. თუ ევროპას მივხედავთ, იქ სულ სხვა ამბავი იყო.

შუა საუკუნეებში ერთი განსაკუთრებითი ხელთმოქმედება* იყო ევროპაში. ის ხელთმოქმედება მიწის შემუშავება იყო და მის გამო მიწა შეიქმნა ცილების საგნად, რადგანაც იგი იყო პირველი და მხოლოობითი წყარო ქონებისა. ამიტომაც იქ ერობის ორი უპირველესი წოდება — თავად-აზნაურობა და სამღვდელოება — იმის ბრძოლაში დასრულდა, რომ მიწა მარტოდ ხელში ჩაეგდო და, როცა ჩაიგდო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფლებაც განმარტოებით დაიპ-

---

* Промышленность, производство.

ყრა. პირველი გამოისახა ფეოდალობაში და მეორე მასში, რომ პარტო მიწათმფლობელობა შეიქმნა წარმომადგენელად სახელმწიფო საქმეთა გამგეობასა და წარმართვაში. მერე, როცა ერი წარმატებაში შევიდა, როცა ვაჭრობა გახშირდა, გახშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთმოქმედება, მაშინ ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო. მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის პატრონნი შეეცილნენ საზოგადოებრივს და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწისმფლობელთა თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას. ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდ რევოლუციით. ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება „ბურჟუაზია“, რომელმაც მიწათმფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა.

ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ შეჰქმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი — შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშაკაცია. დღეს ეს მუშაკი იბრძვის ევროპაში, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში არავის არა ჰქონდეს განსაკუთრებული და ამისათვის ყოველგვარის წყობის ქვაკუთხედად სდებს შრომასა, რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რადგან ყველა უნდა მშრომელი იყოს. ამ სახით, დღეს ევროპაში წარმომდგარია მეოთხე წოდებაცა, სახელდობრ მუშაკთა, რომელიც სიმრავლით ყოველს წოდებაზედ უდიდესია. დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედააზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა. ჩვენ ეს მცირედი შენიშვნა იმის საჩვენებლად მოვიყვანეთ, რომ ევროპაში მიზეზია — და დიდ საბუთიანიც, — წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხეთქებისა, ერთმანეთის ცილობისა.

ჩვენში რა არის, აბა, მაგის მსგავსი? ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენიებოდა და გლეხი კი არა. „მამულიშვილს (гражданин), — ამბობს

ერთი მწერალი, — საქმე არა აქვს მასთან, რომ თავად აზნაურობა ჰზის თავის ოთახში და შეჰხარის თავის მამა-პაპებს და თავის მამულ-დედულსაო. ხოლო როცა თავადი ან აზნაური მოიწადინებსო, რომ ჩემს მამულ-დედულს და ჩემს მამა-პაპას უპირატესი, განსაკუთრებითი მნიშვნელობა მიეციო საზოგადოებაში, მაშინ მამულისშვილი უნდა გულზედ მოვიდეს და უთხრას იმ თავად-აზნაურსა: "ენ ფეოდალი ხარო".

ეკონომიური ძალი კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწისმფლობელობიდამ წარმოდგება, და ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. თითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში.

რაკი ესენი იყო, რაკი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ხელმწიფესა ჰქონდა და არავის სხვას, — ერთსა რა უნდა შეჰშურებოდა მეორეში, ერთი იმისთანას რას დაეხარბებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს განზედ გასდგომოდა და ჩაენერგა ის განთვითეულების, განცალკევების გრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლანდელის ევროპის მწვავს ტკივილს შეადგენს. აქ, რასაკვირველია, ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც, მაგრამ ჩვენ იმაზედა ვართ დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება, ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება — რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით, ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთს წყობად, ერთს დასად. განა ჩვენში თავადი, აზნაური, ისე მიუკარებელია გლეხისათვის, როგორც სხვაგან? ბევრი მაგალითებია გლეხთა და თავადაზნაურთა შორის ნა-

თელ-მირონობისა და დამოყვრებისაცა; ათასი მაგალითია ერთმანეთთან ნადიმობისა, შეკცევისა, ლხინისა, ტირილისა და ყოველგვარ ერთობისა; ბევრი მაგალითია, რომ სოფლის მმართველობის წესდების წინათაც და მას მერმეთაც თავადი, აზნაური, სიამოვნებით დაჰმორჩილებოდეს გლეხთა სასოფლო გამგეობას და სოფელს კიდევ თავის ნებით, შინაურულად ჩაებარებინოს სასოფლო საქმეების გამგეობა თავადისთვის, აზნაურისათვის. თითონ ამის დამწერი მოწამეა, რომ სოფლის შეყრის დღეს თითონ გლეხთა უთხოვნიათ თავად-აზნაურებისათვის, მღვდლებისათვის, თქვენც მონაწილეობა მიიღეთო ჩვენს სასოფლო საქმეებში, თქვენც დაესწარით ჩვენს სოფლობაშიო* და კისრად იდეთ, რასაც განვაჩინებთო, და ამაზედ თავად-აზნაურობას უარი არ ეთქვას. თითონ ამის დამწერი მოწამეა იმისიც, რომ ორმა საზოგადოებამ სახელმწიფო გლეხთაგან მოინდომა აზნაური შვილი მამასახლისად ამოერჩივა, მაგრამ კანონმა ნება არ მისცა. ბევრი მაგალითია, რომ გლეხნი თავს ანებებენ თავის სასამართლოს და განსამართლებლად ან თავადთან, ან აზნაურთან და ან მღვდელთან გარბიან. ეს მაგალითები გვაუწყებენ, რომ ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს; რომ ერთმანეთს არამც თუ ეუცხოებიან, არამედ ერთმანეთისკენ მიიზიდებიან. ერთი სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართებს და არა ხელის შემართვა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენში გლეხი, თავადი, აზნაური, თუ მღვდელი ყველგან ეგრე ძმურად სცხოვრობენ. არა, — ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება, ხოლო დადი შეცდომა იქნება, ამისი მიზეზი თითონ წოდებათა წყობას, მის შინაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედამ წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამისი მიზეზი იგივეა, რაც თვითოეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა.

„ისტორიაო, — ამბობს ერთი მწერალი, — ბრძოლაა ბუნე-

---

* Сход.

ბასთან, სიღარიბესთან, გოსნების სიბნელესთან, ღონემიხდილობასთან, მაშასადამე ყოველგვარ შევიწროებასთან, რომელსაც ადამიანი პირისპირ შეემთხვევა ხოლმე, როცა ისტორიის ასპარეზზედ გამოდისო. ერთს ბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწიეთო, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთო". თუ ესეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოიფხვრას, ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას? ამიტომაც დიდად სცოდვენ ქვეყანასა და ხალხსაც. ნამეტნავად ჩვენში, — ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა, განხეთქილება უნდა იყვესო წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო. განა ევროპა ცოტა დროსა და ღონესა ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის, რომ ეგ განხეთქილება მოსპოს?

მაშ, საცა ეგ არ არის, რად გვინდა რომ იყოს? ეგ იმას ეგვანება, რომ კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს სთქვას: სახლს დაგვა უნდაო. რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან რა სასარგებლოა? მაგრამ რა? ტვინთხელობა, რომელიც, საკუთარ ტვინს მოკლებული, სხვისით სცხოვრობს და მარტო ბაძით სულდგმულობს, ამ შემთხვევაში, წინათვე ვიცით, კედელი იქნება და, რამდენიც გინდათ ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს.

ევრეთი ყოველ მხრით უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ — საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხსა მით, რომ მარტო გლეხიღა იხდის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას, იცავს ყველას საკუთრებას მტაცებლობისა თუ წინახედისაგან და ამ სიკეთეში ძალაუნებურად წილხდომილნი არიან ყველანი, ვინც კი სოფლის წრეში სცხოვრობს, ხოლო ხარჯში, უღლის წევაში კი — არა. ამის გამო გლეხი უყურებს თვის მმართველობას ისე კი არა, როგორც უფლებას, არამედ როგორც ტვირთს, გადასახადს რასმეს, და ყოველის ღონისძიებითა ცდილობს, შორს იყოს სოფლობაზედაც და მმართველო-

ბაზედაც, რომელიც სიკეთეს ყველას უნაწილებს და ტვირთსაკი ერთსა ჰკიდებს ზურგზედ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამგვარი უფლება დღესვე ჩამოართვან გლეხს, გლეხი წარბსაც არ შეიხრის; და თითონ თავად-აზნაურობაცა და სხვა წოდების კაცნიც უნდა ჰგრძნობდნენ, ჩვენის ფიქრით, დიდს დანაკლისს, რომ სოფლის გამგეობა, როგორც სოფელში მცხოვრებთ, იმათაც, ნებით თუ უნებლიეთ, შეეხება და ამ გამგეობაში არც ხმა აქვთ და არც არჩევანის უფლება.

რაკი წესდებამ გამოაკლო სოფლის თვითმმართველობიდამ ზოგიერთი წოდებანი, სოფლადვე მცხოვრებნი, რაკი არ მიანიჭა მათ არარაიმე ხმა და უფლება სოფლის გამგეობასა და წარმომადგენლობაში, — ამას, რასაკვირველია, ისიც ზედ უნდა დაჰყოლოდა, რომ ისინი სოფლის მმართველობის ქვემდებარეობიდანაც განეთავისუფლებინა. ასეც მოახდინა. 23, 36, 39 მუხლთა ძალითა ყველანი, ვინც-კი გლეხკაცობას არ ეკუთვნის — თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, დიაკვნები, მოქალაქენი, სოფლად მოვაჭრენი, მებატონეების შინამოსამსახურენიც კი, — თავისუფალნი არიან სოფლის სამმართველოს გამგეობისაგან; ვერც სოფლის უფროსი მოხელე-მამასახლისი, ვერც სოფლის სასამართლო მათ ვერ შეეხებიან. ამით წესდებამ ხელ-ფეხი შეუკრა სოფლის მმართველობასა; ამით უარჰყო მეორე ძირეული კანონი თვითმმართველობისა, სახელდობრ იგი, რომ ადგილის სამმართველოის ხელქვევით უნდა იყვნენ ყველანი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობენ: ამით უარ-ჰყო პირადი თანასწორობა კანონის წინაშე. თანასწორობა, რომელიც სულია და გული ყოველის წყობისა და ნამეტნავად თვითმმართველობისა. უამისოდ თვითმმართველობა უქმი სიტყვაა, უნაყოფო ხეა; უამისოდ სოფლის სამმართველო თავის-დღეში ვერ მოიპოვებს მცხოვრებთა თვალში იმ პატივს, რომელიც სანატრელია და ურომლისოდაც მისი წარმატება და სიკეთე შეუძლებელია.

24 მუხლი წესდებისა — მამასახლისს, ესე იგი უფროსს სოფლის მოხელეს, ვალად სდებს წესიერება და მშვიდობიანობა არავის არ დაარღვევინოს, ადამიანი და იმისი ქონება ავკაცობისაგან დაცულ ჰყოს. თუ ამგვარებში დამნაშავეა გლეხკაცი, მამასახლისს გზა აქვს გახსნილი მშვიდობიანობის და წესის

აღდგენისათვის. მაგრამ დანაშაულობა განა გლეხკაცის აუცილებელი თვისებაა? სხვა, არა-გლეხი, სოფლის წრეში მცხოვრები, არ არის მითამ საშიშარი წესისა და რიგისათვის, ადამიანის მშვიდობიანობისათვის, მის ქონების ხელუხლებლობისათვის?! რა უნდა ჰქმნას მაშინ მამასახლისმა, როცა ამგვარებში დამნაშავედ გამოდის არა-გლეხი? წესდების 23 მუხლის ძალით, გულზედ ხელი უნდა დაიკრიფოს და სეირს უყუროს. ამისთანა უღონო მოხელეობას რა პატივი უნდა ჰქონდეს ხალხის თვალში და რა ზედმოქმედება გლეხკაცზედ, თუ სხვაზედ?

სოფლის სასამართლოც ამ დღეშია. მას, წესდების ძალით, ხელი მიუწვდება მარტო გლეხკაცზედ. თუ გლეხკაცმა დააშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას, სოფელში მცხოვრებს: თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს, ნება აქვთ იქავ თვალწინ, უხარჯოდ, შოუცდენელად, სოფლის სასამართლოს შემწეობით, გადაახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური; და თუ არა-გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათს ვერსტზედ გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიჰმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაჰკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს, მერე კიდევ დაიბაროს, კიდევ მოსცდეს რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში, ჭამა-სმაში ტყუილუბრალო ხარჯი გასწიოს. ეს ყველა იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაჩაგვრა არა-გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ისე მიუწვდომელია — როცა დიდი სჩაგრავს, გული აიყაროს თავის სამმართველოზედაც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე. რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელსაც ხელი მიუძღვის მარტო გლეხკაცზედ, ამ დაბალ ღობეზედ, და არა-გლეხის წინაშე კი გულზედ ხელს იკრეფს?! რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ — ცეცხლად?! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას შველის, და რომელიც დიდისათვის კი

თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან გაუჭირდება რამ! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არა-გლეხი, და როცა კი არა-გლეხს უპატიურება მიადგება გლეხისაგან — მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს? ან თითონ სამმართველომ როგორ აღასრულოს 24 მუხლის მოთხოვნილება, როცა სოფელში იმისთანანიც არიან, რომელნიც სოფლის მმართველობას არ ეხელქვეითებიან?

წინათაც მოგვიხსენებია და ეხლაც ვიმეორებთ, რომ შეუშლელს თვითმმართველობას საზოგადოდ და სოფლისას კერძოდ ორი მხარე აქვს: ერთი — მთავრობითი, მეორე საზოგადოებითი. პირველით სოფლის თვითმმართველობა მთავრობის პირველ-წყობის ორღანოა, მეორით — საზოგადოებისა, სოფლისა; პირველით ემსახურება სახელმწიფოს, მეორით — საზოგადოებას; პირველით წარმომადგენელია სოფელში მთავრობისა, მეორით — მთავრობაში სოფლისა. წინათ გასინჯული გვაქვს, სოფლის თვითმმართველობა რამოდენად წარმომადგენელია ჩვენში სოფლისა, საზოგადოებისა. ჩვენ იქ ის აზრი გამოვთქვით, რომ ჩვენის სოფლის თვითმმართველობითი წყობა წარმომადგენელია მარტო ერთის წოდებისა და არა მთელის სოფლის საზოგადოებისა. მთავრობითი მხარეც რომ გავუსინჯოთ ჩვენს სოფლის მმართველობას, აქაც ბევრს საინუგეშოს ვერას ვიპოვით.

მთავრობითი მხარე თვითმმართველობისა იმით არის ძვირფასი საზოგადოდ ყველასათვის და გლეხისთვის საკუთრივ, რომ ამ მხრით სოფლის თვითმმართველობა მახლობელი მფარველია მისი, მისი ადამიანობისა, მისი ღირსებისა, მისი პატივისა და ქონებისა. რაკი ზემოხსენებულთა მუხლთა (23, 36 და 39) ასე შემოჭრეს ფრთები ამ მფარველობას, სახარბიელო რაღა დარჩა გლეხს თვითმმართველობაში? რაც მისთვის სანუკვარი იყო, ის ჩამოცლილი აქვს მთავრობითსა მხარეს თვითმმართველობისას; სხვა ამ მხრის რაღა დარჩა თვითმმართველობაში გლეხკაცს სანატრელი და ხელმოსაჭიდი? არაფერი. თვითმმართველობა შეიქმნა მხოლოდ ორღანოდ, რომელმაც ასრულებაში უნდა მოიყვანოს ყოველი ბრძანება უმაღლესის მთავრობისა, აბეგროს ხალხი, ხარჯი ახდევინოს და სხვა ამგვარი, ესე იგი, რაც გლეხკაცს სამძიმოდ მიაჩნია, იმაში ძალა უნდა

დაატანოს. და მართლაც ამის მეტს არც არას აკეთებს სოფლის სამმართველო, და არც არავინ ნაღვლობს, რომ მეტი რამ გააკეთებინონ. ამის გამო, ამ მხრით სოფლის სამმართველო გლეხკაცს მარტო მაზრის უფროსის ჯოხად მიაჩნია, რომელიც დღე მუდამ მის სახლის დირეზედ მიყუდებულია, და არა მთავრობითის ძალის წარმომადგენელად, რომელმაც მთავრობის ნებაც უნდა აასრულოს და ჩაგრულთაც მფარველობა გაუწიოს ყველგან და ყოველის წინაშე. ამ სახით, ჩვენს სოფლის თვითმმართველობას უკეთესი მხარე ჩამოეცალა და მარტო იმ კვალში ჩადგა და ვაისისწვრივა, რომლითაც იგი უფრო ნაკლებ სანდომია გლეხკაცისათვის. რაც უნდა იყოს, კაცს ყოველთვის ენდომება, რომ თავში საცემი ჯოხი ჰატარა შორს იყოს და არა ცხვირწინ, რაკი უამისობა შეუძლებელია.

ამიტომაც გლეხკაცი ვერაფრად აფასებს თავის სამმართველოს, რომელიც მისთვის ყველგან არ არის გამოსადეგი არც ფარად, არც ხმლად; ამიტომაც თავის სამმართველოს მოხელე კაცი, და თითონ კანონიც, მისთვის ჰგონია მოგონილი, რომ მარტო მე მადინოს ცხვირში ძმარიო, როცა დავაშავებო, ან როცა სახელმწიფო სამსახურზედ უკან დავიწევო, რადგანაც არც მოხელე და არც კანონი მოსარჩლედ და მფარველად არ გამოსჩენია; ამიტომაც იმედი აქვს აყრილი კანონზედაც, მის ძლიერებაზედაც, მის მიუდგომელობაზედაც; ამიტომაც იგი ისე გულგრილად ეკიდება მოხელეთა არჩევანის საქმეს: მისთვის სულ ერთია, პეპია იქნება თუ დათუნა. მე ხომ ჩემი ხარჯი და ბეგარა არ ამცდებაო და გაჭირვებაში კიდევ არც ერთს შეუძლიან შველა, და არც მეორესაო, ამბობს გლეხი.

ამ სახით, ჩვენს თვითმმართველობას სოფლისას ჩამოთლილი აქვს ის მხარეც, რომლითაც იგი წარმომადგენელი უნდა იყოს საზოგადოებისა, ესე იგი მთელის სოფლისა, და ის მხარეც მთავრობითის წარმომადგენელობისა, რომლითაც იგი უფრო სანატრელია გლეხკაცობისათვის. ჩვენმა წესდებამ თუმცა კარგა ფართო მოედანი შემოუხაზა სოფლის თვითმმართველობას სავარჯიშოდ და სამოქმედოდ, მაგრამ თითონ ფალავანს-კი ხელფეხი შეუკრა; ამიტომაც ჩვენის სოფლის თვითმმართველობა ასე უნაყოფოა, ასე უმოქმედოა იმ საქმეთისათვის, რომელსაც ყოველი კაცი სამართლიანად გამოელოდა თვითმმართველობისაგან.

სიკეთისათვის ხომ ასე ფრთამოკვეცილია ჩვენის სოფლის თვითმმართველობა, ბოროტისათვის-კი ფართო გზა აქვს. თუ, ვინიცობაა, სოფლის მოხელეთა, მაგალითებრ — მამასახლისმა, ნაცვალმა და მოსამართლეებმა ვნება რამ მიაყენეს სოფლის მცხოვრებსა, აშკარად უკანონობა გაუწიეს სოფელს საზოგადოდ, ანუ თვითოეულს მცხოვრებს ცალკედ, ვნებულს ნება არა აქვს, ჩვენის წესდებით, საზოგადო სამართლის წინაშე იძიოს თვისი დანაკლისი, ნება არა აქვს საზოგადო სამართლით სდევნოს დამნაშავეს და ბოროტმოქმედს მოხელესა. 72 და 73 მუხლნი წესდებისა ამბობენ, რომ ყოველი საჩივარი ამგვარებში უნდა მიიმართოს მაზრის უფროსისადმი და, თუ იგი დაინახავს, რომ მოხელე კაცი ღირსია სამართალში მიცემისა, მხოლოდ მაშინ უნდა მიეცეს მოხელე სამართალს; სოფლის მოსამართლეებს-კი სამართალში აძლევს მარტო გუბერნატორი, ისიც მაზრის უფროსის წარდგენითა. ჩვენს წესდებას დაწყებული აქვს, რომ მაზრის უფროსიც და სოფლის მოხელეც ორივ ერთგვარი საფეხურები არიან ერთისა და იმავე კიბისა; ორივესათვის ერთნაირად სასურველია, რომ უფლების წინაშე ყოველივე მტყუანი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ის კი ცოტაა, რომ ხშირად სოფლის მოხელე და მაზრის უფროსი ერთმანეთს ხელსა ჰბანენ, ერთმანეთს გადებმიან ხოლმე უსურვაზივითა?! ამიტომაც სოფელი არ არის, რომ არ უჩიოდეს მოხელეთა ავკაცობას, მაგრამ, აბა, ბევრი მაგალითია, რომ მოხელე სამართალში იყოს მიცემული? ამიტომაც პასუხმგებლობა სოფლის მოხელეთა თითქმის სრულიად გაუქმებულია. ამ სახით, დარღვეულია მესამე ძირეული კანონიც თვითმმართველობისა, სახელდობრ ისა, რომ ყოველივე თანამდებობის მეჭონი კაცი პასუხმგებელი უნდა იყოს საზოგადო სამართლისა და სამსჯავროს წინაშე, და არა წინაშე თვისთა უფროსთა. ყველას უნდა ჰქონდეს ნება, მოხელეთა უფროსის დაუკითხავად, სდევნოს ბოროტმოქმედს მოხელეს საზოგადო სამართლით და იძიოს მისგან ყოველივე უკანონოდ დანაკლისი.

ამ სახით, ჩვენის სოფლის თვითმმართველობას ოთხიდამ სამი უმთავრესი საფუძველი თვითმმართველობისა აკლია: 1. ხმა და არჩევნის უფლება უნდა მინიჭებული ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებს, — და არა აქვს; 2. ადგი-

ლობრივ სამმართველოს ყოველსფერში ყველანი უნდა ექვემდებარებოდნენ, ვინც კი მის წრეშია, და არ ექვემდებარებიან; 3. ყოველივე მოხელე პასუხმგებელი უნდა იყოს ყოველის წინაშე, ვისაც რასმე დაუშავებს, და უნდა იდევნებოდეს საზოგადო სამართლით, და არ იდევნება. მეოთხე საფუძველიც, თუ დარღვეული არ არის მთლად, შერყეული კი ძალიან არის, სახელდობრ მით — რომ ადგილობრივ მოხელეთა და მოსამართლეთა ყველა, სოფელში მცხოვრები ბინადარი, არ ირჩევს და ირჩევს მხოლოდ გლეხი, ცალკე კომლად კამერალიის აღწერაში ხსენებული.

ყოველ ამის გამო ჩვენის სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ პირველ ხანებში — და ბევრგან ეხლაც — ჩვენის სოფლის მმართველობას იმისთანა მაზრის მოხელენი შეხვდნენ, რომელთაც, გაუნათლებლობისა და სიბრიყვის გამო, არ ესმოდათ სიკეთე თვითმმართველობისა, და ვისაც ესმოდა, თვალში ეჩოთირებოდა, როგორც მის უფლების მოცილე რამ. და რადგანაც მახლობელნი მწრთვნელნი სოფლის ახალის მოხელეობისა ისინი იყვნენ, რასაკვირველია, სოფლის სამმართველოს იმ მხარეს უფრო გაუბრტყელებდნენ, რომლითაც იგი მათთვის უფრო გამოსადეგი, უფრო სახეირო იქნებოდა და უფრო სანუკბარი მათის პატივმოყვარეობისათვის და თავმოწონებისათვის. ეგრეცა ჰქმნეს. მათ სოფლის სამმართველოს ჩამოაცილეს ის მცირედი სიკეთეც საზოგადოებრივი, რომელიც ნაპერწკალსავით ბჟუტავს წესდების ზოგიერთს მუხლში, და შეჰქმნეს იგი მარტო დაბალ საპოლიციო ორღანოდ. ამ სახისაა ეხლა ჩვენის სოფლის სამმართველო. დღესაც იქამდინ გაუპატიურებულია სოფლის სამმართველო, რომ გლეხკაცი, მინამ სოფლის სასამართლოში შევა, ჯერ საჭიროდ ხედავს მაზრის უფროსთან გამოიქცეს და ბრძანება სთხოვოს, სოფლის სასამართლომ საქმე გამირჩიოსო. მაზრის უფროსებიც აძლევენ ამისთანა ბრძანებას, თითქო, თუ არ მისის ბრძანებით, სასამართლოს ნება არა აქვს საქმის განხილვაში შევიდეს. ამისი მაგალითი ერთი და ორი კი არ არის, ეს თითქმის ყველგან ჩვეულებად მიაღებინეს გლეხკაცს.

აი სადამდი გაიწვდინა ფეხი და ხელი მაზრის მმართველო-

ბამ, რომ თითონ თავი აიმაღლოს, ხალხის თვალში ძირს დასცეს სოფლის მმართველობა და თავის ყურმოჭრილ ყმად გაიხადოს. ჩვენ იმას ალარ ვამბობთ, რა უპატიურად ექცევიან თითონ სოფლის მოხელეებსა. მამასახლისი, სოფლის მოსამართლე, რომელთაც თითონ ბის̈მარკიც კი საჭიროდ დაინახავდა ხელი გაეწოდა, როცა შეხვდებოდა, ბევრჯერ მინახავს, რომ მაზრის უფროსის ჩაფარს მათრახით წინ გაეგდოს. თითონ მაზრის უფროსი როგორ ექცევა ან ერთს, ან მეორეს, — მაგას ნუღარ გვკითხავთ. ერთის სიტყვით, სოფლის მმართველნი, სოფლის ამორჩეულნი კაცნი, სოფლის წარმომადგენელნი, — დღეს მაზრის უფროსის და პრისტავების ბიჭებად არიან და არა მოხელედ.

აი ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ გლეხკაცობა არა ჰგრძნობს და არც გამოელის თავის სამმართველოსაგან არარაიმე სიკეთეს და ყველა იგი არც თავისად მიაჩნია; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის სამმართველო ყოველმხრივ ღონემიხდილია სიკეთისათვის; აი აქ არის სათავე იმ სამდურავისა, რომელიც ყოველ მხრიდამ ესმის სოფლის სამმართველოზედ და მის მოხელეებზედ; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის მმართველობას კაი კაცი ერიდება და მოხელეობას არა კისრულობს; აი ეს არის მიზეზი, რომ გლეხკაცი თავს არ იცხელებს, კაი კაცი ამოვირჩიოთ, და თითონ არჩევანიც თამაშისთვის მოგონილი ჰგონია.

ჩვენ აქამდის განვიხილეთ საფუძველნი თვითმმართველობისანი და, შეძლებისამებრ, ვაჩვენეთ, რომ იგინი უარყოფილნი არიან ჩვენის წესდების მიერ; ეხლა იმის გარჩევას შევუდგებით, — მაგ სახის წესდება ცნობიერად მაინც შეუფერეს თუ არა ჩვენს ცხოვრებასა და თითონ საქმის მოთხოვნილებასა.

ჯერ პირველად ვიტყვით მასზედ, თუ რა არის მიღებული საფუძვლად სოფლის საზოგადოების შედგენისათვის, სახელდობრ — რის ძალით უნდა შემოევლოს წრე იმ ადგილს, რომელიც ერთს სოფლის საზოგადოებას შეადგენს. 2 მუხლი წესდებისა ამბობს, რომ სოფლის საზოგადოება უნდა შესდგეს ყოველ გლეხთაგან, რომელნიც ერთს სოფელში სცხოვ-

რობენ. აქ საფუძველი ცხადია და საბუთიანიც. ხოლო საქმე იმაშია, წვრილმა სოფლებმა რა ჰქმნან? 3 მუხლი წესდებისა ამბობს მხოლოდ, რომ წვრილი სოფლები ან მიეწერებიანო მახლობელს საზოგადოებას, ან ცალკე საზოგადოებას შეადგენონო. ვინ უნდა ჰქმნას ეგა? თითონ ხალხმა? არა. ამ ორივე შემთხვევაში განკარგულება მიენდობაო გუბერნატორსაო, რომლის წარდგენაც ამ საგანზედ დამტკიცებულ უნდა იქმნას მთავარმმართებლის მიერ. ხოლო რაზედ უნდა დამყარდეს გუბერნატორი, წესდება სრულიად არას ამბობს, თითქო ეს ისეთი უმნიშვნელო საგანი იყოს, რომელიც შეიძლება თითონ მცხოვრებთ არ ეკითხოს და უცხო კაცის ნებაყოფლობაზედ მიეგდოს, მაშინ როდესაც ამაზეა დამყარებული შინაგანი ძალი და სიმტკიცე საზოგადოებისა.

ჩვენში ხშირია წვრილ-წვრილი სოფლები. ზოგჯერ ამ წვრილ სოფლებს ისეთი მტრობა და დავა აქვთ მამულებზედ, ან ერთმანეთს შორის, ან დიდ სოფლებთან, რომ მათი შეერთება ცეცხლისა და წყალის შეერთება იქნება ერთმანეთის დასაშრეტად. ასეც მოხდა ბევრგან, იმიტომ რომ მარტო სიახლოვის ძალით მოახდინეს სოფლების შეერთება და ყური არ ათხოვეს სხვა ადგილობრივს ვითარებას, რომლის მცოდნენი — როგორც მოგეხსენებათ — ჩვენში ძალიან იშვიათნი არიან მთავრობის მოხელეთა შორის. დღესაც ბევრი ასე დარღვეული სოფლის საზოგადოებაა ჩვენში და აქამომდე არავინ არ გამოჩენილა, რომ ამას ყური ათხოვოს და წამალი დასდოს. თუნდ ესეც არ იყოს, რამდენი პატარა სოფელია დიდ სოფელზედ მიწერილი და მისგან ჩაგრული, რადგანაც პატარა სოფლის ხმა სოფლობაში ხმაა მღაღადებელი უდაბნოში და სხვა არაფერი. რას გააწყობს ბევრთან ცოტა? ესეც კია წვრილ სოფლებისათვის გასაჭირი, რომ ძალიანაც უნდოდეთ ცალკე ყოფნა, ვერ შეეძლებათ, რადგანაც წესდება ვალად სდებს იყოლიონ მოხელენი არა ნაკლებ ოთხის კაცისა. ამოდენა მოხელეებს სად გაუძღვება პატარა სოფელი?

სოფლის სამმართველოს შეადგენს: სოფლობა*, მამასახლისი და სასამართლო. ჩვენი წესდება, ვერც თითონ საქმის მიხედვით, ვერც ჩვენის ცხოვრების შესაფერად, ვერ უხა-

---

* Сход.

ზავს თვითეულს მათგანს მათდა შესაბამს მოვალეობასა. სოფლობის მოვალეობა სრულიად გადმოღებულია რუსეთიდამ და, რაც ჩვენში სასამართლოს უნდა ეკუთვნოდეს, ის ზურგზედ აჰკიდეს სოფლობასა. მაგალითებრ, 11 მუხლმა ვალად დასდო სოფლობას, რომ გაყრა გლეხთა შორის მან მოახდინოს. ამას თავისი საბუთი აქვს რუსეთში, თუმცა არც ძალიან ბევრი, — რადგანაც იქ სოფლის მმართველობის დედაბოძად ყოველსფერში მიღებულია სახასოდ-მფლობელობა მიწისა და, მაშასადამე, ყოველი ცვლილება მიწისმფლობელობის შესახებ, ყოველი ცვლილება პირადი თუ ოჯახობრივი, ცოტად თუ ბევრად, იქ მთელს საზოგადოებას შეეხება. ჩვენში ეგ არ არის. ჩვენში კომლეული კერძოობითი მფლობელობაა. აქ გაყრა კერძოობითს ინტერესს შეადგენს; ამიტომაც იგი მიუცილებელი მოვალეობაა სოფლის სასამართლოსი და არა მრავალხმოვანის სოფლობისა, რომელსაც გლეხთა გაყრაში არც მწვადი ეწვის და არც შამფური. ვისაც ცნობილი აქვს ჩვენის გლეხკაცის ოჯახობრივი ვითარება, ვინც როდესმე დასწრებია სოფლობას საზოგადოდ და ჩვენსას საკუთრივ, ის ადვილად მიხვდება, რომ სოფლობას არასგზით არ ძალუძს გაჰყაროს თუნდ ერთი ოჯახი, მთელს ერთ წელიწადსაც რომ თავი იცხელოს. აკი არცა გვგონია, რომ სადმე ამისი მაგალითი მომხდარიყოს. მაგგვარი გაყრა ვერც კი წარმოუდგენია ჩვენს გლეხკაცობას და თავში ვერ მოუთავსებია, რადგანაც მართლა-და მოუთავსებელია. ამის გამო ერთი დიდი ინტერესი ოჯახობრივი დაუკმაყოფილებელი რჩება ჩვენს გლეხკაცობასა და, თუ თითონ გასაყრელნი ერთმანეთში ნებაყოფლობით არ მორიგდნენ, კანონიერი გაყრის გზა სრულად მოსპობილი აქვთ. რამდენი შუღლი, შფოთი და უბედურება მოსდევს ხოლმე ამას, — ეგ ჩვენმა სისხლის სამართალმა კარგად უნდა იცოდეს, იმიტომ რომ შაგალითები თვალწინ ბევრი აქვს.

რაც შეეხება მამასახლისის და სოფლის სასამართლოს მოვალეობასა, აქაც ერთი რამ დიდად შესანიშნავია და საკვირველი. სოფლის სასამართლოს და მამასახლისს მიზომილი აქვთ უფლება — ბრალეულ გლეხებს სასჯელი დასდონ; ხოლო წესდებას დავიწყებია განესაზღვრა, რა დანაშაულობა ეხელქვეითება მამასახლისს და რა — სასამართლოს, ორივესათვის ერთს

სიტყვას ხმარობს — „წვრილმანი დანაშაულობაო“*. 27 მუხლი ამბობს, რომ მამასახლისს ექვემდებარება იმისთანა წვრილმანი დანაშაული, რომელსაც სასჯელად მოსდევს ორის დღით სასოფლო სამუშაოდ დანიშვნაო, ანუ ერთი მანეთი ჯარიმაო, ან ორის დღით დამწყვდევაო; სხვა, უდიდეს სასჯელთა დანიშვნა-კი სოფლის სასამართლოს საქმეაო. ამის მეტი სხვა არარაიმე საზღვარი არ დაუდვია წესდებას სასამართლოსა და მამასახლისს შორის. არსად ჩამოთვლილი არ არის, რომელს დანაშაულობას მოსდევს ორის დღის მუშაობა, ერთი მანეთი ჯარიმა და ორის დღით დამწყვდევა და რომელს — ამაზედ უმძიმესი. ასე რომ, მამასახლისმა თუ მოინდომა, არც ერთს სადანაშაულო საქმეს არ მიაღწევინებს სოფლის სასამართლომდე, ყოველს საქმეს თავის ქვემდებარედ გახდის; იტყვის, ამაზედ მეტი სასჯელი არ მოსდევს ამ დანაშაულობასაო, რადგანაც სხვა ზომა დანაშაულობისა, თითონ დანაშაულობის თვისებაზედ დამყარებული, წესდებას დავიწყებია მოეხსენებინა. ცხადია აქედამ, რამოდენა ბოროტმოქმედება შეუძლიან მოახდინოს მამასახლისის ნებაყოფლობამა, თუ პატარა მოხერხებულიც არის. საჭიროა სახელდობრ ჩამოითვალოს თვითოეული დანაშაულობა, მამასახლისის საკუთვნი ცალკე და სასამართლოსი ცალკე; და უფრო უკეთესი იქნება, რომ მამასახლისს ჩამოაცალონ უფლება სასჯელისა, რადგანაც ეს სასამართლოს საქმეა და არა ხელთუფლობისა.

სამოქალაქო საქმის გარჩევაში მამასახლისს არაფერი უფლება არა აქვს, და საბუთიანადაც. ხოლო აქაც, ჩვენის ფიქრით, წესდებას დავიწყებული აქვს. ჩვენის გლეხკაცის ვითარება. სოფლის სასამართლოს მინდობილი აქვს განარჩიოს ყოველივე საქმე ქვემდებარე გლეხთა შორის, როცა სადავო საგანი ათის თუმნის ღირებულებას არ აღემატება. ამ საზღვრამდე იგი ყოველს საქმეს საბოლოოდ სწყვეტს, ასე რომ უკმაყოფილო გლეხს ნება არა აქვს სადმე საჩივარი შეიტანოს სოფლის სასამართლოს გადაწყვეტილებაზედ. ეს მეტად მძიმე რამ არის გლეხკაცისათვის. ხშირად გლეხკაცს სულ ერთიანად მოუშლის ხოლმე ბინას, არამც თუ ათის თუმნის

* Маловажные проступки.

ზღვევინება, არამედ ნაკლებისაც, და რატომ არ უნდა ჰქონდეს ნება, რომ გადაწყვეტილება, რომელიც უმართლოდ მიაჩნია და რომელსაც ამოდენი ჯნება შეუძლიან მიაყენოს, ხელახლად გაასინჯოს უმაღლეს მოსამართლეს? ამას არა წოდების კაცი მოკლებული არ არის, გლეხის მეტი, გლეხისა, რომელიც ყველაზედ უფრო მეტად საჭიროებს გულმოდგინეს, განათლებულს და კეთილსინიდისიანს მოსამართლესა და ყველაზედ მეტს განსაცდელშია, რომ საქმეს რიგიანად ვერ გაურჩევენ, რადგანაც ვერც თითონ არის რიგიანად საქმის ამხსნელი, და მოსამართლედაც თავისაებრ ბნელი და უვიცი მოხელენი ჰყავს. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ სოფლის სასამართლო გაუქმდეს, ჩვენ გვსურს მხოლოდ, რომ რომელი საქმეც ერთს თუმანზედ მეტს იძიებდეს, გლეხს ნება ჰქონდეს იმ საქმის თაობაზედ გადაწყვეტილება სოფლის სასამართლოსი უმაღლეს სასამართლოს ხელმეორედ გაასინჯოს. ამგვარ სასამართლოდ უნდა იქნას მომრიგებელი მოსამართლე, სულ სხვა წესზედ და სხვა რიგით არჩეული და დადგენილი და არა ისე, როგორც ეხლა ჩვენშია.

ჩვენ მარტო უმთავრესნი ნაკლულოვანებანი ვაჩვენეთ ჩვენის ეგრეთ-წოდებულ თვითმმართველობისა და სოფლის სამართველოის წესდებისა. ჩვენ გვგონია, რაცა ვსთქვით, ეგეც სამყოფი საბუთი იყოს, რომ ხელახლად გადისინჯოს ყოველივე კანონმდებლობა ამ საგანზედ, თუ სოფლის კეთილგანწყობა ვისთვისმე სასურველია, და ვისთვის არ უნდა იყოს სასურველი! ეს კია, რომ მარტო სოფელი, როგორც ნაბოლოვარი რგოლი რთულის ჯაჭვისა, ვერ ასაზრდოებს თვითმმართველობას, თუ მარტო სოფელში დაიწყება და სოფელშივე ჩაწყდება. სოფელს მაზრა უნდა მოჰყვეს, მაზრას — გუბერნია, როგორც ეხლა რუსეთშია, ხოლო სხვა წესით და სხვა რიგად უნდა მოეწყოს ჩვენში ეს საქმე.

წერილი მეექვსე

მომრიგებელი მოსამართლობა ჩვენში

ბატონ-ყმობის გაუქმებას და სოფლის სამმართველოს დადგენას ზედ მოჰყვა ცვლილება ღუინისა და არაყის ბაჟის თაობაზედ. თუმცა ამ საგანს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ეკონომიურის ვითარებისათვის და თუმცა ამან დიდი ზედმოქმედებაც იქონია ჩვენის ხალხის ქონებითს მეტნაკლებობაზედ, მაგრამ მაინც მაგის გამოკვლევას ამჟამად ვერ შევუდგებით. თავის დროზედ მაგ ღირსშესანიშნავს საქმეს ისევ დავუბრუნდებით. ეხლა კი ჩვენ უფრო გვეხერხება სოფლის სამმართველოს გამოკვლევიდამ პირდაპირ გადასვლა განსამართლების წესზედ. თუმცა ამით ქრონიკული ჯაჭვი ირღვევა, მაგრამ რჩება შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს მმართველობის და განსამართლების წესთა შორის საზოგადოდ. ჩვენ აქ სახეში გვექმნება მხოლოდ ერთი ნაწილი განსამართლების წესისა, რომელსაც ჩვენის ხალხის ცხოვრების დირეზედ უდგას ფეხი, სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც შეეხება მომრიგებელ მოსამართლობის დაწყობასა და აგებულებასა.

რომ ჩვენა და ჩვენნი მკითხველნი ერთნაირის საწყაოთი შევუდგეთ ჩვენში დადგენილ მომრიგებელ მოსამართლობის ავ-კარგიანობის აწყვასა, საჭიროა ვიცოდეთ ის აზრი და საფუძველი, რომელზედაც არის დამყარებული მომრიგებელ მოსამართლობის წესი, ის აზრი და საწადელი, რომელიც დაუნიშნავს კანონმდებელს მისაღწევად. ეს მით უფრო სარგო იქნება ჩვენთვის, რომ იგი აზრი, საფუძველი და საწადელი, რომელიც ამ შემთხვევაში წინ წასძღომია კანონმდებელს, არის ჭეშმარიტი ნაყოფი მეცნიერებისა და ევროპის ცივილიზაციის გამოცდილებისა. არც ერთს კანონმდებლობას რუსეთში ისეთი გარკვეული და ჭეშმარიტი აზრი არ ჩაჰრთვია, როგორც განსამართლების წესსა საზოგადოდ და მომრიგებელ მოსამართლობისას ცალკედ; არც ერთს კანონმდებლობას არ

შეჰხვედრია იმისთანა კაცნი, რომელთ ცოდნა და გონებითი ძალნი ესე შესაფერად შესწვდომოდეს ამისთანა მაღალს, უღრესს და რთულს საქმეს, როგორც განსამართლების წესის დადგენაა. კანონმდებლობა რუსეთში სხვას არც ერთს საქმეს ასე ცნობიერად, გულმოდგინედ და ჭეშმარიტების სიყვარულით არ შესჭიდებია. ამიტომაც განსამართლების წესი რუსეთისა საზოგადოდ უფრო მოსაწონია, ვიდრე დასაწუნი, და ამაზედ უფრო მოსაწონია მომრიგებელ მოსამართლობის დაწყობილება, გარდა ზოგიერთის ნაკლისა, რომელიც შეჰყოლია წესს სხვადასხვა გარემოებისა გამო. ეს სიკეთე რუსეთის განსამართლების წესისა და კანონმდებელთა ღვაწლისა აღიარებულია რუსეთის უკეთესთა კაცთაგან და ევროპიელ მეცნიერთაგანაც.

მას შემდეგ, რაკი გამოკვლეულ იქმნა და აღიარებულ უწინდელის წესის უვარგისობა და ბოროტი, ახალის წესის შემოღების წინააღმდეგ სამი საბუთი წარუდგინეს კანონმდებლებს. ერთი ისა, რომ ხალხი, თუ საზოგადოება, ჯერ მომზადებული არ არისო, რომ შეიშვნიოს ეგ ახალი წესიო და ამიტომაც ვერ მოიხდენსო; მეორე ისა, რომ ხაზინას იმოდენა თავისუფალი ფული არა აქვსო, რომ მაგ ახალის წესის ხარჯს გასწვდესო; მესამე — ვერც იმოდენა კეთილსინდისიანს და მცოდნე კაცებს ვიშოვნითო, რომ ეგ ახალი წესი რიგიანად ამოქმედონო.

ამ საბუთებმა არ დააფრთხეს იგინი, ვისაც მინდობილი ჰქონდათ ახალის წესის დაწყობა და აგება და ასე მიუგეს წინააღმდეგებს:

თუ კანონი ჭეშმარიტს და სწორეს აზრზეა დამყარებული და ნამდვილის მიზეზისაგან წარმომდგარი, იმას დროს და ადგილის შერჩევა არ უნდაო, იგი ყოველთვის და ყველგან საკეთილოა და გამოსადეგიო. ძნელი საფიქრებელია, რომ სადმე ანუ როდისმე ადამიანი ცუდისათვის მომზადებული ყოს და კარგისათვის კი, მოუმზადებელიო. გონიერი კანონი თავის-დღეში ცუდს არ მოახდენს. იქნება, რომელისამე მიზეზით, ან იმით, რომ კანონი ახალია, კანონმა რამდენსამე ხანს ღირსებისამებრ არ იმოქმედოს, მაგრამ უფრო ადვილად დასაჯერია, რომ იგი დაუყოვნებლივ ღრმად გაიდგამს ფესვებს

და შეიქმნება ქვეყნის მშვიდობიანობის და კეთილდღეობის დედაბოძადაო.

ფულის ნაკლებობა ხაზინაში წარმოსდგება ეკონომიურ ვითარებისაგან საზოგადოდ და, გარდა ამისა, საკუთრივ იმისაგანაცაო, როცა არსებითნი ორღანონი მართლმსაჯულებისა რიგიანად აგებულნი და მომართულნი არ არიანო. ეგ ურიგობა ამხობს კრედიტსაც და სულსა ჰხუთავს ყოველს ხელთმოქმედებას და წარმოებასაო. საცა კრედიტი ფრთას არა ჰშლის, იქ ფული არ შეადგენს თანხას, მომქმედს და მწარმოებელს, იქ ფული სიმდიდრეს არა ჰქმნის, იქ ფული უქმიაო. ამიტომაც, თუ მართლა ხაზინა ფულის ნაკლებობას ჰგრძნობს, განკარგება განსამართლების წყობილებისა — არამც თუ სასარგებლოა, აუცილებელი საჭიროებააო.

რომ ამბობენო, იმდენს კეთილსინდისიანს და კანონების მცოდნე კაცს ვერ ვიშოვითო, რამდენიც საჭირო იქნება ახალი წესის გამოო, არც ეს არის საბუთიანი სიტყვაო. კანონი კაცს არა ჰქმნისო, ხოლო ეს კია: თუ კანონი ისეთია, რომ კაცი პოულობს მასში ღონისძიებას ცუდი საქმე ჩაიდინოსო, მაშინ კანონი ჰრყვნის ადამიანსაო; თუ კანონი ისე ბნელია, რომ კაცს არც ესმის და ვერც გაიგებს, მაშინ ადამიანს არც ეცოდინება კანონიო; თუ კანონი იმისთანაა, რომ თვით კეთილსინდისიანს კაცსაც არ ძალუძს მისი აღსრულება უნაკლულოდ, მაშინ კანონს ადამიანი არც ასრულებსო. და თუ მართლა იმისთანა კაცები ცოტანი არიან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საკმაო კეთილსინდისიანობა, საკმაო ცოდნა და გულმოდგინება ახალის წესის რიგიანად აღსრულებისათვის, — უწინდელის წესის უვარგისობის ბრალიაო, და ამიტომაც განკარგება კანონებისა ამ მხრითაც — არამც თუ სასარგებლოა, აუცილებელი საჭიროებააო*.

ამ სახით, ახალის წესის შემადგენელთა სახელი არ წაიხდინეს და სრულიად უარ-ჰყვეს ის მიზეზი, რომლის მიხედვითაც შესაძლო იყო უწინდელი ჟანგი ჩაჰყოლოდა ამ ახალს წესსაც და მით მოეწამლათ ქვეყნის ჯანმრთელობისათვის მოსაზრებული საქმე. უარ-ჰყვეს და ამიტომაც რუსეთისათვის მიღებულ წესს განსამართლებისას ან სულ არ ეტყობა, ან თუ

---

* Сообщ. Госуд. Канц.

ეტყობა — ძალიან ცოტად, იმ სამთა მიზეზთა ზედმოქმედება.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით იმ განსამართლების წესზედ, რომელიც ჩვენში გადაასხვაფერეს, ვითომ შეუსწორეს აქაურს გარემოებას და ისე დაადგინეს. ჩვენს წესდებაში იმ სამსავე უარყოფილ მიზეზს უპირატესი ადგილი დაუჭერია; ამ სამს მიზეზს შესწირეს უკეთესნი თვისებანი და ღირსებანი ახალის წესისა. ამ სამს მიზეზს ანაცვალეს ის აზრიც, ის საფუძველიც, ის საწადელიც, რომელიც სულია და ხორცი ამ ახალის წესისა. თუმცა ეს არსად არ არის გამოთქმული თითონ წესდებაში ცხადად, მაგრამ რად მინდა კაცმა სთქვას მე ასეთი ვარო, როცა მისი მოქმედებაც მაჩვენებს, რაც არის. ნაყოფისაგან იცნობება ხე იგიო, ნათქვამია.

რასაკვირველია, ნამდვილად ცნობილს და გამოკვლეულს ადგილობრივს გარემოებას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს ყოველს მთავრობითს განკარგულებაში საზოგადოდ და კანონმდებლობაში საკუთრივ; მაგრამ როცა უმთავრესნი და არსებითნი საფუძველნი ცვლილებისა არის ნაყოფი კაცობრიობის საერთო ცივილიზაციისა და მეცნიერებისა, მაშინ იგი საფუძველი ყველგან და ყველასათვის მოსახდენია და, თუ აქ ცვლილებამ უნდა დაუთმოს რამე ადგილობრივს გარემოებას, თვით უმთავრესი და არსებითი საფუძველი კი არ უნდა გამოაცალოს საქმეს, არამედ საქმის მარტო წვრილმანი კუთვნილებანი უნდა შეურჩიოს და შეუფეროს გარემოებასა. რასაკვირველია, ჩვენში არც აქაური გარემოება იყო ნამდვილად ვისგანმე ცნობილი და გამოკვლეული, არც უმთავრესი და არსებითი საფუძველი ცვლილებისა იყო პატივცემული. მას სრულიად ჩამოათალეს, რაც მის უცილო თვისებას და ღირსებას შეადგენდა.

ეგ უმთავრესი და არსებითი საფუძველი განსამართლების ცვლილებისა საკმაოდ კარგად და ვრცლად არის ცნობილი და ღიარებული შათგან, ვისაც რუსეთში მინდობილი ჰქონდა ახალის წესის შედგენა. რადგანაც ჩვენ საგნადა გვაქვს გარჩევა მარტო მომრიგებელ მოსამართლობის წესდებისა, ამიტომაც მარტო ამ საგანზედ მოვიყვანთ კანონმდებელთა აზრსა. მას შემდეგ ჩვენ ცხადად დავინახავთ, რამოდენად შე-

შალა ის აზრი იმ სამმა მიზეზმა, რომელიც ზემოთ წარმოვსთქვით, და რომელიც წინ წაიძღვარეს ჩვენში „ადგილობრივის გარემოების“ სახელით.

რაც უნდა მარტივი წესი იყოს განსამართლებისა, კანონმდებელთა აზრით, თუ თითონ სასამართლო შორს არის მოდავეზედ, ან იმ ადგილზედ, საცა მფლობელობა დარღვეულ იქმნა, ანუ ზიანი და წანახედი მოხდა და სხვა ამგვარი, მაშინ წესი თვის საგანს ვერ მისწვდება, რადგანაც მოდავისათვის არც ანგარიშია, და ხშირად არც ღონისძიებაა, შორს წავიდეს მცირე საფასური საქმისათვის. სამართალი თვის მნიშვნელობას აუქმებს, როცა სამისა თუ ათის მანეთის მაძიებელი იძულებულია ახს გერსტზედ წავიდეს, ანუ როცა საქმე იმისთანაა, რომ დაუყოვნებლივ მოხელვა უნდოდეს, და მინამ მაძიებელი შეატყობინებდეს სამართალს და მინამ სამართალი ადგილობრივ გამოძიებისათვის მოვიდოდეს, ყოველივე ქვალი საქმისა წაშლილი იყოს. საბუთები მფლობელობის დარღვევისა, ანუ უძრავის ქონების წანახედისა, მარტო ადგილობრივ შეიკრიბება და მხოლოდ მაშინ, როცა სიმართლის დარღვევის უმალვე, დაუყოვნებლივ შეუდგებიან საქმეს; უამისოდ სამართლიანი გადაწყვეტა საცილობელის საქმისა ძნელდება ხოლმე და ხშირად შეუძლებელიც ხდება.

ამიტომაც საჭიროა, საზოგადო სასამართლოების გარდა, ცალკე ადგილობრივი სასამართლოც დაწესდესო, იმისთანა სასამართლო, რომელიც მოდავისათვის მახლობლად იყოსო და ისეთი მარტივი საქმის საწარმოო წესები ჰქონდესო, რომ შეეფერებოდეს უმრავლესის ხალხის საჭიროებასაო.

საჭიროება და მიუცილებლობა ამისთანა მარტივის და ადგილობრივის სასამართლოსი აღიარებულია ყოველს კეთილად განწყობილს სახელმწიფოშიო. მორიგება მოდავეთა და მორიგებით საქმის გათავება უპირატესი დანიშნულებაა ამისთანა სასამართლოსიო; ამიტომაც მას ჰქვიან მომრიგებელი სამართალიო.

მომრიგებელ მოსამართლეს მინდობილი აქვს გარჩევა იმ წვრილმან საქმეებისა, რომელნიც ყოველდღე თითქმის წარმოდგებიან ხოლმე ხალხის ცხოვრებაში. უფრო მომეტებულმა ნაწილმა ხალხისამ კანონები არ იცის, მომეტებული ნაწილი ვერ იტანს ფორმალობას, პატივს სცემს მარტო ნამდვილს

სიმართლესა და უფრთხილდება დროს; ამისათვისაც ხალხისათვის უფრო ის არის სანატრელი, რომ საქმე სწრაფად გაუთავდეს ხოლმე და საქმის განაჩენები დამყარებული იყოს მასზედ, რაც თითონ ხალხის მოსაზრებით სიმართლედ არის ცნობილი. უფრო ბევრს წილს ამ საქმეებისას მომრიგებელი მოსამართლე სწყვეტს საბოლოოდ და ამასთანავე საქმეს არჩევს და სწყვეტს მარტო თითონ ერთადერთი. უმთავრესი დანიშნულება ამისთანა მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის მართლმსაჯულებისა ის არის, რომ მშვიდობის მყოფელ შუაკაცად ექმნეს მოდავეთა და მათ შორის მორიგება ჩამოაგდოს. რომ ეს დიდი დანიშნულება მართლა მიღწეულ იქმნეს, ამისათვის საჭიროა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ მოსამართლეს. ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნებისა, ხალხის ზნისა, ჩვეულებისა, ერთის სიტყვით — ყოველ იმისა, რითაც გარემოცულია ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ, — და ამასთანავე საჭიროა საკუთრივ კაცსა ჰქონდეს გამჭრიახი გონიერება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება. მომრიგებელ მოსამართლის მრავალგვარი მოვალეობა ისეთია, რომ ყოველს შტოს სახელმწიფო მმართველობისას და ყოველ მხარეს ხალხის ცხოვრებისას შეეხება. ამ მიზეზითაც იგი უნდა სანდო და სარწმუნო კაცი იყოს მცხოვრებთა თვალში; ამ მიზეზითაც ადგილობრივ ვითარების ავიცა და კარგიც უფრო საჭიროა იცოდეს მოსამართლემ, უფრო საჭიროა ჰქონდეს შინაკაცის საქმიანი სიბრძნე, ვიდრე კანონიერობის ცოდნა და მოსამართლობის გამოცდილება. რადგანაც მოვალეობა და თანამდებობა მომრიგებელ მოსამართლისა სხვადასხვაგვარია და რადგანაც თითონ მისი მოღვაწეობაც მრავალსაგნიანია, ამიტომაც ის მხარე, ანუ ნაწილი, რომელიც მას უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სამართლის საწარმოებლად, რაც შეიძლება პატარა უნდა იყოს სივრცით, — იმიტომ — რომ იგი, როგორც ადგილობრივი მოსამართლე, ყველასათვის ყოველს ჟამს საჭირო კაცია. ამის გამო მომრიგებელ მოსამართლეს უპირატესი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს საყოველთაო წესიერების და მშვიდობიანობის დაცვისათვის და დამყარებისათვის. ამ მიზეზითაც საჭიროა, რომ იგი ადგილობრივ მცხოვრებთაგან

იყოს, ესე იგი იმათგანი, რომელთაც არამც თუ მარტო თავიანთი მხარე იციან, არამედ საკუთარი ინტერესიცა აქვსთ, რომ საერთო წესიერება და მშვიდობიანობა არ იქმნას შერყეულ.

ამ მრავალგვარს მოვალეობას და საჭიროებას რომ ძივხედოთ, ცხადი იქნებაო, ამბობენ კანონმდებელნი, რომ მომრიგებელი მოსამართლე უნდა დანიშნულ იქნას ადგილობრივთა მცხოვრებთა არჩევანითაო. ამის წინააღმდეგ ეს წარუდგინეს კანონმდებლებს, რომ სამართალი საზოგადოდ იმისთანა თვისების საგანიაო, რომ არჩევანით დანიშნულ კაცით ვერ წარიმართებაო, იმიტომ რომაო უფლების და მოვალეობის ახსნა და გარჩევა შეუძლებელიაო, თუ მოსამართლეს რჯულიერება ზედმიწევნით შესწავლული არა აქვსო და განსამართლების საქმეში ზედმიწევნით გამოცდილი არ არიო. ამის გამო მოსამართლეებს ვერ ამოირჩევს თვის შორის ვერც სოფლისა და ვერც ქალაქების მცხოვრებიო და თითონ თავად-აზნაურობაც ბევრს აგრე მომზადებულ კაცს ვერ იპოვნის ადგილობრივ მცხოვრებთა შორისო. ეს საბუთიო, დაასკვნეს კანონმდებელთა, სრულიადაც არ შეეხება მომრიგებელ მოსამართლესაო, რომლისათვის ზედმიწევნით რჯულიერების ცოდნა კი არ არის საჭირო, არამედ დამსახურებული ნდობა და ადგილობრივის ვითარების ცოდნაო. მომრიგებელი მოსამართლე ყველაზედ უწინარეს უნდა იყოსო ადგილობრივ მოსამართლედ და მშვიდობიანობის დამცველადაო; საზოგადო ნდობა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს მათის დანიშნულებისასო.

ამიტომაც რუსეთის წესდებაში შეტანილია, რომ მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ იმ ადგილის შვილი უნდა იყვეს, საცა მოსამართლობა უნდა და, გარდა ამისა, იქაურ მცხოვრებთაგანვე აღმორჩეული.

ამ სახით, ეხლა ჩვენ ვიცით, რა აზრი ჰქონია უმაღლეს მთავრობას, რომ მომრიგებელი მოსამართლობა დაუწესებია, და რა ღონისძიება მიუღია, რომ ის აზრი უნაკლოდ აღსრულებაში მოსულიყო. მოკლედ განვიმეოროთ ზემოთქმული, რომ უფრო გარკვევით გზა გავიგნოთ და უფრო ცხადი აზრი წავიმძღვაროთ წინ ჩვენს გამოკვლევაში.

უმაღლესმა მთავრობამ უარ-ჰყო უწინდელი განსამართლე-

ბის წესი და მის მაგიერ საჭიროდ დაინახა, რომ უფრო მომეტებულ ხალხს სახელმწიფოისას იმისთანა სამართალი უჭირს, — 1. რომელიც მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ, ასე რომ ყველამ ყოველს ჟამს, რაც უნდა პატარა გაჭირვება ჰქონდეს, მიჰმართოს ხოლმე და დაუყოვნებლივ სწრაფად განსამართლდეს; 2. რომელსაც ისეთი მარტივი წესი წარმოებისა ჰქონდეს, რომ უცოდინარმა კაცმაც თავისი საქმე აწარმოოს; 3. რომელსაც, რამოდენადაც შესაძლოა, ფორმალობა არ უშლიდეს, რომ ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს; 4. რომელსაც წინ უნდა მიუძღოდეს ადგილობრივის ვითარების ცოდნა, ცოდნა ხალხის ზნისა, ხალხის ჩვეულებისა და ერთმანეთზედ დამოკიდებულებისა; 5. სამართალი უნდა იყოს იმისთანა კაცის ხელში, რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალხი პატივსა სცემს, და რომელსაც, როგორც ადგილობრივს მოსახლეს და მცხოვრებს, თითონაც გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს მის სახელოში; მშვიდობიანობა, უშიშროება არ იქმნას დარღვეულ; ყველა დარწმუნებული იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი, დაუსჯელად არ ჩაივლის, წანახედი, ზიანი უზღვევლად არ დარჩება; ხოლო უკეთესი მხარე, უმაღლესი მნიშვნელობა ამგვარის მოსამართლობისა მორიგებით გათავებაა საქმისა. აქაც დანახულია და ცნობილი, რომ თუ მოსამართლე ხალხის თვალში სანდო, სარწმუნო კაცი არ არის, მოსამართლე ამ მომრიგებელ შუაკაცობას ვერ აღასრულებს. როგორც ამის გამო, ისე იმ მიზეზებით, რომელნიც ზემოთ მოგვიხსენებია, მტკიცე და მიუცილებელ საჭიროებად აღიარებულია და დადგენილი, რომ მომრიგებელი მოსამართლე თითონ მცხოვრებლებმა აღმოირჩიონ ხოლმე თვის შორის.

ჩვენდა სამწუხაროდ, ვიტყვით კიდევ, თითქმის ყოველივე ესე, ცნობიერად ქვეყნის სიკეთისათვის წამლად გამოკვლეული, ეს არსებითი სახსარი სამართლის ჭეშმარიტს გზაზედ დაყენებისათვის, ჩვენში სრულიად შეიცვალა. შეიცვალა მეთქი!.. შეიცვალა კი არა, ქერეჭი დარჩა და გული კი გამოეცალა სულ იმ ოთხ კედელ შუა ნასიზმრევის გამო, რომელსაც „ადგილობრივს ვითარებას“ ეძახიან და რომელიც სწორედ ხმაამოუღებელი სახედარია: ვისაც რა უნდა, იმას აჰკიდებენ და გადაჰკიდებენ ხოლმე. ეს უბედური, ყველასაგან დაბ-

რიყვებული, უტყვი „ადგილობრივი ვითარება“ სასაცილო ყოფაშია ჩვენში. არავის, არამც თუ შეუსწავლია, რა ფერისა და ზნისაა, არც კი ცდილა, რომ შეესწავლა. იციან კი, რომ რაღაც „ადგილობრივი ვითარება“ უნდა იყოს, რომელიც სულ მზად არის სამსახურისათვის, როგორც შეკაზმული სახედარი: უნდათ ზედ მოაჯდებიან და დადიან, არ უნდათ — ჭიტლაყს ჰკვრენ და ეტყვიან, წადი და ნარი ჰგლიჯეო.

მეტად ღირსსაცნობია, რა გამომსჭვირვალებს ჩვენს გადასხვაფერებულს წესდებაში „ადგილობრივის ვითარების“ სახელითა? ჩვენის აზრით, სხვა ახალი არაფერი, გარდა იმ სამის მიზეზისა, რომელიც სახეში ჰქონდათ თვით კანონმდებელთ რუსეთში, და რომელიც იქ სრულად უარ-ჰყვეს კიდეც და ჩვენში კი უპირატესი ადგილი მიანიჭეს. ნამდვილი ჩვენი ვითარება კი დავიწყებულ და განგდებულ იქმნა.

ჩვენი წესდებით არ არის საჭიროდ ცნობილი, რომ მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ ადგილობრივი მცხოვრებთაგანი იყოს; ამის გამო ხშირია ჩვენში, რომ იაროსლაველი კაცი სვანებს, მაგალითად, ანუ ფშავ-ხევსურებს მოსამართლედ ენიშნება იმავე „მომრიგებელი მოსამართლის“ სახელითა, რომლის შესახებ უმაღლესმა მთავრობამ საქვეყნოდ საბუთიანად აღიარა, რომ თუ ადგილობრივი მცხოვრები არ არისო, მოსამართლობას ვერ იზამსო. რა მიზეზით უნდა აიხსნას ეს მართლა-და გაუგებარი განკარგულება, რომელმაც მომრიგებელ მოსამართლობას გული გამოაცალა და მარტო ქერეჭი შეარჩინა? სხვა არაფრით, ჩვენის აზრით, გარდა იმისა, რომ აქაურთ კანონმდებელთ ჰგონებიათ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ღირსეულ კაცებს ვერ ვიშოვნითო მაგ თანამდებობის აღსასრულებლადაო. ნუთუ ეს მართლა და ადგილობრივი მიზეზია? არ უნდა შეადგენდეს მიუცილებელს ღირსებას მომრიგებელ მოსამართლისას? ამის პასუხი თითონ უმაღლესმა მთავრობამ საქვეყნოდ აღიარა ამრიგად: მომრიგებელი მოსამართლე უფრო იმისთანა კაცი უნდა იყოსო, რომელმაც ზედმიწევნით უნდა იცოდესო ადგილობრივის ხალხის ავი და კარგიო, ზედმიწევნით უნდა იცოდეს ხალხის ზნე, ჩვეულება, ერთმანეთზედ დამოკიდებულებაო, შინაური კაცის სიბრძნე უფრო უნდა ჰქონდესო, ვიდრე რჯულიერობის ცოდნით და განსამართლების გამოცდი-

ლებით განვითარებული იყოსო. ნუთუ ამისთანა კაცის შოვნა და პოვნა იაროსლავში უფრო ადვილია საქართველოსათვის, ვიდრე თვით საქართველოში? იქნება მიპასუხონ, რომ მარტო მაგ ღირსებით იოლად ვერ წავაო მოსამართლე; გარდა მაგისა, მოსამართლეს გამჭრიახი გონიერება უნდა ჰქონდესო, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრებაო. ნუთუ „ადგილობრივი ვითარება“ ისეთია, რომ პატიოსანი, უჩირქო ყოფაქცევის პატრონი, გამჭრიახ გონებიანი კაცი არ მოიპოვება საქართველოში, და იაროსლავში კი პანტასავითა ცვივა? ამას ვერ იტყვიან, ამას საბუთად ვერ გაგვიბედვენ წარმოგვიდგინონ ჩვენ.

თუ მართლა ჩვენ შორის ძნელი საშოვნი იყო იმისთანა კაცი, რომელიც გასწვდენოდა მთელს მოედანს მომრიგებელ მოსამართლეობისას, მაშინ ლოღიკა იმას ითხოვდა, რომ იგი მოედანი შეემცირებინათ, ისე კი, რომ ძირეული თვისება ამგვარის მოსამართლობისა არ შეერყიათ. ამის მაგიერ რა ჰქმნეს? აქაო და პატარა მოედნისათვისაც კაცი არ არისო, მოედანი უფრო გააფართოეს. რუსეთში მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება სამოქალაქო საქმე არა უმეტეს ორმოცდაათის თუმნის საფასურისა, ჩვენში — ორასის თუმნისა; რუსეთში მომრიგებელი მოსამართლე ვერ შეეხება უძრავის ქონების საკუთრებად ძიებასა, რა ფასისაც უნდა იყვეს, ჩვენში-კი ყოველ უძრავის ქონების საქმე ორასის თუმნის საფასურისა მომრიგებელ მოსამართლემ უნდა გაასამართლოს; რუსეთში მას ექვემდებარება მარტო წვრილმანის დანაშაულობის და ბრალეულობის საქმე, ჩვენში-კი ყოველი დანაშაულობა, რომელსაც რაიმე უფლების ჩამორთმევა, პატივისა და ღირსების აყრა არ მოსდევს. ამ სახით, რუსეთში, ესე იგი იქ, საცა ყური არ ათხოვეს, რომ კაცები არა გვყავსო, მოსამართლეებს საქმე შეუმსუბუქეს, აქ კი, საცა უკაცურობა შესწვამეს, საქმე უფრო დაუმძიმეს. ეგ, ჩვენის ფიქრით, იმასა ნიშნავს, რომ ამ უადგილოდ მიღებულს „ადგილობრივს ვითარებას“ კიდევ ხანგრძლივ ხედნა მოელის ამ შემთხვევაში.

ამ ადვილად სახედნელმა „ადგილობრივმა ვითარებამ“ ამ ბოლოს დროს უფრო გაიდგა ფეხი, ვიდრე უწინ. წესდების შემოღების პირველ ხანებში ცდილობდნენ, რომ ასე გაურჩევლად მიღებულმა, სწორედ მოგონილმა და არა ნამდვილმა

„ადგილობრივმა ვითარებამ“ — თვისი ეკლები არ გამოაჩინოს, და ნიშნავდნენ მომრიგებელ მოსამართლეებად უფრო აქაურებს, რომელნიც, თუმცა იქაურები არ იყვნენ — საცა ინიშნებოდნენ, მაგრამ ხალხის ენა მაინც იცოდნენ. ეხლა მთლად ამის წინააღმდეგსა ვხედავთ; და თუ ეგრე იარა ამ საქმემ, დრო მოვა, რომ მომრიგებელი მოსამართლე ისევ იმ უწინდელ დიამბეგად გახდება, რომელსაც ხალხი ერიდებოდა, როგორც ჭირს. ეხლაც კი ცხადი ნიშნებია, რომ ჩვენებურს ხალხს, როგორც სიკვდილი — ისე ეჯავრება მომრიგებელ მოსამართლესთან სიარული და, თუ ძალიან არ გაუჭირდა, ყელში თოკი არ მოეჭირა, ძნელად თუ ჰბედავს მომრიგებელ მოსამართლის ხელში ჩავარდნასა.

ჩვენის წესდებით უარყოფილია ის მეორე არსებითი კუთვნილებაც მომრიგებელ მოსამართლობისა, რომელიც მიღებულია რუსეთში, სახელდობრ ისა, რომ ადგილობრივ მცხოვრებელთა უნდა თითონ ამოირჩიონ თავიანთი მომრიგებელი მოსამართლე. ამისი მიზეზი სხვა ვერ მოგვისაზრებია რა, გარდა იმისა, რომ ხალხს ვერ ნდობიან, ჰგონებიათ — რომ ხალხი ვერ ამოირჩევს რიგიანს და ღირსეულს კაცსაო, ერთის სიტყვით — ხალხი მოუმზადებელიაო და ამიტომ ამ უფლებას ისე ვერ მოიხმარებს, როგორც სანატრელიაო. თუმცა არც ეს არის საბუთიანი სიტყვა, მაგრამ სხვა მხრით არჩევანის უფლების უარყოფა შეუძლებელია, იმიტომ რომ, მეცნიერების თვალით დააკვირდებით ამ საგანს თუ გამოცდილების თვალითა, არც ერთი იგი არამც თუ ეწინააღმდეგება მომრიგებელ მოსამართლის არჩევანით განწესებასა, არამედ უფრო ემხრობა, უფრო ხელს უწყობს. თუ ამაზედ რაიმე ცილობა არსებობს მეცნიერებაში, მარტო იმაზეა ცილობა, რომ უმაღლესი მოსამართლენიც, როგორც მაგალითებრ — წევრნი ოლქის სასამართლოსი, პალატისა, თუ სენატისა, არჩევანით უფრო კარგია რომ განწესდნენო, თუ მთავრობის განკარგულებითაო.

რუსეთში, როგორც ვნახეთ ზემოთ, განათლებულნი შემადგენელნი განსამართლების წესისა იმ აზრზედ დადგნენ, რომ მომრიგებელ მოსამართლობას თვისი სიკეთე მთლად ჩამოერთმევა, თუ არჩევანით განწესება უარყოფილ იქნებაო. ხალხს მოუმზადებლობას იქ ყური არ ათხოვეს. მართლა-და და-

საჯერი არ არის, რომ ხალხი სადმე და როდისმე ცუდისათვის მომზადებული იყოს და კარგისათვის კი მოუმზადებელი, ხოლო არჩევანით განწესება მომრიგებელ მოსამართლისა რომ კარგი რამ არის, — ამაზედ ეხლა ეჭვი აქვთ მარტო ბრმებსა და რეგვნებსა. ყოველს მოსამართლეს საერთოდ და მომრიგებელს საკუთრივ, უნდა ხალხის მიერ ნდობა ჰქონდესო, უნდა ხალხისაგან ცნობილი იყოს, როგორც ღირსეული და სარწმუნო კაციო. ნუთუ სადმე ხალხი საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ იმისთანა ტყის ნადირი იყოს, არ ესმოდეს, — ვისზედ მიენდობა უფრო გული, ვინ უფრო ღირსეული და სარწმუნო კაცია მის ახლომახლო, რომ მას წაავლოს ხელი და იგი დაიყენოს მოსამართლედ? აქ მომზადებულობა და მოუმზადებლობა რა შუაშია? საზოგადოდ ცნობილია, რომ ადამიანი თვით ისტორიის პირველ ხანებში, ესე იგი ჯერ მაშინ, როცა სწავლისა და შეცნიერების სიოც არ მიჰკარებოდა და ფეხიც არ დაედგა ცივილიზაციის გზაზედ და ყოველთვის მოუმზადებელი იყო, ჯერ მაშინ მეთქი — მოსამართლეს, თუ არ არჩევანით, სხვაფრივ არ განიწესებდა. სჩანს, აქ ხალხის მოუმზადებლობას, თუ განათლებას, ადგილი არა აქვს; სჩანს, ხალხის მოუმზადებლობა საბუთი კი არ არის წინააღმდეგ მომრიგებელ მოსამართლის არჩევანისა, არამედ უქმი სიტყვაა უქმის კაცისა.

ამას თავი დავანებოთ, ვთქვათ რომ მომრიგებელ მოსამართლის არჩევანისათვის ხალხი ცოტად თუ ბევრად მომზადებული უნდა იყოსო. მითამ ამით რაო? თუ რუსეთის ხალხი იცნეს მომზადებულად, რომ არჩევანით განიწესოს თვისი მახლობელი მომრიგებელი მოსამართლე, ჩვენს ხალხს რაღა ღმერთი გაუწყრა?! ნუთუ რუსეთის ხალხის უმრავლესობა — მუჟიკობა, ჩვენის ხალხის უმრავლესობაზედ — გლეხობაზედ მაღლა დგას მიხვედრილობით, გონების თვალით, გონების ყურით, რომ იქ მუჟიკობა მომზადებულად სცნეს და მიანიჭეს სხვებთან ერთად უფლება მოსამართლის არჩევანისა, და აქ კი გლეხობა — მოუმზადებლად, და ამიტომაც ეგ უფლება ჩამოართვეს? თუ ამ შემთხვევაში განსხვავება რამ არის ამ ორთა ხალხთა უმრავლესობათა შორის, ის განსხვავებაა, რომ სასწორი სიკეთისა ჩვენის ხალხისაკენ უფრო დაიწევს.

ჩვენი გლეხი გაცილებით წინ არის რუსის მუჟიკზედა ზნეობითაც, გონების თვალითაც და მიხვედრილობითაც.

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა ხმელსა შეიქმს ნედლადო"; „სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო", — ამბობს ხოლმე ჩვენი ხალხი. ნუთუ ის ხალხი, რომელიც სამართალს ამისთანა სასწაულთ-მოქმედების ძალას აძლევს, რომ ხმელს ხესაც გაანედლებსო, ხელს მოსჭრის და არ ატკენსო, — ნუთუ ხალხი, რომელსაც ამისთანა ძალა სამართლისა სწამს, რჯულად აქვს მიღებული და ეგრე ცხადად აღიარებული, — ნუთუ ის ხალხი-მეთქი მოუმზადებელი უნდა იყოს წესიერად აგებულის სამართლის კეთილად წარმართებისათვის, და ის ხალხი კი — რომელიც იმით ნუგეშობს, რომ сила солому ломит, — მომზადებულია!..

ეხლა ვსთქვათ, რომ ჩვენი ხალხი ვითომ მართლა მოუმზადებელია, მაშ, ვინც მოუმზადებელია, თავის-დღეში აღარ უნდა მომზადდეს? ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს უკრავთ, და ვეუბნებით-კი, ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის აღმორჩევის ნებას არ ვაძლევთ და ვეუბნებით-კი, ისწავლე კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს: ცურვა ისწავლეო და წყალში-კი ნუ შეხვალო; გზა გაიარეო და შინიდამ ფეხს-კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულმოქმედებას ხალხი ვერ იზამს, თუნდაც იმისთანა კეტითა სცემოთ თავში, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, „ადგილობრივს ვითარებას" ეგრე წინდაუხედავად ეძახიან.

ხალხისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ მის საყოველდღეო წვრილმან საქმეებისათვის მომრიგებელი მოსამართლე რაც შეიძლება მახლობლად ჰყვანდესო, სთქვეს რუსეთის კანონმდებელთა. არც ამ მიუცილებელმა საჭიროებამ გასჭრა ჩვენში.

არა გვგონია, ჩვენს კანონმდებლებს არ სცოდნოდათ, რომ იმისთანა სამართალი, როგორიც მომრიგებელ მოსამართლეს მიენდობა, ძალიან მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ უმაგისოდ მომრიგებელს მოსამართლობას უკეთესი ღონისძიება ერთმევა, რომ გაჭირვებულს თავის დროზედ მიეშველოს, ვნებულს თავის დროზედ მიხედოს, დარღვეული უფლება

სწრაფად აღადგინოს და ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს. სხვა დანიშნულება არა აქვს მომრიგებელ მოსამართლეს, როგორც ადგილობრივს მოხელეს და სამართლის ადგილობრივს წინამძღვარს. ხალხთა უმრავლესობა ყოველ ცისამარა დღეს იმდენს წვრილმანს, უფასურს საქმეს აღმოაჩენს ხოლმე თავის ყოფა-ცხოვრებაში, რომ თუ ამ საქმეებისათვის მახლობელი გამრჩევი არა ჰყავს, მითამ მოსამართლე სულაც არა ჰყოლია. შეუძლებელია, ამ წვრილმანს, თითქმის უფასურს საქმეებს, ყური არ ათხოვოს კაცმა, იმიტომ რომ ცხოვრებაში უფრო ამისთანა საქმეებია, რომელნიც შეადგენენ საკუთრივ ხალხის ზნეობითსა და ქონებითს სიმდიდრეს. ერთსაც და მეორესაც, როგორც არსებითსა კუთვნილებას და საჭიროებას ხალხისას, მუდამა, მახლობელი მფარველი უნდა ჰყვანდეს. უამისოდ ხალხს ზნეობაც შეერყევა ხოლმე და ქონებითი სიმდიდრეც დღემუდამ განსაცდელშია. სიიეფე სამართლისა განა მარტო იმისაგან წარმოსდგება, რომ სამართალი განთავისუფლებულ იყოს ყოველ სახელმწიფო ბაჟისა და ხარჯისაგან, არამედ იმისაგანაც, რომ გაჭირვებულს შორი სატარებელი არა ჰქონდეს თავის გულის დარდის ასაყრელად, თავის ზიანის შესავსებლად, თავისის და თავის ოჯახის პატივისა, ადამიანობის დასაცველად. შორი სატარებელი ბევრს ხარჯს, ბევრს დროს ითხოვს ხალხისაგან, ხალხს ეს ძალიან ძვირად უჯდება, ისე რომ ხშირად იძულებულია ხოლმე თავი დაანებოს საჩივარს, ოღონდ კი არ მოსცდეს თავის შინაურს საქმესა და ხარჯი არ გასწიოს წასვლა-მოსვლაში. საცა მთავრობა რომელისამე მიზეზით ამ ყოფაში ჩააგდებს ხოლმე ხალხს, იქ ხალხის თვალში — სამართალიც, რომელსაც სიშორით ვერ მიჰკარებია, მოსამართლეც — რომელსაც შორიდამ ვერ მისწვდენია, ის არის სწორედ, რაც მაღლა დაკიდებული ძეხვი კატისათვის. მეტი რა გზა აქვს, რომ კატასავით არა სთქვას: დღეს არ მეჭმევა, პარასკევიაო. ამ ყოფაში ხალხს სამართალი თვის მფარველად აღარ მიაჩნია და ამის გამო ამბობს გულში: რაც ჩემთვის არ არის, თუნდა იყოს, თუნდა არაო. ყველამ ვიცით, რომ ჩვენში ჯერ პირველად თითო მომრიგებელი მოსამართლე დანიშნეს თითო მაზრაში. წარმოიდგინეთ იმისთანა მაზრა, როგორც თელავია, რომელიც იწყება თითქმის ანანურიდამ — ლაგოდეხამდე, ცოტა რომ ვსთქვათ —

ას ორმოცდაათი ვერსტი, თუ არ მეტი, მაინც იქნება სიგრძით; ანუ დუშეთის მაზრა მცხეთიდამ ლარსამდე, ანუ გორისა — მცხეთიდამ ბეჟანთ-უბნამდე, ანუ ტფილისის თვალგაუწვდენელი მაზრა და სხვანი. მერე სცნეს, რომ შეუძლებელია ამოდენა ქარგლით მიზომვა სასამართლო ნაწილისა და ეხლა თითო მაზრაში ორ-ორი სამოსამართლო ნაწილია. ჩვენ ვამბობთ, რომ მაინც იმოდენა დიდი ნაწილებია, რომ ხალხისათვის სამართალი მეტად შორს არის; ხალხს უჭირდება სამართალთან მისვლა.

რამ აიძულა აქაური კანონმდებლობა, რომ ხალხს მომრიგებელი მოსამართლე არ დაუახლოვა? სხვა არაფერმა, ჩვენის ფიქრით, გარდა ფულის ანგარიშისა. სამართალი და განათლების საქმე ასეთი უაღრესნი და არსებითნი საჭიროებანი არიან სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, რომ აქ ფულის გაფრთხილება, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში, მეტად მავნებელი რამ არის, როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. სამართლის ურიგოდ მოწყობილება სვავია — რომელიც სნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია — რომელიც ჰკვეთს ფრთებსა ხალხის ხელთმოქმედებას და ეკონომიურს წარმოებას. ფული ორმოში იმალება იქ, საცა იმედი გაწყვეტილია, რომ ჩემი ნაწარმოები ჩემი იქნება; თუ ვინმემ გაბედა და შეცილებაო. და თუ ფული არ მუშაობს, თუ ხალხში თანხა უშიშრად არა ტრიალებს, თუ ხალხში მკვიდრი იმედი არ არის დამყარებული, რომ ყოველს ცილებას ადვილად გადამარჩენს სამართალიო. ყოველს დანაკარგს ადვილად და სწრაფად დამიბრუნებსო, — მაშინ სიმდიდრე ხალხისა, და აქედამ სიმდიდრეც სახელმწიფოსი, ამაო ნატვრაა. მაშინ ურთიერთშორისი ყისტი, ეხტიბარი (კრედიტი), ნდობა გატეხილია და, საცა ეს არ არის ფრთაგაშლილი და ფეხადგმული, იქ ნიშადურიც რომ ამოსცხოთ ხალხის სიმდიდრეს და ხაზინისას, რომლის მხოლოობითი წყარო ხალხის სიმდიდრეა, — ერთს ნაბიჯსაც წინ ვერ წაადგმევინებთ. კანონის სიმტკიცე, სიმკვიდრე, მიუდგომელობა, დადგრომილება, არამც თუ დიდი რაე არის, — ჩვენის ფიქრით, მიუცილებელია საზოგადოების, თუ სახელმწიფო სიმდიდრისათვის, და ეგე ყოველიფერი მაშინ არის, როცა სამართალი რიგიანად არის აგებული და რიგიანად წარმართებული. ყველამ უნდა იცოდეს მეთქი გულდა-

დებით, რომ მე ჩემი მალე დამიბრუნდება, მე ჩემი არ დამეკარგება, ერთის სიტყვით — სამართალი და კანონი უნდა ყველას სწამდეს თავის მფარველად, თავის სახსნელად. თუ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ, ვიმეორებთ, ყოველ ფერი ამაოა, მაშასადამე, ამისთანა საქმეში, როგორც სამართლის აღგება და დაყენებაა, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში — დიდი შეცდომა და შეუვსებელი ნაკლია.

ან განა მართლა აქაური ხაზინა ისეთს მდგომარეობაშია, რომ სამყოფს ფულს ვერა შოობს სამართლის რიგიან მოწყობისათვის? თითო მაზრაში რომ ოთხი მომრიგებელი მოსამართლე მაინც ყოფილიყო, მომრიგებელ მოსამართლისათვის რომ იმოდენა ტვირთი არ აეკიდნათ — როგორც ჩვენში, და ის ეკმარებინათ — რაც რუსეთშია მიღებული, მომრიგებელი მოსამართლე რომ აქაურ მცხოვრებთაგანი დაენიშნათ, მაშინ სრულიად საჭირო არ იქნებოდენ იმოდენა კანცელარიები, მთარგმნელები, რამოდენანიც ეხლა არიან და ჯამაგირებსა სჭამენ. მაშინ უსარგებლოდ იმოდენა ხარჯი არ წავიდოდა, რამოდენაც ეხლა კანცელარიებზედ და მთარგმნელებზედ მიდის, და იქნება გასწვდენოდა კიდეც იმ ხარჯს, რაც ოთხ-ოთხს მომრიგებელ მოსამართლეს თითო მაზრაში მოუნდებოდა. თუნდ ესეც არ იყოს, განა სხვა რაიმე სახელმწიფო გასავლის მოკლება არ შეიძლებოდა, რომ ამ უაღრესის საქმისათვის ფართოდ ხელის გაშლა არ დაბრკოლებულიყო. რატომ არ უნდა მოისპოს ეხლა ჩვენში, მაგალითად, თუნდა ის „დობავოჩნი“, რომელიც სრულიად უმიზეზოდ და უსაბუთოდ ეძლევათ ჩვენში სხვიდან მოსულს მოხელეს ყოველ ხუთს წელიწადში? ამას წინათ რუსულ გაზეთებში ნაჩვენები და დასახელებული იყო ის გასავალი, რომელიც ტყუილ-უბრალოდ ტვირთად აწევს აქაურს ხაზინასა. იმ უსამართლო გასავლის მოსპობა არა სჯობდა სამართლის ფესვების დაჭრასა?

ამ სახით, არც ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელიც „ადგილობრივ ვითარების“ სახელით სარჩულად დაუდვეს ჩვენს მომრიგებელს მოსამართლობის წესსა, ჰკუაში მისაღები არ არის. ამ სახით, სრულიად ტყუილ-უბრალოდ ჩვენი ხალხი გამოაკლეს იმ სიკეთეს, რაც განსამართლების წესმა რუსეთს,

ცოტად თუ ბევრად, მიანიჭა. ამ გამოკლებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ჩვენში მომრიგებელი მოსამართლობა ცარიელ, ღეროდ დარჩა, იმისთანა ღეროდ, რომელსაც ფესვებიც დაჭრილი აქვს და ფოთლებიც დაბღერტილი.

შემდეგ წერილში შეძლებისამებრ ვეცდებით ეს დავამტკიცოთ.

წერილი მეშვიდე და უკანასკნელი

წინა წერილში დავპირდით მკითხველებს, ვეცდებით-მეთქი დავამტკიცოთ, რომ მომრიგებელ მოსამართლობას ჩვენში ხელ-ფეხი შეუკრეს და წარმატების გზა გაღუღობეს ეგრეთ წოდებულ „ადგილობრივ ვითარების“ წყალობითა. ამის ცხადად გამოხატვისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რა აზრი ჰქონდათ კანონმდებელთა, როდ მომრიგებელი მოსამართლობა შემოიღეს, და რამოდენად ფართო გზა მისცეს იმ აზრს ჩვენში.

„უპირველესი და უმთავრესი დანიშნულება მომრიგებელ მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის მართლმსაჯულობისა მოდავეების მორიგება არისო“, — სთქვეს რუსეთის წესდების შემადგენელთა. ეს დანიშნულება გამოცხადებულია, როგორც სასისხლო სამართლის წესდებაში, ისე სამოქალაქოში. 70 მუხლი სამოქალაქო განსამართლების წესდებისა ვალად სდებს მომრიგებელ მოსამართლეს, რომ მოდავეთა საბუთების მოსმენის შემდეგ, უეჭველად ურჩიოს მორიგებით საქმის გათავება და თითონვე უჩვენოს, რა გზითაც შეიძლება, მისის აზრით, ეგ მორიგება. თითქმის ამ სახითვეა ეს ვალდებულება მომრიგებელ მოსამართლისა ნაჩვენები სასისხლო განსამართლების წესდებაშიაც. აქაური კანონმდებლობა, რასაკვირველია, პირდაპირ არ შეეხო ამ მუხლსა და ისე შეუცვლელად შემოიტანა ჩვენში. ძალიან კარგი, მაგრამ რა გზით უნდა აღსრულდეს ეს უპირველესი და უმთავრესი მოვალეობა მომრიგებელ მოსამართლისა ჩვენში?

ჩვენში ხშირად, ნამეტნავად ამ ბოლოს დროს, იმისთანა მომრიგებელი მოსამართლენი ინიშნებიან, რომელნიც ხალხის ენის უცოდინარნი არიან... უენო კაცმა რა გაარიგოს? რა შუაკაცობა უნდა გაუწიოს იმათ, ვისაც მაგისი არა ეყურე-

ბა რა და ვისიც თითონ არა ესმის-რა? გვეტყვიან, განა მთარგმნელის შემწეობით ვერ მოხერხდება მორიგებაო. ჩვენ პირდაპირ ვიტყვით, რომ მთარგმნელის შემწეობით უფრო ადვილად შეიძლება მორიგებული საქმე დაიშალოს, ვიდრე მოსარიგებელი გარიგდეს. ჯერ ერთი ეს, რომ სხვის პირით ლაპარაკს ისეთი ზედმოქმედება არ ექნება, როგორც თავისით თქმასა. მერე წარმოიდგინეთ ჩვენნი უმეცარნი მთარგმნელნი, რომელთ წყალობითაც სიტყვა ხშირად, არამც თუ სიცხოველეს და ძალასა ჰკარგავს, არამედ თითონ მნიშვნელობასაცა, და თქვენ გინდათ — რომ ამის შემწეობით დახვლანჭული საქმე გარიგდეს! გარდა ამისა, მთარგმნელის შემწეობით მოლაპარაკებას ერთი-ორად მეტი დრო უნდება და მოსარიგებელი მოსამართლე, ძალიანაც მოწადინებული რომ იყოს, ბაგდენს დროს ვერ მოახმარებს ერთს საქმეს, რადგანაც სხვა საქმეებიც ბევრი აქვს. ამიტომაც ტყუილი იქნება, თუ მორიგებით საქმის გათავებას ან უენო მოსამართლე დაიქადებს, ან მისი უმეცარი მთარგმნელი. გულდაჯერებით ვიტყვით, რომ თუ სადმე რამოდენიმე საქმე მორიგებით თავდება, — ეგ მოხდება ხოლმე თითონ მოდავეთა წყალობით, მოსამართლის დაუხმარებლად. ათში რვა მაინც თავდება ამ გზით და отчет-ებში კი, რასაკვირველია, ნაჩვენებია, რომ მოსამართლემ მოარიგაო. ეგ უენობაა უპირველესი მიზეზი, რომ „უმთავრესი დანიშნულება“ მომრიგებელ მოსამართლისა ჩვენში უფრო ბევრგან უქმადა ჰრჩება და მარტო იმით იმოსება, რომ მოსამართლე ფორმის გულისათვის ეკითხება მოდავეებს, მორიგების სურვილი ხომ არ მოგსვლიათო.

თუნდ ეგ არ იყოს, თითონ კანონმდებელთა აღიარეს, რომ მოსამართლე ვერ აღასრულებს ამ უპირველესს დანიშნულებასაო, თუ რომ ზედმიწევნით არ იცის არამც თუ მარტო გარეგანი ვითარება საქმისა, არამედ შინაგანი გარემოებაცა, თუ არ იცის ადგილობრივი ავკარგიანობა, ეკონომიური ყოფაცხოვრება, ერთმანეთზედ დამოკიდებულება, ხალხის ჩვეულება და ხშირად თითონ მოდავეთა ხასიათიცაო. იმავე კანონმდებელთა სამართლიანის აზრით, ესე ყოველი არავის ეცოდინება, თუ არ იმისთანა მოსამართლეს, რომელიც იმავ ადგილის შვილია, იქაურივე მცხოვრებელია, საცა მოქმედებს.

ყოველ უამისოდ ტყუილია მორიგებაზედ სიტყვის ჩამოგდება, იმიტომ, რომ შეუძლებელია. სხვაგნით მოყვანილი კაცი, რაც უნდა კარგი იყოს, ვერ იზამს იმისთანა მოსამართლობას, რომლის აზრიც კანონმდებელთა ჰქონდათ. პირველი, რომ იმის სიტყვას, როგორც უცნობის და ხამის კაცისას, ისეთი ზედმოქმედება არ ექმნება, როგორიც შინაურის კაცის რჩევას; მეორე, რომ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების და ჩვეულების უცოდინარი იმისთანა მორიგების გზას ვერ უჩვენებს მოდავეებს, რომ შეეფერებოდეს საქმის ჭეშმარიტს და არა ფორმალურს გარემოებასა. რუსეთშიაც უჩივიან, რომ მომრიგებელნი მოსამართლენი ვერ ასრულებენ ამ უმთავრესს დანიშნულებასა ისე, როგორც სანატრელია და, სხვათა შორის, მიზეზად ის მოჰყავთ, რომ კანონი ნებას აძლევსო იმისთანა კაცი ამოირჩიონ მოსამართლედ, რომელსაც მარტო მამული აქვს იქ, საცა ირჩევენო და ცხოვრებით კი იქ არა სცხოვრებსო; ამის გამო ადგილობრივის გარემოების უცოდინარია და თავის დანიშნულებას წარმატებით ვერ ასრულებსო*. თუ რუსეთში ერთს მაზრაში მცხოვრებელი ვერა ვარგობს მეორე მაზრაში, რომელთანაც ქონებითი და თემობითი კავშირი მაინცა აქვს, აბა როგორ უნდა ივარგოს ჩვენში კაცმა, სრულიად ხამად მოსულმა უცხო ხალხში, ჩვენთან არავითარის კავშირის მქონებელმა, ჩვენის ენისა, ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების მთლად უცოდინარმა? თუ რუსს რუსეთში უძნელდება საქმის მორიგება, სხვათა შორის იმითაც, რომ ადგილის მკვიდრი მცხოვრებელი არ არის და ადგილობრივის ვითარების უცოდინარია, ჩვენში ხომ უფრო უარესად უნდა გაუძნელდეს? აკი უძნელდებათ კიდეც.

პირველ ხანებში, ესე იგი — 1869, 1870, 1871 წ., ცდილობდნენ, რომ აქაურები მაინც დაენიშნათ მოსამართლეებად და ამით, ცოტად თუ ბევრად, შეევსოთ ის ნაკლი, რომელიც უეჭველად თან უნდა მოჰყოლოდა მომრიგებელ მოსამართლეების უარჩევანოდ დანიშვნასა. და მინამ ეს ასე იყო, რიცხვი მორიგებით გათავებულ საქმეებისა, თუმცა საზოგადოდ ბევრი არ იყო, მაგრამ მაინც მომეტებული იყო, ვიდრე მას მერმედ, როცა სხვაგნიდამ უთავბოლოდ მოწვეულების რიცხვი

---

* Наша Мировая Юстиция. От. Зап., 1879 г., № 6.

გამრავლდა. მეთორმეტე წელიწადია, რაც ჩვენში ახალი წესი განსამართლებისა შემოვიდა. ჩვენ მხოლოდ ოთხის წლის отчет-ები ჩავიგდეთ ხელში და იქიდამ ამოკრეფილი ციფრებიც საკმაოდ გვაჩვენებს, — პირველ სამ წელიწადს შემდეგ რამოდენად იკლო მორიგეობით გათავებულ საქმეების რიცხვმა. პირველ სამს წელიწადში მთელს ამიერ-კავკასიაში მორიგებით გათავებული საქმეები ყველა საქმეების საერთო რიცხვზედ მოდიოდა ასზედ $24^1/_4$, ხოლო 1875 წ. მარტო $19^3/_4$. პირველს სამს წელიწადს გათავებულ საქმეთა შორის ასზედ $34^5/_6$ მორიგებით გათავებული მოდიოდა და 1875 წ. კი მარტო $20^1/_5$ მოვიდა, ერთბაშად თითქმის ნახევარზედ ჩამოხტა, თუმცა კი მერედ და მერედ მორიგებით გათავებული საქმეების რიცხვი უფრო უნდა მომატებულიყო, იმიტომ რომ 1870 წ. შემდეგ მომრიგებელი მოსამართლეები ერთი-ორად მოემატნენ რიცხვით, რადგანაც ყოველი მაზრა თითქმის ორ-ორ სამოსამართლო ნაწილად დაიყო. მაშასადამე, თვითეულს მოსამართლეს უფრო მეტი დრო და მოცალეობა ექმნებოდა მორიგებით საქმის გათავებისათვის. ეს ციფრები მარტო სამოქალაქო საქმეებს შეეხება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დანარჩენი წლების отчет-ებიც არ გაგვამტყუნებენ იმაში, რომ ჩვენში მომრიგებელი მოსამართლობა თანდათან უფრო ნაკლებად ასრულებს თავის „უპირველესს და უმთავრეს დანიშნულებას“ და, თუ ჩვენგან წინა წერილში ნაჩვენები წამალი არ დაედო, იქამდინ მივა, რომ სრულებითაც დაჰკარგავს მაგ დანიშნულებას, თუ ჯერ აქამდის დაკარგული არა აქვს. ზემოთმოყვანილ ციფრებიდამ ცხადია, რომ მომრიგებელ მოსამართლობას ჩვენში თავის „უმთავრესის დანიშნულების“ წარმატებისათვის გზა გადაღობილი აქვს, და ის დედაბოძი მუხლი უმაღლესად მონიჭებულის წესდებისა, რომელიც შეიცავს მთელ სიკეთეს მომრიგებელ მოსამართლობისას, თითქმის სრულიად გაუქმებული არის ჩვენთვის.

კანონმდებელთა აზრით, მომრიგებელი მოსამართლე ხალხის შინაური და მახლობელი მსაჯულია, და თითონ ხალხსაც ეხამუშებაო ფორმალური სამართლე და პატივ-ჰსცემს ამისთანა სიმართლეს, რომელიც, მისი აზრით, ნამდვილი და ჭეშ-

მარიტია და რომელსაც მეცნიერნი ბუნებრივს სიმართლეს* უწოდებენ. ამისათვის კანონმდებელთა ალიარეს, რომ მეორე დანიშნულება მომრიგებელ მოსამართლისა ის არისო, რომ საქმის გადაწყვეტის დროს წინ წაიმძღვაროს ნამდვილი და არა ფორმალური საბუთი საქმისა, მისი შინაგანი გარემოება, ადგილობრივნი მიზეზნი, მცხოვრებელთა ხასიათი, მათი მოსაზრება, ეკონომიური ყოფა-ცხოვრება, ცხოვრების მოთხოვნილება და ხალხის საზოგადოდ ცნობილი ჩვეულება. ამიტომაც საჭიროდ დაინახეს, რომ მომრიგებელ მოსამართლეს ნება ჰქონდეს საქმე გადასწყვიტოს ჩვეულების ძალითაცა, ესე იგი იმ სიმართლით, რაც ხალხის სინდისს შეეფერება, რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლედ უცვნია და დღესაც სიმართლედა სწამს. „მნიშვნელობა და ძალი ჩვეულებისა ისეთია, — სთქვეს რუსეთის წესდების შემადგენელთა, — რომ მასაც ადგილი უნდა ჰქონდეს მომრიგებელ მოსამართლის საქმის წარმოებაშიო. უამისოდ ტყუილ-უბრალოდ შეუწყროვდება ცხოვრება და თითონ მომრიგებელ მოსამართლის განაჩენიც ცხადად უსამართლო იქნება ხალხის თვალშიაო". რაღა თქმა უნდა, რომ აქ იგულისხმება მარტო გონიერი, კეთილზნეობითი, საერთოდ ალიარებული ჩვეულება, რომელიც, ხალხის სიტყვით, რჯულთ უმტკიცესია, რომლის უარყოფა ხალხს უსამართლობად მიაჩნია და რომელიც მეცნიერებაში რჯულთდებულების სათავედ ცნობილია.

თუ რუსეთისათვის საჭიროდ დაინახეს ჩვეულების ძალითაც საქმის გადაწყვეტა, თუ მართლმსაჯულობის წარმატებისათვის ჩვეულებასაც ადგილი მისცეს იქ, საცა მოქმედობს მათივე კანონი, მათსავე ცხოვრებასთან, ზნესთან, ხასიათთან, ჩვეულებასთან, ეკონომიურს მდგომარეობასთან, ცოტად თუ ბევრად შეფერებული და დაახლოვებული, ერთის სიტყვით — იმისთანა კანონი, რომელიც მათის ისტორიის და ცხოვრების ღვიძლი შვილია, ჩვენში ხომ ჩვეულებისათვის უფრო ფართო გზა უნდა დაენიშნათ. უამისოდ ჩვენ ძალაუნებურად უნდა დავჯერებოდით მარტო კანონსა, რომელიც ბევრში ვერ შეეფერება ვერც ჩვენს განსხვავებულს ყოფა-ცხოვრებას, ვერც ჩვენს განსხვავებულს ეკონომიურს მდგომარეობას, ვერც ჩვენს შეხედულებას ურთიერთშორის დამოკიდებუ-

* Естественная справедливость.

ლებაზე, ვერც ზნესა და ვერც ჩვენს ხასიათსა. კანონის შესავსებლად, ჭეშმარიტის სიმართლის საწარმოებლად, მართლმსაჯულობის წარსამატებლად აქ, ჩვენში, უფრო საჭირო იყო მოეწვიათ ჩვეულება და მისთვის ფართო ადგილი მიეცათ განსამართლების წესდებაში. ამიტომ — რომ აქ, ჩვენში, განსხვავებულ ყოფა-ცხოვრების გამო, უფრო ხშირია იმისთანა შემთხვევა, რომელიც არ არის მოხსენებული მომქმედს კანონებში, ან თუ არის, ხშირად წინააღმდეგია ხალხისაგან ცნობილ სიმართლისა. მაგალითებრ, აუარებელი დავები შესახებ მიწისა, ტყისა, საძოვრების მფლობელობისა, გზებისა, ვენახებისა, სახლიკაცობისა, ნოჯამაგირობისა, ზედ-სიძობისა, ძმად-შესულობისა, ქალთა მონაწილეობისა მემკვიდრეობაში, ქალთა **საკუთრებისა** ოჯახში (სათავნო ქალისა), სამკვდროსი, სამკვიდროსი, სამარხისა, საქვრივოსი, ნაცვალ-გარდობით მუშაობისა, გაყრილობისა და ბევრი ამისთანაები. ყოველს ამ შემთხვევაში ჩვენი ჩვეულება, ესე იგი — ხალხისაგან მამა-პაპით აღიარებული სიმართლე, ერთს ამბობს და რუსული კანონები კი — ან სულ არას ამბობენ, ან თუ ამბობენ, სულ სხვასა.

„ადგილობრივს ვითარებას" აი აქ უნდა გაეშალა ფრთა მაგრამ, არამც თუ ფრთა გააშლევინეს, ფრთა შეაკვეცეს და ეგ მეორე უმაღლესი ღირსება მომრიგებელ მოსამართლეობისა სრულად ჩამოერთვა ჩვენს ქვეყანასა, რომელიც რუსეთზედ უფრო გაცილებით შეტად საჭიროებდა, რომ მომრიგებელ მოსამართლეობას ეგ სიკეთე უფრო ვრცლად და უფრო ბევრს შემთხვევაში შეჰრჩენოდა.

ჯერ თითონ საზოგადო წესდებაშივე ჩვეულების გამოყენების ნება საქმის წარმოებაში ისეთის პირობებით არის გარემოცული, რომ ძნელად თუ მიეცემა მომრიგებელ მოსამართლეს შემთხვევა ჩვეულების ძალით საქმე გადასწყვიტოს, და ჩვენ-კი ესეც არ გვაკმარეს. 130 მუხლი სამოქალაქო განსამართლების წესდებისა ჩვეულების შესახებ ამბობს, რომ თუ ან ერთი მოდავე ცალკე, ან ყველანი ერთად, ჩვეულებაზედ დაეფუძნებიანო, მომრიგებელ მოსამართლეს ნება აქვს საყოველთაოდ ცნობილი ჩვეულება საბუთად მიიღოს საქმის გადაწყვეტაშიო, მხოლოდ იმისთანა საგნის შესახებ კი, რომელზედაც თითონ კანონი ნებას იძლევა, ან რომელზედაც

თითონ კანონი პირდაპირ არას ამბობსო. ეს მუხლი, რუსეთის მწერლობის სიტყვით, თავისთავს თითონვე აუქმებს; იმავე წესდების 9 მუხლი, რომელიც მომრიგებელ მოსამართლისათვისაც კანონია, ვალად სდებს მოსამართლეს, რომ თუ მოქმედი კანონი არ არის სრული, არ არის ცხადი და ნაკლულია, ან თუ ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, მაშინ სამართალი დააფუძნოს მთელის კანონმდებლობის საერთო აზრსა და მნიშვნელობაზედ. განა იმისთანა საქმე შესაძლოა კაცმა წარმოიდგინოსო, რომელიც, თუ არ ზედგამოჭრილის კანონით, კანონმდებლობის საერთო აზრით მაინც არ გადასწყდესო, ამბობს იგივე მწერლობა*. მაშასადამე, მომრიგებელ მოსამართლეს არასოდეს არ მიეცემა იმისთანა შემთხვევა, რომ ჩვეულება რაშიმე გამოიყენოს, იმიტომ რომ, რაც უნდა საქმე იყოს, იმის გადასაწყვეტად ან ზედგამოჭრილი კანონი მოიპოვება, ან არა და საერთო აზრს მთელის რჯულთდებისას ხომ ვერა შემთხვევაში ვერ წაუვა.

ამ მხრით, კანონმდებელთა სამართლიანი აზრი ჩვეულების შესახებ, თუ სრულიად გაუქმებული არა, ძალიან შევიწროვებული მაინც არის წესდებაში. ჩვენ ამას ვამბობთ რუსეთზედ. ჩვენში კი ამ ჭირს სხვა ჭირიც ზედ დაუმატეს. წეღანაცა ვსთქვით, „ადგილობრივი ვითარება“ აქ უნდა მოეხმარათ საბუთად აქაურს კანონმდებლებსა, თუ სურდათ, რომ მართლმსაჯულებას ჩვენში სანატრელი ნაყოფი გამოეღო და ხალხისაგანაც პატივისცემა მოეპოვნა. ჩვენში „ადგილობრივის ვითარების“ სახელით 130 მუხლისათვის უნდა ჩამოეცალათ ის პირობები, რომელიც სულსა ჰხუთავს ჩვეულებასა თითონ რუსეთშიაც, და მის სამოქმედოდ უფრო ფართო მოედანი შემოეხაზნათ. სწორედ ამას თხოულობს ჭეშმარიტად ცნობილი, მართალის გულით მიჩნეული „ადგილობრივი ვითარება“. ამის სანაცვლოდ ის მოგვიხდა, რომ დღეს 130 მუხლი წესდებისა ჩვენთვის სრულებით არ არსებობს თვით იმ სახითაც, რა სახითაც დღეს რუსეთშია, თუმცა კი ამ მუხლს აქაურები პირდაპირ არ შეჰხებიან. რატომ მოგვიხდა ეგა? იმიტომ — რომ ჩვენში დღესაც უარყოფილია ის აზრი, რომ აქაურს ხალხს ან აქაური კაცივე უნდა მოსამართლედ, ან იმისთანა, რომელმაც იცის მისი ენა და ყოფა-ცხოვრება ზედ-

---

* Журнал гражд. и уголов. права, 1875 г., № 5.

მიწევნით. ადგილის კურდღელს ადგილისავე მწევარი დაიჭერსო, ნათქვამია. ეს ანდაზა ისე არაფერს არ უხდება, როგორც მომრიგებელ მოსამართლობას. რუსეთის კანონმდებელთა ეგ აზრი მტკიცედ წარმოსთქვეს და მკვიდრადაც გაუდვეს ხიდად მომრიგებელ მოსამართლობას რუსეთში იმით, რომ რუსეთში თითონ მცხოვრებელთ მიანიჭეს უფლება თავის მოსამართლე თითონვე თავიანთაგან ამოირჩიონ. ჩვენში-კი ეგ აზრი პირველ დღიდგანვე უარყოფილია და დღეს მომრიგებელ მოსამართლეთა შორის უფროს-ერთი ჩვენთვის სრულიად უცხო კაცია, ხშირად არამცთუ ჩვენის ყოფა-ცხოვრების მცოდნე, არამედ ხალხის ენის უცოდინარიც არის, და შოდით, იმისთანა კაცს დაავალეთ, რომ ხალხის ჩვეულება ზედმიწევნით იცოდეს და საქმეში გამოიყენოს. ტყუილი დავალება იქნება.

ჩვეულება — ეგ უკეთესი მხარე მომრიგებელ მოსამართლობისა, ეგ არსებითი კუთვნილება მისი, ეგ დედაბოძი ბუნებრივის სიმართლისა, — იმოდენად უარყოფილია ჩვენში, რომ ჩვენებურს განსამართლების გამგეებს საჭიროდაც არ დაუნახავთ отчет-ებში ადგილი მიეცათ იმის საჩვენებლად, თუ რავდენი საქმე გათავებულა ჩვეულების ძალითა. ოთხის წლის отчет-ები გვქონდა ხელში და არც ერთში ჩვეულების ხსენებაც არ არის. ცხადია, რომ აქ ჩვეულება არაფრად მიაჩნიათ მომრიგებელ მოსამართლობისათვის და, მაშასადამე, თითონ მაგ მოსამართლობის არსებითი თვისებაც ცნობილი არა ჰქონიათ.

თუ მომრიგებელი მოსამართლობა ვისთვისმე და სადმე სანატრელი ყოფილა, მარტო იმით ყოფილა, რომ პირველი მისი ღირსება მოდავეთა შორის შუაკაცობაა, და მეორე — ბუნებრივის სიმართლით საქმის გადაწყვეტა უფრო, ვიდრე ფორმალურის სიმართლითა. ესეა იგი ცნობილი თითონ მეცნიერებაში და რუსეთის კანონმდებელთაგანაც ესეა აღიარებული. ეს ორი თვისებაა გული და სული მომრიგებელ სამართლიანობისა. ჩვენში კი ისე მოაწყეს მომრიგებელი მოსამართლობა, რომ თითქმის ყოვლად შეუძლებელი გახადეს ან ერთი ეგ არსებითი თვისება განხორციელებულიყო, ან მეორე. ჩვენში მომრიგებელი მოსამართლე იმ გზით ინიშნება, რომ ვერც შუაკაცობა შეუძლიან, ვერც ბუნებრივის სიმართლით საქმის წარმოება. აქედამ ცხადია, რომ ჩვენებურს

კანონმდებლებს ან ვერ მიუგნიათ მომრიგებელ მოსამართლობის სიცოცხლის ძარღვისათვის, ან მიუგნიათ და საჭიროდ არ დაუნახავთ, რომ მოსამართლობის აგებულებაში იმ ძარღვს ეტრიალებინა სიცოცხლის მიმნიჭებელი სისხლი.

ამიტომაც ჩვენში მომრიგებელს მოსამართლობას ჩამოეცალა ის უკეთესი მხარე, რომლითაც იგი სანატრელია ყველასათვის, და ეგე თვისის დანიშნულებით სახალხო სამართალი — შეიქმნა ფორმალურ სამართლად. ამ სახით, გზაგადაღობილი მომრიგებელი მოსამართლობა გადუდგა ჩვენში ჩვენებურს ცხოვრებასა და ჩვენებური ცხოვრება — მომრიგებელ მოსამართლობასა. ამის გამო აქ არც ცხოვრება შველის კანონის წარმატებით სვლასა და არც კანონი ცხოვრების კეთილდღეობასა. ვერც კანონს დაუმორჩილებია ცხოვრება, რომ კეთილად წარმართოს, ვერც ცხოვრებას შეუფერებია კანონი, რომ სიკეთის დედაბოძად გამოიყენოს. „ერთის აღმა ხნულს მეორე დაღმა ფარცხავს“. ესეთი დღე დაადგა ეგრეთ წოდებულს „მომრიგებელ მოსამართლობას“ მარტო იმის გამო, რომ აშაურებს დღევანდლამდე არა სწამთ ყველასაგან წამებული ჭეშმარიტება, — აღგილის საქმეს ადგილის კაცი უნდა და არა უცხო და ხამიო.

[1877 — 1881 წ.]

პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო

წერილი პირველი

ტფილისი, 3 იანვარი, 1887 წ.

ამ შვიდის წლის წინათ „ივერიამ“*, ჯერ როცა ჟურნალი იყო, გამოსთქვა, რომ სოფელი ერთს წოდებათა გაურჩეველს საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს; რომ სოფლის მმართველობასა და გამგეობაში წოდებათა გარჩევა არ უნდა იყოს;

* იხილე ჟურნალი „ივერია“, 1879 წ. („ცხოვრება და კანონი“).

რომ უფლება და მოვალეობა ერთნაირის თანასწორობით განაწილებულ უნდა იქმნეს სოფლის ყველა მკვიდრზე, იმისდა მიუხედავად, თუ მკვიდრი რომლის წოდებისაა. „ივერიამ“ წინათვე აღიარა თვისი შიში მასზედ, რომ ამ ჩვენს აზრს თვითმსჯელობას მოკლებული კაცი მოესევა და უვიცობის ლაღობით პენტვას დაუწყებსო. წინათგრძნობამ არ უმტყუვნა „ივერიას“ და იმავ „ივერიის“ ფურცლებზედ ერთმა ლიბერალმა, ლიბერალობის სახელით, გამოილაშქრა ამ აზრზედ და მის ავტორს რეტროგრადობა შესწამა. ამით გათავდა მაშინ ეს საქმე. ავტორმა პასუხი არ გასცა თავმომწონე ლიბერალსა, მაგრამ ამ ლიბერალს ცუდი საქმე დაემართა. უცებობის ნახტომი ისეთი დიდი მოუვიდა, რომ თავმოწონებული ლიბერალი, მისდა დაუკითხავად, რეტროგრადთა წრეში მოექცა. იქნება მერე ბევრიც იოცა, ეს რა მომივიდაო, მაგრამ რაღას უშველიდა.

არ გასულა ერთი წელიწადი, და პროფესორმა გრადოვსკიმ გამოსთქვა იგივე აზრი, რაც „ივერიამ“. რა თქმა უნდა, ეს გარემოება კიდევ საკმარისი არ იქნებოდა, რომ ტყუილის ლიბერალობის ცეცხლით აპილპილებული და გახურებული კაცი განელებულიყო. ამ სამისა თუ ოთხის წლის წინათ, როცა აწ განსვენებულმა აკსაკოვმა ნიშნის მიგებით წააყვედრა რუსეთის ლიბერალებს, თქვენც არ იცით რა გსურთო, და თუ იცით, აბა ერთი გვაჩვენეთ, თქვენს დროშაზედ რა აწერიაო, მაშინ ჟურნალმა „Вестник Европы“ ლიბერალების სახელით სხვათა შორის დაასახელა იგივე აზრი, რაც ჟურნალმა „ივერიამ“ გამოსთქვა, და რაც ასე გაბედვით ითაკილა ჩვენმა შინაურმა ლიბერალმა, როგორც რეტროგრადების აზრი. ხოლო საოცარი ამბავი კი მოხდა. მას აქეთ ამ აზრს ეურჩებიან და ებრძვიან რუსეთში რეტროგრადები, და ლიბერალები-კი მფარველობენ და ესარჩლებიან. ვისაც ყური უდევნებია რუსულ ჟურნალ-გაზეთებისათვის და ერთობ ლიტერატურისათვის, ამის საბუთს არ მოგვთხოვენ. „ივერიისაგან“ გამოთქმული აზრი და ჩვენის ლიბერალისაგან დაწუნებული, დღეს რუსეთში დიდს გარჩევაშია და დიდი საბაასო საგანია, რადგანაც თვით უმაღლესი მთავრობა ჰზრუნავს, რომ სოფლის სათემო მმართველობა უკეთესად მოაწყოს, იმიტომ რომ შენიშნულია მისი ეხლანდელი ნაკლულოვანება.

13-ს დეკემბერს წარსულის წლისას ერთს სამეცნიერო საზოგადოებაში* პეტერბურგში ბ-ნ არსენიევის რეფერატის გამო ამავე საგანზედ ჩამოვარდნილა ლაპარაკი და ბ-ნ არსენიევს თვის მოპირდაპირეთათვის უთქვამს: ყოველთა წოდებათა საერთო სასოფლო თემობა (всесословная волость) ერთადერთი ღონეა და სახსარი, ერთად-ერთი შესაძლებელი აგებულებაა ადგილობრივის მმართველობისა და მთლად შეეფერება ეხლანდელის ცხოვრების მოთხოვნილებასაო. ბ-ნს სპასოვიჩს გამოუცხადებია, რომ სრულად თანამოზიარე ვარ ბ-ნ არსენიევის აზრისაო და მეც ერთადერთ ღონედ ყოველთა წოდებათა საერთო სასოფლო თემობა მიმაჩნიაო. არა გვგონია, ჩვენმა შინაურმა ლიბერალმა თავის გასამართლებლად იკადნიეროს და ბ-ნნი არსენიევი და სპასოვიჩი რეტროგრადთა რიცხვში მოაქციოს. ძნელი საქმეა, როცა კაცი ლიბერალობს და არ იცის-კი ცნობა აზრისა, თუ ქვეშ არ უწერია, ეს აზრი ამა და ამ ფერისაათ. ამასა ჰქვიან, რუსები რომ იტყვიან: „своя своих не познала".

ჩვენ თუ ეს დავიწყებული ამბავი გავიხსენეთ, მარტო იმისთვის, რომ დღეს აქაური მთავრობაც და უმაღლესიც იმის ზრუნვაშია, რომ განაკარგოს სასოფლო თვითმმართველობა. მეტი არ იქნება, რომ აქაურთა ახალის წესის შემადგენელთა სახეში იქონიონ სათანადრძნობელი აზრი ბ-ნთ არსენიევისა და სპასოვიჩისა.

წერილი მეორე

ტფილისი, 14 მარტი, 1887 წ.

I

ბ-ნმა ხუდადოვმა ჩვენის ერთის მეთაურის გამო მოგვიძღვნა წერილი. იგი წერილი უკვე დაბეჭდილია „ივერიის" № 51-ში. ბ-ნმა ხუდადოვმა დაგვიწუნა, რომ ლიბერალთა დასის კაცნი და იმავ დასის ჟურნალი „Вестник Европы" ვიმოწმეთ ერთს შემთხვევაში. სახელდობრ, იმ შემთხვევაში, რომ სხვადასხვა წოდებათა გამოუკლებლად და განურჩევლად აგება სოფლის საზოგადოებისა თუ თემისა — ლიბერალ-

* Административное Отделение Юридического Общества.

თა დასის მოძღვრებაა სხვათა შორის. რასაკვირველია, ეს აზრი თავისთავადაც ანიშნებს კაცს, რა ბანაკისაც არის. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ უსწორ-მასწორობა, უჯრა-უჯრობა, გუნდ-გუნდობა კაცთა საზოგადოების აგებულებაში, — პატარაა იგი საზოგადოება თუ დიდი, — ყველა წარჩინებულ კაცთაგან ცნობილია წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზად. რუსეთშიაც სცნეს ესა, და ამ ბოლოს დროს ჰცდილობენ ერთი განურჩეველი სათემო შეჰქმნან, ეხლანდელ მარტო საგლეხო სათემოს მაგიერ. ყველა განათლებულ ქვეყნებში ეგ პატარა ადმინისტრატიული წრეც სხვასთან ერთად ამ დედა-აზრზეა აგებული. ამის ცოდნას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა და, — თუ გნებავთ, — მეტიც იყო ჩვენის მხრით, რომ სხვები ვიმოწმეთ. მაგრამ სიტყვამ მოიტანა და ჩვენც იგი მოწმები დავასახელეთ, იმისათვის კი არა, რომ ჩვენის აზრის საბუთიანობა იმათს მოწმობაზედ დაგვემყარებინა, არამედ იმისათვის, რომ ამ აზრს ერთს დროს რეტროგრადობა უკიჟინეს, და ამ კიჟინის უკუსაქცევად უკეთესი რა იქნებოდა, თუ არ მოწმობა თითონ ლიბერალებისა, რომ ეგ ჩვენი აზრი და მოძღვრება არისო. ზოგისათვის ამისთანა ბეჭედდაკრული მოწმობაა საჭირო, რადგანაც თვით ბუნება აზრისა მათთვის მიუწვდომელია. ბ-ნს ხუდადოვს კი ჰგონია, რომ ჩვენ თითონ საბუთიანობა აზრისა ამ მოწმობით გვინდოდა დაგვემტკიცებინა. გონიაობა, თუ სადავე მივუშვით, უფრო შორსაც წავა ხოლმე.

ეგ არაფერი. ჩვენ არც ერთგან არც ერთი სიტყვა არ წაგვცდენია, რომ კაცმა დაგვწამოს, ვითომ „რიხიანის მუქარით“ გვეთქვას, „როგორ გაბედეთ“ და ჩვენის მოწმეების წინააღმდეგ სთქვით რამეო. მართალია, კაცია და გუნებაო, მაგრამ კაცსაც და გუნებასაც თავისი საზღვარი აქვს. გავკადნიერდებით და მოვახსენებთ ბ-ნს ხუდადოვს, რომ ივი ამ საზღვარს გადაცილებულა, რადგანაც უნებებია და სწორედ ამასა გვწამებს, რომ ჩვენს მეთაურს წერილში ვითომ — „სულ რიხიანი მუქარაა, თუ როგორ გაბედეთ და წინააღმდეგ გრადოვსკისა, არსენიევისა და სპასოვიჩისა ხმა ამოიღეთო“.

ბ-ნ ხუდადოვის ადგილას ჩვენ ამისთანა სულელობას არავის შევწამებდით. აქ „კაცია და გუნება“ — ვერაფერი მეშველია. იმას, რაც ბ-ნმა ხუდადოვმა შეგვწამა, არც ვიტყვით

თავის-დღეში და არც გვითქვამს, და ვინც ესა სთქვა, იმასვე შეეკამათოს ამისი დამწამებელი, თუ საკმაო მოცალეობა აქვს. ბ-ნის ხუდადოვის წერილი სხვა მხრით არის შესანიშნავი. იქ ერთი აზრია გამოთქმული, რომელსაც ერთს დროს დიდი ფხა და ავალა ჰქონდა რუსეთში და რომელმაც მარტო მით, რომ ცნობიერად გაგებული არ იყო, არა ერთსა და ორს ყმაწვილკაცს გზა-კვალი დაუბნევია იქაც და ჩვენშიაც. ამ აზრს, ბ-ნ ხუდადოვისაგან ბუნდად, ყრუდ და გაკვრით გამოთქმულს, განმარტება უნდა, და თუ დღეს ბ-ნ ხუდადოვის წერილის გამო ჩამოაგდეთ ლაპარაკი, ჩვენი თავდაპირველი სურვილი მაგ აზრის განმარტებაა.

ავტორიტეტების მოწმად მოწვევის გამო, ბ-ნ ხუდადოვი ერთს, ცოტა არ იყოს, ჟამთა-ვითარებით გახუნებულს ზოგადს აზრს გვიქადაგებს ამ-სახით:

„ეჰ, დარბაისელო, დიდიხანია კერპთმსახურება გადავარდა და სხვადასხვა ბობოლეების თაყვანისცემა უგუნურობად მიგვაჩნია“.

ჩვენ რომ ბ-ნ ხუდადოვსავით, კაცია და გუნებაა — ამ ანდაზას დავადგეთ, ვიტყოდით, რომ ეს მეტისმეტი მოსვლია ამის მთქმელს და ამაოდ თავმოწონებას უფრო მოასწავებს, ვიდრე დამჯდარ გონების გამონაკვლევს. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბ-ნი ხუდადოვი გონებაგახსნილი კაცია, ნასწავლია, მცოდნეა და ამიტომ ვამბობთ, რომ ამ სიტყვებში ის არ უნდა ვიგულისხმოთ, რასაც სიტყვები პირდაპირ გვეუბნებიან. თუ არა ვცდებით, — ბ-ნს ხუდადოვს ამით იმისი თქმა უნდა, რომ ავტორიტეტები, ესე იგი, ყველასგან ცნობილნი, სახელმოპოებულნი მეცნიერნი ყოველთვის არიან და იქნებიან, და ამათი თაყვანისცემა არ დაილევა ქვეყნიერებაზედ, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტს ღვაწლს, ზედმიწევნილ ცოდნას, მეცნიერებას, სიბრძნეს და ამათით მოპოებულს სახელს კაცის თვალში პატივი, ფასი და დიდება ექნება. ხოლო ბრმად დაჯერება ყოველ იმისი, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურისმგდებელის ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარჰყოფს, — მართლა დიდიხანია უგუნურობად არის მიჩნეული. თვით იქვლიე, თუ შეძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩხრიკე, შეამოწმე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ, და ამ სახით შენს სა-

კუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხვისაგან ალმოჩენილი და ნაკვლევი. ხოლო საცა გონება და ჭკუა, რომელისამე მიზეზით, ვერ მიგიწვდეს და არჩევანში ხარ, შენს არა-გამორკვეულს აზრს, არა-ცოდნას, სხვისი, სახელგანთქმულის მეცნიერის, გარკვეული აზრი და ცოდნა მოაშველეო, — აი, ეს არის ეხლანდელი მოძღვრება ავტორიტეტების გამო, და ბრმად დანდობა კი და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი საკუთარი გონება საბუთიანად სხვარიგად გიჭრის, — ეგ უწინდებური ცოდვაა, უგუნურობად მიჩნეული და სამართლიანად განდევნილი, უარყოფილი. აქაო და არისტოტელმა სთქვაო, და რაც უნდა აშკარად დასარღვევი საბუთი გქონოდათ, არისტოტელს სიტყვას ვერ შეუბრუნებდით, ცოდვად ჩაგითვლიდნენ, დიდი ხანია, ესე ბრმად აყოლა, ესე დაძაბუნება ჭკუისა და გონებისა, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩაილულის წყალს გაჰყვა.

მაგრამ აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ ავტორიტეტობა ეხლა შემუსვრილია და თაყვანისცემა მისი უგუნურობად ცნობილი. აი სწორედ ეგრეთ უმეცრად გაგებულმა გამოლაშქრებამ ავტორიტეტებზედ დოინჯი შემოაყრევინა მტკნარს უვიცობას და აძახებინა: შექსპირი, სპენსერი, ჰეკსლი, ჰეკკელი ვინა გდიაო; ავტორიტეტები რას მიქვიან, და სხვანი და სხვანი. ასეთმა თავგასულობამ უვიცობისამ ბევრს აურია გზა და კვალი, იმიტომ რომ ამისთანად თავგასული კაცი ხომ თითონ არა არის-რა, სხვასაც არავის კაცად არ აგდებს. ნუთუ ეს გონიერებაა და ჰეკსლის და ჰეკკელის დიდ მეცნიერად, დიდ ავტორიტეტად ცნობა და თაყვანისცემა კი უგუნურობაა.

ჩვენ არა გვგონია, რომ ამის თქმა სდომებოდეს ბ-ნს ხუდადოვს, და თუ მართლა იმის თქმა ჰსურვებია, რასაც მისი ზემოთ მოყვანილი სიტყვები პირდაპირ გვეუბნებიან, მაშინ სხვაა და ამაზედ შემდეგს ნომერში მოვილაპარაკებთ.

* *

ტფილისი, 18 მარტი, 1887 წ.

კაცმა რომ სთქვას, — ავტორიტეტობა, ავტორიტეტი, დიდი ხანია გადავარდა და თაყვანისცემა ერთისა და მეორისაც უგუნურობა არისო, — ან არ უნდა ესმოდეს, რას ჰნიშნავს ავტორიტეტობა და ავტორიტეტი, ან ამისი თქმა არ ჰსურვე-

ბია. ეს ცხადად გამოჩნდება, თუ ამ სიტყვების ჭეშმარიტს მნიშვნელობას გონების თვალწინ წარმოვიდგენთ.

მართლა-და რა არის ავტორიტეტობა, ავტორიტეტი, ესე იგი ის, რასაც ბ-ნი ხუდადოვი „ბობოლაობის“ და „ბობოლას“ სახელით წინდაუხედავად სასაცილოდ იგდებს? ავტორიტეტობა იმ შემთხვევაში, რა შემთხვევაშიაც ბ-ნ ხუდადოვს უნებებია მისი დევნა და განდევნა, იმ გავლენიან სახელოვანებასა ჰქვიან, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერობით*. ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურყევლად და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავმდებია მისის აზრის შეუცდომელობისა. ამისთანა კაცები, კაცთა საბედნიეროდ და ბ-ნ ხუდადოვის გულისსაწყრომად და სასაცილოდ, ცოტანი არ არიან ქვეყნიერებაზედ. და მათ შორის ჩვენც თუნდა იმათ დავასახელებთ, ვინც თითონ ბ-ნს ხუდადოვს ჩამოუთვლია თავის წერილში. სახელდობრ: სპენსერი, ჰეკსლი და ჰეკკელი. ეხლა ვიკითხოთ: როდის გადავარდა თუნდ ამათი ავტორიტეტობა? ნეტა როდის შეჰმუსრა ამათი სახელი და ნდობა ან ბ-ნმა ხუდადოვმა და ან სხვამა? და თუ შეჰმუსრა, აქედამ სხვა არა გამოვიდოდა-რა, რომ შემუსრვილის მაგიერ შემმუსრველი ჩადგებოდა; მაშასადამე, ავტორიტეტობა მაინც ავტორიტეტობად დარჩებოდა, თუმცა ეხლა სხვა კაცის სახელს დაირქმევდა.

რა არის ბ-ნ ხუდადოვის მიერ ამ შემთხვევაში ხსენებული „თაყვანისცემა“, თუ არ ისა, რომ კაცი გავლენიან სახელოვანობას სპენსერისას, ჰექსლისას, ჰეკკელისას და მათთა მიმართ ნდობას აღიარებს მით, რომ იგინი უფრო შეუცდომელნი ჰგონია, ვიდრე მაგალითად, რედაქტორი „ივერიისა“, ან თუნდა თითონ ბ-ნი ხუდადოვი? ნუთუ ამას უგუნურობად ჩასთვლის ვინმე! იქნება ეგეც მოხდეს, მაგრამ ეს სასაცილო ჩათვლა მოსალოდნელია ამ შემთხვევაში მარტო

---

* არის კიდევ ერთგვარი ავტორიტეტობა, ავტორიტეტობა უფლებისა, რომლის მნიშვნელობა უფლების მნიშვნელობაზეა დამოკიდებული. ამგვარს ავტორიტეტობას აქ არ ვიხსენიებთ, რადგანაც ჩვენს საბაასო საგანთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ორის კაცისაგან: „ივერიის“ რედაქტორისა და ბ-ნ ხუდადოვისაგან, ისიც უსათუოდ მაშინ, თუ ერთსაც და მეორესაც აბრუ გასიებული ექნებათ იმ ერთნაირ ავადმყოფობისაგან, რომელსაც ამაო თავმოყვარეობას, ტყუილს აბრუს ეძახიან და რომელსაც წამალი არა აქვს. მაშ რათ მიაჩნია თაყვანისცემა სპენსერისა, ჰეკსლისა და ჰეკკელისა უგუნურობად ბ-ნ ხუდადოვსა? ამისი თქმა და იმისი, რომ სპენსერს, ჰეკსლს და ჰეკკელს ნურას დაუჯერებთო — ხომ ერთი და იგივეა. ნეტა რომელი კაცი იტყვის ქვეყანაზედ, რომ ნურას დაუჯერებთო ამ ჭკუით, ცოდნით, სიბრძნით, მეცნიერებით გამოჩენილს და მთელის ქვეყნისაგან ამ სახით ცნობილს კაცებს, და თუ დაუჯერებთ, უგუნურობა იქნებაო. მაშ ყველაფერი დავიჯეროთ ამათიო? — იკითხავთ თქვენ. დიახ, სწორედ ყველაფერი, ვიდრე წინააღმდეგის უეჭველი საბუთი ხელთ არა გაქვთ.

დღეს რომ კრიტიკას თავისუფალი გზა და მსვლელობა აქვს და რა ავტორიტეტიც გინდა იყოს, კაცი არ ერიდება კრიტიკის ქარცეცხლში გამოატაროს, — ნუთუ ბ-ნი ხუდადოვი ამაში ჰხედავს ავტორიტეტების მიმართ თაყვანისცემის უგუნურობასა! კრიტიკით და მთელი დღევანდელის მეცნიერების ძალით რომ იერიში მიიტანონ, ვსთქვათ, ჰეკსლსა და ჰეკკელზედ, ნუთუ ჰგონიათ, რომ ამით მათი ავტორიტეტობა დადნება, შეიმუსრება და არა უფრო შემოწმდება, გამართლდება და მით უფრო თაყვანისცემა არ მოემატება ერთსაც და მეორესაც! განა სასაცილო არ იქნება, რომ კაცს თაყვანისცემა სწორედ მაშინ მოაკლო, მისი სახელი მაშინ შეჰმუსრო, როცა უტყუარად და კარგად შემოწმებულის საბუთით დამტკიცდება, რომ მისი ნათქვამი გამართლდა. აქ, პირიქით, ავტორიტეტობამ უფრო უნდა იმატოს, თაყვანისცემა და პატივი უფრო უნდა გაძლიერდეს. სწორედ ესეც არის ამ წუთის-სოფელში, და არ ვიცით, — ეს ამბავი რათ უნდა მიაჩნდეს ვისმე უგუნურობად, — და თუ მიაჩნია, ეგ ახალი კი არ არის, ძალიან ძველისძველი ამბავია, და სახელადაც დონკ-ქიხოტობა ჰქვიან. ვიდრე კრიტიკას არ გაუმტყუნებია ავტორიტეტად ცნობილი კაცი, მის ავტორიტეტობას ვერავინ შეჰმუსრავს მარტო იმით, რომ დილიდამ საღამომდი და საღამოდამ დილამდე იძახოს ბ-ნ ხუდადოვისავით: მე უგუნურობად მიმაჩნია ავტორიტეტს თაყვანი-ვცეო.

სწორედ კრიტიკით შემოწმებულთა და გამართლებულთა მეცნიერთა მოიპოვეს იგი სახელი და თაყვანისცემა, რომელიც ბ-ნ ხუდადოვს უგუნურობა ჰგონია. კაცობრიობა არ შეუშინდა ბ-ნ ხუდადოვის მკაცრს განაჩენსა და მისგან უგუნურობის დარქმევა იკისრა, და ის კი ვერ უარჰყო, რომ ქვეყანაზედ სანდო მეცნიერნი არიან და მერე ღირსნიც თაყვანისცემისა.

დავანებოთ ამას ყველაფერს თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: ვითომ უგუნურობად უნდა მივიჩნიოთ, რომ თითონ დიდნი ბრძენნი, უდიდესნი მეცნიერნი და ავტორიტეტები, ხშირად სხვა ავტორიტეტებს იმოწმებენ ხოლმე? რომელიც გნებავთ წიგნი აიღეთ დიდის მეცნიერისა, ძნელად შეხვდებით იმისთანას, რომ ერთი მეორეს არ იმოწმებდეს. — ნუთუ ამისი მომქმედნი ყველანი უგუნურები არიან, რომ ასე თაყვანსცემენ ავტორიტეტსა! აი თუნდა ჯონ სტუარტ მილლი, სახელოვანი მეცნიერი, რომლის წიგნიც ხელში შეგვხვდა, — ერთს ადგილას რას ამბობს თავის აზრის დასამტკიცებლად: მომყავსო „მოწმობა სისმონდისა, რომელსაც სხვა მწერლებზედ მეტი უპირატესობა იმითი ეკუთვნის, რომ ყველაზედ ზედმიწევნით და დაახლოებით იცის საქმეო“.

ბ-ნ ხუდადოვის სიტყვით, ჯონ სტუარტ მილლი დიდი უგუნური კაცი ყოფილა, რომ ამისთანა თაყვანი უცია ავტორიტეტად ცნობილისათვის. რა მილლი? განა სხვა სახელგათქმულნი მეცნიერნი კი ცოტანი არიან, რომ სხვის საავტორიტეტო სიტყვით აძლიერებენ, ამტკიცებენ თავიანთ აზრსა, და ზოგჯერ უამისობას ვერსად ვერ წასვლიან! მაშ ეს სულ უგუნურობად უნდა მივიჩნიოთ! მაშ ჩვენზედ უფრო მეტს მცოდნეს, ჩვენზედ უფრო მეტის ზედმიწევნით მკვლევარს აზრისას, მერე იმისთანას, რომელიც მთელის ქვეყნიერობისაგან უკეთეს მცოდნედ და უკეთეს მკვლევარად ცნობილია და გათქმული, — ფასი აღარ ადევს, და ვინც ფასს სდებს, იგი უგუნურია! ამისი მთქმელი და იმისა, რომ ჩემზედ ჭკვიანი, ჩემზედ უფრო მცოდნე ქვეყანაზედ არავინ არისო, — განა ერთმანეთზედ ძალიან შორს იქნებიან!

თუმცა ბრმად მინდობა და აყოლა სხვისა ძალიან ცუდია, მაგრამ არც კი ბრმად დაჟინებაა კარგი იმისი, რომ დიდსახელოვანის, სახელგანთქმულის მეცნიერის პატივი და თაყვა-

ნისცემა უგუნურობა იყოს. არა, ბატონო, სწორედ ამისთანა კაცს უნდა პატივი და თაყვანისცემა, თუნდა იმით, რომ იმისი სიტყვა, თუნდ შეუმოწმებლადაც კი, სხვისაზედ წინ დააყენო, თუ გამტყუნებული არ არის უეჭველის საბუთითა. სხვამ რაც უნდა გიკიჟინოთ, და თუ ერთსა და იმავე საგანზედ ჰეკსლი ერთს ამბობს, და, თუნდ, მაგალითად, ბ-ნი ხუდადოვი სხვას, იცოდეთ, რომ უგუნურობაში არავინ არ ჩამოგართმევთ, თუ ჰეკსლს უფრო დაუჯერებთ, ვიდრე ბ-ნს ხუდადოვს. თუ თქვენის აზრის გასამართლებლად ჰეკკელს იმოწმებთ ბ-ნ ხუდადოვის წინააღმდეგ, ან თითონ ბ-ნი ხუდადოვისაგან დაწუნებულ სპასოვიჩსა — სასისხლო რჯულიერობის მეცნიერებაში, — არც ეს იქნება ახირებული სულელობა. შესაძლოა გვითხრან: განა ბ-ნ ხუდადოვს არ ძალუძს ჰეკსლს, ჰეკკელს აჯობოსო. შესაძლოა, რადგანაც მჯობს მჯობი არ დაელევა, მაგრამ მინამ ბ-ნი ხუდადოვი ამას იქმოდეს, იმ დრომდე — ნურას უკაცრაოდ, რომ ჰეკსლი, ჰეკკელი ავტორიტეტად ვიცნოთ და თაყვანი ვცეთ მარტო იმით, რომ მათი სიტყვა უფრო ვიჯეროთ, თუ აშკარა საბუთი არ გვექნება დასარღვევად.


ეს ამისთანა ლახტის ქნევა ავტორიტეტების შესამუსრავად ცხონებულ პისარევის შემდეგ შემოვიდა რუსეთში; ცოტა ხანს იფარფაშა და მერე აპრიალებულ ჩალასავით ჩაჰქრა, და დღეს ამის გამო მარტო ჩვენ და ბ-ნი ხუდადოვიღა ვლაპარაკობთ მთელს ქვეყნიერობაზედ. სხვისათვის კი აქ საკამათო აღარა არის-რა. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ თქვენი აზრი, დიდის რომელისამე მეცნიერის სიტყვით შემოწმებული, უფრო სანდოა, უფრო დასაჯერი, და ამ მოწმობას ქვეყანაზედ არავინა ჰთაკილობს იმის შიშით, რომ ბ-ნი ხუდადოვი უგუნურობას დამწამებსო.

ხოლო პისარევის სახელის ამ მხრით შეუბღალველობისათვის ისიც უნდა ვსთქვათ, რომ იგი სრულად იმას არა ჰქადაგობდა, რასაც დღეს ბ-ნი ხუდადოვი გვეუბნება ავტორიტეტის შესახებ. მარტო უვიცობამ წაართვა სადავე კაცსა და პისარევის მოძღვრება ამ საგნის თაობაზედ ჰერკულესის სვეტებამდე მიიყვანა. აქ პისარევს არავითარი ბრალი არა აქვს.

ავტორიტეტობა ყოველთვის იქნება მეცნიერებაშიაც და ცხოვრებაშიაც. სხეული რომ მკურნალს მიჰმართავს ხოლ-

მე, — როგორ ჰგონია ბ-ნს ხუდადოვს, — რა მოქმედობს აქ, თუ არ რწმენა, რომ მკურნალი მკურნალობის უკეთესი მცოდნეა, და ეს რწმენა რა არის, თუ არ იგივ ავტორიტეტობა კაცისა, რომელსაც მკურნალობაში იმოდენა უკეთესობის სახელი და ნდობა მოუპოვებია, რომ ეს სახელი და ნდობა ყველასათვის საკმაო თავმდებია მისის ამ საქმეში უპირატესობისა? მოდით და ამას იქით სულელი დაუძახეთ მას, ვინც ამ შემთხვევაში მკურნალს ენდობა და უჯერებს. თუ გვკითხავთ, იგი „კერპთმსახურება“ და იგი „თაყვანისცემა“. რომელიც ბ-ნ ხუდადოვს უგუნურობად მიაჩნია, აქ უფრო საგულისხმოა, რადგანაც ამ შემთხვევაში ბრმად დანდობას, ბრმად დაჯერებას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე სხვა რაშიმე და თითქმის აუცილებელიც არის, მაშასადამე, იგი ნდობა და დაჯერება, რომელიც კაცს მკურნალისაკენ იზიდავს, ბ-ნ ხუდადოვის სიტყვით, „კერპთმსახურებაა“, რომელიც დიდი ხანია გადავარდნილა, და „ბობოლაების თაყვანისცემა“, რომელიც ბ-ნს ხუდადოვს უგუნურობად მიაჩნია. სხვა მეცნიერთ ვიღა სჩივის, ვაი მკურნალთა, თუ ეს მართლა ასეა. ქვეყნის საუბედუროდ.

ახლოგე-
ლნი
და
შორეუ-
ლნი



დიმიტრი ყიფიანი

ტფილისი, 30 ოქტომბერი, 1887 წ.

1

ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული, — ყველანი ერთად და თვითეული ცალკე ჰგრძნობს, რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში.

რა არის ყოველი ამის მიზეზი? მისი ხარისხი ნამსახურობისა? არა. რამდენი დიდ-ხარისხოვანი სხვაცა ყოფილა და ეგრე საერთო ტკივილით გულს ტეხვა არ დაუწყია.

მისი გამოჩენილი ღვაწლი მეცნიერებაში? არა. უფრო დიდ-ღვაწლიანნი კაცნი ყოფილან და გული ადამიანისა-კი არ შეუპყრიათ გლოვითა და მწუხარებითა ეგრე საერთოდ და საყოველთაოდ.

მისი თავგამოდებული და ღირსსახსოვარი გარჯა მოძმეთათვის? არა. ამ სფეროშიაც მსჯობს მსჯობი არ დაელევა, მაგრამ აქაც გულს ადამიანისას შავები არ შეუმოსია გლოვის ნიშნად ასე საერთოდ და საყოველთაოდ.

— მაშ რით აიხსნება იგი საიდუმლოება, რომ ჩვენი სული და გული ჰკვნესის და იხუთება დიმიტრი ყიფიანის დაკარგვის გამო?

მით, რომ იგი იყო კაცი, რომელსაც გულში ჩაჭდეული ჰქონდა, რომ —

უნებურს გემოს სჯობია
ნებითა უგემებანი[1].

იგი იყო კაცი, რომელსაც სიყმაწვილის დღიდანვე ბოლოს ჟამამდე სამართალი მიუძღოდა ეთქვა —

ჩემი ნავი ნაღვლის ზღვასა
შევაცურვე სარგებელად,
ან დავინთქმი, ან მარგალიტს
ამოვიღებ, ვიგდებ ხელად.

იგი იყო კაცი, რომელიც, როცა ბედნიერი იყო, ვერც ბედნიერებამ წაიცდინა, ვერც უბედურობამ დაიტყვევა, რადგანაც იცოდა, რომ —

ბრძენი არც იშვებს ფრიადა,
არც დია შეწუხდებისა.

იგი იყო კაცი, რომელსაც რჯულად ჰქონდა შეთვისებული, რომ

სჯობს სიგლახაკე სიმართლით,
ცრუს დიდსა გამდიდრებასა.

იგი იყო კაცი, რომელსაც ცხოვრების საგზაოდ ერთი საჭირნახულო მცნება ჰქონდა:

სჯობს ტყუილით ქვე—ყოფნასა,
ზე სიმართლით ავიბარგო.

ერთმა ჩვენმა მეგობარმა გვითხრა: „იგი იყო კაციო, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს“, როცა მისი გული ამბობდა „არას“. ძნელია უკეთესად გამოთქმა ადამიანის ღირსებისა; დიახ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი; იმიტომ, რომ მართალი მარტო ის არის, რომ „ჰო“ არა სთქვა, როცა გული „არას“ ამბობს. „მართალიო, — ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი*, — ის კი არ არის, რომ კაცმა სთქვას, რაც ჭეშმარიტია, არამედ ისა, რასაც ვფიქრობთ და რაც გულში გვაქვსო“.

ცხადია, რა კაცი იყო დიმიტრი ყიფიანი. იგი იყო გულთასრული კაცი... იგი იყო კაცი ხასიათისა... ჩვენდა სამწუხა-

როდ, ეს დიდი და ძვირფასი სიკეთე მარტო ჩვენს ძვლებსღა მოსდევთ, და აი რას მივტირით, როცა იგინი მიდიან...

არიან ბევრნი დიდ-ხარისხოვანნიცა, მეცნიერნიცა, მოღვაწენიცა, მწერალნიცა, და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულთა-სრულნი.

მძლედ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდ-ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდ-ხასიათობა, იმისდა მიუხედავად, — ტრიალი ემარჯვათ, თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც — კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებითა; ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ...

ალარ არის დიმიტრი ყიფიანი! ალარ არის ის, ვისაც —

ფეხი მთებრ ედგა ქვეყნად,
ტინურად განმტკიცებული.

2

ტფილისი, 3 ნოემბერი, 1887 წ.

კაცი მოკვდა ან მოჰკლეს!... რა იშვიათი ამბავი ეს არის, რომ დიდი და პატარა შეიძრას? რამდენი ათასი კაცი ჰკვდება ყოველ-დღე, ყოველს საათს, მაგრამ მრავლის-მრავალს ყურსაც არ ვათხოვებთ ხოლმე. ვინ არა კვდება? ვინ შეჰრჩენია ამ წუთისოფელს საუკუნოდ? ადამიანი სიკვდილის შვილია, და თუ ვინმე კვდება, თუნდა სხვისის ხელითაც, — აქ რა არის უცნაური და საკვირველი?

თუმცა ესეა, მაგრამ ძნელად იქნება იმისთანა უბედური, რომ მკვდარს არავინ მისტიროდეს. ხოლო მრავლის-მრავალს მისტირის მხოლოდ მახლობელი და ნათესავი, სხვა-კი — ცხედარის დანახვაზედ — მარტო სიბრალულით შენდობას თუ ეტყვის და ამით ათავებს თავის საქმეს...

ადვილად მისახვედრია, ადვილად გამოსაცნობია, — რათა სტირის გული, როცა მახლობელი, ან ნათესავი გვეკარგება.

აქ მწუხარებას და გლოვას ადვილად გამოსარკვევი მიზეზი აქვს, როგორც ყოველს იმას, რაც კერძოობითია, რაც ცალკე ადამიანს განსაკუთრებით შეეხება. სულ სხვაა, როცა გული გეტკინება და გვიკვნესია იმისთანა კაცის გამო, რომელიც სიახლოვით და ხორცით შორეულია, რომელიც არც ჩვენი საკუთარი მახლობელია, არც ჩვენი საკუთარი ნათესავი.

დიმიტრი ყიფიანიც სიკვდილის შვილი იყო, როგორც ყველანი ჩვენ. აქ ის გულგრილი ფილოსოფია — რომ სააქაოს საუკუნოდ არავინ შერჩენიაო — არა გვყოფნის, არა გვკმარის. გული არ ემორჩილება იმ ფილოსოფიასა, თავისას ჰთხოულობს, თავისას ამბობს. აქ მეცა ვსტირი, თქვენცა, სხვაც, მახლობელიც და ნათესავიც, რათა? რამ შეგვყარა ერთად გლოვისა და მწუხარებისათვის შორეულნი და მახლობელნი, უცხონი და ნათესავნი? დიმიტრი ყიფიანის სახელი რათა სცვლის მრავლის-მრავლის ხვედრს, მარტო მახლობელთაგან დატირებისას. ამას გამორკვევა უნდა.

კაცთა საზოგადოება თავისის სიმკვიდრისა, შეურყეველობისა და არსებობისათვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელიღაა კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის. იგი გვეუბნება, თუ ერთმანეთობა გინდა, თუ კრებულად ყოფნა გსურს, ამა-და-ამაზედ ნაკლები სიმართლე არ იქონიო, ამა-და-ამაზედ ნაკლებ გულმოდგინედ და ერთგულად არ მოეკიდო შენს მოვალეობას, ამაზედ ნაკლები თანაგრძნობა, თანაზიარობა ერთმანეთობაში არ დაიზარო, ამა-და-ამაზედ ნაკლები საყოველთაო ტვირთი არა ჰზიდო, და მებრვე სხვა. ამ სახით კაცთა საზოგადოება, მოქალაქური ერთმანეთობა და ყოფა-ცხოვრება ჰკმარობს მარტო minimum-ს სათნოებისას.

ამ minimum-ზედ, ამ ხაზზედ დგომა ყველასათვის სავალდებულოა. ხოლო შესაძლოა ადამიანი ამ ხაზს ძირსაც დასცილდეს და ზე ასცილდეს კიდეც. დამცილებელი სცოდავს საზოგადოებას და ისჯება საზოგადოებისაგანვე, რადგანაც ამ შემთხვევაში დაცილება დანაშაულობაა. ამიტომაც არ-დაცილებას ითხოვს კაცისაგან საზოგადოება, ვითარცა მოვალეობას, და ზე-აცილებას კი თვითოეულის ნებაზედ სტოვებს. იმიტომ რომ ყოველს კაცს სრული ნება აქვს, და შეუბღალველი ნებაც, ეს minimum-ი სათნოებისა იქონიოს და არა მეტი. ამ ხაზზედ

ზე-აცილება, ესე იგი ამ ნაკლების სათნოების წარმატება, განდიდება, გაძლიერება, — მოვალეობა აღარ არის კაცისა: იგი ღვაწლია, გადამეტებული სამსახურია, მსხვერპლია, გმირობაა.

ამ ღვაწლისათვის, ამ მსხვერპლისა და სამსახურისათვის მრავლის-მრავალი კაცი უღონია. ამისთანა კაცების ცხოვრებას რომ ანგარიში გაუკეთოთ, გავთვალ-გამოვთვალოთ, ან ჯამად არაფერი არა დადგება-რა, ან იშვიათს შემთხვევაში ამათის ცხოვრების ჯამი ის იქნება, რომ არა ვცოდეო, ესე იგი ხსენებულს ხაზზედ დაბლა არ დავიწეო. ეხლანდელს დროში ესეც კარგია, მაგრამ თვით ეხლანდელს ცოდვილს დროშიაც ამისთანა კაცის სიკვდილი ყველას გულს არ შესძრავს და ძაძით არ მორთავს. ბოროტის უქმნელობა კი არ იზიდავს, კი არ გამსჭვალავს ადამიანის გულს, არამედ ქმნა მადლისა. მარტო მადლის-მყოფელის წინაშე ადამიანი უნებლიეთ იხრის თავს, იყრის მუხლსა და განცვიფრებული მეტყველებს სიტყვით თუ უსიტყვოდ ქებასა და დიდებასა. ეგ იმიტომ, რომ ჭეშმარიტი კაცობა არ-ქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა. კაცურის კაცობის ნიშანი minimum-ი სათნოება კი არ არის, რომელიც არ-ცოდვის საზღვარია, არამედ maximum-ი, რომელიც მადლის სამფლობელოა და საუფლისწულო.

დიდ-ბუნებოვანობა კაცისა იმოდენად მაღალ-ხარისხოვანია რამოდენადაც „არ-ცოდვის“ საზღვარი უკან შორს დაუგდია და „მადლის“ საზღაურს მიახლოებია. ამ-გზით წაჭარბებული მანძილი ერთად-ერთი საზომია დიდბუნებოვანის კაცისა, ესე იგი იმისთანა კაცისა, რომელსაც ყველა, დიდი და პატარა, თავისიანად ჰხადის, თავისიანსავით შაჰხარის, თავისიანსავით ჰგლოვობს.

„რომ მე მართლა-და ჭეშმარიტად ბედიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენო“, — ამბობს ერთი მეცნიერი. მადლის მოედანი და სარბიელი ეს არის. ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღწვის, მაგრამ ყოველს კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფელად ყოველს კაცს ვერ გაუერთებია.

ამ გაერთიანებისათვის დიდის ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა, და ყველა კაცს არ მოეკითხება. ვისაც-კი ეგ ღონე და შეძლება აქვს, იგი მით ნაწილია ყველასი, — ჩემიც, თქვენიც და სხვისაც, იმიტომ რომ, იგი ჩემს, თქვენს და სხვის ბედნიერებაში ეძებს მხოლოდ და ჰპოულობს თავის საკუთარ ბედნიერებას და, მაშასადამე, იმისი ბედნიერება თუ უბედურობა — ჩემი, თქვენი და სხვისი ბედნიერება და უბედურობა უნდა იყოს.

ეს ისეთი ძნელი გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითოეული ბიჯი ღვაწლია და მსხვერპლი, და რადგანაც ღვაწლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომაც მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მიმზიდველია, გამმსჭვალავია გაოცებამდე, გაკვირვებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც-კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს.

როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილად-ხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითეული ჩვენგანი გრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო, თითქო ვგრძნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთ, და ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ მივტირით ამ დაკარგულს ბედნიერებასა.

3

ტფილისი, 7 ნოემბერი, 1887 წ.

უფროს-ერთი ადამიანი ისე გაივლის ხოლმე თავის ცხოვრების გზასა, ისე დაჰლევს ხოლმე თავის სიცოცხლეს, რომ ერთხელაც არ ჩაახედებს თავის თვალს გულში იმის გამოსარკვევად, თუ რისთვის ვიყავ, რისთვის ვარ და რა გამიკეთებიაო. ესე მიდის და ილევა ცხოვრება ათასისა და ათიათასისა. მარტო ათასში ერთი თუ იქნება იმისთანა, რომ ამ ხვედრს არ ექვემდებარებოდეს და თავის-თავი განსაკითხველად თავისთავისავე წინაშე დაეყენებინოს, ანუ, როგორც რუსთაველი იტყოდა, გაეთავისწინებინოს.

უფრო-ერთი კაცი დღე-ყოველ იბრძვის და გართულია ამ წუთისოფლის ავ-კარგიანობითა. ზოგს ბედი ისე უმძიმს, რომ ამ ბრძოლას და გართვას არა ჰყოფნის მისნი დღენი, მისნი საათნი, მისნი წუთნი: ყველა ესენი შეწირული აქვს მთლად და გადურჩენელად იმ მცირეზე-მცირე სიამოვნებისათვის, რომელსაც ადამიანი ძლივ-ძლივ გამოჰგლეჯს ხოლმე ამ ძვირს წუთისოფელსა და ურომლისობა ადამიანის არსებობას შეუძლებლადა ჰხდის. ამ წრეში მოტრიალეს კაცს მოცალეობა არა აქვს თავის-თავს ჩაუბრუნოს თვალი განსაკითხავად, და დღიურ ლუკმისათვის გარჯილსა და მაშვრალსა არც ხალისიღა აქვს ამისთანებისათვის. ამისთანა კაცისათვის ბრძოლის მოედნიდამ თვალის მოშორება ერთს წამსაც, დღიურის ლუკმის პირიდამ გამოცლას მოასწავებს და ძნელია სხვა რიღასათვისმე მოიცალოს.

ზოგი, თუნდაც მოცლილი იყოს და არც იცოდეს სად მიაფშვნიტოს თავისი დრო და ხანი, საჭიროდ არა ჰხედავს ათასში ერთხელ მაინც თავის-თავს ანგარიში ჩამოართვას, თავის-თავს მოჰკითხოს თავისივე ადამიანური ვინაობა, ადამიანური ავკარგიანობა.

მართალია, დიდად წარმატებული გონება და გული უნდა ჰქონდეს, რომ კაცი შემძლებელი იყოს თავისი თავი გაითავისწინოს და თავის-თავს მსაჯულად გაუხდეს პირუთვნელად, იმიტომ რომ იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსარჩლეც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიცა. მაგრამ აქ ამ წარმატებულობაზედ არ არის ლაპარაკი: ჩვენ ვამბობთ იმ საჭიროების არ-მქონებლობაზედ, რომელსაც ყოველი კაცი უნდა შეჰყვანდეს ამ საიდუმლო და გათვალისწინებულს სამსჯავროში განსაკითხველად, და რომლის უქონლობა ვერც ცალკე კაცს წასწევს წინ წარმატების გზაზედ, ვერც საზოგადოებას, ვითარცა ცალკე კაცთა კრებულსა.

რასაკვირველია, ამ საჭიროების აჩენასაც თავისი შესაფერი, თავისი შესაწონი ღონე უნდა სულისა. ვისაც ეს ღონე არა აქვს, ის, ჩვენის ფიქრით, მჩვარია და არა კაცი. ხოლო თვითოეულ ცალკე კაცთა შესანდობრად ესეც უნდა ითქვას, რომ აქ, ამ უღონობაში თითონ საზოგადოება ბევრშია დამნაშავე. ზოგიერთის კაცთა კრებულის ყოფა-ცხოვრება ისე ბედნიერად მოეწყობა ხოლმე, რომ თითქმის ყოველ კაცს,

ღონიერს თუ უღონოსა, ძალას ატანს მოჰკითხოს თავის-თავს — რისთვის იყო, ან რისთვის არის? უამისოდ ამისთანა საზოგადოებაში კაცი ვერ გაიჭაჭანებს, ვერ ისადგურებს, გზას ვერ გაიკაფავს, ვერ იხეირებს, ერთის სიტყვით თავს ვერ გამოიჩენს. აქ ცალკე კაცის ღონის ნაცვლად ბრძანებლობით შემოქმედობს თითონ იგი ზნე საზოგადოებისა, რომელიც სხვა არა არის-რა, გარდა შეერთებულის ღონისა, და ამიტომაც ამ ზნეს ვერავინ უმტყუნებს, თუ კაცური კაცობა ჰსურს.

ეს ესეც უნდა იყოს, იმიტომ რომ ყოველი კაცი ყოველდღე გამკითხველის თანამდებობაშია. დაუკვირდით ყოველის ცალკე კაცის ყოველდღიურს ცხოვრებას და, რა ხარისხზედაც გინდა იდგეს, ჰნახავთ, რომ ამ ცხოვრების დახლართულ ბადეში ბედი ყოველს ცის-ამარა დღეს ერთმანეთს გვახვედრებს და თვითოეული ჩვენგანი სხვის გამკითხველია, და, მაშასადამე, თითონაც სხვისაგან არის განსაკითხველი. დააკვირდით თვითოეულს, თუნდა ყოვლად უმნიშვნელო ბიჯს თქვენის ცხოვრებისას, თუნდა, მაგალითებრ იმას, რომ მოსამსახურეს უბრძანეთ წაღები გამიწმინდეო, და უსათუოდ დაგვეთანხმებით, რომ არ ყოფილა შემთხვევა, საცა არ გამკითხველობდით. მართალია, ამ წაღების გაწმენდის მაგალითში პირდაპირ თვალში არ გეცემათ თქვენი გამკითხველობა, მაგრამ იგი გამკითხველობა აქაც არის, მხოლოდ თქვენგან დავიწყებულია, თქვენგან შეუმცნეველია. აქ მთელი წინათყოფილი მოქმედება გამკითხველობისა სწარმოებს და ამას არ იმცნევთ, რადგანაც ხშირი შემთხვევაა ათასჯერ წინათვე გამკითხული და, მაშასადამე, ზნედ მიღებული. ვიდრე ბიჭს თქვენის წაღების გაწმენდას დაავალებდით, განა უკვე განკითხული არ არის: რათ ავალებთ? თქვენის წაღების გაწმენდაში რა მოვალეა? შეუწონეთ მისი ღონე ნაბრძანებ საქმესა და სხვა ამისთანა? ეს ბრძანება ზნედა გვაქვს ქცეული, და რა გზით შევიძინეთ, იგი აღარ გვახსოვს, თუ განგებ გონება არ მივაბედეთ, არ დავაკვირვეთ.

რაკი ადამიანს არ შეუძლიან კაცთა კრებულის გარეთ იცხოვროს ცალკედ და მიუკარებლად, რაკი ერთმანეთობა ბედისწერასავით თვითეულს ჩვენგანს — გვინდა თუ არა — სხვის გამკითხველად ჰხდის და უამისოდ კაცი კაცს ვერ შეხვდება, ვერ შეეყრება, ვერ გაეყრება, აქედამ ცხადია — რა დიდძალი

მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გრძნობას განკითხვისას კაცთა საზოგადოების არსებობისათვის. ხოლო ისიც ცხადია, რომ ვერ-გამკითხველი თავის-თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შესძლებს, და სწორედ აქ არის სათავეც ყოველის უბედურობისა. იმიტომ რომ მაშინ მართალი აღარ ჰტრიალებს საზოგადოებაში და ყოველივე უბედურობა ხომ უმართლობისაგან არის წარმომდგარი.

ჩვენა ვსთქვით, რომ თავის-თავის განკითხვას შესაფერი ღონე უნდა სულისა, და საცა ეს ცალკე კაცს არა აქვს, ბევრში თითონ საზოგადოება არის დამნაშავეო. ეს მართალია, მაგრამ არა გვგონია ქვეყნიერებაზედ იმისთანა საზოგადოება იყოს სადმე, რომ თითო-ოროლაჯერ მაინც ამისათვის არ გამოაფხიზლოს კაცი, ისეთი რამ არ მოუვლინოს, რომ კაცს თვალები ძალა-უნებურად გულში ჩაუბრუნოს თავის-თავის განსაკითხავად. ამიტომაც ყოველი ამისთანა შემთხვევა ზნეობითად მწრთვნელია, ყოველი ამისთანა შემთხვევა ცოტად თუ ბევრად ჰხრდის თვითოეულს კაცს და, მაშასადამე, საზოგადოებასაც. მაგალითი თვალ-წინ გვაქვს.

დიმიტრი ყიფიანი გარდაიცვალა. ხუთი ათას კაცამდე ნაცნობი და უცნობი მოდის იმის პანაშვიდზედ, რათა სხვასთან ერთად, ერთ-კრებულად უთხრას: განისვენე მართალთა თანაო. დიდი, პატარა ჰგლოვობს და მწუხარებს. ამის მნახველს, ყოველს ამის მსმენელს, უნებლიეთ გაუელვებს ფიქრი: სჩანს, ეს კაცი... ყოფილა რამ; სჩანს, რისთვისმე უცხოვრია; სჩანს, რამ გაუკეთებია; თორემ დღეში რამდენი კაცი კვდება, რატომ სხვაზედ არ არის ეს ამბავიო.

აქედამ დიდი სახტომი არ არის იქამდე, რომ კაცმა თვალი შიგნით ჩაიბრუნოს და თავის გულში დაიწყოს იმის პასუხის ძებნა თუ, — რისთვისა ვარ? რა გამიკეთებია? რით მომიგონოს ჩემმა შემდეგმა? დიახ, ამისთანა მაგალითი მოგვივლენს ხოლმე თავის-თავის განკითხვის დღესა, გვწურთნის, გვასწავლის და გვზრდის.

ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე

(ნეკროლოგი)

6 მარტს გარდაიცვალა ქუთაისში იმერეთის თავად-აზნაურთა ბანკის გამგე, ბესარიონ ღოღობერიძე. თუმცა მრავალი რამ თქმულა გაზეთებში მიცვალებულის შესახებ, ასე რომ ჩვენგან ახალს ვერას უნდა მოელოდეს მკითხველი, მაგრამ იმისთანა კაცის დაკარგვა, როგორიც იყო განსვენებული ბესარიონი, იმ-გვარი საზოგადო უბედურებაა, რომ ჩვენ ვალად ვრაცხთ ჩვენს თავს რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიოთ განსვენებული და მით ჩვენი მწუხარებაც ჩავურთოთ საზოგადო გლოვას და გოდებას; რამდენიმე სიტყვით-მეთქი, რადგანაც ვრცელი ბიოგრაფია ბესარიონ ღოღობერიძისა, დაწვრილებით აღწერა მისის ცხოვრებისა შემდეგ იქმნება დაბეჭდილი „ივერიაში“.

ბესარიონ ღოღობერიძე იყო ღარიბის აზნაურის შვილი, თითქმის ჩვიდმეტ წლამდე შინაობაში გამოზრდილი, თვის სამშობლო სოფელს ჯიხაიშში. აღსავსე ცნობისმოყვარეობითა, მწყურვალი სწავლისა და ცოდნისა, — ბესარიონი შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც სწავლობდა მხოლოდ მეხუთე კლასადმე; შემდეგ გადვიდა ტფილისის გიმნაზიაში. კურსის შესრულების შემდეგ რამდენიმე ხანი მასწავლებლად იყო იმავე გიმნაზიაში, რადგანაც იმდენი შეძლება არა ჰქონდა, რომ იმ წამსვე წასულიყო რუსეთს უნივერსიტეტში შესასვლელად. მოიხელთა თუ არა საკუთარის შრომით ნაშოვნი ორიოდ გროში, მაშინვე გასწია პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც შევიდა მათემატიკის ფაკულტეტზედ. დიდი გაჭირვება და ვაი-ვაგლახი გამოიარა საწყალმა ბესარიონმა პეტერბურგში; არა ერთხელ უფიქრია თვის სტუდენტობაში, ხვალ რა ვჭამოო, ან რა ჩავიცვა-დავიხუროო. ეს გაჭირვება მით უფრო საგრძნობელი უნდა ყოფილიყო ბესარიონისათვის, რომ იგი იმ დროს თუმცა ხანში შესული არ იყო, მაგრამ არც ისე ყმაწვილი იყო, რომ მსუბუქად, თითქმის უგრძნობელად აეტანა ნაკლებობა, სიღარიბე. მაგრამ რასაც არ აძლევდა წლოვანობა, აძლევდა განუსაზღვრელი სიყვარული სწავლისადმი, განუქრობელი ნაპერწკალი უმაღლესის მიდრეკილებისა საყო-

ევლთაო სიკეთისადმი. აი, ამ-გვარად, მშიერ-მწყურვალი გულმოდგინედ შრომობდა, ბეჯითად სწავლობდა, და არა მარტო იმას, რაც პირდაპირ მის ფაკულტეტს შეეხებოდა; მას მიუძღოდა წინ არა მარტო დიპლომის მოპოება, როგორც მრავალ სხვა მოსწავლეს, არამედ მის სტუდენტობის მიდრეკილების დროშაზედ წარწერილი იყო: ცოდნა, ცოდნა ყოველისფრისა, რისაც კი შეიძლება, ცოდნა ვრცელი და საფუძვლიანი, შემკული განუქრობელის სიყვარულით საყოველთაო ბედნიერებისადმი.

რომ ბესარიონის სწავლა და ცოდნა აძლევდა საზრდოს არა მარტო ჭკუას, არამედ თან გულსაც უთბობდა, ამას ამტკიცებს ბესარიონის თავგადასავალი სტუდენტობის დროს... რომ თვის ფაკულტეტისათვის კარგად სწავლობდა ბესარიონი, ამას თქმა არ უნდა. კურსი რომ შეასრულა, პროფესორებმა სთხოვეს, უნივერსიტეტში დარჩეო და პროფესორად მოემზადეო, მაგრამ ბესარიონმა არ ინდომა. რატომ? მისი ხალისი შრომისათვის უეჭველია; აგრეთვე უეჭველია მისი სიყვარული ცოდნისა და მეცნიერებისადმი. გარდა ამისა, პროფესორობას მოსდევს სახელი, დიდება, მაღალი ადგილი საზოგადოებაში, მეტადრე იმისთანა პროფესორს, როგორიც, უეჭველია, იქნებოდა ბესარიონ ღოღობერიძე. მაშ უარი რათ ჰყო პროფესორობაზედ და რატომ არ ინდომა უნივერსიტეტში დარჩენა? ცოდნისა და მეცნიერების სიყვარულის გარდა ბესარიონს გულში უღვივოდა კიდევ არა ნაკლები სიყვარული თვის სამშობლოისა. მას მოაგონდა დავარდნილი, დაცემული ხალხი, მსხვერპლად მიცემული უმეცრებას, ჭკუით და ზნეობით სიბნელეს, ჩავარდნილი სხვადასხვა ბოროტ-მომქმედთა ხელში... მოაგონდა და გულმა ვეღარ მოუთმინა: დასტოვა სახელი, მაღალი სამეცნიერო სამსახური; დასტოვა გულით საყვარელი სფერა მეცნიერებისა, გამოსწია თვის სამშობლოსაკენ და მიეცა ცხოვრების აყალმაყალს. აქ უჩემოდ სხვანიც ბევრნი იქნებიანო, ფიქრობდა განსვენებული ბესარიონი, მაგრამ იქ, ბედკრულ საქართველოში კი, პატიოსანი კაცი და მოღვაწე ერთი ათასადა ღირსო.

1863 წ. ჩამოვიდა ბესარიონ ღოღობერიძე ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლად. რა იყო მაშინ ტფილისის გიმნაზია, რა ადგილი დაიმსახურა ბესარიონმა მოსწავლეთა და მასწავ-

ლებელთ შორის, — ამას მკითხველი ამ წიგნის სხვა ადგილას წაიკითხავს. ხუთის წლის შემდეგ ბესარიონი გამოვიდა გიმნაზიიდამ და გახდა ინსპექტორად ტფილისის საქალებო ინსტიტუტის. რა სახელი დაიმკვიდრა აქ ბესარიონმა, — ამას ცხადად გვიჩვენებს არა ერთი ცხარი ცრემლი, რომელიც დაიღვარა მის გარდაცვალების თაობაზედ. არა ერთ ქალს განუღვიძა განსვენებულმა ნამდვილის სწავლისა და შრომის წყურვილი; არა ერთი ქალს ჩააგონა ბესარიონმა, რომ ქალს მოსდევს მაღალი დანიშნულება, და ამისდაგვარად ქალს უნდა ეპყრას მაღალი ადგილი საზოგადოებაში; ამ დამსახურებისათვის საჭიროა სწავლა და ცოდნა, ცოდნა ნამდვილი, საფუძვლიანი და არა მარტო გარეგანი ნიშანი ვითომ-ცოდნისა, არა მარტო ზიზილ-პიპილები განათლებისა.

1874 წლიდამ დაარსებულ იქმნა სახალხო სკოლების დირექტორობა, და ტფილისის გუბერნიის სკოლების დირექტორად დანიშნეს ბესარიონ ღოღობერიძე. უკეთესს კაცს ამ საქმისათვის მთავრობა, რასაკვირველია, ვერ იპოვიდა. საქართველოს სკოლების გამგე უნდა ყოფილიყო საქართველოისვე შვილი, მცოდნე თვისის ხალხისა, მისის საჭიროებისა და მიდრეკილებისა; გარდა ამისა, საჭირო იყო კაცი, რომელიც საქმეს ბეჯითად მოჰკიდებდა ხელს არა მარტო იმიტომ, რომ სამსახურის მოვალეობა თხოულობსო, არამედ იმიტომ რომ თავი დასდვა ხალხის განათლებისათვის, იმიტომ რომ გული სტკიოდა ხალხისათვის, რომლის კალთაშიაც თითონ გამოზრდილა.

ამ-გვარი კაცი იყო ბესარიონი, რომელმაც მართლადა ბეჯითად მოჰკიდა ხელი სკოლების საქმეს. მოიარა ქართლი და კახეთი, საკუთარის თვალით დააკვირდა ხალხის განათლების საქმეს, გამართა რამდენიმე სკოლა (საგარეჯოს, ყვარელს, ენისელს, გურჯაანს და სხვა). ხალხის განათლების საქმეს ბესარიონმა დაართვა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საქმეც. იგი კარგად გრძნობდა, თუ რა მჭიდრო კავშირი სუფევს ეკონომიურის მდგომარეობისა და განათლების შორის; კარგად ჰხედავდა, რომ ხალხი დიდ გაჭირვებაშია, სხვადასხვა ვაჭრების ხელშია ჩავარდნილი ხელ-ფეხ-შეკრული, და თუკი კუშსაც ვერ გაიძლობს, რაღა სწავლა უნდა მოაგონდეს. ყველა ის კარგად იცოდა-მეთქი ბესარიონ ღოღობერიძემ, და

ამიტომაც მიჰყო ხელი მოძღვრებას შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსებისათვის და დააარსა კიდეც რამდენიმე. ამ ამხანაგობათა გამგეობა ჩააბარა თვით სოფლის მასწავლებელთ და მით თითქო აღიარა ხალხის წინაშე ის ურთიერთობა სწავლისა და ეკონომიურის მდგომარეობის შორის, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ჩვენდა სამწუხაროდ, დიდხანს ვერ მოუხდა ბესარიონს შრომა ხალხის განათლებისათვის, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც დაიმკვიდრა მან ხალხში კეთილი სახელი და გულითადი სიყვარული.

დიდხანს ვერ გასტანა-მეთქი ღოღობერიძის დირექტორობამ. იმერეთის თავად-აზნაურობა შეუდგა საადგილმამულო ბანკის დაარსებას, რომლის წესდება ბესარიონმავე შეადგინა. ამ ახლად დაწყებულ საქმისათვის საჭირო იყო თადარიგიანი კაცი, მხნე, მცოდნე, პატიოსანი, საქმისათვის თავდადებული, მარტო საქმისათვის, და არა მიმყოლი ტყუილ-უბრალო ცილობისა, საკუთარის, პირადის სარგებლობისათვის. ამ-გვარ კაცად გამოჩნდა ისევ ბესარიონ ღოღობერიძე. „მართალია მსხვერპლად უნდა დავდვა ჩემი გულით საყვარელი შრომა და მოღვაწეობაო, — ფიქრობდა ბესარიონი, — მაგრამ ისიც (თავად-აზნაურთა ბანკი) დიდი საქმეა ჩემის ქვეყნისთვისა, და საჭიროაო, რომ დასაწყისშივე კარგ გზაზე დადგესო".

ბანკის გამგედ ამოირჩიეს ბესარიონ ღოღობერიძე, რომელმაც უშველებელის შრომით მიჰყო ხელი მის საქმეს და ზედ შეაკვდა კიდეც.

გარდა ამ საჯარო და ყველასათვის აშკარა მოღვაწეობისა ბესარიონს არა ერთი სიკეთე მოუხდენია საიდუმლოდ ქართველ ახალგაზრდობისათვის, ჩვენის ქვეყნის მოსწავლე ყმაწვილ-კაცებისათვის: ვისაც გროში არა ჰქონია სწავლისათვის — უშოვნია ბესარიონის შემწეობით; ვისაც წიგნი დაჰკლებია — იმავე ბესარიონს მიუწვდენია. ამგვარი შემწეობა არავის არ ეთაკილებოდა, რადგან ბესარიონის გულწრფელობა ყველასათვის უეჭველი იყო. წიგნს მიაწვდენდა თუ ფულსა, — მიაწვდენდა ისე ალალად, ძმურად, რომ წყენას, ან თაკილობას არავითარი ადგილი არ ჰქონდა. „ერთ ცისა ქვეშ ვართ დაბადებულნი, ერთისა და იმავე ქვეყნის შვილები ვართო და რად უნდა გვწყინდეს ერთი-ერთმანეთის შველა და შემწეობაო", — ასე ამბობდა განსვენებული ბესარიონი.

ბესარიონ ღოღობერიძე გარდაიცვალა ორმოც-და-შვიდის წლისა, ჯერ ისევ მხნე, ისევ ბეჯითი, მშრომელი, აღსავსე ძალითა და ღონითა. მართალია დღეს თითქმის მთელი საქართველო გლოვობს ამისთანა შვილის დაკარგვას, მაგრამ განსვენებულმა დაუნერგა თვის სამშობლოს ერთი ნუგეშიც: სჩანს სიცოცხლისა და წარმატების სახსარი არ გასწყვეტია იმ ქვეყანას, რომელსაც ებადება ამისთანა სახელოვანი შვილი.

[1879 წ.]

ნინო ბაგრატიონი

(ნეკროლოგი)

ჩვენმა სასიქადულო მღვდელ-მთავარმა გაბრიელ ეპისკოპოსმა ერთხელ ერთს თავის სახელოვან ქადაგებაში ბრძანა:

„მე თითონ არ მინახავს, ხოლო გამიგონია სარწმუნოთა კაცთაგან, რომელ ერთს ძველს ეკლესიასა შინა კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალით მენახა ეს ხატი! მაშინ მე გავიცნობდი მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემი! რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისა, რომ ერთკერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით მას ხელში ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა მისსა ღვთაებრივსა კარგითა ხელოვნებითა იყოს გამოყვანილი ის ღვთაებრივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსა. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა“.

„რა კარგი იქნებოდაო, — ბრძანებს ყოვლად-სამღვდელო, — რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალ-

თა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისაო", — ესე იგი იმისთანა ხატი, რომელიც ერთის მხრით წარმოადგენდეს დედას მოსიყვარულეს და მეორეს მხრით — დედაკაცს მშრომელსა და მხნესა. კარგი იქნებოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სად არის ეგრეთი ქალი! დღევანდელს ქალს წარმოდგენილი აქვს იგი სასიქადულო ხატი კი არა, არამედ სამოდო სურათი ქალისა, რომელსაც თავზედ ადგია უშველებელი კოშკი-შლიაპა და ნაოჭ ქვეშ დატანებული აქვს არა ნაკლებ უშველებელი კურტან-ტიურნირი! აი დღევანდელის ქალის სასურველი და სანატრელი სურათი!.. სიმაღლე შლიაპისა და სიდიდე ტიურნირისა, — აი იგი ნიშანი დღევანდელის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა!..

თუ ჩვენში სადმე არის ქალი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად თვალ-წინ უდგა მღვდელმთავრისაგან ასე მშვენივრად სიტყვით გამოსახული ხატი, თუ სადმე არის, — ისევ ჩვენს ძველს დედაკაცთა შორის. მართალია, იმ ძველ დედაკაცთა იქნება არ იციან, რომ პარიზი საფრანგეთის დედაქალაქია და პეტერბურგი ახლოა თუ შორს, მაგრამ იციან კი „იგი მოვალეობა, ღირსება და მნიშვნელობა", რომელსაც ჩვენის ქალებისათვის ასე სამართლიანად ჰნატრულობს ჩვენი ბრწყინვალე ეპისკოპოსი. ყოველივე ეს იმოდენად სწავლის შედეგი არ არის, რამოდენად ხასიათის, თვისების გაწვრთნილებისა და გამტკიცებისა. ამ ხასიათის, თვისების გაწვრთნაში ჩვენს ძველს ოჯახს ეხლანდელი სკოლა ვერ შეედრება. უწინდელს ჩვენს გაწვრთნას ცოდნა აკლდა და ეხლანდელს ჩვენს ცოდნას ხასიათის და თვისების გაწვრთნა აკლია. თქმა არ უნდა, რომ უკეთესი არ იქნებოდა-რა, რომ ხასიათის გაწვრთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწვრთნა. იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორის საუნჯის ერთად შექსოვაა. მაგრამ როცა არ არის ერთად შექსოვილი, მაშინ თვით მკითხველი მიგვიხვდეს, ამ ორში რომელი უნდა უფრო ამჯობინოს კაცმა.

რომ მართლა ისევ ჩვენ ძველთა დედაკაცთა შორის მოიპოვებიან ისეთნი გვამნი, როგორსაც ჩვენდა საბედნიეროდ გვირჩევს ბრწყინვალედ განათლებული გაბრიელ ეპისკოპოსი, ამის მაგალითი იყო კნეინა ნინო, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის მეუღლე, დადიანის ასული. ასული სამეგრელოს მთავ-

რისა და მეუღლედ დიდს ოჯახში შესული, იგი მარტო ამით არ უნდა ისხენიებოდეს. დიდკაცობა შთამომავლობითი, თუ მეუღლეობითი, შემთხვევის საქმეა. ამაში თითონ ადამიანს არა საკუთარი ღვაწლი არა მიუძღვის-რა, ეგ განგების საქმეა, და ამიტომაც ადამიანს, როგორც კაცს, ეგ საკუთარ ღირსებად არ ჩაეთვლება. დიდი ხანია თქმული, რომ —

„თუ კაცი თითონ არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა".

მიცვალებული კნეინა ნინო იყო ერთი იმისთანა იშვიათი დედაკაცი, რომელმაც იგი ჰქმნა, რაც ჩვენის ფიქრით, ყველაზედ ძნელია ადამიანისთვის: მან იპოვა და აიჩინა საგანი თავისის ცხოვრებისა. ძველნი ფილოსოფოსნი ამტკიცებდნენ და ახალნიც ემოწმებიან, რომ ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის-თვის ცნობა, თავისის-თავის ცოდნა არის, ესე იგი, იცოდეს რის ძალ-ღონის პატრონია და იმის კვალობაზედ ამ წუთის-სოფლის სუფრაზედ თვისი ჰეშმარიტი ადგილი დაიჭიროს და ცხოვრებას ადამიანისას აქედამ მისცეს თავისი შემძლებელი მხარი. ჩვენ ამაზედ შორსაც წავალთ და ვიტყვით, რომ ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის ცხოვრების საგნის პოვნა და აჩენაა. მაღალის ზნეობის თვალთა წინაშე აქ საწყაოდ კაცურის-კაცობისა იმოდენად თითონ საგნის სიღრმე და სიდიდე არ არის, რამოდენადაც საგნის სიცხადე და გამორკვეულობა. მარტო გონება-მაღალს კაცს აქვს წყურვილი ცხოვრების საგნის აჩენისა და მარტო გონება-მაღალს კაცს შეუძლიან აღნიშნოს იგი საგანი მთელის თავის სიგრძე-სიგანით ისე, რომ ყოველს ჟამს წარმოდგენილი ჰქონდეს, როგორც თავისი ხელისგული, არც გადაჭარბებით, არც დაკლებულად. აქ სიდიდე თითონ საგნისა არაფერს შუაშია. ქრისტე-ღმერთმა გროში ღარიბის დედაკაცისა სხვაზე მეტად შეიწირა, იმიტომ რომ დედაკაცმა გაიწირა ყოველი, რაცა ჰქონდა. საქმე მაღალ ზნეობისა იმაშია, რომ ადამიანმა ის მოიტანოს წუთის-სოფლის სუფრაზედ, რაცა აქვს. ვინც მართლად აღნიშნავს თავისს მოსატანს და უკლებლად მოიტანს, მასზედ ითქმის, რომ იპოვა საგანი ცხოვრებისა და განახორციელა კიდეც. ამისთანანი იშვიათნი არიან და ამ იშვიათ-

თაგანი იყო აწ გარდაცვალებული კნეინა ნინო ბაგრატიონ-მუხრანსკისა.

იგი საქმე, იგი საგანი, რომელსაც დიდის გამარჯვებით და მხნეობით მოახმარა მან მთელი თავისი დაუღალავი სიცოცხლე, შრომაა. გრაფი ტოლსტოი, რომლის ფილოსოფიამაც დღეს ააყაყანა მთელი რუსეთი, თითქმის ამავე შრომაში ჰპოულობს საგანს ცხოვრებისას. მაგრამ კნეინა ნინოსა და ტოლსტოის შორის დიდი განსხვავებაა. პირველი მართლა გამრჯელი, საქმიანი, მუშა დედაკაცია, შეხორცთვისებული აქვს იგი საგანი ცხოვრებისა ასე, რომ მეორე ბუნებადა აქვს შექმნილი. მეორე-კი ეკეკლუცება მხოლოდ ამ საგანს ცხოვრებისას, იწებებს გარედამ და არ შეიხორცთვისებს. ტოლსტოისათვის ეგ საგანი ცხოვრებისა გამაძღარის, გულასუყებულის კაცის უხიაკობა, დაჟინება და ნებივრობაა, კნეინა ნინოსთვის-კი — მის ბუნების წყურვილი, ბუნების მოთხოვნილება იყო. ტოლსტოის რომ იგი მის-მიერ ახლად ნაპოვნი საგანი ჩამოაცალოთ, არა დააკლდება რა, ისევ ის იქნება, რაც არის; კნეინა ნინოსათვის-კი რომ ჩამოგეცალათ, ჩამოაცლიდით თითონ სიცოცხლესაც, იმიტომ რომ სიცოცხლე და საგანი სიცოცხლისა ერთი განუყოფელი არსი იყო ერთისა და იმავე გვამისა, როგორც სული და ხორცი. ამისი მოწმე იგია, რომ კნეინა ნინომ, რომელსაც დაბადებითვე ბედმა მიანიჭა დიდი გვარიშვილობა, დიდ ოჯახის მეუღლეობა, შეძლება, დიდკაცობა, და რომელსაც ამის-გამო ყველაფერი ჰქონდა, რომ უქმს განცხრომაში გაეტარებინა თვისი სიცოცხლე, ყოველივე კეთილი ამა ქვეყნისა ეგემნა და დამტკბარიყო, როგორც ათასნი სტკბებიან, კნეინა ნინომ, — ვამბობთ ჩვენ, — დასთმო ყოველივე ეს და იმ „მოვალეობას, ღირსებას და მნიშვნელობას“ ჭეშმარიტის დედაკაცობისას შესწირა, შეალია თავისი სიცოცხლე, რომელსაც იხსენიებს თავის ქადაგებაში გაბრიელ ეპისკოპოსი. დასთმო ყოველივე ესე, წავიდა სოფელში და დღე და ღამე ათენა, გაასწორა შრომითა და მხნეობითა. რამდენი ერიდება სოფელს, უფრო ხელმოკლე შეძლებითა, უფრო ღარიბი, და თავის გასამართლებლად ის მოჰყავს, რომ სოფელი უფერულია, კაცი ვერ გასძლებს, გასართობი არა არის რაო. მან-კი, თითქმის ყოვლისფერის მქონემ, რომ ქალაქის სიამოვნება ყოველივე ხელთ ეგდო, არ იკად-

რა, იუცხოვა უქმად ყოფნა, წავიდა სოფლად და შრომასა, მხნეობასა და გარჯაში იპოვა საგანი ცხოვრებისა და ამ საგანში ადამიანის საკადრისი ჭეშმარიტი სიტკბოება და ადამიანის ასამაღლებელი გართობაცა. ამისთანა დედაკაცს მოწყენისათვის მოცლა არა აქვს, იგი ყოველთვის გართულია და გართულია ისე, როგორც ჰშვენის ღვთის მსგავსებით და სახით დაბადებულს ადამიანსა.

აი, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. გარდაცვალებულისა! აი, მაგალითი ჭეშმარიტის დედაკაცობისა და — თუ გნებავთ — მამაკაცობისაც! ტყუილად კი არ მიუტირეს დიღომში სოფლის დედაკაცებმა და გამოთხოვების დროს უთხრეს: „სად მიგვიხვალ, ქვეყნის სასარგებლო დედაკაცო! საცა შენი ხელი მისწვდა, კლდეც კი აჰყვავდაო!“ მართალიცა სთქვეს, მაგისთანა ადამიანთაგან შენდება ქვეყანა.

დასასრულ, ჩვენ იმასვე ვიტყვით გარდაცვალებულს კნეინა ნინოზედ, რაცა სთქვა სოლომონ ბრძენმა თავის დედაზედ, მისის მხნეობით გაკვირვებულმა:

„იგი აღსდგის ღამითგან და მისცის საზრდელი სახლეულთა და საქმე მხევალთა;

„მან მოირტყა ძლიერებით წელი თვისი და დაამტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა;

„იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველ;

„წყართა თვისი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ნებსა თვისსა განამტკიცებს ტარსა ზედა სთვად;

„ხელნი თვისნი განუხვნა გლეხკაცს, ხოლო ნაყოფნი მიუპყრნა დავრდომილსა“.

ამისთანა დედაკაცზე სთქვა ბოლოს სოლომონ ბრძენმა, რომ „დედაკაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა“. ნეტა იმ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მხნე დედაკაცნი!..

[1886 წ.]

იასე ანდრონიკაშვილი

I

ტფილისი, 10 იანვარი, 1887 წ.

ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა-მყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა, — საცა უნდა იყოს, — თუ გულმხურვალობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულობით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, — უტყუარი ნიშანია თითონ მოღვაწის დიდ-ბუნებოვანობისა. იქნება ზოგიერთებს ეხამუშოს, ზოგიერთს ეუცხოვოს ეს ჩვენი აზრი, და სიტყვა შემოგვიბრუნოს: „დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი თითონ მოსაქმის დიდბუნებოვანობისაო“. ეს მართალია, თუ საქმე ქმნილია. თუ არ არის ქმნილი და მარტო ამაო თავმოწონებით და ცუდ-მედიდობით ხელწატანებულია, მაშინ საქმე დიდი თუ პატარა, სულ ერთია: იგი ხელის წამტანებელის ქარაფშუტობას უფრო გვისაბუთებს და გვიმტკიცებს, ვიდრე დიდბუნებოვანობასა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ძალა ქმნასა ჰქონია და არა მარტო ხელის წატანებასა და ფოტინსა. არა-ქმნა ყოველ დიდს საქმეს ამცირებს და ქმნა-კი პატარასაც დიდად ჰხდის. ესეც მართალია, რომ ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა დიდი საქმეა, რომელიც თავისთავად ჰხმაურობს, ქარბუქს აყენებს და ყველას თვალ-წინ უდგა მთელის თავის სიდიდითა. ხოლო იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც ჟღარუნები არა აქვთ და არა ხმაურობენ, მაგრამ მით არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წუთი-სოფლის სიმწარის დასატკბობლად და სიმწვავის გასანელებლად. ამისთანა საქმეა, მაგალითად, მართლმსაჯულება. იგი არ დაიარება ქვეყანაზედ ბუკითა და ნაღარითა. მისთა მსახურთა მზად-მზარეული გვირგვინი შარავანდედისა არ ადგიათ თავზედ, რომ დიადობის ქარი ჰქონდეს კაცთა თვალთათვის. როგორც თითონ მართლმსაჯულება, ისეც მისნი მსახურნი, მშვიდობიანად, უბუკნაროდ საქმობენ თავის საქმესა და მშვიდობას ქვეყნისას, სიკეთეს ოჯახისას, ნამუსს და პატიოსნებას ადამიანისას ჰპატრონობენ და ესარჩლებიან. თუ ესე არ არის, ასე მაინც უნდა იყოს და ჩვენ მასზედ-კი არა ვლაპარაკობთ, რაც არის, არამედ მასზედ, რაც უნდა იყოს.

ნუთუ ამ არა-მყვირალა საქმეში კაცი ჩაბმული და პატიოსნად მოღვაწე არ შეიძლება დიდ-ბუნებოვანი იყოს, მარტო იმიტომ, რომ თითონ საქმე მყვირალა არ არის, ჩუმია და ხმა-ამოუღებელი? ნუთუ თითონ საქმე, ურომლისოდაც მთელი ქვეყნიერობა ერთს არეულს და ერთმანეთის მჭამელს მხეცთა გროვას წარმოადგენდა, ნუთუ, — ვამბობთ, — თითონ ეგ საქმე დიდი არ არის მარტო იმიტომ, რომ ბუკითა და ნაღარით არ იჩენს თავსა!.. საქმე დიდია და დიდი არის იგიც, ვინც გულთბილად, კაცთმოყვარეობით, პატიოსნად და სწორის სასწორით ხელში ემსახურა და ჰმსახურობს.

ერთი ამისთანა მსახური მართლმსაჯულებისა არის თ. იასე ადამის-ძე ანდრონიკაშვილი, რომელსაც 23-ს თებერვალს 1887 წლისას უსრულდება ორმოც-და-ათი წელიწადი მას აქეთ, რაც საბელ-შიფო სამსახურშია და ორმოც-და-ერთი წელიწადი მას აქეთ, რაც ჰმსაჯულობს ჩვენში. მაშასადამე იგი ყოფილა მსაჯულად იმისთანა ხანებშიაც, როცა ახალი წესები შემოღებულნი არ იყვნენ და ძველნი კი, სამართლიანად ათვალწუნებულნი, მსაჯულს სახსარს აძლევდა ყოველივე ცუდკაცობა ჩაედინა და სამართლის სასწორი ისე ებრუნებინა, როგორც გუნებაში გაუვლიდა. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა ყოფა მართლმსაჯულებისა მიზეზს აძლევდა კაცს ათასნაირი მართალი და ტყუილი ბრალი შეეწამათ მაშინდელ მსაჯულთათვის. მაგრამ თ. იასე ანდრონიკაშვილმა დღეს-აქამომდე ისე პატიოსნად და მართლად ატარა თავისი სახელი, რომ არც ერთხელ თითონ ცილმაც კი ვერ შეჰბედა ცილისწამება; არც ერთხელ ყოველთა სიწმინდის შემბღალველი ბოროტებაც-კი ავგულის კაცისა იმოდენად ვერ გაკადნიერდა, რომ მცირეოდენი ჩრდილი მაინც მიეყენებინა მის კეთილ-სინდისიანობისა და პატიოსნებისათვის. მეტად წმინდა და შუქ-სხმული პატიოსნება უნდა იყოს, რომ ამოდენა ხნის განმავლობაში ყოველის გამბედავი ცილი და ბოროტება ადამიანისა ვერ ჰბედავდეს მოსცხოს რამ და ენა-ჩავარდნილი და გაბათილებული მის წინაშე პირქვე დაემხოს!..

მარტო ამ მხრით არ არის ცნობილი ჩვენში თ. იასე ანდრონიკაშვილი. მისი მიუდგომელი პირუთვნელი სიმართლე, მისი გულმოდგინება საქმისა, დაუღალავი შრომა, მისი საქმეში სულით და გულით ჩახედვა, მისი გულშემატკივარობა,

კაცთმოყვარეობა, სითბო და სიტკბო, — ყველამ იცის, ყველას ენაზედ აკერია. საცა მართალია, იქ თ. იასე ანდრონიკაშვილისათვის სხვა არა არის-რა მართლის მეტი; არც ნათესაობა, არც მეგობრობა, არც თხოვნა-ვედრება არა სჭრის-რა. ერთხელ მის მიერ აღიარებულ მართლის მეტი. არა ერთხელ და ორჯერ ჩვენის ყურით გაგვიგონია: მადლობა ღმერთს, დღეს თ. იასე ანდრონიკაშვილი იქნება ჩემის საქმის მსაჯულადა, სხვათა შორის, და იმედია, მართალს მოსარჩლე ეყოლება და სამართლის სასწორს — მფარველი განაჩენის დადგენის დროსაო. ვინც იცის, რა დიდი განძი უნდა ზნეობისა, რომ კაცმა საზოგადოდ და მსაჯულმა საკუთრივ ამისთანა ნდობა მოიპოვოს, ის ჩვენ აღარ მოგვიკითხავს ქებასა და დიდებასა თ. ანდრონიკაშვილისას, როგორც სასიქადულო კაცისას და ყოვლად პატიოსან მსაჯულისას.

სახელმწიფო სამსახურში მყოფსა, არც საზოგადოების სამსახური დაჰზარებია ოდესმე თ. იასე ანდრონიკაშვილს. ათი წელიწადი ემსახურა ჩვენს ბანკის საქმესა უანგაროდ, უსასყიდლოდ, იმავე სიყვარულით, გულმხურვალეობით და გულმოდგინეობით, როგორც ცნობილია ყველგან და ყველასაგან. არც ერთი სამადლო საქმე არა კეთდება ჩვენში, რომ იქ თ. იასე ანდრონიკაშვილის წვლილი და ხელი არ ერიოს. ამისათვის არა ხარჯს, არა გარჯას და შემწეობას არ მოჰრიდებია თვისდა სასახელოდ და უმწეოთა სასიხარულოდ. ასეთია იგი კაცი, რომელსაც უპირებენ დღე ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობისა პატივისცემით გადუხადონ. უფროსს თავმჯდომარეს სასამართლოს პალატისას ბ-ნ გონჩაროვს, აქაურ გაზეთების სიტყვით, განუზრახავს, და სასამართლოს მოხელეთა ერთობ, პატივი აგონ დღეს თ. იასე ანდრონიკაშვილის ორმოცდა-ათის წლის შეუმწიკვლელ სამსახურისას და მით დაუმტკიცონ თვისი პირუთვნელი, გულითადი პატივისცემა კაცს, რომელიც ყოვლად ღირსეული წარმომადგენელია მართლმსაჯულებისა კავკასიაში.

თუ მარტო სასამართლოს მოხელეთათვის არ არის ეს განზრახვა, რასაკვირველია, მრავალნი სხვანიც მოიწადინებენ მონაწილეობა მიიღონ და ამ გზით გამოუცხადონ თავისი გულითადი პატივისცემა და სიყვარული კაცს, რომლის მოღვაწეობა, ესოდენ ყველასათვის სამაგალითოა. თუ არა და სა-

სურველია, რომ ტფილისის საზოგადოებამ, ყველამ საერთოდ, პატივი სცეს ამ დღეს თ. ანდრონიკაშვილს თავის მხრითაც და ამით დაამტკიცოს, რომ კაი-კაცობას, კეთილ-სინდისიანობას და პატიოსნებას, დიდსა თუ პატარა-საქმეში, ჩვენშიაც პატივი და დიდება აქვს და ექნება. ძნელად შეხვდება კაცი, რომ პატივისცემა და სიყვარული საზოგადოებისა ისე მართლად და უტყუარად შეეწონოს ჭეშმარიტს ღირსებასა, როგორც ამ შემთხვევაში. ნუ ვიქნებით უმადურნი და ყველას თავისი მივუწყოთ ხოლმე. ხალისი ამითი მხნეობს და მხნეობა ამით ჰხალისობს.

II

ტფილისი, 25 თებერვალი, 1887 წ.

23-ს თებერვალს თ. იასე ადამის-ძეს ანდრონიკაშვილს გადაუხადეს ორმოც-და-ათის წლის სამსახურის დღეობა. საზოგადოებამ თავისი პატივისცემა და მადლობა საჯაროდ გამოუცხადა კაცს, რომელსაც არც სახელოვანი ომი მოუგია, არც ქვეყანა დაუპყრია, არც იმისთანა რამ მოუხდენია, რაც თავის-თავად ჰყვირის, ჰხმაურობს და ბუკსა და ნაღარასა სცემს.

მაშ რამ გამოიწვია ეს საჯარო პატივისცემა და მადლობა? ნუთუ მან, რომ კაცმა ორმოც-და-ათის წლის სამსახურს გაუძლო, ესოდენ ხანგრძლივად ჰზიდა ტვირთი სახელმწიფო თანამდებობისა? არა. ჩვენდა სასიამოვნოდ ის უნდა ვაღიაროთ, რომ აქ, ამ ამბავში, სხვა უმაღლესი ზნეობითი აზრია. მართალი მოახსენეს თ. ანდრონიკაშვილს: „ხანგრძლივობა რა არის? ეგ ჯანის სიმრთელის საქმეა. ჯანის სიმრთელე კიდევ ერთი უმაღლესი მადლია, რომელსაც კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე მარტო თვის რჩეულსა, მაგრამ მაინც მადლია და არა ღვაწლიო; სასიქადულო და სასახელო თვით თ. ანდრონიკაშვილისათვის იგი ზნეობითი აზრია, რომელიც სათავედ უდევს მის დღეობის ამბავსა. აქ საზოგადოებამ ხანგრძლივობა მოღვაწეობისა კი არ დააფასა, არამედ ის, რომ ნახევარსაუკუნის განმავლობაში კაცმა არც ერთხელ არ უმტყუნა თავის

მოვალეობასა, თავის თანამდებობასა და არც ერთხელ ცილისწამებასაც-კი არ შეაბღალვინა თავისი წმინდა და პატიოსანი სახელი, მერე იცით, რა მიზეზიანია იგი თანამდებობა მოსამართლისა, — მსაჯულისა, რომელიც მთელი ორმოცი წელიწადი წილად ხვდა თ. ანდრონიკაშვილსა! ვინც ეს იცის, მან ისიც უნდა იცოდეს, რა დიდ-ბუნებოვანობაა კაცის მხრით, რომ ცილსაც-კი ვერა გააბედვინოს-რა, ცილსაც-კი ენა მოსჭრას, ხმა არ ამოაღებინოს.

ყოველს ადგილას, ყოველს საქმეში — რაც უნდა ჩუმი იყოს, რაც უნდა მცირე — ადამიანს შეუძლიან აღმოაჩინოს სიდიადე ღვაწლისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერისაგან: „ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ერთს უდიდესს სამსახურს უწევს კაცობრიობასაო“.

ამ წუთის-სოფელში ადამიანს ბევრი და მრავალ-სახის საქმე აქვს საკეთებელი, როგორც კერძოდ თავის-თავისათვის, ისეც ზოგადად ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს, სათითაოდ ყველას რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს. მაღალ ზნეობის თვალის წინაშე სიდიდე ადამიანისა დანიშნულების სიდიდეზედ არ არის დამოკიდებული. მრავალ-გვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა, ღონესა, მიდრეკილებასა და ვინ როგორ უძღვება. თითონ საქმის მეტ-ნაკლებობა აქ არაფერს შუაშია, დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაჰჭიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება. უამისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია.

მოსამართლობა, მსაჯულობა, ჩუმია, წყნარი, უხმაურო, უბუკ-ნაღარო. ღვაწლი მოსამართლისა, მსაჯულისა, ისეთი ერთიანი არ არის, როგორც, მაგალითებრ, ციხის აღება, ქვეყნის დაპყრობა, ომის მოგება და სხვა რამ ამ-გვარი დიდი. თვალსაჩინო და ერთბაშად დასანახავი საქმე, რომელიც ერთბამადვე აცვიფრებს ადამიანს. იგი განუწყვეტელი ძეწკვია ყოველდღიურის ღვაწლისა; იგი ერთი-ერთმანეთზედ ზედ-ასხმული მარცვლებია ადამიანის საყოველდღეო მოქმედებისა. რამოდენა სინათლე და სიკეთე უნდა ჩააყოლოს კაცმა ამ

უჩინარს მარცვლებს თავის განუწყვეტელის მოღვაწეობისას, რომ მათი კრებული იმად გამოჩნდეს, რასაც მოქალაქეობრივს ქველობას ეძახიან და რაც სამართლიანად გამოიწვევს ხოლმე ქებას, დიდებას, პატივისცემას და მადლობის გადახდასა. ერთის დიდის საქმით ამის დამსახურება იმოდენად ძნელი არ არის, ჩვენის ფიქრით, რაც ამ ხანგრძლივის დაუღალავის ღვაწლით, დღე-მუდამ ერთი-ერთმანეთზედ ზედ-მიყოლილის სიკეთით მოპოვებული. იმიტომ რომ დიდი საქმე ხოგჯერ ბედისაგან წილად ხდომილია და ადამიანი მარტო ფარ-ხმალია, ბედისაგან არჩეული. აქ კი გამუდმებული თავდადება უნდა, დიდი გულმოდგინება, დიდი ღონე ზნეობისა, დაუცხრომელი სიყვარული, დაუღალავი ბეჯითობა და გაუტეხლობა გულპატიოსანის მუშაკისა და გამრჯელისა. ყოველივე ეს უნდა, რომ მარცვლეულობით ნაღვაწი ბოლოს იმოდენა ხვავად აქციოს კაცმა საზოგადოების თვალში, რომ საჯაროდ პატივისცემა და მადლობა გამოიწვიოს. აქ ადამიანი თაოსნობს, ირჯება და არა ბედი.

აი, რას ვხედავთ და რას ვპოულობთ ჩვენ თ. ანდრონიკაშვილის დღეობაში მისდა ჭეშმარიტ სასიქადულოდ და სასახელოდ. თვით იგი საზოგადოებაც კი პატივით და სახელით მოსახსენებელია, რომელსაც თვალი უჭრის ამ-გვარის ღვაწლის დასანახავად. ეს უტყუარი ნიშანია მის გონების აღმატებისა, იმიტომ რომ უბუკ-ნაღაროს საქმეს, ჩუმსა და უჩინარს სასარგებლო ღვაწლს ხორცის თვალი ძნელად მისწვდება. აქ გონების მჭრელი თვალი უნდა, რომ თვალად მცირენი, მაგრამ კეთილნი საქმენი, რომელნიც გამუდმებულ შრომით ერთმანეთზედ განუწყვეტლად აკინძულია, ზედ-ნაკეცია, იცნას დიდის ზნეობის საქმედ და პატივისცემის ღირსად გაჰხადოს. დიდის-დანახვა ადვილია, საქმე ის არის, იმა ჩუმთა მუშაკთა უჩინარი ღვაწლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვაწიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედა-ბოძად უდგა თვით საზოგადოებას.

მიხეილ ყიფიანი

(ნეკროლოგი)

ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია. უფულობა და უქონლობა-კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა უღონოდაო, — ამბობს ვოლტერი, — და აი, ერთი ამისთანა საქვეყნოდ გამორჯელი და მხნე კაცი დღეს ჩვენ წინ გულხელ-დაკრეფილი ასვენია კუბოში და, ჩვენდა საუბედუროდ, ანდერძს ვუგებთ, რომ სამუდამოდ მივაბაროთ შავ მიწასა. მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელთ მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოვებს ცარიელად მის მიერ დაპყრობილს ადგილსა. როცა უნდათ შეიტყონ, ერი რა ღონისა და ძლიერების პატრონია, ყოვლთ უწინარეს იმისთანა კაცებს ჩამოუთვლიან ხოლმე, როგორიც მიხეილ ყიფიანი იყო. აი, ვინ დავკარგეთ დღეს, აი დღეს ვისა ვმარხავთ, აი, ვინ დააკლდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს. ამისთანა კაცის დაკარგვა სწორედ კლებაა ერისა და ქვეყნისათვის.

ბევრმა არ იცის, რა კაცი იყო განსვენებული, რა ღვაწლი და სამსახური მიუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე. არც ჩვენ მოვთვლით ყოველს მას, რაც სიცოცხლეში მას ასულდგმარებდა, რაც ამოქმედებდა და რაც უსაქმია და უკეთებია. მან იგი სიკეთე ჰქმნა, რის შემძლებელიც იყო და „ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებელიც არის, ქვეყნიერობაზე უბედურნი აღარ იქნებიან“.

იგი საქმობდა, ირჯებოდა, მხნეობდა, თავის პატარა ქვეყნისათვის და არა ჰყვიროდა-კი ამას დაფითა და ნაღარითა. იგი არ ეძებდა სხვის ქებასა და დიდებას. იგი ნიაღვარს-კი არა ჰგვანდა „მღელვარეს, კლდესა მცემელსა“, იგი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელი“ იყო, და სწორედ ამისთანა კაცია მართლა ღირსი ქებისა და დიდებისა. იმიტომ რომ „მარტო ცუდ-მედიდობა ეძებს სხვის ქებას და ჭეშმარიტი საქმიანობა-კი — ჩუმს მოწმობას სინდისისას“. აი სად არის მიზეზი, რომ ბევრ კარგ საქმეთა მომქმედი მიხეილ ყიფიანი ისე ცნობილი არ არის ყველასათვის, როგორც სასურველია.

„რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, — ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი, — პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავსო“, — და აი, ჩვენდა საუბედუროდ, წუთის-სოფელმა კუბოთი მოგვაყენა კარ-წინ ის პატიოსანი კაცი, რომლის პატიოსან გულშიაც ჩვენს პატარა სამშობლოს არამც თუ დიდი, მთელი ადგილი ეჭირა. სიყვარული ჩვენი ქვეყნისა, ჩვენის ერისა, მისთვის ცარიელი სიტყვა-კი არ იყო, როგორც დღეს ბევრისათვის არის, არამედ იგი იყო დაუღალავი ღონე გარჯისა და მხნეობისა. იგი აღამებდა დღეს და ათენებდა ღამეს იმ უანგარო ზრუნვით, იმ სიყვარულიან გულის ტკივილით, რომ რითიმე გვარგოს, რაიმე შეგვძინოს. ამისი მოწამე მის მრავალ-გვარი ღვაწლია სხვადასხვა ასპარეზზედ, საცა-კი მისი პატიოსანი გული მიაწვდენდა ხოლმე მის პატიოსანს ხელსა.

სულ ორის დღის წინათ, მინამ სიკვდილი სამუდამოდ დაადუმებდა ამ დაუდუმებელს, ქვეყნისათვის პატიოსანს კაცს, იგი იწერებოდა ტფილისში: „სტეფანწმინდაშიაც ვახერხებთ სკოლის გამართვასაო, იქაურ ყმაწვილებისათვის თქვენ-მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო“. „დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო!“ — სიტყვა აქ იმაში-კი არ არის, რომ პატარა მოხევენი გაახარა, იმაშია, რომ თვით გაჰხარებია ბავშების სიხარული, იმიტომ რომ, ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამცნევს, ვერც აღიბეჭდავს. ნუ გგონიათ, რომ იგი წმინდა მადლი სხვის სიხარულით გახარებისა და, მაშასადამე, სხვის მწუხარებით მწუხარებისაც, ცოტა რამ იყოს. იგია პირველი ნიშანი დიდბუნებოვანობისა, დიდკაცობი'ა და მარტო რჩეულთა ამა ქვეყნისათა მაგ მადლს ღმერთი კურთხევით უწყალობებს ხოლმე.

იგი იყო იმისთანა კაცი, რომელსაც, ინდოელებისა არ იყოს, დაბადების დღესვე ბედი ასე აკურთხებს და დალოცავს ხოლმე: „პაწია ყრმავ, ეხლა, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარეშემო-კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის; იყავ ისე, რომ, როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ-კი ღიმილი მოგდიოდეს“.

მშვიდობით! ვინ იცის შენი საქმენი, ყველანი სტირიან

დღეს და მარტო შენ-კი, როცა ეთხოვებოდი ქვეყანას, ღიმილი უნდა მოგსვლოდა, რადგანაც მამულს მამულის-შვილობა გაუწიე და შენი ვალი შეუსრულე.

[1391 წ.]

სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს

არ ვიცი, ამდენს მშვენივრად თქმულ სიტყვებ შემდეგ რა მოგახსენოთ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არა აქვს-რა ღირსი თქმისა, და ზოგი იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა და ან უღონოდ ვგრძნობ თავსა — მისს თვალგაუწვდენელს კიდეებს ერთბაშად თვალი გადავაწვდინოთ მთლად და უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდამ დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველმხრიდამ დიდებული სანახავია. ამისთანაა იგი, რომელსაც დღეს დავტირით.

დიაღ, ბატონებო, დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდ-ბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცება. „ჩეტავი იმასაო, — ამბობს ერთი ძველად-ძველი ბრძენი, — ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო". აი ჩვენს წინაშე მდებარეა იგი მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც-კი გვწურთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი.

თვითოეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად-

კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიე კაცს განიკითხავს თავისის სამართლიანის განკითხვითა.

მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებულ კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი,—საერო, თუ სამღვდელო,—რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოუსრიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ ჴორიგებისა და მოთავსებისა.

ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულთა და არა-ხილულთა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი-კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ". ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ახილულია და გონება-გაღვიძებული. ნება-უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთა-ძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან.

ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწვნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთის-სოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელ-თავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად შორიგებისა ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად.

ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება — მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.

იგი ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულ-გაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვანად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითოეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიანო. ეს მისთვის ლიტონი სიტყვა არ იყო, საღვთო წერილიდამ ამოკითხული და გაზეპირებული. ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება, ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარეთ მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ღვაწლი — ღვაწლად, მადლი — მადლად, საქმე — საქმედ. არ არის არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაშიმე ესუსტნოს ამ რწმენისათვის, პირიქით, თვისი ხანგრძლივი სამსახური მარტო ამ რწმენას შესწირა და შეალია. კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, — ამას მარტო ღრმად გამეცნიერებული სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს.

რომ მარტო იგი ქება-დიდება შრომისა დაგვრჩენოდა, რომელიც მან გვიღაღადა ერთს თავისს დაუვიწყარ ქადაგებაში, და სხვა არა-რა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოჰფენოდა და ჩვენც გვეგრძნო, რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავკარგეთ. „მე თვითონ არ მინახავსო, — ამბობს იგი, — ხოლო გამიგონია სარწმუნო კაცთაგან, რომელ ერთს ძველად-ძველს ეკლესიაში კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მა-

ტყლსა. ნეტამც ჩემის თვალით მენახაო!“ — ჰნატრულობს ამ საუცხოვო ხატით აღტაცებული მღვდელმთავარი: — „მაშინ მე გავიცნობდიო მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემიო! რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი, ყოველდღიდისა, რომ ერთს-კერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით ხელთ ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა ღვთაებრივსა გამოყვანილი იყოს ის ღვთაებრივი სიწმინდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსაო. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისაო!“

ასე ათავებს სიტყვას ზეგარდმო-შთაგონებით მღაღადებელი მღვდელმთავარი. განა-ღა შეიძლება ამაზე მეტად გაპატიოსნება, ზე-აღწევა შრომისა და გამრჯელობისა, რომელიც ბევრსა გვგონია ვითომც წალად-ხდომილია მარტო მდაბიოსიო.

საქმაოა ეს მოკლე, მაგრამ ღრმად გაბრძნობილი სიტყვა, წღვდელმთავრის ბაგეთაგან წარმოთქმული, რომ კაცმა წარმოიდგინოს მთელი სულიერი ახოვანება და სიბრძნე მისი, რომლის ბაგენი დღეს ჩვენთვის სამუდამოდ დასდუმდნენ ჩვენდა საუბედუროდ. ბევრი რამ არის ნათქვამი შრომისა და გარჯის გაპატიოსნებისათვის, მაგრამ ამისთანა ქებათა-ქება შრომისა შესაძლოა მხოლოდ იმისათვის, რომლის ბაგითაც თითონ ღმერთი მეტყველებს.

დიაღ, ბატონებო, მისის ბაგით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდის-ღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წაგვართვა. რომ მისმა კაცთათვის თავდადებულ მსახურებამ, მისმა საქმეებმა უქმად არ ჩაიარა, რომ წრთვნა მისი, მისი ზნე-მაღალი მოძღვრება არ დარჩა ხმად მღაღადებლად უდაბნოში,—ამას ამტკიცებს გლოვა ამოდენა ერისა, რომელიც დღეს შემოჰხვევია ძვირფასს კუბოს, რომ უკანასკნელად ემთხვიოს იმა ბაგეთა, რომლითაც იგი გვლოცავდა და გვწურ-

თვნიდა, იმ მადლიან მარჯვენას, რომლითაც იგი გვაკურთხებდა და რომელიც მუდამ გაწვდილი იყო დავრდომილთა შემწეობისათვის და დაცემულის აღდგენისათვის.

დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშინის-ცემითა და მადლის ფენითა. რით იყო ასე ძლიერ სახელოვანი ჩვენი მღვდელმთავარი, რომ გამოიწვია ასეთი დიდი გლოვა ერისა? ნუთუ მარტო სიბრძნითა? არა, სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე, იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდამ საუკუნემდე. ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის ენისაო, — ამბობდა განსვენებული და ამიტომაც იგი ქრისტეს ჯვარით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად.

დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად. ყოველივე ეს დიდხანს კიდევ ისაქმებს ჩვენში. დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მარტო დიდ-ბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო.

მე რომ მისნი მადლით სავსე საქმენი და სიტყვანი მაგონდებიან, თვალ-წინ წარმომიდგება ხოლმე შარავანდედით მოსილი ახლად დაბადებული გაბრიელ და მგონია, რომ თავს წამოსდგომია ახლად შობილს ყრმას ფრთებგაშლილი მთავარანგელოზი, სიყვარულით დასცქერის და ლოცვა-კურთხევით ეუბნება ამ ბრძენთაგან თქმულს:

„პატარავ, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარეშემო-კი ყოველს სიხარულის ღიმილი მოსდის; ჰქმენ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ-კი ღიმილი მოგდიოდეს“... და აჰა, ჰქმნა ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოება საუკუნოდ, ყველა-

ნი მის გარშემო სტირიან. დიდება სახელსა მისსა! თუ დიდება სანატრელია, აჰა, ისწავლეთ გზანი დიდების შოვნისანი! ამისი მართალი გზა და ცხადი მაგალითი მთელი ცხოვრებაა ამ დიდებულ და მადლიან კაცისა. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-გვაროდაც დიდიაო, და აჰა იგი დიდი კაცი, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ, დღეს კუბოშია ჩვენ-წინ მდებარე.

[1896 წ.]

სიტყვა დავით ჩუბინაშვილის პატივსაცემად 18 სექტემბერს, 1881 წელს

ბატონო დავით!

ყოველს ჩვენგანს სასიხარულოდ უნდა ჰქონდეს, რომ ზოგჯერ შემთხვევა თავმოწონებით ვსთქვათ: „დღეს ყმაწვილკაცობას ქართველობისას აქ ერთად თავი მოუყრია, რათა პატივი სცეს თავის უხუცესს მოღვაწეს სალიტერატურო სარბიელზედ“. ის არის სასიხარულო ამ შემთხვევაში, რომ დღეს თვითეულის ჩვენგანის გული ერთს გრძნობაზედ არის ასხმული და ეგ გრძნობა ის პატივისცემაა, რომელსაც ყოველი მამულისშვილი გულში უნდა მოწიწებით ინახავდეს და სამართლიანად შესწირვიდეს ქვეყნისათვის გამრჯელსა და მოამაგესა. დღეს სწორედ ამ გრძნობამ პატივისცემისამ საქვეყნოდ მშრომელისადმი შეგვყარა ჩვენ აქ. ეს უტყუარი ნიშანია მისი, რომ ჩვენს ცნობიერებითს ცხოვრებას ცოტად თუ ბევრად უმატნია, სულიერი ძალი ჩვენი ჰასაკში შედის. ღმერთმა ჰქნას, რომ ამგვარი გრძნობა დაუძინებელი იყოს ჩვენში ჯილდოდ და ნუგეშად ჩვენის ქვეყნის მოამაგისა. ამ სანუგეშო და სასიხარულო ამბის მიზეზი და პირველი მაგალითი ჩვენში თქვენა ბრძანდებით, ბატონო დავით, თქვენ, რომელმანცა შეძლებისამებრ თქვენი სამსახური გაუწიეთ თქვენს სამშობლო ქვეყანასა და ღვაწლი დასდევით. ბევრს არას ვიტყვი, მე მხოლოდ ვახსენებ თქვენს ორ ღვაწლს სხვათა მრავალთა შორის: თქვენ ჩვენს სიტყვიერებას სამუდამო

სალარო აუშენეთ, ჩვენის ჭკუისა და გულის მონაგარს, ჩვენ სულიერს განძს ბინა დაუდევით, თქვენ შეგვიდგინეთ ლექსიკონი, და შეგვიკრიბეთ ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა. ამით სამართლიანი საბუთი მოგვეცით ხელში, რომ საქვეყნოდ თავი მოვიწონოთ ჩვენის ენისა და მწიგნობრობის სიმდიდრითა და ჩვენცა ვსთქვათ, რომ ჩვენც ოდესმე ვყოფილვართ, ჭკუით და გულით გვიცხოვრია. ღმერთმა ჰქმნას, რომ არც ერთი და არც მეორე ღვაწლი თქვენი არ დაეკარგოს საქართველოს, რომელიც თქვენ გიყვართ და რომელიც დღეს თავის გულითადს პატივისცემას ჩვენის პირით მოგახსენებს.

ილია ოქრომჭედლიშვილი

(ნეკროლოგი)

გუშინ, სამს იანვარს, დილით, გარდაიცვალა ერთი კარგი ქართველი კაცი, ილია ოქრომჭედლიშვილი. მისი ცხოვრება სწორედ გამუდმებული, დაუღალავი შრომა იყო. ღარიბის დედ-მამის პატრონი, ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, რომ ტფილისში სადღაც მაღაზიაში ემსახურებოდა რაღაც დაბალ ხარისხის ადგილზე. აქ, რაც დრო და შეძლება შესწევდა, თითონ შეუდგა წიგნების კითხვასა და სწავლას. არც მასწავლებელი ჰყოლია, არც ხელთმძღვანელი, არც სადმე სასწავლებელი ჰღირსებია. თავისით გაიხსნა გონება იმოდენად, რომ ყურადღება მიიქცია მაშინდელ ქართველ ყმაწვილ-კაცობისა. მოუგროვეს ფული და გაისტუმრეს რუსეთში. იქ იმოდენად მოიხერხა საქმე, რომ პირველსავე წელიწადს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ფაკულტეტზე. დასრულა უნივერსიტეტი და განწესდა ლაზარევის ინსტიტუტში ქართულის ენისა და ლიტერატურის პროფესორად. კარგა ხანს დაჰყო ამ თანამდებობაში. ადვილად წარმოსადგენია, რა მხნეობა და რა უკან-დაუხეველი სულთა-სწრაფვა უნდა ჰქონოდა, რა გაუტეხელი და რკინის ხასიათი, რომ თითონ ლუკმა-პურის მონატრულს, სხვისგან ყოვლად უმწეოს, უნუგეშოს, უცხო ქვეყანაში გარდახვეწილს, უნივერსიტეტი დაეს-

რულებინა და კაცად გამხდარიყო. საოცარი ღონე ჰქონდა სულისა და ამავე დაუღალავ ღონით იბრძოდა უკანასკნელ დღემდე. რაც ბედი უფრო მეტს ეურჩებოდა, იგი უფრო მეტის ძალღონით უძალიანდებოდა და ომს უსწორებდა.

რაკი მოსკოვში გადავიდა და ლაზარევის ინსტიტუტში პროფესორობა მიიღო, მისს ბრძოლას ლუკმა-პურისათვის სიმწარე და სიმწვავე ცოტად თუ ბევრად გაუნელდა. აქ განიზრახა, რომ უნდა გავმდიდრდე, ვიდრე ჯანი და მხნეობა ჩემთან არისო. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორიო“, და სწორედ ასეც მოუხდა. აქ, მოსკოვში შეუდგა ტყის საქმეს, და დიდძალი ფული შეიძინა და საკმაო პატივიც მოიპოვა მოსკოვის სოვდაგართა შორის, როგორც პატიოსანმა და გამჭრიახმა მშრომელ-გამრჯელმა. რაკი გამდიდრდა, იმ ყმაწვილ-კაცებს, რომელნიც პირველ შეეწივნენ და რუსეთში გაისტუმრეს, მადლი იმითი გარდაუხადა, რომ თავისის ხარჯით ბევრი ქართველი გაზარდა. სახელების ჩამოთვლა მის მიერ გაზრდილებისა აქ უადგილოდ მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ არა ერთი და ორი ასი თუმანი მოუხმარებია სამადლო საქმისათვის, ქართველებისათვის. გაჭირვებული ქართველი კაცი არა ყოფილა მოსკოვში, რომ მისთვის თავის წვლილი არ მიეწოდებია. ბევრს ინახავდა ქართველს, როგორც რუსეთში, ისეც საზღვარ-გარეთ. წინამძღვარიანთ-კარის სკოლას ხუთასი თუ ექვსასი თუმანი შესწირა, ქართულს თეატრს ასი თუმანი თუ ცოტა ნაკლები მიაშველა, „ვისრამიანი“ საკუთარის ხარჯით დაჰბეჭდა, ამისათვის სამოცი თუმანი გამოუგზავნა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, და რავდენი სხვა ისე წვრილი სამადლო საქმე ჰქმნა, ის ღმერთმა იცოდეს. ზოგნი იმისთანანი არიან ჩვენში დღესაც, რომელნიც კაცად გამხდარან მისის შემწეობით, ოთხ-ოთხ, ხუთ-ხუთ წლობით მის ხარჯით ყოფილან სასწავლებლებში შინ, თუ საზღვარგარეთ. ძალიან ეჯავრებოდა, როცა ცუღლუტი ვინმე ფულს გამოსტყუებდა. მე ჩემი ქონება შრომითა და გარჯით მიშოვნია და მინდა, რომ ყოველმა ჩემმა გროშმა ღირსეულს და გამოსადეგს კაცს ხელი გაუმართოსო, — ამბობდა განსვენებული: — ფულის ტყუილ-უბრალოდ გადაყრა გაჭურდვაა ქვეყნისაო. ცუღლუტი და უქმი — გაუმაძღარი

გლახაა და ყოველი გლახა მეტხორცია ერისა, თუ საპყარი არ არის და, მაშასადამე, საპყარობით შესაბრალისია.

აწ განსვენებულს გული არ უდგებოდა რუსეთში, თუმცა ყოველივე იქ შეიძინა, გული საქართველოსაკენ ეწეოდა. და ამ სიყვარულს თავისის ქვეყნისას ველარ გაუძლო. გაჰყიდა ყველაფერი, რაც მოსკოვში ჰქონდა, დაანება თავი ტყის საქმეს, რომელიც დიდს მოგებას აძლევდა, დაანება თავი სამსახურს და გადმოვიდა აქ ცოლ-შვილითა. თუმცა იმოდენა ქონება ჰქონდა, რომ შეეძლო კარგად ეცხოვრა უშრომელად და გაურჯელად, მაგრამ მისთვის უქმად ყოფნა სიკვდილი იყო... რად მინდა ეს ქონება, თუ ჩემს ქვეყანაში არა მოვიქმედე-რა ჩემთვისაც და სხვისთვისაცაო, — ამბობდა ხოლმე განსვენებული: — თუნდ ეგეც არ იყოსო, ის, რაც მინდა ჩემის ქვეყნისათვის, ეს ქონება იმისათვის ერთი ყლაპიაო. გადმოვიდა ჩვენში და აქაც ტყის საქმეს მოჰკიდა ხელი. აიღო უგანათლებულესის თავადი მინგრელსკის უზარმაზარი ტყე იჯარით ცხენისწყლის პირას, სვანეთის საზღვრებთან ახლო. რაც იმოქმედა აქ, რაც აქ შესძლო, ცალკე კაცისაგან დაუჯერებელია. გასჭრა გზები, გასწმინდა მთელი მდინარე ცხენისწყალი ტინისა და კლდისაგან და უშველებელ ხეების წყლით ზიდვას გზა გაუხსნა, ააშენა ქარხანა და მანქანებით დაუწყო ხე-ტყეს მზადება. არც ბუნებამ და არც კაცმა აქ ხელი არ შეუწყო, გზები ნიაღვრებმა რამდენჯერმე წაუხდინეს, ქარხანა, რომელიც ბევრი დაუჯდა, გადაეწვა და დაზღვეული არა ჰქონდა, კაცმაც ბევრი უმტრო, ბევრი აბრკოლა და ყოველ ამ უბედურებამ შთანთქა მისი ქონება. იყო დრო, როცა ისე დაუძლურდა ქონებით, რომ თითქმის სანანურად გაუხდა ეს დიდ-იმედიანი საქმე. გული მაინც არ გაიტეხა, ისევ თავისს მხნეობას დაენდო, გზები რამდენჯერაც წაუხდა, იმდენჯერვე შეუპოვრად აღადგინა, წყალთან ბრძოლა გამოიარა, ქარხანა დაეწვა, უფრო უკეთესი ააშენა, უფრო უკეთესი მანქანები დასდგა და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დღეს შეეძლო თქმა: წადილი ავისრულე, საქმე მაგრად დავაყენე ფეხზედაო. დღეს ეს ტყის საქმე გამოკეთებულია და მოგების გზაზეა დამდგარი. ვაი რომ აღარ დასცალდა და ის ბოლო ველარ ჰნახა, რის იმედიცა ჰქონდა და რასაც შეალია თვისი ქონება და იქნება თვისი სიცოცხლეც.

თამამად შეეძლო ეთქვა, რომ ჩემის მხნეობით ვძლიე წყალსაც, ცეცხლსაც, ნიაღვარსაც, არაფერს შევუშინდი, არაფერს გავექეცი, საქმე საქმეზე მივიყვანე და ჩემი გავიტანეო. გაიტანა და მერე როგორ? „არა მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“. საქმიანი კაცობაც ეს არის! გამრჯელი, და მშრომელი ამისთანა მხნე კაცს ეთქმის.

[1898 წ.]

ალექსანდრე როინაშვილი

(ნეკროლოგი)

ქართველები ვამბობთ ხოლმე: ვინც მოკვდა — თავსა მოუკვდაო. მართალია, ბევრი იმისთანა კვდება ჩვენში თუ სხვაგან, რომელიც მართლა მარტო თავის-თავს უკვდება. ნათქვამია, იგი არაფერში ვარგაო, ვინც მარტო თავის-თავისათვის ვარგა, და ამისთანა სხვას ვის და რას მოუკვდება, თუ არა მარტო თავის-თავსა.

ეს არ ითქმის იმაზე, ვის საფლავის წინ 15 მაისს, ჩვენდა სამწუხაროდ, ვიდეგით, რომ უკანასკნელად და საუკუნოდ გამოვთხოვებოდით და საუკუნოდ განსვენება გვეთქვა. ალექსანდე როინაშვილი თავის-თავს კი არ მოუკვდა, მოუკვდა თავისს ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გაიხადა და ამის გარე სხვა საგანი ცხოვრებისა არა ჰქონია, როგორც ეხლა სჩანს და როგორც განსვენებულმა დაამტკიცა მთელის თავისის ცხოვრებით და თავისის ანდერძით.

რა იყო და ვინ იყო ალექსანდრე როინაშვილი, რომ მისმა უჩინარმა სახელმა იმოდენა ხალხი მიიზიდა მისს საფლავზე უკანასკნელის პატივის-საცემლად, მისის გვამის გასაპატიოსნებლად? იქ იყო ყველა წოდების კაცი თუ ქალი, ყველა ხარისხისა, ყველა ხელობისა, ერთნაირად მწუხარე და მგლოვიარე. მას არა ჰქონდა არც დიდი გვარი, არც ხარისხი რამ სახელმწიფო მოხელისა, არც სწავლა, არც არა-რა იმისთანა

თვალად გამოსაჩენი და გარედამ მიკერებული ღირსება. იგი იყო უბრალო გლეხკაცის შვილი, შვილი ღარიბის, ღატაკის ოჯახისა, უმწეო, უნუგეშო, უსწავლელი. ვამბობთ, უსწავლელი, თუმცა სკოლაშიაც ყოფილა, მაგრამ იმისთანა სკოლაში (ვოენი კანტანისტების სკოლა), საცა უფრო მოსალოდნელია კაცს გონება დაეხშოს, ვიდრე გაეხსნას და გაუძლიერდეს. ეგრე გარედამ ხელ-შეუწყობელი როგორ გახდა იმისთანა კაცად, რომ დღეს მისი დაკლება ქვეყნის დასაკლისად მიგვაჩნია?

სახელი და საქები მისი ის არის, რომ იგი თავისის შინაგანის ღირსებით გახდა ამისთანა კაცად, მაშინ როდესაც ყოველივე გარემოცული გარემოება ამ ულმობელის წუთისოფლისა მისი შემხუთავი და მომწყვლელი იყო. იგი იყო მოსილი იმ წმინდა მადლითა, რომელსაც ღმერთი აღირსებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომლითაც კაცი კაცობს ამ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, გლეხია თუ თავადი. იგი იყო მხნე, გამრჯელი და უკან-დაუხეველი, რაკი საქმეს აიჩენდა და ხელს ჩაჰკიდებდა. მან არარაისაგან შეჰქმნა საქმე, არარაისაგან შეიძინა ქონება და ჩვენ ქართველებს მაგალითი გვიჩვენა იმისი, თუ რის შემძლებელია ცალკე კაცი, თუ იმხნევებს და გაირჯება და არ შეუშინდება ხელ-შეუწყობელს გარემოებას. მაგალითი ხომ ყველა ქადაგებაზე უფრო ძლიერია და მჭევრმეტყველი და აი მაგალითი ძლევა-მოსილობისა, როცა გარჯა და მხნეობა იბრძვის და გული ჰგულობს ადამიანისა.

თვითოეული ამისთანა ადამიანი ძალ-ღონე და ციხე-სიმაგრეა ერისა, ქვეყნისა, და მის მიერ განვლილი, ღვაწლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა და მწურთვნელია ყველასი, ვისაც-კი კაცობისათვის გული ერჩის. საცა ამისთანანი გამრჯელნი და მხნენი არიან, ქვეყანა იგი ძლიერია და ღონიერი სულითაც და ხორცითაც. არავის ენატრება ამისთანა სამაგალითო კაცნი, როგორც ქართველობას, რომელმაც მარტო წუწუნი იცის და არა საქმის აჩენა, საქმის გატანა, საქმისათვის ბრძოლა, ომი და ჭიდილი.

გარჯისა და მხნეობის მაგალითი ხომ თავის-თავადაც კარგია და საქები, მაგრამ განსვენებული ალ. როინაშვილი მარტო ამით არ არის ჩვენ-მიერ სახსენებელი და პატივსაცემი. მას გულში ეჯდა იგი პატიოსანი გრძნობა, რომელსაც მამუ-

ლიშვილურ სიყვარულს ეჭახიან, რომელიც დედაა, მშობელია გარჯისა და მზნეობისა და რომელიც იქა ჰსადგურობს, საცა უბრყვილო, უანგარო და პატიოსანი გული. ამ სიყვარულის სხივებით გულგამთბარი და გაძლიერებული იგი იღვწოდა, ირჯებოდა, ჰშველოდა ობოლს, ქვრივსა, უმწეოს, უნუგეშოს, თითონ იკლებდა, ზოგს სხვას ჰმატებდა, ზოგს ინახავდა, გროშს გროშზე აწებებდა და ბოლოს თავისი ნაღვაწ-ნაამაგევი, პატიოსანის შრომით მოგებული, თავისს ქვეყანას მიართვა: აჰა, შენთვის ვიღვაწე, ვიამაგე ჩემის შეძლებისამებრ და ჩემი ნაღვაწ-ნაამაგევი შენ მოიხმარე შენს სადღეგრძელოდაო.

აქ გამოსაკითხი ის-კი არ არის, ბევრი შესწირა თავისს ქვეყანას, თუ ცოტა. საქმე იმაშია, რომ რაც ჰქონდა, სულ მთლად თავისის ქვეყნის საკურთხეველზე დასდვა შესაწირად. შესაწირავი იქნება დიდი არ იყოს, მაგრამ დიდია გული, საცა ამისთანა სიყვარული ქვეყნისა ჩასახულა და გაზრდილა, და სადიდებელი მით უფროა, რომ იგი გული უმწეო და უნუგეშო გლეხკაცის გული იყო, რომლის უმადური ცხოვრება ისეა მოწყობილი ამ ულმობელ ქვეყანაში, რომ ძნელად თუ მოიცლის თვის საკუთარ ჭირ-ბოროტს გარე გული და ხელი სხვას რასმე მიაწვდინოს, სხვაზე რასმეზე იზრუნოს და იფიქროს. ამ ჭირ-ბოროტს ქვეყნისას წაუღია და წაუშლია ვინ იცის რაოდენი ხალხი და ალ. როინაშვილმა-კი სძლია ამ ჭირ-ბოროტსა და თვისი უჩინარი სახელი და გვარი ღირსსახსენებელი გახადა თავისს ქვეყანაში.

ვინც თითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამა-პაპათაგან რჩენია და რგებია. ამიტომაც არის თქმული, რომ უფრო სასახელოა კაცმა თავისი გვარიშვილობა ასახელოს, ვიდრე—სახელოვანის გვარიშვილობით თავს იწონებდესო.

[1898 წ.]

ახი წლის თავი
ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან

I

ტფილისი, 12 იანვარი, 1898.

11 იანვარს, როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, წირვა და პანაშვიდი იქმნა გარდახდილი საქართველოს მეფის ერეკლეს მოსახსენებლად ლოცვითა და კურთხევითა, დიდძალი ხალხი მიაწყდა ამ დღეს სიონის სობოროს, ასე რომ შიგ ეკლესიაში ტევა არ იყო. გარეთ მთელი სიონის ქუჩა ორპირად დაჭერილი იყო ხალხითა და პოლიცია ძლივს ამაგრებდა, რადგანაც ყველა ეკლესიაში შესასვლელად იწევდა და ეკლესიაში-კი ადგილი არ იყო. ამ საუკუნოდ სახსენებელ დღეს მეფე ერეკლეს მიცვალებისას დაესწრნენ მისი ბრწყინვალება მთავარ-მართებელი თავადი გოლიცინი, ტფილისის გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიის მარშლის მოადგილე, მარშლები, ჩვენი დიდკაცობა, ქალი თუ კაცი, ქართველთა დაწესებულებათა წევრნი და თითო-ოროლა რუსთა მოხელეობის წარმომადგენელნი და მრავალნი სხვანი.

ამ-სახით, ამ ქართველებისათვის ღირს-სახსოვარს დღეს მეფე ერეკლეს გარდაცვალებისას პატივი სცეს მისმა ბრწყინვალებამ მთავარმართებელმა თავადმა გოლიცინმა და უმაღლეს მოხელეობის წარმომადგენელთა, დიდი და პატარა ქართველობისა მოვიდა, რომ ლოცვა-კურთხევით მოიხსენოს განსვენებული მეფე, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხმალამოღებული ჰპატრონობდა და თავგამომეტებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ინახავდა ყველა მილეთის და თესლის კაცს, ვინც-კი შემოკედლებულნი იყვნენ მისს საფარველ ქვეშ, რომელმაც ზედ შეაკლა ტფილისს თვისნი შვილნი, თვისნი ქართველნი, რომ ტფილელნი გადაერჩინა ძარცვა-ტაცებისა და ტყვეობისაგან, რომელმაც თუმცა უკანასკნელ დროს ვერ იხსნა ტფილისი წახდენისაგან, მაგრამ თავისი უკეთესი ძალ-ღონე ხომ შეალია, უკეთესი მამულისშვილნი ხომ შეაკლა და მტლად დაუდო. სხვა არა იყოს-რა, ერეკლე ბრწყინვალე მეფე იყო საქართველოსი და ტფილისი მისი სატახტო ქალაქი!..

რით გადაუხადა ესეთი ღვაწლი ტფილისმა მართლა-და მისთვის ღვაწლით-მოსილ მეფეს იმ დღეს, როცა ქართველობამ მისდა საოხად და სახსენებლად წირვა-ლოცვა გარდაიხადა? მით, რომ ტფილისის საბჭომ და გამგეობამ არც კი იკადრა წირვასა და პანაშვიდზედ დასწრებოდა. თუ მთელი კრებული საბჭოსი და გამგეობისა მეტის-მეტი პატივი იქნებოდა, მათის გაკადნიერებულ აღმატებულობის ფიქრით, ერთი ორი წევრი მაინც გამოეგზავნათ!.. ვთქვათ არც ეს იკადრეს და არ დაიმდაბლეს აღვირაშვებული თავი, თვით ქალაქის მოურავის მოადგილემ რატომ არ დაინახა საჭიროდ, რომ ამისთანა დღეს პატივი ეცა ქართველებისათვის და მობრძანებულიყო ეკლესიაში! რას შეუფრთხა? ნუთუ მომავლინებელთა თვისთა? მოვლინებულმა არ უღალატა განა თვისთა მომავლინებელთა და მათის უმართებულობის წინაშე დაივიწყა მოვალეობა ქალაქის მოურავის თანამდებობისა!..

ეხლა ვკითხოთ იმათ, ვინც ყურები გამოგვიჭედა ძმობისა და ერთობის ქადაგებითა და ღაღადითა: რის მომასწავებელია ასეთი უმართებულო საქციელი მთელის იმ წყობისა, რომელთაც დღეს ხელთ უჭირავს პატრონობა ჩვენის ქალაქისა? ნუთუ ეს დღე იმისთანა დღე იყო, რომ ასე ყურები გამოიჭედეს ბამბითა და სამარცხვინოდ თვალი დაიხუჭეს, მითამ და აქ არაფერიაო? ნუთუ ამას იქითაც იტყვით, რომ ეხლანდელი „მამანი ქალაქისა“ მართლა ქალაქის წარმომადგენელნი არიან და მისის სურვილების გამომეტყველნი და არა მარტო ერთგვარ წყობისა, რომელსაც მეორე ნაწილთან, ქართველობასთან არავითარი კავშირი და ერთობა არა აქვს, და არც სურს რომ ჰქონდეს? განა ესე ექცევიან ძმები ერთმანეთს? განა ერთის ძმის სადიდებელი მეორისათვის პატივსაცემელი მაინც არ უნდა იყოს, სადიდებელს ნუღარ ვიტყვით? სიტყვით რომ ძმობას იძახით, საქმით რათა ხართ ეგრე შორს? ძმობა განა ჭირისა და ლხინის გაზიარება არ არის? ესეც თქვენი მოწონებული და მრავალთათვის თვალებ-ასაფარებელი „классовая борьба“-ა? ნუთუ აქაც ეგ „борьба“ ჭლაპარაკობს, და არა გულჩახვეული, უტყვი ავგულობა იმათ მიმართ, ვის ძმობასა და ერთობას ეგრე ებღაუჭებიან, და ვის სადიდებელს და ღირს-სახსოვარს დღეს ეგრე უკადრისად, უმართებულოდ და უზრდელად ექცევიან!.. ვისაც გჭონან ყურნი სმენად, ისმინეთ!..

ტფილისი, 21 თებერვალი, 1898.

ამ თებერვლის 22-სა დღესა შესრულდება ასი წელიწადი მას აქეთ, რაც მეფე ერეკლე მიებარა მიწას და დასაფლავებულ იქმნა მცხეთის სამეუფეო ტაძარში. ამ დღეს მისს საფლავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი და ქართველობა ერთხელ კიდევ ეტყვის საუკუნო ხსენებას სახელოვანს გვირგვინოსანსა. ხსენება ღვაწლით-მოსილ მამულიშვილისა, მეფეა, თუ უბრალო სიკვდილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს და „სამარისკენ ფეხი არ გაუშვერია“. მაგრამ საკმაო-კია მარტო სიტყვით, მარტო ლოცვა-კურთხევით ხსენება? ეს ყოველი ხომ წავა და გათავდება, სხვა რა დაგვრჩება, რომ მართლა საუკუნოდ სახსენებელი იყოს ჩვენთვის ამისთანა კაცი?

თვითოეულის ადამიანის საფლავის ქვეშეო, — ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰეინე, — დამარხულია მთელის ქვეყნიერობის ისტორიაო. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე თვითოეულად, მაშ უფრო ბევრ-რიგად მართალია თ. გ. ორბელიანი, რომ მეფე ერეკლეზე სთქვა: „დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარესაო“. უფრო ზედმიწევნით დაგვიხატა დიდბუნებოვანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლ-მოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ვეღარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს“.

ერმა ამისთანაებში უფრო მოსწრებული და ზედ-გამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ რომ ბაგენი მისნი მეტყველობენ მარტო ნამეტანობისაგან გულისა, ესე იგი მაშინ, როცა გული სავსეა. „ვერ გაიგითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“-ო, ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდბუნებოვანს კაცს, სხვა ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?

ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს

დიდ-ბუნებოვანობისა. ეს რკინის-კარობა პატარა კახისა ოთხ კედელ შუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემულ გულიდამვეა ამოფეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანაებში მეტის-მეტად სიტყვა-ძვირია და თავდაჭერილი და არა ჰგავს კარჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისათვისაც დაუვალებინათ უსახელოს სახელი რამ მიაკეროს მახლობელთა სანუგეშოდ. ხმა ერისა და ხმა ღვთისაო ისე არ გამართლდება ხოლმე, როგორც ამისთანაებში, იმიტომ რომ ერის მიერ ქება უდიდღვაწლოთ ძნელი საშოვარი განძია, და ბევრი სახელდებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს.

ზემოთა ვთქვით, რომ ხსენება დიდ-ბუნებოვანის მამულის-შვილისა შთამომავლობის მოვალეობაა. ერთი დარგი ამ მოვალეობისა ის არის, რომ წირვა და ლოცვა გადავიხადოთ მისი სულის საოხად და განსასვენებლად მართალთა შორის. ამას ითხოვს ჩვენი რჯული, ქრისტიანობა. ეს წესი, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა უნდა ავასრულოთ. ხოლო ეს არ უნდა ვიკმაროთ. საქმით რითიმე მართლა საუკუნოდ სახსენებელი უნდა გავიხადოთ სახელი მეფის ერეკლესი. სამადლო საქმე რამ უნდა შევქნათ და სახელი ერეკლესი დავარქვათ.

რა საქმეა იმისთანა, რომ მით საუკუნოდ ხსენებულ იყოს სახელი განსვენებულის მეფისა? ბევრ-გვარი გაჭირვება გვიძევს წინ და ძნელია კაცმა ერთი ისე ამოირჩიოს, რომ მეორე არ გაჰნანდეს, მეორესთვის გული არ ეტკინოს. სახსარი კი ცოტაა. აი, მაგალითად, გუშინ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ტაძარი მცხეთისა შესაკეთებელია, წვიმა ჩამოდის, და ლამის ეს ძველი ნაშთი ჩვენის დიდებისა დაირღვას, და ჩამოიქცესო. განა გულ-გასაგმირავი ამბავი არ არის ესა? მაგრამ რით უშველოთ? რა გზა და სახსარი გვაქვს ამისათვის? მეორეს მხრივ, მოდით და ამისთანა ამბავს ყურს ნუ ათხოვებთ! რა ვქნათ? მეტი გზა არ არის, ბევრ გაჭირვებიდამ ერთი იმისთანა უნდა ავირჩიოთ, რასაც ჩვენს ღონეს გავაწვდენთ და სხვა ყოველი გაჭირვება გულის-ტკენით და ნანვით ჯერხანად თავისს სვე-ბედს უნდა მივაჩემოთ.

თ. ივ. სულ. ჭავჭავაძემ ერთი კარგი სარჩიელი დაუყენა

თვალწინ ჩვენს თავად-აზნაურობას: არწრუნისსეულის ქარვასლის შემოსავლიდამ, რაც ხარჯს გადარჩება, ყოველ-წლივ გადაიდოს რამოდენიმე ნაწილი და ამ-გზით შეგროვდეს იმოდენა ფული, რომ მისის სარგებლით შემწეობა ეძლეოდეს ღარიბ მოსწავლეთა უმაღლეს სასწავლებელში. აზრი მშვენიერია, ადვილად ასასრულებელიც, მეტის-მეტად სასარგებლო და განსახორციელებლად დაუყოვნებლივ საჭირო. ამ ფულს დაერქმევა სახელი მეფის ერეკლესი. რა თქმა უნდა, არც უმისობა იქნება, რომ გარეშე კაცთაც ამ მართლა სამადლო საქმეს თავისს შეძლებისა-გვარად თავისი წვლილი არ მოაწოდონ, ოღონდ-კი თავად-აზნაურობამ სარჩიელი თ. ივ. სულ. ჭავჭავაძისა მიიღოს და საზოგადოებას გაზეთების შემწეობით ხმა მისცეს, რომ შემოსწირონ რამ, და იმედია, რომ ეს არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოში.

თუ ეს საქმე შეასრულა ჩვენმა თავად-აზნაურობამ, ჟამთა-გაუთავებელი საუკუნოდ სახსენებელიც ეს იქნება მეფის ერეკლისა, რადგანაც თავნი ფულისა უსათუოდ ხელუხლებლად დადებული იქნება, მარტო სარგებელი წავა ღარიბთა მოსწავლეთა შესაწევრად, და ამ-სახით წყარო განუწყვეტლად ედინება ჟამთა დათავებამდე. აი, ჭეშმარიტად მადლიანი საქმე და ღირსი მისის დიდის სახელისა, ვისიც საუკუნოდ ხსენება ასე სანატრელია ჩვენთვის და ვისთვისაც საქართველოს შვილთა განათლება და სწავლა-ცოდნით შემოსვა დაუძინებელი სურვილი იყო.

ამისთანა საქმეში სათნოება მადლისა და დიდება სახელისა ხელი-ხელ ჩართულნი იქნება და-ძმურად. მადლს თავისს სათნოების დიდებისთანას სხვას უკეთესს და უტურფესს ამხანაგსა და თანამგზავრს ვერ უშოვით, და დიდებას სათნოებისთანას. სათნოება და დიდება, როცა და-ძმურად ერთად ვლიან, ყველა სხვა და-ძმობაზე უმაღლესნი, უტკბილესნი და უმშვენიერესნი და-ძმანი არიან, და ნეტარ არს იგი, ვისიც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება — დიდებასა. ამ ნეტარებას ნუთუ დავიშურებთ იმ კაცის სახელისათვის, ვინც ორმოც-და-თორმეტი წელიწადი „რკინის კარი“ იყო საქართველოსი!..

ამისთანა სახსენებელი ანდერძს ეგვანება, იმ ანდერძს, რომელიც ისაქმებს ჟამთა დაუთავებლად ერეკლე მეფის

სახელითა. ისაქმებს იმ დიდ-სათნოებიან საქმითა, რომელსაც სწავლა-განათლება ჰქვიან და რომლისთვისაც ისე გულდადებით და გულის-ტკივილით იღწვოდა აწ განსვენებული გვირგვინოსანი, რაც შეეძლო, როცა დრო და ჟამთა ვითარება ათასში ერთხელ ამისთვის მოაცლიდა. ეს ხელთუქმნელი ბაგრამ დიდად საგრძნობელი სახსოვარი თავის-თავად იღაღადებს დღე-მუდამ, რომ სახელოვანი ერეკლე მისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმის: „მოკვდა და თავისის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს ჩვენდარიო“.

სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს.

მე ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას, ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი შექადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ გეხსენები, ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. ნე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში — ნოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა, ბატონებო.. ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება, ფშაველი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი, — ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა ვიიღოს. ეს არამცთუ

უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენნი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულისშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს.

მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულიშვილობასა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შევგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწვევთ, ასე მოიქეცით. დეე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

წინამდებარე ტომში შესული მასალები ეყრდნობა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა უკანასკნელ გამოცემას (პავლე ინგოროყვას რედაქციით), კერძოდ კი, წერილები და ნაშრომები შერჩეულია აღნიშნული გამოცემის მე-4, მე-5, მე-6 და მე-9 ტომიდან. მასალები დალაგებულია თემატიკური პრინციპით და განაწილებულია განყოფილებათა მიხედვით. წინამდებარე გამოცემაში ზოგი მასალა, განსხვავებით ადრეული გამოცემისა, გადატანილია სხვა განყოფილებებში, გასწორებულია აგრეთვე ზოგი უნებლიე შეცდომა, დამატებულია საჭირო ცნობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ქვემოთ ტექსტოლოგიური ხასიათის ცნობები, ისევე როგორც წინა ტომებში, წარმოდგენილია წერილების სათაურების მიხედვით.

„ო ს მ ა ლ ო ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“—წერილი ეძღვნება თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას. იგი დაწერილი უნდა იყოს 1877 წლისათვის, როცა მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომი და შეიქმნა პირობები აღნიშნული ქართული პროვინციების შემოერთებისა.

ამ დიდად ამაღელვებელ ფაქტს გამოეხმაურა მრავალი ქართველი მოღვაწე. „ივერიაში“ ამავე სათაურით იბეჭდებოდა წერილების სერია, რომელთაგან აქ წარმოდგენილი წერილი ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს.

წინამდებარე ტექსტი მომდინარეობს 1877 წლის ყოველკვირეული „ივერიიდან“, № 9.

„ა ი ი ს ტ ო რ ი ა“ — წარმოადგენს ილიას სახელგანთქმულ პოლემიკურ წერილებს, რომლებიც იბეჭდებოდა სერიების სახით გაზეთ „ივერიის“ 1889 წლის აპრილ-ივლისის ნომრებში (იხ. №№ 71, 77, 78, 89, 90, 106, 116, 117, 118, 130, 139).

პოლემიკა გამოიწვია პეტერბურგის ჟურნალ „Северный вестник“-ში 1889 წლის თებერვლისა და მარტის ნომრებში (№№ 9, 10) დაბეჭდილმა წერილებმა სათაურით „Письма о Грузии“. ეროვნული ნიჰილიზმით აღბეჭდილი წერილები გამოქვეყნდა „Н. Д.“-ს ინიციალებით. მისი ავტორი იყო ე. წ. ნაროდნიკული მიმართულების მოღვაწე ივანე ჯაბადარი. ჯაბადარის აშკარად საეჭვო „მეცნიერულმა“ დებულებებმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და მათ მკაცრად გამოეხმაურნენ სხვებიც (მათ შორის აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, აკაკი წერეთლის პოლემიკური ხასიათის წერილები).

ილიას წინამდებარე წერილების ტექსტი მომდინარეობს გაზეთ „ივერიის“ ზემოაღნიშნული ნომრებიდან.

„დ ა მ ა ტ ე ბ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი ს ა“, „ა ი ი ს ტ ო რ ი ა“—ფაქტიურად ეს წერილებიც მიეკუთვნება ზემოაღნიშნული წერილების სერიას „ა ი ი ს ტ ო რ ი ა“ და იმავე წელს უნდა იყოს დაწერილი. კერძოდ, იგულისხმება წერილი მეშვიდე და მეთოთხმეტე, რომლებიც ილიას, ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზთა გამო, აღარ გამოუქვეყნებია.

წინამდებარე ტექსტი ემყარება ილიას ავტოგრაფს (ფ-5029) და შეტანილია პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემულ თხზულებათა კრებულში

(ტ. IV, 1955 წ., გვ. 133—145), საიდანაც გადმობეჭდილია აქ მოტანილი ტექსტიც.

„გზა-და-გზა და სხვათა შორის“ — ამ წერილს აქვს თავისებური ისტორია და იგი დაკავშირებულია ილიასავე წერილების სერიასთან „აი ისტორია“. ეს წერილები ბოლომდე ჯერ არც იყო გამოქვეყნებული, როცა „Письма о Грузии“-ს ავტორმა ივანე ჯაბადარმა უპასუხა ილიას რამდენიმე ფელეტონით (იხ. „Открытое послание Иверийцам“, გაზეთი„ Новое обозрение,“ 1889 წ., 2 და 5 მაისის ნომრები).

ილიამ საჭიროდ სცნო მყისვე ეპასუხნა აღნიშნული ფელეტონების ავტორისათვის. იხ. ილიას წერილი გაზეთ „ივერიაში“ სათაურით „გზა-და-გზა და სხვათა შორის“ (1889 წ. 23 მაისი, № 105), საიდანაც აღნიშნული წერილი გადმობეჭდილია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულებში.

„Новое обозрение“-ს წერილის გამო“ — აღნიშნულ წერილსაც აქვს თავისი ისტორია. „Письма о Грузии“-ს ავტორ ივანე ჯაბადართან გაშლილ პოლემიკაში მონაწილეობა მიიღო ნიკო ნიკოლაძემაც (იხ. ამავე გაზეთის მეთაური წერილი „Византийские споры“, 1889 წ., № 2022).

ილია თავის წერილში კლავაც აკრიტიკებს ივანე ჯაბადარს, მაგრამ ამასთან, მისი აზრით, მოწონებას არ იმსახურებს „Новое обозрение“-ს ამ წერილის ავტორის ზერელე პოზიციაც ეროვნული კულტურის შეფასების საქმეში. ილიას ეს წერილი საინტერესოა რუსთველოლოგიის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ილიას აღნიშნული წერილი თხზულებათა კრებულებში გადმობეჭდილია გაზეთ „ივერიიდან“ (იხ. 1889 წლის მეთაური წერილები № 237 და № 238).

„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“ — ეს წერილიც ილიას ერთ-ერთი ხელმოუწერელი წერილთაგანია, მაგრამ როგორც მასში გატარებული კონცეფციით, ისე ყველა ნიშნით იგი ილიას ეკუთვნის (დაწვრილებით იხ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, გვ. 399, პ. ინგოროყვას შენიშვნები). ილიამ წერილში, ჩვენში ერთ-ერთმა პირველთაგანმა, წამოაყენა საქართველოს მიწათმფლობელობის თავისებურებათა შესწავლის საკითხი.

ილიას თხზულებათა კრებულებში წერილი გადმობეჭდილია გაზეთ „დროებიდან“ (1880 წ., № 25).

„დავით აღმაშენებელი“ — ილიას ეს წერილიც საქართველოს ისტორიის საკითხებს ეხება. კერძოდ კი, საქართველოს ოდინდელი აღზევების ფუძემდებელს დავით აღმაშენებელს, აგრეთვე ისტორიის, ფილოსოფიის საკითხებს. ილიას თხზულებათა კრებულებში იგი გადმობეჭდილია გაზ. „ივერიიდან“ (1888 წ., № 133). აღსანიშნავია წერილის ქვესათაურიც: „დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი დღისათვის — 26 იანვრისათვის“.

„ლუარსაბ წამებული“ — ეს წერილიც ასევე ქვესათაურით დაიბეჭდა პირველად „ლუარსაბ წამებულის მოსახსენებელი დღისათვის — 21 ივნისისათვის.“ წერილში ხაზგასმულია ლუარსაბ მეფის მოწა-

მებრივი სიკვდილის მნიშვნელობა. ეს თემა, რომლის მხატვრული დამუშავება ილიამ განახორციელა ჯერ კიდევ „დიმიტრი თავდადებულში“, როგორც ჩანს, ნიადაგ ღელვებდა პოეტს.

ილიას თხზულებათა კრებულებში ეგი გადმობეჭდილია გაზეთ „ივერიიდან“ (1886 წ., № 133). აღსანიშნავია, რომ ორივე ეს წერილი „დავით აღმაშენებელსა“ და „ლუარსაბ წამებულზე“ დაიბეჭდა ხელმოუწერლად (დაწვრილებით იხ. თხზულებათა სრული კრებულის შენიშვნები, ტ. IV, 1955 წ., გვ. 399).

„საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი“ — წერილიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ძველი ძეგლების და საისტორიო მასალების შესწავლა-აღრიცხვას, რაც ფაქტიურად სწორედ ამ დროიდან დაიწყო. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1886 წელს მეთაურის სახით (№ 159).

„ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“ — ილიას ერთ-ერთი საპროგრამო ხასიათის წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ხალხური გადმოცემათა შესწავლისა და მათი ფარგლების გაფართოების შესახებ. კერძოდ, აქ საუბარია ფოლკლორულთან ერთად ეთნოგრაფიული მასალების (კერძოდ, ეკონომიკურისა და იურიდიული ხასიათის) შეკრების დაჩქარების შესახებ.

წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (1887 წ., № 270) მეთაური წერილის სახით, საიდანაც გადმოიბეჭდა მწერლის თხზულებათა კრებულებში.

„ერი და ისტორია“ — როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულად აფასებდა დიმიტრი ბაქრაძის (1826—1890) ღვაწლს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს წერილიც, რომელიც თავისთავადაც საგულისხმოა ილიას ისტორიული კონცეფციების შესასწავლად, ასევე გამოხმაურებაა გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილ ბაქრაძის ისტორიულ ნარკვევებზე (დ. ბაქრაძის შემაჯამებელი ნაშრომი „ისტორია საქართველოსი“ კი დაიბეჭდა უფრო მოგვიანებით, 1889 წელს).

ილიას წერილი-გამოხმაურება პირველად დაიბეჭდა 1888 წ. გაზეთ „ივერიაში“ (№ 237) მეთაური წერილის სახით, საიდანაც შევიდა იგი შემდეგ თხზულებათა კრებულებში.

„საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო“ — ამ წერილიდანაც კარგად ჩანს თუ როგორ თაოსნობას იჩენდა ილია საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებისათვის. წერილი პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ მეთაურის სახით (1888 წ., № 237).

„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“—ეს და მომდევნო წერილი „მეცხრამეტე საუკუნე“ მიეკუთვნება ილიას ცნობილი წერილების, უფრო ზუსტად კი მიმოხილვების ციკლს საერთო სათაურით „საქართველოს მატიანე“. პ. ინგოროყვა მართებულად შენიშნავდა, რომ ორივე ეს წერილი ფაქტიურად საერთო საკითხების დასმით შეიძლება გავიზიაროთ როგორც შესავალი, ერთგვარი გასაღები აღნიშნული მიმოხილვებისათვის. მკვლევარმა აღნიშნულ საბუთიანობით ორივე ეს წერილი მე-5 ტომში მათ

წინ წარუმძღვარა (იხ. გვ. 405). წინამდებარე გამოცემაში განსაკუთრებულ ღირსებათა გამო იძებნება ორივე ეს წერილი. „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“, რომელიც 1895 წლის შინაურ მიმოხილვას შეიცავს, პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წ., № 2-ში.

„მეცხრამეტე საუკუნე“ — ზოგი რამ ამ წერილის გამო უკვე ითქვა წინა შენიშვნაში. დამატებით აღვნიშნავთ, რომ ეს წერილი, ისევე როგორც სხვა მიმოხილვები, მეთაურების სახით ხელმოუწერლად იბეჭდებოდა. მათი იღიასადმი კუთვნილების შესახებ მრავალთაგან იხ. ბ. ნოგოროყვა, სარედაქციო შენიშვნები (ი. ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 377—407). წინამდებარე წერილი კი, რომელიც მე-19 საუკუნის მიმოხილვას წარმოადგენს, პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ 1900 წ., № 1-ში.

„ახალი წლის წინათ“ — წერილს ახლავს ქვესათაური „პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში“. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის რიგი საკითხის თავისებურ გაშუქებასთან ერთად, წერილში ხაზგასმულია რუსეთთან საქართველოს პოლიტიკური დაკავშირების მნიშვნელობა. იგი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (1899 წ. 26 ნოემბერი), საიდანაც შევიდა იგი მწერლის თხზულებათა კრებულებში.

„ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“ — იღიას ეს, თავის დროზე მეტად გახმაურებული, წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1881 წ., № 33). ქართული ენის სწავლების დაცვასთან ერთად, აქ იღია ღრმა ანალიზით ასაბუთებს მეორე ენის (ამ შემთხვევაში რუსულის) შესწავლის საჭიროებას, ამყარებს ახალი პედაგოგიკის საფუძვლების ღრმა ცოდნას.

„პედაგოგიკის საფუძვლები“ — ეს წერილიც პედაგოგიკის საფუძვლებს ეხება და აქაც იღია, სხვა მის ნაშრომთა კვალობაზე, სწავლების საკითხებს მჭიდროდ უკავშირებს აღზრდის პრობლემებს. წერილების ეს სერია პირველად დაიბეჭდა 1868 წლის გაზეთ „ივერიის“ 92-96, 142-144 ნომრებში.

„ვიცით თუ ვიტიროთ“ — იღიას ეს მკაცრი ტონით დაწერილი წერილი მიმართული იყო ისევ და ისევ ქართული ენის სწავლებაში დაშვებული განუკითხაობისაკენ, კერძოდ, იგი ეხებოდა არამკითხე „ანბანთთეორეტიკოსის“, ვინმე ნათიევის უსუსურ რეფორმას. წერილი პირველად დაიბეჭდა კვირეულ „ივერიაში“ 1877 წელს, № 10-ში.

„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ — ეს წერილი კიდევ ერთი მაგალითია იღიას პოზიციის გასარკვევად სახალხო განათლების წარმატებისათვის ბრძოლაში. სწავლა-განათლების პრობლემების ახლებურად დაყენებასთან ერთად, იგი მოსალმება ახალი საზოგადოების შექმნას (თავმჯდომარე გიორგი სიმონის ძე ერისთავი, თანაშემწე კონსტანტინე ჭრისტეფორეს ძე მამაცაშვილი. წევრები: ვახტანგ თუღუშვილი, ცხვედაძე, გოგებაშვილი, ლუარსაბ მაღალაშვილი, დ. გ. ერისთავი, ნ. დ. ქანანოვი), რომლის მიზანი იყო დახმარებოდა ღარიბსა და უქონელ მოსახლეობას, კერძოდ კი მათი შვილების განათლების საქმეს. წერილის პირველი ნაწილი დაიბეჭდა კვირეული „ივერიის“ № 37-ში, ხოლო მეორე იქვე, 1879 წ., № 18-ში.

„ქართულ საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე“ — ფაქტიურად წინამდებარე წერილი წინას გაგრძელებაა, ოღონდ აქ დაკონკრეტებულია ღარიბთათვის გახსნილი სკოლის მიზნები და ამოცანები. თეორიულთან ერთად, აქ საუბარია პრაქტიკულ საკითხებზე. ავტორის აზრით, ახალგაზრდობას მიეცემა „სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა“. წერილი პირველად დაიბეჭდა კვირეულ „ივერიაში“ 1878 წლის № 44-ში.

„ქალი მასწავლებელი“ — ილიას მოღვაწეობაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქალთა ემანსიპაციისა და საზოგადოებრივ სარბიელზე მათი გააქტიურების საკითხს. აქ კონკრეტულად საუბარია მასწავლებელ ქალთა მდგომარეობაზე. ილია მიესალმება ქალთა ახალი ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებას. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1886 წლის № 4-ში.

„ქართველი სტუდენტობა რუსეთში“ — წერილი მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას, რათა ხელი გაეწოდებინათ რუსეთში მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. კერძოდ, აქ საუბარია ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა უნუგეშო ყოფაზე. ილიას ეს გამოხმაურება შედგება ორი წერილისაგან. პირველი დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1886 წლის 28-ე ნომერში, ხოლო მეორე — 278-ში.

„ჩვენი ხალხიდა განათლება“—ილიას ერთ-ერთი მძაფრი სულისკვეთებით აღბეჭდილი წერილი. ქართველ ახალ განმანათლებელთა მეთაური ბოლომდე აშიშვლებს უმეცრებით გამოწვეულ მტკივნეულ საკითხებს და ცოდნა-განათლების ჯადამწყვეტ მნიშვნელობაზე ესაუბრება თანამემამულეებს. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1886 წლის № 97-ში.

„სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ“ — განათლებისათვის აქტიური ბრძოლის პროგრამაში ილია დიდ ადგილს უთმობდა დაბალი სამეურნეო სკოლებისა და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობის მომრავლებას. ეს წერილიც ერთ-ერთია ამ ციკლის ნაშრომთაგან. პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1886 წლის № 47-ში.

„სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ — მაღალი მჭევრმეტყველებით აღსავსე ეს სიტყვა ილიამ წარმოთქვა 1883 წელს, აღნიშნული სამეურნეო სკოლის გახსნაზე. იგი მას იმავე წელს შეუტანია „ივერიის“ 1883 წლის აგვისტოს „შინაურ მიმოხილვაში“ და ასევე იბეჭდებოდა იგი შემდეგ მწერლის თხზულებათა კრებულებში (იხ. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, 1955 წ., გვ. 288-292). თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მით უფრო, რომ იგი წინ უსწრებს და ეხმაურება მომდევნო წერილს ამავე საგანზე, წინამდებარე გამოცემაში ეს სიტყვა იბეჭდება ცალკე და მას მკითხველი ადვილად იპოვნის. როგორც ითქვა, აღნიშნული სიტყვა პირველად დაიბეჭდა 1883 წლის „ივერიის“ აგვისტოს ნომრის „შინაურ მიმოხილვაში“, რაც საფუძვლად დაედო ტექსტის მომდევნო გამოცემებს.

„წინამძღვრიანთ-კარის ქართული სამეურნეო სკო-

ლა“ — წერილი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ილიას **ზრუნვისა** იმ დროისათვის აგრარიგად საჭირო სამეურნეო სკოლების **წარმატებისათვის**. ილია მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას, რათა მხარში ამოუდგნენ როგორც სულიერად, ისე მატერიალურად სკოლის დამაარსებელსა და ერთადერთ მზრუნველს ილია წინამძღვრიშვილს. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1886 წლის № 141-ში.

„ხ ი ლ ნ ა რ ო ბ ი ს ა და მ ე ე ნ ა ხ ე ო ბ ი ს ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა შ ე ს ა ხ ე ბ“ — ილია წერილში აყენებს იმ დროისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხს. მისი აზრით, ამ ტიპის სასწავლებელი უწინარეს იმ რეგიონებში უნდა გაიხსნას (პირველ რიგში იგულისხმება საქართველო), სადაც არსებობს ამის ბუნებრივი პირობები. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1886 წლის № 235-ში.

„თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ რ ო ბ ი ს გ უ ლ გ რ ი ლ ო ბ ა ს წ ა ვ ლ ა-გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე ში“ — წერილში ავტორი ჰკიცხავს საზოგადოების პრივილეგირებულ ფენას, რომელიც ამკარა ინდიფერენტიზმს იჩენდა სწავლა-განათლების შემდგომი გავრცელების საქმეში. იგი პირველად გამოქვეყნდა ორ ნაწილად (იხ. გაზეთი „ივერია“, 1886 წ., № 79 და 1887 წ., № 275).

„ი ს ე ვ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ზ ე“ — ილია, როგორც ახალი დროის ტიპიური განმანათლებელი, ამ პუბლიცისტური სიმძაფრით აღსავსე სტატიაში კვლავ სწავლა-განათლების მნიშვნელობას ეხება და სასტიკად ჰკიცხავს ამ საკითხისადმი ყოველგვარ უსულგულო დამოკიდებულებას. სტატია პირველად გამოქვეყნდა ორი წერილის სახით (იხ. გაზეთი „ივერია“, 1889 წ., № 228 და № 229).

„ქ ა ლ თ ა ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი“ — აქ, ზემოთ წარმოდგენილი რამდენიმე წერილის მსგავსად, ილია კვლავ ქალთა განათლების საკითხს ეხება და მიესალმება თვით მოღვაწე ქალთაგან დაძრულ ინიციატივას. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1889 წლის № 49-ში.

„დ ე დ ა თ ა ს ა ქ მ ე და ქ ა ლ თ ა გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“ — აქაც ქალთა განათლების საკითხებია აღძრული. ილია ისევე როგორც საერთოდ, აქაც განათლების ფართო პროგრამას სახავს და ემიჯნება ყოველგვარ კარჩაკეტილობას. ამ სტატიაში საუბარია რუსული კულტურის მნიშვნელობაზე და მის არამექანიკურ, არამედ გონივრულ ათვისებაზე. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1889 წლის № 57-ში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც ეს, ისე წინა წერილი, ორ-ორჯერაა წარმოდგენილი ილიას თხზულებათა სრულ კრებულში (იხ. 1955 წ. ტ. IV, გვ. 366-368 და 1956 წ. ტ. VIII, გვ. 329-336).

„ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ქ ა ლ თ ა ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი, წ ო დ ე ბ რ ი ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე ში“ — აქაც, სამეურნეო დარგში ქალთა განათლების საჭიროებასთან ერთად, ილია აცხადებდა პროტესტს იმის გამო, რომ ამ ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში ქალებს ჯერ კიდევ დახშული ჰქონდათ კარი. ასევე წერილი მიმართულია წოდებრიობის წინააღმდეგ ქალთა განათლების საქმეში. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1893 წლის № 283-ში.

„ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე" — სტატია, რომელიც ორ წერილად გამოქვეყნდა 1897 წელს და ეხება ქართლში, სოფ. ოძისში სამეურნეო სკოლის გახსნას გადაუჭრელ სიძნელეებს, პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში" 1897 წლის № 4, 5.

„სატექნიკო და სახელოსნო სახსწავლებლის შესახებ" — მსოფლიო მასშტაბით ტექნიკური განათლების პანორამის ჩვენებასთან — ერთად, ილია ისევ აყენებს საკითხს საქართველოში ამ მიმართულებით გამოუსწორებელი ხარვეზის გამო. სტატია დაიბეჭდა ორ წერილად (იხ. გაზეთი „ივერია", 1898 წ., № 253, 254).

„ცხოვრება და კანონი" — ილიას საყოველთაოდ გახმაურებული ნარკვევი, რომელშიც გამოკვეთილია მისეული კონცეფცია პოლიტეკონომიისა და საერთოდ სოციალურ საკითხებზე, ქვეყნდებოდა წლების მანძილზე. პირველი პუბლიკაცია, რომელიც დაედო საფუძვლად ილიას თხზულებათა კრებულებს, იხ. ჟურნ. „ივერიაში" 1877 წ. № 1, 2, 3, 4 და 6; 1879 წ. № 1, 2, 3 და 1881 წ. № 1.

„პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის" გამო — ეს წერილებიც, რომელიც ამ საკითხებზე გაჩაღებულ პოლემიკას ასახავს, იბეჭდებოდა ასევე მეთაურების სახით 1887 წლის გაზეთ „ივერიაში", № 2, 55 და 56-ში

„დიმიტრი ყიფიანი" — სტატია ეძღვნება დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკულ დაღუპვას და წერილების სახით პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში" 1887 წლის № 227, 230 და 235-ში.

„ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე" — წერილი, რომელიც ეძღვნება შესანიშნავ ქართველ მოღვაწეს, ილიას ერთ-ერთ უერთგულეს თანამებრძოლს, დაბეჭდილი იყო ნეკროლოგის სახით. (იხ. ჟურნალი „ივერია", 1879 წ., № 3).

„ნინო ბაგრატიონი" — ამ წერილში, რომელიც ასევე ნეკროლოგის სახითაა დაბეჭდილი, ილია სამაგალითოდ წარმოადგენს ნინო ბაგრატიონის ღვაწლს, რომელმაც ასე უშურველად გაიღო მსხვერპლი სახალხო განათლების მამულიშვილურ საქმიელზე. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" 1886 წლის № 338-ში.

„იასე ანდრონიკაშვილი" — წერილი ნიმუშია იმისა, თუ რა დიდ პატივსა სცემდა ილია ჩუმსა და უანგარო მოღვაწეებს, რომლებიც სახელმწიფო სამსახურთან ერთად თავგამოდებით ირჯებოდნენ საქველმოქმედო საქმიანობაში. წერილი ეძღვნება იასე ანდრონიკაშვილის მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავსა და მისდამი მიძღვნილ იუბილეს. პირველად გამოქვეყნდა ორ წერილად გაზეთ „ივერიაში" 1887 წლის № 7, 42-ში.

„მიხეილ ყიფიანი" — ნეკროლოგის სახით დაბეჭდილი ეს წერილი ეძღვნება მწერალს, საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ყიფიანს. პირველად დაიბეჭდა გაზეთ„ივერიაში" 1891 წლის № 53-ში.

„სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს" — როგორც მნიშვნელობით, ისე მჭევრმეტყველური ოსტატობით გამორჩეული სიტყვაა, რო-

მელიც ეძღვნება გაბრიელ ეპისკოპოსს (ქიქოძეს). სიტყვა პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წლის № 63-ში.

„სიტყვა დავით ჩუბინაშვილის პატივსაცემად 18 სექტემბერს, 1881 წელს“ — ქართული მეცნიერების, კერძოდ კი ქართველოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის დავით ჩუბინაშვილისადმი მიძღვნილი ეს სიტყვა კარგად გამოხატავს, თუ რა ღვაწლობას ანიჭებდა ილია ქართველთმეტყველების დარგების აღორძინებას. სიტყვა პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1881 წელს, № 195-ში.

„ილია ოქრომჭედლიშვილი“ — ეს წერილიც ნეკროლოგის სახითაა დაწერილი და ეძღვნება მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ოქრომჭედლიშვილს, რომელთანაც ილიას ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა. ილია აქვე ეხება მის მოღვაწეობას რუსეთში და აგრეთვე სამეურნეო წამოწყებებს საქართველოში, რომლებიც ილია ოქრომჭედლიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1898 წლის № 2-ში.

„ალექსანდრე როინაშვილი“ — ნეკროლოგის სახით დაწერილი ეს მცირე გამოხმაურება ეძღვნება საქველმოქმედო საქმეებით ცნობილ მოღვაწეს. პირველად დაიბეჭდა 1898 წელს, გაზეთ „ივერიის“ 102-ე ნომერში.

„ახალი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალების დან“ — ილია ამ წერილში, გარდა დიდი საყვედურისა ქალაქის მაშინდელ მესვეურთა მიმართ, რომელთაც მცირედი ხელი არ გაუწოდეს ერეკლეს პატივსაცემად შეკრებილ ქართველობას, აყენებს წინადადებას, რომ ერეკლეს სახელობაზე შეიქმნას ფონდი, რომ „ვისის სარგებლობით შემწეობა ეძლეოდეს დარიბ მოსწავლეთა უმაღლეს სასწავლებელში“. წერილი პირველად დაიბეჭდა ორ ნაწილად გაზეთ „ივერიაში“ 1898 წელს (№ 8, 39).

„სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართულ საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე, 20 მაისს, 1895 წელს“ — ეს არის ილიას ერთ-ერთი სპეროგრაფიული მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რომელიც სრულიად საქართველოს ერთიანობის იდეას გამოხატავდა და ქვაკუთხედად ედო მთელს მის მოღვაწეობას. ეს სიტყვა ილიამ, როგორც სათაურშია აღნიშნული, წარმოთქვა წლიურ კრებაზე, ხოლო პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ 1895 წლის, № 106-ში.

სარჩევი

ერი და ისტორია

ოსმალოს საქართველო 7
აი ისტორია 12
დამატება წერილებისა აი ისტორია 117
გზა-და-გზა და სხვათა შორის 126
Новое Обозрение-ს წერილის გამო 135
ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ . . . 150
დავით აღმაშენებელი 153
ლუარსაბ წამებული 157
საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი . . 160
ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ 162
ერი და ისტორია 165
საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო 169
მეცხრამეტე საუკუნე 171
რა გითხრათ? რით გაგახაროთ? 173
ასი წლის წინათ 178

წერილები სახალხო განათლების საკითხებზე 189

ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო 191
პედაგოგიის საფუძვლები 205
კიცხოთ თუ ვიტიროთ 228
საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის . . 232
ქართულ სამუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე . 239
ქალი მასწავლებელი 241
ქართველი სტუდენტობა რუსეთში 244
ჩვენი ხალხი და განათლება 247
სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ 250
სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე . 252
წინამძღვრიანთ-კარის ქართული სამეურნეო სკოლა . . . 256
ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა შესახებ . . 258
თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში 261
ისევ განათლების საკითხებზე 268
ქალთა სასწავლებელი 275
დედათა საქმე და ქალთა განათლება 277
სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი
წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში 282
ძმისას სამეურნეო სკოლის საკითხებზე . .
სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ . . . 291

ცხოვრება და კანონი

ცხოვრება და კანონი 299
პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის" გამო . . 379

ახლობელნი და შორეულნი

დიმიტრი ყიფიანი 393
ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე 402
ნინო ბაგრატიონი 405
იასე ანდრონიკაშვილი 411
მიხეილ ყიფიანი 417
სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს 419
სიტყვა დავით ჩუბინაშვილის პატივსაცემად 18 სექტემბერს, 1881 წელს 424
ილია ოქრომჭედლიშვილი 425
ალექსანდრე როინაშვილი 428
ახი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან . . . 431
სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს . . . 436
შენიშვნები 438

Чавчавадзе Илья Григорьевич

ИЗБРАННЫЕ СОЧИНЕНИЯ В ПЯТИ ТОМАХ

Том IV

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1987

რედაქტორი **ნ. აბესაძე**
მხატვარი **ზ. ფორჩხიძე**
მხატვრული რედაქტორი **დ. დუნდუა**
ტექნიკური რედაქტორი **ლ. ჭელიძე**
კორექტორები: **ე. უვანია, ნ. კირთაძე**
გამომშვები **ვ. წივწივაძე**

ს. ბ. № 5566

გადაეცა წარმოებას 03.12.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.03.87. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108¹/₃₂. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,52. პირ. საღ. გატ. 23,52. სააღრ.-საგამომც. თაბახი 21,2. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 81.

ფასი 2 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР, по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.